მთარგმნელები: ნ. თოფჩიშვილი, თ. ჭავჭავაძე, ქ. კაკაბაძე,
«ნაკადული“ 2007

ინდური ზღაპრები

წინასიტყვაობა

ინდოეთი, დღემდე ესოდენ უსაზღვროდ მიმზიდველი ქვეყანა ევროპელთათვის თავისი ეგზოტიკურობით, გასულ საუკუნეში ცნობილმა ინგლისელმა მეცნიერმა, მაქს მიულერმა, ზღაპრის სამშობლოდ აღიარა. მისი ვარაუდით ზღაპარი, როგორც გარკვეული ჟანრი ზეპირსიტყვიერებისა, ინდოეთიდან იყო წასული და გავრცელებული მთელ მსოფლიოში. ეს გადაჭარბება მალე უარყო მეცნიერებამ, მაგრამ ინდოეთს ზღაპართან დაკავშირებით მაინც შერჩა თავისი სპეციფიკურობა. ინდოეთში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარია, სადაც დიდი უმეტესობისათვის თითქმის მიუწვდომელია რადიო, ზღაპარი დღემდე რჩება ხალხის დიდი ნაწილისათვის განათლების წყაროდ. ზღაპარი აწვდის ინდოელ მშრომელს რჩევა-დარიგებას, ზღაპარში ახორციელებს ის თავის ოცნებას, ჩაგრული ინდოელი ზღაპარში იოხებს გულს ექსპლოატატორთა უსამართლობაზე «მართალი სამართლის» გამარჯვებით — ზღაპარია მისთვის ცხოვრების უღიმღამო მიმდინარეობაში ხალისისა და სიხარულის შემტანი შუქურა.

ინდური ზღაპრების წინამდებარე თარგმანი ინდოეთში მცხოვრებ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხთა ზღაპრების კრებულია. ამ კრებულში შეტანილი ზღაპრები ინდოეთში ტელუგუ, მარატჰი, თამილი, ფანჯაბი, ჰინდი და ურდუ ენებზეა წარმოდგენილი. კრებული ამ ენებიდან მომდინარე მასალას თანაზომიერად არ გვაწვდის, რადგან მისი შედგენისას სახელმძღვანელო პრინციპად სულ სხვა რამ გვქონდა მიჩნეული. ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა ინდური ზღაპრის, როგორც ზეპირსიტყვიერების გარკვეული ჟანრის, ყველა სახეობა — ცხოველთა ეპოსი, ჯადოსნური ზღაპარი, საყოფიერო: რეალისტური ზღაპარი, ზღაპარი-ლეგენდა და ანეკდოტი; მასალის შერჩევისას უფრო ზღაპრის როგორობას ვუწევდით ანგარიშს, ვიდრე მის სადაურობას.

გათვითცნობიერებული მკითხველისათვის ზოგიერთი ინდური ზღაპრის სიუჟეტი არაინდური წყაროებიდანაც აღმოჩნდება ნაცნობი. ჩვენ შეგნებულად არ ავირიდეთ ასეთი სიუჟეტები თავიდან. არ ავირიდეთ ორი მოსაზრებით: 1. ზღაპრების სიუჟეტების დამთხვევისას მათი ჩასახვა-გავრცელების გზების ჩვენება ათასში ერთხელ თუ მოხერხდება ხოლმე და, ამდენად, ძნელია რომელიმე ხალხის შემოქმედებიდან მისი არაადგილობრივი წარმოშობის საბუთის ამოღება. 2. ეს სიუჟეტები ინდურ ფოლკლორში შემოტანილიც რომ იყოს, დღეს ისინი მის საკუთრებას წარმოადგენენ. თუ გვსურს ინდური ზღაპრის არსზე ადექვატური შეხედულება ვიქონიოთ, ყველაფერს უნდა გავეცნოთ, ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ.

ასეთი «ნაცნობი» სიუჟეტი ინდური ზღაპრების წინამდებარე კრებულში რამდენიმე თუ აღმოჩნდება. კრებულში წარმოდგენილი მასალის უმეტესი ნაწილი კი, ვფიქრობთ, ახალი და საინტერესო იქნება ქართველი მკითხველისათვის და ინდური კულტურის კიდევ უფრო ახლოს გაცნობის საქმეში მცირე წვლილს ესეც შეიტანს.

მოტჰო და მუნგო

ოდესღაც, ჩრდილოეთ ინდოეთის ერთ სოფელში ცხოვრობდა ორი და — მოტჰო და მუნგო.

ერთხელ მოტჰომ მუნგოს უთხრა:

— დაო, რამდენი ხანია ჩვენი საყვარელი მამა არ გვინახავს, მოდი, წავიდეთ და ვნახოთო.

— ეგღა მაკლია, თავი ავიღო და სოფელ-სოფელ ვიწანწალო, — უპასუხა მუნგომ. — თუ ეგრე ძალიან გინდა მისი ნახვა, ადექი და წაბრძანდი. მე აქ ჩემს ნებაზე ყოფნა მირჩევნიაო.

მოტჰოს აღარაფერი უთქვამს დისთვის. დილაადრიან ადგა და გზას გაუდგა. ჩქარა-ჩქარა მიდიოდა, რომ მამასთან მისვლა სიგრილით მოესწრო და საღამოს ისევ შინ დაბრუნებულიყო.

მოტჰოს სიამოვნებდა სიგრილით მგზავრობა. მზე ჯერ არ ამოსულიყო, თუმცა ცისკიდური უკვე ოქროსფრად შეეფერადებინა. მიიჩქაროდა მოტჰო და თან მხიარულად მიიმღერებოდა. უცებ, გზის პირზე დარგული ქლიავის ხმა შემოესმა:

— ჩემო მოტჰო, მიშველე რამე! ეკლები შემერჭო და ტანს მიკაწრავენ, მოდი, გამაცალეო.

— უჰ, შე საცოდავო! — წარმოთქვა მოტჰომ და ხეს ეკლების გაცლა დაუწყო.

მოტჰო სწრაფად აძრობდა ეკლებს, მაგრამ ეკალი ძალზე ბევრი იყო და დიდხანს მოუნდა. როდესაც საქმეს მორჩა, მზე უკვე კარგა მაგრად აცხუნებდა.

მოტჰომ ნაბიჯს აუჩქარა, რომ შუადღემდე მოესწრო მამასთან ჩასვლა, მაგრამ უცებ კიდევ ვიღაცამ დაუძახა. ახლა გზის პირას მბჟუტავი კოცონი ელაპარაკებოდა:

— მომეშველე, მოტჰო! ხომ ხედავ, როგორ ვიფერფლები, მალე სულაც ჩავქრებიო.

— ოჰ, შე საწყალო, შენა! — შეეცოდა მოტჰოს კოცონი. მერე ჩაცუცქდა, ნაკვერჩხალი გაქექა, ხმელი ტოტები დააყარა და კოცონიც საამურად აგიზგიზდა.

ამასობაში მზემ კარგა მაღლა ამოიწია.

მოტჰოს სიარული გაუძნელდა. სიცხისა და მტვრისაგან სასა გაუშრა. იქვე წყაროც დაინახა, მაგრამ არ შეჩერებულა, არ უნდოდა დრო დაეკარგა. უცებ ნაკადულმა შესძახა:

— ჩემო კეთილო მოტჰო, კალაპოტი გამისუფთავე, თორემ ლამის ამოვშრეო!

— ოჰ, შე საცოდავო, შენა! — ისევ ამოიოხრა მოტჰომ. მერე წყლის პირას სწრაფად ჩაცუცქდა და ქვებისა და ფოთლებისაგან კალაპოტის ამოწმენდას შეუდგა. ეს იოლი საქმე როდი იყო. მოტჰოს ხელები და ბეჭები ეტკინა, მაგრამ, სამაგიეროდ, ცივი, კამკამა წყარო გაწმენდილ კალაპოტში მხიარულად არაკრაკდა. მოტჰომ წყალი დალია, ხელ-პირი დაიბანა და გზას გაუდგა.

ბოლოს, როგორც იქნა, მიაღწია იმ სოფელს, სადაც მამამისი ცხოვრობდა. შევიდა ქოხში. მოხუცი მარტო დაუხვდა. მოტჰოს ძმა და რძალი მინდორში წასულიყვნენ სამუშაოდ. მოტჰო ძალიან დაღლილი იყო, მაგრამ არ დაუსვენია, მოხუცს მაშინვე ფეხები დაბანა, ოთახები დაალაგა, ფეტვის ლავაშები გამოაცხო, ბრინჯი მოხარშა და მამა დააპურა.

მოხუცი ისეთი გახარებული იყო თავისი ქალიშვილის ნახვით, რომ იმ დღეს მისი გაშვება არ უნდოდა, მაგრამ მოტჰოს ეჩქარებოდა შინ დაბრუნება, დის დარდი ჰქონდა, მარტო იქნებაო. მაშინ მამა ადგა და თავის გულკეთილსა და გამრჯე შვილს ერთი ფურკამეჩი, ერთი ხელი ლოგინი, ჯარა, რამდენიმე სპილენძის ქვაბი და სხვა საოჯახო ნივთი აჩუქა, ჩვეულებრივ, გლეხები გასათხოვარ ქალიშვილებს მზითევში რომ აძლევენ ხოლმე, ისე.

მოტჰომ მადლობა გადაუხადა მამას, საჩუქრები კამეჩს აჰკიდა და შინისაკენ გამოსწია.

როგორც კი წყაროს მიუახლოვდა, მისი ჩუხჩუხი შემოესმა.

— მოტჰო დაიხარა და რას ხედავს: წყალში ლამაზი, თხელი ქსოვილი არის გაფენილი და ათასფრად ლივლივებს.

— აიღე, მოტჰო, აიღე! შენთვის მოვქსოვე წყლის ქაფის, მზის სხივების, ყვავილებისა და ფოთლებისაგანო, — უთხრა წყარომ.

მოტჰო ძალიან გაახარა ასეთმა მშვენიერმა საჩუქარმა. აიღო ქსოვილი, მადლობა გადაუხადა ნაკადულს და გზა განაგრძო. ცოტა რომ გაიარა, ხედავს, კოცონს ტკაცატკუცი გააქვს. მოტჰო ცეცხლთან რომ მივიდა, ბანანის ფოთოლში გახვეული, ახლად გამომცხვარი ღვეზელი დაინახა. კოცონმა მოტჰოს მხიარულად შესტკრციალა:

— აიღე მოტჰო, აიღე, ეს ღვეზელი შენ გამოგიცხვეო.

მოტჰომ სიამოვნებით აიღო ღვეზელი და კოცონს მადლობა გადაუხადა. ძალიან შიოდა, მაგრამ ღვეზელი ორად გაყო: ნახევარი თვითონ შეჭამა, ნახევარი კი დას შეუნახა.

მოტჰომ სწრაფად განაგრძო გზა. უკვე კარგად მოსაღამოვდა და შინ დროზე უნდა მისულიყო. მაგრამ გზის პირას ქლიავის ხემ შეაჩერა: დახუნძლული ტოტები მისკენ დაეხარა და სთხოვდა:

— მიირთვი, მოტჰო, მიირთვი, რამდენიც გინდოდეს! შენთვის საგანგებოდ მწიფესა და გემრიელ ქლიავს ვინახავდი, მიირთვი, წყურვილს მოგიკლავსო.

მოტჰომ თავშალი გაშალა, ხემაც ტოტები შეარხია და თავშალი მწიფე ქლიავით გაუვსო.

მოტჰომ მადლობა გადაუხადა ქლიავის ხეს, რამდენიმე ცალი შეჭამა, დანარჩენი კი დას წაუღო.

როგორც იქნა, მოტჰო შინ მივიდა. მუნგოს ჯერ ღვეზელითა და ქლიავით გაუმასპინძლდა და თავისი საჩუქრები მერე აჩვენა. მუნგოს თავისი დის ამბავი არ გახარებია, პირიქით, შეშურდა კიდევაც. შურისაგან მთელი ღამე არ სძინებია — სულ თავის უბედობაზე ჩიოდა და ტიროდა.

დილით, როგორც კი ინათა, მამის სანახავად გაუდგა გზას. იმედი ჰქონდა, საჩუქრებს თვითონაც მიიღებდა. ქლიავის ხეს რომ ჩაუარა, ხემ სთხოვა:

— ჩემო მუნგო, ეკლები გამაცალე, ძალიან მჩხვლეტსო.

— სხვა რაღა გნებავს! შენთვის სადა მცალია, მეჩქარებაო, — მიაძახა მუნგომ და არც გაჩერებულა, ისე განაგრძო გზა. კოცონს რომ მიუახლოვდა, იმანაც სთხოვა:

— ჩემო მუნგო, ჩინჩხვარი დამაყარე, თორემ ჩავქრებიო.

— არა მცალია, მეჩქარებაო, — მიუგო მუნგომ და უფრო აუჩქარა ნაბიჯს, რომ, რაც შეიძლება მალე მისულიყო მამასთან და საჩუქრები მიეღო. ახლა ნაკადულმა შეაჩერა.

— ჩემო მუნგო, კალაპოტი გამისუფთავე, თორემ ამოვშრებიო!

— რაო? — გაჯავრდა მუნგო. — შენი გულისათვის უნდა შევჩერდე, სწრაფად იდინოს-მეთქი? ნურას უკაცრაფად! ყველამ თავის თავს თვითონ მოუაროსო.

ასე მოასწრო მუნგომ სიგრილით იმ სოფელში ჩასვლა, სადაც მამამისი ცხოვრობდა. ქოხში რომ შევიდა, მუნგომ მაშინვე მიაძახა მამას:

— ორი კამეჩი ამირჩიე და ორჯერ იმაზე მეტი საჩუქარი გამიმზადე, რაც მოტჰოს მიეცი. მე მანამდე ცოტას დავისვენებ, ამოდენა გზა გამოვიარე და ძალიან დავიღალეო.

მუნგო დასაძინებლად მიწვა. როგორც კი გამოიღვიძა, მაშინვე საჩუქრები მოითხოვა, მაგრამ მოხუც მამას ასეთ შვილთან ლაპარაკიც არ სურდა და უბრძანა, შინ დაბრუნებულიყო.

გამობრუნდა გაბრაზებული მუნგო, ვერ მიიღო მამისგან მდიდრული მზითევი! არა უშავს რა, თავს იმშვიდებდა მუნგო, სამაგიეროდ, ლამაზ ქსოვილს გზაში მივიღებ საჩუქრადო.

ნაკადულთან რომ მივიდა, წყალში ლამაზი ქსოვილი მართლაც ლივლივებდა — იმაზე უფრო უკეთესი, ვიდრე მოტჰომ მიიტანა შინ. გაუხარდა მუნგოს, დასწვდა ქსოვილს, მაგრამ ქსოვილი ხელიდან გაუსხლტა და გაცურა. გაბრაზებულმა მუნგომ ნაკადულს ლანძღვა დაუწყო. ნაკადული კი პასუხს არ აძლევდა და თავისთვის ჩუხჩუხებდა.

მეტი რა ძალა ჰქონდა მუნგოს, განაგრძო გზა. ძალზე დაიღალა და კარგადაც მოშივდა. თავს მხოლოდ იმითღა იმშვიდებდა, რომ მალე გემრიელ ღვეზელს მიირთმევდა.

როგორც იყო, მუნგო კოცონთან მილასლასდა და დაინახა, რომ ერთ დიდ ფოთოლზე ახლად გამომცხვარი ღვეზელი იდო. მუნგომ ხელი წაატანა, მაგრამ ხელები ცეცხლზე დაეწვა. ღვეზელს კი საიდანღაც მოფრენილმა ყვავმა დაავლო პირი და გაფრინდა.

— ქლიავი მაინც მოვკრიფო, თორემ სახლამდის ვეღარ მივაღწევ, ძალა გამომელევაო, — წამოიყვირა გამწარებულმა მუნგომ.

მუნგო ქლიავის ხესთანაც მივიდა, სცადა ნაყოფის მოწყვეტა, მაგრამ აქაც ხელცარიელი დარჩა. მხოლოდ ხელები და სახე დაიკაწრა ეკლებით და ეგ იყო.

მშიერ-მწყურვალი და გაბრაზებული მუნგო ხელცარიელი მილასლასდა შინ.

გულკეთილმა მოტჰომ კი დააპურა, ლოგინში ჩააწვინა, მიუალერსა და დაამშვიდა.

<u>მაჰილაროპელი ფეიქარი</u>

სამხრეთ ინდოეთში, ქალაქ მაჰილაროპში, ერთი ფეიქარი ცხოვრობდა, სახელად საჰარადატი. მან არაჩვეულებრივი ხალიჩების ქსოვა იცოდა, მაგრამ ერთი ხალიჩის მოქსოვას ერთ წელიწადს უნდებოდა და ძალიან ცოტა შემოსავალი ჰქონდა.

ერთხელ საჰარადატი ძალიან ლამაზ ხალიჩას ქსოვდა. ის იყო, უნდა მოეთავებინა, რომ საქსოვი დაზგა გაუტყდა.

საჰარადატს თავის ასეთ უბედობაზე მაინცდამაინც ბევრი არ უდარდია, აიღო ცული და ახალი დაზგის გასაკეთებლად მაგარი ჯიშის ხის საძებნელად გასწია.

ბევრი ხე შეათვალიერა და ბოლოს ზღვის პირას მდგარ ერთ მაღალ ბზას დაადგა თვალი.

— აი, სწორედ ასეთი ხე მჭირდებაო! — წამოიძახა გახარებულმა ფეიქარმა და, ის იყო, დასარტყმელად ცული მოიქნია, რომ უცბად შემოესმა:

— მეგობარო, ეს ხე შეიბრალეო.

— ნეტავი ვინ მელაპარაკებაო? — გაუკვირდა ფეიქარს.

— მე ვარ, ტყის ჯადოქარი. ამ ხეში ვბინადრობ და ნუ მოსჭრიო.

საჰარადატს ძალიან შეეშინდა, მაგრამ თავისი გატეხილი დაზგა მოაგონდა და უპასუხა:

— თუ ახალი დაზგისათვის კარგი მაგარი ხე ვერ ვიშოვე, მაშინ ხალიჩა დაუმთავრებელი დამრჩება, ვეღარ გავყიდი და ოჯახი დამემშევა. სჯობია სადმე სხვაგან გადასახლდე, ამ ბზას კი მოვჭრიო.

— არა, არა! ამ ბზას ხელი არ ახლო, მე აქ კარგად ვგრძობ თავს. ნიავი ზღვიდან პირდაპირ აქეთ უბერავს და ცხელ ამინდშიც კი გრილა ხოლმე. გირჩევნია სხვა რამე მთხოვო, რაცა გსურს, შეგისრულებო, — შესთავაზა ჯადოქარმა.

საჰარადატმა ცოტა ფიქრის შემდეგ უთხრა: წავალ, ცოლს შევეკითხები და პასუხს მერე გაგცემო.

საჰარადატს გზაში ნაცნობი დალაქი შემოხვდა.

— მეგობარო, ასე საით მიეჩქარებიო? — ჰკითხა დალაქმა.

— ნუ მაყოვნებ, გეთაყვა, ტყის ჯადოქარი წყალობას დამპირდა. ცოლთან მივიჩქარი რჩევისათვის, არ ვიცი, ჯადოქარს რა ვთხოვოო.

— ოო, რახან ასეა, სამეფო სთხოვე! შენ მეფედ დაჯდები, მე შენი მრჩეველი ვიქნები და ორივენი ამქვეყნიური ნეტარი ცხოვრებით დავტკბებითო.

— შეიძლება შენ მართალს ამბობდე, მაგრამ რჩევა მაინც ჯერ ცოლს უნდა ვკითხოო! — უპასუხა ფეიქარმა.

— აბა რას ამბობ, მეგობარო! განა შეიძლება ქალმა ჭკუა გასწავლოსო?

— შეიძლება მაგასაც სწორედ ამბობდე, მაგრამ მე მაინც რჩევა ცოლს უნდა ვკითხოო, — და საჰარადატი შინისაკენ გაეშურა.

— ჩემო კარგო, ტყის ჯადოქარს რა ვთხოვოთო? — შეეკითხა საჰარადატი თავის ცოლს, — ჩემმა მეგობარმა დალაქმა მირჩია, სამეფო სთხოვეო.

— რა უჭკუო ყოფილა ის შენი დალაქი, არაფერი დაუჯერო! განა არ იცი, რომ მეფეს გულითადი მეგობრები არა ჰყავს? განა არ იცი, რომ მისი ცხოვება სულ ზრუნვაში ილევა?! მას მუდამ ფარისეველნი და გამცემლები ახვევია. ასეთ ცხოვრებას მე ბედნიერებად არა ვთვლიო.

— მართალი ხარ, დედაკაცო, მაგრამ ჯადოქარს მაინც რა ვთხოვოთო?

— რა და ისა სთხოვე, რაც ყველაზე მეტად გჭირდება ხალიჩაზე ლამაზი ნაყშების ამოსაქსოვადო.

— დიახ, დიახ, შენ მართალი ხარ, ჩემო კარგო, ასე მოვიქცევიო.

— ყველა აქებს შენს ნახელავს, ხალიჩებსაც ხალისით ყიდულობენ, მაგრამ წელიწადში ერთზე მეტს ვერა ქსოვ და ასე ღარიბები იმიტომა ვართ. ჰოდა, იმ ჯადოქარს ისეთი დაზგა სთხოვე, რომ რამდენიც მოგესურვოს, იმდენი ლამაზნაყშიანი ხალიჩა მოქსოვოსო.

საჰარადატი დაეთანხმა ცოლს და ზღვის სანაპიროსაკენ გასწია, სადაც ტყის ჯადოქარი ბინადრობდა.

მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდა იმ ადგილს, მით უფრო ეცვლებოდა გუნება.

მერედა, ვთქვათ, ტყის ჯადოქარმა მართლაც მომცა სასწაულმოქმედი დაზგა, — ფიქრობდა იგი. — ნაყშებს და ხალიჩებს თუ დაზგა მოქსოვს, მე რაღა ვაკეთო? ხალიჩები ვყიდო და ფულები ვაგროვოო? — და ფეიქარი ისე ცუდად გახდა, რომ ტყის ჯადოქარს მხოლოდ ესღა სთხოვა:

— არაფერი არ მინდა შენი, ამ ხის მოჭრის ნებას თუ არ მაძლევ, ძველი დაზგის შეკეთებაში მაინც მომეხმარეო.

— იყოს ნება შენი, მაგ თხოვნას შეგისრულებო.

საჰარადატი როგორც კი შინ დაბრუნდა, თავის საქსოვ დაზგას მივარდა. იგი შეკეთებული დახვდა.

ფეიქარი შეუდგა ხალიჩის ქსოვას, სხვა ამქვეყნად აღარაფერი ახსოვდა. დღედაღამ ქსოვდა და ქსოვდა. ვერც ცოლის შესვლას ამჩნევდა, ვერც დალაქისას.

ხალიჩის ქსოვა რომ დაამთავრა, დიდხანს ათვალიერებდა თავის ნახელავს, შემდეგ კი უეცრად გაეცინა და წამოიძახა:

— ვინმე გაიგებს ახლა ჩემს ბედნიერებას? ხომ შემეძლო მეფე გავმხდარიყავი და უამრავი სიმდიდრე მქონოდა, უამრავი ყურმოჭრილი ყმა და ფარისეველნი მყოლოდა. ტყის ჯადოქარს შეეძლო გავემდიდრებინე, მაგრამ, სამაგიეროდ, ვერც ერთ ნამდვილ მეგობარს ვერ შევიძენდი. მოსვენებას დავკარგავდი და სულ იმის შიშში ვიქნებოდი, სიმდიდრე არ დავკარგო-მეთქი. ვისი ბედნიერება შეედრება ჩემსას? მე ჩემი თვალით ვუმზერ ხალიჩის მშვენივრად ამოქარგულ ნაყშებს და ჩემი ყურით ვისმენ, ყველა როგორ მიქებს ნახელავს!

დიდხანს იცოცხლა ფეიქარმა საჰარადატმა. სიმდიდრე ვერ შეიძინა, მაგრამ საუკეთესო ოსტატის სახელი კი მთელს ქვეყანაზე გაითქვა. მისი სიკვდილის შემდეგაც ხალხი დიდხანს იგონებდა მაჰილაპორელ ფეიქარს, ლამაზი ხალიჩების ოსტატური ქსოვა რომ იცოდა.

ვეფხვი, გლეხი და მელია

ტყეში, ნახევრად ჩამონგრეულ გამოქვაბულში, ერთი ვეება ვეფხვი ბუნაგობდა. იგი ღამღამობით შეიპარებოდა ხოლმე ახლომახლო სოფლების ფარეხებში და საქონელს იტაცებდა, ზოგჯერ ადამიანებსაც ესხმოდა თავს.

ერთ ღამეს ვეფხვი მაჰარაჯას* (* მაჰარაჯა — სიტყვასიტყვით — «დიდი მეფე» ან «დიდი მთავარი». აღნიშნავს რაჯაზე უფრო მსხვილ და, ხშირად, დამოუკიდებელ მმართველს.) საწოლ ოთახში შეიჭრა და ისე შეაშინა მბრძანებელი, კინაღამ სული ამოხადა.

მაჰარაჯამ ბრძანა, სასწრაფოდ შეეკრიბათ იმ მხარის საუკეთესო მონადირეები. ყველამ თავი მოიყარა. მაჰარაჯამ განაცხადა:

— რომელი თქვენთაგანიც დაიჭერს ან მოჰკლავს იმ ბოროტ მტაცებელს და ცოცხლად მომგვრის ან მის ტყავს მომიტანს, ჯილდოდ ათას ოქროს რუპიას* (* რუპია — ფულის ერთეული.) მივცემო.

მეორე დღისათვის ჯერგით ნადირობა დათქვეს. მონადირეები გარს შემოერტყნენ ტყეს და ნელ-ნელა მიიწევდნენ იმ კლდისაკენ, სადაც ჯაგნარით დაფარულ გამოქვაბულში ბოროტი ვეფხვის ბუნაგი ეგულებოდათ.

ვეფხვმა, როგორც კი მონადირეები შეამჩნია და საშიშროების მოახლოვება იგრძნო, ფრთხილად გამოვიდა გამოქვაბულიდან, ჯაგებიდან შეუმჩნევლად გავიდა ტყის პირზე და საურმე გზას გაჰყვა. გზაზე ერთი ღარიბი გლეხი შემოეყარა. გლეხი სახედარშებმულ ორთვალაზე იჯდა და ხორბლით სავსე ტომრები მიჰქონდა. გლეხსაც და სახედარსაც ფერი ეცვალათ ვეებერთელა ვეფხვის დანახვაზე, მაგრამ ვეფხვმა შესძახა:

— ნუ გეშინიათ, მეგობრებო, არაფერს გავნებთ, ოღონდ როგორმე გადამარჩინეთ! ბოროტი მონადირეები უკან მოსაკლავად მომდევენო.

— კეთილი, მაგრამ ჩვენ რითი უნდა გიშველოთო? — შეეკითხა შეშინებული გლეხი.

ვეფხვმა ცოტა სული რომ მოითქვა, გლეხს უთხრა:

— სულ უბრალოდ! ერთი ტომარა დაცალე და მე შიგ ჩავძვრები. სანამ იმ ტყემდე არ მიმიყვან, საიდანაც გამოვიქეცი, არ ამოვალ. თუ გზაზე მონადირეები შეგხვდებიან და ჩემზე რამეს გკითხავენ, უთხარი, აგერ, იმ შორეული ჯუნგლებისაკენ მირბოდა-თქო.

საწყალი გლეხიც ისე მოიქცა, როგორც ვეფხვმა სთხოვა: ტომარა დაცალა, ვეფხვი ურემზე ახტა, მარდად ჩაძვრა ტომარაში და სული განაბა. გლეხმა ტომარას თოკით მოუკრა პირი, მერე ზედ დააჯდა და გზა განაგრძო.

ცოტა ხნის მერე ვეფხვის კვალს ადევნებული მონადირეები მართლაც შემოხვდნენ გლეხს და ჰკითხეს:

— გზაზე ვეფხვი ხომ არ შეგხვედრიაო?

— როგორ არა, ერთი დიდი ვეფხვი აი იმ ჯუნგლებისაკენ გარბოდაო.

მონადირეებმა მადლობა გადაუხადეს და ვეფხვს დაედევნენ.

— გმადლობ, სიკვდილისაგან რომ მიხსენი! შენს სიკეთეს არასოდეს დავივიწყებო, — ეუბნებოდა ტომრიდან ვეფხვი.

როგორც კი გლეხი ტყეს მიუახლოვდა, ტომარას თავი მოხსნა და ვეფხვი ამოუშვა. მოულოდნელად მხეცმა ბოროტად შეღრინა, ვეებერთელა ხახა დააღო და გლეხს უთხრა:

— ახლა კი შენცა და შენს სახედარსაც შეგჭამთო.

გლეხმა ტირილი დაიწყო:

— ეგ როგორ იქნება? მე შენ სიკვდილს გადაგარჩინე და სიკეთეს ამით მიხდიო?

— მართალია, სიკვდილისაგან მიხსენი, მაგრამ მე ხომ სისხლისმსმელი მხეცი ვარ, ვეფხვი იმისათვისაც მქვიან, რომ უნდა შეგჭამოო.

გლეხი უფრო ხმამაღლა ატიდა. ვეფხვს უმტკიცებდა, უსინდისოდ იქცევი, ურცხვად მომატყუეო, მაგრამ ვეფხვს არაფრის გაგონებაც არ სურდა.

სწორედ ამ დროს ცბიერი მელია გამოძვრა ბუჩქებიდან და იკითხა:

— ჩემო ძვირფასებო, ასე გაცხარებულნი რაზედ დაობთო?

თვალცრემლიანმა გლეხმაც ყველაფერი უამბო.

მელიამ გლეხს გულდასმით მოუსმინა და ვეფხვს უთხრა:

— ყველაფერი სწორია, თქვენო მხეცურთკეთილშობილებავ! რასაკვირველია, მართალი ხართ: რაკი ვეფხვი ბრძანდებით, უსათუოდ უნდა შესანსლო გლეხი. მაგრამ საქმე ეგ როდია, მე რაღაც არა მჯერა და ვერც დავიჯერებ, ვითომც ამ ვიწრო ტომარაში ჩაძრომა შეგეძლოსო.

მელიას სიტყვებზე ვეფხვში თავმოყვარეობამ გაიღვიძა, ისე აღელდა, რომ სიფრთხილეც კი დაავიწყდა და იღრიალა:

— რაებსა როშავ! როგორ მიბედავ მაგის თქმას, ვითომც მე მოუხეშავი ვიყო. ახლავე, შენს თვალწინ ჩავძვრები ტომარაში და დარწმუნდები, რომ სცდებიო.

თქვა თუ არა ეს, ვეფხვი სწრაფად ჩაძვრა ტომარაში. მელიამ გლეხს შესძახა:

— ახლა ყველაფერი რიგზეა! ტომარას მაგრად მოუკარი პირი და არ ამოუშვა ეგ უბედური! ერთი ორიოდე კომბალიც უთაქე და მაჰარაჯას მიჰგვარე. ჯილდოდ ათას ოქროს რუპიას მოგცემს და ბედნიერად იცხოვრებ. ოღონდაც ამის შემდეგ დაიმახსოვრე: მტერს თუ ენდობი, თავს საფრთხეში ჩაიგდებო.

<u>როგორ მოატყუეს ტურებმა ლომი</u>

იყო ერთი ლომი. ოდესღაც მეტად მრისხანე და ძლიერი გახლდათ, ახლა კი ძალზე დაბერდა და ისე დაუძლურდა, რომ განძრევაც აღარ შეეძლო.

ერთხელ ლომი დიდი წვალებით მილასლასდა ტბის პირას და ბუჩქებში ჩასაფრდა. უნდოდა, წყლის დასალევად გამოსულ რომელიმე ნადირს დადარაჯებოდა, დაეჭირა და მუცელი გაეძღო.

შუადღისას ტბასთან ორმა ტურამ მოირბინა. დედალმა ტურამ ბუჩქებში ჩასაფრებული ლომი შეამჩნია, მაგრამ უკან გაქცევა ვეღარ მოახერხა.

რა ვქნათ, თავს როგორ ვუშველოთო? — გაიფიქრა ცბიერმა ტურამ. უცებ ერთმა აზრმა გაუელვა და მამალ ტურას ხმამაღლა უთხრა:

— სამი ჩემთან დარჩეს, ორი კი — შენთან. თუ გინდა, წავიდეთ და ლომს შევეკითხოთ, აბა, რას გვეტყვისო.

ორივემ ლომთან მიირბინა და მიესალმნენ. დედალმა ტურამ ჰკითხა:

— ბრძენთა-ბრძენო ლომო, გთხოვთ, ალალმართლად განგვსაჯოთ. მე და ჩემი მეუღლე წავიჩხუბეთ და მინდა გავეყარო, მაგრამ ლეკვები ვერ გაგვიყვია. ის გაიძახის, სამი მე მეკუთვნისო, მე ვეუბნები, სამი ჩემია, ორი კი შენი-მეთქი. თუ ნებას დაგვრთავთ, აქ მოვიყვანთ ჩვენს ლეკვებს. თქვენ თვითონ ნახეთ და სწორად გაგვიყავითო.

ლომმა მოისმინა დედალი ტურის სიტყვები და გაიფიქრა: რაღა ეს ორი შევჭამო, მოდი, ცოტასაც მოვიცდი და ერთბაშად შვიდ ტურას შევსლანსავო.

— კარგი, მომიყვანეთ, ვნახავ და ჩემს გადაწყვეტილებას მერე გეტყვითო, — უპასუხა ლომმა.

— ხომ გესმის? — მიაძახა დედალმა ტურამ მეუღლეს. — ახლავე განგვსჯიან. აბა, მალე დალიე წყალი, გაიქეცი და ჩვენი ლეკვები მოიყვანეო.

ტურამ წყალი დალია და გაიქცა.

ცოტა ხნის შემდეგ დედალმა ტურამ ლომს უთხრა:

— თქვენ არ იცით, რა ზარმაცია ჩემი მეუღლე. აი, ხომ უბრძანეთ, მალე მოდიო, ის კი დასაძინებლად მიეგდებოდა. მთელი დღე წევს და სძინავს, ნამდვილი ძილის გუდაა, ამიტომ ვართ მეცა და ჩემი ლეკვებიც სულ მუდამ მშივრები. თუ ნებას მომცემთ, შინ გავიქცევი, იმ ზარმაცს ერთი კარგად შევაფუცხუნებ და ლეკვებიანად გეახლებითო.

ლომს ამასობაში უფრო მოშივდა და მოთმინებაც ეკარგებოდა:

— გაიქეცი და ახლავე აქ გაჩნდით, ყოველგვარი უსიამოვნება დროზე უნდა გაირჩეს და განისაჯოსო, — უთხრა ლომმა.

დედალმა ტურამ სწრაფად დალია წყალი, გაიქცა და თავის სოროში მიიმალა, სადაც თავისი მეუღლე ელოდებოდა.

დიდხანს უცადა ბებერმა ლომმა, მაგრამ ამაოდ, ტურები არსად ჩანდნენ. მაშინ მძიმე-მძიმედ წამოდგა და ზოზინით გაჰყვა მათ კვალს. კვალმა ტურების სოროსთან მიიყვანა. ლომი სოროს წინ გაჩერდა შესძახა:

— ეჰეი, მეგობრებო, თქვენ რაღაც შეგაგვიანდათ და მე თვითონ მოვედი, რომ მოგარიგოთ. აბა, გარეთ გამოდითო!

— დიდებულო ლომო, ჩვენ აღარ ვიყრებით და უთქვენოდაც მოვრიგებით, — ერთხმად უპასუხეს ტურებმა.

ასე მოატყუეს ტურებმა ლომი.

<u>ჩიტუნია და სპილო</u>

ჯუნგლებში ერთი მაღალი, ლამაზი ხე იდგა. იმ ხეზე ერთმა ჩიტუნიამ ბუდე გაიკეთა და ბარტყები გამოჩეკა.

ერთხელ ამ ხეს სპილო მიადგა და ზედ გაექექა. ხე ირხეოდა, ჭრიალებდა. ბარტყებს შეეშინდათ და დედას მიეკვრნენ. დედა ჩიტმა ბუდიდან თავი გადმოჰყო და სპილოს გადმოსძახა:

— ჯუნგლების დიდო მბრძანებელო, ხომ ხედავ, ირგვლივ რამდენი ხეა, ამ ხეს ნუ არხევ, ჩემს პატარა ბარტყებს ეშინიათ, ლამის ბუდიდან გადმოცვივდნენო.

სპილოს არაფერი უპასუხებია, ერთი კი შეხედა ჩიტუნიას თავისი პატარა თვალებით, ყურები ააპარტყუნა და იქაურობას გაშორდა.

მეორე დღეს სპილო ისევ მივიდა და უფრო გულმოდგინედ გაექექა ხეს. ხე საშინლად ირხეოდა, ბარტყები შიშით დედას ეკვროდნენ. გაბრაზდა დედა ჩიტი და სპილოს გადმოსძახა:

— აღარ გაბედო და ამ ხეს მეორედ აღარ გაეკარო, თორემ შენს სეირს გაყურებინებო.

სპილოს გაუკვირდა ჩიტუნიას გამბედაობა და უპასუხა:

— შენ ერთი პატარა ჩიტუნია ხარ, ნეტავ რა შეგიძლია მიყო მე, ამხელა სპილოს — ინდოეთის ჯუნგლების მბრძანებელს? გაჩუმდი, თორემ ისე შეგარხევთ, რომ აღარც შენი ბუდე შერჩება ხეს და აღარც ბარტყები, სულ პანტაპუნტით ჩამოცვივდებიანო.

ჩიტმა ამაზე არა უპასუხა რა.

მესამე დღეს სპილო ისევ მოადგა ხეს და გაექექა. გაბრაზებული ჩიტუნია შეფრთხიალდა და ელვის სისწრაფით სპილოს ყურში ჩაუძვრა. ფრთებით უღიტინებდა და ბრჭყალებით ფხაჭნიდა... სპილო თავს აკანტურებდა და ყურებს აბარტყუნებდა, მაგრამ ჩიტუნია ვერაფრით ვერ გამოაგდო გარეთ. ბოლოს შეევედრა:

— ოღონდ ჩამომეხსენი და აღარაფერს დაგიშავებო.

— მეც გეხვეწებოდი და გთხოვდი, ხეს ნუ არხევ და ბარტყებს ნუ მიშინებ-მეთქი, მაგრამ ჩემი მუდარა არ შეისმინეო, — მიუგო ჩიტმა და ისევ განაგრძო სპილოს წვალება.

სპილო ღრიალებდა, თავს იქნევდა, ყურებს აბარტყუნებდა და გაშმაგებული დარბოდა ჯუნგლებში. ბოლოს ქანცგამოლეული ძირს დაეცა. ჩიტუნია ამოფრინდა სპილოს ყურიდან და თავის ბარტყებთან დაბრუნდა. ის დღე იყო და ის დღე, სპილო აღარ გაჰკარებია იმ ხეს, სხვა ადგილი მონახა ტანის საფხანად.

<u>სულეიმან მეფე და ბრძენი წერო</u>

ამბობენ, რომ სულეიმან მეფეს, რომელიც მარტო ადამიანებზე კი არა, ცხოველებზეც მბრძანებლობდა, ერთხელ ერთმა ბრძენმა უკვდავების წყლით სავსე თასი მიართვა და ასე უთხრა:

— იცოდე, ამ წყალს თუ არ დალევ, სიცოცხლეს მალე გამოეთხოვები, ხოლო თუ დალევ, უკვდავებას მოიპოვებ! ახლა შენ იცი, როგორც გინდა, ისე მოიქეციო.

ჩაფიქრდა მეფე სულეიმანი და ბოლოს გადაწყვიტა, ბრძენთათვის ეკითხა რჩევა.

მის ნება-სურვილს, აბა, წინ ვინ აღუდგებოდა, რაც კი დედამიწის ზურგზე ბრძენი იყო, ადამიანიცა და ცხოველიც, ყველამ მის სასახლეში მოიყარა თავი. მეფემ მათ თავისი გასაჭირი უამბო და შეეკითხა, როგორ მოქცეულიყო.

ყველამ ერთხმად შეაქო ამქვეყნიური ცხოვრება და მის სიტკბოებას ხოტბა შეასხა.

— სიცოცხლე უპირველესი სიმდიდრეა, სიცოცხლეზე ძვირფასი ამქვეყნად არაფერი არისო, — ამბობდნენ ისინი.

ერთი სიტყვით, ყველამ გადაწყვიტა, რომ სულეიმანს უკვდავების წყალი უნდა დაელია. მაშინ სულეიმანმა იკითხა:

— ბრძენთა შორის ხომ არავინ გეგულებათ ისეთი, ვინც აქ არ გამოცხადებულაო?

აღმოჩნდა, რომ ბრძენთა უბრძნესი წერო არ იყო ამ თათბირზე.

მეფემ მაშინვე კაცი გაგზავნა მის მოსაწვევად.

და, აი, წეროც გამოცხადდა მეფის სასახლეში. სულეიმანმა უამბო ყველაფერი და რჩევა სთხოვა.

მაშინ წერომ სულეიმანს ჰკითხა:

— უკვდავების წყალს მხოლოდ შენ დალევ თუ შენს მეგობრებსა და მახლობლებსაც დაალევინებო?

— წყალი მარტო ჩემთვისაა მოტანილი და სხვებს ნება არა აქვთ დალიონო.

— მაშ რად გინდა სიცოცხლე, თუკი უმეგობროდ და უთვისტომოდ დარჩები? შენ ახლა მსოფლიოს განაგებ. მარტოდმარტო კი რას იზამო? — მიუგო წერომ.

სულეიმანმა შეაქო წერო და უკვდავების წყალი აღარ დალია.

<u>როგორ გაემგზავრა შავი ქათამი ქალაქ აჯმირს</u>

ერთხელ შავმა ქათამმა უცნაური სიზმარი ნახა. მას ძილში ჭექა-ქუხილის მსგავსი ხმა ჩაესმა:

— ქათამო, შავო ქათამო, ახლავე გაემგზავრე კეთილშობილ ქალაქ აჯმირს, თორემ ქვეყნიერება დაიღუპებაო.

გამოიღვიძა შავმა ქათამმა და გაიფიქრა:

ასეთი სასწაულებრივი რამე მხოლოდ ჩემნაირ ქათამს თუ შეიძლება დაესიზმროს. ქვეყნიერება მე უნდა გადავარჩინოო.

ქათამი ბევრ კვერცხს დებდა და ამიტომ მეტისმეტად ამაყობდა. თანაც თავი ყველაზე უფრო ლამაზ ქათმად მიაჩნდა, სხვებს მაღლიდან დაჰყურებდა. საღამოობითაც კი, როდესაც ქათმები ქანდარაზე შემოსხდებოდნენ ხოლმე, შავი ქათამი განსაკუთრებულ ადგილს ირჩევდა.

მეორე დღეს, ინათა თუ არა, შავი ქათამი კეთილშობილ ქალაქ აჯმირისკენ მიმავალ გზას დაადგა. ბევრი იარა თუ ცოტა, წინ ერთი ბებერი მამალი შემოხვდა.

— გამარჯობა, მამალო! — უთხრა ქათამმა.

— გაგიმარჯოს! — უპასუხა მამალმა. — ასე ადრიანად საით ან რა საქმეზე გაგიწევიაო?

— კეთილშობილ ქალაქ აჯმირში მივემგზავრები. რომ არ ჩავიდე, ქვეყნიერება დაიღუპებაო!

— მერედა, ეს ამბავი ვინ გითხრაო? — გაოცდა მამალი.

— როგორ თუ ვინ, ძილში მე თვითონ ჩამესმაო.

— აი, თურმე საქმე როგორ ყოფილა! თუ ასეა, მეც წამოვალო.

მართლაც, ერთად განაგრძეს გზა. იარეს, იარეს და წინ იხვი შემოხვდათ.

— გამარჯობათ! — მიესალმა მათ იხვი. — ასე ადრიანად საით მიეჩქარებითო?

— გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს! — უპასუხა მამალმა. — კეთილშობილ ქალაქ აჯმირში მივიჩქარით, მეტისმეტად დიდი საქმე გვაქვს მოსაგვარებელიო.

— ასეთი რა საქმე არისო? — შეეკითხა იხვი.

— რა და, ჩვენ თუ იქ არ მივედით, მთელი ქვეყნიერება დაიღუპებაო.

— აი, ესეც ახალი ამბავი! — გაიკვირვა იხვმა. — კი მაგამ, როგორ გაიგეო?

— ქათამმა მიამბოო!

— ქათამო, შენ ვინღა გითხრაო?

— როგორ თუ ვინ, ძილში მე თვითონ ჩამესმაო! — მიუგო შავმა ქათამმა.

— დიდი საქმე გქონიათ! რა იქნება, მეც თან წამიყვანოთო!

— კარგი, წამოდიო! — დაეთანხმნენ ქათამი და მამალი.

განაგრძეს გზა და წინ ახლა კაკაბი შემოხვდათ.

— გამარჯობათ, დარბაისელნო, ასე ადრიანად საით გაგიწევიათო?

— კეთილშობილ ქალაქ აჯმირში მივდივართ, დიდი საქმე გვაქვს მოსაგვარებელიო, — მიუგო იხვმა.

— ასეთი რა საქმე არისო?

— რა და, ჩვენ თუ იმ ქალაქში არ ჩავედით, ქვეყნიერება დაიღუპებაო!

— ვინ გითხრათ?

— მამალმა.

— მამალო, შენ ვინღა გითხრაო?

— ქათამმა მიამბოო.

— ქათამო, შენ ვინღა გითხრაო?

— როგორ თუ ვინ, ძილში მე თვითონ ჩამესმაო.

— მაშინ მეც თქვენთან ამოვალ. მართლაც რომ დიდი საქმე გქონიათ მოსაგვარებელიო, — უთხრა კაკაბმა და გაჰყვა.

შავი ქათამი, მამალი, იხვი და კაკაბი ერთად გაუდგნენ გზას. მზე შუბის ტარზე იდგა, როცა ტყეს მიუახლოვდნენ. ტყის პირას ერთი ქოხი დაინახეს. ქოხის ზღურბლზე მელია იჯდა.

— გამარჯობათ, დარბაისელნო! — მიესალმა მათ მელია. — საით გაგიწევიათო?

— კეთილშობილ ქალაქ აჯმირში მივდივართ, დიდი საქმე გვაქვს მოსაგვარებელიო, — უპასუხა კაკაბმა.

— ასეთი რა საქმე არისო?

— რა და, იქ რომ არ ჩავიდეთ, მთელი ქვეყნიერება დაიღუპებაო.

— ეს ამბავი საიდან გაიგეო?

— იხვმა მითხრაო, — უპასუხა კაკაბმა.

— იხვს ვინ უთხრაო?

— მამალმაო.

— მამალო, შენ საიდან გაიგეო?

— ქათამმა შემატყობინაო.

— ქათამო, შენ ვინღა გითხრაო?

— როგორ თუ ვინ, ძილში მე თვითონ ჩამესმაო!

— მართლაც რომ დიდი საქმე გქონიათ, პატივცემულო მგზავრებო! — დაასკვნა მელიამ. — თქვენთან წამოსვლის წინააღმდეგი არც მე ვიქნები, მხოლოდ გატყობთ, რომ გზაში მეტისმეტად დაღლილხართ, შემობრძანდით ჩემს ქოხში, დაისვენეთ და მერე გზას ერთად გავუდგეთო.

— რა გაეწყობა, ცოტა ხანს შევისვენოთო, — გადაწყვიტეს მგზავრებმა.

შევიდნენ ქოხში და კერიას შემოუსხდნენ. მელიამ კი კარი მაგრად ჩაკეტა და თქვა:

— ოო, ახლა კი ყველას შეგჭამთო!

— რას ამბობ, მელიავ, რას ამბობ! — შეშინდნენ მგზავრები. — რომ შეგვჭამო, მაშინ ხომ ვეღარ ჩავალთ კეთილშობილ ქალაქ აჯმირში. ჰოდა, თუ ვერ ჩავალთ, ქვეყნიერება ხომ დაიღუპებაო!

— კარგი ერთი, ქვეყნიერებას არაფერი დაემართება! თქვენც დაიჯერეთ სულელი ქათმის ნაამბობი! ახლავე სუყველას ბოლოს მოგიღებთო!

მელიამ დიდი დანა მოიტანა და ლესვა დაუწყო. დანაღვლიანდნენ მგზავრები. შიშისგან ბუმბულაბურძგნულებს აღარაფრის თავი აღარ ჰქონდათ. მელიამ კი

ამასობაში დანა გალესა და მერე ცეცხლის გაღვივებას შეუდგა, თან ცალი თვალით მალიმალ მგზავრებისკენ იყურებოდა და ტუჩებს ილოკავდა. უცებ მამალმა მელიას მოტყუება გადაწყვიტა. ფანჯარაში თავი გაყო და თქვა:

— ნეტავ დაგანახათ გზაზე რამდენი მსუქანი იხვი მობაჯბაჯებს, უკან ნაზი და ფრთაბუმბულა ჭუჭულებიც მოჰყვებიანო...

გაიგონა თუ არა მელიამ ეს სიტყვები, სიხარბისაგან თვალები აენთო, გამოაღო კარი და გარეთ გამოვარდა.

ჩვენს მგზავრებსაც ეს უნდოდათ: მაშინვე გამოცვივდნენ ქოხიდან და სულ სირბილ-სირბილით გასწიეს შინისაკენ.

გვიან საღამოს ძლივს მივიდნენ სოფელში.

ეს იყო და ეს, მას შემდეგ შავ ქათამს აღარავითარი სიზმრების არა სჯერა და არც მამალს, იხვსა და კაკაბს მიუწევთ გული შორეულ სახიფათო გზებზე სამოგზაუროდ.

ხუთი პური

ერთი კაცი ყოველდღე დადიოდა ბაზარში და ხუთ პურს ყიდულობდა

ერთხელ თავის მეგობარს შეხვდა გზაში. მეგობარმა ჰკითხა:

— მითხარი, დღეში ხუთ პურს რატომ ყიდულობო?

კაცმა მიუგო:

— ერთს მე შევექცევი, ორს სესხად ვაძლევ, ორით კი ვალს ვიხდიო.

— არ მესმის, — უთხრა მეგობარმა, — ერთი კარგად ამიხსენი, რომ გავერკვიოო.

— აი, რა: ერთ პურს მე თვითონ გეახლებით, ორს შვილებს ვაძლევ, ორს კი — დედ-მამასაო.

სოფლის მწერალი

ერთხელ ერთი ვაჭარი სოფლის მწერალთან მივიდა, გეთაყვა წერილი დამიწერეო.

— დიდი სიამოვნებითო, — მიუგო მწერალმა, — მაგრამ, ვაი რომ ფეხი მტკივაო.

— მე ხომ არსად გგზავნი, კაცო, ფეხის ტკივილი რა მოსატანიაო?

— მართალია, შენ არა მგზავნი, მაგრამ ვისაც შენი წერილი მიუვა, წერილის წასაკითხავად მე დამიძახებს, რადგან ჩემს დაწერილს სხვა ვერავინ გაარჩევსო.

ჭკვიანი ექიმი

ერთმა კაცმა ექიმს მიმართა: ბატონო ექიმო, მუცელი მტკივა, მომარჩინეო.

— გუშინ რა ჭამეო? — ჰკითხა ექიმმა.

— მკვახე ხილიო, — მიუგო ავადმყოფმა.

— მაშინ თვალების წამალი მოგიხდებაო!

— თვალების წამალი რად მინდაო, — გაოცდა ავადმყოფი.

— მეორედ რომ უფრო კარგად დაინახო, რასა ჭამო, — მიუგო ექიმმა.

აფა-ჯი და სპილოები

დიდი ხნის წინათ, ინდოეთის სამხრეთით, ქალაქ ვიჯაიანაგარში ცხოვრობდა ერთი შეძლებული ვაჭარი ბირჩანდრი. ვაჭარს სამი ვაჟი ჰყავდა. როცა ბირჩანდრი მოხუცდა და სიკვდილის ჟამმა მოაწია, შვილები დაიბარა და უთხრა:

— შვილებო, ჩემი აღსასრულის დრო დადგა, რაც სიცოცხლეში შევიძინე, თან ხომ არ წავიღებ, მთელი ჩემი ქონება — მამული, სახლ-კარი, საქონელი — ყველაფერი თქვენ გრჩებათ და თანაბრად გაიყავით. ამას მიუმატეთ კიდევ ჩვიდმეტი სპილო. სპილო, ხომ იცით, ჭკვიანი ცხოველია და ძვირად ფასობს. სპილოების ნახევარი უფროსს ერგოს, მესამედი შუათანას, მეცხრედი კი უმცროსს. სპილოები ისე გაიყავით, როგორც მე გიბარებთ. იცოდეთ, არავის მიჰყიდოთ, კარგად მოუარეთ და გაუფრთხილდითო.

რამდენიმე დღის მერე ვაჭარმა სული განუტევა. ვაჟებმა მამა მიწას მიაბარეს, პატივი სცეს, როგორც მათი ადათი და ჩვეულება მოითხოვდა, და დიდი აღაპიც გადაუხადეს.

გავიდა დრო. ძმებმა თანაბრად გაიყვეს მემკვიდრეობა. მხოლო სპილოები დარჩათ გასანაწილებელი. ჩვიდმეტი სპილოს გაყოფა არც შუაზე შეიძლებოდა, არც სამ და არც ცხრა ნაწილად. ძმებმა ბევრი ითათბირეს, ხალხსაც სთხოვეს დახმარება, მაგრამ ვერავინ შეძლო სპილოების გაყოფა. უცბად უფროს ძმას გაახსენდა, რომ მათ ქალაქში ცხოვრობდა სიბრძნითა და ცოდნით განთქმული კაცი, სახელად აფა-ჯი რაო.

— მოდი, აფა-ჯი რაოსთან წავიდეთ და რჩევა ვკითხოთ, — თქვა უფროსმა ძმამ. — თუ ისიც ვერ დაგვეხმარება, მაშინ განსვენებულ მამაჩემს ამოუხსნელი გამოცანა დაუტოვებიაო.

მეორე დღეს ძმები ძვირფასი საჩუქრებით გაეშურნენ აფა-ჯისთან. დაწვრილებით უამბეს ყველაფერი და სთხოვეს დახმარება.

აფა-ჯიმ გულდასმით მოუსმინა ძმებს და უთხრა:

— ახლა შინ წადით, ხვალ მე თვითონ მოვალ და ისე გაგინაწილებთ სპილოებს, როგორც მამამ დაგიბარათო.

მეორე დღეს აფა-ჯი დილით ადრე შეჯდა თავის უზარმაზარ სპილოზე და ვაჭარ ბირჩანდრის სახლისკენ გასწია. ძმები სიხარულითა და პატივისცემით მიეგებნენ.

აფა-ჯიმ ძმებს სთხოვა, სპილოები ეზოში გამოეყვანათ და მწკრივში ჩაეყენებინათ. ძმებმა თხოვნა სწრაფად შეუსრულეს.

— თქვენს სპილოებში ჩემი სპილოც ჩააყენეთო. — როცა ესეც შეასრულეს, აფა-ჯიმ ძმებს უთხრა:

— ახლა კი თვითეულმა თქვენგანმა ამ სპილოებიდან იმდენი გამოიყვანეთ, რამდენიც მამამ გიანდერძათო.

გაუხარდათ ძმებს.

ოჰო, ახლა ჩვენს სპილოებს ერთი სპილოც მოემატაო!

უფროსმა სწრაფად გამოიყვანა თავისი კუთვნილი ცხრა სპილო, შუათანამ სპილოების მესამედი — ექვსი სპილო, უმცროსმა კი ორი სპილო.

როდესაც სპილოები გაინაწილეს, აფა-ჯიმ ძმებს ჰკითხა:

— თქვენ-თქვენი წილი ხომ სწორად მიიღეთო?

— დიახ, სწორად მივიღეთო, — მიუგეს ძმებმა.

— კეთილი! ჩემი სპილო კი ისევ მე დამრჩაო, — თქვა აფა-ჯიმ, შეჯდა თავის სპილოზე და გაუდგა გზას. ყველა გაოცებული დარჩა აფა-ჯის სიბრძნითა და გამჭრიახობით.

ვაჭრის ვაჟებს უხაროდათ, რომ ეს თავსამტვრევი გამოცანა ასე უბრალოდ და ადვილად ამოხსნეს.

ნიარამი

ერთ შეძლებულ კაცს ორი ვაჟი ჰყავდა. უფროსი ძალიან უყვარდა, უმცროსს — ნიარამს — კი მკაცრად ექცეოდა და ხშირად უმიზეზოდაც ტუქსავდა.

უფროსი ვაჟი განებივრებული იყო, არც არაფერი იცოდა და არც არაფრის სწავლა უდოდა. იცოდა, მამას მზე და მთვარე მასზე ამოსდიოდა და მთელ თავის სიმდიდრესაც მას დაუტოვებდა.

ნიარამი კარგი ოსტატი დადგა. ხიდან ადამიანებსა და ცხოველებს თლიდა, მერე კი ღებავდა. მისი გამოთლილი ადამიანები და ცხოველები ცოცხლები გეგონებოდათ.

ერთხელ ნიარამმა დედას უთხრა:

— მამაჩემს მაინც არ ვუყვარვარ. მოდი, მოელაპარაკე და, თუ ნებას დამრთავს, სახლიდან წავალ, ჩემს ბედს უცხო ქვეყანაში ვეწევიო.

მშობლებმა ითათბირეს. მამისათვის სულ ერთი იყო, საით წავიდოდა მოძულებული შვილი. დედამ შვილს საგზაოდ ლავაშები დაუცხო და შიგ თითო ოქროსმანეთიანი ჩაატანა. ვაჟი დედ-მამას გამოემშვიდობა და გზას გაუდგა.

ბევრი იარა ნიარამმა თუ ცოტა, ერთ უცხო ქალაქს მიადგა. ის იყო, შებინდდა კიდეც. ქალაქის განაპირას ერთი ძველი სახლი იდგა. ნიარამმა შიგ შესვლა და ღამის გათევა გადაწყვიტა.

ოთახში ბნელოდა. მოხუცი სახლის პატრონი იჯდა და მარჯვედ თლიდა ხის ქოშებს. მგზავრი რომ დაინახა, უთხრა:

— შემოდი, შემოდი! გეტყობა, შორიდან მოდიხარ, დაღლილი იქნები, მოგშივდებოდა კიდეც. ვახშამს ახლავე მოგიმზადებთ.

მოხუცი ცოლს მიუბრუნდა, ვახშამი მოამზადეო.

— ვახშამი როგორ მოვამზადო, შეშა არა გვაქვსო, ტყეში რომ წავიდე, გვიანი არისო, — მიუგო ცოლმა.

ნიარამმა გასაყიდად გამზადებულ ქოშებზე მიუთითა.

— აი, ეს ქოშები შეშის მაგივრობას გასწევსო.

სახლის პატრონს დაენანა ქოშების დაწვა, მაგრამ სტუმარს ხათრი ვერ გაუტეხა. დიასახლისმა ქოშები კერაში შეაწყო, ცეცხლი დაანთო და ვახშამი მოამზადა.

მეორე დღეს ნიარამი ტყეში წავიდა, მოაგროვა შეშა, ერთი ხმელი ხეც მოჭრა, ლამაზი ქოშები გამოთალა და მოხუცს მისცა.

მოხუცი ბაზარში წავიდა თავისი გამოთლილი ქოშების გასაყიდად. თან ნიარამის გაკეთებული ქოშებიც წაიღო. ნიარამის ქოშები უცბად გაყიდა და ათჯერ უფრო მეტი აიღო, ვიდრე თავისებში. როცა შინ დაბრუნდა, ყველაფერი ცოლს უამბო. მოხუცები ძალიან გახარებულები იყვნენ, რომ ბედმა ასე გაუღიმათ.

იმ დღიდან ნიარამი მოხუცთან დარჩა. თლიდა ხის ქოშებს, მოხუცს კი ბაზარზე მიჰქონდა გასაყიდად და ბევრ ფულს იღებდა.

ზოგჯერ ნიარამი ხიდან ფრინველებსა და ცხოველებსაც თლიდა ხოლმე. ერთ დღეს თუთიყუშები გამოთალა, შეღება და გასაშრობად გარეთ დააწყო. თუთიყუშები ცოცხლებსა ჰგავდნენ.

იმ ღამეს ხელოსნის სახლს ჯადოქარმა ჩაუარა და ხის თუთიყუშები რომ დაინახა, მოეწონა. რა იქნება, ამ თუთიყუშებს სული ჩავბერო, ცოცხალი თუთიყუშების ნახვით ხელოსანი ხვალ რას გაიხარებსო! — გაიფიქრა ჯადოქარმა და დიდხანს აღარც უფიქრია, შეულოცა; თუთიყუშებმა ფრთები ააფარფატეს და გაფრინდნენ. ჯადოქარი თავის გზას გაუდგა.

ნიარამმა დილით გაიღვიძა და რას ხედავს, თუთიყუშები ხეზე შემომსხდარან, ხტიან, ჩხავიან. ნიარამი დაინახეს თუ არა, გარს შემოეხვივნენ. ის კი ჯერ გაოცებული

იდგა, მერე მოხუცს დაუძახა, რომ იმასაც ენახა ეს სასწაული. მოხუცს ძალიან ეწყინა, ცოტა გაბრაზდა კიდეც.

— მაგათ დღეში თითო მუჭა ბრინჯი არ ეყოფათ. ჩვენ კი ჩვენს თავსაც ძლივს ვირჩენთ. სჯობია სუყველა თავიდან მოვიშოროთო.

ნიარამი არ დაეთანხმა მოხუცს და შეკამათდნენ.

— თუთიყუშების მოშორება თუ არ გინდა, წაიყვანე და წადი სადაც გინდაო, — წაიბუტბუტა გულმოსულმა მოხუცმა.

ნიარამმა აიკრა გუდა-ნაბადი, წავიდა თავისი თუთიყუშებიანად და ტყის პირას დასახლდა.

თუთიყუშები არ აწუხებდნენ ნიარამს, დილით ადრე მიფრინავდნენ საზრდოს საშოვნელად და საღამოს ბრუნდებოდნენ. ნიარამი დიდხანს ცხოვრობდა ასე.

ერთ ღამეს ნიარამმა უცნაური სიზმარი ნახა: ვითომც, შორს, შვიდი ზღვის იქით, ერთი წარმტაცი სასახლე იდგა. სასახლეს შვიდი თხრილი და შვიდი ერთიმეორეზე მაღალი, ქონგურებიანი გალავანი ერტყა. შიგ კი მზეთუნახავი იყო გამომწყვდეული.

მეორე დღეს ნიარამი სიზმრის ასახსნელად ბრძენ ხალხთან მივიდა, მაგრამ რაკი იმათ ვერა უთხრეს რა, გადაწყვიტა: ჩემს სიზმარს თუთიყუშებს მოვუყვები, თუთიყუშები გონიერი ფრინველები არიან და იქნება სიზმარი ამიხსნანო. ასეც მოიქცა.

— შვიდი ზღვის იქით ერთი ქვეყანა არის, იქ ერთი სასახლე დგას და გარს შვიდი ერთიმეორეზე მაღალი გალავანი აკრავს. სასახლეში რაჯას მზეთუნახავი ასული ცხოვრობს. ამ ქალს ფიცი აქვს დადებული, ცოლად იმას გავყვები, ვინც ამ შვიდ თხრილსა და გალავანს გადმოლახავსო. ბევრ ჭაბუკს უცდია ბედი, მაგრამ ამაოდ, ყველანი დაღუპულან, — უთხრეს თუთიყუშებმა.

გავიდა დრო. ნიარამმა ვერ დაივიწყა სიზმარში ნანახი მზეთუნახავი. ბოლოს გადაწყვიტა, წასულიყო ზღვის იქითა ქვეყანაში და ის შესანიშნავი სასახლე მაინც ენახა. ნიარამმა თუთიყუშებს ჰკითხა, იმ ქვეყნისაკენ გზა ხომ არ იცითო?

თუთიყუშებმა მიუგეს:

— გზაც ვიცით და გაფრენითაც ჩვენ გადაგაფრენთ, ოღონდ შიგ შესვლა არ გაბედო, დაიღუპებიო.

ნიარამი მზადებას შეუდგა. ერთი გამძლე ბადე მოქსოვა და შიგ ჩაჯდა. თუთიყუშებმა კი ბადეს ნისკარტები ჩასჭიდეს და ცაში აფრინდნენ.

დიდხანს იფრინა ნიარამმა. გადაიარა ტყეები და მდინარეები, ქალაქები და სოფლები. ღამღამობით ისიცა და თუთიყუშებიც ხეზე ცოტას შეისვენებდნენ ხოლმე, მერე კი მიფრინავდნენ; მიფრინავდნენ დღეცა და ღამეც. გადაიფრინეს შვიდი ზღვა და ხმელეთი გამოჩნდა თუ არა, დასასვენებლად მიწაზე დაეშვნენ. ნიარამს მოთმინება აღარ ეყო და მაშინვე მზეთუნახავის სასახლისაკენ გაეშურა.

გზაზე ერთ დედაბერს შემოხვდა და ჰკითხა, სასახლეში რა გზით მივიდეო.

— უგუნურო, იქ რა გინდა! ათასობით ჭაბუკი შეეწირა რაჯას ქალიშვილს. შენც დაიღუპები, შვიდ თხრილსა და შვიდ გალავანზე ვინ გადავაო! — უთხრა დედაბერმა.

— მე მხოლოდ სასახლეს შევხედავ, მეტი არაფერი მინდაო, — მიუგო ნიარამმა.

დედაბერმა ასწავლა ქალაქისაკენ მიმავალი გზა. ქალაქის მახლობლად ნიარამმა სასახლე დაინახა. სასახლეს, მართლაც, შვიდი ერთიმეორეზე მაღალი გალავანი ჰქონდა შემოვლებული. მისი ბასრი წვეტები მზეზე ბრწყინავდნენ: არა, ამ გალავნებზე კაციშვილი ვერ გადავაო, — გაიფიქრა ნიარამმა, თუთიყუშებთან დაბრუნდა და შეევედრა:

— ერთხელ კიდევ ამიყვანეთ და მზეთუნახავის სასახლის თავზე გადამაფრინეთ. ზემოდან ყველაფერს კარგად დავინახავო.

თუთიყუშები დათანხმდნენ. აი, მიუახლოვდნენ კიდეც სასახლეს, გადაიქროლეს ექვსი გალავანი და მეშვიდე გალავანთან რომ მივიდნენ, ნიარამი ძირს გადახტა. თუთიყუშებმა ცაში შეიფრთხიალეს, ნიარამი კი გალავნის წვერზე დაეცა და სასიკვდილოდ დაშავდა.

ამ დროს რაჯა თავისი ქალის სანახავად მიდიოდა. გზაზე ასეთი ლამაზი ვაჟის უსულო გვამი რომ დაინახა, შეეცოდა.

— ამდენი უბედურება შეამთხვიე ჩემს სახლს, — უთხრა მან შვილს, — შენი გულისთვის უამრავი ჭაბუკი დაიღუპა, აი, კიდევ ახალი მსხვერპლი! დროა, ბოლო მოეღოს შენს უგუნურობას. ახლავე ამ ჭაბუკს უნდა გაჰყვე ცოლად, ამან ხომ შვიდივე გალავანი გადმოლახა. გასწი ტყეში, ეგეც თან წაიყვანე და იქ, რაც გინდა, ისა ჰქენიო.

როგორც რაჯამ ბრძანა, ისეც მოიქცნენ: ქალიშვილი მკვდარ ნიარამზე დააქორწინეს. მსახურებმა ნიარამი საკაცეზე დადეს, შორს, გაუვალ ტყეში წაიღეს და იქ დატოვეს.

რაჯას ამაყი ქალი მარტო დარჩა. დასცქეროდა თავის მკვდარ ქმარს და მწარედ ქვითინებდა. ჭაბუკი მეტად ლამაზი იყო, ქალს შეუყვარდა კიდეც, მაგრამ რა უნდა ექნა? ვაჟი იმისი მიზეზით დაიღუპა და ახლა თვითონაც იღუპებოდა ამ ტყეში. იჯდა ქალი და ისე მწარედ ტიროდა, მხეცებსაც კი შეეცოდათ და შესაჭმელად ახლოსაც არ გაჰკარებიან. გავიდა კარგა ხანი. უცბად ქალს რაღაც შრიალი მოესმა. ორი ტურა ბუჩქებში ჩამჯდარიყო და ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ. რაჯას ქალიშვილს ნადირთა ენა ესმოდა და მათ ლაპარაკს ყური მიუგდო.

— საბრალო, რა მწარედ ტირის, წამალი რომ იცოდეს, ამ ახალგაზრდას ხელად გააცოცხლებდაო, — ეუბნებოდა ერთი ტურა მეორეს.

— როგორ უნდა გააცოცხლოსო? — ჰკითხა მეორემ.

— მდინარის პირას, ხევში, მაღალი ბანიანი ხარობს, მისი ფოთლების წვენი ჭრილობას არჩენს და მკვდარს აცოცხლებს. ოღონდ ეს წვენი ვაჟს მზის ჩასვლამდე უნდა დაალევინოს, თორემ მერე გვიან იქნება და აღარაფერი ეშველებაო.

ეს რომ რაჯას ქალიშვილმა გაიგონა, ქარივით გაიჭრა სამკურნალო ბანიანის საძებნელად. დიდხანს ეძება და, როგორც იქნა იპოვა. ამასობაში მზე ჩასასვლელად იწვერებოდა. ქალმა მოკრიფა ფოთლები და უკანვე გამოიქცა.

ქალი ჩქარობდა, ეკლები კაბას უხევდნენ და ხელ-ფეხს უკაწრავდნენ, მაგრამ ვერაფერს ამჩნევდა. მირბის ქალი, მირბის და ბოლოს, როგორც იქნა, მიაღწია ვაჟთან, ფოთლებიდან წვენი გამოწურა და პირში ჩააწვეთა.

ბრძენი ტურას სიტყვები გამართლდა.

მზე ჯერ არ იყო ჩასული, რომ ნიარამმა თვალები გაახილა. გარშემო მიმოიხედა და დაინახა, რომ ხის ძირას წევს, გვერდით სიზმრად ნანახი მზეთუნახავი უზის და ცრემლებს ღვრის. უცბად ნიარამის თავზე თუთიყუშების ფრთების ტყლაშუნი გაისმა. ისინი თავიანთ პატრონს ეძებდნენ, როგორც კი დაინახეს, ხეებზე დასხდნენ და სიხარულისაგან აჩხავლდნენ. ქალიშვილმა კი ნიარამს ყველაფერი უამბო, რაც მოხდა.

ასე იპოვა ნიარამმა თავისი მზეთუნახავი.

თუთიყუშებმა ნიარამი და მისი ცოლი უღრანი ტყიდან გამოიყვანეს. მას შემდეგ ცოლ-ქმარი ტკბილად და ბედნიერად ცხოვრობდა.

<u>ვის უფრო ლამაზი ხელები აქვს</u>

მდინარე ჯამნას პირას სამი დიდგვაროვანი ქალი დამჯდარიყო, წყალში ხელებს ატყაპუნებდნენ და თან ტრაბახობდნენ.

— შეხეთ, მე რა ლამაზი ხელები მაქვსო, — თქვა ერთმა.

— შენზე ნაკლები ხელები არც მე მაქვსო, — არ დააცალა მეორემ.

— თქვენზე უფრო ლამაზი ხელები მე მაქვსო! — დაიკვეხა მესამემ.

ამ დროს ქალებთან ერთი კოჭლი დედაბერი მივიდა, ეტყობოდა, ძალზე შიოდა, და მოწყალება ითხოვა. ქალებმა არაფერი მიაწოდეს.

— გვითხარი, დედი, ჩვენ სამში რომელს უფრო ლამაზი ხელები აქვსო? — ჰკითხეს მათ.

— ჯერ ცოტა შევნაყრდები და მერე გეტყვითო, — ჩაიჩიფჩიფა დედაბერმა და წალასლასდა.

იქვე, შორიახლოს, ერთი ღარიბი გლეხის ქალი იჯდა. ეს ქალი მეტისმეტი მზეზე შრომისაგან სულ მთლად გარუჯული იყო.

დედაბერმა მოწყალება ახლა ამას სთხოვა:

— მშიერი ვარ, პატარა პურის ნატეხი გექნება და მაჭამეო.

— აჰა, დედი, რაცა მაქვს, შუაზე გავიყოთო, — მიუგო გლეხის ქალმა.

დედაბერი ცოტა შენაყრდა, ზედ წყალიც დააყოლა და, მადლობელი ვარო, უთხრა გლეხის ქალს. მერე ხელი მოჰკიდა და ქალბატონებთან მიიყვანა.

— წეღანდელ კითხვაზე ახლა გიპასუხებთო, — უთხრა, — ამ ღარიბი ქალის მზეზე გაშავებული ხელები, მშიერ, კოჭლ დედაბერს პური რომ აჭამეს, ათასჯერ უფრო ლამაზია, ვიდრე თქვენი თეთრი, სათუთად შენახული ხელებიო.

ესა თქვა დედაბერმა და გზა განაგრძო. დიდგვაროვანი ქალები კი ლამის სირცხვილით დაიწვნენ.

<u>ოქრომჭედელი და დურგალი</u>

ერთ ქალაქში ერთი დურგალი და ოქრომჭედელი ცხოვრობდა. ისე ტკბილად იყვნენ ერთმანეთთან, ღვიძლი ძმები გეგონებოდათ.

ერთხელ მეგობრები სამოგზაუროდ წავიდნენ და ერთ ქალაქში დასახლდნენ. მალე საჭმელი შემოელიათ და გაუჭირდათ.

იფიქრეს, იფიქრეს, რა ვქნათო, და ბოლოს გადაწყვიტეს:

— მოდი, ამ ქალაქში ტაძარი რომაა, იქ წავიდეთ და, ვითომ ჩვენც ბრაჰმანები* (* ბრაჰმანი — ინდოეთის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი კასტის წევრი. ამ კასტის წარმომადგენლები, ჩვეულებრივ, ქურუმები, ეკლესიის მსახურები არიან.) ვართ, ვილოცოთ. მერე დრო ვიხელთოთ, რამდენიმე ოქროს კერპი მოვიპაროთ და გავყიდოთ. აღებული ფულით ბედნიერად ვიცხოვრებთო.

ასეც მოიქცნენ. შევიდნენ ტაძარში და მხურვალე ლოცვა დაიწყეს. იქაურმა ბრაჰმანებმა ასეთი მლოცველნი რომ დაინახეს, შერცხვათ და სათითაოდ გაიპარნენ ტაძრიდან.

— ტაძარში რატომ აღარ დადიხართო? — ეკითხებოდა მათ ხალხი.

ისინი კი უპასუხებდნენ:

— ამ რამდენიმე დღის წინათ იქ ორი ისეთი გულმხურვალე მლოცველი მოვიდა, რომ ჩვენ იმათთან აღარაფერი გამოვჩნდით და იმ დღიდან ტაძარს აღარც ვეკარებითო.

ბრაჰმანებად გადაცმული მეგობრების გარდა, მართლაც, აღარავინ დარჩა ტაძარში. იმათ კი ღამე ოქროს კერპები მოიპარეს და გაიქცნენ. ქალაქს რომ მიუახლოვდნენ, კერპები ერთი ხის ძირას ჩამარხეს და თავ-თავიანთ სახლებში წავიდნენ.

შუაღამისას ოქრომჭედელი გაიპარა, ოქროს კერპები ამოთხარა და შინ წაიღო. დილას კი დურგალთან მივიდა და ყვირილი დაიწყო.

— აჰ, შე მოღალატე, შე მატყუარა, შე გაიძვერა, შენა! ეგ არის შენი მეგობრობა?! არა, როგორ გეყო სინდისი და როგორ მოიპარე ჩვენი ოქროს კერპები? ფიცის გამტეხო, ნეტავ სადამდე გაგყვება ეგ ოქროები? ღმერთო, ეს რა ხდება ამ ქვეყანაზე, კაცი მეგობარსაც აღარ უნდა ენდოო!

დურგალი ჯერ გაშტერებული უსმენდა, ნეტა რა სისულელესა ჩმახავსო, მერე კი მიხვდა, ოქრომჭედელი ქურდობას მაბრალებსო და უთხრა:

— ყური მიგდე, ოქრომჭედელო! ყველაფერი გასაგებია. ოღონდ თავი დამანებე, ცილს ნუ მწამებ და, რაც მოხდა მოხდა, არაფერს გედავებიო.

დურგალი ჭკვიანი კაცი იყო. იცოდა, ოქრომჭედელს ქურდობას ვერ დაუმტკიცებდა და ისევ გაჩუმება არჩია.

დურგალმა გადაწყვიტა, როგორმე თავი დაეცვა და რამდენიმე დღის შემდეგ ხისგან ადამიანის სიმაღლის თოჯინა გამოთალა, სახით ოქრომჭედელს მიამსგავსა, ტანსაცმელიც ისეთივე ჩააცვა, როგორსაც ოქრომჭედელი ატარებდა. მერე წავიდა და საიდანღაც ორი დათვის ბელი მოიყვანა, მათ საჭმელს თოჯინას ხალათის სახელოებსა და უბეში ინახავდა. ბელებს მოშივდებოდათ თუ არა, მაშინვე თოჯინას მისცვივდნენ. მათ ეგონათ, თოჯინა ჩვენი დედა ან მამა არისო. შეეჩვივნენ მას, ეალერსებოდნენ, ფეხქვეშ უგორდებოდნენ.

ერთ დღეს დურგალმა ოქრომჭედელი მიიპატიჟა თავისი ცოლშვილით. მეზობლებსაც დაუძახა. ოქრომჭედელი ორი ვაჟით ეწვია. დურგალსაც სწორედ ეს უნდოდა. როგორც კი ოქრომჭედლის ცოლმა შვილებს თვალი მოაშორა, დურგალმა სწრაფად დამალა ბავშვები, დათვის ბელები გამოუშვა და ყვირილი მორთო:

— ვაიმე, ვაიმე, ოქრომჭედლის შვილები დათვის ბელებად გადაიქცნენ, ეს რანაირად მოხდაო?

ყვირილზე ოქრომჭედელი გამოვარდა. ეზოში დათვის ბელები რომ დაინახა, დურგალს ქამარში ჩაავლო ხელი და უყვირა:

— შენ ეი, რაებსა ბოდავ! როდის იყო, ადამიანები მხეცებად გადაქცეულიყვნენ. მითხარი, ჩემი შვილები სად არიან, რა უყავიო?

იჩხუბეს, იჩხუბეს, და ბოლოს მოსამართლესთან წავიდნენ.

— აბა, დურგალო, გვითხარი, ოქრომჭედლის შვილები დათვის ბელებად რანაირად გადაიქცნენო? — ჰკითხა მოსამართლემ.

— არ ვიცი, ბატონო! — მიუგო დურგალმა. — ბავშვები თამაშობდნენ, უცბად მიწაზე გაგორდნენ და დათვის ბელებად იქცნენო.

— მე ამ საქმის გარჩევა ძალიან გამიჭირდებაო, — ჩაილაპარაკა მოსამართლემ.

— ბატონო! — მიუბრუნდა დურგალი, — მე რომელიღაც წიგნში წამიკითხავს, ღვთის რისხვამ ხალხის ბრბო მხეცებად გადააქცია, ხოლო ჭკუა, ერთგულება და სიყვარული ადამიანისა შეარჩინათო; უბრძანეთ დათვის ბელები სასამართლოში მოიყვანონ და ხალხის წინ ოქრომჭედელს დავუმტკიცებ, რომ მე მართალი ვარ. თუ დათვებმა ოქრომჭედელს ალერსი დაუწყეს, მაშინ მაგის შვილები არიან. თუ არა და რაც გინდათ, ის მიყავითო.

მოსამართლეს ეს რჩევა ჭკუაში დაუჯდა და დათვის ბელები სასამართლოში მოაყვანინა. დათვის ბელებმა ოქრომჭედელი დაინახეს თუ არა, მისკენ გაიქცნენ და

ხან ფეხებში წაჰკრეს დრუნჩი, ხან გვერდებში. ოქრომჭედელი მათ ხის თოჯინა ეგონათ.

მაშინ მოსამართლემ ოქრომჭედელს უთხრა:

— ეს კაცი არა ტყუის! დათვის ბელები მართლა შენი შვილები ყოფილან, ამაში დაეჭვებაც აღარ შეიძლება. ახლავე შინ წაიყვანე და წადი. ამ საცოდავ დურგალს კი ცილს ნუ სწამებო.

ოქრომჭედელი ფეხებში ჩაუვარდა დურგალს და შეეხვეწა:

— მეგობარო, შენ თუ საქმე იმიტომ გამიკეთე, რომ შენი წილი ოქრო გინდა, მოგცემ, ოღონდ ჩემი შვილები დამიბრუნეო.

— ცუდად მოიქეცი, ოქრომჭედელო, — უთხრა დურგალმა. — მე გენდე, შენ კი რა მიყავი. თუ ტყუილებს მოიშლი და გატყდები, ცუდი საქმე ჩავიდინეო, შენი შვილები ისევ ადამიანებად გადაიქცევიანო.

ოქრომჭედელი წავიდა და დურგალს მაშინვე მოუტანა თავისი წილი ოქრო. დურგალმა კი შვილები დაუბრუნა.

ნიანგი და მაიმუნი

დიდი ხნის წინათ, ოკეანის ნაპირას ერთი ბანანის ხე იდგა. იგი ყოველწლიურად ისხამდა ნაყოფს. ამ ხეს ერთი მაიმუნი შეეხიზნა.

ერთხელ ოკეანიდან უშველებელი ნიანგი გამოცურდა და ბანანის ხის ძირას ქვიშაზე გაწვა. მაიმუნმა ნიანგი დაინახა და უთხრა:

— დღეს შენ ჩემი სტუმარი ხარ, მოდი ერთი ჩემს ბანანსაც გაუსინჯე გემო. დედამიწის ზურგზე ამაზე ტკბილი არა არის რაო.

მაიმუნმა საუკეთესო ბანანები დაკრიფა და ნიანგს ჩამოუყარა.

ნიანგს ძალიან მოეწონა ბანანის ნაყოფი. რამდენიმე იქვე შეჭამა, ორი კი თან წაიღო და ცოლს მიართვა.

ცოლსაც ძალიან ეგემრიელა ბანანის ნაყოფი და მაშინვე გაიფიქრა: მაიმუნი თუ სულ ასეთ ტკბილ ნაყოფს მიირთმევს, მის გულზე გემრიელი ალბათ ქვეყანაზე არაფერი იქნებაო და ქმარს უთხრა:

— მაიმუნის გული თუ არ მოგიტანია, თვალით აღარ დამენახოო!

ბევრი ეხვეწა ქმარი, მაგრამ ცოლს ვერ იქნა და ვერ გადაათქმევინა. სხვა რა გზა ჰქონდა, უნდა წასულიყო და მაიმუნის გული მოეტანა.

ნიანგს მაიმუნი ძველი მეგობარივით შეხვდა, კიდევ გაუმასპინძლდა ხილით, თან ჰკითხა, შენმა ცოლმა ბანანი როგორ ისიამოვნაო?

— ჩემმა ცოლმა დიდი მადლობა შემოგითვალა, — მიუგო ნიანგმა. — ჩემს დღეში ამაზე ტკბილი არაფერი მიჭამიაო, ასე თქვა და გთხოვათ, სტუმრად მეწვიეთო.

— აბა, როგორ ვეწვიო? — გაოცდა მაიმუნი, —თქვენ ხომ შორს, წყალში ცხოვრობთ, მე კი სულ ამ ხის კენწეროზე ვზივარო.

— ეგ არაფერია, ზურგზე შემაჯექი და ჩემს სასახლემდე ისე მიგიყვანო.

მაიმუნს ბევრი არ უფიქრია, მწიფე ბანანები დაკრიფა, ნიანგს ზურგზე შეაჯდა და გაჰყვა. როგორც კი ნაპირს გასცდნენ, ნიანგმა ერთი დიდი გადაიხარხარა.

— რა გაცინებსო? — ჰკითხა მაიმუნმა.

— რა მაცინებს და მიხარია, რომ ასე მოხერხებულად გაგაბრიყვე, — მიუგო ნიანგმა, — ჩემს ცოლს შენი გულის შეჭმა მოესურვა. მე მეშინოდა, ვერ დავიჭერ-მეთქი, შენ კი შენი ნებით მომდევო.

მაიმუნს ჯერ ძალიან შეეშინდა, რა უნდა ვქნა, ნაპირიდან შორსა ვარ და ცურვაც არ ვიციო, მერე კი გაიფიქრა: მხოლოდ სულელებს უკვირთ, როცა საკუთარი ჭკუით რამეს მოახერხებენ, ნიანგიც ალბათ სულელი არისო და გადაწყვიტა, რამე ეღონა.

— ეჰ, ჩემო საცოდავო ნიანგო, როგორ მეცოდები! რომ იცოდე, რა დღეში ჩაგაგდებს შენი ცოლი, შინ რომ მიხვალ. რატომ ადრე არ მითხარი, რასაც აპირებდიო, — ავიშვიშდა მაიმუნი.

— რა იყო, რამ შეგაწუხაო, — ჰკითხა ნიანგმა.

— რამა და, გული ბანანის ხის კენწეროზე დავტოვე, რად მინდა, არ დამისველდეს-მეთქი, ვიფიქრე. ახლა რა გეშველება, შენს ცოლს რა უნდა უთხრაო.

ნიანგი გაბრაზდა:

— ახლა რაღა ვქნაო?

მაიმუნმა დაამშვიდა:

— ძალიან მეცოდები, მაგრამ რას იზამ, უკან უნდა გამაბრუნო, მივალ, გულს წამოვიღებ და შენს ცოლს ისე ვესტუმრებიო.

ნიანგს გაუხარდა და უკანვე მიტრიალდა. ხმელეთზე გამოვიდნენ თუ არა, მაიმუნმა ისკუპა და სწრაფად აცოცდა ბანანის ხეზე.

უცადა ნიანგმა მაიმუნს, უცადა, რომ აღარ გამოჩნდა, ძახილი დაუწყო. მაიმუნი კი იჯდა თავისთვის ხეზე და იცინოდა.

— თუ მაიმუნის გულის შეჭმა გინდა, — გამოეპასუხა ბოლოს ნიანგს, — ჯერ უთავო მაიმუნი იპოვეო!

— კარგი, რა გაეწყობა, წავალ და მოვძებნიო, — თქვა ნიანგმა და წავიდა.

ნიანგი დღესაც ეძებს უთავო მაიმუნს და ჯერაც ვერ უპოვია.

<u>მ ფ რ ი ნ ა ვ ი ხ ა რ ი</u>

ოდესღაც ერთ სოფელში ერთი გლეხი ცხოვრობდა, სახელად მოჰანი ერქვა. ამ გლეხმა სოფლის მახლობლად ჭა გაჭრა და მთელი ოჯახი იქიდან ეზიდებოდა წყალს. ერთხელ მოჰანმა დაინახა, რომ კიბის საფეხური, რითაც ჭაში ჩადიოდნენ, ჩატეხილი იყო.

— ნეტავი ვინ ჩატეხაო? — გაიფიქრა გლეხმა. ბევრი იფიქრა, მაგრამ ვერაფერს მიხვდა. მეორე დღეს კიდევ ერთი საფეხური დახვდა ჩატეხილი. მოჰანმა გადაწყვიტა: მოდი, დავუყარაულებ, გავიგებ ამ საქმეს ვინ სჩადისო. მართლაც, იქვე მდგარ ხეზე ავიდა და გაინაბა.

დიდხანს იცადა — დღე გაილია, დაღამდა, ცაზე მთვარეც ამოვიდა — მოჰანს უკვე ძილიც მოერია, რომ უცებ რაღაცამ მოსჭრა თვალი, აიხედა და ცაზე მფრინავი ხარი არ დაინახა! ხარი და თანაც რა ხარი! ბალანი ისე უბრწყინავდა, თითქოს ზედ ალმასები მიმოუბნევიათო.

ხარი ჭაში ჩაეშვა და წყალს დაეწაფა, დალია, მერე კი თავის ოქროს რქებს კიბის საფეხურებზე დაუწყო ლესვა. უცებ ჭახანი გაისმა და მესამე საფეხურიც ჩატყდა.

— აი, თურმე კიბის საფეხურებს ვინ ამტვრევსო, — თქვა მოჰანმა.

რამდენიმე დღეს ასე უთვალთვალებდა მოჰანი ამ უცნაურ ხარს. ხარი ყოველღამე მოფრინავდა ციდან, დალევდა წყალს და ისევ უკან მიფრინავდა. გლეხმა გაიფიქრა: მოდი ერთი, ამ ხარს კუდში ხელს ჩავავლებ და ცაში ავფრინდები. ვნახავ მაინც იქ რა ხდებაო.

მოჰანმა როგორ გაიფიქრა, ისე, მოიქცა, გაფრინდა ცაში, იფრინეს მოჰანმა და ხარმა, იფრინეს და ბოლოს მთვარეზე დაეშვნენ. თურმე ხარი მთვარიდან ჩამოფრინდებოდა ხოლმე!

მოჰანი მთვარეზე დასახლდა, მაგრამ მალე მოსწყინდა იქაურობა, თავის სახლ-კარი მოენატრა და გადაწყვიტა, მიწაზე დაბრუნებულიყო. ადგა, ისევ ჩაავლო ხარს კუდში ხელი და მშვიდობიანად დაეშვა თავის სოფელში.

მოჰანი შინ რომ დაბრუნდა და მოჰყვა, როგორ გაფრინდა მთვარეზე და რა ნახა იქ, მისმა ცოლ-შვილმაც მოისურვა მთვარეზე გაფრენა.

— კარგი, ჩქარა მოემზადეთ და გავფრინდეთ, ოღონდ, იცოდეთ, არავისთან კრინტი არ დასძრათო, — უთხრა მოჰანმა.

ერთმა მეზობელმა ქალმა დაინახა, რომ მოჰანი და მისი ცოლ-შვილი ირთვებოდნენ, გულმა ვეღარ გაუძლო და იკითხა:

— ასე რატომ გამოწყობილხართ, საით მიემგზავრებითო?

მოჰანის ცოლს სულმა წასძლია და ტრაბახს მოჰყვა:

— ამაღამ მთვარეზე მივფრინავთ, მხოლოდ არავის უთხრა, საიდუმლო არისო.

წავიდა ეს დედაკაცი და მეორეს უთხრა საიდუმლო, მეორემ მესამეს უთხრა და მთვარეზე გაფრენის ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ სოფელს. სოფლელებმა გადაწყვიტეს, მთვარეზე ჩვენც გავფრინდეთო. შებინდდა თუ არა, ყველანი მოჰანს გაჰყვნენ კვალდაკვალ და ჭასთან შეგროვდნენ.

როცა მფრინავმა ხარმა წყალი დალია და გაფრენა დააპირა, მოჰანი ორივე ხელით ჩაეჭიდა კუდში, მეორე გლეხსაც დიდხანს არ უფიქრია და მოჰანს ფეხებში ჩაეჭიდა, იმას სხვებიც მიჰყვნენ და ხალხის ჯაჭვი შორს ზეცაში აფრინდა.

ცოტა ხნის მერე ერთმა გლეხმა მოჰანს ჰკითხა:

— ძმაო, დიდხანს უნდა ვიფრინოთ? ის მაინც გვითხარი, მთვარე რამხელა არისო.

— უჰ, უჰ, უჰ! აი, ამოდენააო, — შესძახა მოჰანმა, ხელები გაშალა და… ძირს კი მოადინა ტყაპანი!

მოჰანს დანაჩენებიც თან მიჰყვნენ.

კიდევ კარგი, რომ ჭაში ჩაცვივდნენ, თორემ რა გადაარჩენდათ!

<u>გულუბრყვილო აქლემი</u>

ოდესღაც ჯუნგლებში ერთი ლომი ცხოვრობდა. ლომს სამი მსახური ჰყავდა: დათვი, ტურა და ყვავი.

ერთხელ ტყეში საიდანღაც აქლემი გაჩნდა; ეტყობა, პატრონს დაავიწყდა მისი დამწყვდევა, ამანაც დრო იხელთა და ტყეს მიაშურა. ტყეში კი გზა აერია.

მსახურებმა აქლემი დაიჭირეს, თავიანთ მბრძანებელს მიჰგვარეს და შესთავაზეს, შეჭამეო.

ლომმა იუარა:

— ეს აქლემი უცხო მიწა-წყლისაა, ახლა ჩვენი სტუმარია და მისი შეჭმა უსინდისობა იქნება. რაცა გვაქვს, იმით გავუმასპინძლდეთ და დარჩეს ჩვენთან, რამდენ ხანსაც უნდა. როცა თავის სოფელში დაბრუნდება, ჩემს გულკეთილობას ყველას ეტყვისო.

მსახურებს ძალიან უნდოდათ აქლემის ხორცით პირი ჩაეგემრიელებინათ, მაგრამ ლომს სიტყვა ვეღარ შეუბრუნეს.

აქლემი დარჩა მათთან საცხოვრებლად.

ერთხელ ლომი სპილოს წააწყდა ტყეში და წაეჩხუბა. სპილომ ისე მაგრამ მიბეგვა ლომი, რომ რამდენიმე დღეს სანადიოდ ვეღარ გადიოდა. ლომსა და მის მსახურებს საჭმელი შემოელიათ და თანდათან გახდნენ, აქლემი კი ხის ფოთლებით საზრდოობდა და უფრო და უფრო გასუქდა.

შიმშილისაგან შეწუხებულმა ლომმა თავის მსახურებს უბრძანა:

— ახლავე წადით და საიდანაც გინდათ, ნადირი მომიყვანეთ, თორემ შიმშილისაგან მოვკვდებიო.

შეშინებულმა მსახურებმა ბჭობა გამართეს. დათვმა თქვა:

— ნადირი რომ ვერ ვიშოვოთ, ჩვენი მბრძანებელი მოკვდება, და მერე ვინღა გვარჩენს? სხვა გზა არ არის, უნდა ავდგეთ და ვიმათხოვროთო.

— ყველაფერს ისა სჯობია, აქლემი დავგლიჯოთ და ლომს ვაჭამოთო, — თქვა ტურამ.

ლაპარაკში ყვავი ჩაერია:

— ჩვენი მბრძანებელი ამბობს, აქლემი ჩვენი სტუმარი არისო და ეწყინება, მაგის ნებას არ მოგვცემსო.

— ნუ დარდობ, მაგ საქმეს მე მოვაგვარებო, — მიუგო ტურამ და ლომთან მივიდა:

— ჩვენო მბრძანებელო, ჩვენო მამავ, ჩვენო დამპურებელო! მთელი შამბნარი შემოვირბინეთ და ვერაფერს გავხდით. სპილოს დაუფრთხია მთელი ნადირი. თუ რამე არ ვიღონეთ, შიმშილი მოგკლავს; მოდი, აქლემი მოვკლათ, მის ხორცს რომ შეჭამ, კარგად გახდები, მოღონიერდები და შენს სამფლობელოდან სპილოსაც გააძევებო.

ლომმა ტურას მოუსმინა და გულმოსულმა დაიღრინა:

— ხმა გაიკმინდე. სტუმრის ხელის ხლებას სიკვდილი მირჩევნიაო.

მაგრამ ტურა არ ეშვებოდა:

— ოო, მბრძანებელო! ვინ ამბობს, რომ სირცხვილი არ არის აქლემის შეჭმა. განა ჩვენ არა გვრცხვენია, მაგრამ თვითონ სურს, მსხვერპლად შეგეწიროს. ჰოდა, რაკი თვითონ სურს, არც შენი საქციელი იქნება სამარცხვინოო.

— ეგ სხვა საქმეა, — მიუგო ლომმა. — აქლემს თუ თვითონ სურს, მაშინ შევჭამო.

ტურა მეგობრებთან მივიდა, ერთად მოილაპარაკეს და აქლემისაკენ გაეშურნენ.

ტურამ დაიწყო:

— მეგობრებო, ჩვენი მბრძანებელი შიმშილით კვდება. ჩვენი ვალია შევეწიროთ და გადავარჩინოთ. მე ვიცი, ლომი უარზე დადგება, რადგან ყველანი ძალიან ვუყვარვართ, მეტადრე აქლემი, მაგრამ ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ, როგორი ერთგულები ვართო.

აქლემმა ტურის ნათქვამი დაიჯერა. დათვმა და ყვავმა კი იცოდნენ, საქმე როგორც იყო, და კვერი დაუკრეს:

— ჩვენს მბრძანებელს უნდა შევეწიროთო.

ყველანი ატირებულები გაეშურნენ ლომისაკენ.

პირველად ყვავი მიფრინდა და აჩხავლდა:

— ჩვენო მბრძანებელო, საჭმელი ვერაფერი გიშოვეთ. მოდი, მე შემჭამე და ცოტას მაინც დანაყრდი. მე სიხარულით შეგეწირებიო.

მაგრამ ტურამ არ დაამთავრებინა სიტყვა, ლომთან მიირბინა და უთხრა:

— ყვავის ხორცი რას გეყოფა! სჯობს, მე შემჭამოო.

ახლა დათვმა გამოიდო თავი:

— განა ტურის ხორცი გიჭამია? ფუჰ, უგემურია და მყრალი სუნიც აქვს. მოდი, მე შემჭამე, ამას დიდ პატივისცემად ჩავთვლიო.

აქლემი ხედავს, რომ ყველა თავს სწირავს ლომს, ლომი კი ყველაზე უარს ამბობს. იმანაც გაიფიქრა: რაც იქნება, იქნება, მეც შევთავაზებ ჩემს თავს, სტუმარი ვარ და არ გამიმეტებსო.

აქლემი ლომთან მივიდა და მოახსენა:

— დიდო მბრძანებელო, დათვი ჩემზე მომცროა, არც მისი ხორცი არის ისე გემრიელი, სჯობს მე შემჭამო. ამას მთელი სულითა და გულით გეუბნებიო.

დგას აქლემი და იცდის, აი, ახლა იტყვის ლომი უარს და აი, ახლაო. ის კი ეცა აქლემს, შუაზე გაგლიჯა, ერთი მაგრად გამოძღა მისი ხორცით და ნასიამოვნები ბალახში გაგორდა. მონარჩენი ხორცი კი მისმა ერთგულმა მსახურებმა — დათვმა, ტურამ და ყვავმა — მიირთვეს.

მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა მათი სიხარული. როცა ლომს ისევ მოშივდა, ჯერ დათვი შეჭამა, მერე ტურა და ყვავიც ზედ მიაყოლა. განა თვითონ არ შესთავაზეს ლომს, ჩვენი ნებით შეგეწირებითო!

ფატიმა და დერვიში*

(* დერვიში — მუსლიმანთა მოხეტიალე ბერი. იგი მოწყალებით ცხოვრობს. მოხეტიალე დერვიშები ხშირად კიდეც ექიმბაშობენ და ჯადოქრობენ)

ძველად ქაშმირში ერთი გაიძვერა დერვიში ცხოვრობდა. დერვიშმა შეგირდები აიყვანა. ეს შეგირდები მის ეზოში იყრიდნენ ხოლმე თავს და სულ დერვიშის ქებაში იყვნენ: ჩვენი მასწავლებელი ღვთისნიერი, სამართლიანი და ბრძენი კაცი არისო.

ბევრს სჯეროდა კიდეც მათი ნათქვამი და რჩევისათვის დერვიშთან მიდიოდნენ. თან სხვადასხვანაირი საჩუქრები მოჰქონდათ, აბა, ხელცარიელები ხომ ვერ მივიდოდნენ. ჰოდა, გაიძვერა დერვიშიც ნელ-ნელა გამდიდრდა.

ერთხელ მასთან ერთი ღატაკი გლეხი მივიდა, აცრემლებული დაემხო მის წინ და შეევედრა:

— მიშველე რამე, კეთილო დერვიშო, ერთი მზეთუნახავი ქალი მყავს და არ ვიცი, რა ვუყო, როგორ გავათხოვო, ღატაკის შვილს ცოლად არავინ წაიყვანს. თუ ვერაფერს მიშველი, ის მაინც მითხარი, რა ვიღონოო!

დერვიში ჩაფიქრდა, მერე კი დინჯად მიუგო:

— ნუ გეშინია, ყველაფერი რიგზე იქნება. დღეს შენი ქალისთვის ვილოცებ, ხვალ კი მე თვითონ მოვალ თქვენთან. ახლა შინ წადი და მოემზადე, ისე დამხვდი, როგორც შემეფერებაო.

მეორე დილას ის იყო გლეხმა თვალი გაახილა და გარეთ გაიხედა, რომ მისკენ მომავალი დერვიში დაინახა. შინაურები დაფაცურდნენ, ხუმრობა ხომ არ იყო, დერვიში თავისი ფეხით ეახლათ. რაკი ღარიბი კაცი იკადრა, მეტად უნდა ეცათ პატივი!

გლეხის ცოლმა საჩქაროდ დაბერტყა პატარა ნოხი და დერვიშს ჩრდილში დაუფინა, გლეხის ვაჟიშვილებმა ბაღში საუკეთესო ხილი დაუკრიფეს, მზეთუნახავმა ფატიმამ კი თავისი ხელით მოამზადა შარბათი, სტუმარს მიართვა და დიდად აამა. სანამ დერვიში ჩრდილში ნოხზე იჯდა და ხილს მიირთმევდა, ფატიმა ჩიტივით დაფრთხიალებდა, უნდოდა ესიამოვნებინა სტუმრისათვის.

დერვიშს ფატიმას მომზადებული საჭმელ-სასმელი ძალიან მოეწონა და გლეხს უთხრა, შენს ქალს მე ავიყვან მოახლედ. ღარიბ-ღატაკის შვილს ამაზე მეტი რაღა ბედი უნდაო.

ამ სიტყვების გაგონებაზე გლეხმა ხელები გაასავსავა:

— ეგ არ იქნება! მართალია, ჩემი ფატიმა ღატაკია, მაგრამ მოახლედ არავის დაუდგება. ეს არც მე მინდა და არც თავად ისურვებსო.

დერვიში გუნებაში გაბრაზდა: ეგრე იყოს, სულ ერთია, ეშმაკობაში მაინც ვერ მაჯობებთო. თან ისეთი სახე მიიღო, გეგონებოდათ ლოცულობსო, მერე კი გლეხს მიუბრუნდა:

— აი, როგორი სიზმარი ვნახე შენს ქალზე: ერთი დიდი და მკვიდრი სკივრი უნდა შეკრა, შიგ ფატიმა ჩასვა და მდინარეს მისცე. მდინარის წმინდა ტალღები შენს ქალს თავის ბედთან მიიყვანს. ვინც ფატიმას იპოვის, მაგისი ბედიც ის იქნება და პატრონიცაო.

გლეხმა დაიჯერა დერვიშის რჩევა. დიდი მადლობა მოახსენა, საჩუქარიც მიართვა და პატივით გაისტუმრა.

— სკივრს ხვალ საღამოსვე შევკრავო, — უთხრა გლეხმა გამოთხოვებისას.

გლეხი გაბრუნდა თუ არა, დერვიშმა ტაში შემოჰკრა და თავის შეგირდებს უხმო.

— მე ერთი ბრძნული სიზმარი ვნახე, — უთხრა მან შეგირდებს, — ხვალ საღამოს მდინარე ერთ დიდ სკივრს ჩამოატარებს, ამ სკივრში ავი სული იჯდება. მე ავ სულს ამოვიყვან, მასთან ჩავიკეტები და ლოცვითა და დარიგებით მორჩილ მონა ქალად ვაქცევ. სანამ მე ავ სულთან ჩაკეტილი ვიქნები, თქვენ სახლის გარშემო დაფდაფი დაჰკარით და ხმამაღლა ილოცეთ. ბევრიც რომ იყვიროს ავმა სულმა, ყურადღება არ მიაქციოთო...

მიამიტი გლეხი, აბა, ცუდს როგორ იფიქრებდა! ისე მოიქცა, როგორც დერვიშმა ურჩია: შვილს გამოეთხოვა, ჩასვა დიდ, მკვიდრად შეკრულ სკივრში, თავი დახურა, ზედაც მაგარი კლიტე დაადო და მდინარეში გადააგდო. ტალღებმა აიტაცეს სკივრი და წაიღეს.

მზე რომ გადაიხარა, დერვიშმა შეგირდებს უთხრა:

— ახლა კი დროა! აბა ჩქარა, ქვემოთ, ხიდისკენ გაიქეცით. საღამოობით იქ არავინ დადის და სკივრს თქვენს მეტი ვერავინ დაიჭერს. მხოლოდ იცოდეთ, თავი არ ახადოთ, თორემ ავი სული ამოვარდება და დაიღუპებითო.

შეგირდებმა შეჰფიცეს, სკივრს არ ავხდითო და გზას გაუდგნენ. გაიარეს ქალაქი და გასწიეს ტყისაკენ. ჩქარობდნენ, სკივრს მივუსწროთო. უცბად დაინახეს, ტყიდან ახალგაზრდა მონადირე მიშერი გამოვიდა, გვერდით ვეფხვივით ძაღლები მოსდევდნენ.

— ეჰეი! ეგ ძაღლები ჩვენკენ არ გამოუშვა, თორემ დაგვგლეჯენო, — დაუძახეს შეგირდება მონადირეს.

მონადირე მიშერს გაეცინა:

— საით მიგეჩქარებათ? ტურები ხომ არა ხართ, ასე გვიან ტყეში რა გინდათ! მოდით, ცეცხლთან გათბით, მიამბეთ, ახალი რა იცით, ან არადა იღბლიანი ნადირობა მაინც მისურვეთო...

— მაგისთვის სადა გვცალია, მდინარეზე სკივრი მოცურავს და შიგ ავი სული ზის. ჩვენ ძველ ხიდთან უნდა დავიჭიროთ სკივრი და დერვიშს წავუღოთ. ძაღლები მოგვაშორე, ნუღარ გვაყოვნებ, შე წყეულო, შენაო!

— რაკი ეგრეა, წადით, თქვე ეშმაკის კერძებო! ჩემი ძაღლები არას დაგიშავებენო, — სიცილით მიუგო მიშერმა. თან ჩაფიქრდა, ნეტავი რა ავი სული მოიგონა იმ ბებერმა მელამ, ერთი უნდა წავიდე და ვნახოო.

დერვიშის შეგირდები მოსახვევს რომ მიეფარნენ, მიშერი მოკლე გზით გაიქცა მდინარისკენ.

მივიდა მდინარის პირას. ხედავს, მართლაც მოცურავს დიდი სკივრი, სკივრიდან კვნესა და გულამოსკვნილი ტირილი ისმის. მონადირე გადაეშვა მდინარეში, მოჰკიდა სკივრს ხელი და ნაპირზე გამოიტანა. საღამო ხანი იყო. მიშერმა ცეცხლი დაანთო და მის შუქზე კლიტე გააღო, მიშერმა დიდი წვალებით ახადა სკივრს თავი და სახტად დარჩა: მზეთუნახავმა ქალმა სკივრიდან ახალ მთვარესავით გამოანათა.

მიშერმა ქალი სკივრიდან ამოიყვანა და ცეცხლთან დასვა.

— ვინა ხარ, აქ საიდან გაჩნდი, ან ამ სკივრში რა გინდოდაო?

— მე ფატიმა ვარ, — მიუგო გოგონამ, — ერთი საწყალი გლეხის შვილი. დერვიშის რჩევით მამაჩემმა ამ სკივრში ჩამსვა. სხვა არა ვიცი რა. დერვიშმა თქვა, ვინც ამას იპოვის, ის იქნება ამისი ბედი და იღბალიო.

ახალგაზრდა მონადირეს გაუხარდა. რატომაც არ გაუხარდებოდა! ასეთი მზეთუნახავი იპოვა და... მაგრამ დერვიშის სიტყვები რომ გაახსენდა, გაბრაზდა: ერთი უყურეთ იმ გაიძვერას, რა მოუფიქრებია, დამაცადოს, ვაყურებინებ სეირს! ვაჩვენებ, ავი სული რასაცა ჰქვიაო.

მიშერმა ერთ ყველაზე ავ ძაღლს დაუძახა, ჩასვა სკივრში, კლიტე დაადო და მდინარეში გადაუშვა. თვითონ კი გვერდში მიუჯდა ფატიმას და ალერსიანი ბაასი გაუბა:

— დერვიშს შენი მოტყუება სდომებია, ის მოახლედ დაგიყენებს, მე კი შენი ერთგული მეგობარი ვიქნები, გირჩევნია, ჩემთან წამოხვიდეო.

ფატიმა დათანხმდა.

ამასობაში შეგირდები ხიდთან მივიდნენ და დაელოდნენ. ცოტა ხანში მდინარემ, მართლაც, ჩამოატარა სკივრი. სკივრიდან შემზარავი ღმუილი ისმოდა. დერვიშის შეგირდებმა იფიქრეს, ალბათ შიგ მართლა ავი სული ზისო და შეეშინდათ. ხმის კანკალით თან ლოცვას დუდუნებდნენ, თან სკივრს თოკი მოსდეს და ხიდზე ამოათრიეს. «ავი სული» ღმუოდა და გარეთ იწევდა. შეგირდებმა სკივრი ზურგზე მოიგდეს და დერვიშს წაუღეს, ავ სულს თვითონ მოუაროსო.

სკივრი დერვიშს მიუტანეს, ნოხზე დადგეს და ყური მიადეს. «ავი სული» მიყუჩდა: აღარც ფხაკუნობდა და აღარც ღმუოდა.

შეგირდებს უნდოდათ დერვიშისათვის ეამბნათ ყველაფერი, მაგრამ მან ყურიც არ ათხოვა.

— აბა, ჩქარა, ეგ მათრახი აქ მომეცით და აქედან მომშორდით, ამ ავ სულს მე მოვუვლი. ოღონდ არ დაგავიწყდეთ: რაც უნდა იყვიროს, ყურადღება არ მიაქციოთ, ილოცეთ და დაფდაფს მაგრა დაჰკარითო.

შეგირდები დერვიშს გაეცალნენ, მისი ბრძანებით ფანჯრები და დარაბები ჩაკეტეს და ლოცვას მოჰყვნენ.

მარტოდ დარჩენილმა დერვიშმა მათრახი მოიმარჯვა და სკივრს ეცა: ახლა კი გაგაგებინებ, როგორია გლეხი ქალის ბედი! ჩემთან მოახლედ დაგტოვებ და გასწავლი, გაჯიუტება როგორ უნდაო!

დერვიშმა სკივრს ახადა თუ არა, იქიდან გაავებული ძაღლი ამოვარდა ეცა. დერვიშმა ღრიალი მორთო. აქეთ ეცა, იქით ეცა, კარს მივარდა, ხან სარკმელს, მაგრამ ამაოდ. ყველაფერი დაკეტილი დახვდა. აბრახუნებდა კარს, მიშველეთო, ყვიროდა, მაგრამ არც კარს უღებდა ვინმე და არც საშველად მოდიოდა. იდგა ერთი ბრახა-ბრუხი, ჭახაჭუხი, ღმუილი. დერვიშის შეგირდები კი ლოცვებს ზუზუნებდნენ და რაც შეეძლოთ, ურტყამდნენ დაფდაფს. დერვიშმა ხომ ასე უბრძანა!

მთელი ღამე ილოცეს და იგალობეს შეგირდებმა. გათენებისას ნახეს, რომ ერთი სარკმელი გამომტვრეულია, მიწას კი ძაღლის კვალი აჩნია. შეგირდებმა სარკმელში

შეიხედეს და რა ნახეს! შუა ოთახში ცარიელი სკივრი იდგა, იქვე გვერდით კი მკვდარი დერვიში ეგდო.

შეგირდებმა ერთმანეთს გადახედეს, ავ სულს დერვიშისთვის უჯობნია და აბა, ჩვენ რაღას ვუშველითო!

ცოტა ხანს კიდევ იდგნენ და მერე დაიშალნენ.

ახალგაზრდა მონადირე მიშერი კი იმ დღესვე გლეხის სახლისკენ გაეშურა, გვერდით მზეთუნახავი ფატიმა მიჰყვებოდა.

მიშერის ვეებერთელა ძაღლები მხიარული ყეფით ურბენდნენ გარშემო ფატიმას და ხელებს ულოკავდნენ. მზეთუნახავი ფატიმა ბედნიერად იღიმებოდა.

<u>შვიდი და და შვიდი ძმა</u>

ოდესღაც ინდოეთში იყო ერთი ბრაჰმანი. მას შვიდი ქალიშვილი ჰყავდა.

ბრაჰმანს ცოლი ადრე გარდაეცვალა და ქალები თვითონ უვლიდნენ ოჯახს. მათ მეზობლად ერთი ბოროტი დედა-შვილი სახლობდა. შეუდგებოდნენ თუ არა ბრაჰმანის ქალები სადილის მზადებას, მოვიდოდა დედაბერი და ნაკვერჩხალსა სთხოვდა. ბრაჰმანის უმცროს ქალს, ლამაზ და ჭკვიან ბალნას სძულდა ბოროტი დედაბერი და დებს ეუბნებოდა, შინ ნუ ვუშვებთო. უფროსი დები კი ბალნას ტუქსავდნენ, მეზობელი ეცოდებოდათ და ნაკვერჩხალს აძლევდნენ.

ერთხელ მოვიდა ეს დედაკაცი და ნაკვერჩხალი ითხოვა. სანამ გაისტუმრებდნენ, დედაბერმა დრო იხელთა და შეუმჩნევლად ქვაბში ერთი მუჭა მიწა ჩაყარა, მერე ნაკვერჩხალი აიღო და წავიდა. ბრაჰმანმა შეამჩნია, რომ შეჭამანდს მიწა ერია, მაგრამ ქალებს არაფერი უთხრა.

მეზობელი ყოველდღე მიდიოდა ნაკვერჩხლის სათხოვნელად და ყოველ მისვლაზე შეჭამანდით სავსე ქვაბში მიწას უყრიდა. შეჭამანდი ისეთი უგემური გამოდიოდა, პირში არ ჩაიშვებოდა.

ბრაჰმანმა გადაწყვიტა, გვერდით ოთახში დამალულიყო და ეთვალთვალა, როგორ ამზადებდნენ ქალები საჭმელს. ორმა ქალიშვილმა ცეცხლი გააჩაღა, ორი ბოსტნეულს რეცხავდა, ორი ქვაბს უტრიალებდა, ყველაზე უფროსი კი ქვაბში გარეცხილ ბოსტნეულს ყრიდა.

ამ დროს მოვიდა მეზობელი, ნაკვერჩხალი ითხოვა და ქვაბში ერთი მუჭა მიწა ჩაყარა. ბრაჰმანმა დაინახა, შევიდა სამზარეულოში და გალანძღა მეზობელი. ქალი ატირდა და თავის მართლებას მოჰყვა:

— ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ დამლაპარაკებოდიო.

ქალმა შესჩივლა ბრაჰმანს, რაც ქმარი მომიკვდა, აღარა ღირს ჩემი სიცოცხლეო და დახმარება სთხოვა.

ბრაჰმანს ქალი შეეცოდა და ცოლად შეირთო. ბოროტი დედაკაცი თავისი ქალით ბრაჰმანის ოჯახში გადაბარგდა.

დედინაცვალს თავისი ქალი უყვარდა, გერები კი სძულდა, აღარც აცმევდა, აღარც აჭმევდა. გოგოები გახდნენ, ტანსაცმელი დაუცვდათ და ძონძებად ექცათ. ყოველდღე დადიოდნენ დედის საფლავზე, ბედს უჩიოდნენ და მწარე ცრემლებს ღვრიდნენ.

ერთხელაც ასე ისხდნენ დედის საფლავზე და ტიროდნენ. უცბად საფლავიდან გემრიელი და მწიფე ნაყოფით დახუნძლული ხე ამოვიდა; მიადგნენ ეს მშიერი დები ხეს და მისი ნაყოფით მოიბრუნეს გული. ამის შემდეგ ისინი ყოველდღე მიდიოდნენ საფლავზე და შიმშილს იქ იკლავდნენ.

— გამხმარი პური ენატრებათ და ნეტა რამ მოასუქა ეს მათხოვრები? — უკვირდა დედინაცვალს. — ალბათ ვიღაც იცოდეს და აჭმევსო.

ბოლოს თავის ქალს დაუძახა და დაარიგა:

— თვალი არ მოაშორო ამ გოგოებს, სადაც წავლენ, უკან მიჰყე, ვიღაც ჩუმად აჭმევს. უნდა გაიგო და ყველაფერი მითხრაო.

დედინაცვლის შვილი ლანდივით დასდევდა დებს.

ერთხელ სწორედ იმ დროს გაჩნდა გოგოებთან, როცა დედის საფლავზე ამოსულ ხეზე ხილს კრეფდნენ. დებმა მასაც შესთავაზეს ხილი.

ბალნამ დებს უთხრა:

— ახლა ეს ბოროტი გოგო დედინაცვალს ეტყვის ყველაფერს და ვაი ჩვენი ბრალიო!

— იმასაც ხომ ვაჭამეთ, არაფერსაც არ ეტყვისო, — არწმუნებდნენ დები ბალნას.

ბალნა მართალს ამბობდა. ბოროტმა გოგომ ყველაფერი უამბო დედას. დედინაცვალი გაბრაზდა, ოთახში ჩაიკეტა და მთელი დღე გარეთ არ გამოსულა. საღამოს ბრაჰმანმა ცოლს ჰკითხა, ცუდ გუნებაზე რადა ხარო? ცოლმა თავი მოიავადმყოფა, თავის ტკივილი მოიმიზეზა და უთხრა, მე მხოლოდ ერთი რამ მომარჩენსო.

— რა მოგარჩენსო? — ჰკითხა ბრაჰმანმა.

— შენი ცოლის საფლავზე ხე რომ ხარობს, თუ მის ფესვებს გამოვხარშავთ და ნახარშს თავზე წავისვამ, ტკივილი უმალ გამივლისო.

— ხვალვე ამოვთხრი იმ ხესო, — შეჰპირდა ბრაჰმანი.

მართლაც, მეორე დღესვე გაეშურა საფლავზე და ხე ამოთხარა. დააჭრა ფესვები. წვრილად აჩეხა და აქაფქაფებულ წყალში ჩაყარა. დედინაცვალმა თავი ნახარშში დაისველა და უთხრა:

— ახლა კი მოვრჩიო.

იმ დღეს დები დედის საფლავზე მივიდნენ, მაგრამ ხე ვეღარ ნახეს. დასხდნენ და მწარედ აქვითინდნენ.

იქვე, საფლავის მახლობლად, ერთი პატარა ტბა იყო. როცა დები უკან ბრუნდებოდნენ, უცბად წყალი შეირხა და ზედაპირზე თხელ-თხელი ლავაშები ამოცურდა.

დებს გაუხარდათ. დაიჭირეს ლავაშები და კარგად დანაყრდნენ. იმ დღიდან მათთვის მუდამ მზად იყო ლავაშები.

დედინაცვალი სულ იმის მოლოდინში იყო, ჩემი გერები შიმშილით დაიხოცებიანო, ისინი კი ისევ მაძღრები დადიოდნენ. დედინაცვალს სიბრაზისაგან მოსვენება აღარა ჰქონდა. ისევ თავისი ქალი მოიხმო და უთხრა:

— რა მოხდა, ვერ გამიგია, ადრე ხილით იბრუნებდნენ სულს, ახლა ის ხე აღარ არის, და ნეტა რაღას შოულობენ? ისევ უნდა წახვიდე და უთვალთვალოო.

მეორე დღესვე ბოროტი გოგო ჩუმად გაჰყვა დებს და ნახა, რომ დები ტბაზე რაღაცას იჭერდნენ. ბალნამ დაინახა ბოროტი გოგო და დებს უთხრა, ფერხული ჩავაბათ და არ დავანახოთ, რასა ვჭამთო, მაგრამ დებმა არც ახლა დაუჯერეს. ბოროტმა გოგომაც ყველაფერი დაინახა და თავის დედას უთხრა.

დედინაცვალი გაბრაზდა და გადაწყვიტა, გერები თავიდან მოეშორებინა. ისევ მოიავადმყოფა თავი. უქეიფობა შეატყო ბრაჰმანმა და ჰკითხა:

— რა მოგივიდა, ისევ ავად ხომ არა ხარო?

ცოლმა მიუგო:

— ისევ ავადა ვარ, მაგრამ ახლა ძალიან ძნელია ჩემი წამლის შოვნაო.

— ეგ ნუ გაშინებს, რაც უნდა იყოს, გიშოვიო, — შეჰპირდა ბრაჰმანი.

მაშინ ცოლმა უთხრა: შენი შვილები უნდა დახოცო და მათი სისხლისაგან წამალი მომიმზადოო.

ბრაჰმანმა ყურებს არ დაუჯერა. შეწუხდა, საკუთარი შვილები როგორ უნდა დავხოცოო, მაგრამ რაკი ცოლს სიტყვა მისცა, წამალს გიშოვიო, უნდა ეშოვა კიდეც.

ბრაჰმანმა დაუძახა თავის ქალებს და ტყეში წაიყვანა. სადილობის დრო რომ მოვიდა, ცეცხლი დაანთო, ბრინჯი მოხარშა და აჭამა შვილებს. ცხელოდა და გოგონებს მალე ჩაეძინათ. ბრაჰმანი ადგა, შვილები ტყეში დატოვა და თვითონ შინისაკენ გამობრუნდა. სახლისაკენ მიმავალ ბრაჰმანს გზაზე მეცხვარე შემოხვდა, მისგან ცხვარი იყიდა, დაკლა, სისხლი კოკაში ჩაასხა და ცოლს წაუღო.

ბოროტმა დედაკაცმა დაიჯერა, რომ ბრაჰმანმა შვილები დახოცა, ძალიან გაუხარდა და თქვა, ახლა კი მოვრჩიო.

შვიდი და მარტოდმარტო დარჩა გაუვალ ტყეში. რომ გამოეღვიძათ, მამას ძებნა და ძახილი დაუწყეს, მაგრამ აბა, რას გააგონებდნენ. გოგოებს შეეშინდათ და ატირდნენ.

ტყეში ამ დროს შვიდი ძმა ნადირობდა. უმცროს ძმას ტირილი შემოესმა და ეს ამბავი უფროსებს უთხრა. ძმები ტირილის ხმას მიჰყვნენ და შვიდი და კი იპოვეს. ერთმა ძმამ თქვა, მოდი, შინ წავიყვანოთო. წავიყვანოთო, დათანხმდნენ დანარჩენებიც. იმ დღიდან შვიდი და შვიდი ძმის სახლში ცხოვრობდა.

გავიდა დრო, დები წამოიზარდნენ. ძმებმა დები შეირთეს და კარგი ქორწილი გადაიხადეს.

ერთი წლის შემდეგ ბალნას ვაჟიშვილი შეეძინა. დანარჩენ დებს კი შვილები არა ჰყავდათ. მათ ძალიან უყვარდათ ბავშვი და საკუთარი შვილივით უვლიდნენ.

ერთხელ, ძმები სანადიროდ რომ იყვნენ წასულები, მათ სახლს ერთი შავტანსაცმლიანი კაცი მიადგა. ეს კაცი ბოროტი ჯადოქარი იყო. ჯადოქარმა თვალი მოჰკრა თუ არა ლამაზ ბალნას, მისი ცოლად წაყვანა დააპირა, მაგრამ ბალნამ ყურიც არ უგდო.

ჯადოქარი გაბრაზდა, ბალნა შავ ლეკვად აქცია, იღლიაში ამოიდო და გაუჩინარდა.

ბალნას დებს ბავშვის ტირილი მოესმათ და ოთახში შეცვივდნენ. როგორც იყო ბავშვი დააშოშმინეს და ბალნას დაუწყეს ძებნა, მაგრამ ვერსად იპოვეს.

გავიდა ხანი, მაგრამ ბალნას ასავალ-დასავალი ვერ გაიგეს. აღარც შვიდი მონადირე ძმა დაბრუნებულა უკან და აღარც ისინი გამოჩენილან, ვინც ქალის საძებნელად წავიდნენ.

ბალნას დებმა ბევრი იჯავრეს, მაგრამ რაღას იზამდნენ, ცხოვრობდნენ და ბავშვსა ზრდიდნენ.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბალნას ვაჟი წამოიზარდა და დებმაც უამბეს მისი დედ-მამისა და თავიანთი ქმრების ამბავი.

— ახლა უკვე დიდი ხარ და შეგიძლია დაკარგულები მოძებნოო, — უთხრეს.

ბალნას ვაჟმა ფიცი დადო, მთელი ქვეყანა, შემოიარა, მაგრამ იმათი ასავალ-დასავალი ვერსად გაიგო.

ერთხელ ვაჟი ერთ მთაგორიან ადგილებში დახეტიალობდა, დაიღალა და ქვაზე ჩამოჯდა. უცებ გაიხედა და ერთი ძველი, საცოდავი ქოხი დაინახა. ვაჟი ადგა და პირდაპირ იმ ქოხისაკენ გაეშურა. ქოხის წინ დედაბერი იჯდა. ბალნას ვაჟი მივიდა მასთან და ჰკითხა, იმ კლდეზე ვინმე თუ ცხოვრობს, ანდა როგორ შეიძლება იქ ასვლაო.

— მე ვიცი, როგორ უნდა ახვიდე კლდეზე, მაგრამ იქ ასვლა სახიფათოა. იქ ბოროტი ჯადოქარი ცხოვრობს. მას შეუძლია ადამიანი გააქვავოს, ან ხედ აქციოს.

შეხედე იმ ხეებს, კლდის გარშემო რომ ხარობს და იმ ლოდებს, იქვე რომ ყრია! ოდესღაც ისინი ადამიანები იყვნენ. ამ რამდენიმე წლის წინათ ჯადოქარმა ერთი ქალი ლეკვად აქცია, აქ მოიყვანა, მერე ისევ ქალად აქცია, ცხრაკლიტულში ჩასვა და დღესაც იქა ჰყავს გამომწყვდეული, რადგან ქალს არ უნდა ცოლად გაჰყვესო, — უთხრა დედაბერმა.

ბალნას ვაჟმა იფიქრა, იქნებ აქ არიან, ვისაც ვეძებო და დედაბერს თავისი თავგადასავალი უამბო, თან დახმარება სთხოვა. დედაბერმა უთხრა:

— მე კი დაგეხმარები, მაგრამ ჯადოქარმა თუ დაგინახა, მაშინვე გაგაქვავებს. მოდი, ჩემი ქალის კაბა ჩაიცვი და ისე წადი. ჩემს შვილს ყვავილები დააქვს ხოლმე ტყვე ქალთან და ჯადოქარს ის ეგონები. კლდეზე რომ ახვალ, მერე შენ იცი; უეჭველად ნახე ტყვე ქალი, ეგება დედაშენი არისო.

ბალნას ვაჟმა კაბა გადაიცვა და ნამდვილ ქალს დაემსგავსა. გახარებული იყო, იქნება დედა ახლა მაინც ვიპოვოო.

როცა ბალნა გათხოვდა, ქმარმა ერთი ბეჭედი აჩუქა, ბიჭი რომ ეყოლა, ბალნამ ბეჭედს მისი სახელი დააწერა და კისერზე ჩამოჰკიდა. ახლა ვაჟს ეს დედისეული ბეჭედი თან ჰქონდა.

მეორე დღეს ვაჟმა ყვავილების თაიგული შეკრა, შუაგულში ბეჭედი ჩადო და ჯადოქართან წავიდა. ვაჟს ლამაზი ქალი გამოეგება. ბალნამ უცნობს თაიგული რომ გამოართვა, ბეჭედი ძირს დაეცა. ქალი დასწვდა ბეჭედს, წარწერა წაიკითხა და მიხვდა, ვინც იდგა მის წინ. ქალმა სიხარულის ცრემლები გადმოღვარა და შვილი გულში ჩაიკრა.

ვაჟმა ბალნას ჰკითხა, როგორ მოვიქცე, რომ ჯადოქარს ძალა გამოეცალოსო. დედაც შეჰპირდა, ყველაფერს გაგიგებო და, მართლაც, იმავე დღეს უთხრა ჯადოქარს:

— მოთმინების ფიალა ამევსო, თანახმა ვარ ცოლად გამოგყვე, ოღონდ ერთი პირობით: შენი ღირსი რომ გავხდე, მეც მინდა ისეთივე ჯადოსნური ძალა მქონდეს, როგორიც შენა გაქვსო.

ჯადოქარს გაუხარდა და უთხრა:

— ძალიან შორს, ჯუნგლებში, სადაც ადამიანს ჯერ ფეხიც არ დაუდგამს, ორ დიდ ქვას შუა დამალულია ექვსი ერთმანეთში ჩაწყობილი კოლოფი. სულ პატარა კოლოფში მარცვლის ოდენა ხე ხარობს. მის ტოტზე ძალიან პატარა თუთიყუში ზის. სწორედ იმ თუთიყუშშია ჩემი ძალა. ჩემი სიცოცხლეც იმ თუთიყუშზე ჰკიდია. თუ ის მოკვდება, მეც მოვკვდები. მაგრამ ჩემ გარდა არავის შეუძლია იპოვოს ის თუთიყუში. მე გაჩვენებ იმ თუთიყუშს და შენც ისეთივე ძალა მოგეცემა, როგორიც მე მაქვსო.

ბალნამ ყველაფერი თავის ვაჟს უამბო.

ვაჟმა უთხრა:

— მე ახლავე წავალ და იმ თუთიყუშს ვიპოვი. შენ კი ჩემს მოსვლამდე ქორწილის ვადა გააჭიანურეო.

ბალნას ვაჟი გზას გაუდგა. იარა, იარა, მთები და დაბურული ტყეები გადაიარა, ბოლოს ძალიან დაიღალა და ერთი ხის ძირას დაჯდა შესასვენებლად. უცებ გველის სისინი შემოესმა. ვაჟი წამოხტა და მაღლა აიხედა, ხეზე არწივის ბუდე დაინახა. გველი ბუდეს ეპარებოდა. ბუდეში ორი მართვე იჯდა. გველი რომ დაინახეს, წივილი ატეხეს და ბუდეში ჩაიმალნენ.

ბალნას ვაჟმა ხმალი იძრო, ხეზე აცოცდა, გველი მოკლა და არწივები გადაარჩინა.

ამ დროს არწივიც მოფრინდა. თან დედა არწივიც ახლდა. იმათ ყველაფერი დაენახათ. ჩასხდნენ ბუდეში და ბალნას ვაჟს უთხრეს:

— რამდენი ხანია ეს გველი შვილებს გვიჭამს და ვერაფერი გვიშველია. ახლა რაკი შენ გვიხსენი, გვითხარი, სიკეთე რითი გადაგიხადოთო.

ბალნას ვაჟიც ადგა და თავისი გასაჭირი უამბო. მერე ჰკითხა:

— თქვენ ფრინველთ მბრძანებელი ხართ და ხომ არ გეცოდინებათ, მსოფლიოში ყველაზე პატარა თუთიყუში, ბოროტი ჯადოქრის ძალასა და სიცოცხლეს რომ ინახავს, სადა ცხოვრობსო?

— იმ თუთიყუშის პოვნა ძნელია, მაგრამ შენ ისეთი სიკეთე გვიყავი, გზას ჩვენ თვითონ მიგასწავლითო. ჩვენ ცაში ვიფრენთ, შენ კი ხმელეთით მოგვდიეო.

დიდხანს იფრინეს არწივებმა, ჭაბუკმა დიდხანს სდია მათ, გადასერა მთები, გაცურა მდინარეები, გაიარა დაბურული ტყეები და აი, არწივებმა ერთ მინდორზე დაიწყეს ტრიალი. ბალნას ვაჟმა მინდორში ორი ლოდი დაინახა. ყურადღებით შემოუარა გარს და ერთ ადგილას, ლოდებს შუა, ჩაღრმავებული ადგილი შეამჩნია. სწორედ იქ იდო ერთიმეორეში ჩადებული ექვსი კოლოფი. ბალნას ვაჟმა გახსნა ხუთი კოლოფი, ყველაზე პატარა მეექვსე კოლოფში ძალზე პატარა ხე იდგა და ზედ პაწაწინა თუთიყუში იჯდა. ის იყო ვაჟს ხელი უნდა ეტაცნა, რომ თუთიყუში შეფრთხიალდა და კოლოფიდან ამოფრინდა. მაგრამ არწივებმა თვალი მოჰკრეს, დაიჭირეს თუთიყუში და ბალნას ვაჟს მიჰგვარეს.

გახარებული ყმაწვილი დედისაკენ გაეშურა.

ჯადოქარმა თუთიყუში რომ დაინახა, ძალიან შეეშინდა.

— ან შენ ვინა ხარ, ანდა ეგ თუთიყუში საიდან მოიყვანეო? — ჰკითხა. — ოღონდ ეგ თუთიყუში მომეცი და სამაგიეროდ სხვა უფრო ლამაზსა და დიდ თუთიყუშს მოგცემო.

ბალნას ვაჟმა მიუგო:

— თუთიყუშს მაშინ მოგცემ, როცა ამ ხეებსა და ქვებს ისევ ადამიანებად აქცევო.

ჯადოქარმა შეულოცა და უმალ გააცოცხლა ყველა.

მაშინ ბალნას ვაჟმა თუთიყუშს თავი წააწყვიტა და ჯადოქარი უსულოდ დაეცა მიწაზე.

ბალნა სიხარულისაგან ატირდა და თავის გულად ვაჟს გადაეხვია. გაცოცხლებული ხალხიც გარს ეხვეოდა დედა-შვილს. ზღვა ხალხში ბალნამ თავისი ქმარიცა და მაზლებიც იცნო.

შვიდი ძმა-მონადირე, ბალნა და მისი ვაჟი შინ დაბრუნდნენ და დაიწყეს ბედნიერი ცხოვრება.

<u>ფ რ ი ნ ვ ე ლ თ კ ა მ ა თ ი</u>

ერთმა მონადირემ ტყეში ფრინველების დასაჭერი ბადე გაშალა. მახეში რაღა არ გაება: ყვავები, შოშიები, მტრედები.

— საკენკმა მიგვიტყუა და მახეში გაგვაბა, — აჟივჟივდნენ ჩიტები.

— მოდით, ყველამ ერთად ვეცადოთ, იქნება რამე მოვიფიქროთ და ტყვეობას თავი დავაღწიოთო.

იფიქრეს ჩიტებმა, იფიქრეს და ბოლოს გადაწყვიტეს: ყველანი ერთბაშად ავფრინდეთ, ეგებ ბადეც თან აგვყვესო.

მართლაც ჩიტებმა ფრთა ფრთას შემოჰკრეს, ასწიეს ბადე და გაფრინდნენ.

მონადირემ დაინახა, რომ ფრინველებმა ბადე გაიტაცეს და გაოცებული უკან დაედევნა. თან გზაზე ფიქრობდა: ბადეში ათასნაირი ფრინველია გაბმული, დიდხანს ვერ იფრენენ ერთად, უეჭველად ჩხუბი მოუვათ და ძირს დაეშვებიანო.

მართლაც ასე მოხდა. ჯერ ყველა ერთგულად სწევდა ბადეს, მაგრამ ცოტა ხნის მერე შეკამათდნენ.

პირველად ყვავები აჩხავლდნენ:

— ჩვენსავით არავინ ცდილობს ფრენას, სხვებივით რომ ვიზარმაცოთ, ამდენ ხანს ბადე მიწაზე დაეცემოდაო.

მტრედებმა გაიგონეს და გაბრაზდნენ:

— ნუ ტრაბახობთ, ყვავებო, თქვენზე მეტად ჩვენა ვცდილობთო.

კამათში ყველა ფრინველი ჩაერია, არა მე უკეთესად ვფრინავ და არა მეო. აღარავინ ცდილობდა და ძლივსღა აფართხალებდნენ ფრთებს. ძალა ხომ ერთობაშია, რახან ერთობა დაირღვა, ბადეც ნელ-ნელა მიწისკენ დაეშვა. ამით ისარგებლა მონადირემ, მიირბინა, თოკს სტაცა ხელი, მოზიდა ბადე თავისკენ, ფრინველები შინ წაიყვანა და გალიებში ჩასხა.

ბრაჰმანი და ჯადოქარი

ერთ სოფელში ერთი ღარიბი ბრაჰმანი ცხოვრობდა. მოწყალებას თხოულობდა და თავს იმით ირჩენდა.

ერთხელ, ტყე-ტყე რომ მიდიოდა, გზაზე ერთი ქალი შემოხვდა და უთხრა:

— მე ჯადოქარი ვარ, დიდი ხანია მინდა დაგეხმარო. აი, ნახე, რამდენი ოქრო მოგიტანეო.

ბრაჰმანს ძალიან გაუხარდა და თავისი ტომარა მოიმარჯვა:

— მხოლოდ იცოდე, — გააფრთხილა ჯადოქარმა, — თუ ბევრ ოქროს ჩაიყრი, ტომარა გაიხევა, ოქროები დაგეფანტება და ტალახად იქცევაო.

ბრაჰმანმა ტომარას პირი მოხსნა და ოქროები ჩაიჩხრიალა. ტომარა ნახევრად რომ მოიყარა, ჯადოქარმა უთხრა:

— აბა ერთი, ნახე, ტომარა ხომ არ დამძიმდაო.

— არა, არა, ჩაყარე, კიდევ ჩაყარეო.

ისევ აწკრიალდა ოქროები. ცოტა ხნის მერე ჯადოქარმა ისევ უთხრა:

— ყური მიგდე, ბრაჰმანო, ტომარაში კარგა ბლომად ოქრო დაგიგროვდა, გეყოფაო.

ბრაჰმანი იმდენი ოქროს პატრონი გახდა, იმაზე მდიდარი კაცი მთელს ინდოეთში არ მოიძებნებოდა, მაგრამ სიხარბისაგან დაბრმავებული მაინც გაიძახოდა:

— არა, კიდევ მომეცი, კიდევ დამიმატეო!

ჯადოქარი კი აფრთხილებდა:

— ტომარა სავსეა, გეყოფაო!

სიხარბისაგან აცახცახებული ბრაჰმანი მაინც იხვეწებოდა:

— ცოტაც, სულ ცოტაც დამიმატეო.

ოქრომ ისევ გაიწკრიალა.

მეტისმეტი სიმძიმისაგან ტომარა გასკდა, ოქროები მიწას მოეფინა და ტალახად იქცა.

ლომი, მგელი და ტურა

ერთხელ ჯუნგლების მბრძანებელი ლომი სანადიროდ გაეშურა. უკან ძუნძულით მისდევდა მისი უფროსი მსახური, ხარბი მგელი. ეშმაკ ტურას კი თავი ჩაეღუნა და მგლის უკან მოცუნცულებდა.

ლომმა პირველად კურდღელს გაჰკრა კლანჭი, მერე თხას, ბოლოს ძროხაც მიაყოლა. ნანადირევი წინ დაილაგა და ჩაფიქრდა: ჯერ რომელს შევექცეო?

— მგელო, შენ რას მირჩევ? — ჰკითხა უფროს მსახურს. — პირველად რომელი შევჭამო, ძროხა, თხა თუ კურდღელიო?

მგელს თავისი მუცლის გვრემა ჰქონდა და მიუგო:

— ოო, ჩვენო მბრძანებელო, მე გირჩევ ძროხა მიირთვა, თხა და კურდღელი ჩვენ გვიბოძეო.

მგლის პასუხმა ლომი გააბრაზა, ტორი შემოჰკრა მგელს და იქვე გააცხებინა სული. მერე ტურას მიუბრუნდა:

— ტურა, შენ რაღას მირჩევ, ჯერ რომელი შევჭამოო?

ტურამ მოკრძალებით მიუგო:

— ოო, ჩვენო მბრძანებელო, ჩემს თავმდაბალ რჩევას თუ დაუჯერებ, ჯერ ძროხა მიირთვი, შემდეგ თხა და ბოლოს კურდღელი დააყოლეო.

ლომს მოეწონა მისი პასუხი და დაუჯერა.

როცა ლომმა ძროხა გაათავა და კარგად დანაყრდა, თხასა და კურდღელს ზედ აღარ დახედა.

გამომძღარ ლომს გული მოულბა: ტურა ჩემი ერთგული მსახურია და ნანადირევი უნდა ვუწილადოო. ადგა, კურდღელი და თხა წინ დაუწყო და უთხრა:

— შენ კარგად მემსახურები და მიირთვიო.

ლომი სწორედ ისე მოიქცა, როგორც ეშმაკი ტურა ვარაუდობდა.

<u>სამართლიანი გადაწყვეტილება</u>

ორი გლეხი გზის პირას დაჯდა, რომ ცოტა შეესვენათ და პური ეჭამათ. ერთს ხუთი ლავაში ჰქონდა, მეორეს კი სამი. სწორედ ამ დროს გზაზე ერთი ახალგაზრდა მგზავრი გამოჩნდა, მიუახლოვდა გლეხებს, თავაზიანად მიესალმა და კეთილი მგზავრობა უსურვა. გლეხებმა მგზავრი მიიპატიჟეს.

მგზავრი დაჯდა და ლავაშის ჭამა დაიწყო.

როდესაც ეს რვა ლავაში შეჭამეს, ახალგაზრდა მგზავრმა მადლობა გადაუხადა გამასპინძლებისათვის, ჯიბიდან ფული ამოიღო, გლეხებს მისცა და უთხრა:

— აჰა, აი, ეს რვა რუპია გამომართვით ლავაშებში და თქვენ თვითონ გაიყავითო, — მერე გამოემშვიდობა და თავის გზას გაუდგა.

გლეხები ფულის გაყოფაზე შეკამათდნენ. ხუთი ლავაშის პატრონ გლეხს უნდოდა თითო ლავაშში თითო რუპია აეღო.

— არაო, — ეუბნებოდა მეორე, — ფული შუაზე უნდა გავიყოთო.

— შუაზე რად უნდა გავიყოთ, როცა მე ხუთი ლავაში მქონდა, შენ კი სამიო!

— მერე რა ვუყოთ, რომ ხუთი ლავაში გქონდა. მგზავრმა ორივეს ლავაშები შეჭამა, მაშ ფულიც შუაზე უნდა გავიყოთო, — ჯიუტობდა მეორე გლეხი.

დიდხანს იკამათეს და ბოლოს გადაწყვიტეს მოსამართლესთან წასულიყვნენ.

მოსამართლემ მოუსმინა, ჩაფიქრდა და ცოტა ხნის მერე სამი ლავაშის პატრონს უთხრა:

— შენს ბედს უნდა უმადლოდე, რომ ეს ადამიანი თავისი ნებით სამ რუპიას გაძლევსო.

— ბატონო მოსამართლევ, სამი რუპია მეცოტავება. ჩემს წილ ფულს მე კანონიერად ვთხოულობო, — მიუგო გლეხმა.

— კანონიერად თუ ვიმსჯელებთ, მაშინ შენ მხოლოდ ერთი რუპია გერგება. დანარჩენი შვიდი რუპია კი — შენს მეგობარსო, — მიუგო მოსამართლემ.

— როგორ თუ ერთი რუპია, მე სამი რუპი მეცოტავება, თქვენ კი ერთ რუპიას მაკუთვნებთო? — იწყინა გლეხმა.

— მაშ მომისმინე, — უთხრა მოსამართლემ, — თქვენ სამნი იყავით და სამმა რვა ლავაში შეჭამეთ. თუ თითო ლავაშს სამად ჰყოფდით, მაშინ ყველას ერთად ოცდაოთხი ნაჭერი შეგიჭამიათ, თვითოეულს კი რვა-რვა ნაჭერი. შენ გქონდა სამი ლავაში, ანუ ცხრა ნაჭერი. ამათგან რვა ნაჭერი შენ თვითონ შეჭამე, ერთი კი მგზავრს ერგო, შენს მეგობარს კი ხუთი ლავაში ჰქონდა, ანუ თხუთმეტი ნაჭერი. აქედან რვა ნაჭერი თვითონ შეჭამა, დანარჩენი შვიდი კი მგზავრმა. მგზავრმაც რვა ნაჭერი შეჭამა. ერთი ნაჭერი შენი, შვიდი ნაჭერი შენი მეგობრისა. შენ ერთ ნაჭერ ლავაშში ერთი რუპია გერგება, შენს მეგობარს კი შვიდი რუპია. ახლა იანგარიშე, გაანძრიე ტვინი და შენ თვითონ მიხვდები, რომ სამართლიანად მოგარიგეთო.

<u>შოშია და მუხუდოს მარცვალი</u>

დიდი ხნის წინათ ერთი შოშია ცხოვრობდა. ერთ დღეს მან მუხუდოს მარცვალი იპოვა. წავიდა წისქვილში და ორად გაღერღა. მუხუდოს ნახევარი ამოიღო, ნახევარი კი შიგ ჩაეჭედა. დიდხანს ეწვალა შოშია, მაგრამ ვერა და ვერ ამოიღო, მაშინ გადაწყვტა დურგლისათვის დაეძახა.

— დურგალო, დურგალო! წისქვილი დაშალე და ჩემი მუხუდოს ნახევარი ამოიღე. რომ არ ამოიღო, ან რა ვჭამო, ან როგორ ვიცხოვრო, ანდა შორეულ მხარეში როგორ გავფრინდეო.

დურგალმა მიუგო:

— განა ღირს ნახევარი მარცვლის გულისთვის წისქვილის დაშლა? აქედან დაიკარგეო!

შოშია რაჯასთან* (* რაჯა «— მეფე, მთავარი. ჩვეულებრივ, ფეოდალურ ინდოეთში აღნიშნავს პატარა ტერიტორიის ვასალურ მმართველს. მაჰარაჯა — დიდი მეფე, დიდი მთავარი, რაჯაზე უფრო მსხვილი და დამოუკიდებელი მმართველია.) საჩივლელად გაფრინდა.

— რაჯა, რაჯა! უთხარი რამე დურგალს: არ უნდა წისქვილი დაშალოს და ჩემი მუხუდოს ნახევარი ამოიღოს, აბა, მაშ რა ვჭამო, რითი ვიცხოვრო, ანდა შორეულ მხარეში როგორ გავფრინდეო?

— სულელო შოშია, აქედან მომშორდი! ნახევარი მარცვლის გულისთვის დურგალი როგორ უნდა დავსაჯოო?! — უთხრა რაჯამ.

შოშია რაჯას მეუღლე რანისთან* (* რანი — დედოფალი.) გაეშურა:

— რანი, რანი! რაჯას სთხოვე დურგალი დასაჯოს. დურგალს არ უნდა წისქვილი დაშალოს და მუხუდოს ნახევარი ამოიღოს. აბა, რა ვჭამო, რითი ვიცხოვრო, ანდა შორეულ მხარეში როგორ გავფრინდეო?

რანიმ მიუგო:

— ჯერ ერთი მარცვალი რა არის და ახლა მისი ნახევარი რა უნდა იყოს! მაგის გულისთვის რაჯას ვერ შევაწუხებო!

შოშია გველთან გაფრინდა:

— გველო, გველო! უკბინე რანის: რანის არ უნდა რაჯას სთხოვოს და დურგალი დაასჯევინოს. დურგალი კი წისქვილს არ შლის, რომ ნახევარი მუხუდოს მარცვალი ამოიღოს, მაშ რა ვჭამო, რითი ვიცხოვრო, ანდა შორეულ მხარეში როგორ გავრინდეო?

გველმა მიუგო:

— შენ რა, ძმობილო, ჭკუაზე ხომ არ შეიშალე. ეგ რა სათხოვარია, ქვეყანა ხომ არ დაიქცა, ნახევარი მუხუდოს მარცვლის გულისთვის რანის ვუკბინოო.

შოშია ჯოხთან მიფრინდა:

— ჯოხო, ჯოხო, გველი მიბეგვე! გველს არ უნდა რანის უკბინოს, რანის არ უნდა რაჯამ დურგალი დასაჯოს, დურგალს არ უნდა წისქვილი დაშალოს, რომ ჩემი ნახევარი მუხუდოს მარცვალი ამოვიღო. აბა, რა ვჭამო, ან რითი ვიცხოვრო, ანდა შორეულ მხარეში როგორ გაფრინდეო?

ჯოხმა მიუგო:

— რას ამბობ, ნახევარი მუხუდოს მარცვლის გულისთვის გველი როგორ მივბეგვოო!

შოშია ცეცხლთან გაფრინდა:

— ცეცხლო, ცეცხლო, დაწვი ჯოხი! ჯოხს არ უნდა გველი მიბეგვოს, გველს არ უნდა რანის უკბინოს, რანის არ უნდა რაჯას სთხოვოს, რაჯას არ უნდა დურგალი დასაჯოს, დურგალს არ უნდა წისქვილი დაშალოს, რომ მე ჩემი ნახევარი მუხუდოს მარცვალი ამოვიღო. მაშ, რა ვჭამო, ან რითი ვიცხოვრო, ანდა შორეულ მხარეში როგორ გავფრინდეო?

— არა, ნახევარი მარცვლის გულისთვის ჯოხს ვერ დავწვავო, — მიუგო ცეცხლმა.

შოშია ზღვისაკენ გაფრინდა:

— ზღვაო, ზღვაო, ჩააქრე ცეცხლი! ცეცხლს არ უნდა ჯოხი დაწვას, ჯოხს არ უნდა გველი მიბეგვოს, გველს არ უნდა რანის უკბინოს, რანის არ უნდა რაჯას სთხოვოს, რაჯას არ უნდა დურგალი დასაჯოს, დურგალს არ უნდა წისქვილი დაშალოს, რომ მე ჩემი ნახევარი მარცვალი ამოვიღო. მაშ რა ვჭამო, როგორ ვიცხოვრო, ანდა შორეულ მხარეში როგორ გავფრინდეო?

ზღვამ მიუგო:

— ჰოი, შოშია, შოშია, ეგ რა გიფიქრია? შენი ნახევარი მარცვლის გულისთვის ცეცხლი როგორ ჩავაქროო?

მაშინ შოშია სპილოსთან გაფრინდა:

— სპილო, სპილო, დააშრე ზღვა! ზღვას არა სურს ცეცხლი ჩააქროს, ცეცხლს არა სურს ჯოხი დაწვას, ჯოხმა გველი მიბეგვოს, გველმა რანის უკბინოს, რანიმ რაჯას სთხოვოს, რაჯამ დურგალი დასაჯოს, დურგალმა წისქვილი დაშალოს, რომ მე ჩემი ნახევარი მარცვალი ამოვიღო. მაშ, რა უნდა ვჭამო, რითი ვიცხოვრო, ანდა შორეულ მხარეში როგორ გავრინდეო?

სპილომ მიუგო:

— აქედან გასწი, შენი ნახევარი მარცვლის გულისთვის ზღვას ვერ დავაშრობო.

შოშია ლიანასთან გაფრინდა:

— ლიანა, ლიანა! შენ ისეთი ძლიერი ხარ, რომ შეგიძლია ყველაზე ძლიერი ხეც კი გაახმო. სპილოს ხორთუმსა და ფეხებზე შემოეხვიე და გაგუდე. მას არ უნდა ზღვა შესვას, ზღვამ ცეცხლი ჩააქროს, ცეცხლმა ჯოხი დაწვას, ჯოხმა გველი მიბეგვოს, გველმა რანის უკბინოს, რანიმ რაჯას სთხოვოს, რაჯამ დურგალი დასაჯოს, დურგალმა წისქვილი დაშალოს, რომ მე ჩემი ნახევარი მარცვალი ამოვიღო. აბა, რა უნდა ვჭამო, რითი ვიცხოვრო, ანდა შორეულ მხარეში როგორ გავფრინდეო?

ლიანამ მიუგო:

— მე არ შემიძლია შენი თხოვნა შევასრულო. მერედა, რა მოხდა, ნახევარი მარცვლისთვის ღირს რომ ქვეყანა შეგიყრიაო?

შოშია გაფრინდა თაგვთან:

— თაგვო, თაგვო, ლიანას ძირი გამოუთხარე! მას არ უნდა სპილო გაგუდოს, სპილოს არ უნდა ზღვა შესვას, ზღვამ ცეცხლი ჩააქროს, ცეცხლმა ჯოხი დაწვას, ჯოხმა გველი მიბეგვოს, გველმა რანის უკბინოს, რანიმ რაჯას სთხოვოს, რაჯამ დურგალი დასაჯოს, დურგალმა წისქვილი დაშალოს და მე ჩემი მარცვალი ამოვიღო. მაშ, რა ვჭამო, რითი ვიცხოვრო, ანდა შორეულ მხარეში როგორ გავფრინდეო?

თაგვმა მიუგო:

— რას ამბობ, შოშია! ნახევარი მარცვლის გულისთვის ლიანას როგორ დავღრღნიო.

— მაშ კარგი, იცოდე, ინანებო, — უთხრა გოგიამ და გაფრინდა კატასთან:

— კატავ, თაგვი შეჭამე! თაგვს არ უნდა ლიანა დაღრღნას, ლიანამ სპილო გაგუდოს, სპილომ ზღვა შესვას, ზღვამ ცეცხლი ჩააქროს, ცეცხლმა ჯოხი დაწვას, ჯოხმა გველი მიბეგვოს, გველმა რანის უკბინოს, რანიმ რაჯას სთხოვოს, რაჯამ დურგალი დასაჯოს, დურგალმა წისქვილი დაშალოს, რომ ჩემი ნახევარი მარცვალი ამოვიღო. აბა, რა ვჭამო, რითი ვიცხოვრო, ანდა შორეულ მხარეში როგორ გავფრინდეო.

კატა მშიერი იყო. გაიგონა თუ არა თაგვის სახელი, თვალები დააჭყიტა.

— ჩქარა წავიდეთო! — უთხრა კატამ შოშიას და თაგვისაკენ გაეშურნენ.

თაგვმა შოშია და კატა რომ დაინახა, შიშისაგან გაიცია:

კატავ, ოღონდ არ შემჭამო და ლიანას დავღრღნიო.

ლიანამ შოშია და თაგვი რომ დაინახა, აცახცახებული შეევედრა:

— თაგვო, ოღონდ არ დამღრღნა! სპილოს შემოვეხვევი და გავგუდავო.

სპილომ შოშია და ლიანა რომ დაინახა, დაიყვირა:

— ლიანა, ოღონდ არ შემომეხვიო და ზღვას შევსვამო.

ზღვამ შოშიას უკან მომავალი სპილო რომ დაინახა, ადუდუნდა:

— სპილო, სპილო, ოღონდ არ შემსვა და ცეცხლს ჩავაქრობო.

ცეცხლმა შოშია და ზღვა რომ დაინახა, ატკრციალდა:

— ზღვაო, ზღვაო! ოღონდ არ ჩამაქრო და ჯოხს დავწვავო.

ჯოხმა შოშია და ცეცხლი რომ დაინახა, იყვირა:

— ცეცხლო, ცეცხლო! ოღონდ არ დამწვა და გველს მივბეგვავო.

გველმა ჯოხი დაინახა და დაისისინა:

— ჯოხო, ჯოხო! ოღონდ არ მომკლა და რანის ვუკბენო.

რანიმ საზარელი გველი რომ დაინახა, დაიყვირა:

— გველო, გველო! ოღონდ არ მიკბინო და რაჯას ვთხოვო.

რანიმ სთხოვა რაჯას, რომ დურგალი დაესაჯა.

რაჯამ დაუძახა დურგალს და უბრძანა, დაშალე წისქვილი და შოშიას ნახევარი მარცვალი ამოიღეო.

— წისქვილს თუ არ დაშლი, დაგსჯიო, — დაემუქრა რაჯა დურგალს.

— ოჰ, რაჯა, ოღონდ არ დამსაჯო და ყველაფერს შეგისრულებო! — უთხრა დურგალმა.

დურგალი მაშინვე გაეშურა წისქვილისაკენ, დაშალა და ნახევარი მარცვალი ამოიღო.

შოშიამ დასტაცა პირი მარცვალს, ფრთა ფრთას შემოჰკრა და შორეულ მხარეში ბარტყების გამოსაჩეკად გაფრინდა.

<u>ვაჭარი და მაიმუნი</u>

ერთმა ვაჭარმა ხის ძირას შეისვენა და ბოხჩა გვერდზე მოიდო. ბოხჩაში გამოკრული წითელი ქუდები ვაჭარს ქალაქში მიქონდა გასაყიდად. თავზეც წითელი ქუდი ეხურა. კარგა ხანს იჯდა ვაჭარი ხის ძირას, მერე კი წამოწვა. გრილმა ნიავმა ძილი მოჰგვარა და წასთვლიმა.

ხეზე შემომსხდარი მაიმუნები თვალებდაჭყეტილები დაჰყურებდნენ მგზავრს. ვაჭარს ჩაეძინა თუ არა, მაიმუნები ხიდან ჩამოცოცდნენ, ქუდები დაიტაცეს, თავზე ჩამოიფხატეს და ისევ ხეზე აცვივდნენ, ტოტიდან ტოტზე დახტოდნენ. მთელ ჯუნგლებში ისმოდა მათი ყიჟინა.

მაიმუნების ჟრიამულზე ვაჭარს გამოეღვიძა, ნახა ბოხჩა ცარიელი იყო, სადღაა ქუდები, ნეტა რა იქნა, ჩემი ქუდები ვინ მომპარაო, გაიფიქრა ვაჭარმა. უცებ მაღლა აიხედა და, რა დაინახა: მაიმუნებს მისი ქუდები დაუხურავთ და ტოტიდან ტოტზე დახტიან.

ვაჭარი ბევრს ეცადა, ხან შეაშინა, ხან დაემუქრა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ბოლოს გაბრაზდა, გულმოსულმა ქუდი თავიდან მოიგლიჯა და მიწაზე დაანარცხა:

— აჰა, ჩემი ქუდიც წაიღეთო!

მაიმუნი ხომ ყველაფერში ადამიანსა ჰბაძავს, ვაჭარს ჯერ სიტყვაც არ ჰქონდა დამთავრებული, რომ მაიმუნებმაც მოიხადეს ქუდები და ძირს ჩამოყარეს.

ვაჭარმა წამოკრიფა ქუდები, ისევ ბოხჩაში გამოკრა და გახარებული გაუდგა თავის გზას.

ნამდვილი პატრონი

ერთ ქალაქს მტერი დაესხა. მდიდარი ვაჭრები, ისინი, ვინც თავს ქალაქის პატრონებად თვლიდნენ, სათათბიროდ შეიკრიბნენ, როგორ დაეცვათ თავი მტრისაგან.

ყველა ყველა და, ვაჭარი კი ყოველთვის მოგებაზე ფიქრობს.

საქონლის გასასაღებლად კაცი ამაზე კარგ დროს ვერ იშოვისო, გაიფიქრა აგურით მოვაჭრემ და თქვა:

— სხვა გზა არ არის, ქალაქს გარშემო აგურის გალავანი უნდა შემოვავლოთო.

— რას ამბობ! — შეედავა ხე-ტვით მოვაჭრე, —ქალაქს მსხვილი მორების გალავანი რომ შემოვავლოთ, უფრო საიმედოა, მტერი ვერ შემოვაო.

— არც ერთის რჩევა ვარგა და არც მეორისა, — შესძახა ბამბით მოვაჭრემ. — უმჯობესია, ბამბის ბარდანები შემოვავლოთ ქალაქს, აბა, თქვენ თვითონ იფიქრეთ, ასეთ კედელს ვინ გაარღვევსო?

ზოგმა რა თქვა, ზოგმა რა. ისინი ქალაქის დაცვაზე კი არ ფიქრობდნენ, ის აწუხებდათ, როგორ გაესაღებინათ თავისი საქონელი და რაც შეიძლება ბევრი ფული მოეგოთ.

სანამ ვაჭრებმა იკამათეს, მტერი ქალაქში შეიჭრა.

მაშინ ქალაქის ნამდვილი პატრონები, უბრალო ადამიანები, აღდგნენ და განდევნეს მტერი.

ვაჭარი და მეკურტნე

ერთმა ვაჭარმა მეკურტნეს უთხრა:

— აიღე ეს ბოთლებით სავსე კალათა და ჩემს სახლში წაიღე. გასამრჯელოდ სამ ისეთ რჩევას მოგცემ, რომ დიდი სარგებლობა მოგიტანოსო.

მეკურტნე დათანხმდა, კალათა ზურგზე მოიკიდა და ფეხდაფეხ გაჰყვა ვაჭარს. გზის მესამედი რომ გაიარეს, მეკურტნემ ჰკითხა:

— აბა, საჰიბ,* (* საჰიბ — ბატონო. მიმართვა თავაზიანობის გამოსახატავად, სახელის შემდეგ დაისმის. «საჰიბ» — ასე მიმართავს ინდოელი მდაბიო ხალხი ინგლისელებს და, საზოგადოდ, ევროპელებს. სიტყვა შემოსულია სპარსულიდან.) შენი პირველი რჩევა მითხარიო.

ვაჭარმა მიუგო:

— თუ ვინმემ გითხრას, შიმშილი სჯობია მაძღარი მუცლით სიარულსო, არ დაიჯეროო.

— კარგი რჩევაა! — მიუგო მეკურტნემ.

როცა გზის მეორე მესამედი გაიარეს, მეკურტნემ ჰკითხა ვაჭარს:

— აბა, ახლა მეორე რჩევა მითხარიო.

ვაჭარმა მიუგო:

— თუ ვინმემ გითხრას, ცხენით სიარულს ფეხით სიარული სჯობიაო, არ დაუჯეროო!

— ეს რჩევა პირველზე უკეთესიაო, — უთხრა მეკურტნემ.

როცა ვაჭრის სახლს მიუახლოვდნენ, მეკურტნემ ჰკითხა:

— აბა, მესამე რჩევაც მითხარიო.

ვაჭარმა უთხრა:

— თუ ვინმე გეტყვის, შენზე სულელი მეკურტნე მინახავსო, არ დაიჯეროო!

მეკურტნე გაბრაზდა, კალათა მიწაზე დაანარცხა და უთხრა:

— თუ ვინმემ გითხრას, ამ კალათაში ერთი ბოთლი მაინც დარჩა მთელი, არც ეს დაიჯეროო!

<u>ბრძენი თუთიყუში</u>

ერთ ვაჭარს დიდხანს ჰყავდა თუთიყუში.

ერთხელ ვაჭარმა სავაჭრო საქმეების მოსაგვარებლად ბენგალიაში წასვლა გადაწყვიტა. გამგზავრების წინ თავი მოუყარა შინაურებს და უთხრა:

— მე ბენგალიაში მივდივარ. მითხარით, ვის რა გინდათ საჩუქრად ჩამოგიტანოთო. — საჩუქარზე უარი არავინა თქვა. ვაჭარი გამოემშვიდობა ოჯახს და ის იყო წასვლა დააპირა, რომ უცებ თუთიყუში გაახსენდა.

— შენ რაღა ჩამოგიტანოო? — ჰკითხა ვაჭარმა თუთიყუშს.

— მე შენი არაფერი მინდა, — მიუგო თუთიყუშმა, — მაგრამ თუ ერთ თხოვნას შემისრულებ, კარგი იქნებაო.

— მითხარი, რასა მთხოვო, — ჰკითხა ვაჭარმა და ჩაეცინა, — ვეცდები, შეგისრულოო.

თუთიყუშმა უთხრა:

— ბენგალიაში, იმ ადგილის ახლოს, სადაც შენ სავაჭროდ მიდიხარ, ერთი მინდორია, მინდორზე ერთი ხე დგას, ზედ თუთიყუშები ბუდობენ. ნახე ის თუთიყუშები, ჩემი სალამი გადაეცი და თან უთხარი, ჩემი თუთიყუში გალიაშია გამომწყვდეული და შემოგითვალათ, თქვენ რომ თავისუფლად დაფრინავთ და გაჭირვებულებზე არა ფიქრობთ, ქვის გულები ხომ არ გაქვთ. მოფრინდით, ტყვეობიდან დაგვიხსენით, თორემ სული გალიებში ამოგვძვრება-თქო. აბა, ვნახოთ, რას გეტყვიან. თუ ამას შემისრულებ, დიდ სამსახურს გამიწევო.

— კარგი, ყველაფერს ვეტყვიო, — უთხრა ვაჭარმა და თუთიყუშის ნათქვამი დაიმახსოვრა. ვაჭარი ჩავიდა ბენგალიაში, იყიდა საქონელი და გაეშურა იმ მინდვრისაკენ, სადაც თუთიყუშები სახლობდნენ. ხედავს, მინდორში უზარმაზარი ბებერი ხე დგას, ზედ თუთიყუშები შემომსხდარან.

— ჰეი, თუთიყუშებო! — შესძახა ვაჭარმა. — ჩემი თუთიყუში სალამს გითვლითო, — და სიტყვა-სიტყვით გაიმეორა, რაც თუთიყუშმა დააბარა. ჯერ სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ უცებ თუთიყუშები ხიდან უსულოდ ჩამოცვივდნენ.

ვაჭარი გაოცდა, იფიქრა, ალბათ ეს გარეული თუთიყუშები წინათ ჩემი თუთიყუშის მეგობრები იყვნენ და იმის ამბავი რომ გაიგეს, იმიტომ დაიხოცნენო.

ვაჭარმა უყურა დახოცილ თუთიყუშებს, უყურა. ბოლოს ქალაქში გაბრუნდა და გასამგზავრებლად მოემზადა.

შინ მშვიდობით დაბრუნდა, ყველას საჩუქრები ჩამოუტანა, ხოლო თუთიყუშს არაფერი უთხრა. არ უნდოდა მეგობრების სიკვდილით დაედარდიანებინა.

თუთიყუში თვითონ შეეკითხა:

— ბატონო, გადაეცი თუ არა ჩემი სალამი, რატომ პასუხს არ მეუბნებიო?

— შენი სალამი გადავეცი, — მიუგო ვაჭარმა, — მაგრამ პასუხი არ მიმიღიაო.

თუთიყუში ძალიან დაღონდა.

— მაშინ ის მაინც მიამბე, მინდორზე რა ნახეო.

ვაჭარმა, მეტი რა გზა ჰქონდა, ყველაფერი უამბო.

— როგორც მითხარი, მივედი იმ მინდორზე. ვხედავ, ხეზე თუთიყუშები შემომსხდარან. როგორც კი შენი სალამი გადავეცი, მაშინვე მიწაზე უსულოდ დაცვივდნენო.

ეს თქვა თუ არა ვაჭარმა, თუთიყუში დარეტიანდა და უსულოდ დაეცა ძირს.

შეწუხდა ვაჭარი. მეგობრების სიკვდილის ამბავი არ უნდა მეთქვაო, გაიფიქრა.

მერე გააღო გალია, თუთიყუშს ფეხებში მოჰკიდა ხელი და სარკმელში გაისროლა. ის კი შეფრთხიალდა და გაფრინდა.

ვაჭარი მიხვდა, გარეული თუთიყუშებიც ცოცხლები იყვნენ, მათ მხოლოდ იმიტომ მოიმკვდარუნეს თავები, რომ დამწყვდეულ თუთიყუშისთვის ენიშნებინათ, როგორ გათავისუფლებულიყო ტყვეობიდან.

<u>როგორ იძია შური მელიამ მგელზე</u>

ერთხელ ჯუნგლების მბრძანებელმა ლომმა მხეცები იხმო. დიდმა თუ პატარამ დანიშნულ დროზე ადრე მოიყარა თავი, მხოლოდ მელამ დაიგვიანა; გზაზე კურდღელი დაეჭირა და იმას შეექცეოდა.

ლომი თავის მოადგილეს, მგელს მოუჯდა გვერდით და ის იყო ლაპარაკის დაწყებას აპირებდა, რომ უცებ გზაზე მელია გამოჩნდა. მგელმა დაინახა თუ არა მელია, ლომს წასჩურჩულა:

— ერთი უყურე მაგ თავხედს! ყველაზე ადრე უნდა მოსულიყო და ყველასთვის თავ-თავისი ადგილი მიეჩინა, ეგ კი გვიან მობრძანდებაო!

ლომი ძალიან განრისხდა მელიაზე და დაიღმუძლა:

— როგორ გაბედე დაგვიანება? ურჩობისათვის ახლავე დაგსჯიო.

მელია მიხვდა, რომ მგელმა დაასმინა, ფრთხილად მიუახლოვდა ლომს და შეჰკადრა:

— ჩემო მბრძანებელო, მზადა ვარ თქვენთვის მოვკვდე, მაგრამ ჯერ ერთი ამბავი მინდა მოგახსენოო.

— თქვიო! — დაიღმუვლა ლომმა.

— არ იფიქრო, მბრძანებელო, თითქოს ჩემი მუცლის გულისთვის დამეგვიანოს. სრულებითაც არა! მე მხოლოდ ამ დილას გავიგე, რომ ყბაზე რაღაც სიმსივნე გამოგსვლია და მკურნალთან გავიქეცი, გავიგებ, მორჩენა რითი შეიძლება-მეთქი. დაგვიანებითაც ამიტომ დამაგვიანდაო.

ლომმა ყბაზე თათი მოისვა, მართლაც დასიებული ჰქონდა, ეტყობა, მუმლმა უკბინა.

მელიამ განაგრძო:

— მკურნალმა მითხრა, სიმსივნე ძალიან საშიშიაო. თუ დროზე არ იწამლებ, მთელი ტანი გაგისივდება და მაშინ...

— რას ამბობ! ამან უნდა მომკლასო? — შეშფოთდა ლომი. — თქვი ჩქარა, მკურნალმა რა გირჩია, როგორ მოიქცესო.

— ჰოდა, აი, ამიტომაც დამაგვიანდა. მკურნალმა დიდხანს იფიქრა და ბოლოს თქვა, სიმსივნეზე მგლის გული დაიდოს და სწრაფად გაუვლისო.

ლომს დიდხანს აღარ უფიქრია. ეცა მგელს, გაგლიჯა, ამოაცალა გული და ყბაზე დაიდო.

ამრიგად, მელიამ მგელზე შურიც იძია და თავიც დაიხსნა.

<u>ბოროტი ვეზირი</u>

ეს ამბავი მაშინ მოხდა, როცა ქაშმირს ბაღათურ-ხანი მართავდა.

ერთ საღამოს ბაღათურ-ხანი და მისი ვეზირი სასახლის ბაღში დასეირნობდნენ. ამ მშვენიერსა და მყუდრო ბაღში შესვლის უფლება მათ გარდა არავის ჰქონდა, მაგრამ იმ საღამოს ისე მომხდარიყო, რომ ბაღის კარი ღია დარჩენოდათ და შიგ მოხუცი ფაკირი* (* ფაკირი — მათხრვარი, ოინბაზი, ამავე დროს ბრძენი და ჯადოქარი.) შეპარულიყო.

ვეზირმა ფაკირი რომ დაინახა, სულ ცოფები ყარა:

— ჰეი, მსახურნო! ჩქარა დასაჯეთ ეს მათხოვარი! ამან ბაღათურ-ხანის ბაღი შებილწაო.

ბაღათურ-ხანმა მსახურები შეაჩერა და ფაკირს მიმარა:

— მამი, შენ მოხუცი და თანაც ბრძენი კაცი ხარ. ამქვეყნად ბევრი რამ გინახავს და გაგიგონია, მოდი, შენი სიბრძნისაგან მცირედი რამ გვაჩუქე და შინ მშვიდობით წადიო.

— იყოს ნება შენი, — მიუგო ფაკირმა. — მე ერთ რამეს გასწავლით, მხოლოდ გახსოვდეთ: კეთილ ადამიანს ამის ცოდნა ზიანს არ მოუტანს, ბოროტს კი დაღუპავსო.

— მბრძანებელო ნუ მოუსმენო! — შესძახა ვეზირმა.

— რატომ არ უნდა მოვუსმინო, თქვას, მე გულში სიბოროტის ნატამალიც არ მიდევსო, — მიუგო ბაღათურ-ხანმა.

ფაკირმა ირგვლივ მიიხედ-მოიხედა, ბილიკზე მკვდარი თუთიყუში დაინახა, მივიდა, თუთიყუშისაკენ დაიხარა და რაღაც წაიბუტბუტა. ფაკირი მკვდარი დაეცა, მკვდარი თუთიყუში კი უცბად გაცოცხლდა და იქვე ხეზე შეფრინდა.

ბაღათურ-ხანი და ვეზირი გაოცდნენ და რამდენიმე ხანს გონს ვერ მოვიდნენ.

ამასობაში თუთიყუშმა ბაღს შემოუფრინა, უკან გამობრუნდა და ისევ იმ ადგილზე დაეცა მკვდარი. ფაკირის სხეულიც მაშინვე შეირხა, თვალები აახილა და ისე წამოდგა, თითქოს აქ არაფერი მომხდარაო.

ბაღათურ-ხანი და ვეზირი ხმას ვერ იღებდნენ გაოცებისაგან. როდესაც ენა ამოიდგეს, ბაღათურ-ხანმა ფაკირს სთხოვა:

— ეგ საოცარი ხელოვნება მასწავლეო.

ვეზირიც შეეხვეწა და ბრძენმა ფაკირმა ჯადოსნური შელოცვა ორივეს ასწავლა.

— ოღონდ დაიმახსოვრეთ, კეთილ ადამიანს ეს სასწაული არაფერს ავნებს, ბოროტს კი დაღუპავსო, — გაუმეორა ფაკირმა, თავი მდაბლად დაუკრა და სასახლის ბაღიდან წავიდა.

კარგა დრომ გაიარა. ერთხელ ბაღათურ-ხანი თავისი ნაზირ-ვეზირით სანადიროდ იყო წასული. ტყეში ბაღათურ-ხანი და ვეზირი სხვებს ჩამოშორდნენ და უდაბურ ტყეში მიმავალ ბილიკს გაჰყვნენ. უცებ ბაღათურ-ხანის ცხენი შედგა. ხანი დაიხარა და რასა ხედავს, ბილიკზე საოცარი სილამაზის, თოვლივით თეთრი, ყვითელნისკარტა, ყვითელფეხება და წითელქოჩორა თუთიყუში გდია! ბაღათურ-ხანმა იფიქრა, მოდი, ფაკირის ნასწავლ შელოცვას ვცდიო და ვეზირს უთხრა:

— ერთი ნახე, რა ლამაზი თუთიყუშია, მოდი, შეულოცე და გააცოცხლეო!

ვეზირი უარზე დადგა.

— მე ვერ გავბედავ! გრძნეული სიტყვები კარგად აღარ მახსოვსო.

მაშინ ბაღათურ-ხანმა უთხრა:

— მაშ კარგი! შენ ჩემს ცხენს უყარაულე, მე კი ფაკირის შელოცვას ვცდიო.

ხანი ცხენიდან ჩამოხტა, მკვდარი თუთიყუშისკენ დაიხარა და შეულოცა.

თვალის დახამხამებაზე ბაღათურ-ხანის უსულო გვამი მიწაზე დაეცა, ლამაზი თუთიყუში კი გაცოცხლდა და გახარებული ხეზე შეფრინდა.

ვეზირი სწორედ ამას ელოდა. სწრაფად ჩამოხტა ცხენიდან და ბაღათურ-ხანს შეულოცა. ახლა ვეზირი დაეცა მიწაზე მკვდარი, ბაღათურ-ხანი კი გაცოცხლდა. მაგრამ იგი კეთილი ბაღათურ-ხანი კი არა, ბოროტი ვეზირი გახლდათ ბაღათურ-ხანის სახით.

ვეზირ-ხანმა, ასე ვუწოდოთ ბაღათურ-ხანს, შუაზე გაკვეთა ვეზირის გვამი! მშვილდ-ისარს ხელი დასტაცა და თეთრ თუთიყუშს დაუმიზნა, მაგრამ თუთიყუში საცოდავი ჩხავილით ტყეში მიიმალა.

გაბრაზებული ვეზირ-ხანი ცხენს მოახტა, სხვა მონადირეებისკენ გაჭენა, ყველანი ერთად შეყარა და უთხრა:

— ჩვენი ვეზირი ცხენიდან ჩამოვარდა და მოკვდა. წითელქოჩრიანმა თეთრმა თუთიყუშმა დაუფრთხო ცხენი. გიბრძანებთ: სადაც კი თვალი მოჰკრათ წითელქოჩრიან თეთრ თუთიყუშებს, შეუბრალებლად დახოცეთო.

გაოცდნენო მონადირეები, არაფერი ესმოდათ. აბა, რას მიხვდებოდნენ, რომ ამ ბრძანებას ბაღათურ-ხანის სახით ვეზირი იძლეოდა, ხოლო თვით ბაღათურ-ხანი კი სწორედ ის თეთრი თუთიყუში იყო!

მონადირეები მთელ ტყეს მოედვნენ და ხოცავდნენ თუთიყუშებს.

როცა თუთიყუშები სულ გაწყვიტეს, ვეზირ-ხანმა მონადირეები შეაქო და კმაყოფილი გაეშურა სასახლისაკენ.

რა იცოდა ვეზირ-ხანმა, რომ ერთი ულამაზესი თუთიყუში ხის ფუღუროში დაემალა და იქიდან გულისწყრომითა და რისხვით გამოსცქეროდა.

ვეზირ-ხანი დაბრუნდა სასახლეში და შეუდგა მართვას. ხალხი და სასახლის კარისკაცები გაოცებულნი იყვნენ; ვერ სცნობდნენ თავიანთ მბრძანებელს. რა მოუვიდა, ასე რამ შეცვალა და გააბოროტა, გული რამ გაუქვავაო, ფიქრობდნენ, მაგრამ ვერა გაეგოთ რა.

გავიდა დრო. ვეზირ-ხანი ისევ სანადიროდ წავიდა. იღბლიანად ინადირეს. მოკლა ორი ტახი, ერთი ირემი და ფურ-ირემი, მაგრამ ერთი ლამაზი ბებერი ირემი მარეკებს გაუსხლტა და ტყეს შეეფარა. ნადირობით გატაცებული ვეზირ-ხანი უკან დაედევნა.

კარგა ხანს სდია. ირემი დაიღალა. ვეზირ-ხანის ცხენიც დაიქანცა. გაბრაზებული ვეზირ-ხანი ცოფებს ყრიდა. უცებ იქვე, ბუჩქებში, მკვდარი ჯიქი დაინახა.

— ოჰო, — შესძახა ვეზირ-ხანმა, — ახლა კი ვეღარსად წამიხვალ, ჯიქის კლანჭებს ვერც ერთი ნადირი ვერ გადაურჩებაო, — და ცხენიდან ჩამოხტა.

ვეზირმა ჯიქს შეულოცა, თვალისდახამხამებაში ჯიქად იქცა და ირემს დაედევნა. ვეზირ-ხანის უსიცოცხლო გვამი კი ბუჩქებში დარჩა.

ამ დროს ხის კენწეროდან მიწაზე ზღართანი მოადინა წითელქოჩრიანმა თუთიყუშმა, მოკეცა ფრთები და იქვე სული განუტევა. ბაღათურ-ხანი კი გაცოცხლდა, მოახტა ცხენს და გახარებულმა გააქროლა თავისი ამალისაკენ.

მონადირეებს გაუკვირდათ, ბაღათურ-ხანი მხიარულ გუნებაზე რომ დაინახეს. აბა, რა იცოდნენ, დღემდე ვინც ბაღათურ-ხანი ეგონათ, ვეზირ-ხანი იყო და მხოლოდ ახლა დაუბრუნდათ ნამდვილი ბაღათურ-ხანი.

ბაღათურ-ხანმა ალერსიანი სიტყვებით გაამხნევა ყველანი და უთხრა:

— წეღან დავინახე, ტყეში ირემს შავი ჯიქი მისდევდა. ის ჯიქი ან მოკალით, ან ცოცხლად დაიჭირეთ და ჯილდოდ რაც გინდათ ის მომთხოვეთო.

მონადირეებმა და მარეკებმა მხიარული ყიჟინით გაქუსლეს ტყისკენ. მალე მათი ხმები მიწყდა და მიდამო ჩაიყურსა.

დიდხანს იცადა ბაღათურ-ხანმა და ძლივს, როგორც იყო, მოესმა მონადირეების ხმა, ისინი ხმაურით გარშემოერტყნენ ბაღათურ-ხანს.

— სად არის თქვენი ნანადირევი? — ჰკითხა ბაღათურ-ხანმა.

— აი, მბრძანებელო, — მიუგეს მონადირეებმა. ბაღათურ-ხანმა დაინახა ისრებით განგმირული შავი ჯიქი და გაიფიქრა: ვერაგო ვეზირო, ულმობელი იყავი, მხეცის გული გქონდა და მხეცივით მოკვდი! მართალი იყო ბრძენი ფაკირი: ამ გრძნეულ შელოცვას ბოროტისათვის სიკვდილი მოაქვსო!

ხმამაღლა კი თქვა:

— ჯიქი ტურებს გადაუდგათ. ახლა უკვე ვეღარავის შეაშინებსო.

მონადირეებმა შეასრულეს მისი ბრძანება.

იმ დღიდან ბაღათურ-ხანს ბრძენი ფაკირის ნასწავლი შელოცვა აღარ გაუმეორებია, ვინ იცის, ამას რა მოჰყვებაო, ფიქრობდა.

ლომი და მისი ქვეშევრდომნი

ერთხელ ნადირთა მეფე ლომი თავის ბუნაგში ისვენებდა. სტუმრად დათვი, მაიმუნი და მელია ეწვივნენ. ლომმა დათვს ჰკითხა:

— ერთი მითხარი, ჩემს ბუნაგში როგორი სუნი დგასო.

დათვმა მოახსენა:

— ოო, ქვეყნის მბრძანებელო, თქვენი ბუნაგი ისე ყარს, აქ გაჩერება მნელიაო.

გაბრაზებულმა ლომმა დაიღმუვლა:

— როგორ გაბედე ასეთი თავხედობა, მხეცების «ფადიშაჰს* (* ფადიშაჰი — მეფე. ინდოეთში სპარსულიდან არის შესული. გვხვდება სხვა ფორმითაც. კერძოდ, ბადშაჰია.) ეს როგორ მაკადრეო, — და ისეთი შემოჰკრა დათვს, ძვალი და რბილი გაუერთიანა.

შემდეგ ლომი მაიმუნს მიუბრუნდა:

— აბა, შენ მითხარი, როგორი სუნი დგას ჩემს ბუნაგში, კარგი თუ ცუდიო?

მაიმუნმა მოახსენა:

— თქვენო აღმატებულებავ, თქვენს ბუნაგში ისეთი სასიამოვნო სუნი დგას, პირდაპირ დავიბნიდეო.

მაიმუნის პასუხზეც გაბრაზდა ლომი.

— შენ გინდა მომელაქუცო და ტყუილს იმიტომ ამბობო, — დაიღრიალა და ერთი ისეთი შემოჰკრა მაიმუნს, რომ სული იქვე გააფრთხობინა.

ლომი ახლა მელიას მიუბრუნდა:

— მართალი თქვი, ჩემს ბუნაგში როგორი სუნი დგასო.

მელიამ მოახსენა:

— ოო, მხეცების ფადიშაჰო! გაციებული გახლავარ, სურდო მჭირს და სუნს ვერა ვგრძნობო.

— შენ რომ ეშმაკი და მატყუარა ხარ, ეს ვინ არ იცის! — ჩაილაპარაკა ლომმა და აღარაფერი თქვა.

ასე გადარჩა მელია სიკვდილს.

ეშმაკი ქურდი

ერთხელ ერთ ქარვასლაში ქურდი გაჩერდა. დიდხანს ეძება ხელის გასაკრავი, მაგრამ ვერაფერი იპოვა.

უცებ ქურდმა დაინახა, რომ ქარვასლის პატრონმა ლამაზი, ახალთ-ახალი ხალათი ჩაიცვა და შესასვლელში დაჯდა, უნდოდა ძვირფასი სამოსით ხალხი გაეკვირვებინა.

ქურდი ადგა, ქარვასლის პატრონს გვერდით მიუჯდა და საუბარი გაუბა. რაც კი ენაზე მოადგებოდათ, ყველაფერზე ლაპარაკობდნენ: ამინდზე, მოსავალზე ფასებზე.

მოულოდნელად ქურდი ფეხზე წამოვარდა, დაამთქნარა და ტურასავით დაიყმუვლა:

— უუ... უუ... უუ...

ქარვასლის პატრონს შეეშინდა და ჰკითხა:

— ტურასავით რადა ყმუიხარო?

ქურდმა მიუგო:

— ამ რამდენიმე დღის წინათ ცოფიანმა ტურამ დამკბინა, მას მერე ასე დამჩემდა. ჯერ სამჯერ დავამთქნარებ, მერე დავიყმუვლებ, მერე კი, ვინც შემხვდება, ვკბენო.

ქურდმა ისევ დაამთქნარა და დაიყმუვლა.

ქარვასლის პატრონი გაფითრდა, დამდუღრულივით წამოხტა და გაქცევა დააპირა. მაგრამ ქურდმა სახელოში სტაცა ხელი და შეეხვეწა:

— ბატონო, შემიბრალე, მარტო ნუ დამტოვებ, ვინ იცის, რა მომივაო, — და ისევ დაიყმუვლა: — უუ... უუ... უუ.....

ქარვასლის პატრონს უფრო ძალიან შეეშინდა და გასაქცევად გაიწია.

სახელოში ჩაფრენილი ქურდი კი არ ეშვებოდა. მაშინ პატრონმა გაიძრო თავისი ძვირფასი ხალათი და ქარვასლაში დაიმალა.

ქურდსაც ეს უნდოდა. თავი მიანება ყმუილს, ხალათი იღლიაში ამოიდო და მოკურცხლა.

ბრმა მათხოვარი

დიდი ხნის წინათ, ერთი ქალაქის ბაზრის მოედანზე ერთი ბრმა მათხოვარი გამოჩნდებოდა ხოლმე და სევდიანად გაჰყვირდა:

— გთხოვთ მოწყალება მოიღოთ და ერთი სილა მითავაზოთ, მე კი გიამბობთ, სიხარბემ როგორ დამაბრმავა და როგორ მომისპო დღის სინათლის ხილვის საშუალება.

სახელად აბდულა მქვია, ბაღდადელი ვარ. მამის გარდაცვალების შემდეგ დიდძალი ქონება დამრჩა, მაგრამ ჩემი უჭკუობითა და სიზარმაცით, მალე გავანიავე. ცოლი სულ იმას ჩამჩიჩინებდა, რაც ფული დაგვრჩა, იმით ორი აქლემი მაინც იყიდეო. მეც ავდექი და ვიყიდე აქლემი. ამ აქლემებით ტვირთს ვზიდავდი და ასე ვირჩენდი თავს. კაპიკს კაპიკზე ვადებდი და მალე გავმდიდრდი კიდეც. რამდენიმე წლის შემდეგ ქარავანში უკვე ოთხმოცი აქლემი მყავდა. ბაღდადიდან ხან ბასრუმში გადამქონდა ტვირთი, ხან სხვა რომელიმე დიდ ქალაქში.

ერთხელ ჩემი ქარავნით ბაღდადში ვბრუნდებოდი. შუა გზაზე შევისვენე, აქლემები ერთმანეთზე გადავაბი და საძოვარზე გავუშვი, მე კი ხის ძირას დავჯექი. უცბად საიდანღაც მოხუცი დერვიში გამომეცხადა. მივესალმეთ ერთმანეთს, მოხუცი გვერდით მომიჯდა და მკითხა, საიდან მოდიხარ, ან საით მიეშურებიო. მე ვუთხარი ჩემი ვინაობა და სუფრაზე მივიპატიჟე... დიდხანს ვისხედით ხის ძირას და ვსაუბრობდით. უცებ მოხუცმა მითხრა:

— მთებში ერთი ადგილი ვიცი, იქ ისეთი დიდძალი განძია დამარხული, შენი აქლემები თუნდაც ყველა დატვირთო, იმ განძს მაინც არა შეეტყობა რაო.

ეს სიტყვები რომ გავიგონე, იმ სიმდიდრის ხელში ჩაგდება მომინდა და დერვიშს ვთხოვე.

— ოღონდ ის ადგილი მაჩვენე და ერთ აქლემს გაჩუქებ, დატვირთე ოქროთი და საითაც გინდა, იქით წადი-მეთქი.

— ასე იაფად გინდა ამდენი სიმდიდრის ხელში ჩაგდება? აი, შენი აქლემების ნახევარს თუ მომცემ, იმ ადგილს მაშინ გაჩვენებო.

ორმოცი აქლემი რომ მივცე და დანარჩენი ორმოცი ჩემთვის დავტვირთო, მაინც კარგი იქნება. ხუმრობა ხომ არ არის უშრომლად ამდენი სიმდიდრის ხელში ჩაგდება-მეთქი, გავიფიქრე და შევპირდი, რომ ორმოც აქლემს მივცემდი.

ჩავამწკრივეთ ოთხმოცი აქლემი და გავუდექით გზას. მალე მივაღწიეთ მთებს, დაბურულ ხეობაში შევედით. ისეთი ვიწრო ხეობა იყო, თითო აქლემი ძლივს გაივლიდა. უცბად წინ მომავალი დერვიში მომიბრუნდა და მითხრა:

— მოვედით, ახლა შეგიძლია აქლემები დატვირთოო.

რამდენიმე ნაბიჯი კიდევ გადავდგით და ერთ მაღალ კლდესთან შევჩერდით. დერვიში წავიდა, ერთი იღლია ფიჩხი მოიტანა და ცეცხლი დაანთო, მერე ცეცხლში რაღაც ფხვნილი ჩაყარა და ბუტბუტს მოჰყვა. უცბად ჩვენს ფეხქვეშ მიწა შეზანზარდა და დაიგრგვინა. იქ კი, სადაც ცეცხლი ენთო, მიწა გაიპო და ვეება ნაპრალი გაჩნდა.

— მომყევიო, — მითხრა დერვიშმა.

ჩვენ ნაპრალს ჩავყევით და უშველებელ გამოქვაბულში ამოვყავით თავი. ნახა, მაგრამ რა ნახა ჩემმა თვალებმა! ოქროს ფული გორებად იდგა, ძვირფასი თვლებით სავსე სკივრები... საითაც გაიხედავდით, ყველგან განძი იყო დახვავებული!

გიჟივით ვხვეტდი ძვირფას ნივთებს, ოქროს ფულებს ჯიბეში ვიყრიდი. დერვიშმა მირჩია, საჩქაროდ დამეტვირთა აქლემები.

აქლემები რომ დავტვირთეთ, დერვიშმა ერთი სკივრიდან ვერცხლის პატარა კოლოფი ამოიღო, შეათვალიერა და ფრთხილად ჩაიდო ჯიბეში. მერე მომკიდა ხელი

და გამოქვაბულიდან გამომიყვანა. გამოვედით თუ არა, დერვიშმა ისევ შეულოცა. მიწა შეზანზარდა, ნაპრალმა პირი შეიკრა და ჩვენს წინ მაღალი კლდე აღიმართა.

აქლემებს ადგომა გაუჭირდათ, ისე იყვნენ დატვირთულები. მალე გამოვაღწიეთ ვიწრო ხეობას და გზაზე გამოვედით.

— მშვიდობით, ბედნიერი იყავი. ახლა შენზე მდიდარი აღარავინ არის ქვეყანაზე, — მითხრა დერვიშმა.

მან ორმოცი აქლემი გადაითვალა და ბასრისკენ გასწია. მე კი დანარჩენი ორმოცი აქლემით მშობლიურ ბაღდადისაკენ გამოვეშურე.

ერთი ორი ნაბიჯი გადავდგი თუ არა, სიხარბემ თითქოს გულში ბრჭყალები გამიყარა. დერვიშს ოქროთი დატვირთული ორმოცი აქლემი მივეცი, განა ეს ჭკუაა? ჩემი თავი მევე გავძარცვე, მე უბედურმა! რად უნდა დერვიშს ამდენი სიმდიდრე. იქნება ოდესმე მეც მეპოვა ეს გამოქვაბული, მაშინ ხომ მთელი სიმდიდრე მე დამრჩებოდა-მეთქი, ვიფიქრე.

დამენანა ჩემი აქლემები და სიმდიდრე. ვეღარ მოვიფიქრე და დერვიშს გამოვუდექი.

— ო, დიდებულო დერვიშო! შენ მარტოხელა ხარ, რად გინდა ამდენი ოქრო და აქლემები? მაინც ვერ მოუვლი, სჯობია უკან დამიბრუნო ათი აქლემი, შენ ოცდაათიც გეყოფა. თუ ამ თხოვნას შემისრულებ, შენს სიკეთეს არ დავივიწყებ-მეთქი, ვუთხარი.

მოხუცს ხმა არ ამოუღია, ისე გადათვალა ათი აქლემი, მომცა და თავისი გზით წავიდა.

ახლა უკვე ორმოცდაათი აქლემი მყავდა ოქროთი და განძეულით დატვირთული და ძალიან ბედნიერი ვიყავი. მაგრამ ათი ნაბიჯიც არ გადამედგა, რომ სიხარბემ ისევ ჩამავლო თავისი ბრჭყალები: რატომ ოცი ან ოცდაათი აქლემი არა ვთხოვე? ეგებ მოეცა. იმას ამდენი სიმდიდრე რად უნდა-მეთქი.

ისევ გამოვეკიდე დერვიშს, დავეწიე და ვუთხარი:

— ხომ არ დაგავიწყდა, რომ ეს აქლემები ჩემია? შენ გაგიძნელდება მათი მოვლა. სჯობია დამიბრუნო ოცი აქლემი, შენ ათიც გეყოფა-მეთქი.

დერვიშმა უსიტყვოდ მომცა ოცი აქლემი და ათი თვითონ წაიყვანა.

მაგრამ სიხარბემ უფრო მეტად ჩამიჭირა ბრჭყალები და დერვიშს ვთხოვე, დანარჩენი ათი აქლემიც მოეცა ჩემთვის. დერვიშმა ეს ათი აქლემიც მომცა.

მე თავი მოვუყარე აქლემებს და ბედნიერი გავუდექი გზას ბაღდადისაკენ. უცებ გამახსენდა ის ვერცხლის კოლოფი, რომელიც დერვიშმა ჯიბეში ჩაიდო და გავიფიქრე: მოხუცმა უსიტყვოდ მომცა ორმოცი აქლემი და ამდენი ძვირფასი განძეულობა, რა იქნება, ის კოლოფიც რომ გამოვართვა? რად უნდა მას? მე კი გამომადგება, ისიც ხომ ფული ღირს.

მაგრამ ნურას უკაცრავად, მოხუცმა კოლოფი არ მომცა. ბევრი ვეხვეწე, მაგრამ არა ქნა. მოხუცი უხმოდ გაბრუნდა და თავისი გზით წავიდა.

რა სულელი ვარ! — გავიფიქრე. — თუ დერვიშმა ოქროთი დატვირთული ორმოცი აქლემი უსიტყვოდ მომცა და ამაზე კი უარს ამბობს, მაშ კოლოფი უფრო ძვირფასია და იმიტომ დაიტოვა... ვინ იცის, ეგებ იმ კოლოფშია, რაც ქვეყანაზე სიმდიდრეა!

სიხარბისაგან გონება დამიბნელდა, გამოვეკიდე დერვიშს, ვტაცე ხელი და დავემუქრე.

— ბებერო, ახლავე მომეცი კოლოფი, თორემ ძალით წაგართმევ-მეთქი.

დერვიშმა შემატყო, რომ არ დავინდობდი, ის ვერცხლის კოლოფიც მომცა და წასვლა დააპირა, მაგრამ მე არ გავუშვი.

— მითხარი, რა საიდუმლოება იმალება ამ კოლოფში? ასე ძვირფასი რითი არის-მეთქი.

— ამ კოლოფში უცნაური ნივთიერებაა. თუ მისი მოხმარება იცი, შეძლებ დაინახო, სად რა განძეულია ჩამარხულიო, — მომიგო მოხუცმა.

მე ვთხოვე დერვიშს ეჩვენებინა, როგორ უნდა მომეხმარა. მოხუცი დიდხანს დუმდა, მე კი ხან ვეხვეწებოდი, ხან ვემუქრებოდი. ბოლოს, როგორც იყო მოხუცმა კოლოფი გახსნა, შიგ ორი თითი ჩაყო, საჩქაროდ რაღაც ამოიღო, წაიბუტბუტა და ის რაღაც მარჯვენა ქუთუთოზე მომისვა.

თვალწინ ჩამიქროლა მთებმა და მე დავინახე, სად იყო ოქრო, სად ვერცხლი, სად ალმასი და სხვადასხვა ძვირფასი თვლები. შემეძლო ხელში ჩამეგდო მთელი ქვეყნის სიმდიდრე, მაგრამ ესეც მეცოტავა.

— მარცხენა თვალზეც წამისვი! — ვუბრძანე დერვიშს.

— არ შეიძლება, — მითხრა დერვიშმა, — დაბრმავდებიო.

მაგრამ მე არ დავუჯერე. მეგონა, მატყუებდა, რაც უნდა მცოდნოდა, სწორედ იმას მიმალავდა.

— თუ არ წამისვამ, მოგკლავ-მეთქი, — დავუყვირე გაცოფებულმა.

— კარგი, წაგისვამ, მაგრამ იცოდე, რაც მოგივა, შენს თავს დააბრალეო, — მომიგო დერვიშმა და რაღაცა მომისვა მარცხენა ქუთუთოზე.

მომისვა თუ არა, უცებ ჩამობნელდა ირგვლივ. მე დავბრმავდი.

როცა ყველაფერს მივხვდი, მოხუცს ტირილით ფეხებში ჩავუვარდი:

— ეს აქლემებიც შენი იყოს, ეს სიმდიდრეც წაიღე, ეს კოლოფიც, ოღონდ თვალის ჩინი დამიბრუნე-მეთქი.

— შე უბედურო, რომ გაფრთხილებდი, რატომ არ დამიჯერე, ახლა მე ვეღარაფერს გიშველი. მთელი შენი სიცოცხლე უნდა იტირო და წყევლო ის დღე, როცა სიხარბემ დაგაბრმავაო, — მითხრა დერვიშმა, წავიდა და აქლემებიც თან წაიყვანა.

მე დიდხანს ვტიროდი. ბოლოს ვთხოვე, გზაზე მაინც გავეყვანე, რომ იქიდან რომელიმე ქარავანს გავყოლოდი, მაგრამ მოხუცმა ყურიც არ მათხოვა.

კარგა ხანს ვიხეტიალე მთებში მშიერ-მწყურვალმა და დაგლეჯილ-დაფლეთილმა, სანამ არ გამოვედი გზაზე, მერე ერთ ქარავანს მივეკედლე. იმ დღიდან ასე დავეხეტები და ვმათხოვრობ.

ამის შემდეგ ვინც მოწყალებას მოიღებს, ყველას ვთხოვ, სილაც გამარტყან. სიხარბის გამო ჩემს თავს ასეთი სასჯელი მე თვითონ დავადეო.

<u>რა უნდა დაიმახსოვრო და რა დაივიწყოო</u>

ერთმა კაცმა ერთ ბრძენს ჰკითხა:

— რა უნდა დავიმახსოვრო და რა დავივიწყოო?

ბრძენმა მიუგო:

— თუ ვინმემ სიკეთე გაგიწია, ის უნდა დაიმახსოვრო, თუ შენ გაუწიე სიკეთე, ის კი დაივიწყოო.

<u>ფაკირი და თაგვები</u>

ერთ სოფელში თაგვები მომრავლდნენ. ბეღელში ხორბალი არ დააყენეს და სახლებში ტანსაცმელი. შეწუხებულმა გლეხებმა გზირთან და მამასახლისთან გასწიეს საჩივლელად.

— ხედავთ, რა გვიყვეს თაგვებმა! თუ რამე არ იღონეთ, ან შიმშილისაგან დავიხოცებით ან სიცივისაგან. ჩქარა გვიშველეთ, თორემ ამ სოფლიდან წავალთ და სხვაგან დავსახლდებითო.

დიდი დარდი გაუჩნდათ გზირსა და მამასახლისს, შეეშინდათ, ვაითუ სოფელი მართლ? აიყაროსო, და საგონებელში ჩაცვივდნენ, რა ვქნათო. ბოლოს მამასახლისმა გზირს უბრძანა: დაფდაფი დაჰკარი და ყველას აცნობე, ვინც სოფლიდან თაგვებს გარეკავს, ჯილდო ასი რუპია მიეცემა-თქო.

სწორედ ამ დროს სოფელზე ერთმა მათხოვარმა ფაკირმა ჩამოიარა.

დაფდაფის ხმა და გზირის ყვირილი რომ გაიგონა, მივიდა და უთხრა:

— მე რომ თაგვები მოგაშოროთ, ას რუპიას მომცემთო?

— მაგას წინ არა დაუდგება რაო, — მიუგო გზირმა.

ფაკირი გაჩერდა შუა გზაზე და სალამურზე დაუკრა. მუსიკის ხმა რომ გაიგეს, თაგვები სოროებიდან გამოძვრნენ და ფაკირს შემოეხვივნენ. ფაკირი სალამურს აწკრიალებდა, თაგვები კი უკან მისდევდნენ. მდინარის ნაპირს რომ მიუახლოვდა, ფაკირი შეჩერდა, სალამური უფრო ააწკრიალა და თაგვებიც უფრო დარეტიანდნენ.

ფაკირი წყალში შევიდა, თაგვებიც მიჰყვნენ მას, იფართხალეს, იფართხალეს და დაიხრჩვნენ.

სოფლელებმა ეს რომ დაინახეს, გაოცდნენ.

ფაკირი წყლიდან გამოვიდა და გზირს შეპირებული გასამრჯელო მოსთხოვა. ამასობაში გზირს ფულის მიცემა გადაეფიქრა:

თაგვები ხომ მაინც დაიხრჩვნენ, აღარ გაცოცხლდებიან, მოდი, ფაკირს პირს შევუშლი და რას მიზამსო. გზირი ათასგვარი ხრიკებით ცდილობდა თავის დაღწევას, რომ ფაკირისთვის ფული არ მიეცა.

ფაკირი განზრახვას მიუხვდა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია. დაბრუნდა სოფელში და ისევ დაუკრა სალამური. მთელი სოფლის ძროხები, კამეჩები, ხარები და თხები ფაკირს შემოეხვივნენ. ფაკირი მდინარისკენ გაეშურა, ნახირიც უკან გაჰყვა. ბევრს ეცადნენ სოფლელები, პირუტყვი უკან მოეტრიალებინათ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ნახირი ფეხდაფეხ მისდევდა ფაკირს.

ეს რომ გზირმა დაინახა, შეფიქრიანდა და ფაკირს შორიდან აჩვენა საფულე, შეპირებულ ას რუპიას მოგცემო, მაგრამ ფაკირმა უთხრა:

— ახლა მე მაგ ას რუპიას აღარ დაგჯერდები, თუ ორას რუპიას მომცემ, ხომ კარგი, თუ არადა საქონელს ახლავე დავახრჩობო.

რა გაეწყობოდა, გზირმა ორასი რუპია მისცა; ფაკირმა ჯერ გამოართვა ფული, მერე კი ქისა ფეხებში მიუგდო.

— ეგ ჭუჭყი შენთვის შეინახე, მე ტყუილად ხელებს დამისვრის. პატიოსან ადამიანს არც ასი რუპია გაუკვირდება და არც ორასი, მისი ვალია, ხალხს სიკეთე გაუწიოს და უბედურებისაგან იხსნას. შენ კი კარგად დაიმახსოვრე ჩემი რჩევა: კაცს თუ პირობას მისცემ, შეასრულე კიდეც, თორემ ცუდი საქმე დაგემართება. ხომ, ხედავ, სიტყვა გატეხე და ამით მხოლოდ შენი თავი აზარალე, ასი რუპიას ნაცვლად ორასს მაძლევდი, — უთხრა ფაკირმა და თავის გზას გაუდგა.

ეშმაკი ტომარაში

ოდესღაც ინდოეთში ერთი ღატაკი დალაქი ცხოვრობდა. დალაქს ძალიან ჭირვეული ცოლი ჰყავდა. დილიდან საღამომდე ებუზღუნებოდა ქმარს, ცოტა ფული მოგაქვსო.

— მამისეულ სახლში დღეში სამჯერ ვჭამდი, ისიც სულ გემრიელ საჭმელებს: ბრინჯს, თევზს, ბოსტნეულს! რაც შენი ცოლი გავხდი, ერთხელაც არ გავმძღარვარ... თუ არ შეგეძლო ცოლის შენახვა, არც უნდა შეგერთო. ამბობენ, მხოლოდ ქვრივები არიან მშივრებიო. მე ვითომ უკეთეს დღეში ვარ? განა მეც მშიერი არ დავდივარ? ისიც ვისი, სულ ჩემი საკუთარი ქმრის წყალობითო!

ყოველდღე ასეთი ამბავი იყო ოჯახში. ჰოდა, როდემდე მოითმენდა დალაქი? ადგა ერთ მშვენიერ დღეს და სახლიდან წასვლა გადაწყვიტა. ტომარაში დიდი და პატარა მაკრატელი, სარკე, სამართებელი, სალესი ქვა და სპილენძის ტოლჩა ჩაიწყო და ცოლს უთხრა:

— თუ ფულს ვიშოვი, დავბრუნდები, თუ არადა სადმე გადავიკარგებიო...

დალაქმა მთელი დღე სოფლიდან სოფელში იარა, საღამო ხანს კი ტყეს შეაფარა თავი. დასასვენებლად დიდი ხის ქვეშ წამოწვა და ფიქრს მიეცა: ასეთ უბედურ ვარსკვლავზე რად დავიბადე, ჩემს ცხოვრებაში ერთი ბედნიერი დღეც კი არ მახსოვსო.

იმ ხეზე, რომლის ძირას დალაქი იწვა, ეშმაკი წამომჯდარიყო. ადამიანი რომ დაინახა, ფრთხილად ჩამოვიდა ხიდან, გაჩერდა დალაქის წინ, გაშალა თავისი უშველებელი ხელები და დუდღუნით თქვა:

— აა, შენა ბრძანდები, დალაქო! რას იტყვი ახლავე რომ შეგჭამო? ჩემს ხელში ხარ, ვინ გიშველისო?

დალაქი შიშისაგა აცახცახდა. ანდა, როგორ არ აცახცახდებოდა! ეშმაკის უშველებლი ღოჯების დანახვაზე. დაღონდა დალაქი, მაგრამ ტყუილად კი არ ამბობენ, დალაქები მარჯვე ხალხიაო.

— შენ ეი, ახლავე ამ ტომარაში ჩაძვერი. აქ იმიტომა ვწევარ, შენ გელოდები, თქვენგან ზეთი უნდა გამოვხადო და ეშმაკებს იმიტომ ვაგროვებ... თუ არა გჯერა, ტომარაში ჩაიხედეო, — უთხრა დალაქმა.

დალაქმა ტომარას პირი მოხსნა, შიგ კი სარკე იდო. ეშმაკმა სარკეში ჩაიხედა და ღოჯებიანი ეშმაკი არ დაინახა!

ახლა კი შეშინდა ეშმაკი. აი, ოინი თუ გინდა, ეს არის! მე პირის ჩაგემრიელება მინდოდა და მახეში კი გავებიო.

— აბა, რას იზამ, შენ თვითონ ჩაძვრები თუ მე გიშველოო? — მკაცრად ჰკითხა დალაქმა.

ეშმაკმა გულხელი დაიკრიფა.

— ბატონო დალაქო, ოღონდ ხელს ნუ მახლებ და შენი მონა-მორჩილი ვიქნები, რასაც მოისურვებ, ყველაფერს შეგისრულებო...

— განა შეიძლება ეშმაკს ენდო? მთელს ინდოეთში ეშმაკზე უფრო მატყუარას ვერავის ნახავ. როცა უბედურებისაგან თავის დახსნა უნდა, მთელ ქვეყანას შეგპირდება, მაგრამ შესრულების დრო მოვა და სადღაა, გაქრებაო.

— არა, არა, ჩემო მბრძანებელო, — უთხრა ეშმაკმა, თან ცრემლებს ღვრიდა, — დამიჯერე, მე არ მოგატყუებ. ჩემს სიცოცხლეში ტყუილი არ მითქვამს... და არც არავინ მომიტყუებია. თუ გინდა, გამომცადე, მიბრძანე, რა გავაკეთო და, თუ არ შევასრულებ შენს ბრძანებას, ტომარაში მერე ჩამსვიო.

— კარგიო, — დაეთანხმა დალაქი. — თუ ასეა, ახლავე ათასი ოქროს მანეთიანი მიშოვე და ამ საღამოს ბრინჯით სავსე ერთი დიდი ბეღელი დამიდგიო.

— დიახ, შევასრულებო, — თავის ქიცინით მიუგო ეშმაკმა.

ეშმაკი წავიდა და მალე დაბრუნდა. ოქროთი სავსე ტომარა მოიტანა, წინ დაუდო დალაქს და თავჩაქინდრული დადგა, შეხედვისაც კი ეშინოდა. დალაქმა მაგრად მოუკრა პირი ტომარას, მერე ეშმაკს უთხრა:

— ამაღამ ბეღელს ბრინჯით თუ არ ამივსებ იცოდე, ცუდი დღე დაგადგებაო! — და სახლისკენ გასწია.

დალაქი კმაყოფილი დაბრუნდა შინ, ცოლს წინ დაუყარა ოქროს ფული და ჰკითხა:

— მამაშენის სახლში ამდენი ფული გინახავსო?

გაოცებისაგან ცოლს კინაღამ ენა მუცელში ჩაუვარდა, მის წინ ნამდვილი ოქროები ეყარა! დალაქმა გადათვალა ფული და გაიცინა:

— სწორედ ათასი ოქრო არისო.

დალაქმა თავისი ცოლი პირველად ნახა გაღიმებული. ქალმა ქმარს სასწრაფოდ მოუტანა წყალი, პირსახოცი, მარაო და ალერსიანად უთხრა:

— შენ დაიბანე და დაისვენე, მე კი საჭმელს მოგიმზადებო, — ცოლი მთელი დღე ასეთი ალერსიანი იყო.

გათენებისას დალაქის ცოლმა გაიხედა ფანჯარაში და გაოცდა: ეზოში ბრინჯით სავსე ახალი ბეღელი არ იდგა!

— ნეტავი ეს ბეღელი აქ საიდან გაჩნდაო? — ჰკითხა ქმარს.

— ეს სულ ჩემი ჭკუით არის ნაშოვნიო, — ამაყად მიუგო დალაქმა.

ცოლი თვალს მოეფარა თუ არა, ეშმაკი დალაქთან გაჩნდა:

— ბატონო დალაქო, კიდევ რას მიბრძანებო?

— რასა და, მარილი, ქონი და ბოსტნეული მომიტანე, თან ორი მეწველი ძროხაც მოაყოლე და ყოველდღე თითო ტომარა ბრინჯი დამიდგიო.

— კარგიო, — დაეთანხმა ეშმაკი და თავი ჩაღუნა.

ასე გადიოდა დღეები. დალაქი გამდიდრდა და გადიდგულდა. მდიდრებსაც აღარ პარსავდა წვერს და იჯდა გულხელდაკრეფილი. არც არავის აძლევდა არაფერს და არც არავისგან იღებდა. ცოლი აღარც საჭმელს ამზადებდა და აღარც სახლს ალაგებდა, ახლა მოახლეები ჰყავდა.

ერთხელ ტომარამოკიდებულ ეშმაკს დალაქის სახლთან ბიძა შემოხვდა, მას მოპარული ცხვარი მიჰყავდა.

ბებერმა ეშმაკმა ტომარამოკიდებული დისშვილი რომ დაინახა, გაოცდა:

— ამას რას ვხედავ? ვინ ეშმაკი და ვინ ასეთი მძიმე სამუშაო! ნეტავი ვისთვის ეწვალებიო?

— ეს ტომარა ბატონთან მიმაქვსო, — მიუგო ეშმაკმა.

— ბატონთანო? — გაოცდა ბებერი ეშმაკი. — ვინ არის შენი ბატონიო?

— დალაქიო.

— ადამიანი? — წამოიძახა განრისხებულმა ბიძამ. — ვაი შენ ჩემო თავო, როგორ არცხვენ მთელ ჩვენს ჯილაგს! სად გაგონილა, ეშმაკი ადამიანს ემსახურებოდეს! თუ გაგიგეს, სახლში აღარ შეგიშვებენო.

— შენ არ იცი, რა ადამიანია ის დალაქი! ტყეში დადის, ეშმაკებს იჭერს და იმათგან ზეთის გამოხდას აპირებს. ტომარაში ჩასმული ეშმაკი ჩემი თვალითა ვნახეო.

— ვაიმე, ვაიმე, — გაიცინა ბებერმა ეშმაკმა, — რა სულელი რამა ყოფილხარ. განა შეიძლება ეშმაკისაგან ზეთის გამოხდა? ანდა ადამიანი ეშმაკს როგორ დაიჭერს? დალაქი გატყუებს. მიხვდა, ალბათ, რა ბრიყვიცა ხარ და გიმსახურებს. წამოდი, ერთად წავიდეთ. მეც მინდა ვნახო, დალაქი ეშმაკებს როგორ იჭერსო.

— მისი ნახვა, მართლაცდა, ღირს, — თქვა ახალგაზრდა ეშმაკმა, — მხოლოდ მარტო წადი, მე არ წამოვალ. როცა იმას ვუყურებ, გული მახეში გაბმული ჩიტივით მიფართხალებსო.

ბებერმა ეშმაკმა გადაწყვიტა, მარტო მისულიყო დალაქთან.

დალაქი ამ დროს ღია ფანჯარასთან იჯდა და ეშმაკს უცდიდა.

უცბად გზას ცაცხვის ხესთან დიდი ჩრდილი დაეცა.

ეშმაკია, — გაიფიქრა დალაქმა, — მაგრამ იმას რომ არა ჰგავს, სხვა ვიღაცაა მოგზავნილი, როგორ მოვიქცეო?

დალაქს ჯერ შეეშინდა, მაგრამ მალევე მოეგო გონს, ტომრიდან სარკე ამოიღო, ფანჯრის რაფაზე დადგა და დაიყვირა:

— ჰეი, მანდ ვინ არისო.

ბებერმა ეშმაკმა იმ მხარეს გაიხედა, საიდანაც ხმა მოესმა და ფანჯარაში საშინელი, ბებერი ეშმაკი არ დაინახა! შეშინებულმა დაიკივლა და მოკურცხლა.

მალე ეშმაკებმა გაიგეს საშიში დალაქის ამბავი და მის სოფელს აღარ ეკარებოდნენ, გარდა იმ ყმადქცეული ეშმაკისა.

ის საცოდავი კი ყოველდღე რაღაცას მიათრევდა დალაქთან. დალაქს სიტყვაც არა ჰქონდა დამთავრებული, რომ უკვე შესასრულებლად გარბოდა. დალაქს კი არც ჯავრი აწუხებდა და არც დარდი, ცხოვრობდა ბედნიერად.

<u>სამი ოქროს დედოფალა</u>

ამბობენ, ერთ ფადიშაჰს სურდა გაეგო, მეზობელ სულთანს ჭკვიანი ქვეშევრდომები ჰყავდა თუ არა. ადგა, სულ ერთნაირი გარეგნობის, ერთნაირი ზომისა და წონის სამი ოქროს დედოფალა გაუგზავნა საჩუქრად და შეუთვალა, ამ დედოფალებიდან ერთი იაფი ღირს, მეორე უფრო ძვირი და მესამე კი უფრო ძვირი. აბა, გაიგე, მიზეზი რა არისო.

სულთანი გააოცა საჩუქრებმა და დიდებულებს უბრძანა, კარგად გაესინჯათ დედოფალები. დიდებულებმა საჩუქრები გულდასმით დაათვალიერეს და სულთანს მოახსენეს, სამივე დედოფალა ერთნაირიაო.

მალე ამ საჩუქრების ამბავი მთელ ქალაქში დაირხა. ყველამ გაიგო, ახალგაზრდამ თუ მოხუცმა, მაგრამ ვერავინ მიხვდა, რატომ ჰქონდა სამ ერთნაირ დედოფალას სხვადასხვა ფასი.

სულთანს რაღაცა პატარა დანაშაულის გამო ერთი ღარიბი ყმაწვილი ჰყავდა ციხეში დამწყვდეული. ამ ყმაწვილმა საჩუქრების ამბავი რომ გაიგო, სულთანს შეუთვალა: თუ საჩუქრების ნახვის ნებას მომცემ, ალაჰისა და თქვენი წყალობით გავიგებ დედოფალები ერთმანეთისაგან რითი განსხვავდებიან და, თუ მართალი გამოვდგები, ციხიდან გამათავისუფლეო.

სულთანის ბრძანებით ყმაწვილი სასახლეში მოიყვანეს და დედოფალები აჩვენეს.

ყმაწვილმა სამივე დედოფალა კარგად დაათვალიერა და შეამჩნია, რომ ყველას ყურები გახვრეტილი ჰქონდა.

მან მაგარი ჩალის ღერო აიღო და ჯერ ერთ დედოფალას ჩაუყო ყურში, ღერო პირიდან გამოძვა, მერე მეორე დედოფალაზე სინჯა, ღერო მეორე ყურიდან გამოძვრა. ბოლოს მესამეზე სინჯა და ღერო მუცელში დარჩა.

ყმაწვილმა სულთანს მოახსენა:

— თქვენო აღმატებულებავ, ეს დედოფალები ადამიანებს ჰგვანან. პირველი დედოფალა ისეთ ადამიანს ჰგავს, რომელიც გაიგებს თუ არა რამეს, პირზე არ

დაადგება და მაშინვე ქვეყანას მოსდებს. ასეთ ადამიანს არ უნდა ენდოთ, ამიტომაც ამ დედოფალას ნაკლები ფასი აქვს. მეორე დედოფალა ისეთ ადამიანს ჰგავს, რომელიც სხვის ნათქვამს ერთ ყურში შეუშვებს და მეორიდან გაუშვებს. ასეთი ადამიანი უდარდელია, სხვის რჩევას არაფრად აგდებს და არც ყურს უგდებს არავის. მესამე დედოფალა კი იმ ადამიანს ჰგავს, რომელიც საფლავში ჩაიტანს სხვის ნათქვამს. ასეთი ადამიანი ნდობის ღირსია და ამიტომაც ყველაზე მეტი ფასი აქვსო.

ეს რომ სულთანმა მოისმინა, ძალიან გაუხარდა. მთელი სასახლე ქებას ასხამდა ყმაწვილს. სულთანმა ბრძანა, თითოეულ დედოფალაზე ფასი დაეწერათ და ფადიშაჰისათვის გაეგზავნათ. ყმაწვილი კი ციხიდან გაათავისუფლეს და სასახლეში დატოვეს.

ძუნწი

ერთი ძუნწი ტაძარში მიდიოდა. უცბად გზაზე გაახსენდა, რომ სახლიდან გამოსვლისას ლამპა არ ჩააქრო და მაშინვე უკან გაბრუნდა. ჭიშკარს მიუახლოვდა თუ არა, მსახურს დაუძახა:

— ლამპა ჩააქრე! მხოლოდ იცოდე, კარი არ გააღო, თორემ საკეტი გაცვდებაო!

— ჰოი, საჰიბ! — გამოსძახა მოახლე გოგონამ. — შუა გზიდან რომ დაბრუნდი, წუღებს ძირები არ გაუცვდებაო?

— არხეინად იყავი, ჭკვიანო გოგონა, — მიუგო ძუნწმა, — წუღები გავიხადე და ფეხშიშველა წამოვედიო!

რაჯა და ყაჩაღი

დიდი ხნის წინათ ერთი შეძლებული რაჯა ცხოვრობდა. მას დიდძალი ჯარი ჰყავდა და ბევრი მეზობელი ქვეყანაც დაიპყრო. შორს გავარდა მისი სახელი. სხვა ქვეყნის მმართველებს ეშინოდათ რაჯასი და მისი გულის მოსაგებად საჩუქრებს უგზავნიდნენ.

ამ რაჯას ქვეყანაში საიდანღაც ერთი თავზეხელაღებული ყაჩაღი გაჩნდა. დღე და ღამე ქურდობდა, მისი სახელის გაგონებაზე ხალხი შიშისაგან ცახცახებდა. რაჯამ ბევრჯერ გაგზავნა ჯარი ყაჩაღის დასაჭერად, მაგრამ ამაოდ. ყაჩაღი ერთ ადგილას არა ჩერდებოდა და ვერ მოახერხეს მისი დაჭერა.

ერთხელ ყაჩაღი დის სანახავად თავის სოფელში მივიდა. ეს ამბავი ერთმა მეზობელმა გაიგო და რაჯას შეატყობინა. რაჯას ჯარი მაშინვე იქ გაჩნდა და სოფელს ალყა შემოარტყა. ყაჩაღი არ ნებდებოდა, მაგრამ, როგორც იყო, შებოჭეს და დიდებულ რაჯას სასახლეში მიჰგვარეს.

— რა გქვიანო? — ჰკითხა რაჯამ.

ყაჩაღი ამაყად გასწორდა წელში და მიუგო:

— მე რამდინის მეძახიანო:

— რა საქმიანობას ეწევიო?

— იმას, რასაც შენაო.

— არამზადავ, — შესძახა გულმოსულმა რაჯამ, — გესმის, რას ლაპარაკობ? შენ ქურდი ხარ, დღედაღამ ჩემს ქვეშევრდომებს ძარცვავ, მე კი ღამე არა მძინავს, სულ ჩემი ქვეყნის კეთილდღეობაზე ვფიქრობ. ახლა ხომ მიხვდი, მე ვინ ვარ და შენ ვინაო!

— დიდებულო რაჯა, — მიუგო ყაჩაღმა, — ნუ ბრაზობ და ყურადღებით მომისმინე. შენ იპყრობ ქვეყნებს, ძარცვავ დიდ ქალაქებს, ბრძოლის ველზე ათასობით

ადამიანთა სისხლსა ღვრი. მე კი მოხეტიალე ყაჩაღი ვარ, ჯარი არა მყავს, საძარცვავად მარტო დავდივარ. თუ ვინმეს მოვკლავ, მხოლოდ იმიტომ, რომ მე მკლავენ. როგორც ხედავ, ჩვენ ერთნაირ საქმეს ვეწევით, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ შენ შეძლებული ყაჩაღი ხარ, ქვეყნების მბრძანებელი, მე კი ერთი საწყალი, მოხეტიალე მძარცველიო.

ამ პასუხზე რაჯას გაეცინა და ბრძანა ყაჩაღი გაეთავისუფლებინათ.

<u>რაჯა და მენავე</u>

ძველად ინდოეთში ერთი ძლიერი და მდიდარი რაჯა ცხოვრობდა. ერთხელ რაჯა ავად გახდა. ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოდიოდნენ მკურნალები, მაგრამ ვერაფერს შველოდნენ, ავადმყოფის მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა.

ერთხელაც სასახლეში ვიღაცა ბრძენი მოხუცი მოვიდა და რაჯას უთხრა:

— მე მოგარჩენ, ოღონდ გასამრჯელოდ იმდენი ოქრო მომეცი, რამდენსაც შენი ყველაზე დიდი სპილო აიწონისო.

მართლაც, რამდენიმე ხანში რაჯა გამოჯანმრთელდა. დადგა ანგარიშის სწორების დღე, მაგრამ რა ექნათ! სად ეშოვათ ისეთი სასწორი, რითაც რაჯას ყველაზე დიდ სპილოს და იმდენსავე ოქროს აწონიდნენ? რაჯას ბრძანებით ინდოეთის ყველა კუთხიდან მოიწვიეს ბრძენნი და სწავლულნი და დიდ ჯილდოს შეჰპირდნენ იმას, ვინც მოიფიქრებდა როგორ მოქცეულიყვნენ.

სწავლულებმა სამი დღე და ღამე იფიქრეს, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრეს.

მეორე დღეს ერთი ღატაკი მოვიდა და ითხოვა რაჯასთვის მოეხსენებინათ, რანაირი სპილოც არ უნდა იყოს, მის წონა ოქროს უსასწოროდ ავწონიო.

მცველებმა ღატაკი გაჯოხეს და სასახლიდან გააგდეს. თუ სწავლულთ და ბრძენთ ვერაფერი მოუსაზრებიათ, ამ ღატაკს რის მოფიქრება შეუძლიაო, — ამბობდნენ ისინი.

რაჯამ ყური მოჰკრა ყაყანს, უფროს მცველს უხმო და ჰკითხა, ეზოში რა ხდებაო?

— ჰოი, დიდებულო რაჯა, — მოახსენა უფროსმა მცველმა, — ახლახან ვიღაც გიჟი მოვიდა და გვითხრა, მე შევძლებ სპილოს და მისი წონა ოქროს აწონასო. ტყუოდა, მაშ რა იყო, და აქედან გავაგდეთო.

— ის ღატაკი ახლავე აქ მომგვარეთო, — ბრძანა რაჯამ. ბრძანება უმალ შეასრულეს.

რაჯა ტკბილად შეხვდა ღატაკ მოხუცს და ვინაობა ჰკითხა.

— მენავე ვარ, — მიუგო ღატაკმა, — ჩემი ნავით გადამყავს ხალხი განგის ერთი ნაპირიდან მეორეზე. თავსაც და ოჯახსაც ამითი ვარჩენ. მე სულ იოლად შემიძლია სპილოსი და მისივე სიმძიმის ოქროს აწონვაო!

— მერედა, როგორ მოახერხებო? — ჰკითხა გახარებულმა რაჯამ.

— დიდებულო რაჯა, — მიუგო მენავემ, — ახლავე თქვენი თვალით ნახავთ, როგორც მოვახერხებ. ოღონდ უბრძანეთ, თქვენი სპილო მდინარესთან, სადაც ჩემი ნავი აბია, იქ მიიყვანონო.

რაჯამ ბრძანა მენავის თხოვნა შეესრულებინათ, თვითონ კი სწავლულებისა და ბრძენი ხალხის თანხლებით ამ არაჩვეულებრივი სანახაობის საყურებლად გაეშურა.

სპილო მდინარის პირას მიიყვანეს და მენავის თხოვნით ნავზე შეაყენეს.

როცა სპილო ნავზე შედგა, ნავი სიმძიმისაგან ნახევრად ჩაიძირა. მენავემ ცარცი აიღო, წყალში ჩავიდა და ნავს გარედან შემოავლო ხაზი, მერე სპილო ნაპირზე გამოიყვანა.

— ახლა უბრძანეთ ნავი ოქროთი დატვირთონო, — თქვა მან.

ნავზე ოქროს ზოდები დააწყვეს, უმატებდნენ და უმატებდნენ მანამდე, სანამ გავლებულ ხაზამდე არ ჩაიძირა ნავი.

— აი, ახლა ოქრო იმდენივეა, რამდენსაც სპილო იწონისო, — თქვა მენავემ.

ყველა გაოცებული დარჩა ღატაკი მენავის მოხერხებით და საზრიანობით. დიდებულმა რაჯამ ხაზინადარს უბრძანა მენავისათვის ათი ათასი ოქროს რუპია მიეცათ და სასახლეშიც მიეწვიათ.

ვეფხვისმჭამელი ტურა

ერთხელ ტურა და მისი ცოლი საჭმლის საშოვნელად ტყეში დაწანწალებდნენ. ერთი გამოქვაბული იპოვეს და გადაწყვიტეს, იქ დასახლებულიყვნენ. ამ გამოქვაბულში ერთი ჯიქი ცხოვრობდა. ჯიქი მალე დაბრუნდა ნადირობიდან. დედალმა ტურამ ჯიქი რომ დაინახა, შეეშინდა. მამალმა წასჩურჩულა:

— ნუ გეშინია. მე ხმამაღლა დაგიძახებ, შენ კი «ვეფხვისმჭამელი» მიწოდე. გამოქვაბულში ბნელა და ჯიქი ვერ გაარჩევს, ვინცა ვართო.

ტურამ დაუძახა ცოლს და იმანაც მიუგო:

— მოვდივარ, ვეფხვისმჭამელო, ახლავე მოვდივარო!

ჯიქმა ეს რომ გაიგონა, შეშინდა და თავის მეგობარ ჯიქებისაკენ მოკურცხლა:

— უბედურება დამატყდა თავს! გამოქვაბულში ერთი საშინელი მხეცი — ვეფხვისმჭამელი — ჩამისახლდა, რაღა ვქნაო?

მათ სიცილი დააყარეს:

— რის ვეფხვისმჭამელი, რას ამბობ! ვინც გინდა იყოს, ჩვენ გავუსწორდებით. ხვალვე მოვალთ და ვნახავთ, შენს ბუნაგში ვინ შეძვრაო.

მეორე დღეს დედალმა ტურამ დაინახა, რომ გამოქვაბულს რამდენიმე ჯიქი მიადგა. ძალზე შეეშინდა, მამალ ტურას მიეკრო და ტირილი მორთო.

— ნუ გეშინია! — ჩასჩურჩულა მან ყურში, — მე გკითხავ, ჩვენი შვილები რასა ჩხავიან-მეთქი. შენ ხმამაღლა მიპასუხე, ჯიქის ხორცი მოუნდათ-თქო.

მართლაც, როცა ჯიქები ახლოს მივიდნენ, ტურამ ხმამაღლა იკითხა:

— ჩვენი შვილები რასა ჩხავიანო.

— ვეფხვის ხორცი მობეზრდათ და ახლა ჯიქის ხორცი უნდათო, — მიუგო დედალმა ტურამ.

ჯიქებმა ეს რომ გაიგონეს, კუდები ამოიძუეს და მოკურცხლეს. მოშორებით მოიყარეს თავი და თათბირს შეუდგნენ.

— ხომ გითხარით, ჩემს გამოქვაბულში ვეფხვისმჭამელი დასახლდა, შვილებს ვეფხვის ხორცსაც კი არ აკლებენ-მეთქი, — თქვა გამოქვაბულის პატრონმა.

— შენ მართალი ხარ, იქ საშინელი ვიღაც ჩასახლებულა, რა ვქნათ, რა ვიღონოთ, როგორ გამოვაგდოთო.

უცბად ჯიქებმა კურდღელი დაინახეს.

— ეჰეი, კურდღელო, ჩემს გამოქვაბულში ვეფხვისმჭამელი დასახლდა. რას გვირჩევ, როგორ გამოვაგდოთო? — ჰკითხა ჯიქმა.

— ერთი მაჩვენეთ, ვინ არის და მე ვუჩვენებ სეირსო, — დაიკვეხა კურდღელმა.

ერთმა ჯიქმა კურდღელი ზურგზე შეისვა და გამოქვაბულისაკენ გაეშურა.

დედალმა ტურამ შორიდანვე დაინახა ჯიქზე შემჯდარი კურდღელი და ეს ამბავი ქმარს უთხრა.

— შენ ეი, კურდღეულო, — დაუყვირა ეშმაკმა ტურამ, — მე ოთხი ჯიქის მოყვანა გიბრძანე, შენ კი ერთი მოგყავსო? — ეს რომ ჯიქმა გაიგო, თავქუდმოგლეჯილმა მოკურცხლა, კურდღელიც მისი ზურგიდან ძირს გადმოხტა და სხვა მხარეს მოუსვა.

კარგა მანძილი რომ გაირბინა, ჯიქი სულის მოსაბრუნებლად შეჩერდა კურდღელს დაემუქრა:

— ახლა კი მივხვდი, რატომაც მიმიყვანე! დამაცადე, სადმე შეგხვდები და გაგისწორდებიო... მიიხედ-მოიხედა და კურდღელი სადღაა! გაქცეულა.

ასე მოატყუა გაიძვერა ტურამ ჯიქი. მას შემდეგ ისა და მისი ცოლი მშვიდად ცხოვრობდნენ ჯიქის გამოქვაბულში.

<u>სანტურამი და ანტურამი</u>

იყო ორი მეგობარი. სანტურამი კეთილი და უბრალო ადამიანი იყო, ანტურამი კი ეშმაკი და მატყუარა.

ერთხელ ანტურამმა სანტურამისაგან ასი რუპია ისესხა და შეჰპირდა, ვალს მალე გადაგიხდიო.

გავიდა დრო. ბევრჯერ სთხოვა სანტურამმა ფული, მაგრამ ანტურამი ვალს მაინც არ უბრუნებდა. სანტურამს მეტი გზა აღარა ჰქონდა, მოსამართლესთან უნდა ეჩივლა. მაგრამ ანტურამმა მოსამართლეს განუცხადა, სანტურამისაგან ერთი რუპიაც არ მისესხნიაო.

მოსამართლემ სანტურამს ჰკითხა:

— ამ ას რუპიას რომ აძლევდი, იქ არავინ იყო, მოწმედ არავინ დაგსწრებიაო?

— არაო, — მიუგო სანტურამმა. — ეს ფული ტყეში ერთ დიდ ხესთან მივეცი, იქ მოწმეებს რა უნდოდათო.

მაგრამ ანტურამი ისევ თავისას გაიძახოდა, არც ტყეში ვყოფილვარ, არც ხე მინახავს, არც ფული ამიღიაო.

მაშინ მოსამართლემ თქვა:

— იცი, რას გეტყვი, სანტურამ, წადი ტყეში, ის ხე ნახე, სადაც ფული მიეცი ანტურამს, და აქ მომიყვანე, ის იქნება შენი მოწმეო.

საგონებელში ჩავარდნილმა სანტურამმა მოსამართლეს ჰკითხა:

— ხე როგორ მოგიყვანო, ხემ ხომ არც ლაპარაკი იცის და არც სიარულიო?

მოსამართლემ დაამშვიდა:

— ყველაფერი შეიძლება მოხდეს, სანტურამ. მე წერილს მოგცემ, შენ გადაეცი ხეს, ის მაშინვე წამოვა და მოწმედ დაგიდგებაო.

მოსამართლემ წერილი დაწერა და სანტურამს გადასცა. სანტურამი წავიდა. ანტურამი კი მოსამართლესთან დარჩა. ნახევარი საათიც არ იქნებოდა გასული, რომ მოსამართლემ ტყისაკენ გაიხედა და თქვა:

— სანტურამი არსადა ჩანს. შეიძლება ის ხე ძალიან შორს არის, წინასწარ უნდა შეგვეტყობინებინა და სასამართლოში ისე მოგვეწვიაო.

მოსამართლის ნათქვამს ანტურამმა დააყოლა:

— პატივცემულო მოსამართლევ, სანტურამი ჯერ შუა გზაზეც არ იქნებაო.

გავიდა კარგა ხანი და სანტურამი დაბრუნდა:

— ბატონო მოსამართლე, თქვენი წერილი წინ დავუდე იმ ხეს, მაგრამ ხე ადგილიდანაც არ დაძრულა და ცარიელი წამოვედიო.

— ეგრე არ არის, სანტურამ, — უთხრა მოსამართლემ, — ხემ შენი წერილი მიიღო თუ არა, მაშინვე მოვიდა და მიამბო, საქმე როგორც იყო, აი ჩემი განაჩენი: ანტურამმა

ის ფული უკან დაგიბრუნოს და ტყუილის თქმისათვის ერთი წლით ციხეში ვუკრათ თავიო.

სანტურამი სულ არ მოელოდა საქმის ასეთ დაბოლოებას და თქვა:

— პატივცემულო მოსამართლევ! მე სულ აქა ვზივარ, მაგრამ შენთან მოსული ხე არ მინახავს, ან ხე მოწმედ როგორ დაუდგებოდაო?

— შე ბრიყვო, შენა, ხის მაგივრად შენმა ენამ გიმოწმა. როცა ჩემთან მოხვედით, შენა თქვი, ტყეში არ ვყოფილვარ, არც ხე მინახავსო. მაშ საიდან იცოდი, რომ სანტურამს ნახევარი გზაც არა ჰქონდა გავლილი. გამოდის, კარგად გცოდნია, რა ადგილას იყო ხე. სანტურამს სიმართლე უთქვამს: ფული სწორედ იმ ხის ძირას გამოგირთმევიაო.

ასე დაეხმარა ჭკვიანი მოსამართლე სანტურამს, რომ თავისი ფული დაებრუნებინა. უბედური ანტურამი კი ციხეში ჩააგდეს.

ლურჯი ტურა

ერთი ტურა სულ სოფელში დაეხეტებოდა და სადაც არ ეკითხებოდა, ყველგან ჰყოფდა ცხვირს. ერთ ღამეს ისევ შეიპარა სოფელში, მღებავის სახლში შევიდა, ლურჯი საღებავით სავსე კასრში ჩაჰკრა დინგი და შიგ კი ჩავარდა. მერე რის ვაი-ვაგლახით ამოძვრა კასრიდან და ტყისაკენ მოკურცხლა.

ტყეში მხეცებმა ვეღარ იცნეს — იფიქრეს, რახან ლურჯია, რაღაც სხვა ცხოველი არისო, თავიანთ უფროსად აირჩიეს და ემორჩილებოდნენ ყველაფერში. ასე გამეფდა ტურა.

ტურას ეშინოდა ხმაზე არ მიცნონო და ამიტომ გარშემო სულ თავისი ნათესავები შემოიკრიბა. დარბაზობაზე წინ ტურებს დასვამდა, მერე მელიებს, მერე ირმებსა და მაიმუნებს, მათ მგლები მისდევდა, მერე ვეფხვები და სულ ბოლოს სპილოები ისხდნენ.

— როგორც დაგსხით ისე იყავით, ადგილის შეცვლა არავინ გაბედოსო! — ბრძანებდა ტურა.

საღამოობით ტურები რომ ყმუოდნენ, ისიც ასდევდა ხოლმე. რაკი ტურები ყველაზე წინ იდგნენ, მის ხმას ვერავინ სცნობდა.

გავიდა რამდენიმე დღე. ტურა რაღაცაზე გაუბრაზდა თავის ნათესავებს და გარეკა, მათ ადგილზე კი სხვები დააყენა.

ტურებმა, როგორც სჩვევიათ, ღამე ყმუილი დაიწყეს. ლურჯმა ტურამ ვერ მოითმინა და თავისი საბრძანებლიდან მისცა ბანი.

მტაცებლები მის ახლოს იდგნენ, ყური მოჰკრეს ტურის ჩხავილს და მიხვდნენ, ვინცა ბრძანდებოდა. ეს როგორ მოვტყუვდითო, ეწყინათ და ლუკმა-ლუკმა აქციეს ლურჯი ტურა.

მოგზაური და ზარმაცი

ერთი კაცი სამოგზაუროდ გაეშურა, უკან ზარმაცი აედევნა. ღამის გასათევად ორივენი ქარვასლაში გაჩერდნენ. მოგზაურმა ზარმაცს უთხრა:

— აჰა, ჩემო ძმაო, ფული, ბაზარზე წადი, ცოტა ფქვილი და მუხუდო იყიდე, ვახშამი მოვამზადოთ. ნამგზავრები ვართ და დავნაყრდეთო.

— მე ყიდვა არ ვიცი, — მიუგო ზარმაცმა, — მედუქნე მომატყუებსო.

რა გაეწყობოდა. მოგზაური თვითონ წავიდა ბაზარში, მუხუდო და ფქვილი იყიდა, უკანვე დაბრუნდა და ზარმაცს სთხოვა:

— ადე, ძმაო, ვახშამი მოამზადეო.

ზარმაცმა ისევ უარი უთხრა:

— არაფრის გაკეთება არ მეხერხება, ჩემს დღეში არც ლავაში გამომიცხვია და არც მუხუდო მომიხარშავს, ტყუილად მუხუდოსაც გავაფუჭებ და ფქვილსაცაო.

რა გაეწყობოდა, მოგზაური შეუდგა ვახშმის მომზადებას. მუხუდო მოხარშა, ლავაშები გამოაცხო და ზარმაცს უთხრა:

— მე წავალ, ხელ-პირს დავიბან, შენ კი სუფრა გაშალეო.

— დამიჯერე, — მიუგო ზარმაცმა, — მე არც სუფრის გაშლა ვიციო.

საწყალმა მოგზაურმა თვითონ გაშალა სუფრა, მიიტანა ვახშამი და ზარმაცს უთხრა:

— მობრძანდი, ვივახშმოთო.

ზარმაცი უცებ წამოხტა ფეხზე და თქვა:

— ღმერთმა ხომ იცის, თქვენი როგორა მრცხვენია. როდემდის უნდა ვიძახო უარი, ამ ერთ თხოვნას მაინც შეგისრულებო.

ზარმაცმა ლოცვა თქვა და ჭამას შეუდგა.

მოგზაური მიხვდა თავის შეცდომას. გუნებაში თავისი თავი გალანძღა და დაიფიცა:

ვინც არ უნდა იყოს, ასეთ კაცს სამოგზაუროდ არასოდეს არ გავიყოლებო.

არც შინა და არც გარეთ არ ვარგა ისეთი ამხანაგი, ვინც თავის საქმეს სხვას აკეთებინებს.

<u>სასახლის ბრძენი</u>

ოდესღაც ერთ ქალაქში ცხოვრობდა ღატაკი ჰარიდასი. ძველ ფეხსაცმელებს აკერებდა და ამით ძლივს არჩენდა ცოლ-შვილს.

ერთხელ მისი ცოლი ბაზარში წავიდა დოქის საყიდლად. მექოთნესთან მივიდა და მიესალმა. მექოთნემ კი ზედაც არ შეხედა.

დუქანში ათასნაირი დოქები ეწყო. ჰარიდასის ცოლმა ამოარჩია ერთი დოქი და ფასი იკითხა.

— ეს დოქი შენთვის არ გახლავს, — ჩაილაპარაკა თავისთვის მექოთნემ. — რაჯას სასახლის ბრძენის მეუღლემ თავისთვის ამოარჩიაო.

ჰარიდასის ცოლმა ახლა სხვა დოქს დაადო ხელი.

— ეს დოქი სასახლის ბრძენის ქალიშვილმა აირჩიაო, — უთხრა მექოთნემ.

— მაშინ, აი, ეს უფრო მომცრო დოქი მომეციო, — გაუბედავად სთხოვა ქალმა.

— ეს ბრძენის დამ იყიდაო.

ჰარიდასის ცოლი ირჩევდა დოქებს, მაგრამ რომელსაც ხელი დაადო, სასახლის ბრძენის ახლობლებს აერჩიათ. შინ გულნატკენი და ხელცარიელი დაბრუნდა. ხმამაღლა წყევლიდა ბრძენსა და მის ნათესავებს.

ჩემი ქმარი ყოფილიყო სასახლის ბრძენი, მეც ისეთი პატივით მომექცეოდნენ. ანდა, რატომ არ უნდა იყოს სასახლის ბრძენი? ვითომ ვისზე ნაკლებიაო, ფიქრობდა ქალი.

ჰარიდასის ცოლმა გადაწყვიტა, მისი ქმარიც სასახლის ბრძენი გამხდარიყო.

საღამო ხანს ჰარიდასი შინ რომ დაბრუნდა და კარზე დააკაკუნა, ცოლმა ოდნავ გამოაღო კარი და ქმარი შინ არ შეუშვა.

— ჩემო ქმარო, სასახლის ბრძენი უნდა გახდე! — მრისხანედ უთხრა მან. — მაშინ ჩვენც პატივისცემით მოგვექცევიანო.

— ჭკუაზე ხომ არ შეიშალე! როგორ უნდა გავხდე ბრძენი, ისიც სასახლის ბრძენი! მე ხომ წერა-კითხვაც არ ვიციო.

— ეგ ჩემი საქმე არ არის. სანამ სასახლის ბრძენი არ გახდები, შინ არ შემოგიშვებო, — მიუგო ცოლმა.

ჰარიდასმა კარგად იცოდა თავისი ცოლის კერპი ხასიათი. რაკი თქვა, კაცი სიტყვას ვეღარ გადაათქმევინებდა.

რა ექნა? ღამე თავისი სახლის წინ გაათენა, მეორე დილას კი ერთი ძველი, თეთრი ფარდა თავზე დოლბანდივით შემოიხვია, წავიდა და ერთი ქუჩის კუთხეში დაჯდა. ამ ქუჩაზე ხალხი არ ილეოდა, ბრძენნიც აქ იყრიდნენ თავს. ჰარიდასი იჯდა და იცდიდა, ეგებ ვინმე გაბრიყვდეს და ბრძენი ვეგონოო. მართლაც, მასთან ერთად მოხუცი ქალი მივიდა, თავაზიანად მიესალმა და უთხრა:

— ბრძენო, ეს რამდენიმე დღეა თავი მტკივა. თუ რამე ლოცვა იცი, შემილოცეო.

ჰარიდასი დაიბნა. მან არაფრის შელოცვა არ იცოდა და გულში კარგა მაგრად შეუკურთხა ცოლს: სულ იმისი ბრალია, მე რომ ასეთ საქმეს მოვკიდე ხელიო!

დედაკაცმა რომ დაინახა, ჰარიდასი ტუჩებს აცმაცუნებდა და რაღაცას ბუტბუტებდა, გაიფიქრა: — მგონი, ბედმა გამიღიმა, კარგ ბრძენს მივაგენი, ჯერ ლოცვა არც გაუთავებია და თავის ტკივილმა მიკლოო!

ამასობაში ჰარიდასმა გული გაიმაგრა. ქალი გვერდზე მოისვა. ხელი დანაოჭებულ შუბლზე გადაუსვა და უაზროდ რამდენიმე სიტყვა წაიბუტბუტა.

დედაკაცს თავის ტკივილმა გაუარა. გახარებულმა ჰარიდასს მადლობა გადაუხადა, ფული მისცა და კმაყოფილმა გასწია შინისაკენ; ყველას უამბო, როგორ უმკურნალა ახალმა ბრძენმა, როგორი ნასწავლია და სასწაულთმოქმედი ლოცვები იცოდა.

მალე მთელ ქალაქში ხმა დაირხა, ახალი ბრძენი გამოჩნდაო.

ხალხი ყოველდღე მოდიოდა და მოდიოდა რჩევის საკითხავად. ამასობაში ჰარიდასმა ბევრი ფული მოხვეტა და ერთ საღამოს შინისაკენ გასწია, მაგრამ ცოლმა სახლში არ შეუშვა.

— მე შენი ფული არა მჭირდება, შინ მაშინ შემოგიშვებ, როცა სასახლის ბრძენი გახდებიო!

დაღონებული ჰარიდასი უკან გამობრუნდა. დიდხანს იხეტიალა ქუჩაში და უცბად რაჯას სასახლის წინ არ გაჩნდა! ჰარიდასმა დაინახა, რომ სასახლეს ცხენოსანი მიუახლოვდა, ეს რაჯას ვაჟი გახლდათ. იგი ცხენიდან ჩამოხტა, აღვირი მიაგდო და წავიდა.

ჰარიდასმა გაიფიქრა: მოდი, ამ ცხენს სადმე გადავმალავ. ძებნას რომ დაუწყებენ, ცხენის ადგილ-სამყოფელს მარტო მე დავასახელებ და რაჯას ნამდვილი ბრძენი ვეგონებიო.

ასეც მოიქცა.

დიდხანს ეძებეს რაჯას მსახურებმა დაკარგული ცხენი, სასახლის ბრძენიც დიდხანს მკითხაობდა, მაგრამ ვერაფერს გახდა. თუ ქალაქში ვინმე ბრძენი იყო, ყველას სასახლეში დაუძახეს. ჰარიდასიც მივიდა.

ყველას ჰკითხეს, მაგრამ ვერავინ ვერაფერი თქვა. მაშინ ჰარიდასი წინ წამოდგა და დაასახელა ის ადგილი, სადაც ცხენი იყო.

ცხენი მოიყვანეს. რაჯამ გულუხვად დააჯილდოვა ჰარიდასი და ისე გაისტუმრა. სასახლის ბრძენად კი მაინც არ დატოვა.

ცოტა ხნის მერე რაჯას ძვირფასი ალმასი დაეკარგა. ვერსად ვერ იპოვეს და ისევ ჰარიდასს დაუძახეს.

— რაჯა, ძალიან ძნელი საქმე დამავალე და მოსაფიქრებლად ერთი თვე მაინც მომეციო, — სთხოვა ჰარიდასმა.

რაჯა დათანხმდა და ბრძანა, ჰარიდასისათვის სასახლეში ერთი ოთახი მიეჩინათ.

შუაღამე გადავიდა, მაგრამ ჰარიდასს ძილი არ მიეკარა, ბორგავდა, ბუზღუნებდა და თავის გრძელ ენას წყევლიდა.

რამ მათქმევინა, ბრძენი ვარ-მეთქი! — ფიქრობდა. — ახლა რა ვქნა, სად ვიპოვო ალმასი? მასხარად ამიგდებენ და აქედან ისე გამაგდებენო.

ჰარიდასმა ხმამაღლა წამოიძახა:

— ო, ჯიბჰა, შავი დღე დაგიდგაო.

კარს უკან ერთი მსახური იდგა და ჰარიდასს ყურს უგდებდა. მსახურს ჯიბჰა ერქვა. სწორედ იმის მოპარული იყო ძვირფასი ალმასი. მსახურმა ყური რომ მოჰკრა თავის სახელს, შეეშინდა. ჰარიდასს ფეხებში ჩაუვარდა და შეევედრა, მაპატიეო.

ჰარიდასმა სიხარულისაგან აღარ იცოდა, რა ექნა, მსახური შეეცოდა და უთხრა:

— კარგი, არ გაგცემ, მხოლოდ ასე მოიქეცი: ოცი დღის მერე ალმასი ცომში ჩადე, ბატს გადააყლაპე და იმ ბატს მარცხენა ფრთა მოსტეხეო.

თვე რომ მიიწურა, რაჯამ ჰარიდასი მიაყვანინა და ჰკითხა:

— ბრძენო, ალმასი იპოვეო?

— დიახ, ვიცი, ვისა აქვს თქვენი ალმასი, — მიუგო ჰარიდასმა, — ოღონდ ბრძანება გაეცით, მთელმა ნაზირ-ვეზირებმა და სასახლის მსახურებმა წინ ჩამიარონო.

რაჯამაც ბრძანა და პირველი მრჩევლიდან დაწყებული ჭურჭლის მრეცხავით დამთავრებული, ყველამ წინ ჩაუარა ჰარიდასს.

— ალმასი ვისა აქვსო? — წყრომით ჰკითხა რაჯამ, როცა უკანასკნელმა კაცმაც გაიარა.

— ალმასი ამ ხალხიდან არავის მოუპარავს, მაგრამ მე ვიცი, რომ ქურდი თქვენს ეზოშია. ბრძანება გაეცით, მთელი საქონელი და ფრინველი აქ მორეკონო.

ჰარიდასის წინ გაატარეს სპილოები, ცხენები, ჯორები და აქლემები. მათ ბატები მოჰყვა. ჰარიდასმა მაშინვე იცნო ფრთამოტეხილი ბატი და შესძახა:

— ალმასი, აი, ამ ბატმა მოიპარაო!

ბატი დაიჭირეს, დაკლეს და მართლაც კუჭში ალმასი უპოვეს.

რაჯა კმაყოფილი დარჩა, ჰარიდასი დაასაჩუქრა და სასახლის ბრძენად უნდა დაენიშნა, მაგრამ მრჩევლებმა უთხრეს, ერთხელ კიდევ გამოსცადეო.

რაჯამ დაუჯერა. მეორე დღეს ერთი თიხის ქოთანი აიღო, შიგ ბაყაყი ჩასვა და თავი დაახურა. მერე ჰარიდასს დაუძახა და ჰკითხა:

— ამ ქოთანში რა არისო?

დიდხანს იფიქრა ჰარიდასმა, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა და ნელა ჩაილაპარაკა:

— ოო, მენდჰაქ,* (* მენდჰაქი — (ჰინდის ენაზე) ბაყაყი.) ბედი არა გქონია. არ გიწერია სასახლის ბრძენი გახდეო.

«მენდჰაქი» იმიტომ უწოდა თავის თავს, რომ ბავშვობაში მამა ასე ეძახდა საალერსოდ.

რაჯამ და მისმა მრჩევლებმა ყური მოჰკრეს, რომ ჰარიდასმა ბაყაყი ახსენა და დარწმუნდნენ, ნამდვილი ბრძენი არისო.

ასე გახდა ჰარიდასი სასახლის ბრძენი.

ქურდი და ეშმაკი

ოდესღაც ერთი საწყალი ბრაჰმანი ცხოვრობდა. ერთხელ ერთმა შეძლებულმა კაცმა ბრაჰმანს სამუშაოს საფასურში ორი ხბო მისცა. ბრაჰმანი პირუტყვს მოვლა-პატრონობას არ აკლებდა და ხბორებიც გაიზარდნენ და გასუქდნენ.

ერთმა ქურდმა გაიგო, ბრაჰმანს ორი ხბო ჰყავსო და მათი მოპარვა გადაწყვიტა. ადგა შუაღამისას, თოკი აიღო და ბრაჰმანის სახლისაკენ ფეხაკრეფით გასწია.

ნახევარი გზა არც კი ჰქონდა გავლილი, რომ უცბად წინ უშველებელი, დათვივით ბანჯგვლიანი, რაღაც ურჩხული აეყუდა, ურჩხულს რქასავით მოხრილი ეშვები ჰქონდა და თვალები წითლად უბრწყინავდა.

ქურდს შეეშინდა და გაქცევა დააპირა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

— მიბრძანე, ვინა ხარო, — უთხრა მორიდებით ქურდმა.

— მე ეშმაკი ვარ, აქვე ახლოს ერთი ბრაჰმანი ცხოვრობს და ის უნდა შევჭამო, ერთი მითხარი, შენ ვინღა ხარო?

— მე კრურკარმა მქვია. ბრაჰმანთან მივდივარ, ხბორები უნდა მოვპარო. როგორც ჩანს, ერთი გზა გვქონია და, მოდი, ერთად წავიდეთო, — უთხრა ქურდმა.

ეშმაკი და ქურდი ბრაჰმანის სახლისაკენ გაეშურნენ.

ბრაჰმანს ეზოში გაშლილ ჭილობზე ეძინა.

ქურდმა დაინახა მძინარე ბრაჰმანი და ეშმაკს წასჩურჩულა:

— მოდი, ჯერ ხბორებს წავიყვან და ბრაჰმანი მერე შეჭამეო.

ეშმაკი არ დაეთანხმა:

— არა, ჯერ ბრაჰმანს შევჭამ და ხბორები მერე წაიყვანეო.

— შენ ბრაჰმანს შეჭმას რომ დაუპირებ, გამოეღვიძება, დაიყვირებს და ხბორები ხელიდან წამივა. ამიტომ ჯერ მე გავაკეთებ ჩემს საქმესო.

ეშმაკი მაინც თავისას გაიძახოდა:

— არა, როცა შენ ხბორების წაყვანას დააპირებ, ხმაური ატყდება, ბრაჰმანი გაიღვიძებს და ლუკმა ხელიდან გამომეცლება. სჯობს, ჯერ მე გავაკეთო ჩემი საქმეო.

ეშმაკი და ქურდი იდგნენ და ჩხუბობდნენ. ბოლოს ისეთი ხმაური და ყვირილი ატეხეს, რომ ბრაჰმანს გამოეღვიძა, კეტს დაავლო ხელი, ალაყაფის კარი გააღო, გარეთ გამოვარდა და დაიყვირა:

— ვინა ხართო?

ეშმაკმა მიუგო:

— ეს ქურდია, შენი ხბორები უნდა მოეპარაო.

— ეს კი ეშმაკია, შენს შესაჭმელად მოდიოდაო!

ბრაჰმანმა სწრაფად შეულოცა და ეშმაკი მაშინვე გაქრა. ქურდს კი თავში კეტი ჩასცხო.

ასე გადაარჩინა დავამ ბრაჰმანი და მისი ხბოები.

ჭკუის კოლოფი

შორს, ძალიან შორს, ერთ ტბაში სამი დიდი თევზი ბინადრობდა. ორი თევზი სულ ერთად დაცურავდა და თავი ყველაზე ჭკვიანად მოჰქონდათ, ამიტომ ერთს ასჭკუას ეძახდნენ, მეორეს — ათასჭკუას. ისინი სულ მსჯელობასა და საუბარში ატარებდნენ დროს. მესამე თევზი კი არასოდეს ტრაბახობდა და არც ამბობდა, ყველაზე ჭკვიანი ვარო. ამიტომ ერთჭკუას ეძახდნენ. ერთჭკუა გულმოდგინედ უსმენდა მეგობრებს და ცდილობდა დაემახსოვრებინა, რაც მისთვის სასარგებლო იყო.

ერთხელ ტბას მეთევზეები მიადგნენ, შიგ უამრავი თევზი რომ დაინახეს გადაწყვიტეს, ხვალ მოვიდეთ და ვითევზაოთო.

ერთჭკუამ ასჭკუას უთხრა:

— მეგობარო, გაიგე, მეთევზეები რაზე ლაპარაკობდნენ? ხვალ მოვლენ, ბადეებს ისვრიან და დაგვიჭერენ. ახლავე უნდა ვიღონოთ რამე, აქაურობას გავეცალოთ და სადმე მყუდრო ადგილი მოვძებნოთ, თორემ მერე გვიანი იქნებაო.

ასჭკუამ თავმომწონედ მიუგო:

— ცარიელი ლაპარაკი რა საშიშია, იქნება ხვალ არც კი მოვიდნენ. ისეთი ბოროტი საქმე განუზრახავთ, სულ ერთია, ხელი მაინც არ მოემართებათო.

მაშინ ერთჭკუამ ათასჭკუას მიმართა. ისიც ტრაბახს მოჰყვა:

— შენ ტყუილუბრალოდ ირჯები. თავში ათასი აზრი მაქვს და, როცა საჭირო იქნება, ათას საშუალებას გამოვნახავ გადასარჩენად. ხვალ თუ მოვლენ მეთევზეები, მეც გადავრჩები და თქვენც გადაგარჩენთ. ახლა კი, შენი ჭირიმე, ნუ შეგვაწუხებო.

— ჩემო მეგობრებო, თქვენ ისეთი ჭკვიანები ხართ, ათასნაირად შეგიძლიათ თავი გადაირჩინოთ. მე კი ერთი ჭკუა მაქვს და ამ ერთი ჭკუით ის ვიცი, რომ უნდა ავჩქარდეო.

ერთჭკუამ მთელი თავისი ოჯახით ტბიდან მდინარეში გაცურა.

მეორე დღეს მეთევზეები მართლაც მოვიდნენ და წყალში ბადე ისროლეს. ათასჭკუა და ასჭკუა ბევრს ეცადნენ თავი დაეძვრინათ, მაგრამ ამაოდ. ორივენი ბადეში მოჰყვნენ.

მწემსის ხუმრობა

ერთ საწყალ ქალს ტყეზე უნდა გაევლო. გზაზე შავი ქლიავით დახუნძლული ხე დაინახა და პირზე ნერწყვი მოადგა. იმ ხის ძირას ერთი მწყემსი აძოვებდა საქონელს. ქალი მივიდა მწყემსთან და სთხოვა:

— ძმობილო! მომშივდა, ადი ხეზე და ქლიავი მომიკრიფეო.

მწყემსი მაშინვე ავიდა ხეზე და იქიდან ჰკითხა ქალს:

— მითხარი, როგორი ქლიავი გინდა, ცხელი თუ ცივიო?

ქალმა მიუგო:

— მე არც კი ვიცი, თუ ისეთი ხე არსებობს, რომელიც ცხელ ქლიავსაც ისხამს და ცივსაც. რახან ასეა, მაშინ ცხელი ქლიავი მომიკრიფეო.

მწყემსმა მოუკრიფა ქლიავი და ძირს ჩამოუყარა.

ქალი მიწიდან ქლიავს იღებდა, მტვერს სულს უბერავდა და ჭამდა.

ცოტა ხნის მერე ქალმა მწყემსს ჰკითხა:

— ძმობილო, ქლიავი ცხელი რო არ არისო!

— ცხელი თუ არ არის, სულს რატომ უბერავო? — ღიმილით უთხრა მწყემსმა.

პოსტმონი*

(* პოსტმონი — მცენარეა ყაყაჩოს ჯიშისა.)

ოდესღაც წმინდა მდნარე განგის ნაპირას პალმის ფოთლებისგან მოწნულ პატარა ქოხში ბრძენი განდეგილი ცხოვრობდა. მისი ცხოვრება ერთფეროვნად მიდიოდა: დღისით მდინარეს აჰყვებ-ჩაჰყვებოდა ფიქრებში გართული და თან ლოცულობდა, საღამოს კი მოიმზადებდა ღარიბულ საჭმელს, შეჭამდა და დაიძინებდა.

განდეგილის ახლომახლო ადამიანის ჭაჭანება არ იყო. მხოლოდ ერთი პატარა თაგვი დასახლდა მის ქოხში და მისი დაყრილი ნამცეცებით იკვებებოდა, თაგვი დღისით ქოხში დარბოდა, ღამე კი განდეგილის ფეხებთან წვებოდა.

განდეგილი ძალიან მიეჩვია თაგვს, შეუყვარდა კიდეც. ხშირად თავის გასაჭირს უყვებოდა და სხვადასხვა საქმეებზედაც მსჯელობდა მასთან.

ასე გადიოდა დღეები. ერთხელ, ვახშმობისას, თაგვმა განდეგილს უთხრა:

— ჩემო ბატონო, შენ ისეთი გულკეთილობა გამოიჩინე, რომ ლაპარაკიც კი მასწავლე! თუ არ გამიჯავრდები, შენთან ერთი თხოვნა მაქვსო.

— რა თხოვნაა, თქვი, არ გაგიჯავრდებიო.

— როცა მთელი დღით გადიხარ სახლიდან, აქ ერთი კატა შემოდის ხოლმე და, იმის შემხედვარეს, შიშისაგან გული მისკდება. შენი რომ არ იყო, უკვე დიდი ხნის შეჭმული ვეყოლებოდიო.

— მერედა, როგორ მოვიქცეო? — ჰკითხა განდეგილმა.

— თუ გინდა, მშვიდად ვიცხოვრო, მეც კატად გადამაქციეო.

— კარგიო, — უთხრა ბრძენმა, — კატად გადაგაქცევო.

მიასხა თაგვს ჯადოსნური წყალი და თვალის დახამხამებაზე თაგვი კატად იქცა, კატასავითაც კი დაიკნავლა «მიავ-მიავ, მიავო!»

გავიდა რამდენიმე დღე. განდეგილმა თაგვ-კატას ჰკითხა:

— როგორ არის შენი საქმე, კმაყოფილი ხარო?

— შენ ისეთი გულკეთილი ხარ, მაგრამ...

— კიდევ «მაგრამს» ამბობო? — გაოცდა განდეგილი.

— რამდენიმე დღე მართლაც ბედნიერი ვიყავი, — უთხრა თაგვმა, — მაგრამ დახე უბედურებას! როცა შენ სახლიდან მიდიხარ, აქ ავი ძაღლი მოდის და ისეთი თვალებით მიყურებს, სულ ელეთმელეთი მომდისო.

— ახლა რა გინდაო? — ჰკითხა განდეგილმა.

თაგვ-კატამ მიუგო:

— კარგი იქნებოდა ძაღლად გექციე, მაშინ კი, მართლაც ბედნიერი ვიქნებოდიო.

— კარგიო, — უთხრა განდეგილმა.

ისევ მიასხა ჯადოსნური წყალი და წაიბუტბუტა:

— ძაღლად იქეციო!

სიტყვა არ დაემთავრებინა განდეგილს, რომ თაგვ-კატა ახლა ძაღლად იქცა.

გავიდა ერთი დღე, მეორე, და აი, თაგვ-ძაღლი მივიდა განდეგილთან.

— ისევ უნდა შეგაწუხოო, — უთხრა მან.

— ახლა რაღა გაგიჭირდაო?

— იცი რა, ჩემო ბატონო, არა ვარ კმაყოფილი ძაღლად რომ ვიქეცი. ძაღლი დიდი ცხოველია და ნამცეცები არა ჰყოფნის. მაიმუნად რომ მაქციო, მაშინ კარგად ვიცხოვრებ და არც არაფრის ჯავრი მექნება, ტოტიდან ტოტზე ვიხტუნებ და ხილს შევჭამ, ხილი კი აქ ბევრია. მე ვიცი შენი გულკეთილობის ამბავი, ამიტომ გადავწყვიტე კიდევ ერთხელ გთხოვოო.

განდეგილმა ისევ მიასხურა ჯადოსნური წყალი და, მაიმუნად იქეციო, უთხრა.

თაგვ-ძაღლი მაიმუნად გადაიქცა და დაიწყო ხიდან ხეზე და ტოტიდან ტოტზე ხტუნაობა. ახლა კი ბედნიერი იყო.

მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა მისი ბედნიერება. გავიდა ზამთარი და დადგა გაზაფხული. ცხელი დღეები დაიჭირა. მდინარე განგმა იკლო, არხები და ტბორები ამოშრა. ისეთი პაპანაქება იყო, სუნთქვაც კი ჭირდა. მაიმუნს რაღა დაემართებოდა თავის ქურქში...

— ახლა რომ შემეძლოს მდინარესთან მისვლა და წყლის დალევა... — ნატრობდა მაიმუნი, — მაგრამ, ერთი უბედურებაა, — მდინარის პირას გუნდ-გუნდად დაფრინავენ ბოროტი ქინქლები.

გავიდა რამდენიმე დღე და მაიმუნი ისევ მივიდა განდეგილთან, ფეხებთან დაუსკუპდა და უთხრა:

— არა, ბატონო, მეტის ატანა აღარ შემიძლიაო!

— რა დაგმართნიაო?

— წყურვილით ვკვდები. ქინქლად რომ გადამაქციო, დიდი მადლობელი ვიქნებიო! — ამოიოხრა მან.

ბრძენს უყვარდა თაგვი, უარი ვერ უთხრა თხოვნაზე და ქინქლად გადააქცია.

ქინქლა მაშინვე მდინარისკენ გაფრინდა და ხარბად დაეწაფა წყალს. იმ წუთას ძალიან ბედნიერი იყო.

გავიდა ერთი დღე, მეორე. მესამე დღეს ქინქლამ გზაზე სადღესასწაულო პროცესია დაინახა — რაჯა სანადიროდ მიდიოდა. იგი უშველებელ სპილოზე იჯდა და გვერდზე რანი მოესვა.

სპილოს გრძელი ეშვები მარგალიტებითა და ალმასებით ჰქონდა შემკული. თავზე ოქროს ჯიღა ედგა. ზურგზე ოქროს ფარჩა გადაეფარებინათ. მსახურები სპილოსა და რაჯას მარაოთი უნიავებდნენ, რომ ერთი ქინქლაც არ გაჰკარებოდათ.

ამის დანახვამ ქინქლა ააღელვა. ვინა ვარ მე? — ერთი საცოდავი ქინქლა და მეტი არაფერი! არც არავინ მეალერსება და სპილოსავით არც არავინ მკაზმავსო. თაგვი-ქინქლა დაღონებული გაეშურა განდეგილისაკენ.

— იმედია, ახლა შენი ბედის კმაყოფილი ხარო, — უთხრა განდეგილმა.

— არა, ჩემო ბატონო, — მიუგო თაგვმა. — რა სახარბიელოა ქინქლად ყოფნა! აი, სპილოდ რომ გადამაქციო, მაშინ კი ბედნიერი ვიქნები, ზურგზე ფარჩას გაამაფარებენ და უნაგირზე თვით რაჯა დაბრძანდებაო.

განდეგილს გაეღიმა და უთხრა:

— მაგაზე ნუ დაღონდები, სპილოდაც გადაგაქცევო.

თვალის დახამხამებაზე თაგვი სპილოდ იქცა. ისიც უბრალო სპილოდ კი არა, სამეფო სპილოდ.

მაშინვე საიდანღაც გაჩნდნენ რაჯას მსახურები და სპილო თავლაში წაიყვანეს.

როგორ ეფერებოდნენ სპილოს! ათი მსახური თავს დასტრიალებდა, დღე აჭმევდნენ, ასუფთავებდენ, ღამე მარაოს უნიავებდნენ, რომ ქინქლებს არ შეეწუხებინათ.

— რა დიდებულადა ვცხოვრობ, — უხაროდა თაგვ-სპილოს. — ახლა მე და რაჯა ერთ ბედში ვართო.

ამ სიხარულში გაიარა რამდენიმე დღემ.

ერთხელ რანიმ მდინარე განგში ბანაობა მოისურვა. რაჯამ გადაწყვიტა, ახალი სპილოთი წასულიყო, და ბრძანა სადგომიდან გამოეყვანათ. რაჯა ზურგზე რომ შეაჯდა, სპილოს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ როცა რაჯას გვერდით რანიც მოუსვეს, მაშინ კი ძალიან გაბრაზდა: ასეა თუ ისე, რანი მაინც ქალია და ქალის ზურგით ტარება ხომ დამამცირებელიაო.

სპილომ თავი დახარა და ტანი შეიბერტყა, რანი უნაგირიდან გადმოვარდა. მსახურები მისცვივდნენ რანის. რაჯაც გადმოვიდა ძირს და ბრძანა, ხალიჩა მოეტანათ. მოიტანეს ხალიჩა და რანი ზედ დასვეს, რაჯა უბერავდა და მტვერს აცლიდა რანის. მერე რა სიყვარულით, რა სინაზით უბერავდა! სპილოზე კი თქვა:

— წაიყვანეთ, აკაზმულობა მოხსენით და ერთი კარგად გაუმასპინძლდითო.

დაღონდა სპილო. არ გეგონოთ, თითქოს დასჯას ჩიოდა. არც იმას წუხდა, რომ მოსართავებს მოხსნიდნენ, მხოლოდ ის აფიქრებდა, რაჯას ჩემზე მეტად რანი უყვარსო?

— უჰ, ერთი რანიდ მაქციაო, — გაიფიქრა თაგვ-სპილომ.

ღამე, როცა მსახურებს ეძინათ, სპილო განდეგილთან წავიდა.

— შენი ბედის ახლა ხომ კმაყოფილი ხარო? — ჰკითხა განდეგილმა.

— არაო! — ამოიოხრა სპილომ. — დავრწმუნდი, რომ სპილოზე მეტად რაჯას რანი უყვარსო.

— ახლა რანიდ ხომ არ გინდა იქცეო? — გაოცდა განდეგილი.

— დიახ, ბატონოო, — ჩაილაპარაკა თაგვ-სპილომ და დარცხვენილმა ხორთუმი დაუშვა.

— ოო, ეს კი გამიძნელდებაო, — უთხრა განდეგილმა, — სად გავაჩინო სამეფო და ან რაჯა საიდან მოგიყვანო ქმრად? არა, რანიდ ვერ გაგხდი. მაგრამ მე შემიძლია ლამაზ გოგოდ გაქციო. გინდაო?

— რასაკვირველია, მინდაო, — გაუხარდა თაგვ-სპილოს.

ბრძენმა განდეგილმა შელოცვილი წყალი შეასხა და უცებ სპილო ლამაზ გოგონად იქცა. ბრძენმა მას პოსტმონი დაარქვა.

პოსტმონი განდეგილის ქოხში დარჩა, ხილსა და ყვავილებს კრეფდა, წნავდა გვირგვინებს და ისმენდა ჩიტების ჭიკჭიკს.

ერთ საღამოს, როცა პოსტმონი ქოხში იჯდა და გვირგვინს წნავდა, ძვირფას სამოსელში გამოწყობილი ვიღაც უცხო მგზავრი მოადგა კარს.

— ვინა ხარ? — ჰკითხა პოსტმონმა. — ჩაცმულობაზე გეტყობა, აქაური არ უნდა იყოო.

— სანადიროდ ვიყავი, ირემს დავედევნე და ვერ დავეწიე. ძალიან მომშივდა და, ქოხი რომ დავინახე, აქეთ გამოვეშურე, მადლობელი ვიქნები თუ რამეს მაჭმევო.

— შემოდი, — უთხრა პოსტმონმა. — მართალია, ღარიბები ვართ, მაგრამ რითაც შემიძლია, გაგიმასპინძლდები. რაჯასავით კი გაცვიაო.

სტუმარს გაეცინა, მაგრამ არაფერი თქვა. პოსტმონმა სტუმარს წყლით სავსე დოქი დაუდგა წინ, მერე ტყეში წავიდა და ისეთი ხილი მოიტანა, ცქერით ვერ გაძღებოდა კაცი. პოსტმონმა ხილი სტუმარს შესთავაზა.

— ამ ტყეში მოსვლას არა ვნანობ! — შესძახა რაჯამ. — ასეთი მშვენიერი და გულკეთილი გოგონა სწორედ რომ რაჯას ცოლობის ღირსიაო!

განდეგილი რომ დაბრუნდა, რაჯამ განუცხადა, პოსტმონი ცოლად უნდა შევირთოო.

რაჯამ სასახლეში წაიყვანა პოსტმონი და ცოლად შეირთო. ძალიან უყვარდა თავისი მზეთუნახავი ცოლი და ყველა სურვილს უსრულებდა.

უდარდელად მიდიოდა დრო. პოსტმონი ბედნიერი იყო, მაგრამ სული და ხასიათი თაგვისა შერჩა. ამ ხასიათმაც მალე იჩინა თავი.

ერთხელ პოსტმონი სასეირნოდ წავიდა, გზაში ერთ ღრმა ჭასთან შედგა და შიგ ჩაიხედა, როგორც თაგვებს სჩვევიათ, შიშისაგან შეკრთა, თავბრუ დაესხა და ჭაში ჩავარდა.

დაღონებულმა რაჯამ ბრძანა, ჭა მიწით ამოევსოთ და საფლავად ექციათ.

მალე საფლავი პოსტმონით მოიფინა.

თვალს ვერ მოაშორებთ, ისეთი ლამაზი ყვავილია პოსტმონი, მაგრამ ხალხისთვის დიდი უბედურება მოაქვს. მისი თესლიდან ხალხი ოპიუმს ამზადებს და ეწევა. ოპიუმი აბრუებს ადამიანს, გონს აკარგვინებს, სიზმრებსა და ბურანში ხვევს.

სიზმარში ხომ დარდი და უბედურება ავიწყდება კაცს, მაგრამ სიზმარიც ისევე ხანმოკლეა, როგორიც შურიანი და მშიშარა თაგვის ბედნიერება. ვინც ოპიუმს ეწევა, ყველა იმ ცხოველის ცუდ თვისებებს იძენენ, რადაც გადაიქცეოდა ხოლმე შურიანი თაგვი. ისინი ხარბად ეძებდენ ოპიუმს, როგორც კატა ეძებს თაგვს. ძაღლებივით ჩხუბობენ, მაიმუნებივით ბინძურები და ბოროტები არიან და ქინქლებივით იკბინებიან. ოპიუმის მწეველს თვალები უსივდება და სპილოს თვალებივით უპატარავდება.

ლამაზი ყვავილია პოსტმონი. კაცი ტკბება მისი ცქერით, მაგრამ უბედურება მოელის ყველას, ვინც კი მისგან დამზადებულ ოპიუმს მოსწევს.

<u>ყმაწვილი და რაჯა</u>

ინდოეთის ერთ სოფელში ერთი ღატაკი ქვრივი ცხოვრობდა. დილიდან საღამომდე თავწაღუნული მუშაობდა თავის პატარა მიწის ნაკვეთზე. ქვრივი ძალ-ღონეს არ იშურებდა თავისი ერთადერთი ვაჟის სარჩენად, შვილს კი უფრთხილდებოდა და მძიმე სამუშაოს არ აკარებდა.

ქვრივს ამაგი დაუფასდა. სახელოვანი შვილი გაეზარდა. თხუთმეტი წლისა ნამდვილი გოლიათი გეგონებოდათ.

ერთხელ ვაჟი ორღობეში მიდიოდა, უცბად მისკენ მომავალი სპილო დაინახა, ზედ რაჯა იჯდა, თან ამალაც ახლდა. სპილო პირდაპირ ბიჭისკენ მიდიოდა, გადახვევას არცა ფიქრობდა, საცაა შესდგებოდა კიდეც თავისი უზარმაზარი ფეხებით. მაგრამ პატარა გოლიათი არ დაიბნა, გაუსწორდა თუ არა სპილოს, მარცხენა მხრით დაეჯახა და გვერდზე მიაყენა. თვითონ კი მშვიდობით გაიარა, მაგრამ რაჯა კინაღამ ძირს ჩამოაგდო.

გაოცდა რაჯა, ეს რა ღონიერი ყმაწვილი არისო!

— რა კარგია, როცა ასეთი მსახური გვყავს! კარგი მსახური კარგ მცველსაც ნიშნავსო, — გაიფიქრა და ბიჭს დაუძახა:

— შენ ეი, ყმაწვილო, არ გინდა მსახურად დამიდგე? ჩაგაცმევ კიდეც და კარგადაც გაჭმევო.

— არა, — მიუგო ყმაწვილმა. — არ მინდა სხვისი მსახური ვიყო, მე თავისუფლება მსურსო.

რაჯა გაბრაზდა, შეურაცხყოფად მიიღო ღატაკი ყმაწვილის ასეთი ქედმაღლური პასუხი.

— ეგრე იყოს, — გაიფიქრა მან, — ვიდრე ახალგაზრდა ხარ და ღონე გერჩის, იამაყე, როცა მინდორში დაიწყებ მუშაობას და ძალა გამოგელევა, მაშინ მოგელაპარაკებიო!

გავიდა რამდენიმე წელი. ყმაწვილი დედას მხარში ამოუდგა და მის გვერდით შრომობდა. მძიმე მუშაობამ და გამუდმებულმა შიმშილმა ჩამოახმო და გოლიათური ღონეც გამოაცალა.

ერთ საღამოს ყმაწვილი თავისი ძველი ქოხის სახურავის შეკეთებას შეუდგა. გზად რაჯამ ჩაიარა. დაინახა ყმაწვილი, მაგრამ ძლივსღა იცნო. რაჯამ ბრძანა გაეჩერებინათ სპილო და ყმაწვილს მიმართა:

— შენ ეი, ყმაწვილო, არც ახლა დამიდგები მსახურად? სამუშაოც მსუბუქია და საჭმელიც ბევრი გექნება, მალე ისევ ძველ ღონეს მოიკრებ. გატყობ, შენი ძველი სიამაყე შენს ღონეს გაჰყვაო.

— ვერა, ვერ დაგიდგები მსახურად, — მიუგო ყმაწვილმა, — როგორც ხედავ, შრომამ და შიმშილმა ძალ-ღონე კი გამომაცალა, მაგრამ თავისუფლების სიყვარულს მაინც ვერ დამავიწყებსო.

<u>ძნელი საქმე</u>

ერთხელ იმპერატორ აქბარს* (* აქბარი — დიდ მოღოლთა დინასტიის ერთ-ერთი მონარქი. მბრძანებლობდა ჩრდილო ინდოეთში (1542-1602).) ბირბალთან* (* ბირბალი — იმპერატორ აქბარის მრჩეველი.) საუბარი მოესურვა. რამდენჯერმე კაცი გაუგზავნა, მაგრამ ბირბალი არ ეახლა. მაშინ იმპერატორმა ბრძანა, ძალით მოიყვანეთო.

როცა ბირბალი მოიყვანეს, აქბარმა მრისხანედ ჰკითხა:

— რა იყო, რა მოგივიდა, ისეთი რა საქმე გქონდა, რომ თავის დროზე მოსვლა ვერ შეძელიო?

ბირბალს ძილი უყვარდა და ამიტომ დააგვიანდა, მაგრამ ახლა შეეშინდა იმპერატორის განრისხებისა და გადაწყვიტა, სხვა რამ მოემიზეზებინა.

— ო, დიდებულთა შორის დიდებულო! ბავშვი მიტიროდა, ვერაფრით ვერ დავაწყნარე და ამიტომ დამაგვიანდაო.

აქბარმა არ დაუჯერა:

— მატყუებ. მიგეცა ბავშვისთვის, რასაც თხოულობდა და უცებ გაჩუმდებოდა. ამისათვის დიდი დრო არ იყო საჭიროო.

— ოო, ჩემო მბრძანებელო! თქვენ არ იცით, რამდენი დრო სჭირდება ბავშვის დაწყნარებას, ეს ადვილი საქმე როდიაო.

— მაინც არა მჯერა, შენს ადგილას მე უცბად გავაჩუმებდიო.

მაშინ ბირბალმა უთხრა:

— ჩემო მბრძანებელო! თუ არა გჯერა, მე ჩემი შვილივით ტირილს მოვრთავ და აბა გამაჩუმეო.

აქბარი დაეთანხმა. ბირბალმა ხალიჩაზე მოიკეცა და ატირდა. აქბარი გვერდზე მიუჯდა, თავზე ხელი გადაუსვა და ჰკითხა:

— შვილო, რათა ტირიხარო?

ბირბალმა არაფერი უპასუხა და უფრო უმატა ტირილს.

აქბარმაც უფრო დაუყვავა.

— ნუ ტირი, შვილო, ნუ ტირი! მითხარი, რა გინდაო?

— ტკბილი შაქრის ლერწამი მინდა...

აქბარმა ბრძანა მოეტანათ მთელი ასხმა შაქრის ლერწამი და წინ დაუდო ბირბალს.

— აჰა, ლერწამი, აიღე, რომელიც გინდაო.

— მე არ ვიცი, რომელია უკეთესი, — აზლუქუნდა ისევ ბირბალი. — შენ თვითონ ამირჩიე. მე ყველაზე ტკბილი მინდაო.

აქბარმა აურჩია ყველაზე კარგი ლერწამი და ბირბალს მიაწოდა.

ბირბალმა ლერწამი დააგდო ხალიჩაზე და ატირდა:

— მე ეს არ მინდა! ეს ცუდიაო!

აქბარმა აურჩია მეორე, მესამე. ბირბალი კი ტირილს არ ათავებდა და ძირს ყრიდა ლერწმებს. ბოლოს, როგორც იყო, აიღო ერთი, მაგრამ ტირილი მაინც არ შეუწყვეტია.

აქბარმა აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

— რაღა გინდა, შვილო! — ეუბნებოდა ბირბალს. — ხომ მოგეცი ყველაზე ტკბილი ლერწამი. რაღად ტირიხარო?

— ეს არ მინდა! ქერქიანიაო, — სლუკუნებდა ის.

— შენც ადექი, ქერქი გააცალე და ისე შეჭამეო.

— შენ გააცალე, მე არ ვიციო...

აქბარმა ქერქი გააცალა და ხელში მიაჩეჩა ბირბალს. ის მაინც ტიროდა, თვალებს მუშტებით ისრესდა და ზლუქუნებდა:

— ეს არა, დიდია, პატარა მინდა, დაამტვრიე და ქუდში ჩამიყარეო.

აქბარმა შეუსრულა თხოვნა და ლერწამი დაამტვრია. ბირბალმა სტაცა ხელი ქუდს, გადაყარა დამტვრეული ლერწამი და ისევ გააბა ტირილი:

— ასეთი პატარები არ მინდა, ჩქარა გაამთელეო.

— შვილო, შენ გინდა ლერწამი ისევ გავამთელო? მე რომ ვერ შევძლებ ამას? სხვა მთელი ლერწამი აიღეო, — დაუყვავა აქბარმა.

ბირბალი კი ტიროდა და ტიროდა:

— ეს მინდა, რომ გამთელდესო.

— მართალი ყოფილხარ, ბირბალ, ასეთი მტირალა ბავშვის გაჩუმება იოლი საქმე როდი ყოფილაო, — თითი მოკაკვა აქბარმა და ბირბალს დაგვიანება აპატია.

<u>აქბარი და ბირბალი</u>

ერთხელ აქბარმა ბირბალს ჰკითხა:

— ყველაზე საჭირო ბრძოლაში რა არისო?

ბირბალმა მიუგო:

— ქვეყნის მბრძანებელო, ყველაზე საჭირო ბრძოლაში გამბედაობააო!

— ღონე და იარაღი ხომ არ დაგვიწყებიაო? — ჰკითხა აქბარმა.

— ხელმწიფევ, მეომარს თუ გამბედაობა არა აქვს, მას არც ღონე უშველის და არც იარაღიო, — მიუგო ბირბალმა.

<u>ერთი აზრი</u>

ერთხელ იმპერატორი აქბარი ბირბალს შეეკამათა. ბირბალი ამბობდა:

— ო, დიდებულო ხელმწიფევ! მე შესაძლებლად მიმაჩნია ას კაცს ერთი აზრი ჰქონდესო.

აქბარი არ ეთანხმებოდა; დიდხანს იკამათეს, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ. ბოლოს აქბარმა გასცა განკარგულება, დაეცალათ წყლით სავსე აუზი, ზედ მიტკალი გადაეფარებინათ, ნაღარა დაეკრათ და ქალაქის მცხოვრებლებისათვის გამოეცხადებინათ, ამაღამ სასახლის აუზში ყველამ თითო დოქი რძე ჩაასხითო.

ყველამ იფიქრა, რაკი იმპერატორმა ასეთი ბრძანება გასცა, აუზში ბევრ რძეს ჩაასხამენ. მოდი, მე წყალს ჩავასხამ, მაინც ვერავინ გაიგებს და ტყუილად რძე რაზე გადავღვაროო.

მხაზე დოქებშედგმულმა ხალხმა იმ ღამეს სასახლისაკენ იწყო დენა. ყველა ფიქრობდა, აუზი რძით არის სავსეო, რადგან უკუნ ღამეში მიტკალი რძესავით მოჩანდა. მივიდოდნენ, წყალს დაასხამდნენ და სწრაფად გაშორდებოდნენ იქაურობას. ეგონათ, რძის მაგივრად წყლის ჩასხმა მარტო ჩვენ მოვიფიქრეთო და უხაროდათ.

მეორე დილას აქბარი და ბირბალი აუზთან მივიდნენ. ახადეს მიტკალი და რასა ხედავენ, აუზი წყლით იყო სავსე!

— შენ მართალი ყოფილხარ, ბირბალ, ასობით ადამიანს შეუძლია ერთი აზრი ჰქონდესო, — აღიარა აქბარმა.

ბამბის მპენტავი , ვეფხვი და ტურა

ერთ სოფელში ერთი ბამბის მპენტავი ცხოვრობდა.

ერთხელ, დილაადრიანად, მხარზე ბამბის საპენტი მოიგდო და მეზობელ სოფლისკენ გასწია. გზად ტყე უნდა გაევლო, მიდის და მიაბიჯებს. უცებ მისკენ მომავალი ვეფხვი დაინახა. ვეფხვმა იფიქრა, გემრიელი ლუკმა ჩამივარდა ხელშიო, მაგრამ ახლოს მისვლა მაინც ვერ გაბედა: კაცს უცნაური რაღად გაედო მხარზე.

ჩემს სიცოცხლეში მსგავსი არა მინახავს რა, თუ დამიმიზნა, ცუდი დღე დამადგებაო, გაიფიქრა ვეფხვმა და ადგილზევე გაშეშდა. მოხუცს აქეთ ცალკე დაეცა შიშის ზარი და ფეხი ვეღარ მოიცვალა. დგანან ასე მოხუცი და ვეფხვი და არ იციან, რა ქნან.

იქვე, შორიახლო ტურა წამოსკუპულიყო, ვეფხვი და კაცი ამ ყოფაში რომ ნახა, გადაწყვიტა, ამათ ერთი კარგი ოინი უნდა ვუყოო. ადგა, ფრთხილად მიეპარა ვეფხვს და წკავწკავი დაიწყო:

— ო, ნადირთა ფადიშაჰო, დროს რაღად ჰკარგავთ? გემრიელი ლუკმა წინ გიდევთ, მიირთვით, რაღას უცდითო.

— შენ რა გესმის, ტუტუცო! — დაიღრიალა ვეფხვმა. — უბედურება მელის! დღეს ცუდ ფეხზე ავმდგარვარ. ხედავ, მხარზე რაღაც იარაღი გაუდვია, ასეთი რამ ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს. რომ დამიმიზნოს, მერე რაღა ვქნაო?

— თქვენო უდიდებულესობავ, — მიუგო ტურამ, — თქვენ ოღონდ მიბრძანეთ, მე მივალ და ვთხოვ, ხელი არ გახლოს. რომ გადაგარჩინოთ, რას მიბოძებთო?

— ერთი დღის ნანადირევს მოგცემ, — მიუგო ვეფხვმა. გახარებული ტურა კაცთან გაიქცა და აწკავწკავდა:

— შენ, ეი, ადამიანო, რას უდგახარ; ეს სისხლისმსმელი ვეფხვი ცოცხალს არ გაგიშვებსო!

— რა ვქნა? — დაიკვნესა კაცმა. — ეს რა უბედურებაში ჩავვარდი? რა მეშველება? დავიღუპეო.

— მე რომ გადაგარჩინო, რას მომცემო? — ჰკითხა ტურამ.

— ყველაფერს, რასაც კი მთხოვ, ოღონდ მიბრძანეო!

— ბევრს არაფერსა გთხოვ, ბარძაყიდან ორიოდ ნაჭერ ხორცს გამოგაგლეჯო.

რა გაეწყობა, ორი ნაჭერი ხორცი რა არის, თუ ცოცხალი გადავრჩიო, გაიფიქრა კაცმა და დათანხმდა.

ტურა ახლა ვეფხვთან გაიქცა.

— ოო, მბრძანებელო, ბევრი ველაპარაკე, ძალიან ბევრი და, როგორც იყო დავითანხმე, ხელი არ გახლოს. ჩქარა გაიქეცით. ნუ გეშინია, არ გამოგეკიდებაო.

ვეფხვმა ტურას დაუჯერა და უკანმოუხედავად მოკურცხლა.

კაცმა რომ დაინახა, ვეფხვი გაიქცაო, გაუხარდა და ბედს მადლი შესწირა.

ტურამ მოხუცთან მიირბინა და უთხრა:

— ჰეი, ადამიანო, ხომ გიხსენი უბედურებისაგან, ახლა პირობაზე როგორა ხარო?

— კარგადო, — უპასუხა კაცმა და მიწაზე გაწვა.

ის იყო, ტურა უნდა შესდგომოდა თავის საქმეს, რომ კაცმა საზარლად შეჰყეფა. შეშინებული ტურა განზე გახტა, ას ნაბიჯზე გაჩერდა და იქიდან შეეკითხა:

— ეს ვინა ყეფსო?

— შენ ვინა გკითხავს, ვინცა ყეფს, — მიუგო ადამიანმა. — მოდი, შენი საქმე გააკეთეო!

— არა, სანამ არ გავიგებ რა ყეფს, მანამ ვერ მოგიახლოვდებიო!

— მაშ ყური მიგდე, შარშან ჩვენს სოფელში დიდი შიმშილობა იყო. საზრდო გამოგველია. სწორედ იმ დროს ჩემმა ძაღლმა ლეკვები დაყარა: ძალიან დავიმშიე და, მეტი გზა არ იყო, ეს ბრმა ლეკვები შევჭამე. ამ ერთ წელიწადში ისე წამოიზარდნენ მუცელში, რომ გარეთ გამოსვლას მთხოვენ და ამიტომ იყეფებიანო.

ძაღლი ხომ ტურის დაუძინებელი მტერია! შეშინებულმა ტურამ მოხუცს ხვეწნა დაუწყო:

— ამქვეყნად თუ რამე გწამს, სანამ აქაურობას მოვშორდები, ძაღლები არ გამოუშვაო.

— რახან ასეა, ჩქარა გაიქეციო, — უთხრა კაცმა.

ტურამ მოკურცხლა. მოხუცი კი შინისაკენ გაეშურა. ძალიან კმაყოფილი იყო, რომ ასე მარჯვედ გადაურჩა უბედურებას.

<u>ძუნწი ბატონი და მსახური</u>

ერთ ძუნწ ბატონს არ უნდოდა მსახურებისათვის გასამრჯელო მიეცა. წავიდა და ერთი მოკლე ზეწარი იყიდა. თავზე რომ წაიხურავდა ზეწარს, ფეხებზე აღარ სწვდებოდა, ფეხებზე წაიფარებდა და თავი რჩებოდა შიშველი. როგორც კი მსახური გასამრჯელოს მოითხოვდა, ბატონი უმალვე დაწვებოდა და ეტყოდა:

— აბა, ეს ზეწარი დამახურეო.

მსახური თავზე წააფარებდა ზეწარს, ფეხები რჩებოდა გარეთ, ფეხებზე დაახურავდა და თავი რჩებოდა გარეთ. ბატონი გაბრაზდებოდა, ურჩობას დასწამებდა მსახურს, გააგდებდა სახლიდან და გასამრჯელოსაც არ მისცემდა. ყველამ გაიგო ბატონის სიძუნწის ამბავი და აღარავის უნდოდა მასთან დადგომა.

ერთ დღეს უცხო კაცი მივიდა და სთხოვა მსახურად დამაყენეო. მეზობლებმა ამ კაცს უთხრეს:

— შენი ბატონი ძუნწია და მატყუარა, არ გირჩევთ მასთან დარჩენასო.

— ამას რატომ მეუბნებითო? — იკითხა ახალმა მსახურმა.

მეზობლებმა ყველაფერი უამბეს, თუ როგორ უსამართლოდ იქცეოდა ბატონი. მსახურმა უთხრა:

— მე მოვემსახურები და, როცა წასვლას დავაპირებ, ფულსაც სრულად ავიღებო.

მსახური გულმოდგინედ ემსახურებოდა ბატონს და, როცა თვე გათავდა, თავისი გასამრჯელო მოითხოვა. ბატონმა, ჩვეულებისამებრ, უბრძანა, ზეწარი დამახურეო, მსახურმაც დაახურა.

— განა ვერა ხედავ, ფეხები გარეთ რომ დამრჩაო! — შეუტია ბატონმა.

მსახურმა ზეწარი ქვევით დასწია.

— ახლა თავი დამრჩა შიშველიო, — დაიყვირა ბატონმა.

მსახურმა ახლა თავზე წამოუწია ზეწარი. ბატონი ისევ გაბრაზდა.

— დაბრმავდი თუ რა მოგივიდა, ვერა ხედავ, ფეხები შიშველი მაქვსო!

მსახურმა არაფერი უპასუხა, აიღო იქვე დამალული ჯოხი და ისე წაუშინა ფეხებში, რომ ბატონი მაშინვე მოიკუნტა და ფეხები ზეწარში შემალა. მსახურმა სწრაფად შემოუკეცა ზეწარი ყოველი მხრიდან. მერე დაემშვიდობა, კარგად იყავიო, წავიდა და თავისი ფულიც წაიღო.

აქლემები წაიჩხუბნენ, შუაში კოზაკი გაიჭყლიტაო

ტბის პირას ორ კამეჩს ჩხუბი მოუვიდა. ტბაში ბაყაყები ბინადრობდნენ. ისინი ცნობისმოყვარეობით ადევნებდნენ თვალყურს კამეჩების ჩხუბს.

ვიდრე კამეჩები დაშოშმინდებოდნენ, ერთმა ბაყაყმა მეორეს უთხრა:

— მეგობარო, აქედან წავიდეთ, მეშინია ჩვენც არ მოგვხვდესო.

მეორემ მიუგო:

— რისი გეშინია, ჩვენ წყალში ვსხედვართ, ისინი კი ნაპირზე ჩხუბობენ. ჩვენ აქ ვართ, ისინი იქ არიანო.

— ჩემო დაიკო, ეს ბრძოლა ხომ ძლიერებისაა. როდესაც აქლემები ჩხუბობენ, შუაში მუდამ უდანაშაულო კოზაკი იჭყლიტება. ეს კამეჩები წყალში რომ ჩამოცვივდნენ, სულ ერთიანად გაგვსრესენ! უმჯობესია წავიდეთ, აქაურობას მოვშორდეთო.

ფრთხილი ბაყაყი თავისი შვილებით და მეგობრებით გაშორდა ამ საშიშ ადგილს.

მეორე ბაყაყი კი თავისი შვილებით სეირის საყურებლად დარჩა.

ჩხუბში ერთი კამეჩი დასუსტდა, შეტორტმანდა და პირდაპირ წყალში მოადინა ტყაპანი. მეორე კამეჩი გაშმაგებული გადაჰყვა მას და უამრავი ბაყაყი გასრისა. ის ბაყაყიც დაიღუპა, რომელმაც არ დაუჯერა ამხანაგის ჭკვიანურ რჩევას.

ტყუილად კი არ ამბობენ, აქლემები წაიჩხუბნენ, შუაში კოზაკი გაიჭყლიტაო.

მატყუარა განდეგილი

დიდი ხნის წინათ, ერთი სოფლის მახლობელ ტყეს ერთი განდეგილი შეეხიზნა. ეს კაცი თავს ბრძენად ასაღებდა, მიწაზე იძინებდა, ხილითა და ფესვებით იკვებებოდა და ამბობდა, ტყეში იმიტომ ვცხოვრობ, ხალხზე უნდა ვიფიქრო და ვილოცოო.

ერთმა გლეხმა დაიჯერა განდეგილის სიტყვები. ჩალური ქოხი მოუწნა, ყოველდღე მიდიოდა მასთან, საჭმელ-სასმელს უზიდავდა და საოჯახო საქმეებშიც ეხმარებოდა.

გლეხს ცოტაოდენი ფული ჰქონდა მოგროვილი და იფიქრა: მოდი, ამ ფულს წმიდანის ქოხში შევინახავ, იქ ვერავინ მომპარავსო.

ასეც მოიქცა. ქოხში პატარა ორმო ამოთხარა, ფული შიგ ჩადო და განდეგილს უთხრა:

— წმიდა მამაო, ჩემს ფულს, აი, აქ ვინახავო.

— შვილო ჩემო, განდეგილებს ფულზე ლაპარაკიც კი არ შეგვფერის. იგი არასოდეს გვჭირდება და ჩვენთვის ჩალის ფასიც არა აქვსო, — მიუგო განდეგილმა.

გლეხი შინ წავიდა.

რამდენიმე დღის შემდეგ განდეგილი თვითონ ეწვია გლეხს და იმანაც სადილზე მიიპატიჟა.

— შვილო ჩემო, — უთხრა სადილის შემდეგ განდეგილმა, — მე უკვე დიდი ხანია, რაც შენს ქოხში ვცხოვრობ, ახლა გზა უნდა განვაგრძო: ჩვენ, ნამდვილ განდეგილებს, ერთ ადგილზე დიდხანს დარჩენა წესად არა გვაქვსო.

გლეხმა სთხოვა რამდენიმე დღე კიდევ დარჩენილიყო, მაგრამ ის დიდ უარზე დადგა. გამოემშვიდობა და წავიდა. ცოტა ხანში ისევ მობრუნდა.

— უკან რად მობრუნდი, წმიდა მამაო? — გაოცდა გლეხი.

— შვილო ჩემო, აქედან რომ გავდიოდი, სახურავიდან ჩალის ღერო ჩამოვარდა და თავზე დამეცა... უკან იმიტომ დავბრუნდი, რომ ღერო დაგიბრუნო. ხომ იცი, განდეგილები სხვისას არაფერს წაიღებენო.

განდეგილმა ჩალის ღერო მისცა გლეხს და გზას გაუდგა.

გლეხმა იფიქრა: რაკი განდეგილი ჩემს ფულს აღარ სდარაჯობს, სჯობია შინ წამოვიღო და აქ დავმალოო.

გლეხი საჩქაროდ გაეშურა ქოხისაკენ და მიწას დაუწყო თხრა. სულ გადახარა იქაურობა, მაგრამ ფული ვერსად ნახა.

მიხვდა გლეხი, ვისი წაღებულიც იყო ფული. დიდხანს აღარ უფიქრია, დაედევნა განდეგილს, დაეწია, მაგრად სცემა და ფულიც წაართვა. ამის მერე მას აღარაფერი უწამებია განდეგილებისა.

ტრაბახა ყვავი

ზღვის პირას, ერთ დიდ, ლამაზ სახლში ერთი ძალზე შეძლებული კაცი ცხოვრობდა. ერთი ყვავი ამ კაცის სამზარეულოდან გადმოყრილ ნასუფრალს იყო შეჩვეული და ყოველდღე მის სახლს დასტრიალებდა. მდიდრის ვაჟი, იმის მაგივრად, რომ ღარიბებს დახმარებოდა, ყვავს უმასპინძლდებოდა ნაირ-ნაირი საჭმელებით.

ყვავს გაუტკბა ასეთი ცხოვრება და ისე მიეჩვია იქაურობას, რომ ბოლოს სულაც მდიდრის ჭერს შეაფარა თავი.

ყვავი გასუქდა და გაყოყოჩდა. ძველ მეგობრებს ზედაც აღარ უყურებდა. არც სხვა ფრინველებსა თვლიდა თავის ღირსად.

ერთხელ ზღვის პირზე გარეული ბატების გუნდი მოფრინდა, ყვავი ამაყად ჩადგა შუაში და გაიხედ-გამოიხედა. მხოლოდ გუნდის მეთაური სცნო ყურადღების ღირსად და მიმართა:

— ყოვლისშემძლევ, მოდი ერთად გავფრინდეთ, გასწავლი, როგორ უნდა ფრენაო.

ყოვლისშემძლე ბატმა მიუგო:

— ყვავო, თავი დაგვანებე, ჩვენ ძალ-ღონეს ვუფრთხილდებით, წინ უშველებელი ზღვა გვიდევს გადასაფრენიო.

ყვავი მაინც არ ისვენებდა და ტრაბახობდა:

— მე ასნაირი ფრენა ვიცი: უდინი, ავადინი, პლადინი, დინი, ნიდინი, მანდინი, ტირიაგადინი, ვიდინი, პირიდინი, სუდინი, აფჰიდინი, ტაჰადინი, ნირდინი, ატადინი, დინდინი, სანდინაუ-დუინდინი და სხვა მრავალი. ახლა შენ მითხარი, ბატო, რამდენნაირი ფრენა იციო!

ბატმა მშვიდად მიუგო:

— ძმობილო, მე მხოლოდ ერთნაირი ფრენა ვიცი: ყოველთვის პირდაპირ მივფრინავ და, თუ გსურს ასე შემეჯიბრო, გავფრინდეთო.

გაფრინდნენ. ბატი ისარივით მიქროდა ცაში, ყვავი კი ხან აქეთ მიაწყდებოდა, ხან იქით, ათასნაირად ტრიალებდა ჰაერში, ხან ერთი მხრიდან შემოუფრენდა ბატს, ხან მეორე მხრიდან. ერთი სიტყვით, მთელ თავის შესაძლებლობას აჩვენებდა. ბატი ზღვაზე მიფრინავდა და ყვავიც მას მისდევდა. იფრინეს ასე, იფრინეს და ზღვის ნაპირს კარგა მანძილით დაშორდნენ.

ყვავი არ იყო მიჩვეული შორს ფრენას და დაღლილი წყალში ჩავარდა, საცოდავად ააფართხალა ფრთები. ბატი მასთან მიფრინდა და ჰკითხა:

— დაო, ამ ფრენას რა ჰქვიაო?

ყვავს ტრაბახის თავი აღარ ჰქონდა. ფა-ხმალი დაყარა და უთხრა:

— ოჰ, დიდებულო ყოვლისშემძლევ, ხომ ხედავ, რა დღეში ვარ, ოღონდ ახლა გადამარჩინე და აღარ ვიტრაბახებო.

ბატს შეეცოდა ყვავი, ზღვაზე დაეშვა, ნისკარტით ამოიყვანა წყლიდან, ზურგზე შეისვა და ნაპირისაკენ გასწია. მიწაზე რომ გადმოსვა, უთხრა:

— სადაც შენი დაიკვეხო, ჩემიც იქა თქვი. დღეის შემდეგ შენი ადგილი იცოდე და ტრაბახს თავი გაანებეო.

ყვავმა სირცხვილისაგან თავი ჩაღუნა და ნირწამხდარი გაფრინდა.

ჯიქის მამიდა

ეს ამბავი დიდი ხნით წინათ მოხდა: მთვარე ასცდა თავის გზას და მზეს მიუახლოვდა. უცებ მთვარეზე ისე ჩამოცხა, ცხოველები შიშით ძირსა ხტებოდნენ, არ დავიწვათო.

ჯიქმა სწორედ მაშინ მოადინა მიწაზე ბრაგვანი. ისე მაგრად დაეცა, რომ დედამიწა შეირყა, მთები და ტყეები შეზანზარდნენ, ტყეში მყოფი ფრინველები და ცხოველები შეშინდნენ.

ჯიქი ტრიალ მინდორზე ჩამოვარდა. კაშკაშა მზის სინათლემ დააბრმავა, გარშემო ვეღარაფერსა ხედავდა და განრისხებული ღმუოდა. ბედად კატა გამოჩნდა.

— ნუ ღმუი, მეგობარო, — უთხრა კატამ, — ხმაურზე ადამიანები მოვლენ და მოგკლავენო.

— შენ ვინა ხარო? — ჰკითხა ჯიქმა.

— ვინა ვარ, მამიდაშენი. ჩვენ ძალიან ვგავართ ერთმანეთს. თუმცა მე შენზე ცოტა პატარა ვარ, მაგრამ ღონით არ ჩამოგივარდები. რახან ვერაფერსა ხედავ, კუდში ჩამეჭიდე და გამომყევი, მხოლოდ, იცოდე, არ მიკბინოო!

ჯიქიც ისე მოიქცა, როგორც კატამ უთხრა. კატამ დაბურულ ჯუნგლებში მიიყვანა ჯიქი, იქ ცოტა სინათლე მოუვიდა თვალებში, აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა, შეხედა კატასა და გაოცებულმა წამოიძახა:

— არ ვიცოდი, თუ ასეთი დალეული იყავიო!

კატამ გაბრაზებით შეხედა ჯიქს და ლანძღვა დაუწყო.

ჯიქმა ეს შეურაცხყოფა როგორც იყო მოითმინა, მისთვის ხომ ყველაფერი ახალი იყო ამქვეყნად და არც აქაური წესები იცოდა.

კატამ ბევრი რამ ასწავლა და ჯიქს უკვე თავისუფლად შეეძლო მარტო ნადირობა.

ერთხელ კატა მშვიდად იწვა ხის ძირში და ისვენებდა. ჯიქი მიუახლოვდა და უთხრა:

— მამიდაჩემო, ყველაფერი მასწავლე, თუ კიდევ დარჩა რამე ისეთი, რაც ჯერ არ ვიციო?

— ყველაფერი გასწავლე, რაც მე ვიცი, — მიუგო კატამ, — სხვა რაღა გინდაო?

ჯიქმა უნდობლად შეხედა:

— მართალს მეუბნებიო?

— შე სულელო, რად უნდა მოგატყუო?

რაკი ყველაფერი ვიცი, დღეიდან აღარ მჭირდები და შემიძლია შეგჭამოო, გაიფიქრა ჯიქმა და ეცა კატას. კატა სწრაფად შეხტა ხეზე.

როდესაც კატა ხის კენწეროზე მოექცა, ჯიქმა აიხედა და უთხრა:

— მამიდა, ჩემთვის ხეზე ცოცვა რომ არ გისწავლებიაო!

კატამ დაცინვით უპასუხა:

— თავიდანვე გიცანი, რა შვილიცა ბრძანდებოდი და იმიტომ არ გასწავლე. შენთვის ხეზე ცოცვაც რომ მესწავლებინა, მე რაღა მეშველებოდა, აქამდის ხომ შემჭამდიო.

ბაყაყი და ჭიანჭველები

გაუვალი ჯუნგლების ჭაობში ერთი ბაყაყი ცხოვრობდა. ერთხელ, სეირნობისას, გზას ასცდა. დიდხანს ეძება ჭაობისაკენ მიმავალი გზა, მაგრამ ვეღარ იპოვა. ამ ხეტიალში ჭიანჭველების დიდ ბუდეს მიადგა. ჭიანჭველები გარს შემოეხვივნენ ბაყაყს.

ბაყაყი ძალიან შეშინდა.

— ჩემო კარგებო, — უთხრა მან ჭიანჭველებს, — როგორ არა გრცხვენიათ, რომ საწყალ მოხუც ბაყაყს მაწვალებთ! მე ხომ თქვენთვის ცუდი არა გამიკეთებია რა. გზა დავკარგე და ჩემდაუნებურად თავი აქ ამოვყავიო.

ჭიანჭველები დამშვიდდნენ. ბაყაყი ბუდეში მიიპატიჟეს და გემრიელი საჭმელი და თაფლი მიართვეს.

კარგა რომ დანაყრდა, ბაყაყი წამოწვა. მალე ჩაეძინა კიდეც.

მეორე დღეს ბაყაყს დილით ადრე გაეღვიძა და ალერსით უთხრა ერთ ჭიანჭველას:

— ჩემო ძმაო, აგერ იმ ცაცხვზე ადი და გაიხედე, ჩემი ჭაობი რომელ მხარეს არისო.

ჭიანჭველა ხეზე აცოცდა, ირგვლივ მიმოიხედა და ბაყაყს უჩვენა, საით იყო ჭაობი.

ბაყაყმა მადლობა გადაუხადა მეგობარს და სთხოვა:

— ძმობილო, ხომ ვერ მიმაცილებ იმ ჭაობამდე? რომ მივალთ, შინ მიგიპატიჟებ და საუკეთესო საჭმელებით გაგიმასპინძლდებიო.

ჭიანჭველამ მიუგო:

— გმადლობთ, ჩემო დაო! შენ გუშინ ჭიანჭველებმა დაგპატიჟეს, თუ გინდა სამაგიერო გადაგვიხადო, მაშინ ყველა ერთად დაგვპატიჟე. ჩვენ, ჭიანჭველები, ძმურადა ვცხოვრობთ და ყველაფერს ძმურად ვიყოფთო.

მეტი რა ღონე ჰქონდა, ბაყაყმა ყველანი დაპატიჟა.

ბაყაყი ხტუნვა-ხტუნვით გაუძღვა წინ, უკან მწკრივად გაბმული ჭიანჭველები მიჰყვნენ. როგორც იყო მიაღწიეს ჭაობს.

ბაყაყმა უთხრა:

— მეგობრებო, ცოტა ხანს აქ მომიცადეთ, მე სადილს მოვამზადებ და მალე დავბრუნდებიო.

ბაყაყი წყალში ჩახტა. ჭიანჭველებმა დიდხანს უცადეს, მაგრამ მისი კვალიც აღარსად ჩანდა. იდგნენ და ელოდნენ. გავიდა ერთი, ორი, სამი დღე, მთელი კვირა, ბაყაყი კი მაინც არ გამოჩენილა.

ბოლოს ჭიანჭველების დედოფალი გაბრაზდა და თქვა:

— შიმშილით დავიხოცებით, აქ რომ ვიდგეთ და ბაყაყს ვუცადოთო.

მაგრად შემოიჭირა წელზე ქამარი და უკან გაბრუნდა. დანარჩენებმაც მას მიბაძეს, წელზე მაგრად შემოიჭირეს ქამრები და მშივრები გაბრუნდნენ შინისაკენ.

ჭიანჭველს ამის შემდეგ დარჩათ ასე მუცლები, გეგონებათ, ქამარი აქვთ მაგრად შემოჭერილიო.

<u>ძ ა ღ ლ ი</u>

ერთმა კაცმა ძაღლს ჰკითხა:

— გზაზე რას გაწოლილხარო?

ძაღლმა მიუგო:

— რომ კეთილი და ბოროტი გავარჩიოო.

— როგორ გაარჩევ კეთილს ბოროტისაგანო? — ჰკითხა კაცმა.

— კეთილი ადამიანი ისე ჩამივლის, ხელს არ მახლებს, ბოროტი კი ფეხს წამკრავსო.

სპილო და თხა

მაღალი მთის ძირას, უზარმაზარი ხეების ტევრში ერთი სპილო ცხოვრობდა. იქვე, ერთი ხის ძირას თხაც სახლობდა. სპილო და თხა დიდი მეგობრები იყვნენ. მაგრამ ერთხელ ჩხუბი მოუვიდათ, სპილო მაღლიდან დასცქეროდა თხას და ეუბნებოდა:

— ვერა მხედავ, რა დიდი ვარ. მე უფრო ბევრსა ვჭამო.

თხა კი ჯიუტობდა:

— არა, მე შენზე მეტსა ვჭამო!

ბევრი იკამათეს. ბოლოს გადაწყვიტეს, თავიანთი სიტყვა საქმით დაემტკიცებინათ.

სპილო ხორთუმით სწრაფად ხვეტავდა ბალახს და, რაც კი ხვდებოდა — ფოთლები, ტოტები — ყველაფერს ნთქავდა.

თხა კი, ვითომც ძალიან სწრაფად ვჭამო, წინ და უკან სირბილს მოჰყვა, თან ცოტ-ცოტა ბალახს კიკნიდა. ბოლოს ისეთ ადგილზე გავიდა, სადაც ბალახი აღარ იყო, ერთ დიდ ქვაზე დაწვა და ცოხნა დაიწყო.

სპილომ თავის გარშემო რაც ბალახი იყო, სულ გაანადგურა, ვეებერთელა მუცელი ამოივსო და ძლივს მიბაჯბაჯდა თხასან. ხედავს, თხა ქვაზე წამოწოლილა და იცოხნის.

— რასა ჭამო? — ჰკითხა სპილომ.

— რაც ჩემს გარშემო ბალახი იყო, სულ შევჭამე, ახლა, აი, ამ ქვას მივირთმევ, მერე კი შენც ზედ მიგაყოლებო, — მიუგო თხამ.

სპილომ გაიფიქრა: თხამ თუ მართლა ამდენი ბალახი შეჭამა და ახლა ამხელა ქვას აყოლებს, მაშინ მეც მართლა შემჭამსო და შეშინებულმა მოკურცხლა. თხა კი იწვა და არხეინად იცოხნებოდა.

ბაყაყი, გველი და კიბორჩხალა

იყო ერთი ბაყაყი. მის მეზობლად გველი დასახლდა. გამოჩეკდა თუ არა ბაყაყი შვილებს, გველი შეუსანსლავდა. ბაყაყმა გველს ვერაფერი დააკლო და მოთმინებით იტანდა თავის გასაჭირს.

ბაყაყს ერთი კარგი მეგობარი ჰყავდა — კიბორჩხალა. ერთხელ ბაყაყმა შესჩივლა თავისი უბედურება:

— გველი სიცოცხლეს მიმწარებს! შვილებს მიჭამს. მირჩიე, როგორ მოვიქცე, იმ წყეულისაგან თავი როგორ დავიხსნაო.

— მე თვითონ ძალა არ შემწევს, ვერ შევებრძოლები. სჯობს, ისეთ ვინმესა ვთხოვოთ, ვინც გველზე ძლიერია. იქნება როგორმე თავიდან მოგაშოროსო, — უთხრა კიბორჩხალამ.

ბევრი იფიქრა კიბორჩხალამ და ბოლოს მოიფიქრა:

— ყური მიგდე! ტყის პირას, ქოხში მანგუსტი ცხოვრობს. შენ ადექი, ლიფსიტები დაიჭირე და მანგუსტის სახლიდან გველის სორომდე ჩაარიგე. მანგუსტი გამოძვრება სოროდან, ნახავს თევზებს და დაუწყებს ჭამას, ასე მივა გველის სორომდე, თევზი რომ გამოელევა, სოროში შეძვრება და იმ ბოროტსაც გაგლეჯსო.

კიბორჩხალამ როგორც დაარიგა, ბაყაყიც ისე მოიქცა. გამოძვრა მანგუსტი სოროდან, დაინახა თევზები და ჭამა დაუწყო. ასე მივიდა გველის სორომდე. როცა თევზი გამოელია, შეძვრა სოროში და ნაკუწ-ნაკუწ აქცია გველი.

ასე იხსნა თავი ბაყაყმა წყეული მტრისაგან.

ტყუილად როდია ნათქვამი, ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო.

მაიმუნი და ძერა

პენჯაბში ერთი შეძლებული კაცი ცხოვრობდა. მას ერთი ვაჟიშვილი ჰყავდა და მზე და მთვარე იმაზე ამოსდიოდა. ერთხელ შვილი ავად გაუხდა. ვაჟმა დიდხანს იავადმყოფა, ბოლოს, როგორც იყო, გამოჯანმრთელდა, მაგრამ ენა ჩაუვარდა და იმის სახეზე ღიმილს ვეღარ ნახავდით.

ათასი მკურნალი დასტრიალებდა ავადმყოფს, მაგრამ ვერაფერი უშველეს. დამწუხრებული მამა ყველას შვილის უბედურებას შესჩიოდა.

ერთხელ მასთან მოხუცი ფაკირი მივიდა. მდიდარმა იმასაც უამბო თავისი გასაჭირი და ჰკითხა: ჩემი შვილი რომ განკურნოს, იმისთანა წამალი ხომ არაფერი იციო.

ფაკირმა მიუგო:

— მე მკურნალი არა ვარ, მაგრამ რჩევას მაინც მოგცემ. ეგებ თქვენს შვილს მოსწყინდა მდიდრული ცხოვრება? გაემგზავრეთ სხვაგან, სადმე ქარვასლაში გაჩერდით და იცხოვრეთ ცოტა ხანს. იქ ათასი ჯურის ხალხი იყრის თავს, ქვეყნის ყველა კუთხიდან საქონლით დატვირთული ქარავნები მოდის. რას არ გაიგებს და რას არა ნახავს კაცი! იქნებ შენმა ვაჟმაც ისეთი რამ ნახოს, რომ უცბად გაეცინოს და დაილაპარაკოს კიდეცო.

მდიდარი ასეც მოიქცა.

თავის ვაჟს ერთ ქარვასლაში ოთახი დაუქირავა და მსახურიც გააყოლა.

ყოველ დილა ქარვასლის ეზოში სავარძლით გამოჰყავდათ ავადმყოფი. ისიც მთელი დღე იჯდა და ჩუმად ათვალიერებდა, რაც ეზოში ხდებოდა. ასე გავიდა რამდენიმე დღე.

ერთ დილას ავადმყოფი ჩვეულებრივად იჯდა თავის სავარძელში. ამ დროს ქარვასლაში ახალი მგზავრი მოვიდა, ოთახი დაიქირავა, შეიტანა თავისი ბარგი-ბარხანა და ოთახი დაკეტა. მერე ქარვასლის პატრონს ფული მისცა, ქათამი მიყიდე და შემიწვიო, თვითონ კი სადღაც წავიდა.

ქარვასლის პატრონი გაიქცა ბაზარში. იყიდა ქათამი; თავი, ფრთები და ფეხები მოაჭრა, დაჯდა და გაპუტვა დაუწყო.

ქარვასლის პატრონს ერთი მაიმუნი ჰყავდა. მაიმუნი იქვე, ხეზე ება ჯაჭვით.

უცებ პატრონს გაახსენდა, რომ ისევ ბაზარში უნდა წასულიყო. ქათამი თეფშზე დადო, მაიმუნს გვერდით დაუდგა და უთხრა:

— ამ ქათამს უყარაულე, მე ახლავე მოვალო.

მაიმუნი ქათამს ყარაულობდა. უცებ, სად იყო, სად არა, ძერა მოფრინდა და ქათამი მოიტაცა.

მაიმუნმა ყველაფერი დაინახა, მაგრამ რა უნდა ექნა? ფრთები არა ჰქონდა, რომ ძერას დასდევნებოდა და ქათამი წაერთმია. წამოხტა, თავისი ბალნიანი ხელების ქნევა დაიწყო და ყვიროდა: «ჰაუ, ჰაუო!» მაგრამ ძერას, აბა, რას შეაშინებდა. მაიმუნი ერთ ადგილზე ვეღარ ისვენებდა, იმდენი იწრიალა, კინაღამ ჯაჭვი გაწყვიტა. მერე

უცებ ქათმის თავი, ფრთები, ფეხები და შიგნეულობა მოკრიფა და თეფშზე დააწყო, თვითონაც იქვე დაჯდა და თავი მოიმძინარა...

ძერამ ქათმის თავი და ფრთები რომ დაინახა, შურდულივით დაეშვა ძირს. ნისკარტის ჩაკვრა ვერც კი მოასწრო, რომ მაიმუნი მივარდა და დაახრჩო, მერე აქა-იქ ბუმბული გააცალა, ძერა თეფშზე დადო და წყნარად მიუჯდა გვერდით.

მალე პატრონიც დაბრუნდა და ხედავს, ქათმის მაგივრად თეფშზე რაღაც სხვა ფრინველი დევს.

მე ხომ ქათამს თავიც მოვაჭერი, ფეხებიცა და ფრთებიც. გავპუტე კიდეც. ამას ან თავ-ფეხი როგორ გამოება, ან ფრთები; ანდა ბუმბული საიდან ამოუვიდაო, — ფიქრობდა გაოცებული. იფიქრა ქარვასლის პატრონმა, იფიქრა და რომ ვერაფერს მიხვდა, გაბრაზებულმა ჯოხი აიღო და მაიმუნს მოუქნია.

ამ ამბავს ავადმყოფი ყმაწვილი უყურებდა. მან უცებ გაიცინა და ქარვასლის პატრონს შესძახა:

— ბატონო ნუ სცემთ მაგ მაიმუნს, ეგ არაფერ შუაშია! აქეთ მოდით, ყველაფერს მე გიამბობთო.

ქარვასლის პატრონი მივიდა. ყმაწვილმა ფული მისცა და უთხრა:

— წადით და სხვა ქათამი იყიდეთ, ეს მაიმუნი კი მე მომეცით. მამაჩემი გადაიხდის, რამდენსაც მოითხოვთო.

სახტად დარჩენილმა პატრონმა წამოიძახა:

— მიამბეთ, რა მოხდაო?

ყმაწვილმა დაწვრილებით უამბო, მაიმუნმა რაც ჩაიდინა. ამ დროს ვაჟის მამაც მოვიდა ნახა, მისი ვაჟი სიცილით რაღაცას ყვებოდა.

მამამ რომ გაიგო, შვილი მომირჩაო, ასი ოქროს მიცემაც ეცოტავა და გახარებულმა დიდი წვეულება გამართა ქარვასლაში.

<u>ოქროს ჩიტები</u>

ერთ მეტად შეძლებულ რაჯას ბაღში ოქროს მანგოს ხე ედგა, ხე ოქროსავე ნაყოფს ისხამდა. ერთხელ მებაღემ შეამჩნია, რომ ყოველღამე თითო ნაყოფი იკარგებოდა და ეს ამბავი რაჯას მოახსენა. რაჯამ უბრძანა, თვალი უკეთესად დაიჭირეო; ბევრს ეცადა მებაღე, მაგრამ ვერა და ვერ გაიგო, როგორ ქრებოდა ოქროს ხილი. მაშინ რაჯამ ბრძანა, ბაღს დღე და ღამე ყარაულები დაუყენეთ და, რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, ქურდი შეიპყარითო. საქმეს ვერც ამან უშველა — ოქროს ნაყოფი მაინც იკარგებოდა. საგონებელში ჩავარდნილი რაჯა დიდხანს ფიქრობდა, რა ვიღონოო, ბოლოს, თავისი სამი ვაჟიშვილი იხმო და უთხრა:

— ჩემს ბაღში ვიღაცა ყოველ ღამე მანგოს ხიდან ოქროს ნაყოფს იპარავს. თქვენ სამში ვინც ქურდს დაიჭერს, ტახტის მემკვიდრე ის იქნებაო.

პირველ ღამეს უფროსი ვაჟი წავიდა საყარაულოდ. მაგრამ ძილმა თავი წაართვა და ქურდისა ვერა გაიგო რა. მეორე ღამეს შუათანა ვაჟი წავიდა, იმასაც ჩაეძინა და ვერც იმან გაიგო ვერაფერი. დადგა უმცროსი ძმის რიგი.

იმ ღამეს ძალიან ბნელოდა. ბაღში სიწყნარე იყო. შუაღამისას ციდან რაღაც სასიამოვნო, მომჯადოებელი ხმები მოესმა ჭაბუკს. იმავე წუთს თვალები მოეხუჭა და ძილი მოერია. ჭაბუკმა ხმალი იძრო და ფეხი გაიჭრა. მწარე ტკივილმა ძილი დაუფრთხო. უცებ ხედავს, ჩაბნელებულ ცაზე ორმა ოქროს ჩიტმა შეიფრთხიალა, შემოუარეს ბაღს, მანგოს ხეზე დაფრინდნენ და ხილს კენკვა დაუწყეს.

თურმე ეს ოქროს ჩიტები მოფრინავდნენ ყოველღამე და ოქროს ხილს ჭამდნენ. მათი ფრთების შრიალი სასიამოვნო ჰაგებს გამოსცემდა და ამ მომჯადოებელი მუსიკისაგან ირგვლივ ყველაფერი ღრმა ძილს ეძლეოდა. რაჯას ვაჟებსაც თურმე ამიტომ ეძინებოდათ.

უმცროსმა ვაჟმა ჩიტები დაინახა თუ არა, მშვილდ-ისარი ესროლა. ერთი ჩიტი იმწუთშივე მის ფეხებთან დაეცა, მეორემ კი ერთი საცოდავად დაიჟღურტულა და ცაში აფრინდა.

ყმაწვილმა დაჭრილი ფრინველი მამას მიუყვანა.

რაჯას ძალიან გაუხარდა, ახლა კი ოქროს ხილს ვერავინ მომპარავსო და ჩიტი თავის ოქროსთმიან მზეთუნახავ ასულს აჩუქა.

ქალს ისე შეუყვარდა ოქროს ჩიტი, რომ საკუთარ თავს ერჩია. ჩიტი კი მოწყენილი იყო, თავისი მეგობარი აგონდებოდა და ისე სევდიანად მღეროდა, ყველას თვალზე ცრემლი ერეოდა. ჩიტი დღითი დღე სუსტდებოდა და ღონეს კარგავდა. რაჯას ასულს ძალიან ეცოდებოდა ტყვე ჩიტი.

— მამა, ჩემი ოქროს ჩიტი თავის მეგობარზე ნაღვლობს და ალბათ მალე მოკვდება, მე კი უამისოდ სიცოცხლე არ შემიძლიაო, — უთხრა ერთხელ მამას.

რაჯას ახალი სადარდებელი გაუჩნდა. მეგობარი უნდა მოეძებნა ჩიტისათვის, მაგრამ სად?

რაჯამ ბრძანა, ვინც ერთ თვეში მომიძებნის და სასახლეში მომიყვანს მეორე ოქროს ჩიტს, ჩემს ასულს იმას მივათხოვებო. ერთ თვეზე მეტს კი ჩიტი ვეღარ გასტანდა.

ბევრი ახალგაზრდა გაეშურა ოქროს ჩიტის საძებნელად, მაგრამ უკან არც ერთი არ დაბრუნებულა.

მეზობელი სახელმწიფოს რაჯკუმარმა* (* რაჯკუმარი — ტახტის მემკვიდრე.) გადაწყვიტა, ის მზეთუნახავი ჩემი ბედი არის, ცოლად მე უნდა შევირთოო და ჩიტის საძებნელად წავიდა.

დიდხანს ეძება ოქროს ჩიტი, ბევრი ტყე-ღრე შემოიარა, მაგრამ ჩიტს ვერსად მიაგნო. ბოლოს ბიჰარას გაუვალ ჯუნგლებს მიადგა. უცებ ეკლიან ბუჩქებში გახლართული ჩიტის საცოდავი წივილი მოესმა. რაჯკუმარმა ბუჩქიდან ფრთხილად ამოიყვანა ჩიტი, დაჭრილობა მობანა. ჩიტმა ჰკითხა:

— მითხარი, კეთილო ყმაწვილო, სიკეთე რითი გადაგიხადოო?

რაჯკუმარი ადგა და თავისი გასაჭირი უამბო.

— რამდენი ხანია ბიჰარას ჯუნგლებში დავეხეტები. შენ ხომ არ იცი, ოქროს ჩიტი როგორ ვიპოვოო?

— ოქროს ჩიტის საძებნელად ბევრი წასულა, მაგრამ უკან არავინ დაბრუნებულა, შენც მათი ბედი გელის. სჯობს, შინ დაბრუნდეო.

ყმაწვილმა ჩიტს შველა სთხოვა. ის ჯერ უარზე დადგა, ბოლოს მაინც დათანხმდა.

— თუ ხიფათისა არ გეშინია, მომისმინე: ის ოქროს ფრინველი ერთ მაჰარაჯას ოქროს სასახლეში ცხოვრობს. სასახლე აქედან კარგა შორს, ერთ მაღალ მთაზეა აშენებული. მთის ძირას ქარვასლაა, ქარვასლას ორი კარი აქვს, ერთი ოქროსი, მეორე — რკინისა. თუ ოქროს კარში შეხვალ, ათას უცნაურ საჭმელს შემოგთავაზებენ, თან მომაჯადოებელ მუსიკასა და სასიამოვნო ჰანგებს მოისმენ. ლამაზი მოცეკვავეები მოგხიბლავენ თავიანთი ხელოვნებით. მაგრამ ერიდე იმ ჭიშკარში შესვლას, შენც იგივე ბედი გეწევა, რაც ოქროს ჩიტის მძებნელებს მოუვიდათ, — ყველაფერი დაგავიწყდება. დაიმახსოვრე, ქარვასლაში რკინის ჭიშკრით შედი, იქ ჩვეულებრივად დაგხვდება ყველაფერი, რაც მგზავრს სჭირდება: გემრიელი საჭმელი და ლოგინი. ღამე იქ გაათიე, რიჟრაჟზე მთაზე ადი და გაბედულად გასწიე სასახლის ბაღისაკენ. იქ

უბრალო ხის გალიაში ოქროს ფრინველს დაინახავ. მცველებს ეძინებათ. გალია ფრთხილად გამოიტანე და წამოდი. ბაღში ერთ ოქროს გალიასაც ნახავ, მაგრამ იცოდე, ხელი არ ახლო, თორემ თავს უბედურება დაგატყდებაო.

რაჯკუმარმა ყველაფერი კარგად დაიმახსოვრა და მაჰარაჯას ქვეყნისაკენ გაემართა. იარა, იარა და ერთ მაღალ მთას მიადგა. მთის კორტოხზე სასახლე იდგა, მთის ძირას კი — ქარვასლა. ერთი მხრიდან სიმღერისა და მუსიკის ხმა ისმოდა. ყმაწვილი მიიზიდა მომაჯადოებელმა სიმღერამ, მივიდა ოქროს ჭიშკართან და უნდოდა შეეღო კიდეც, რომ უცბად თავისი მეგობრის დარიგება გაახსენდა და შეჩერდა. ბოლოს ქარვასლას რკინის ჭიშკარი შეაღო.

გათენდა თუ არა, რაჯკუმარმა ქარვასლა დატოვა. მთაზე ავიდა და ოქროს სასახლე დაინახა, სასახლის გარშემო საუცხოო ბაღი იყო გაშენებული. ყმაწვილი ბაღში გადაძვრა და ხის გალია იპოვა. გვერდით ოქროს გალიასაც მოჰკრა თვალი. იფიქრა: ეს ოქროს გალიაც რომ თან გავიყოლო, ვითომ რა იქნებაო? ოქროს გალია ჯაჭვით იყო მობმული და, შეეხო თუ არა, ჯაჭვი აწკრიალდა. წკრიალზე ოქროს ჩიტს გაეღვიძა და დაიჩხავლა. მცველებმა გაიღვიძეს და რაჯკუმარი შეიპყრეს. ასე დაღუპა ყმაწვილი სიხარბემ.

მეორე დღეს ყმაწვილი ოქროს სასახლისა და ოქროს ფრინველის მფლობელ მაჰარაჯას მიჰგვარეს.

მაჰარაჯა გაოცებული იყო ყმაწვილის გამბედაობით.

— რახან ასეთი გულადი ყოფილხარ, მოდი, ოქროს ცხენი დამიჭირე და მომგვარე. თუ დავალებას შეასრულებ, ხომ კარგი, სამაგიეროდ ოქროს ჩიტს მოგცემ, თუ არა და დაგსჯიო, — უთხრა მაჰარაჯამ.

რაჯკუმარი ახალ საგონებელში ჩავარდა. მაჰარაჯას შეპირდა, ოქროს ცხენს მოგიყვანო და დაღონებული გამოვიდა სასახლიდან. გარეთ თავისი მეგობარი ჩიტი ელოდებოდა. ყმაწვილმა ყველაფერი უამბო, რაც თავს გადახდა.

— შენ რომ ჩემთვის დაგეჯერებინა და ოქროს გალიისათვის ხელი არ გეხლო, ამ ხათაბალაში არ გაებმებოდი. ოქროს ცხენი აქედან ძალიან შორს, დიდებული მეფის საჯინიბოში აბიაო, — უთხრა ჩიტმა და დაწვრილებით აუხსნა, რა გზით უნდა წასულიყო.

— მხოლოდ იცოდე, ოქროს ცხენის გვერდით ოქროს მოსართავები რომ ჰკიდია, იმას ხელი არ ახლო, თორემ თავბრუ დაგესხმება. ცხენს ტყავის ლაგამი ამოსდე და ისე წამოიყვანეო.

ყმაწვილმა იარა, იარა და ბოლოს ოქროს ცხენის მფლობელის სასახლეს მიადგა. მცველებს ეძინათ, ყმაწვილი გაბედულად გადაძვრა საჯინიბოში. მართლაც, ცხენის გვერდით ოქროს მოსართავები ეკიდა: უნაგირი, აღვირი და მათრახი.

ტყავის აღვირი რად ამოვდო, როცა ოქროს აღვირი აქვე არისო, — გაიფიქრა რაჯკუმარმა და ცხენს ოქროს აღვირი ამოსდო. დაიჭირა ოქროს მათრახიც, მოახტა ცხენს და ქარივით გამოაქროლა.

უცებ აღვირი გაწყდა, რაჯკუმარი ძირს ჩამოვარდა და ცხენი თვალს მიეფარა.

მწარედ ნანობდა ყმაწვილი თავის საქციელს, სიხარბემ რადა მძლია, ახლა ოქროს ცხენი სად ვეძებოო. მეგობარი ჩიტი თავს დასტრიალებდა რაჯკუმარს და, რა თქმა უნდა, ყველაფერი დაინახა, დაედევნა ცხენს და ერთი თვალწარმტაცი ტბის პირას იპოვა.

ოქროს ცხენი ტოტებგაშლილი ხის ძირას იდგა. იქვე ლამაზი გოგონა სუფრას შლიდა.

ჩიტი დაბრუნდა რაჯკუმართან და უთხრა:

— მზეთუნახავი ათასგვარ ხილსა და სანუკვარ საჭმელს შემოგთავაზებს. იცოდე, არაფერი აიღო, პირი არაფერს დააკარო, თორემ დიდი უბედურება დაგატყდებაო!

ყმაწვილი მივიდა ტბასთან და ოქროს ცხენი რომ დაინახა, გაუხარდა. მაგრამ მზეთუნახავს შეხედა თუ არა, თითქოს რაღაც ძალამ მიიზიდაო, მისკენ გასწია. მივიდა მზეთუნახავთან და სთხოვა, ოქროს ცხენი დამიბრუნეო.

მზეთუნახავმა უთხრა:

— ცხენს მოგცემ, მაგრამ ჯერ დაისვენე და რამე მიირთვიო.

ყმაწვილმა უარი ვერ უთხრა. ის იყო საჭმლის ასაღებად ხელი გაიწვდინა, რომ უცებ ჩიტს მოჰკრა თვალი, იგი თავს დასტრიალებდა და მოუსვენრად ჩხაოდა, თითქოს აფრთხილებდა: წადი, წადი ჩქარა! აქაურობას მოშორდიო.

ყმაწვილი გამოერკვა, მოახტა ოქროს ცხენს და გააჭენა. ოქროს ცხენი მაჰარაჯას მიჰგვარა, სამაგიეროდ ოქროს ჩიტი გამოარვა და რაჯას წაუყვანა.

ოქროს ჩიტებმა ერთმანეთი რომ ნახეს, მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ბედნიერებას უგალობდნენ ერთმანეთს. ოქროსთმიანი მეფის ასული კი გულად რაჯკუმარს გაჰყვა ცოლად.

ცნობისმოყვარე პანდიტი*

(* პანდიტი — სწავლული ბრაჰმანის საპატიო წოდება. სწავლული, განათლებული ადამიანი.)

ეს ამბავი დიდი ხნის წინათ მოხდა. ერთმა პანდიტმა საღამო ხანს ტყეში გაიარა, უცებ წინ საშინელი ურჩხული შემოხვდა. ნამდვილი ეშმაკი იყო. პანდიტმა ლოცვა დააპირა, მაგრამ შიშისაგან ხმა ვერ ამოიღო, გაქცევა დააპირა და — ფეხები არ დაემორჩილა. დგას გაშეშებული და უცდის, რა მოხდება.

ეშმაკი კი ქშინავს და პირდაპირ პანდიტისაკენ მიდის. აი, სულ ახლოს მივიდა და წინ დაუდგა.

პანდიტმა გაუბედავად ჰკითხა:

— ვინა ხარ, ან აქ საიდან გაჩნდიო?

ეშმაკმა მიუგო:

— განა ვერა მხედავ? ეშმაკი ვარ. რა შენი საქმეა, აქ საიდან გავჩნდი! მე ჩანდაკარმა მქვია, შენ რაღას გეძახიანო?

— ო, დიდად პატივცემულო, მე დალარამის მეძახიან... — ძლივს ამოილუღლუღა პანდიტმა. — სწავლულიცა ვარ და მკურნალიც. მცენარისაგან წამლის დამზადება შემიძლია, ვინმე უძილობას თუ უჩივის, ისეთ წამალს მივცემ, ბანგივით დააძინებსო.

— მე შენს ცოდნასთან რა ხელი მაქვს. ახლა ცხენი მჭირდება და შენ უნდა გასწიო მისი მაგივრობა. ფეხები გრძელი გაქვს და შორს წამიყვან. თუ ისეთი წამალი გაგაჩნია, ძალას რომ შეგმატებს, ჩქარა დალიეო, — მიუგო ეშმაკმა.

ბალარამმა პატარა ქოთანი ამოიღო ჩანთიდან.

— ეს რა არისო? — ჰკითხა ჩანდაკარმამ.

— ამ ქოთანში წამლები მაქვს შენახულიო.

— აბა მაჩვენე, რა გაქვსო.

— აი, ეს წამალი სისხლს სწმენდს და სხეულს ახურებს, ეს წყურვილსა ჰკლავს, ეს კირია — ძვლებს ამაგრებს. აი, ეს კი თამბაქოს ფოთოლია, — ადამიანს სიმხნევეს მატებს, ყველაფერი ერთმანეთში რომ ავურიოთ, ისეთ წამალს მივიღებთ, ადამიანს ღონე შეემატოს და სიცოცხლე გაუხანგრძლივოს. სინჯე და თვითონ დარწმუნდები, რომ მართალი ვარო.

ბალარამმა რაც ქოთანში იყო, ერთმანეთში აურია და ეშმაკს გაუწოდა. მან გემო გაუსინჯა თუ არა, კინაღამ გაგიჟდა. პანდიტს მხარზე შეახტა და უბრძანა:

— ბალარამ, ტბასთან მიმიყვანე! ჩქარა, წყალი უნდა დავლიო და ვიბანავო, მთელ სხეულში ცეცხლი მიკიდიაო.

ბალარამმაც დალია თავისი წამალი და მხნედ გასწია წინ.

ეშმაკი ბალარამს დეზებივით ურტყამდა ფეხებს და ეუბნებოდა:

— გაინძერი, შენ გეუბნებიანო!

ბალარამი ცდილობდა, რაც შეეძლო სწრაფად გაქცეულიყო, მაგრამ ეშმაკი მაინც აჩქარებდა და სცემდა.

შუა გზაზე რომ იყვნენ, უცებ ეშმაკმა ჰკითხა:

— პანდიტ, რამდენი ხანია, რაც ამ გასამაგრებელ წამალსა სვამო?

— კარგა ხანია მთელი ჩვენი მოდგმა — მამაჩემი, პაპაჩემი, პაპაჩემის მამა და პაპაჩემის პაპა — ამ წამალს სვამდაო, — მიუგო ბალარამმა.

— მაშ ძარღვებში შენი წინაპრების ჯანმრთელი სისხლი გიდგაო.

პანდიტმა მოტყუება სცადა:

— შენ მართალს ამბობ, ნამდვილად კარგი, სუფთა სისხლი მედგა ძარღვებში, მაგრამ ეს რამდენიმე წელია ერთ წამალსა ვსვამ და სისხლი სულ გამიწყალა, აი დამხედე, თუ არა გჯერა, წყალი წურწურით როგორ ჩამომდისო.

ჩანდაკარმამ ბალარამს მხარში ფრჩხილი გაჰკრა და სუფთა სისხლი გადმოადინა. ჩანდაკარმა გაბრაზდა.

— პანდიტ, დიდი მატყუარა ვინმე ყოფილხარ, წყალი კი არა, სისხლი გადმოგივიდა, — უთხრა ეშმაკმა, მაგრად შემოჰკრა ფეხები და დაუყვია: — ჩქარა გაიქეციო!

პანდიტს შეეშინდა და ქარივით გაქროლდა, მაგრამ უცებ შეჩერდა და ეშმაკს ჰკითხა:

— ო, მოწყალე ბატონო, რამდენი არ ვიფიქრე, მაგრამ ვერ მივხვდი: რატომა გაქვს მთელი ტანი ასეთი უხეში და მაგარი, ფეხისგულები კი რბილიო?

ჩანდაკარმამ მიუგო:

— რაში გჭირდება მაგის ცოდნა? მაგრამ რაკი გინდა გაიგო, მომისმინე: ფეხისგულები დამისველდება თუ არა, სიარული აღარ შემიძლია. მე მხოლოდ მშრალი ფეხებით დავდივარ. ამიტომა მაქვს ფეხისგულები რბილიო.

ტბასთან რომ მივიდნენ, ჩანდაკარმამ ბალარამის ზურგიდან ჩამოსვლა ინება.

— პანდიტ, მე ვიბანავებ და მალე ამოვალ, შენ კი აქ იდექი და წამალი ღეჭე. ოღონდ იცოდე, გაქცევა არ გაბედოო, — უთხრა ჩანდაკარმამ.

ეშმაკს ჩემი სისხლი სწყურია, იბანავებს თუ არა, შემჭამსო, — გაიფიქრა შეშინებულმა ბალარამმა, მაგრამ უცებ ახალმა აზრმა გაუელვა თავში: სველი ფეხებით ეშმაკს სირბილი ხომ არ შეუძლია! თუ მიშველის, ამან უნდა მიშველოს. მანამ ის ფეხებს გაიმშრალებს, მე უკვე შორს ვიქნებიო.

როგორც კი ეშმაკი წყალში ჩახტა, პანდიტმა მოკურცხლა.

ეშმაკმა თვალი შეასწრო და დაუყვირა:

— სად გარბიხარ? მაინც დაგეწევი და შეგჭამო!

ეშმაკი წყლიდან ამოვიდა და ფეხებს იშრობდა. პანდიტმა კი მსუბუქად რომ ყოფილიყო, ტანსაცმელი გაიხადა, წამლიანი ქოთანიც გადააგდო და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოუსვა.

სანამ ეშმაკი ფეხისგულებს იშრობდა, საზრიანმა პანდიტმა თავის სოფლამდის მოასწრო მისვლა.

ეშმაკი ვეღარ დაეწია.

პანდიტმა თავისიანებს უამბო, რაც თავს გადახდა.

— როგორ გაიგე ჩანდაკარმას საიდუმლოებანი? — ჰკითხეს მეზობლებმა.

ამაზე პანდიტმა უპასუხა:

— ძმებო, ჩემი მასწავლებელი სულ ამას გვეჩიჩინებოდა: სწავლა სიბერემდეო. აი მეც ვსწავლობ, რაც არ ვიცი. დღეს სწორედ ამან გადამარჩინა. თქვენც ამას გირჩევთ, ნუ შეგრცხვებათ, იკითხეთ და ისწავლეთ, რაც არ იცითო.

<u>თერძი და ჯინი*</u>

(* ჯინი — კეთილი ან ბოროტი სული. თუმცა ზოგიერთ ზღაპარში მისი მხოლოდ სიბრიყვე ჩანს.)

ერთ ქალაქში თერძი და ფეიქარი ცხოვრობდნენ. დღე და ღამე მუშაობდნენ, იმათ ჯიბეს კი არაფერი ემატებოდა. რაც დრო გადიოდა, სულ უფრო ღატაკდებოდნენ. როცა ფეიქარს ნართი გაუთავდა და თერძს ნემსი და მაკრატელიღა დარჩა, გადაწყვიტეს სხვაგან ეძებნათ ბედი. მცირე საგზალი წაიღეს და გასწიეს.

მთელი დღე იარეს ასე. რომ მოსაღამოვდა, დაბურულ ტყეში გაუძნელდათ გზის გაგნება, თანაც ფეიქარს დაღლილობისაგან მუხლები ეკვეთებოდა და შიშისაგან გული უსკდებოდა.

— მეგობარო, მოდი, უკან დავბრუნდეთ, ძალიან დავიღალე და ამ ტყე-ტყე სიარულისაც მეშინიაო, — უთხრა ფეიქარმა თერძს.

— ნება შენია, — მიუგო თერძმა. — რაკი გეშინია, დაბრუნდი, შიში ცუდი თანამგზავრია. მე კი გზას განვაგრძობ. მშვიდობით იყავიო.

ასე დაშორდნენ ერთმანეთს თერძი და ფეიქარი. ფეიქარი ქალაქისაკენ წალასლასდა, თერძმა კი ტყეში მარტო განაგრძო გზა.

მალე დაბნელდა. თერძი გზას ასცდა. ხან ბუჩქებს წამოედო, ხან ხეებს მიაწყდა. ახლა იმასაც შეეშინდა. თავი რომ გაემხნევებინა, ტომრიდან თავისი დიდი მაკრატელი ამოიღო და ააჩხაკუნა. მიდიოდა თერძი და მაკრატელს მიაჩხაკუნებდა, გულს იმაგრებდა.

რაც უფრო ღრმად შედიოდა, ტყე ხშირდებოდა. ხეები ცამდე აზიდულიყო. სიბნელიდან ნადირთ ყმუილი ისმოდა. თერძს შიშისაგან გული უსკდებოდა, ხმალივით იქნევდა მაკრატელს და აჩხაკუნებდა. მაგრამ ესეც ვეღარ შველოდა. მაკრატლით ხომ ვეფხვს ვერ მოიგერიებდა!

უცებ თერძმა ფეხი რაღაცას წამოჰკრა და წაიქცა. ხელი მოაფათურა, გაიხედ-გამოიხედა, მიდამო შეათვალიერა და ხეზე მიდგმული კიბე არ დაინახა! კიბის საფეხურები სადღაც მაღლა, სიბნელეში ადიოდა.

უჰ, რა კარგია! — გაუხარდა თერძს. — ხეზე ავალ და ღამეს იქ გავათენებ, დილაზე კი, ვნახოთ, რა იქნებაო.

დიდხანს აღარ უფიქრია, თერძი ნელ-ნელა აფოფხდა მოფამფალებულ კიბეზე.

საფეხურებს ბოლო არ უჩანდა. საბრალო თერძი ძალზე გაწვალდა. ნეტა მაცოდინა, სად მივდივარ, — ფიქრობდა იგი, — ორში ერთი, ან ცას ავწვდები, ანდა დაღლილობისაგან დედამიწაზე დავებერტყებიო. ხელ-ფეხი უკანკალებდა, გულს დაგადუგი გაჰქონდა, მართლაც, კინაღამ ძირს მოადინა ბრაგვანი. მაგრამ კიბე უცებ გათავდა და თერძი უღონოდ დაეცა ტოტებისაგან მოწნულ დირეზე.

როცა თერძმა სული მოითქვა, ხეზე მიკრული ქოხი დაინახა, ქოხში სინათლე ბჟუტავდა და ვიღაცის ბუტბუტიც ისმოდა.

ოჰო, — გაიფიქრა თერძმა, — აქ ვიღაც მოკალათებულა! ფრთხილად უნდა ვიყოო.

თერძს ისე შიოდა და ისე ეძინებოდა, რომ ვეღარ მოითმინა და ქოხში შეიხედა. უცებ თოფნაკრავივით განზე გახტა, მაგრამ გვიანღა იყო: ქოხიდან ტყის საზარელი ჯინი გამოვიდა. საცრისოდენა თვალები უბრწყინავდა სიბნელეში. ცხვირი მოკაუჭებული ჰქონდა, უშველებელ პირში ვეფხვის კბილებივით გრძელი ბასრი ეშვები მოუჩანდა. ჯინს მთელი ტანი მოშავო-მოწითალო ხშირი ბალნით ჰქონდა დაფარული. ამ საოცრების დანახვაზე თერძი კინაღამ წაიქცა.

— ხ-ხარ-ხ-ხ! ხ-ხარ-ხ-ხ! აქ რა გინდა? რისთვის მობრძანებულხარო? — შესძახა ჯინმა.

ახლა კი დავიღუპეო! — გაიფიქრა თერძმა. — მაგრამ იგი გაბედული და გამჭრიახი კაცი იყო:

— მაპატიე, მეც არ მესიამოვნება... საქმე ის არის, რომ ჯინების უფროსმა მიბრძანა, თბილი ბეწვის ქურქი შემიკერეო. როგორც ვხედავ, შენ ყველაზე ლამაზი და ხშირი ბეწვი გაქვს... მგონი, სწორედ შენი ბეწვი გამომადგება! თუ ნებას მომცემ... — ეუბნება თერძი, თან თავის დიდ მაკრატელს აჩხაკუნებს და ჯინისაკენ მიიწევს.

— ირ-რ-რ! ირ-რ-რ! — დაიყვირა შეშინებულმა ჯინმა. — რას მიპირებო?

— ნუ გეშინია! — ეუბნება თერძი და თან მაკრატელს აჩხაკუნებს. — საქურქე ტყავს გამოგაჭრი და მეტს არ შეგაწუხებო.

ჯინი შიშისაგან აცახცახდა:

— არ შეიძლება სხვა ბეწვისაგან შეკერო ქურქი? ოღონდ მე ხელს ნუ მახლებ და სამაგიერო ჩემზე იყოსო.

— ჯერ უნდა მოვიფიქრო, — ჩაილაპარაკა დაიმედებულმა თერძმა და ხელახლა ააჩხაკუნა მაკრატელი, — ეგებ უკეთესი ბეწვიც ვიშოვოთო.

ჯინი სიხარულისაგან ისე შეხტა, რომ ხე შექანდა. ჯინი ქოხში გაუჩინარდა. თვალის დახამხამებაზე უკან დაბრუნდა და თერძს წინ სავსე ტომარა დაუგდო.

— არ-რ-რ, რ-რ-რ! — დაიყვირა ჯინმა. — აი, ჩემი საჩუქარი. შიგ ოქრო და ძვირფასი ქვებია. წადი აქედან და უკან აღარ მოიხედოო.

ესა თქვა ჯინმა, თერძს კიბეზე მიუთითა, თვითონ კი ქოხში მიიმალა.

როგორ ჩამოვიდა თერძი ტომრიანად ძირს, თვითონაც არ ახსოვს.

გათენებამდე ხის ძირას იჯდა და სინჯავდა თავის სიმდიდრეს.

გათენდა თუ არა, მძიმე ტომარა ზურგზე მოიგდო და შინისაკენ მოუსვა.

ქალაქში ფეიქარი შეხვდა და ჰკითხა:

— მაგ ტომრით რა მოგაქვსო?

— ჯერ სახლამდე მიმატანინე და მაშინ გაიგებ, რაც მომაქვსო, — მიუგო თერძმა.

ფეიქარმა ხელი მოავლო ტომარას და ერთად მიიტანეს სახლამდე. თერძმა ოქროს ფული და ძვირფასი თვლები უჩვენა და ყველაფერი უამბო, რაც გადახდა.

— ხედავ, — უთხრა თერძმა, — ვინც ჭკვიანი და გამბედავია, ბედიც იმასა სწყალობს. ვისაც შინიდან გასვლისა ეშინია, ის ხეირს ვერა ნახავს. მაგრამ შენ ჩემი ძველი მეგობარი ხარ და ამ სიმდიდრეს შუაზე გაგიყოფო.

თერძმა ძვირფასეულობა შუაზე გაყო და ნახევარი ფეიქარს მისცა.

თერძის სიტყვებმა ფეიქარი გააბრაზა.

ეს რა გამოდის? — გაიფიქრა ფეიქარმა. — მკერავს არაფრისა შეეშინდა და სიმდიდრეც იპოვა, მე კი ცარიელი დავბრუნდი. არა, მთელს ქალაქს უნდა გავაგებინო, რომ მშიშარა არც მე ვარო!

ფეიქარმა მკერავს სთხოვა, წამოდი, ჯინთან გამომყევიო.

მკერავი დიდ უარზე დადგა.

— ჩვენ ეს სიმდიდრეც გვეყოფა, მეტი რაღად გვინდა? მეტისმეტი სიხარბე დაგვღუპავსო.

ფეიქარი მაინც თავისას გაიძახოდა: მეც უნდა მოვიტანო ტყიდან სიმდიდრე. ჩემზე მდიდარი არავინ არ უნდა იყოსო.

თერძს მობეზრდა ამაზე ლაპარაკი და დათანხმდა.

თერძი და ფეიქარი დილით გავიდნენ ქალაქიდან და საღამო ხანს მივიდნენ ტყეში. თერძი დიდხანს ეძებდა კიბემიდგმულ ხეს, მაგრამ ვერა და ვერ იპოვა. მაშინ მეგობრებმა გადაწყვიტეს, ღამე სხვა ხეზე გაეთენებინათ, დილით კი ისევ მოეძებნათ ტყის ჯინი.

თერძმა მინდვრის ბოლოს ერთი ტოტებგაშლილი ხე დაინახა და მეგობრები ზედ აცოცდნენ. მოხერხებული ტოტები ამოირჩიეს და იქ მოკალათდნენ ღამის გასათევად.

ის იყო, თერძი და ფეიქარი ძილს აპირებდნენ, რომ საოცარმა სინათლემ გააშუქა მთელი მინდორი. ამის დანახვაზე მეგობრებს შიშისაგან კინაღამ სული გასძვრათ. საზარელი სანახაობა გადაეშალათ თვალწინ: შუა მინდორში ტყის უშველებელმა ჯინმა კოცონი დაანთო, პატარა ჯინები კი ფიჩხს უზიდავდნენ. ყოველი მხრიდან გამოდიოდნენ და გამოდიოდნენ ჯინები: მოხუცები, ახალგაზრდები, შავები, წითლები, ბანჯგვლიანები, კუდიანები, საშინელი ეშვებითა და მოელვარე თვალებით.

კოცონი რომ გააჩაღეს, ჯინები ჯერ გაჩუმებულები შემოუსხდნენ გარშემო, მერე კი სხვადასხვა ხმაზე გააბეს:

— ჩვენო მბრძანებელო, თერძს ნუღარ გამოგვიგზავნი!

— ჩვენი ტყავი შეიცოდე!

— სხვა რამისაგან შეიკერე ქურქი!

— დაგვიხსენი თერძის მაკრატლისაგან!

ისეთი ღმუილი, კივილი და ღრუტუნი ატყდა, რომ საწყალ ფეიქარს შიშისაგან ტოტზე ხელი გაეშვა და სწორედ იქ მოადინა ზღართანი, სადაც ტყის ჯინები იყვნენ თავშეყრილნი.

ფეიქარმა იფიქრა, ახლა კი დავიღუპეო, მაგრამ ბედად თერძი არ დაბნეულა. ხიდან ჩამოხტა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაკრატელი ააჩხაკუნა და დაიყვირა:

— სტაცე ხელი! დაიჭი! აქეთ მოათრიე! ამათი ტყავისაგან მშვენიერ ქურქს გამოვჭრი! ჩქარა ყველა აქეთ მოათრიეო.

შეშინებული ჯინები თავპირისმტვრევით გაიქცნენ აქეთ-იქით და სიბნელეში მიიმალნენ.

თერძმა და ფეიქარმა გათენებას მოუცადეს და საჩქაროდ შინ დაბრუნდნენ.

— ხედავ, — უთხრა თერძმა ფეიქარს, — რაცა გჭირდება, იმაზე მეტი მოისურვე და კინაღამ თავიც წააგეო.

ფეიქარს რა ეთქმოდა. უხაროდა, რომ ცოცხალი გადარჩა.

მეგობრები შინ დაბრუნდნენ და აღარასოდეს წასულან ტყის ჯინებთან.

<u>ა რ წ ი ვ ე ბ ი ს შ ვ ი ლ ი</u>

ნამდვილად მოხდა ეს ამბავი თუ არა, არავინ იცის. ოდესღაც ინდოეთის ერთ სამთავროში ერთი მერძევე ქალი ცხოვრობდა. ყოველდღე მხარზე შეიდგამდა რძით სავსე დოქს, აიყვანდა თავის ერთი წლის გოგონას ხელში და ქალაქში მიდიოდა რძის გასაყიდად.

ერთხელ დაღლილ-დაქანცული ქალი გზის პირას ჩამოჯდა და ბავშვიც გვერდით მოისვა. უცებ, სად იყო, სად არა, ცაზე ორი არწივი გამოჩნდა, წრე მოხაზეს. ერთი მათგანი შურდულივით წამოვიდა ძირს და ბავშვი აიტაცა.

საცოდავი ქალი დიდხანს ყვიროდა და მწარედ ქვითინებდა, მაგრამ რაღას უშველიდა!

არწივები შორს გაფრინდნენ, ბავშვი ერთ უზარმაზარ ხეზე მიიყვანეს და სახლისოდენა რკინის ბუდეში ჩასვეს. ბუდეს შვიდი რკინის კარი ება. მზის პატივსაცემად არწივებმა ბავშვს სურია* (* სურია — მზე (ჰინდის ენაზე).) შეარქვეს.

გეგონებოდათ თავიანთი მართვეაო, ისე უვლიდნენ არწივები პატარა გოგონას, საზრდოს უზიდავდნენ, წყალს ასმევდნენ. ხშირად მიფრინავდნენ შორეულ ქვეყნებში და ძვირფასი საჩუქარი მოჰქონდათ მისთვის.

სურიას თორმეტი წელი რომ შეუსრულდა, არწივებმა გადაწყვიტეს, გოგონასათვის ისეთი თვლიანი ბეჭედი ეჩუქებინათ, როგორსაც მხოლოდ დედოფლები ატარებდნენ. ასეთი ბეჭის შოვნა მხოლოდ შორეულ მხარეში თუ შეიძლებოდა, წითელი ზღვის იქით. იქ მისვლას და უკან დაბრუნებას კი სრული ერთი წელი უნდოდა.

არწივებმა სურიას ორი მსახური — ძაღლი და კატა — დაუყენეს, ერთი წლის საჭმელ-სასმელი დაუტოვეს და გაფრინდნენ.

გავიდა რამდენიმე ხანი. ერთ დღეს კატამ ხორცის მოპარვა განიზრახა. ეს სურიამ შეამჩნია და მკაცრად დასაჯა. კატამ გადაწყვიტა, შური ეძია. შემჩნეული ჰქონდა, რომ სურია ძალიან უფრთხილდებოდა ცეცხლს და დღედაღამ არ აქრობდა. და აი, ერთხელ, როცა სურიას ეძინა, კატამ ცეცხლი ჩააქრო.

სურია მთელი სამი დღე და ღამე იმაზე ფიქრობდა, სად ეშოვა ცეცხლი. ამ ხნის განმავლობაში არც სურიას უჭამია რამე, არც ძაღლსა და კატას. მეოთხე დღეს სურია ბუდიდან ამოვიდა, გაიხედ-გამოიხედა, ეგებ სადმე ახლომახლო კვამლი დავინახოო. მართლაც, სადღაც შორს, კვამლი დაინახა. სადაც კვამლია, იქ ცეცხლიც იქნებაო, — გაიფიქრა, ფრთხილად ჩამოვიდა ხიდან და იქითკენ გასწია.

შუადღე იყო, სურია ერთ ძველ ქოხს რომ მიადგა. ცეცხლის პირას დედაბერი იჯდა. რა იცოდა გოგონამ, რომ დედაბერი კაციჭამია იყო და ამ ქოხში თავის ვაჟებთან ერთად ცხოვრობდა.

დედაბერმა მთვარესავით გაბადრული, ძვირფასი სამკაულებით მოკაზმული სურია რომ დაინახა, გაუხარდა: რა ლამაზი გოგოა. მე და ჩემს ვაჟს ამაღამ გემრიელი ვახშამი გვექნება. უნდა შევიყოლიო, ვიდრე ჩემი ვაჟი ნადირობიდან დაბრუნდებაო და ალერსიანად ჰკითხა:

— ვინა ხარ, გოგონა, ან აქ რა გინდაო?

— მე არწივების შვილი ვარ, — მიუგო სურიამ, — ისინი შორს გაფრინდნენ ჩემი ბეჭდის საშოვნელად. ბუდეში ცეცხლი ჩამიქრა, ნაკვერჩხალს ხომ ვერ მომცემო?

— ახლოს მოდი, გოგონა, — უთხრა დედაბერმა, — ნაკვერჩხალს როგორ დაგიჭერ. ოღონდ შენს გახარებას, ცოტა ბრინჯი მომიხარშე, მოვხუცდი და ხელის განძრევა აღარ შემიძლიაო.

გულკეთილმა სურიამ უარი ვერ უთხრა. ბრინჯი უკვე მზად იყო, ბებრის შვილი კი ჯერაც არ ჩანდა. ახლა ხორცის მოხარშვა მოინდომა დედაბერმა, სურიამ ეს თხოვნაც აუსრულა.

— ახლა ქოხი დამიგავეო, — სთხოვა დედაბერმა.

სურიამ ქოხიც დაუგავა, მაგრამ ვაჟი მაინც არსად ჩანდა.

დედაბერმა არ იცოდა, რა ეღონა:

— კეთილო გოგონა, რა მიგაჩქარებს? ნაკვერჩხალს არ მოგცემ, სანამ წყაროდან წყალს არ მომიტანო.

სურია მიუხვდა, რომ დედაბერი განგებ აყოვნებდა.

— ხომ ყველაფერი გაგიკეთე, თუ მომცემ ნაკვერჩხალს, მომეცი, თუ არადა სხვაგან ვიშოვიო.

დედაბერმა იფიქრა, ჩემი ვაჟის მოსვლამდე მაინც ვერ გავაჩერებო, და მისცა ნაკვერჩხალი, თან უთხრა:

— აი, ეს ხორბალიც წაიღე და გზა-გზა ფანტე, უცებ ცეცხლი რომ გაგიქრეს, ჩემს ქოხს ადვილად მოაგნებო.

გოგონა ვერ მიუხვდა დედაბერს ეშმაკობას. ნაკვერჩხალი და ხორბალი გამოართვა და შინისაკენ გასწია, თან გზადაგზა ხორბალს ყრის.

შინ რომ მივიდა, რკინის ბუდის ყველა კარი ჩაკეტა, საჭმელი მოამზადა, თვითონაც ჭამა და კატასა და ძაღლსაც აჭამა.

სურია წამოვიდა თუ არა, კაციჭამიას ვაჟიც დაბრუნდა შინ. დედაბერმა ყველაფერი უამბო შვილს, არც ხორბლის ამბავი დავიწყებია.

კაციჭამიას ვაჟი მაშინვე გაუდგა გზას. ხორბლის კვალს მიჰყვა და მალე მივიდა იმ ხესთან, სადაც არწივებს ბუდე ჰქონდათ. სწრაფად ავიდა ხეზე, და პირველ კარს მიადგა, კარი მაგრად იყო დაკეტილი.

— შემომიშვი, გოგონა! მე ბებერი არწივი ვარ, შორეული მხრიდან მოვფრინდი, ძვირფასი საჩუქრები მოგიტანე, კარი გამიღეო! — ეხვეწებოდა ვაჟი.

სურიას მაგრად ეძინა და არაფერი ესმოდა.

რაკი ვერ გააგონა, კაციჭამიამ კარს მტვრევა დაუწყო, მაგრამ ამაოდ. ისე ეჯაჯგურებოდა, რომ ფრჩხილიც კი წასძვრა.

ვაჟი ვერაფერს გახდა და შინ დაბრუნდა.

მეორე დღეს სურიამ გაიღვიძა და ყველა კარი გააღო. გააღო ერთი კარი, მეორე, მესამე... ის იყო, მეშვიდე კარი უნდა გაეღო, რომ რაღაც ბასრი შეესო ხელში. ეს კაციჭამიას ფრჩხილი იყო.

კაციჭამიებს გრძელი და შხამიანი ფრჩხილები აქვთ. მათი ფრჩხილი ადამიანს შეესობა თუ არა, მაშინვე მკვდარივით დაეძინება. სურიაც უგონოდ დაეცა ძირს.

გავიდა ერთი წელი. არწივები მოფრინდნენ წითელი ზღვიდან და ძვირფასთვლიანი ბეჭედიც მოიტანეს. ბუდეში რომ შეფრინდნენ, ნახეს მათი საყვარელი შვილი მკვდარი წევს კართან. ბევრი იჯავრეს, ბოლოს თითზე ბეჭედი გაუკეთეს და სამუდამოდ გაშორდნენ იქარობას.

ერთხელ ერთი ჭაბუკი ტყეში გამოსულიყო სანადიროდ. მონადირემ ზევით აიხედა და ხეზე ბუდე დაინახა. აცოცდა, შევიდა შიგ და რასა ხედავს! ლამაზი, ძვირფასად ჩაცმული გოგონა მკვდარი წევს, სხეული კი ისევ თბილი აქვს.

ცოცხალია, ოღონდ საღათას ძილით სძინავსო, — გაიფიქრა.

მონადირემ თითიდან ფრთხილად გამოაძრო ჯადოქრის ფრჩხილი და გოგონამაც მაშინვე გაახილა თვალები, ნელ-ნელა მოვიდა გონს და გაოცებულმა ირგვლივ მიმოიხედა:

— სადა ვარ? ან შენ ვინა ხარ? სიზმარია თუ ცხადიო?

მონადირემ მიუგო:

— ნუ გეშინია, გოგონა, მე ამ ტყეში ვნადირობდი, რედი მქვია. შენ ვინღა ხარო?

— მე არწივების შვილი ვარ, სურია მქვიაო, — უთხრა გოგონამ.

რედიმ პირველად არ დაუჯერა, მაგრამ სურიამ კიდევ გაიმეორა, არწივების შვილი ვარ და ამ ხესა და ამ ბუდეს არ გავცილებივარო.

მონადირეს შეუყვარდა ლამაზი სურია და ცოლობა სთხოვა. სურიაც დაეთანხმა და რედიმ თავის სახლში წაიყვანა.

ამ სოფელში ერთ ქალს რედის ცოლობა უნდოდა.

როცა გაიგო, რედიმ ცოლი მოიყვანაო, გადაწყვიტა, მეტოქე თავიდან მოეშორებინა.

სურიას ერთი მოხუცი მოახლე ჰყავდა.

— ჩემო ძვირფასო ქალბატონო, — უთხრა მან სურიას, — ფრთხილად იყავი, ლეკჰას ეჯავრები და არ დაუმეგობრდეო.

სურიამ ერთგული მსახურის სიტყვებს ყური არ ათხოვა და ლეკჰას სახლში სტუმრობა არ დაიშალა.

ერთხელაც სურია და ლეკჰა ტბის პირას სეირნობდნენ. ლეკჰამ უთხრა: აბა, ერთი შენი სამკაულები მათხოვე, ვნახო, მომიხდება თუ არაო, სურიამაც მოიხსნა და მისცა.

— მიხდება? წამოდი, ტბაში ჩავიხედავ. წყალი ისე სუფთაა, შიგ ყველაფერი სარკესავით ჩანსო.

ტბასთან მივიდნენ თუ არა, ლეკჰამ მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ გვიყურებსო. უცებ ხელი ჰკრა სურიას და წყალში ჩააგდო.

რედიმ დიდხანს ეძება და იგლოვა სურია. რაც დრო გადიოდა, მით უფრო ემატებოდა ჯავრი. არცა ჭამდა და არცა სვამდა. ხალხი ამბობდა, დარდისაგან მალე მოკვდებაო.

ერთხელ რედი ტბისკენ წავიდა. უცებ წყალზე ოქროსფერი ყვავილი შენიშნა. ყვავილს თავი ნაზად დაეხარა. მონადირეს გული აუკანკალდა.

ეს ყვავილი სურიას მაგონებსო, — გაიფიქრა, — მასავით ლამაზი და ნაზი არისო.

ამის შემდეგ მონადირე ყოველდღე მიდიოდა ტბასთან და ესიყვარულებოდა ყვავილს.

ამ ამბავს ყური მოჰკრა ლეკჰამ. ყვავილი მოწყვიტა, ტყეში წაიღო, ცეცხლი დაანთო და დაწვა. იმ ადგილას, სადაც ყვავილი დაწვა, მანგოს* (* მანგო — წვნიანი, არომატული წვენის სასიამოვნო ნაყოფი. იზრდება მანგოს ხეზე.) ხე ამოვიდა. ხემ მალე აიყარა ტანი, გაიზარდა და როცა დაიყვავილა, მანგოს ნაყოფი გამოისხა, ისეთი მსხვილი, ისეთი სურნელოვანი, რომ ხალხი იმის სანახავად მოდიოდა, ნაყოფის მოწყვეტას კი ვერავინ ბედავდა.

ერთხელ ტყეზე მერძევე ქალმა, სურიას დედამ, გაიარა. ქალაქში რძე გაეყიდა და შინ ცარიელი დოქით ბრუნდებოდა. დაღლილი ქალი მანგოს ხის ძირას დაჯდა და ჩაეძინა. უცებ ნაყოფი ტოტს მოსწყდა და პირდაპირ ცარიელ დოქში ჩავარდა. ქალს გაეღვიძა და დოქში მანგოს ნაყოფი დაინახა. ძალიან გაოცდა, იფიქრა: ვინმემ რომ ნახოს, ქურდობას დამწამებს, არავინ დამიჯერებს, რომ ნაყოფი თვითონ ჩამივარდა დოქში, მაგრამ აქ დატოვებაც მენანება, მოდი, უბეში დავმალავ და ისე მივიტან შინ, ბავშვებს გავახარებო.

ასეც მოიქცა. შინ რომ მივიდა, ნაყოფი ისევ დოქში ჩადო, ქმარსა და შვიდ ვაჟს დაუძახა და უთხრა:

— დღეს ბედმა გამიღიმა: განთქმული მანგოს ხის ნაყოფი თავისით ჩამივარდა დოქში და შინ წამოვიღე. აჰა, კაცო, გამომართვი, ბავშვებს გაუყავიო.

დოქში რომ ჩაიხედა, ნაყოფის მაგივრად შიგ პატარა გოგონა დაინახა! გოგონას ოქრომკედით მოქარგული კაბა ეცვა. სურია მქვიაო თქვა. მერძევეს ძალიან გაუხარდა, გოგონა დაიტოვა და დაკარგული შვილის სახელზე ზრდიდა.

გოგონა უცბად გაიზარდა და ისე დამშვენდა, რომ იმის შეხედვას არაფერი სჯობდა, მაგრამ მუდამ დაღონებული და გაჩუმებული იყო.

სურია ყოველდღე წყალზე მიდიოდა. ერთხელ, კოკას რომ ავსებდა, ცხენოსანმა გაიარა, ეს რედი იყო. დაინახა თუ არა სურია, შეჩერდა დაუყვირა:

— სურია, ჩემო კარგო.

სურიას შეეშინდა და შინისკენ მოკურცხლა. რედი უკან დაედევნა. გოგონამ მოასწრო სახლში დამალვა. მონადირე ფეხდაფეხ მიჰყვა, იქვე მერძევე დაინახა და ჰკითხა:

— მითხარი, ის გოგონა სად დაიმალა, ჩემი ცოლი არისო.

— გიჟი ხომ არა ხარ, რა სისულელეებს როშავ, აქ ჩემი ქალის მეტი არავინ არისო, — მიუგო მერძევემ.

რედი მაინც თავისას გაიძახოდა, ის გოგონა ჩემი ცოლია, გარეთ გამოიყვანეო.

მერძევემ ცივი უარი სტკიცა და თავის ქმარსა და ვაჟებს დაუძახა. ისინი კეტებით მოცვივდნენ. რედი მარტო იყო, თანაც დარწმუნებით არც იცოდა, ეს ქალი ნამდვილად სურია იყო თუ არა. ამიტომ ცხენი მიატრიალა და უკან გაბრუნდა.

რედიმ მაინც ვერ მოისვენა და გადაწყვიტა, იმ გოგოს ვინაობა გაეგო. ადგა, სურიას მოახლეს დაუძახა და უბრძანა, კარგად გაიგე მერძევის ოჯახის ამბავიო. მოახლე ყოველდღე დადიოდა მერძევისას, რძე მოჰქონდა. სურიას დედა და მოახლე მალე დამეგობრდნენ კიედეც.

მოახლემ სურიას ამბავი მერძევეს უთხრა. მერძევემაც უამბო, როგორ ჩავარდა დოქში ნაყოფი, და როგორ იქცა გოგონად. დღესაც ვერ გამიგია, ეს ყველაფერი როგორ მოხდაო, — იფიცებოდა მერძევე. მათ გადაწყვიტეს, სურიასათვის დაეძახათ და დაწვრილებით გამოეკითხათ ვინ იყო იგი და სად ცხოვრობდა წინათ.

სურია რომ მოვიდა, მოახლემ მაშინვე იცნო.

მერძევემ სურიას უთხრა:

— შვილო, ჩვენ უკვე დიდი ხანია, ერთადა ვართ, დღეს საკუთარ შვილადა გთვლი. მე არ გეკითხებოდი, წინათ ვინ იყავი. ახლა, როცა შევეჩვიეთ ერთმანეთს, ნურაფრისა მოგერიდება, ყველაფერი გვითხარიო.

მაშინ სურიამ უამბო თავისი ვინაობა, უთხრა, რომ არწივების შვილი ვარო და მათ ბუდეში ვიზრდებოდიო.

მერძევე მიხვდა, ვინც იყო სურია და სიხარულისაგან ატირდა.

— შვილო, შენ ხომ ჩემი გოგონა ხარ! შენი თავი არწივებმა მომტაცეს და მას მერე აღარ მინახიხარო.

შემდეგ სურიამ უამბო ყველაფერი, რაც თავს გადახდა.

— რატომ არ გინდა შენს ქმარსაც გამოუტყდეო? — ჰკითხა დედამ.

— იმიტომ, რომ მეგონა, რედიმ სხვა ქალი შეირთო და მე დამივიწყა-მეთქი, — მიუგო სურიამ.

სურიას ძველი მოახლე საჩქაროდ გაიქცა რედისთან და ეს ამბავი ახარა.

რედი მაშინვე მერძევესთან გაჩნდა და სურიას სთხოვა, შინ დაბრუნებულიყო.

მას შემდეგ სურია და რედი ბედნიერად ცხოვრობდნენ. ბოროტი ლეკჰა კი ციხეში ჩასვეს.

<u>თური და ბასანტა</u>

დიდი ხნის წინათ ინდოეთის ჩრდილოეთით ერთი მდიდარი სახელმწიფო იყო. ამ სახელმწიფოს რაჯა ჰემანგი მართავდა.

რაჯას ჰყავდა ლამაზი ცოლი — რანი ანაგი და ორი ვაჟი: უფოსი თური და უმცროსი ბასანტა.

გავიდა წლები, რანი ანაგი ავად გახდა და მალე გარდაიცვალა. როგორც ძველთაგანვე ჰქონდათ წესად, რანის გვამი თეთრი აბრეშუმის სუდარაში გახვიეს და კოცონზე დაწვეს, ფერფლი კი წმინდა მდინარე განგში გადაყარეს.

რაჯა დიდხანს გლოვობდა თავის საყვარელ ცოლს, მაგრამ იქაური ადათის მიხედვით უცოლოდ ვერ დარჩებოდა, სხვა ქალი უნდა მოეყვანა.

პირველ ხანებში ჰემანგი და მისი ახალი ცოლი მაჰარანი ტკბილად ცხოვრობდნენ. ახალგაზრდა მეუღლე ვაჟებსაც კარგად ექცეოდა, მაგრამ როცა საკუთარი ვაჟი ეყოლა, ყველაფერი უკუღმა დატრიალდა. მაჰარანის შესძულდა გერები.

მანამ ესენი ცოცხლები არიანო, — ფიქრობდა, — ჩემი ვაჟი ტახტის მემკვიდრე ვერ გახდება. გერები თავიდან უნდა მოვიცილოო.

და აი, ერთხელ მიიხმო სასახლის მკურნალი და უთხრა:

— მე თავს მოვიავადმყოფებ. როცა რაჯა დაგიძახებს და გკითხავს, რა სჭირსო, უთხარი, ძალზე ცუდად არის და თურისა და ბასანტას სისხლში გაბანვა თუ მოარჩენს, თორემ მაგისი წამალი სხვა არა არის-თქო. კარგად დაიმახსოვრე, რასაც გეუბნები, გულუხვად დაგასაჩუქრებო.

მართლაც, რანიმ ჭამა-სმა აიკვეთა. მთელი დღე იწვა და კვნესოდა. შეწუხებულმა რაჯა ჰემანგიმ ბრძანა, მკურნალისათვის დაეძახათ. მკურნალიც მოვიდა, ცოტა ხანს იჯდა ავადმყოფთან და მერე რაჯას უთხრა:

— მბრძანებელო, შენი ცოლი მძიმედაა ავად და მალე მოკვდებაო.

— ვერაფერი უშველისო? — ჰკითხა რაჯამ. — გეფიცები, არაფერს დავიშურებო.

— მისი მორჩენა შეიძლება, თუ შენი ვაჟების — თურისა და ბასანტას სისხლში გაჰბანო, — მიუგო მკურნალმა.

— შეუძლებელს რად მეუბნები! — წამოიძახა რაჯა ჰემანგიმ. — სხვა რამე მითხარიო.

მაგრამ მკურნალმა ხელახლა გაუმეორა:

— სხვა არაფერი ვიცი, რანის ორი დღის სიცოცხლეღა დარჩენია. აჩქარდი, აკი დაიფიცე, არაფერს დავიშურებო.

შეშინებულმა რაჯამ ბრძანა დაეხოცათ თური და ბასანტა და მათ სისხლში გაებანათ ავადმყოფი.

მსახურები თურისა და ბასანტას მოხუცი გადიის სახლში მივიდნენ და რაჯას გადაწყვეტილება უთხრეს, თურიმ ხმამაღლა მორთო ტირილი, პატარა ბასანტას კი ჯერ არაფერი გაეგებოდა და უდარდელად თამაშობდა. თურიმ უთხრა:

— შეგვიცოდეთ და სადმე დაგვმალეთ! ან არადა მარტო მე მომკალით, ხომ ხედავთ, ბასანტას სიკვდილისა ჯერ არაფერი გაეგებაო.

შეეცოდათ მსახურებს ბავშვები, ტყეში ღრმად შეიყვანეს და იქ დატოვეს, თანაც დაუბარეს, აქედან შორს წადით, ამ არემარეს მოშორდითო.

თური და ბასანტა დიდ გზას დაადგნენ. რაჯას მსახურებმა კი ერთი დიდი ძაღლი დაკლეს, მისი სისხლი დოქში ჩაასხეს და სასახლეში წაიღეს.

ბოროტი რანი სისხლში გაიბანა და უცებ გამხიარულდა, გულისწადილი ავისრულეო.

თური და ბასანტა მამის სამფლობელოს გასცდნენ, სულ ტყე-ღრე იარეს და დაღლილ-დაქანცულები, მშიერ-მწყურვალები ძლივსღა მიჩანჩალებდნენ. სანამ ტყე-ტყე მიდიოდნენ, მარწყვი და ტყის ხილი არ გამოლევიათ, წყაროს წყლით გულს იგრილებდნენ. მერე ტყეს უდაბნო მოჰყვა, მზე მწვავედ აცხუნებდა, ბავშვებს წყურვილი ჰკლავდა, მაგრამ არც სასმელი იყო სადმე და არც საჭმელი. პატარა ბასანტას ღონე გამოელია, სიარული აღარ შეეძლო.

თურიმ უთხრა:

— შენ აქ მომიცადე, მე წავალ და საჭმელსა და წყალს მოვნახავო.

ასე დაშორდნენ ძმები ერთმანეთს. ბასანტა დარჩა და უცდიდა თურის დაბრუნებას. თური კი წავიდა საჭმლის საძებნელად. გზაზე ლამაზად მორთული სპილო შემოხვდა. თურიმ სხვა მხაეს გაუხვია, სპილო უკან გაჰყვა, დაეწია და დაუჩოქა: თითქოს ეპატიჟებოდა, ზურგზე შემომაჯექიო. თურიც შეჯდა და კოხტად მოიკალათა ვერცხლის უნაგირზე. სპილო ადგა და სწრაფად წავიდა აღმოსავლეთისკენ.

მალე შორიდან გამოჩნდა დიდი ქალაქი. სპილომ უფრო აუჩქარა ნაბიჯს.

თური ჯერ კიდევ არ იყო გონს მოსული, რომ სპილომ პირდაპირ სასახლესთან მიიყვანა.

სასახლის წინ უამრავ ხალხს მოეყარა თავი, სპილო სასახლეს მიუახლოვდა თუ არა, ქურუმი ბრაჰმანები და მჩევლები გამოიშალნენ, მიესალმნენ თურის და თავიანთ ახალ რაჯად გამოაცხადეს.

თურიმ მერე გაიგო, რომ ამ სახელმწიფოში ასეთი წესი ჰქონიათ: თუ რაჯა გარდაიცვლებოდა, მის ადგილას იმას დასვამდნენ, ვისაც რაჯას სპილო მიიყვანდა სასახლეში.

ასე მოულოდნელად გახდა თური რაჯა. მაშინვე გაგზავნა კაცი ძმის მოსაყვანად. დიდხანს ეძებეს ბასანტა, მაგრამ ვერსად იპოვეს.

პატარა ბასანტა დიდხანს ელოდა ძმას, ბოლოს შეეშინდა და ძმის საძებნელად წავიდა, მხოლოდ აღმოსავლეთისაკენ კი არა, სადაც თურის სამფლობელო იყო, დასავლეთისაკენ გასწია. დიდხანს იხეტიალა, სანამ არ შეუერთდა აქლემების ქარავანს. ასე იქცა ბასანტა მარტოხელა უსახლკარო მაწანწალად.

გავიდა რამდენიმე წელი. ბასანტა დაჭაბუკდა, მოიარა ბევრი ქვეყანა, მაგრამ ბედნიერებას ვერ ეწია. მათხოვარივით დახეტიალობდა სამუშაოს საძებნელად.

ერთხელ ბასანტა ერთი დიდი ქალაქის კარს მიადგა. რა იცოდა, რომ სწორედ იმ ქალაქის მმართველი მისი ძმა თური იყო. გამხდარი, დაძონძილი ბასანტა ქალაქის კართან გაჩერდა. მცველებმა დაიჭირეს და გამოჰკითხეს: ვინა ხარ და სად მიდიხარო. ბასანტამ უამბო თავისი თავგადასავალი. ჯერ დაუჯერეს, ცოტა ხნის მერე კი ეჭვი შეეპარათ და ციხეში ჩასვეს.

იმ ხანებში ერთ შეძლებულ ვაჭარს თავისი საქონელი სხვა ქვეყანაში უნდა წაეღო გასაყიდად. ვაჭარმა კარაპა ისე დატვირთა, რომ ნაპირიდან ვეღარ დაძრეს.

იმ ღამეს ვაჭარს სიზმარში ვიღაც ბრძენი გამოეცხადა და უთხრა:

— ადამიანის მსხვერპლია საჭირო, რომ კარაპა ადგილიდან დაიძრასო.

დილით ვაჭარი სასახლეში მივიდა, რაჯას თავისი სიზმარი უამბო და სთხოვა, მსხვერპლად შესაწირი ტყვე მომეცითო. ამ დროს სასახლის მცველმა უთხრა, ვიღაცა მათხოვარი საპყრობილეში სწორედ ახლა ჩააგდესო.

თურიმ არ იცოდა, რომ ტყვე მისი ძმა იყო და ბრძანა, მაწანწალა ვაჭრისათვის მიეცათ.

ბასანტა ნაპირზე მიიყვანეს და, ის იყო, უნდა მოეკლათ, რომ ბასანტა ისეთი ძალ-ღონით ჩაეჭიდა კარაპას, ადგილიდან დასძრა. ვაჭარს და იქ მყოფ ხალხს გაუხარდა, ადამიანის მსხვერპლი საჭირო აღარ გახდაო. ბასანტა კარაპაზე მსახურად აიყვანეს და მეზობელი სახელმწიფო სატახტო ქალაქისაკენ გასწიეს.

იმ სახელმწიფოს რაჯა სწორედ იმ დროს აპირებდა თავისი ასულის გათხოვებას, როცა კარაპა ქალაქში ჩავიდა. იქაური ჩვეულების თანახმად კი თავადის ასულს თვითონ უნდა აერჩია საქმრო. სასიძოები დანიშნულ დღეს თავს იყრიდნენ

სასახლეში. საპატარძლო გამოდიოდა, გამოჰქონდა ცოცხალი ყვავილების გირლანდა და ვინც მოეწონებოდა, კისერზე ჩამოჰკიდებდა.

კარაპას მფლობელმა ვაჭარმა იფიქრა, მოდი, ბედსა ვცდიო. ძვირფას ტანსაცმელში გამოეწყო, დოლბანდი ოქროთი და ძვირფასი ქვებით მოირთო და სასახლეში გამოცხადდა. ვაჭარს მსახური ბასანტაც თან ახლდა.

გამოვიდა თავადის ასული. ბევრი კარგად ჩაცმულ-დახურული, ლამაზი ყმაწვილი მოსულიყო სასახლეში, მაგრამ ქალს არც ერთზე არ მიუვიდა გული. უცებ ქალმა მდიდარი ვაჭრის გვერდით სუფთად და უბრალოდ გამოწყობილი ლამაზი ყმაწვილი დაინახა და მოეწონა. ქალმა გადაწყვიტა, ამქვეყნად ამაზე კარგი ქმარი არ მინდაო და გირლანდა კისერზე ჩამოჰკიდა.

რაჯას და მის სტუმრებს ეს ამბავი არაფრად ეჭაშნიკათ. ბასანტა ხომ საწყალი მსახური იყო და არც არავინ იცნობდა, მაგრამ მეტი რა გზა ჰქონდათ, რაკი თავადის ასულმა ის აირჩია, ცოლადაც გააყოლეს.

ბასანტა თავისი ახალგაზრდა ცოლით კარაპაზე ავიდა. გაცურეს. ვაჭარს შეშურდა ბასანტას ბედი. გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, თავიდან მოეშორებინა იგი და თავადის ასული თვითონ შეერთო ცოლად.

მძინარე ბასანტას ვაჭარმა ღამე ხელი ჰკრა და წყალში გადააგდო. დილით კი მის ცოლს უთხრა:

— შენი ქმარი ზღვაში დაიხრჩო. გირჩევ, ცოლად გამომყვე, მე მდიდარი კაცი ვარ, ის კი ერთი ღატაკი მაწანწალა იყოო.

თავადის ქალმა მიუგო:

— განა არ იცი ჩვენი ადათი, როცა ქალი ქმარს დაკარგავს, უფლება არა აქვს მეორედ გათხოვდეს. ბასანტა ჩემი ქმარი იყო და მე საუკუნოდ მისი ერთგული დავრჩებიო.

კარაპა თურის ქვეყანაში დაბრუნდა. ვაჭარმა ბასანტას ცოლი თავისთან წაიყვანა და ცალკე სახლი აუშენა. ვაჭარს იმედი ჰქონდა, გავა დრო, ქალს ბასანტა დაავიწყდება და მე შევირთავო.

ბასანტა კი არ დამხრჩვალა, დიდი წვალებით გაცურა უცხო ნაპიზე, ცოტა დაისვენა და საჭმლისა და ღამის გასათევი ადგილის საშოვნელად გასწია. გზაზე ტოტებისაგან მოწნული ქოხი დაინახა. ქოხის წინ მიხრწნილი მოხუცი იჯდა. ბასანტა ქოხთან მივიდა და მოხუცს საჭმელი სთხოვა.

მოხუცი ბასანტას ველური კენკრის შეჭამანდით გაუმასპინძლდა და ჰკითხა:

— ვინა ხარ, ან ამ უდაბნოში რა ბოროტმა ძალამ გადმოგაგდოო?

— მე განთქმული რაჯა ჰემანგის შვილი ვარ, ბასანტა მქვიანო.

— სტყუი! — შეჰყვირა მოხუცმა. — ის უბედური რაჯა ჰემანგი მე ვარ, ჩემი შვილები, თური და ბასანტა, დიდი ხანია ჩემივე ბრძანებით დახოცესო.

მაშინ ბასანტამ ყველაფერი უამბო მამას. მოხუცმა აღარ იცოდა, სიხარულისგან რა ექნა. ტიროდა და ეალერსებოდა შვილს. ახლა თვითონ უამბო ბასანტას, როგორ გაქრა მისთვის სიხარული და სიმშვიდე შვილების დაღუპვის მერე. რა მალე მოუკვდა მესამე ვაჟიც. ბოროტი რანიც მას მიჰყვა. დარჩა ჰემანგი მარტოდმარტო. ჯავრი აწუხებდა და სინდისი ქენჯნიდა. სასახლეში ყველაფერი დახოცილ შვილებს აგონებდა. ამიტომ მიატოვა სასახლე, დაიწყო ხეტიალი და თავი ამ უდაბნოს შეაფარა.

ბასანტა მამასთან დასახლდა ქოხში. დადგა ბარსატი, წვიმების დროს სიცივემ და სინესტემ შეაწუხა ისინი. მოხუცი ავად გახდა და მოკვდა.

ბასანტა ისევ მარტო დარჩა. გადაწყვიტა, წასულიყო და ცოლი მოეძებნა. დიდხანს იხეტიალა უცხო ადგილებში, ბოლოს ძლიერ დაქანცული და მშიერ-მწყურვალი

მიადგა ერთ დიდ და მდიდარ ქალაქს. ბასანტა განაპირა ქოხამდე ძლივს მილასლასდა და უგრძნობლად დაეცა.

ქოხში უშვილო ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. მოხუცებმა სიხარულით შეიკედლეს ბასანტა. ბერიკაცი თულუხჩად მუშაობდა ქალაქში. ამ ქალაქის რაჯა კი თური იყო. ამავე ქალაქში ცხოვრობდა ვაჭარი, რომელმაც ბასანტას ცოლი წაართვა.

ვაჭარს ბასანტას ცოლი ცალკე სახლში ჰყავდა და მცველები ეყენა.

ერთხელ თულუხჩი ავად გახდა, მის მაგივრად ბასანტა წავიდა ქალაქში, ერთი მდიდრის სახლში წყალი მიიტანა და უცებ თავის ცოლს მოჰკრა თვალი. გაუხარდა ბასანტას და საგონებელს მიეცა, როგორ გაეგებინებინა ცოლისათვის თავისი აქ ყოფნა. რა უნდა ექნა? მცველები სახლში არ შეუშვებდნენ. ისიც ადგა და ხერხი იხმარა, ხმამაღლა უამბო მცველებს თავისი თავგადასავალი. მისი ცოლი ბაღში იჯდა და ყველაფერი ესმოდა. მიხვდა, რომ ბასანტა ცოცხალი იყო. გაუხარდა და გადაწყვიტა, როგორმე შეხვედროდა თავის ქმარს.

ერთხელ ბასანტას ცოლმა ვაჭარს უთხრა:

— დღეს ახალი თულუხჩი მცველებს თავის თავგადასავალს უამბობდა. საოცარი ამბები გადახდენია თავს! ხვალ დღესასწაულია. მოდი, ურჩიე იმ თულუხჩსაც დაუძახონ: რაჯა გაერთობა და იქნებ დაგასაჩუქროს კიდეც. მეც მაშინ გადავწყვეტ, წამოგყვე ცოლად თუ არაო.

ვაჭარი ბაიბურშიც არ იყო, რას უპირებდა თავადის ასული და ისე მოიქცა, როგორც ურჩია.

მეორე დღეს ბასანტასაც დაუძახეს დღესასწაულზე. სასახლის წინ ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი. ბასანტას ცოლიც იქ იყო. ვაჭარიც მოვიდა. მომღერლები, მცეკვავენი, ჯამბაზები და მთხრობელნი ართობდნენ ხალხს. ბასანტას ჯერიც დადგა.

ბასანტამ დაიწყო თავისი ამბავი, როგორ მოხვდა ვაჭართან კარაპაზე, როგორ შეირთო რაჯას ასული, როგორა ჰკრა ხელი და როგორ გადააგდო ვაჭარმა ზღვაში. ეს რომ თქვა, ცოლი მივარდა ბასანტას, სიხარულისაგან ხან ტიროდა, ხან იცინოდა, თან ამბობდა:

— ის ვაჭარი ახლა აქ არის, მან შენი დაღუპვა მოინდომა, მერე ჩემი ცოლად შერთვა უნდოდა, მაგრამ მე არ დაგივიწყე, იმ ბოროტ კაცზე არ გაგცვალეო.

ყველა, ვინც კი ეს ამბავი გაიგო, გაოცებული დარჩა. რაჯა თურიმ მაშინვე გასცა ბრძანება, ბოროტი ვაჭარი იმ ქვეყნიდან გაეძევებინათ.

მერე ბასანტა და მისი ცოლი თავისთან მიიხმო და ჰკითხა:

— ახლა მიამბე ზღვაში დახრჩობას როგორ გადარჩი, ჩვენს ქვეყანაში როგორ მოხვდი და ცოლიც როგორ იპოვეო.

ბასანტამ უამბო, როგორ გაცურა ნაპირამდე, როგორ იხეტიალა ტყე-ტყე და როგორ იპოვა თავისი მამა — ოდესღაც განთქმული რაჯა ჰემანგი...

— ბასანტა! — შესძახა თურიმ. — ძმაო, შემომხედე: მე ხომ თური ვარ!

ასე იპოვეს ძმებმა ერთმანეთი და სიკვდილამდე ბედნიერად ცხოვრობდნენ.

მეომარ რამანანდას ამბავი

ქალაქ ბრაჰმაპურის მრისხანე რაჯას ერთი ასული ჰყავდა. ასულს ლილავატი ერქვა.

როცა ლილავატი თორმეტი წლისა გახდა, მის სილამაზეზე მრავალ სამთავროში ალაპარაკდნენ, ხოლო როცა თხუთმეტი წელი შეუსრულდა, იმის მამასთან ერთმანეთზე უფრო დიდებული მთხოვნელები მივიდნენ. ლილავატი ისეთი ლამაზი

იყო, რომ ვინც ერთხელ თვალს მოჰკრავდა, ვეღარ ივიწყებდა. მშვენიერ ლილავატის მარცხენა წარბს ზემოთ ვარდის ფურცლის მსგავსი პაწაწინა ხალი ჰქონდა.

ყოველდღე ჩამოდიოდნენ ბრაჰმაპურში დიდებული სასიძოები, მაგრამ ლილავატი ყველას იწუნებდა.

ერთ მშვენიერ დღეს რაჯა თავისი ფეხით მივიდა ლილვატისთან და უთხრა:

— სამი ღირსეული დიდებული გთხოულობს. ერთი იმ მხარის ხელმწიფეა, სადაც ბრინჯი და ბამბა მთელ წელიწადს მოდის, ხეები მუდამ ნაყოფითაა დახუნძლული და საძოვრებზე მწვანე ბალახი ერთთავად ბიბინებს. მეორე — მამაცი რაჯაა, მას იმდენი მეომარი ჰყავს, რამდენი ნიჟარაც არ მოიძებნება ოკეანეში. მესამე კი — კუნძულ ცეილონის მბრძანებელია. მის სარდაფებში იმდენი მარგალიტია, რამდენი ვარსკვლავიც არ დაითვლება ცაზე. დილაზე შენ თვითონ ეტყვი მთხოვნელებს, რომელ მათგანს აირჩევო.

მეორე დღეს, როცა დიდებული მთხოვნელები ეახლნენ, ლილავატიმ თქვა:

— ბავშვობაში ჩემი მოხუცი აია* (* აია — ძიძა.) იმ ქალაქის ამბებს მიამბობდა ხოლმე, სადაც ყველანი ბედნიერები არიან. მე მარტო იმაზე გავთხოვდები, ვინც ბედნიერ ქალაქში ყოფილა და იქით მიმავალი გზა იცისო.

მთხოვნელებს გაეცინათ და უთხრეს:

— მოუტყუებიხარ მოხუც აიას. დედამიწის ზურგზე ბედნიერები მხოლოდ ქალაქების მმართველები არიან. რამდენიც არ უნდა იარო, ბედნიერ ქალაქს ვერსად მიაგნებ და, აბა, ჩვენ საიდან უნდა ვიცოდეთ იქით მიმავალი გზაო?

— მაშინ ვერც ერთი თქვენგანი ჩემი ქმარი ვერ გახდებაო, — უპასუხა ლილავატიმ და ყველანი უკან გააბრუნა.

შეურაცხყოფილი სასიძოები თავის სამთავროებში გაბრუნდნენ. რაჯა კი ისე განრისხდა, რომ ბრძანა: ციცაბო კლდიდან ზღვაში ათი მონა გადააგდეთო! მერე მივიდა ლილავატისთან და უსაყვედურა:

— ნუთუ დაგავიწყდა, რა სასტიკად იძიებენ ხოლმე ღმერთები შურს იმათზე, ვინც მამის ნება-სურვილს ეურჩებიან? როგორ გაბედე და ასეთ დიდებულ ხალხს უარი როგორ უთხარიო!

— მამავ ბატონო! მე მხოლოდ იმაზე გავთხოვდები, ვისაც ბედნიერი ქალაქი უნახავს და იქით მიმავალი გზა იცისო, — გაიმეორა ლილავატიმ.

მაშინ რაჯამ მთელ თავის საბრძანებელში მსახურები დაგზავნა და დაავალა: შეიტყვეთ, ჩემს ქვეშევრდომებში ბედნიერი ქალაქი ვის უნახავსო. მსახურები მთელ საბრძანებელში დადიოდნენ, დაფსა სცემდნენ და გაჰყვიროდნენ:

— ბრაჰმაპურის უძლეველი მპყრობელი ბრძანებს, ვისაც ბედნიერი ქალაქი უნახავს, ჩემს ასულს, ღვთაებრივ ლილავატის, იმას მივათხოვებო.

სამი დღის შემდეგ რაჯას სასახლეში სამმა უცნობმა შეაჭენა ცხენი. ლილავატი გავიდა და მოსულებს მიმართა:

— ბედნიერ ქალაქს რატომ უწოდებენ ბედნიერს, იმან მითხრას, ვინც ჩემთან ყველაზე ახლოსა დგასო.

ვისაც ლილავატიმ მიმართა, ოდნავ დაფიქრდა და უპასუხა:

— იმ ქალაქს ბედნიერს იმიტომ უწოდებენ, რომ იქ არასოდეს არავინ მუშაობსო!

— შენ იმ ქალაქში არა ყოფილხარ და ჩემი მოტყუება გინდა. გასწი აქედან, ჩემი ღირსი არა ხარო! — მიუგო ლილავატიმ.

როცა შერცხვენილი სასიძო სასახლიდან გავიდა, ლილავატიმ კვლავ იკითხა:

— ბედნიერ ქალაქს რატომ უწოდებენ ბედნიერს, იმან მითხრას, ვინც ჩემთან ყველაზე ახლოსა დგასო.

— იმ ქალაქს ბედნიერს იმიტომ უწოდებენ, — უპასუხა მეორე მთხოვნელმა, — რომ იქ სულ ოქროს სახლებია და ქუჩებში მინგისოდენა* (* მინგი — მიწის თხილი.) მარგალიტები ყრიაო.

ლილავატის მწარედ ჩაეცინა.

— არც შენ ყოფილხარ იმ ქალაქში, მატყუარას ცოლობა კი არა მსურს. აქედან გასწიო!

შერცხვენილი მეორე სასიძოც გაშორდა იქაურობას.

ლილავატის წინ მესამე მთხოვნელიღა დარჩა. ამ ჭაბუკს არავინ იცნობდა.

— შენ ვინღა ხარ? შენზე არასოდეს არაფერი მსმენიაო, — ჰკითხა ლილავატიმ.

— ო, ლილავატი! მე რამანანდა მქვია, მეომართა კასტას ვეკუთვნი. ერთი წლის წინ სასახლის აივანზე დაგინახე და მას შემდეგ შენი სახე ვერ დამივიწყნიაო.

— აბა მითხარი, კეთილშობილო მეომარო, ბედნიერ ქალაქს ბედნიერს რად უწოდებენო?

რამანანდამ მზერა გაუსწორა მეფის ასულს და უპასუხა:

— ნუ გამიწყრები, მაგრამ ჩემს სიყვარულს ტყუილით ვერ შევბღალავ. არც არასოდეს ვყოფილვარ ბედნიერ ქალაქში და არც ის ვიცი, ბედნიერს რად უწოდებენ. ხვალ, გათენებისას, წავალ ბრაჰმაპურიდან და იმ ქალაქს მოვძებნი. თუ ვიპოვე — დავბრუნდები და ჩემი ცოლი უნდა გახდე, თუ ვერა — თვალითაც ვეღარ მიხილავო.

თქვა ეს მეომარმა, თაყვანი სცა ლილავატის და ისე გავიდა სასახლიდან, უკან აღარ მიუხედავს.

გათენებისას რამანანდა ბედნიერი ქალაქის საძებნელად გაემართა. მიდიოდა ბრაჰმაპურის ქუჩებში და ხედავდა თხრილებში მძინარე უსახლკარო მათხოვრებს, მიდიოდა მინდორ-მინდორ და ხედავდა, როგორ ეცემოდნენ დაღლილობისაგან ქანცგაწყვეტილი მონები, ზედამხედველები კი ჯოხის ცემით როგორ წამოყრიდნენ ხოლმე. მიდიოდა და გზადაგზა შიმშილისაგან მომაკვდავ მოხუცებს ხვდებოდა.

იარა რამანანდამ, იარა და მხოლოდ საღამო ხანსღა შეხვდა გზის მოსახვევში მოხეტიალე ბრაჰმანს.

— წმიდა მამაო, ბედნიერი ქალაქისკენ მიმავალ გზას ხომ ვერ მიმასწავლიო? — ჰკითხა.

— მე არა, მაგრამ შრინარვატის მთებში ერთი ხუთასი წლის განდეგილი ცხოვრობს და შეიძლება იმან მიგასწავლოსო, — მიუგო ბრაჰმანმა.

რამანანდამ მთებისკენ გასწია. მძიმე გზა ჰქონდა გასავლელი. ქალამნები სულ დაცვეთოდა და ფეხშიშველი მიაბიჯებდა წვეტიან, გახურებულ ქვებზე, მის ნაკვალევზე სისხლიანი კვალი რჩებოდა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ქებულმა მეომარმა, ბოლოს, როგორც იყო, მთის განდეგილის ადგილსამყოფელს მიაღწია. მიღწევით კი მიაღწია, მაგრამ შიმშილისა და დაღლილობისაგან ფეხზე ვეღარ იდგა. ხოხვა-ხოხვით მივიდა განდეგილის გამოქვაბულამდე და ჰკითხა:

— კეთილო მამაო! ბედნიერი ქალაქისაკენ მიმავალ გზას ხომ ვერ მიმასწავლიო?

— შვილო ჩემო, ხუთასი წელი მიცხოვრია ამ ქვეყანაზე და ასეთ ქალაქზე ჯერ არა მსმენია რაო, — მიუგო მოხუცმა, — იქნებ, ჩემი უფროსი ძმა დაგეხმაროს. ის შვიდასი წლისაა და ჩემზე მეტი იცის. მის ადგილსამყოფელს ჯუნგლებში იპოვი. ახლა კი, მოდი, ჭრილობებზე სამკურნალო ბალახს დაგადებო.

მოხუცმა რამანანდას დაწყლულებულ ტერფებზე სამკურნალო ბალახი დაადო და ჭრილობები ერთბაშად მოუშუშდა.

რამანანდამ დიდხანს იხეტიალა ჯუნგლებში განდეგილის ქოხის საძებნელად. ერთ დღეს გზაზე ვეფხვი გადაეღობა. მეომარმა მაშინვე იშიშვლა ხმალი და შესძახა:

— მიჯნური უძლეველია! გზიდან ჩამომეცალე, თორემ ახლავე სულს გაგაფრთხობინებო!

ვეფხვმა ყურიც არ შეიბერტყა, გავას კუდი გაჰკრა, ერთი ხმამაღლა დაიღრიალა და რამანანდას ეძგერა. მაგრამ არც რამანანდა დაბნეულა: მოიქნია ხმალი და ჯუნგლების მეფეს შიგ გულში ჩასცა.

რამანანდამ ხმლის ჩაგებაც ვერ მოასწრო, რომ გზაზე ახლა ვეებერთელა გველი გამოსრიალდა. გველი ელვის სისწრაფით ეკვეთა მეომარს და სამჯერ შემოეხვია.

— ვისაც უყვარს, მე ყველა მძულს. უარი თქვი შენს სიყვარულზე და უვნებელს გაგიშვებო, — დაისისნა გველმა და კიდევ უფრო მაგრად შემოეჭდო. როგორ აღარა ცდილობდა რამანანდა ურჩხულისაგან განთავისუფლებას, მაგრამ ვერაფერს გახდა.

— თუ უარს იტყვი შენს სიყვარულზე, გაგიშვებ, თუ არადა, სიცოცხლეს გამოგასალმებო! — სისინებდა გველი.

— მშვიდობით, უბადლო ლილავატი! მირჩევნია სამარის ჭიად ვიქცე, ვიდრე ჩემს სიყვარულზე უარი ვთქვაო, — ამოიგმინა რამანანდამ, თვალები დახუჭა, გველის საზარელი ხახა არ დავინახოო, და სასიკვდილოდ მოემზადა.

უეცრად ვაჟს ყურისწამღები სტვენა შემოესმა და მაშინვე იგრძნო, რომ გველი ისე აღარ უჭერდა. რამანანდამ თვალები გაახილა და თავისი მხსნელი დაინახა. პატარა, მამაცი მანგუსტი გველს კეფაში ჩაფრენოდა, ბეწვი ყალყზე ედგა, აბზეკილი კუდი აბურძგნოდა და თვალებიდან ნაპერწკლებს ყრიდა.

მოიქნია ხმალი რამანანდამ, გადაჭრა გველი შუაზე და მიწას დაანარცხა.

ახლა უკვე გზა ხსნილი იყო და სულ მალე განდეგილის ქოხსაც მიადგა.

— მამაო ჩემო! — მიმართა რამანანდამ მოხუცს, — ამქვეყნად შვიდასი წელი გიცხოვრია, ხომ არაფერი გსმენია ბედნიერ ქალაქზე, ანდა იქით მიმავალ გზას ხომ ვერ მიმასწავლიო.

მოხუცმა შეხედა მეომარს და უპასუხა:

— ერთხელ, ჭაბუკობაში, ყური მოვკარი, რომ ოკეანეში რომელიღაც კუნძულზე ბედნიერი ქალაქი არისო. აბა, წადი და ზღვისპირელ მეთევზეებს ჰკითხე. შეიძლება, იმათ იცოდნენ რამეო.

მეომარიც ადგა და ზღვისპირელი მეთევზეებისაკენ გაეშურა.

რის ვაი-ვაგლახით გააღწია რამანანდამ ჯუნგლებიდან, — ხან გამძვინვარებულ მხეცებს ებრძოდა, ხან გარეულ სპილოებს გაურბოდა და ხანაც გაუმაძღარი მახრჩობელა გველებისაგან იცავდა თავს. არც დღე ეძინა, არც ღამე. ერთ ხელში ამოღებული ხმალი ეჭირა, მეორეში — ანთებული ჩირაღდანი, და მიდიოდა, შეუსვენებლივ მიდიოდა.

იარა, იარა რამანანდამ და, ბოლოს, როგორც იქნა, ზღვისპირელ მეთევზეთა სოფელსაც მიაღწია, მაგრამ ვისაც კი ჰკითხა ბედნიერი ქალაქის ამბავი, ვერავინ ვერაფერი უთხრა.

დაღონებული და განაწამები მეომარი ისევ გზას დაადგა. ერთი კოსიც* (* კოსი — სიგრძის ერთეულია — 3 კილომეტრზე ცოტა მეტი.) არ გაევლო, რომ გზისპირა ბუჩქებიდან კვნესა შემოესმა. რამანანდამ იქით მიაშურა და მომაკვდავი მოხუცი დაინახა. თავზე სვავები დასტრიალებდნენ, საცოდავი მოხუცის სიკვდილს ელოდნენ.

— მიშველე, როგორმე სოფლამდე მიმიყვანე! ძალა გამომელია, სიკვდილის დრო დამიდგაო, — სთხოვა მოხუცმა.

— ხელზე დამეყრდენი, კეეთილო მოხუცო, და შენს სახლამდე მიგიყვანო, — მიუგო რამანანდამ.

როცა მოხუცის ქოხს მიაღწია, რამანანდამ ჰკითხა:

— მამილო, ბედნიერი ქალაქისკენ მიმავალი გზა ხომ არ იციო?

— მე არასოდეს არა ვყოფილვარ იმ ქალაქში, მაგრამ პაპაჩემისაგან მსმენია, რომ ერთხელ ქარიშხალს მეთევზეების ნავი ბედნიერი ქალაქის ნაპირზე გაურიყავს. კუნძულ უშტალაზე მეთევზეების ხელმწიფე ცხოვრობს, მიდი იმასთან და ბედნიერი ქალაქის გზას ის მიგასწავლისო.

დაღონდა მეომარი:

— როგორ უნდა მივაღწიო კუნძულ უშტალას? ოქრო მე არ მაქვს, რომ ხომალდი ვიყიდო და ღმერთს ჩემთვის ნავიც კი არ მოუციაო.

— ნაკი კი მაქვს, მაგრამ რად გინდა, უბრალო ნავი ოკეანის ტალღებს ვერ გაუძლებს, პირველსავე ქარიშხალში დაიღუპებიო, — უთხრა მოხუცმა.

— ჩემს ლილავატის შევფიცე, რომ ბედნიერ ქალაქს ვიპოვი-მეთქი და, რადაც არ უნდა დამიჯდეს, ფიცი უნდა შევასრულო. მომეცი ნავი და შენს სიკეთეს თავის დღეში არ დავივიწყებო! — შეევედრა მეომარი.

სხვა რა გზა ჰქონდა მოხუცს. მისცა ნავი რამანანდას და ისიც მეთევზეთა ხელმწიფისაკენ გაემართა.

დიდხანს მიაპობდა ზღვას რამანანდა. არც დღე ეძინა და არც ღამე, ხელის გულებზე სისხლიანი ბებერები გაუჩნდა, წყურვილისაგან ტუჩები დაუსკდა, მაგრამ მაინც შეუსვენებლივ უსვამდა და უსვამდა ნიჩბებს.

მაგრამ სწორედ მაშინ, როცა უკვე მწვანე კუნძული და მეთევზეთა ქოხები გამოჩნდა, ოკეანის ზედაპირზე უზარმაზარი თევზი ამოტივტივდა, კუდი მძლავრად მოიქნია და ნავი გადააბრუნა.

რამანანდამ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და ცურვით მაინც მიაღწია ნაპირს. დაინახეს თუ არა მეთევზეებმა რამანანდა, მაშინვე მშრალი ტანისამოსი ჩააცვეს და თავიანთ ხელმწიფეს მიჰგვარეს.

— სადაური ხარ, ჭაბუკო, რომელმა ქარმა გადმოგაგდო ჩვენს კუნძულზეო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— მეთევზეთა ხელმწიფევ, აქ იმისათვის მოვედი, რომ შენგან შევიტყო, სად არის ბედნიერი ქალაქი. ამბობენ, შენ ერთადერთი ადამიანი ხარ, ვინც ამ ქალაქის ამბავი იცისო, — მიუგო რამანანდამ.

— შემცდარხარ, მამაცო მეომარო! მე არ ვიცი, სად არის ეგ ქალაქი, მაგრამ გულს ნუ გაიტეხ! გემს მოგცემ და კუნძულ გაკონდაზე წადი. იქ, ვიშნუს ტაძართან, მთვარის თვის მეთორმეტე დღეს ინდოეთის ყოველი კუთხიდან მოვლენ მლოცველები. რომელიმე მათგანს უსათუოდ ეცოდინება ბედნიერი ქალაქისაკენ მიმავალი გზა და მიგასწავლისო, — უთხრა მეთევზეთა ხელმწიფემ.

იმავე დღეს რამანანდა კუნძულ გაკონდასაკენ გაემგზავრა. კაცმა არ იცის რამდენი დღე იცურეს ოკეანეში, რომ უეცრად შემკრთალი ხმით გაცემული ბრძანება შემოესმა. მალე გემის უფროსმაც მიირბინა მასთან და უთხრა:

— ხედავ, იმ უზარმაზარ ლეღვის ხეს? იმისი ფესვები ოკეანის ფსკერამდე ჩადის. ლეღვის ხის ქვეშ საშინელი მორევია და ქარი ჩვენ გემს პირდაპირ იქით მიაქანებს. გადმოხტი ჩვენთან ერთად ნავში, თორემ დაიღუპებიო!

— მიჯნური მხოლოდ წინ მიდის, უკან არასოდეს იხევსო — შესძახა რამანანდამ. — შენ უშველე თავს და გემს მე წავიყვანო.

რამანანდა მარტო დარჩა. გემი სწრაფად უახლოვდებოდა უზარმაზარ ხეს. რამანანდა უკვე კარგად არჩევდა მის არაჩვეულებრივად მსხვილ ნაყოფს. ლეღვის ხეს ისეთი ძირი ჰქონდა, გემი სამ დღეშიც ვერ შემოუვლიდა გარს.

როდესაც ძლიერმა ტალღამ გემი მორევში ისროლა, რამანანდამ ხეზე ისკუპა და ერთ მსხვილ ტოტს მოეჭიდა. მისი ხეზე ასვლა და გემის გაუჩინარება ერთი იყო.

მამაცი მეომარი ამ საოცარი ხის წვერზე ავიდა და მიმოიხედა. საითაც კი თვალი მიაწვდინა, მხოლოდ აბობოქრებული ოკეანე დაინახა.

საღამოხანს ლეღვის ხეზე არწივები მოფრინდნენ.

რამანანდა ხის ხშირ ფოთლებში დაიმალა და ბედს მიენდო. უეცრად მოესმა, რომ არწივები ადამიანის ენაზე ლაპარაკობდნენ.

— ჩვენი ხელმწიფე აქამდე სად არის, რატომ დაიგვიანაო? — ეკითხებოდნენ ისინი ერთმანეთს.

უცებ გამაყრუებელი ხმა გაისმა და არწივთა ხელმწიფეც გამოჩნდა. არწივები გარს შემოეხვივნენ და ჰკითხეს, სადა ბრძანდებოდი და რად დაიგვიანეო?

— ბედნიერ ქალაქში ვიყავი და გათენებისას ისევ იქ უნდა წავიდეო, — უპასუხა გოლიათმა არწივმა.

როცა არწივთა ხელმწიფეს დაეძინა, რამანანდამ თავი მის ზურგზე მიიბა და მოუთმენლად დაელოდა გათენებას.

როგორც კი მზე ამოიწვერა, ფრინველთა ხელმწიფემ ფრთა ფრთას შემოჰკრა და ოკეანეს გადაევლო. ვეებერთელა არწივს არც კი უგრძვნია, რამანანდა რომ ზურგზე ეჯდა.

მალე მწვანე კუნძულზე ნაგები ქალაქი დაინახა რამანანდამ. არწივი თანდათან დაბლა დაეშვა და, ბოლოს, ერთ მწვანე მინდორზე დაფრინდა, მეომარი შეუმჩნევლად გადახტა მაღალ ბალახებში და ქალაქისკენ გაემართა.

ბედნიერ ქალაქში ყვავილების სასიამოვნო სურნელი ტრიალებდა, ყოველ წუთს ხალხის მხიარული სიმღერა და უდარდელი სიცილი ისმოდა. აქ არც ოქროს სახლები ჩანდა და არც ქუჩაში დაყრილი მარგალიტები. ყველა მუშაობდა, ყველას თავისი საქმე ჰქონდა.

რამანანდა პირველსავე შემხვედრთან მივიდა, მიესალმა და ჰკითხა:

— ამ ქალაქის ხელმწიფესთან როგორ უნდა მივიდეო?

— მომყევი, უცხო ჭაბუკო, და ჩვენი დედოფლის სახლში მე თვითონ მიგიყვანო, — მიუგო უცნობმა და ბედნიერი ქალაქის ქუჩებს გაუყვნენ. მიჰყვებოდა უცნობს რამანანდა და სულ უფრო და უფრო უკვირდა. ან კი როგორ არ გაჰკვირვებოდა! არც მათხოვრები ჩანდნენ ქუჩებში და არც დამშეული მომაკვდავები, არც ნაცემი მონების ტირილი ისმოდა და არც ავადმყოფების კვნესა...

— კი მაგრამ, სად არიან აქ მონები, ვინ ამუშავებს შეძლებული ხალხის მიწებს, ან საქონელს ვინა მწყემსავსო? — ვეღარ მოითმინა ბოლოს რამანანდამ.

— ჩვენში მონები არ არიან. აქ ყველანი თავისუფლები და თანასწორები არიან. ყველას იმდენი მიწა აქვს, რამდენის დამუშავებაც შეუძლიაო, — უპასუხა გაოცებულმა ბედნიერი ქალაქის მცხოვრებმა.

— ერთი შეკითხვა კიდევ უნდა შემოგბედო. რატომ არა გვხვდებიან მათხოვრები და მშივრები, თქვენ მათ ქუჩა-ქუჩა სიარულის უფლებას არ აძლევთო?

— რომელ მათხოვრებსა და მშივრებზე მელაპარაკები, ძვირფასო სტუმარო? ჩვენი მიწა ბრინჯსა და ხორბალს იძლევა, ჩვენს საძოვრებზე იმდენი საქონელი ძოვს, რომ ჩვენი ქალაქის მცხოვრებმა შიმშილი რა არის, არ იცისო.

— კი მაგრამ, მთელი ეს მიწები, საქონელი და საძოვრები განა დიდგვაროვნებს არ ეკუთვნისო? — ისევ გაიკვირვა რამანანდამ.

— საოცარ შეკითხვებს მაძლევ, მეგობარო! იქნებ ამ შეკითხვებზე პასუცის გაცემა ჩვენმა დედოფალმა შეძლოს. ის ამ ქოხში ცხოვრობსო, — და თანამგზავრმა ქოხზე მიუთითა, — ოღონდ ნუ გაგიკვირდება, რომ დედოფალი მოწყენილია, ამ თხუთმეტი წლის წინათ ბოროტმა სულმა ახალშობილი მოსტაცა და მას შემდეგ აღარც გაუცინიაო.

შევიდა თუ არა ქოხში, რამანანდამ დედოფალი დაინახა, იგი სახემობურვილი იჯდა.

— უცხო ჭაბუკო, რა მიზნით გვეწვიეო? — ჰკითხა დედოფალმა.

— სიყვარულმა მომიყვანაო, — მიუგო მეომარმა და თავისი თავგადასავალი უამბო.

— ნუთუ მართლა ისეთი ლამაზია რაჯას ასული, როგორც შენ ამიწერეო, — ჩაეკითხა დედოფალი.

— ჩემო დედოფალო, ლოტოსი ჭკნება, ისე შურს მისი სილამაზე... მძვინვარე ვეფხვი მზად არის ხელები აულოკოს! მზე ვეღარ ძღება ლილავატის წარბისზედა ცისფერი ხალის ცქერითო.

— რაო, რა თქვი, უცხოელო? ეს რა ხალი ახსენეო? — წამოიძახა დედოფალმა.

— მზეთუნახავ ლილავატის მარცხენა წარბს ზემოთ ვარდის ფურცლის მსგავსი პაწაწინა ხალი აქვს-მეთქი, — გაუმეორა რამანანდამ.

დედოფალს ხმა არ ამოუღია, ისე მოიხსნა თავსაბურველი და რამანანდამ მის მარცხენა წარბს ზემოთ ზუსტად ისეთივე ხალი დაინახა, როგორიც რაჯას ასულს ჰქონდა.

— დედოფალო! შენც ზუსტად ისეთივე ხალი გაქვს! — შესძახა გაოცებულმა რამანანდამ.

დედოფალმა სიმწრისაგან სახეზე ხელები აიფარა და დიდხანს იყო ასე გარინდებული. ცოტა ხნის შემდეგ შეხედა რამანანდას და მწუხარედ უთხრა:

— იცი, ღირსეულო ჭაბუკო, რომ ლილავატი ჩემი შვილია? დაიბადა თუ არა, ბოროტმა სულმა მომტაცა და იმ წუთიდან მისი დარდი არ გამნელებიაო.

— მაშ ის ბრაჰმაპურის ბოროტი რაჯას შვილი არ არის? თუ ასეა, იმასთან როგორღა მოხვდაო? — იკითხა რამანანდამ. — როცა ბოროტ სულს ჩემი ლილავატი მიჰყავდა, დამიძახა: თუ მთელ შენს ქალაქს ბრაჰმაპურის რაჯას დაუთმობ, შვილს დაგიბრუნებსო. თვითონ განსაჯე, განა შემეძლო ამის გაკეთებაო?

უეცრად დედოფალმა ხელები რამანანდასაკენ გაიშვირა და ჩაიჩურჩულა:

— დამიბრუნე ჩემი გოგონა! დამიბრუნე ჩემი ლილავატი და მთელი სიცოცხლე შენი მონა ვიქნებიო!

— უბრძანე, დედოფალო, შუადღისთვის გემი მომიმზდონ და შიგ ბედნიერი ქალაქის ათასი მამაცი მებრძოლი ჩასხანო, — უთხრა რამანანდამ.

ყველაფერი ისე მოაგვარეს, როგორც რამანანდამ მოისურვა და იმანაც გემი ბრაჰმაპურის გზას გაუყენა.

გემმა ოცდაათი დღე იარა ოკეანეში. მშობლიურ მიწას რამანანდამ ოცდამეთერთმეტე დღეს დაადგა ფეხი, რამანანდა ხმელეთზე მარტო გადავიდა, ბედნიერი ქალაქის მეომრები კი გემზე დატოვა.

ლილავატი ფერმიხდილი და ჩამომდნარი დაუხვდა რამანანდას.

— როგორ დაიგვიანე, მე უკვე დაღუპული მეგონეო, — შესძახა გახარებულმა ლილავატიმ. — რა ჰქენი, ბედნიერი ქალაქი იპოვეო.

— ვიპოვე, ჩემო სიცოცხლევ. ბედნიერს იმიტომ უწოდებენ, რომ იქ არ არიან მონები და მათხოვრები, მშივრები და დაჩაგრულები. იქ არც ციხე იციან, არც დასჯა და არც წამებაო.

— წამო ჩქარა მამაჩემთან, ქორწილის დღე დაგვინიშნოსო! — სიხარულით წამოიძახა ლილავატიმ.

როდესაც რაჯამ გაიგო, რომ მისი ქალი უბრალო მეომრის ცოლობას აპირებდა, სასტიკად განრისხდა და ბრძანა: რამანანდა შეიპყარით და ხვალ დილას კლდიდან ზღვაში გადააგდეთო.

ბევრი იტირა ლილავატიმ, ბევრი ეხვეწა რაჯას, რამანანდას სიცოცხლე აჩუქეო, მაგრამ ვერაფერი შეასმინა.

სიკვდილით დასჯის დღეც დადგა. ხელფეხშეკრული რამანანდა ქალაქზე გაატარეს და ზღვის ნაპირისაკენ წაიყვანეს. გარს ასი მცველი დაუყენეს. მცველებს უკან რაჯა მიჰყვებოდა სპილოზე დადგმულ ტახტრევანში გამოჭიმული. რაჯას უნდოდა, რამანანდას სიკვდილი საკუთარი თვალით ენახა. რაჯას სპილოს გვერდით კი მსახურებს მწუხარებისაგან დაოსებული ლილავატი მიჰყავდათ, ულმობელ რაჯას უნდოდა, რომ თავისი არჩეული საქმროს სიკვდილი ლილავატის საკუთარი თვალით ენახა.

ზღვა მალე გამოჩნდა და მიადგნენ იმ კლდესაც, საიდანაც სიკვდილმისჯილებს ზღვის მორევში ჰყრიდნენ. მონებმა სპილოს კიბე მიადგეს და რაჯა ძირს ჩამოვიდა, რომ რამანანდა თვითონ გადაეგდო კლდიდან. მაგრამ, სწორედ ამ დროს, მეომარმა რაღაც უცნაური, არწივისებური ხმით დასჭყივლა და იმწამსვე ბედნიერი ქალაქის გემიდან ნაპირზე ხმალამოწვდილი ათასი ახალგაზრდა გადმოვიდა. ვიდრე მცველები გონს მოვიდოდნენ, ბედნიერი ქალაქის მეომრებმა ყველანი ამოხოცეს.

განთავისუფლებული რამანანდა მაშინვე რაჯას მივარდა, ჰკრა ხელი და ზღვაში გადაუშვა. ულმობელი და უსამართლო რაჯა თვითონ მოკვდა იმ სიკვდილით, რომელსაც სხვას უმზადებდა. ლილავატი კი რამანანდამ ხელში აიტაცა და გემზე აიყვანა. იალქნები აუშვეს და გემი ბედნიერი ქალაქის გზას გაუყენეს.

— სად მიგყავარ? მე ვერასოდეს გავხდები იმ კაცის ცოლი, ვინც მამაჩემი მოკლაო. — მკაცრად უთხრა ლილავატიმ რამანანდას.

— მე დედაშენთან მიმყავხარ, ბედნიერ ქალაქში. თხუთმეტი წელია შენზე დარდი არ განელებიაო.

— რატომ მატყუებ, მამაჩემი მეუბნებოდა, დედაშენი შენს გაჩენას გადაჰყვაო.

— ის რაჯა მამაშენი არ ყოფილა. მისი ბრძანებით თხუთმეტი წლის წინ ბოროტმა სულმა დედაშენს, ბედნიერი ქალაქის დედოფალს, შენი თავი მოსტაცა და აქ მოგიყვანაო, — მიუგო რამანანდამ.

— რითი დამიმტკიცებ შენი სიტყვების სიმართლესაო?

— ჩემს დღეში ტყუილის თქმით თავი არ დამიმცირებია. ჩემი სიტყვების სიმართლეში მაშინ დარწმუნდები, როცა ბედნიერი ქალაქის ნაპირს მივადგებითო, — დაამშვიდა რამანანდამ.

მთელი ბედნიერი ქალაქი გამოვიდა რამანანდას გემის შესახვედრად, ლილავატიმ ნაპირზე ფეხი დადგა თუ არა, დედოფალიც მივარდა.

— შვილო, ჩემო შვილო, — გაიძახოდა აქვითინებული დედა.

უნდა გენახათ როგორ გაოცდა ლილავატი, როცა დედოფლის წარბს ზემოთ ვარდის ფურცლის მსგავსი პაწაწინა ხალი დაინახა.

— მაშ, რამანანდამ მართალი მითხრა, მე შენი შვილი ვარო? — შესძახა ლილავატიმ.

— ჩემი შვილი ხარ, ჩემი! ბოროტმა სულმა მოგიტაცა, მაგრამ რამანანდას სიყვარულის ძალა ბოროტი სულის გრძნეულებაზე ძლიერი აღმოჩნდა. შენ ისევა გყავს დედა! ხვალ ამ მამაც მეომარზე დაგაქორწინებთ და ხვალიდანვე რამანანდა ჩვენი ბედნიერი ქალაქის ხელმწიფე გახდება. ვინც ასეთი მამაცია და თავისი სიტყვის პატრონი, ვისაც ასეთი თავდავიწყებული სიყვარული შეუძლია, ის კეთილი და პატიოსანი მმართველიც იქნებაო, — უთხრა დედოფალმა.

ათი დღე გრძელდებოდა ლილავატისა და რამანანდას ქორწილი ბედნიერ ქალაქში. ახალგაზრდებს ყველა ბედნიერებასა და ასი წლის სიცოცხლეს უსურვებდა.

მოდით, ჩვენც იგივე ვუსურვოთ მეფე-დედოფალს.

<u>დასჯილი მევახშე</u>

ერთ სოფელში ერთი გლეხი ცხოვრობდა. მამის სიკვდილის შემდეგ მას მხოლოდ მიწის პატარა ნაჭერი, კამეჩი და გუთანი დარჩა. გლეხს მამა ჯერ არც კი გამოეტირა, რომ მევახშე მიადგა კარს:

— მამაშენს ჩემი ასი რუპია ემართა და ვალი ახლავე უნდა დამიბრუნოო.

— ახლა ფული არა მაქვს, — უპასუხა გლეხმა, — ცოტა მადროვე, მოსავალს ავიღებ, ბრინჯს გავყიდი და ვალს დაგიბრუნებო.

მევახშე არ დაეთანხმა:

— მოსაცდელად სადა მცალია. თუ ფული არა გაქვს, გუთანსა და კამეჩს წაგართმევო.

— შემიბრალეთ, ბატონო! — შეეხვეწა გლეხი, — გუთანი და კამეჩი რომ წამართვა, მიწა როგორღა მოვხნაო.

— კარგი, ასე იყოს. მე კეთილი კაცი ვარ. გუთანსა და კამეჩს სამი დღით დაგიტოვებ, სამაგიეროდ, როცა მოსავალს აიღებ, ნახევარი მე უნდა მომცეო.

სხვა რა გზა ჰქონდა საბრალო გლეხს, იძულებული გახდა, დათანხმებულიყო.

გლეხკაცმა ბრინჯი მოიყვანა, მაგრამ რა, ნამგალიც კი არა ჰქონდა, რომ მოსავალი აეღო. ადგა და ისევ მევახშესთან წავიდა, ნამგალი მათხოვეო.

— მე შენთვის არაფერი მენანებაო, — უთხრა მევახშემ, — წაიღე ნამგალი, მაგრამ ჩემს ვალს კიდევ ორი მანი* (* მანი — წონის ერთეულია. მისი წონა ინდოეთის სხვადასხვა სამთავროში სხვადასხვაა. მერყეობს 37,8 კგ.-დან 43-2 კგ.-მდე. სტანდარტული მანია 37,8 კგ.) უნდა დაუმატო. თუ დამეთანხმები, ხომ კარგი, თუ არადა, შენვე წააგებ — მალე წვიმები დაიწყება და მთელი ბრინჯი დაგეღუპებაო.

გლეხი ამაზეც დათანხმდა და მთელი მოსავლიდან მხოლოდ სამი მუჭა მარცვალიღა დარჩა. დანარჩენი სულ ერთიანად მევახშეს ჩააბარა.

ის იყო გლეხმა კვერის გამოცხობა დააპირა, რომ მევახშე ისევ მიადგა კარს.

— შენი სასწორის შესამოწმებლად მოვედი. მე მგონი, ვალი ზუსტად არ დამიბრუნეო.

— ბატონო, როგორც ქვას ვერ გამოსწურავ წყალს, ისე ჩემგან მეტს ვერაფერს მიიღებ. ისევ ისა სჯობია, მასწავლო, უპუროდ როგორ ვიცხოვროო, — უპასუხა გლეხმა.

— ჩემო კარგო! ამქვეყნად ქონებასაც და ყოველგვარ წყალობასაც ღმერთი — რამა* (* რამა — ცნობილი ინდური ეპოსის, «რამაიანას» გმირი. რამას ადამიანის სახით მოვლენილ ვიშნუდ მიიჩნევენ ინდოეთში. ინდოელები მას უდიდეს პატივს სცემენ.) — გვაძლევს... შეეცადე, რამა იპოვო და ყველაფერს ის გეტყვისო.

გლეხიც ადგა, ბრინჯის სამი კვერი გამოიცხო საგზლად და რამას საძებნელად გასწია. პირველივე დღეს ერთ ბრაჰმანს შეეყარა და გაუხარდა, რამას ადგილსამყოფელი ამას ნამდვილად ეცოდინებაო. ამოიღო ბრინჯის კვერი, გაუწოდა ბრაჰმანს და ჰკითხა:

— ხომ არ მეტყვი, წმიდა მამაო, რამას პოვნა სად შეიძლებაო?

პასუხის ნაცვლად ბრაჰმანმა გლეხის მიცემული კვერი პირისაკენ გააქანა და გზა უსიტყვოდ განაგრძო.

მეორე დღეს გლეხს კიდევ ერთი ბრაჰმანი შეხვდა.

იქნებ, ეს მაინც ისეთი ხარბი არ გამოდგესო, — გაიფიქრა გლეხმა და მიმართა:

— წმიდა მამაო, შეიბრალე საწყალი კაცი! ამ ბრინჯის კვერის გარდა არაფერი მაბადია. აჰა, ეს კვერი გამომართვი და მითხარი, რამას პოვნა სად შეიძლებაო.

ბრაჰმანმა შეხედა გლეხკაცს, ბრინჯის კვერი უბეში ჩაიდო და გზა განაგრძო.

მესამე საღამოს გლეხს ახლა მოხუცი მათხოვარი შემოხვდა და თავისი უკანასკნელი კვერი იმას მისცა.

— სიკეთე არასოდეს არავის დაჰკარგვია. საით გაგიწევია, კეთილო კაცო, და რას შეუწუხებიხარო? — ჰკითხა მათხოვარმა.

— რასა და, რამას დავეძებ, მაგრამ არავის უნდა მისი გზა-კვალი მიმასწავლოსო, — მიუგო გლეხკაცმა.

— მითხარი, მეგობარო, რამას ნახვა რად გინდაო.

— რად მინდა და, მთელი ჩემი მოსავალი მევახშემ წაიღო. მე აღარაფერი დამრჩა და ახლა რამასგან მინდა შევიტყო, შიმშილისაგან თავი რით ვიხსნაო.

— მე გრძნეული ვარ, — რაკი ჩემთვის შენი უკანასკნელი კვერი არ დაინანე, არც მე გეტყვი დახმარებაზე უარს. აჰა, აი ეს ნიჟარა გამომართვი, სული შეუბერე და ყოველგვარი სურვილი მაშინვე შეგისრულდება. მხოლოდ, გახსოვდეს, შებერვამდე აღმოსავლეთისაკენ მიბრუნდი და მუხლი მოიყარეო, — უთხრა გლეხს, ფეხებთან ნიჟარა დაუდო და მაშინვე გაქრა.

გლეხკაცი თვალს არ უჯერებდა. რომ შეემოწმებინა, სტაცა ხელი ნიჟარას, აღმოსავლეთისაკენ მიბრუნდა, მუხლი მოიყარა და დაიძახა:

— ჩემს წინ ახლავე ტონგაში* (* ორთვლიანი ურიკა, ურემი.) შებმული კამეჩი გაჩნდესო.

ძლივს მოასწრო გლეხკაცმა ნიჟარის პირთან მიტანა, რომ მის წინ, მართლაც, ახალ ტონგაში შებმული ერთი კარგი კამეჩი გაჩნდა.

როცა ღატაკმა თავისი ახალი ტონგით მევახშის სახლს ჩაუარა, გაოცებულ მევახშეს თვალები კინაღამ გადმოსცვივდა. გაშრა. მაშინვე მიატოვა თავისი საქმეები, გლეხთან გაიქცა და შეუტია:

— ვის მოპარე კამეჩი და ტონგა, შე ქურდო, შენა! მაგის გულისათვის კაცმა ციხეში უნდა ამოგალპოსო!

— რამ, რამ!* (* რამ, რამ! — ღმერთო, ღმერთო.) გრძნეული დამეხმარა. გრძნეულმა ნიჟარა მომცა და მითხრა: სული შეუბერე და რასაც მოინდომებ, ყველაფერი შეგისრულდებაო. ეს კამეჩიცა და ტონგაც იმიტომა მაქვსო! — უპასუხა შეშინებულმა გლეხკაცმა.

მეორე დილას, როგორც კი გლეხი მინდორში სამუშაოდ გავიდა, მევახშე მის ქოხში შეიპარა, ჯადოსნური ნიჟარა მოჰპარა, წაიღო თავის სახლში და გახარებულმა შესძახა:

— მინდა, ასი კამეჩი და ათი სპილო მყავდესო! — და ნიჟარას შეუბერა, მაგრამ ამაოდ, არც კამეჩი გაჩენილა სადმე და არც სპილო.

ალბათ, სხვა მხრიდან შევუბერეო, — გაიფიქრა ქურდმა მევახშემ და წამოიძახა:

— ჩემს ფეხებთან ერთი ტომარა სუფთა ოქრო გაჩნდესო! — და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ახლა მეორე მხრიდან შეუბერა, მაგრამ ტყუილი გამოდგა. არც ოქროთი სავსე ტომარა გაჩენილა სადმე.

საღამომდე უბერავდა სულს მევახშე მოპარულ ნიჟარას. უბერავდა და უბერავდა. იმდენი უბერა, კინაღამ გასკდა კიდეც, მაგრამ არც ერთი სურვილი არ შესრულებია. ეს იმიტომ, რომ გლეხკაცს არ უთქვამს, სულის შებერვამდე აღმოსავლეთისაკენ მიბრუნდი და მუხლი მოიყარეო.

გათენდა თუ არა, გაიქცა მევახშე გლეხთან და უთხრა:

— შენი ნიჟარა მე მაქვს, მაგრამ ჩემს სურვილებს არ ასრულებს, ის მხოლოდ შენ გიჯერებს. გადავწყვიტე, ნიჟარა დაგიბრუნო, ოღონდ იმ პირობით, თუ რასაც შენთვის ინატრებ, ორ იმდენს მე მომცემო.

ამ დღიდან მევახშე სულ უფრო და უფრო მდიდრდებოდა და მდიდრდებოდა, გლეხი თავისთვის ას რუპიას რომ ინატრებდა, მევახშეს ორასი ემატებოდა. გლეხი რომ თავისთვის ერთ დჰოტს* (* დჰოტი — ქსოვილის გრძელი განიერი ნაჭერი, მას მამაკაცები წელქვევით იხვევენ ისე, რომ შარვლის მაგივრობა გასწიოს. ინდოეთის სხვადასხვა მხარეში სხვადასხვაგვარად იხვევენ დჰოტს.) ისურვებდა, მევახშეს ორი ეძლეოდა. გლეხი ერთ სამაჯურს რომ მოინდომებდა, მევახშეს ორი სამაჯური დაამშვენებდა.

მაგრამ ხარბი მევახშე არც ამით იყო კმაყოფილი. სულ ნიჟარის ხელში ჩაგდებაზე ოცნებობდა. ახლა უკვე იცოდა რომ ვიდრე ნიჟარას რამეს სთხოვდა, აღმოსავლეთისაკენ უნდა მიბრუნებულიყო და მუხლი მოეყარა. სამჯერ შეიპარა მევახშე გლეხის სახლში, მაგრამ ნიჟარა ვერ იპოვა. გლეხკაცს თავისი ჯადოსნური საჩუქარი მუდამ თან დაჰქონდა.

ასე გავიდა ერთი წელი. როცა ბამბისა და ბრინჯის შემოსვლის დრო დადგა, საშინელი გვალვები დაიჭირა, მაგრამ გლეხი გვალვებს არ შეუშინებია. მივიდა თავის მინდორზე, მიბრუნდა აღმოსავლეთისაკენ, მუხლი მოიყარა და ისურვა:

— მინდა, ჩემს მინდორზე წყალუხვი ნაკადული გადმოედინოსო, — და, მართლაც, გლეხმა ნიჟარას სული შეუბერა თუ არა, მაშინვე მისი მინდორი ნაკადულმა გადასჭრა, მევახშის მინდორზეც ორი ნაკადული ამოჩუხჩუხდა. გლეხმა ანკარა წყალი დაინახა, ნიჟარა ბალახზე დადო და წყურვილის მოსაკლავად ნაკადულისაკენ დაიხარა. ის იყო წყალი უნდა დაელია, რომ თვალი მოჰკრა, ბალახებში ჩამალული მევახშე ნიჟარას ეპარებოდა.

გლეხს ბევრი აღარ უფიქრია, მიბრუნდა აღმოსავლეთისაკენ, მოიყარა მუხლი და ინატრა:

— ერთი, მარცხენა თვალი მზის ჩასვლამდე დამიბრმავდესო!

ჩაბერა ნიჟარას და უმალვე ცალი თვალი დაკარგა. იმავე წამს მევახშე ორივე თვალით დაბრმავდა, მაგრამ ის უბედური ისე აეტანა სიხარბეს, რომ სიბრმავემაც ვერ შეაჩერა და კვლავ ნიჟარისაკენ გაცოცდა, მაგრამ, რაკი ვერაფერს ხედავდა, წყალში ჩავარდა და დაიხრჩო.

აი, რატომ ამბობენ: ბევრის მდომი, ცოტასაც დაკარგავსო.

ჯადოსნური ჯამი

ერთ სოფელში ერთი საწყალი გლეხი ცხოვრობდა. სახელად სომილაკა ერქვა. დღე და ღამე ზამინდარის* (* ზამინდარი — მემამულე. ინდურში დამკვიდრებული

სპარსული სიტყვა.) კარზე მუშაობდა და ჭამით კი მხოლოდ ხმელი ფოთლების შეჭამანდს ჭამდა.

ერთხელ სომილაკას ცოლმა უთხრა:

— ტყეში წადი და რამე საჭმელი დაკრიფე, თორემ შიმშილით ფეხზე ვეღარა ვდგებიო.

სომილაკაც წავიდა ტყეში, ლეღვის ხეზე აძვრა და ლეღვის კრეფას შეუდგა. უცებ გაიხედა და ტოტებზე ჩამოკიდებული ორი ჯამი არ დაინახა! ერთი ხისა იყო, მეორე — თიხისა. ორივე ჯამს ხუფი ეხურა.

მოდი, ერთს შინ წავიღებ, თორემ ჩემი სულ დამსკდარიაო, — გადაწყვიტა სომილაკამ და ხის ჯამი ჩამოხსნა.

— ეჰ, ჯამი კი კარგია, მაგრამ ჩემს ცოლს ამით ვერ გავახარებ. აი, ამ ჯამით პური რომ მიმეტანა, სულ სხვა იქნებოდაო.

ამის თქმაც ვერ მოასწრო, რომ უეცრად ჯამს ხუფი აეხადა და შიგ ბრინჯის კვერი გამოჩნდა.

— ბედი თუ გინდა, ეს არის! — წამოიძახა სომილაკამ და ხიდან ჩამოხტა. — ამ კვერს ცოლს წავუღებ და მოვასულიერებ. ნეტავი შიგ ერთი კვერიც ყოფილიყო, მეც კარგად გამოვძღებოდიო!

ამ სიტყვების თქმა და სახურავის ახდა ერთი იყო. ჯამში ბრინჯის მეორე კვერი გაჩნდა.

— ეს ხომ ჯადოსნური ჯამი ყოფილა, — მიხვდა სომილაკა, ამისათვის კვერი კი არა, შემწვარი ბატის ბარკალი უნდა მეთხოვაო.

თქვა თუ არა, ჯამს ხუფი აეხადა და სომილაკამ შემწვარი ბატის ბარკალი დაინახა.

სომილაკამ ერთი გემრიელად მოულხინა საჭმელს და გახარებული შინისაკენ გაემართა. მიდიოდა და მიიმღეროდა.

გზად ზამინდარის სახლზე უნდა ჩაეარა. ზამინდარს მისი სიმღერა რომ შემოესმა, ძალიან გაუკვირდა, როდის იყო ჩემს მამულში გლეხკაცს ემხიარულოსო, და გასძახა:

— ეი, შენ! ერთი აქ მოდი, უნდა მოგელაპარაკოო!

სომილაკა მივიდა თუ არა, ზამინდარმა ჰკითხა:

— რამ გაგამხიარულა, ჩემს სახლთან რა გამღერებსო?

— ბედს ვეწიე! ტყეში არაჩვეულებრივი ჯამი ვიპოვეო, — მიუგო სომილაკამ.

— აბა, მაჩვენეო!

სომილაკამაც თავისი ჯამი ხალიჩაზე დადო და ინატრა:

— შემწვარი მწყერი მინდაო!

ჯამს ხუფი მაშინვე აეხადა და ზამინდარმა შიგ შემწვარი მწყერი დაინახა. სიხარბისაგან მას ხელებიც კი აუცახცახდა და გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ჯამი ხელში ჩაეგდო.

ზამინდარმა მწყერი აიღო და სომილაკას უთხრა:

— წადი ერთი, საკუჭნაოდან ღვინო გამოიტანე, უნდა ვისადილოო!

ვიდრე სომილაკა საკუჭნაოში ხელადას ეძებდა, ზამინდარმა ჯადოსნური ჯამი ზუსტად ისეთივე უბრალო ჯამით შეცვალა.

სომილაკამ ხელადა მოიტანა, ხალიჩაზე დადგა და თქვა:

— ბატონო, თუ ნებას მომცემთ, შინ წავალ, ცოლი ავადა მყავს და უნდა მივხედო. თუმცა, ახლა უკვე მალე გამომჯობინდებაო.

სომილაკამ ჯამი აიღო და თავისი ქოხისაკენ გასწია. დამშეული ცოლი მოუთმენლად ელოდა.

გახარებული სომილაკა ქოხში შევარდა და შეჰყვირა:

— გიხაროდეს, დედაკაცო! ახლა კი, რა საჭმელსაც მოისურვებ, ყველაფერი გექნებაო, — მერე ჯამი მიწაზე დადგა და ხმამაღლა ისურვა:

— შემწვარი მწყერი მინდაო!

მაგრამ ჯამის ხუფი არც კი შერხეულა.

გაუკვირდა სომილაკას:

— რატომ აღარ მიჯერებს. აბა, ერთხელაც ვსინჯოო, — და ისევ გაიმეორა. — შემწვარი მწყერი მინდაო!

ჯამის ხუფი არც მეორედ შერხეულა.

— ნეტავი რა მოხდა? ზამინდართან ჯამი ყველაფერს მისრულებდა, და ახლა რაღა მოუვიდაო? — შეწუხდა სომილაკა.

— მაშ, ეს ჯამი ზამინდარს აჩვენეო? — შეეკითხა ცოლი.

— ვაჩვენე და შემწვარი მწყერიც მივართვიო, — უპასუხა სომილაკამ.

— ზამინდარს შენი ჯადოსნური ჯამი მოუპარავს და ჩვეულებრივი შემოუპარებიაო, — ატირდა ცოლი.

— ნუ ტირი, ლეღვის ხეზე ერთი ჯადოსნური ჯამი კიდევ ჰკიდია, წავალ, ახლა იმას მოვიტანო, — დაამშვიდა სომილაკამ.

სომილაკა გაიქცა ტყეში, ლეღვის ხიდან მეორე ჯამიც ჩამოხსნა და მხიარული სიმღერით შინისაკენ გაეშურა.

ზამინდარმა სიმღერის ხმა გაიგონა თუ არა, ფანჯარაში გამოიხედა და ისევ ის გლეხი არ დაინახა! გლეხს ახლა ხის კი არა, თიხის ჯამი ეჭირა ხელში. ეს ჯამიც ხუფით იყო დახურული.

ნუთუ კიდევ აქვს ჯადოსნური ჯამი? რა თქმა უნდა, ჯადოსნური ექნება, თორემ ასე მხიარულად არ იმღერებდაო, — გაიფიქრა ზამინდარმა და ამ ჯამის წართმევაც განიზრახა. ადგა, სომილაკა შინ შეიყვანა და უთხრა:

— ეს რა ჯამი გიჭირავს ხელში, მომყიდეო!

— არ შემიძლია, ჩემო ბატონო! ეს ჯამი ყველაფერზე, თვით მარგალიტზეც კი ძვირფასი არისო, — უპასუხა სომილაკამ.

— მოყიდვა თუ არ გინდა, მუქთად მომცემო, — გაჯავრდა ზამინდარი და ჯამს ხუფი ახადა. ახადა თუ არა, ჯამიდან ოცი ერთიმეორეზე ღონიერი მუშტი ამოვარდა და ქურდს ეძგერა. მუშტები ზამინდარს შუბლში, კეფაში, ზურგში, ცხვირ-პირში, მუცელში, მკერდში ურტყამდნენ. ზამინდარი ყვირილით გავარდა ეზოში, მაგრამ მუშტები არ ეშვებოდნენ და დაუნდობლად სცემდნენ.

— სომილაკა, გევედრები, შემიბრალე! უბრძანე მუშტებს თავი დამანებონო! — ყვიროდა ზამინდარი.

— ჩემი ჯამი დამიბრუნე და მუშტები დაგეხსნებიანო.

— დაგიბრუნებ, დაგიბრუნებ, ოღონდ კი ესენი დამხსენიო! — იხვეწებოდა ზამინდარი.

— მუშტებო, თქვენ-თქვენს ადგილას დაბრუნდით! — უბრძანა სომილაკამ და მუშტებიც მორჩილად ჩალაგდნენ ჯამში.

ნაცემ-ნაბეგვი ზამინდარი ძლივძლივობით შევიდა სახლში, დამალული ხის ჯამი ამოიტანა და კვნესით გადასცა სომილაკას.

ბედნიერი და მხიარული დაუბრუნდა სომილაკა ცოლს. იმ საღამოს ისინი თავიანთ სიცოცხლეში პირველად გამოძღნენ.

სომილაკას მეზობლებიც გაბედნიერდნენ. შიმშილობის დღეები რომ დაუდგებოდათ ხოლმე, სომილაკას თავისი ხის ჯამი ქუჩაში გამოჰქონდა და ყველას აძღებდა.

ასე გავიდა ზაფხული...

ერთ მშვენიერ დღეს, ქვეყნად ხმა დაირხა, რომ ბადშაჰი* (* ბადშაჰი — მეფე, ხელმწიფე. ინდურში ეს სიტყვა სპარსულიდან არის შესული. «ფადიშაჰიდან» მომდინარეობს.) ქალს ათხოვებსო. ზამინდარმა ეს ამბავი გაიგო თუ არა, ბადშაჰს სასახლეში ეახლა და უთხრა:

— ჰოი, მშვიდობის ნავთსაყუდარო! ბრძანე, რომ ქორწილის დღეს სასახლეში გლეხკაცი სომილაკა გვეახლოს. მას ჯადოსნური ჯამი აქვს. ის ჯამი ყველაფერს მოგართმევს, რასაც კი საქორწილო სუფრისათვის მოისურვებო.

ეს რომ გაიგო, ბადშაჰმა ბრძანა სომილაკა თავისი ჯადოსნური ჯამით სასახლეში მიეყვანათ.

მეფის ურჩობას სომილაკა რას გაბედავდა! დანიშნულ დღესა და საათზე აიღო თავისი ჯამი და ბადშაჰთან გამოცხადდა.

— აბა, მაჩვენე ეგ ჯამი, მართლა ჯადოსნურია, როგორც ამბობენო? —ჰკითხა მეფემ.

— დიახ, დღეგრძელიმც ყოფილიყავ, მშვიდობის ნავთსაყუდარო, მართალი უთქვამთო, — მიუგო სომილაკამ.

— თუ ასეა, ახლავე გამიჩინოს რაც რამ ქვეყნად საუკეთესო ტკბილეული არისო, — ბრძანა ბადშაჰმა. თქმაც ვერ მოასწრო, რომ ჯამს ხუფი აეხადა და სხვადასხვა ტკბილეულით აივსო. ბადშაჰმა გასინჯა ტკბილეული და ისე მოეწონა, ვიდრე ჯამი არ დაცალა, ველარ მოეშვა.

— ასეთი გემრიელი ტკბილეული ქვეყნად არავის უგემნიაო! — წამოიძახა მეფემ. — ეს ჯამი სამი დღით დამიტოვე, სამ დღეში სტუმრები დაიშლებიან და მაშინვე უკან დაგიბრუნებო.

სომილაკამ თაყვანი სცა ბადშაჰსა და შინ დაბრუნდა.

სამ დღეს გაგრძელდა ქორწილი, სამი დღის განმავლობაში მიირთმევდნენ სტუმრები ჯადოსნურ ტკბილეულს და ყოველი მათგანი ერთსა და იმავეს ამბობდა:

— ასეთი რამ თვით ღმერთებსაც არ ექნებათ ნაჭამიო.

როცა სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ, სომილაკა კვლავ მივიდა სასახლეში:

— შე ბინძურო ღორო, აქ რა გინდაო, — გაუწყრა ბადშაჰი.

— მოწყალეო მბრძანებელო, ჩემი ჯამის წასაღებად მოვედიო, —უპასუხა სომილაკამ.

— ყველაფერი, რაც ამ სასახლეშია, ჩემს საკუთრებას წარმოადგენს. დაიკარგე აქედან, თორემ შენს თავს სპილოებს გავათელინებო! — უთხრა ბადშაჰმა.

— ო, მბრძანებელო! ის ხომ ჩემი ჯამია… — შეევედრა სომილაკა.

— არარაობავ, შემოპასუხებასაც მიბედავ? ჰეი, მცველებო! წაიყვანეთ ეს არამზადა და ჩემს სპილოებს ფეხებში ჩაუგდეთო! — ბრძანა ბადშაჰმა.

მსახურები მისცვივდნენ თუ არა, სომილაკამ იღლიიდან თიხის ჯამი გამოიღო და ხუფი ახადა. ხუფის ახდა და ოცი მუშტის ამოვარდნა ერთი იყო. მუშტები ბადშაჰს დაესივნენ, პირველსავე შემოკვრაზე იატაკზე დააგორეს და, რაც ძალა და ღონე ჰქონდათ, სცემდნენ და სცემდნენ, სცემდნენ და სცემდნენ.

— სომილაკა, მომაშორე მუშტები, მომაშორე, გაფიცებ ყველაფერს! — იხვეწებოდა მეფე.

— როგორც კი ჩემს ჯადოსნურ ჯამს დამიბრუნებ, მუშტები მაშინვე გაქრებიანო, — უპასუხა სომილაკამ.

— სასწრაფოდ მოუტანეთ ჯადოსნური ჯამი, თორემ სული ამომხდებაო, — უყვირა მეფემ კარისკაცებს.

მსახურებმა ჯამი მოარბენინეს და სომილაკამაც ბრძანა:

— მუშტებო, თქვენ-თქვენს ადგილას ჩალაგდითო! — შემდეგ გულზე ხელი მიიდო, მეფეს თავი დაუკრა და უთხრა:

— მშვიდობით, ო, სამართლიანო მბრძანებელო! ახლა კი შინ წავალ, თორემ ჩემს ჯადოსნურ ჯამს უკვე კარგა ხანია დამშეული ხალხი ელოდებაო.

პასუხად ხმაც არ ამოუღია ბადშაჰს: ერთერთ მუშტს ისე ძლიერად ჩაეცხო თავში, რომ იმ უსინდისო მბრძანებელს სამუდამოდ წართმეოდა ენა.

ვაჭარი და მეთუნუქე

ერთხელ ერთ ვაჭარს და მეთუნუქეს შორის დავა ატყდა, რა უფრო სჯობს — ქონება თუ ჭკუაო. ვაჭარი ამბობდა:

— რა თავში იხლი ჭკუას, თუ მინდვრის თაგვივით უქონელი იქნებიო.

— სულელს ოქროც ვერაფერს უშველისო, — უპასუხებდა მეთუნუქე.

— ამას კი სტყუი, — ედავებოდა ვაჭარი, — ოქრო ყოველგვარი განსაცდელისაგან გიხსნისო.

— უჭკუო კაცის ხელში ოქროს ფასი არა აქვს. ჭკუა კი ოქროს გარეშეც ბევრს სამსახურს გაგიწევსო, — არ უთმობდა მეთუნუქე.

— სისულელეა! ჩემი თუ არ გჯერა, სანამლეო დავდოთ: თუ შენი ჭკუა ჩემს ოქროზე ძლიერი აღმოჩნდება, ათას რუპიას გაჩუქებ, ხოლო თუ ჩემი ოქრო შენს გონებაზე შემძლე გამოდგა, სამუდამოდ ჩემი მონა გახდები. თანახმა ხარო? — ცხარობდა ვაჭარი.

— თანახმა ვარო! — უპასუხა მეთუნუქემ.

— თუ თანახმა ხარ, რაჯასთან წავიდეთ და ვუამბოთ რაზეც ვდაობთ, რომ მერე ჩვენ-ჩვენი სიტყვა აღარ გადავთქვათო.

მივიდნენ ვაჭარი და მეთუნუქე რაჯასთან და თავიანთი დავის ამბავი მოახსენეს. რაჯა კი ძალიან დაუნდობელი და ბოროტი კაცი იყო. დღე არ გავიდოდა, რომ თავის ქვეშევრდომთაგან ვინმე სიკვდილით არ დაესაჯა. იმ დღესაც სამი უბედური უკვე ემსხვერპლა. ვაჭარი და მეთუნუქე რომ დაინახა, ჯალათის დაძახება უნდოდა, მაგრამ მოაგონდა მამის ანდერძი:

— დღეში სამ ქვეშევრდომზე მეტი არასოდეს დასაჯო სიკვდილით, თორემ სპილოების მომვლელი, ცხენების მწყემსი, ბრინჯისა და ბამბის მომყვანი აღარავინ დაგრჩებაო.

ვერ გაბედა რაჯამ მამის ანდერძის დარღვევა და ასეთ ეშმაკობას მიმართა: ვაჭარს პალმის ფურცელზე დაწერილი, სამი ბეჭდით დაბეჭდილი წერილი მისცა და უთხრა:

— შენ და მეთუნუქემ ეს ბარათი მეზობელი ქვეყნის ხელმწიფეს გადაეცით და როცა დაბრუნდებით, ორივეს დაგასაჩუქრებთო.

მივიდნენ ვაჭარი და მეთუნუქე მეზობელ სამეფოში, გადასცეს ხელმწიფეს ბარათი და ელოდებიან, რას გვეტყვისო. ხელმწიფემ ბარათს ბეჭდები მოაძრო, ფურცელი გაშალა და ხმამაღლა წაიკითხა: «ო, ჩემო საამაყო მეზობელო! თუ შენთვის სიკეთე გსურს, ეს ხალხი სიკვდილით დასაჯეო».

ვაჭარმა ბარათის შინაარსი რომ შეიტყო, ხელმწიფეს ფეხებში ჩაუვარდა.

— შემიწყალე, ყოვლისშემძლე მბრძანებელო! ოღონდ სიცოცხლე მაჩუქე და მთელი ჩემი ოქრო წაიღეო!

— მე ჩემი ოქროცა მყოფნისო, — ჩაიცინა ხელმწიფემ და ბრძანა, — ჰეი, მცველებო! ყური უგდე ამათ! ერთ საათში კარისკაცები შეიკრიბებიან და ჯალათი ამ ვიგინდარებს თავებს წააცლისო!

ვაჭარსა და მეთუნუქეს მცველები შემოეხვივნენ და თვალს არ აშორებდნენ. ვაჭარმა ხვეწნა დაუწყო:

— ოღონდ გამიშვით და ყველას ოქროში ჩაგსვამთ, თითოეულს ათას-ათას რუპიას გაჩუქებთო.

— რომ გაგიშვათ, ხელმწიფე თავებს წაგვაცლის და უთავოებს შენი ოქრო რაღა შავ ქვად გვინდაო, — ამოიოხრა მცველების უფროსმა.

ერთი საათიც არ გასულა, რომ ჯალათი მოვიდა, მას ხელმწიფე და ნაზირ-ვეზირებიც მოჰყვნენ. ის იყო ჯალათმა ხმალი მოიმარჯვა, რომ უეცრად მეთუნუქემ ხარხარი ატეხა.

— შე უგუნურო, რა გაცინებსო? — გაუკვირდა ხელმწიფეს.

— ახლავე მოგახსენებ, ბატონო, რაზეც მეცინება. მისმინე, ო, სამართლიანო მბრძანებელო! ამ ხუთი დღის წინ ჩვენი დიდებული რაჯას სასახლეში ერთი უდიდესი წინასწარმეტყველი მოვიდა. იმ წინასწარმეტყველმა მე და ვაჭარი დაგვინახა თუ არა, რაჯას უთხრა: «ვიდრე ესენი შენს სამეფოში ცხოვრობენ, შენს მიწა-წყალს უბედურება — შავი ჭირი, გვალვა, კოკისპირული წვიმები და შიმშილი — არ დაელევაო. ეს ხალხი ახლავე მოიშორე თავიდან, ოღონდ, იცოდე: ვინც მათ დახოცავს, საშინელი უბედურებები — შავი ჭირი, გვალვა, კოკსიპირული წვიმები და შიმშილი — იმას დაატყდება თავს. ჰოდა, შენც ისე მოახერხე, რომ ესენი სხვა ხელმწიფემ დასაჯოსო.

ამის გაგონებაზე ხელმწიფე სასტიკად განრისხდა:

— მაშ, თქვენს რაჯას ჩემი სამეფოს გავერანება მოუნდა? ახლავე უკანვე გაბრუნდით და გადაეცით იმ ვერაგს, რომ სამი დღის შემდეგ ჩემი მამაცი მეომრები მის მიწა-წყალს გადათქერავენ, თვითონ იმას ტყვედ წამოვაყვანინებ, უღელში შევაბმევინებ და მიწას მოვახნევინებო.

მეთუნუქემ და ვაჭარმა თაყვანი სცეს ხელმწიფეს და თავის სამეფოსაკენ გაემგზავრნენ.

— ხომ ხედავ, რო ჭკუა ოქროზე ძლიერია? მე რომ არ ვყოფილიყავი, ახლა თავმოკვეთილი იქნებოდი. აბა, ის შენი დანაპირები ათასი რუპია მომეციო, — უთხრა გზაში ვაჭარს მეთუნუქემ.

— ჯერ შინ მივიდეთ, და ვნახოთ, რა იქნებაო! — უპასუხა ვაჭარმა. ვაჭარს ენანებოდა ოქროს მიცემა და გულში მეთუნუქის დაღუპვაზე ოცნებობდა.

ვაჭარი და მეთუნუქე რაჯასთან მივიდნენ და უთხრეს:

— მეზობელმა ხელმწიფემ ომი გამოგიცხადა. სამ დღეში მისი მეომრები ჩვენს მიწა-წყალს შემოესევიანო!

— კი მაგრამ, ასე რამ გააჯავრაო? — იკითხა შეშინებულმა რაჯამ.

მაშინ ვაჭარი წინ წამოდგა და უამბო, რაც მოხდა.

— ყველაფერში ეს მეთუნუქეა დამნაშავეო, — უთხრა ბოლოს.

განრისხებული რაჯა ტახტიდან წამოვარდა და იყვირა:

— ორივეს თავებს წაგაცლით! ჰეი, მან ვინ არის, ახლავე ჯალათს უხმეთო.

ჯალათმა იმწუთსავე მოირბინა და დაელოდა, რაჯა ხმლის გაშიშვლებას როდის მიბრძანებსო. ვაჭარი კი ხოხვით მივიდა ჯალათთან და ხვეწნა დაუწყო:

— ჩემო მბრძანებელო, ოღონდ შემიბრალე, სპილოსა და ერთ ტომარა ოქროს გაჩუქებო!

ეს რომ რაჯამ გაიგონა, იყვირა: — წაცალე თავები! ეგენი ჩემს სამთავროს მტრის რაზმებს უსევენო!

ის იყო ჯალათს ხმალი უნდა მოექნია, რომ მეთუნუქეს უეცრად სიცილი წასკდა. იცინის, იცინის, კვდება სიცილით, სიცილისაგან თვალებზე ცრემლებიც კი მოადგა. ჯალათმა გაოცებისაგან ხმალი ჩამოუშვა და რაჯას შეხედა.

— შე უგუნურო, რა გაცინებსო? — ჰკითხა რაჯამ.

— როგორ თუ რა მაცინებს! ჩემი სიკვდილით დასჯა გინდა და ის კი არ იცი, მტრის რაზმის უკან გაბრუნება მარტო მე რომ შემიძლია. ჰოდა, ისე გამოდის, თითქოს შენს დასაკლავ დანას შენვე ლესავდე. აბა, როგორ არ გავიცინოო...

— შევამოწმებ მაგ შენი სიტყვების სიმართლეს და, იცოდე, თუ მტრის რაზმები უკან არ გაგიბრუნებია, კოცონზე ცოცხლად დაგწვავო, — უთხრა რაჯამ.

— ცხენი მომეცი და მტერი ვერ გაბედავს შენს მიწა-წყალზე ფეხის დადგმასო.

— ცხენი მიეცითო! — ბრძანა რაჯამ.

მეთუნუქე მოახტა ცხენს და მტრის რაზმების შესახვედრად გაქანდა.

მტრის ჯარი მეთუნუქემ ზედ საზღვარზე შეაჩერა. ჯარს განრისხებული ხელმწიფე მოუძღოდა წინ.

მეთუნუქემ პირდაპირ ხელმწიფესთან მიაგდო ცხენი და შესძახა:

— ჯერ მე მომკალი და მერე გადათელე ჩვენი მიწა-წყალი! ვიდრე ცოცხალი ვარ, ვერც ერთი შენი მეომარი ამ საზღვარს ვერ გადავაო.

ამ სიტყვებზე მეთუნუქემ ხმალი იშიშვლა და დაელოდა, ხელმწიფე რას მიპასუხებსო. ეს რომ მოვკლა, იმ ბრძენი კაცის საშინელი წინასწარმეტყველება ახდება: ჩემს სამთავროს თავს შავი ჭირი, შიმშილი და გვალვა დაატყდებაო, გაიფიქრა ხელმწიფემ.

— არა! შენ შენმა რაჯამ მოგკლას. მე ჩემი თავის მტერი არა ვარო! — თქვა ბოლოს, მოაბრუნა თავისი ჯარები და უკანვე გაბრუნდა.

მეთუნუქე კი რაჯასთან დაბრუნდა და უთხრა:

— მე ჩემი სიტყვა შევასრულე. შენს სამთავროს აღარავინ ემუქრებაო.

კმაყოფილმა რაჯამ იქვე მიათვლევინა მეთუნუქისათვის ათასი რუპია.

მეთუნუქემ ფული ტომარაში ჩაყარა და ვაჭარს მიუბრუნდა:

— წაგებულოი ფული ახლა შენ მომითვალეო.

ვაჭარი იძულებული გახდა ათასი რუპია მიეცა. მეთუნუქემ ფულით სავსე ტომარა ზურგზე მოიგდო და დამშვიდობებისას ვაჭარს უთხრა:

— გახსოვდეს: სულელს ოქროც ვერაფერს უშველის, ჭკვიანი კი, ოქროც რომ არა ჰქონდეს, განსაცდელს მაინც თავს დააღწევსო.

ამბავი კეთილისა და ბოროტისა

ძველთაგანვე ცნობილია, რომ სხვისი ბოროტების მოსურნე თვითონ გადაეყრება ხოლმე უბედურებას. როგორ? — ახლავე გიამბობთ ერთ ამბავს:

ერთ სოფელში ორი კაცი ცხოვრობდა. ერთს დჰარმაბუდჰი ერქვა, რაც კეთილს, კეთილისმყოფელს ნიშნავს, მეორეს — პაპაბუდჰი, რაც ბოროტს, ბოროტგანმზრახველს აღნიშნავს. ერთხელ ბოროტმა იფიქრა: ეს რა სისულელე მემართება, რომ ასეთ სიღარიბეში ვცხოვრობ. ამბობენ, მეზობელ ქვეყანაში ფული იოლად იშოვებაო. ავდგები და მეც იქ წავალ, კეთილ დჰარმაბუდჰისაც თან წავიყვან. როცა ამხანაგი გყავს, უცხო მხარეში ისე აღარ გაგიჭირდებაო.

მეორე დღეს ბოროტი კეთილ მეზობელთან მივიდა და უთხრა:

— წიგნებიდან შევიტყვე, რომ ფუჭია კაცის სიცოცხლე, თუ მან სხვა ხალხთა ადათ-ჩვევები და ენები არ იცის, თუ ისე დაბერდა, რომ უცხო ქალაქები და სოფლები არ უნახავსო...

— ეგ მეც გამიგონიაო, — მიუგო კეთილმა.

— ჰოდა, თუ ასეა, ხვალვე დავემშვიდობოთ მშობლებს და უცხო ქვეყნებში სამოგზაუროდ წავიდეთ. ყველაფერი, რასაც იქ ვიშოვით, შუაზე გავიყოთო.

ასეც მოიქცნენ: გათენებისას ახლობლებს დაემშვიდობნენ და დასავლეთისაკენ, უცხო ქვეყნებისაკენ გაუდგენ გზას.

ბევრი იხეტიალეს ბოროტმა და კეთილმა უცხო ქვეყნებში. სადაც არ უნდა მისულიყვნენ, კეთილი თავისთვის სამუშაოს ყველგან შოულობდა. მადლიერი ხალხი კიდეც აჭმევდა, კიდეც ასმევდა და ფულსაც აძლევდა. ბოროტი კი სულ ერთთავად თავს იავადმყოფებდა, არაფერს არ აკეთებდა და არც არაფერს სწავლობდა.

და აი, როცა კეთილმა მთელი ტომარა ფული დააგროვა, ბოროტმა თქვა:

— ჩემო კარგო, უკვე ვეღარა ვძლებ უცხო მხარეში. მოდი, ჩვენს სამშობლოში დავბრუნდეთო!

— დიდი სიამოვნებითო, — დაეთანხმა კეთილი, — მართლაც, უცხოეთში ფუფუნებით ცხოვრებას სამშობლოში გაჭირვებული ყოფნა მირჩევნიაო.

გადაწყვიტეს და დაბრუნდნენ კიდეც შინ.

როცა თავიანთ სოფელს მიუახლოვდნენ, ბოროტმა უთხრა:

— მეგობარო, შენთან ერთი სათხოვარი მაქვს, მაგრამ თქმისა მრცხვენიაო.

— თუ მეგობარი ხარ, ჩემი რად უნდა გრცხვენოდეს. რაო, გულში ბოროტი განზრახვა ხომ არ გიდევსო?

— რას ამბობ! მომისმინე, აი, რა უნდა მეთქვა. მრცხვენია, შინ ხელცარიელი რომ ვბრუნდები, შენ კი მთელი ტომარა ვერცხლი მოგაქვს. მოდი, ეგ ტომარა სადმე დამალე, რომ შენი ფულის ამბავი არავინ იცოდესო.

— კეთილი და პატიოსანიო, — უთხრა კეთილმა, — აჰა, ასი რუპია შენ გქონდეს, ასსაც მე ავიღებ და დანარჩენს კი, აი, ამ ბებერი მუხის ძირას ჩავფლავ. ყოველთვიურად ათ-ათი რუპია ამოვიღოთ ხოლმე და ფული დიდხანს გვეყოფაო... — თქვა კეთილმა და მთელი თავისი ქონება ხის ძირას დამარხა.

იმავე ღამეს ბოროტი ტყეში წავიდა, ნაცნობი მუხა მონახა და თავისი ამხანაგის ფული მთლიანად მოიპარა.

რამოდენიმე დღის შემდეგ კეთილთან ერთი ნაცნობი მივიდა და თავისი გაჭირვება გაუზიარა:

— ო, დჰარმაბუდჰი! ცოლი და ვაჟიშვილი ავად გამიხდნენ, ხომ არ შეგიძლია, რითიმე დაემხმაროო...

დჰარმაბუდჰი მაშინვე ტყეში წავიდა, ნაცნობ მუხასთან მივიდა, მაგრამ ფული ვიღამ მოგცათ! კეთილი მიხვდა, ეს ყველაფერი ვისი საქმეც იყო, მაშინვე ბოროტთან გაიქცა და უსაყვედურა:

— არა გრცხვენია, რომ ქურდობო!

მაგრამ გაუტანელი პაპაბუდჰი არ დაიბნა და ყველას გასაგონად დაიყვირა:

— ქურდი მე კი არა, შენა ხარ! ახლავე დამიბრუნე იმის ნახევარი, რაც ტომარაში იყოო!

— შენ იქურდე და სამაგიეროს ხალხი ზიზღით მოგიზღავსო, — უთხრა ისევ კეთილმა.

— შენ თვითონა ხარ ქურდი, ფული ახლავე დამიბრუნეო, — გაიძახოდა ბოროტი.

იჩხუბეს, იჩხუბეს და ბოლოს ორივე მოსამართლესთან მივიდა.

მოსამართლემ უთხრა:

— მხოლოდ ერთარსსა და ყოვლისშემძლე ბრაჰმა* (* ბრაჰმა — ერთ-ერთი უზენაესი ღმერთი ინდუიზმში. ის ითვლებოდა მთელი სამყაროს და ყოველი არსის შემოქმედად. ბრაჰმას წარმოსახავენ ოთხი სახით (რომლებითაც ის სხვადასხვა მიმართულებით იყურება), ოთხი ხელითა და, ხშირად, გედზე ამხედრებულს.) შეუძლია იცოდეს, თქვენ შორის ვინ არის მართალი და ვინ — მტყუანი. მე კი ცეცხლზე გამოგცდით:* (* ცეცხლზე გამოცდა — ინდოელი ხალხის რწმენით ალალმართალ ადამიანს ცეცხლი არაფერს ვნებს. ამის გამო სიმართლის დასადგენად ზღაპრებში ხშირია ცეცხლზე გამოცდა. გამოსაცდელ ადამიანს ან კოცონზე აიყვანენ, ან გავარვარებულ რკინას მიადებენ. მართალი კაცი უვნებელი რჩება, დამნაშავე იწვება.) თითოეულ თქვენგანს გავარვარებულ რკინას მივადებ და რომელიც დაიყვირებს, ქურდიც ის იქნებაო.

შეშინებულმა პაპაბუდჰიმ თქვა:

— ფული დჰარმაბუდჰიმ მოიპარა და ამის მოწმეცა მყავს. იმ ღვთაებამ, მუხაში რომ ცხოვრობს, ყველაფერი დაინახაო.

— ახლა უკვე გვიან არის. ხვალ დილაადრიანად ორივენი მუხასთან მიდით და თქვენს დავას იქ გადავწყვეტო, — უთხრა მოსამართლემ.

მეორე დილას ხალხი მუხასთან გაეშურა. მოსამართლეც მივიდა, ბოროტი პაპაბუდჰი კი არსად ჩანდა.

— არა უშავს, სიმართლეს უიმისოდაც გავიგებთო, — თქვა მოსამართლემ, პირით მუხისკენ დადგა და ხმამაღლა ჰკითხა:

— ო, ტყის ღვთაებავ, გვითხარი, ფული ვინ მოიპარა, ვინ არის ქურდი, დჰარმაბუდჰი თუ პაპაბუდჰიო?

იმავე წამს ხიდან გამკინავი ხმა მოისმა:

— ქურდი დჰარმაბუდჰია. ფული იმან მოიპარაო.

ხის დალაპარაკებამ ხალხი ისე გააოცა, რომ დჰარმაბუდჰის არსებობაც კი გადაავიწყდათ. იმანაც დრო იხელთა, ხმელი ფიჩხი წამოკრიფა, მუხის ფუღუროში შეტენა და ცეცხლი წაუკიდა. ხალხი ჯერ გონსაც არ მოსულიყო, რომ საშინელი ყვირილი გაისმა და ხის ფუღუროდან ცეცხლმოდებული პაპაბუდჰი გამოვარდა.

ხალხი ხელად მიხვდა, რომ პაპაბუდჰიმ თავი ტყის ღვთაებად გაასაღა. მოსამართლე განრისხდა და უნდოდა ბოროტი ცეცხლმოკიდებული ხის ფუღუროში შეეგდო, მაგრამ მაინც შეეცოდა და თქვა:

— დღესვე, შუადღემდე, კეთილს თავის ფულს მოუტან და მზის ჩასვლამდე ჩვენს სოფელს სამუდამოდ დასტოვებო. თუ არ შეასრულებ, ვუბრძანებ, ამ მუხაზე ჩამოგკიდონო.

მართლაც, ბოროტმა კეთილს დაუბრუნა თავისი ფული შუადღისას. მზის ჩასვლისას კი სოფლიდან წავიდა, რომ მოსამართლეს თვალში აღარ მოხვედროდა.

ბოროტი კვლავ უცხო ქვეყნებისაკენ გაემგზავრა. გზად ჯუნგლის გავლა მოუხდა და, როცა ბამბუკის ნაყარს გაუსწორდა, იქიდან მოულოდნელად ვეფხვი გადმოუხტა, დატორა მატყუარა და სული გააფრთხობინა.

<u>სწავლული ბრიყვები</u>

ერთ დიდ სოფელში სამი სწავლული ბრაჰმანი ცხოვრობდა. მათ მრავალი მეცნიერება შეესწავლათ, უამრავი წიგნი წაეკითხათ და თავის ყველაზე ჭკვიანებად

მოჰქონდათ. როცა ბრაჰმანები თავის თანასოფლელ გლეხებს ხვდებოდნენ, ამბობდნენ:

— უწიგნურები, რა ბრიყვები არიან! სწავლულ კაცს მათთან სალაპარაკოც არაფერი აქვსო.

ერთხელ ბრაჰმანები ერთად შეიყარნენ და ერთმანეთს შესჩივდეს:

— ჩვენ ყველა მეცნიერება შევისწავლეთ, სასწაულების მოხდენა შეგვიძლია, მაგრამ უცხო ქვეყნებში კი არასოდეს ვყოფილვართ. იქ, ალბათ, აზრადაც არავის მოუვა, რომ ქვეყნად ჩვენისთანა სწავლულები არსებობენ, ნუთუ ჩვენი წუთისოფელი ამ ბრიყვ გლეხებთან უნდ დავლიოთო? — და გადაწყვიტეს, უცხო მხარეში გამგზავრებულიყვნენ.

სახლიდან გათენებისას გავიდნენ. შუადღისას გზაზე ერთი საწყალი გლეხკაცი შემოხვდათ.

— მთაზე ამ ბნელმა კაცმა უნდა გადაგვიყვანოსო, — დაადგინეს ბრაჰმანებმა და გლეხს ასეთი სიტყვებით მიმართეს:

— შენ წინ მდგარი სამი სწავლული ბრაჰმანი უფლებას გაძლევს, რომ ისინი ამ მთაზე გადაატაროო...

გლეხკაცმა მორჩილების ნიშნად ხელისგულები შუბლზე მიიდო და უთხრა:

— სწავლულო ბატონებო, მომყევითო.

გლეხი წინ გაუძღვა, ბრაჰმანები უკან მიჰყვნენ.

მთებს რომ შეუყვნენ, გლეხი უეცრად შეჩერდა და ჩაიჩურჩულა:

— ბრძენო ბატონებო, შეხედეთ, ბუჩქებში ლომს სძინავს, ჩქარა წავიდეთ აქედან, მე სხვა გადასასვლელიც ვიციო.

ეს რომ ბრაჰმანებმა გაიგეს, გლეხი მასხარად აიგდეს:L

— რა უვიცია! იმასაც კი ვერ ხვდება, რომ ლომს კი არ სძინავს, დიდი ხნის მკვდარია! აბა, დაინახე, რა ღრმაა ჩვენი ცოდნა, ჩვენ მაგას ახლავე გავაცოცხლებთო!

— რასა ბრძანებთ, რასა ბრძანებთ! ეგ ხომ ლომია, მაგის გაცოცხლება რა საჭიროაო, — წამოიძახა გლეხკაცმა.

— პირდაპირ ზიზღსა გვგვრის ამ ბრიყვი კაცი სიტყვები. განა ამდენი იმიტომ გვისწავლია, რომ ჩვენი ცოდნა არ გამოვიყენოთო? — აღშფოთდნენ ბრაჰმანები.

მაშინ გლეხკაცი ხეზე ავიდა და ბრაჰმანის სასწაულმოქმედებებს იქიდან დაუწყო ყურება.

სწავლულმა ბრაჰმანებმა მართლაც გააცოცხლეს ლომი.

ლომმა თვალები გაახილა, ზანტად წამოდგა, გაიზმორა და... ადამიანებსაც მოჰკრა თვალი. მათ დანახვაზე ლომმა ერთი მძლავრად დაიღრიალა, თათი მოიქნია და სამივე ბრაჰმანს იქვე სული გააცხებინა.

უსწავლელი გლეხკაცი კი დაელოდა, ვიდრე ლომი წყლის დასალევად წავიდოდა, ჩამოვიდა ხიდან და მშვიდობიანად გაუდგა თავის გზას.

ასეა: ბრიყვისთვის სწავლა-განათლება იგივეა, რაც უსინათლოსათვის დღის შუქი.

<u>თ ა ვ ი ს ი თ ა ვ ი დ ა ღ უ პ ა</u>

ერთ დიდ ტყეში დიდხანს ცხოვრობდა ორი მეგობარი: ანტილოპა და ყვავი. დილაობით ანტილოპა მახლობელ მოლზე ბალახობდა ხოლმე, ყვავი კი რომელიმე სოფელში საშოვარზე მიფრინავდა.

ერთხელ, მარტო დარჩენილ ანტილოპას ტურა შემოხვდა და უთხრა:

— გამარჯობა, ძვირფასო მეგობარო! როგორც იქნა, შეგხვდიო!

— ვინა ხარ და საიდან მიცნობო? — გაიკვირვა ანტილოპამ.

— ტყეში ვინ აღარ იცის შენი და ყვავის სანიმუშო მეგობრობის ამბავიო, — უპასუხა ტურამ და თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ცრემლებს იწმენდსო, თან წკუმუტნით დაუმატა:

— მე კი მთლად ობლად დავდივარ... ნება მომეცი, შენი მეგობარი გავხდეო.

ანტილოპამ ტურას ნათქვამი დაიჯერა და უთხრა:

— კარგი, თანახმა ვარ, ვიმეგობროთ. წამოდი, შინ წაგიყვანო.

ანტილოპამ ტურა თავის ადგილსამყოფელთან რომ მიიყვანა, გაოცებულმა ყვავმა ჰკითხა:

— მეგობარო, ეს ვინ მოგიყვანიაო?

— ტურაა... საწყალი, თურმე სულ მარტოკა ცხოვრობს... მოდი, ჩვენ დავიმეგობროთო... — უპასუხა ანტილოპამ.

— კეთილი და პატიოსანი, დავიმეგობროთო, — დათანხმდა ყვავიც და სამივენი ერთად დასახლდნენ.

ამის შემდეგ ანტილოპა და ტურა ხშირად რჩებოდნენ მარტო. გაიძვერა ტურა სულ იმის ფიქრში იყო, ანტილოპა როგორ შევჭამოო.

ერთხელ ტურამ ანტილოპას უთხრა:

— უნდა გაგახარო, ძვირფასო მეგობარო! აქვე, შორიახლოს, მშვენიერი აბიბინებული ყანა ვიპოვე. წამოდი, გაჩვენებ და დარწმუნდები, რომ დღენიადაგ შენს სიკეთეზე ვფიქრობო.

ანტილოპას გული ცუდს არაფერს უგრძნობდა. არხეინად გაჰყვა ტურას და სულ მალე აბიბინებული ჯეჯილიც დაინახა.

— ოჰ, ტურავ... რა კარგი მეგობარი მყავხარ! — ჩაილაპარაკა მიამიტმა ანტილოპამ და იმ დღიდან ყოველ დილით ჯეჯილის საჭმელად დადიოდა ხოლმე.

როგორც ფიქრობდა ტურა, ისეც მოხდა. ყანის პატრონმა შეატყო, რომ მის ყანას ვიღაც ანადგურებდა და მახე დააგო. საწყალმა ანტილოპამ მახე ვერ შეამჩნია და შიგ გაება. ანტილოპა ჯერ ძალიან შეშინდა, მერე კი გული გაიმაგრა: არა უშავს, ტურა მოვა და მიშველისო.

ამის გაფიქრებაც ვერ მოასწრო, რომ ტურაც გამოჩნდა.

— როგორ გელოდებოდი, ძვირფასო მაეგობარო! — წამოიძახა ანტილოპამ. — ჩქარა გადაღრღენი ეს მარყუჟი და გამანთავისუფლეო!

ტურა დინჯად მივიდა მახესთან და მარყუჟი შეათვალიერა.

— შენ, ალბათ, დაგავიწყდა, რომ დღეს ჩემი დაბადების დღეა. გახსოვდეს, ამ დღეს არასოდეს არა ვმუშაობ. ცოტაც მოითმინე, ხვალ მოვალ და გაგანთავისუფლებო, — უთხრა ტურამ ანტილოპას და ბუჩქებში შევარდა.

ყველაფერი ისე მოეწყო, როგორც მე მინდოდა. ახლა მოვა ადამიანი, ამ სულელ ანტილოპას მოკლავს, ტყავსა და ხორცს წაიღებს და შიგნეული მე დამრჩებაო, — ფიქრობდა გახარებული ტურა.

სწორედ ამ დროს ყანას ყვავმა გადაუფრინა, მეგობარი განსაცდელში რომ დაინახა, მიწაზე დაეშვა და ანტილოპას უთხრა:

— ნუ გეშინია! ახლავე ტურას ვიპოვი და ამ მარყუჟს სულ ადვილად გადაღრღნისო.

— ნუ შეწუხდებიო! — უთხრა ნაღვლიანად ანტილოპამ. — მე უკვე ვთხოვე დახმარება, მაგრამ ტურამ უარი მითხრა. ის ვერაგი ჩემს სიკვდილს ელოდებაო!..

სწორედ ამ დროს ყვავმა ზურგზე მშვილდმოკიდებული კაცი დაინახა.

— თავი მოიმკვდარუნე, — უჩურჩულა ანტილოპას ყვავმა, — როგორც კი ჩემს ჩხავილს გაიგონებ, წამოხტი და, რაც ძალი და ღონე გქონდეს, გაიქეცი!

ანტილოპამ ძლივს მოასწრო დაწოლა და კაციც მოვიდა. მკვდარი ანტილოპა რომ დაინახა, მხიარულად წამოიძახა:

— აი, თურმე ვინ გათელა ჩემი ყანა! ახლავე ვნახავ, ამ ცხოველს რა ტყავი აქვსო.

კაცმა მშვილდი მიწაზე დადო, ანტილოპას ფეხზე თოკი შეხსნა, დანა ამოიღო და, ის იყო, თავის საქმეს უნდა შესდგომოდა, რომ უეცრად თავზე ყვავი დააჯდა. ყვავმა კეფაში ჩაუნისკარტა და იქვე მახლობლად ბუჩქზე შემოჯდა.

კაცმა ჯოხს ხელი წამოავლო და ყვავისაკენ გაქანდა, მაგრამ ყვავი გაფრინდა იქვე, რამდენიმე ნაბიჯზე, ისევ ყანაში ჩაეშვა.

— ოჰ, შე ოხერო, შენა! დამაცადე, ვერსად წამიხვალო! — წამოიძახა გაჯავრებულმა კაცმა და ყვავს გამოუდგა.

ყვავი კი ადვილად უსხლტებოდა კაცის მოქნეულ ჯოხს და სულ უფრო და უფრო ღრმად შედიოდა ყანაში, ბოლოს, კარგა შორს რომ გაფრინდა, ხმამაღლა დაიჩხავლა: ანტილოპა ყვავის ჩხავილზე წამოვარდა და, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ტყისაკენ მოუსვა.

ყვავის დევნაში კაცმა ვერც კი გაიგო, როგორ დაშორდა თავის ყანას.

როცა ტურამ ბუჩქებიდან გადმოიხედა, ძალზე გაკვირვებული დარჩა: ან კაცი რა იქნა, ანდა ანტილოპა რატომ არსადა ჩანსო.

ტურა მახესთან მივიდა ძირს დაგდებული მშვილდი დაინახა.

სხვა რა გზა მაქვს, რაკი ანტილოპას შიგნეულობა არ მერგო, იძულებული ვარ შიმშილი ამ მშვილდის ლარით მოვიკლა, ესეც ხომ ძარღვისაგან არის გაკეთებულიო, — გაიფიქრა იმედგაცრუებულმა ტურამ და გამწარებული ეცა ლარს. ლარი იმავე წამს გაწყდა, მშვილდი გაიშალა და ტურას ისეთი ძალით მოხვდა თავში, რომ იქვე სული გააცხებინა.

აი, ასე მოხდა: ვერაგსა და თვალთმაქც ტურას სხვისი დაღუპვა უნდოდა და თავისი თავი კი დაღუპა.

<u>მგლის ღიმილს არ უნდა ენდოო</u>

ერთხელ მგელი მელასთან სტუმრად მირბოდა და მშიერ ვეფხვს კი შეეფეთა.

მგელმა თაყვანისცემის ნიშნად თათები შუბლზე მიიდო და მორიდებით ჰკითხა:

— ჩემო მბრძანებელო! ხომ არაფერში გამოგადგებითო?

— მშიერი ვარ! ვინც ახლა რამეს მაჭმევს, ის ჩემი მეგობარი გახდებაო, — დაიღრიალა ვეფხვმა.

ასეთ მეგობარზე უარი არ ითქმის, ყველგან გამოგადგება, მელასთან მეგობრობა კი რის მაქნისიაო, — გაიფიქრა მგელმა, კუდი ამოიძუა და ვეფხვს მორჩილად უთხრა:

— ჩემო კეთილო მბრძანებელო! დღეს დილიდან მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რითი გაგმასპინძლებოდით. იმედი მაქვს, საუზმედ მსუქან მელას არ დამიწუნებთო!

— როცა გშია, ქვაც საჭმელიაო. მიჩვენე ერთი, ეგ შენი მსუქანი მელა სადა ცხოვრობსო, — უთხრა ვეფხვმა.

— აგერ, იმ ლეღვის ხის ძირას სორო რომაა, იქაო, — უჩვენა მგელმა.

— კეთილი და პატიოსანიო! — გაუხარდა ვეფხვს და სოროსაკენ გაქანდა, მაგრამ, ნურას უკაცრავად, სოროს შესასვლელი ისეთი ვიწრო აღმოჩნდა, რომ ტყის მეუფემ თავის შეყოფაც კი ვერ მოახერხა.

მგელი ცოტა ჩაფიქრდა და ვეფხვს უთხრა:

— ახლავე მელას გარეთ გამოვიტყუებ და თქვენ სუფთა ჰაერზე ისაუზმებთო.

ესა სთქვა და მგელი მელიის სოროში შეძვრა. — გამარჯობა, საყვარელო მელავ! — ალერსით მიესალმა მგელი, — გზად გამოვიარე და თქვენი მონახულება გადავწყვიტეო.

— გმადლობთ, მგელ-საჰიბო, ყურადღებისათვისო.

— საყვარელო მელავ, რა ცუდ ფერზე მეჩვენებით, ხომ ჯანმრთელად ბრძანდებითო, — განაგრძობდა მგელი.

— ჯანმრთელადა ვარო, — მიუგო მელამ და გულში კი გაიფიქრა: ნეტავი დღეს რა მოელანდა მგელს, რომ ასეთი ალერსიანია, არც იღრინება და არც კბილებს აღრჭენსო.

მგელს კი ისე ძალიან უნდოდა ვეფხვისათვის ესიამოვნებინა, რომ აღარაფერი ესმოდა.

— ხომ მოგეხსენებათ, ძვირფასო მელა, მე ყოველგვარი სნეულების მკურნალი ვარ. თუ თქვენი თავისათვის კარგი გინდათ, ახლავ, გადით ამ დახუთულ სოროდან და სუფთა ჰაერზე გაისეირნეთო.

ამ სიტყვებზე მგელს თან ვეფხვი გაახსენდა და ჩაეღიმა: მელა ახლავე ვეფხვს კლანჭებში ჩაუვარდება, ვეფხვი შეჭამს და მერე მე დამიმეგობრდებაო.

მელამ რომ დაინახა, მგელი იღიმებაო, ყურები ცქვიტა და გაინაბა. არასოდეს ენახა მგლების ღიმილი და ყოველ შემთხვევისათვის უთხრა:

— არ ვიცი, პირდაპირ, ვის დავუჯერო. მოხუცი პავიანი, ლეღვის ხეზე რომ ცხოვრობს, მეტწილად სოროში წოლას მირჩევს, მისი აზრით, ჰაერზე სულ არ უნდა გავდიოდეო.

— პავიანი სულელია! დამაცადოს, ერთხელაც იქნება ხელში ჩამივარდებაო, — დააკრაჭუნა კბილები მგელმა.

— კბილებს ნუ აკრაჭუნებთ, მგელ-საჰიბო! ძალიან მეშინიაო.

— ნუ, გეთაყვა, ნუ! ეს ისე, უნებურად მომივიდაო, — შეცბა მგელი და გაიღიმა.

რაკი შეატყო, მელა სოროდან გასვლას არ აპირებდა, მგელმა სხვა ხერხს მიმართა:

— დაგიმტკიცებ, რომ პავიანს არაფერი გაეგება. სწორედ ახლა სტუმრად მეწვია ცნობილი ჩინელი მკურნალი, მას შენი მონახულებაც უნდა, მაგრამ ძალიან მსუქანია და ამ ხვრელში ვერ შემოეტევა. თუ შეიძლება, სოროს შემოსასვლელი ცოტა გააგანივრეო!

— დიდი სიამოვნებით შევეგებები ასეთ საპატიო სტუმარს! საღამოხანისათვის სოროს შესასვლელს გავაგანიერებ და მობრძანდით. სტუმარი ღვთისააო, — დაეთანხმა მელა.

— ძვირფასო მელა, მაშინ მზის ჩასვლისას მოვალთ და დაგველოდეო, — გაუხარდა მგელს და გაეშურა ვეფხვისაკენ.

— ყველაფერი კარგად მოეწყო, ჩემო მბრძანებელო! ის სულელი თვითონ ისწრაფებს სიცოცხლეს. საღამოზე შეძლებთ მელიის სოროში შესვლას და მისი აღსასრულიც დადგებაო.

მარტოდ დარჩენილმა მელამ იფიქრა, იფიქრა და და ასკვნა, რაკი მგელი თავს კეთილად მაჩვენებს, უნდა გავფრთხილდეო და დროც აღარ დაუკარგავს: ადგა, სოროს შესასვლელი გააგანივრა და მერე იქვე ერთი ღრმა ორმო ამოთხარა, ზედ ფიჩხი გადააფარა, თვითონ ბუჩქების უკან დაიმალა და დაელოდა, აბა, რა მოხდებაო.

მზის ჩასვლის წინ მელამ დაინახა, რომ მისი სოროსაკენ მგელი და ვეფხვი მიძუნძულებენ.

— შეხეთ, შეხეთ! იმ სულელმა დაიჯერა, რომ მართლა მკურნალს მივუყვანდიო! — გადაიხარხარა მგელმა.

— მთელი დღე მშიერი დაგყვები და იცოდე, ამ სოროში თუ ვერ შევძვერი, ცუდი დღე დაგადგებაო! — დაემუქრა ვეფხვი მგელს.

— რასა ბრძანებთ, რასა ბრძანებთ! ხომ ხედავთ, მელა იმდენსა ცდილა, სოროში, მგონი, ორივე ერთად შევეტიოთო.

მგელი და ვეფხვი ლეღვის ხეს მისცვივდნენ, მაგრამ მიაღწიეს თუ არა სოროს შესასვლელს, ორივენი ღრმა ორმოში ჩაცვივდნენ.

— შე არამზადავ, ამ მახეში განგებ შემომიტყუეო! — დაიღრიალა ვეფხვმა, თათი მოუქნია მგელს და სული გააფრთხობინა.

— ღმერთმა შეგარგოთ! კეთილი იყოს თქვენი მანდ ჩაბრძანებაო! — ჩასძახა მელამ და მინდვრისაკენ მოუსვა.

კარგა მანძილზე რომ გაშორდა იქაურობას, მელამ სული მოითქვა და თავისთვის ჩაილაპარაკა: თუ სიცოცხლე გინდა, მგლის ღიმილს არ უნდა ენდოო.

<u>ზარმაცი გუგულის ზღაპარი</u>

ერთ ტყეში ზარმაცი გუგული ცხოვრობდა. ისე მოხდა, რომ ერთხელ გუგულს ძერამ მოჰკრა თვალი.

— რა მშვენივრად მღერი! მზადა ვარ შენი სიმღერა დილიდან საღამომდე ვისმინოო, — შეაქო გუგული ძერამ.

— დიდად გმადლობთ კარგი სიტყვისათვისაო! — უპასუხა კმაყოფილმა გუგულმა და დაიწყო:

— გუ-გუ, გუ-გუ, გუ-გუ!

— მომაჯადოებელი სიმღერაა, მომაჯადოებელი! რა ბედნიერება იქნებოდა, ჩემს ბუდეში გეცხოვრა და, თუნდაც იშვიათად, ამ ღვთაებრივი ხმით ჩემი ყურთასმენა დაგეტკბოო, — წამოიძახა ძერამ.

— არ დაუჯერო, გუგულო! მაგის ბუდეში შენ რა გესაქმებაო! — გადმოსძახა გუგულს პალმის ტოტზე შესკუპულმა თუთიყუშმა.

— სულელი თუთიყუში!.. შურს, რომ ჩემს ბუდეში საცხოვრებლად შენ გეპატიჟები და არა იმასაო! — გაჯავრდა ძერა.

— არ დაუჯერო, არ დაუჯერო, ჯერ შეგიტყუებს თავის ბუდეში და მერე შეგჭამსო, — გადმოსძახა ისევ თუთიყუშმა.

— ასე რატომ ამბობ? შენ რამდენჯერ მოგისმენია ჩემი სიმღერა, მაგრამ სასიკეთო არაფერი წამოგცდენია. ძერამ კი ერთხელ მოისმინა და მაშინვე მიხვდა, რა მშვენიერი ხმაცა მაქვსო, — მიუგო გუგულმა.

— ასეთი სასიამოვნო ხმა არასოდეს მომისმენია! — დაიწყო ისევ ძერამ, — გადმოსახლდი ჩემს ბუდეში და შენი ბედი ყოველ ფრინველს შეშურდებაო.

— არ ვიცი, შევძლებ თუ არა თქვენს ბუდემდე მოღწევას, მგონი, ძალიან შორს ცხოვრობთო, — ინაზებოდა გუგული.

— ნუთუ მართლა აპირებ ძერასთან წასვლას? გავიწყდება, ცეცხლი და წყალი ერთმანეთს რომ ვერ ეგუებაო? — შეუძახა გულშემოყრილმა თუთიყუშმა.

— ყურს ნუ უგდებ თუთიყუშს, ნუ უსმენ! დასახლდი ჩემთან და საკუთარ ბუდეზე ზრუნვა აღარ დაგჭირდება. საჭმელზეც კი აღარ იფიქრებ, ჭიაღუას, ლიფსიტებსა და კოღოებს არ მოგაკლებო, — ეჩურჩულებოდა გუგულს ძერა.

მართლაც, რა კარგია უქმად ყოფნა: აღარც ბუდეს გავიკეთებ. აღარც ჭიაღუას გამოვეკიდებიო, — ფიქრობდა გუგული.

— როცა ჩემს ბუდეში იცხოვრებ, ვერავინ ვერაფერს გაგიბედავს. ვინც კი შენს წყენას განიზრახავს, ყველას დავკორტნიო, — განაგრძობდა ძერა.

რა კარგია!.. ყველა ფრინველს შეეშინდება ჩემი და შეეცდებიან, გული მომიგონ. ყველას შეშურდება ჩემი და ძერას მეგობრობაო... — გაიფიქრა ისევ გუგულმა და მხიარულად დაიძახა:

— თანახმა ვარ, გავრინდეთო!

— გონს მოდი, უბედურო, ძერას ბუდეში შენ ვეღარავინ გიშველისო! — მიაძახა თუთიყუშმა, მაგრამ გუგულს არც კი მიუხედია მისკენ. ფრთა ფრთას შემოჰკრა და ძერას გაედევნა.

მალე ერთი კლდის მწვერვალზე გუგულმა დიდი ბუდე დაინახა. გუგული ჩაეშვა ბუდეში და კმაყოფილებით თქვა:

— ძალიან მომწონს თქვენი ბუდე! კიდევ კარგი, რომ იმ შურიან თუთიყუშს არ დავუჯერეო!

— მაშ, კიდევ კარგიო! — დაუდასტურა ძერამ, — შენ აქ დამელოდე, სანადიროდ გავფრინდები, თორემ რა ხანია, მშიაო!

დიდხანს ელოდა გუგული ძერას, მზე უკვე მთებს მიეფარა და ძერა მაინც არსადა ჩანდა. ბოლოს, როგორც იქნა, მოფრინდა, ფრთები შეისწორა და გაჯავრებულმა თქვა:

— ვერ ვინადირე, ყველაფერში შენა ხარ დამნაშავეო!

— მე? რასა ბრძანებთ, რასა ბრძანებთ? მე რა დანაშაული მაქვსო? — გაუკვირდა გუგულს.

გულამღვრეულმა ძერამ ფრთები აიქნია და დაიყვირა:

— როგორ მიბედავ შემოპასუხებას? რაკი ვამბობ, რომ დამნაშავე ხარ, მაშ, დამნაშავე ხარ! ხოლო თუ ვინმეს ჩემს სიტყვებში ეჭვი შეეპარება, მას სიკვდილი არ ასცდებაო!

— ოჰ, ბატონო ძერავ! სულ არ მინდოდა თქვენი წყენინება, შეიძლება, მართლაც დამნაშავე ვარო! — ჩაილაპარაკა შეშინებულმა გუგულმა.

— რა თქმა უნდა, ასეა! დამნაშავეცა ხარ და თავხედიც, ისე წამოჭიმულხარ ჩემს ბუდეში, თითქოს შენი საკუთარი სახლი იყოს. თვითონ ჩრდილში მოიკალათე და მე სიცხე-პაპანაქებაში უნდა ვიტანჯოო.

— უფალო ჩემო! ახლა ხომ საღამოა და მზე დიდი ხანია მთებს მოეფარაო! — წამოილუღლუღა დამფრთხალმა გუგულმა.

— ოჰ, შე უმადურო, შენა! მაშ, შენი აზრით, მატყუარაც გამოვდივარ, არა? ასეთი შეურაცხყოფა არავისთვის მიპატიებია და არც შენ გაპატიებო!

ძერამ დაჰკრა ფრთა გუგულს, მოკლა და შეჭამა.

როცა თუთიყუშმა გუგულის სიკვდილი გაიგო, დაღონებულმა თავი გაიქნია და თქვა:

— ზარმაცს, ვისაც პირში ქება და ლაქუცი სიამოვნებს, ყოველ ბუჩქთან და ყოველ ხესთან უბედურება ელისო.

<u>შ უ რ ი ა ნ ი ბ უ</u>

ერთი ხელმწიფის სასახლის სახურავზე ერთი ბუ დაეშვა. სასახლის ბაღში, მაღალ პალმაზე ბუმ ბულბული დაინახა, ნაზირ-ვეზირები ამ პალმას რომ ჩაუვლიდნენ, პატარა ბულბულს თავს მდაბლად უკრავდნენ.

მალე ბაღის ბილიკზე თვითონ მეფე გამოჩნდა. მეფეს სულ დარჩეული ხორბლით სავსე ოქროს სინი მოჰქონდა. ბუმ თვალნათლივ დაინახა, როგორ დადგა მეფემ სინი

მიწაზე, როგორ ჩამოფრინდა ხიდან ბულბული და როგორ დაუწყო მსხვილ მარცვლებს კენკვა.

როცა მეფე და მისი ნაზირ-ვეზირები წავიდნენ, ბუმ ბულბულს ჰკითხა:

— ერთი მითხარი, ეს პატივი რითი დაიმსახურეო?

— მეფეს ჩემი სიმღერის გამო ვუყვარვარ. მას ნაბრძანები აქვს, ყველა სურვილი შემისრულონ და თვითონ კი, საუკეთესო ხორბალს ოქროს სინით მიზიდავსო.

ბუ შებინდებამდე იჯდა ხეზე ჩაფიქრებული, მერე კი გადაწყვიტა: ბულბულზე ნაკლები ხმა რითი მაქვს, მეფემ ჩემი სიმღერა რომ მოისმინოს, ბულბულს გააგდებს და თავის ნაზირ-ვეზირებს ჩემი ყოველი სურვილის შესრულებას უბრძანებს. მეც ღამღამობით მინდვრის თაგვებზე ნადირობით აღარ დავიღლები, რადგან საუკეთესო საჭმელს თვითონ მაეფე მომართმევს ოქროს სინითაო, — და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაჰკივლა და დაჰკივლა. ბუს კივილმა მთელი სასახლე ფეხზე დააყენა.

— ვინ ბედავს ჩემს სასახლეში ასეთი საშინელი ხმით კივილს. ახლავე იპოვეთ დამნაშავე და აქ მომგვარეთო! — ბრძანა მეფემ.

დაფაცურდნენ ნაზირ-ვეზირები მეფის ბრძანების შესასრულებლად. ბუს პოვნა კი ძალზე ადვილი იყო, რადგან განუწყვეტლივ კიოდა.

კარისკაცებმა ბუ დაიჭირეს, მეფეს მიჰგვარეს და უთხრეს:

— ჩვენო მბრძანებელო! აი, ვინ გაბედა თქვენი სიმშვიდის დარღვევაო!

— ცოცხლად გაბდღვენითო! — ბრძანა მეფემ.

მსახურებმა ბუ გაბდღვნეს და ბუმბულგაცლილი სასახლიდან გააგდეს.

შურიანმა ბუმ ძლივსღა მიაღწია ტყემდე. ამის შემდეგ იგი ხშირად უამბობდა ხოლმე თუთიყუშებს თავის უბედურების ამბავს და თან ბულბულს ლანძღავდა:

— ბულბული ჩადგა ჩემს ცოდვაში, ის არამზადა, ისაო!

— კი მაგრამ, იმან რა დააშავაო? — ეკითხებოდნენ თუთიყუშები.

— როგორ თუ რა დააშავა? სასახლეში რომ არ შემხვედროდა, არ ვიმღერებდი, და თუ არ ვიმღერებდი, არც არავინ გამბდღვნიდა. ჰოდა, გამოდის, რომ ჩემს უბედურებაში მხოლოდ და მხოლოდ ბულბულია დამნაშავეო!..

ნურასოდეს დაემსგავსებით ბუს და სხვას ნუ დააბრალებთ იმას, რაშიც მხოლოდ თქვენ თვითონა ხართ დამნაშავე.

<u>ჯადოსნური ვიოლინო</u>

ერთ ქვეყანაში შვიდი ძმა და ერთი და ცხოვრობდა. ძმები ცოლიანები იყვნენ, მაგრამ ოჯახს მათი ცოლები კი არა, და უძღვებოდა. რძლებს მული ძალიან შესჯავრდათ და მისი თავიდან მოშორება გადაწყვიტეს.

— მინდორში ის არა მუშაობს, შინა ზის და დროზე სადილიც კი ვერ მოუმზადებიაო, — ამბობდნენ ისინი.

ერთხელაც ადგნენ რძლები, მეზობელი სოფლის ავსულთან წავიდნენ, მსხვერპლი შესწირეს და მოისყიდეს. ავი სული შეჰპირდა, ყველა სურვილს შეგისრულებთო. მაშინ რძლებმა სთხოვეს:

— შუადღისას, როცა ჩვენი მული წყალზე წავა, ისე გააკეთე, საგუბარში წყალმა იკლოს და სურა ვერ აავსოს. შემდეგ წყალი ნელ-ნელა მოუმატე, მაგრამ სურა მაინც არ აავსებინო და ჩვენი მული შენ წაიყვანეო.

მართლაც, შუადღისას, როცა ქალიშვილი წყალზე წავიდა, გუბურაში წყალი უცბად გაქრა. ქალიშვილი ატირდა. მაგრამ, დახეთ საკვირველებას! წყალი ნელ-ნელა

ისევ დაგუბდა და კოჭებამდე მისწვდა. მაშინ ქალიშვილი სურის ავსებას შეეცადა, მაგრამ ერთი წვეთის ჩასხმაც ვერ მოახერხა და შეშინებულმა წამოიძახა:

— ძმებო, ჩემო ძმებო! წყალი კოჭებამდე მწვდება, მაგრამ სურაში წვეთიც არ ჩადისო.

წყალი ახლა მუხლებამდე მისწვდა ქალს და მაინც კვლავ შესძახა:

— ძმებო, ჩემო ძმებო! წყალი მუხლებამდე მწვდება, მაგრამ სურაში წვეთიც ვერ ჩავასხიო.

წყალმა კიდევ უფრო იმატა, ქალიშვილს წელამდე მისწვდა. კიდევ უფრო ძალიან შეშინდა ქალი და დაიძახა:

— ძმებო, ჩემო ძმებო! წყალი წელამდე მწვდება და სურაში კი წვეთიც ვერ ჩავასხიო.

ბოლოს ისეთი დიდი წყალი მოვარდა, რომ ქალი იხრჩობოდა და დაიძახა:

— ძმებო, ჩემო ძმებო! წყალი ყელამდე მწვდება და, როგორც იქნა, სურაც ივსებაო.

ივსებოდა სურა და თანდათან წყალში იძირებოდა, მას ქალიშვილიც თან მისდევდა, ბოლოს ორივენი ჩაიძირნენ. მაშინ ავმა სულმა ქალიშვილი სულად აქცია და თავისთან წაიყვანა.

გავიდა ხანი, გუბურას პირას ბამბუკის ხე ამოვიდა, ამ ხეში ის ქალიშვილი-სული ცხოვრობდა. გაიზარდა ბამბუკი, გაიზარდა და უზარმაზარ ხედ იქცა. ერთხელ იქით განდეგილმა ჩაიარა და თქვა:

— ამ ბამბუკისაგან მშვენიერი ვიოლინო გამოვაო.

წავიდა, ცული მოიტანა და, ის იყო, ძირში უნდა მოეჭრა, რომ ბამბუკმა შესძახა:

— ძირში ნუ მოჭრი, კენწეროები წააცალეო!

განდეგილმა ისევ მოიმარჯვა ცული, უნდოდა ხისთვის კენწეროები გადაეჭრა, მაგრამ ბამბუკმა ისევ შესძახა:

— კენწეროებს ნუ მოჭრი, ძირში მოჭერიო!

და ასე ყოველთვის, — როგორც კი განდეგილი ცულს მოიმარჯვებდა, ბამბუკიც ყვიროდა. ბოლოს განდეგილი მიხვდა, რომ სული აშინებდა და გაჯავრებულმა ბამბუკი შიგ ძირში მოჭრა, შინ წაიღო და ვიოლინო გამოთალა. განდეგილი როცა უკრავდა, ვიოლინო ისეთ საოცარ ხმებს გამოსცემდა, ყველა გაოცებული რჩებოდა და განდეგილსაც გულუხვად ასაჩუქრებდნენ.

განდეგილი ხშირად მიდიოდა ხოლმე იმ ქალიშვილის სახლში, სულმა რომ წაიყვანა. როცა ვიოლინოს ხმა ესმოდათ, ძმებს გული უმძიმდებოდათ, ტირილი ერეოდათ და სულ ეჩვენებოდათ, რომ ვიოლინო შეჰკვნესოდა, რაღაცას შესთხოვდა.

უფროს ძმას უნდოდა ეყიდა ეს ვიოლინო, მაგრამ განდეგილმა არ მიჰყიდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ განდეგილი ერთი რომელიღაც სოფლის მამასახლისის სახლს მიადგა და თავისი ვიოლინო იქ ააკვნესა. განდეგილს კარგად გაუმასპინძლდნენ და სთხოვეს, ვიოლინო მოგვყიდეო. მამასახლისმა დიდი ფულიც შეაძლია, მაგრამ განდეგილმა ვიოლინო არც ამას მიჰყიდა. მაშინ მაგრად დაათვრეს და, როცა დაეძინა, ვიოლინო შეუცვალეს — ჯადოსნურის ნაცვლად უბრალო დაუდეს.

გამოფხიზლებული განდეგილი ყველას შესჩიოდა, ვიოლინო გამომიცვალესო, მაგრამ ყური არავინ ათხოვა. რაკი ვერა გააწყო რა, იძულებული გახდა, თავისი ჯადოსნური ვიოლინო მამასახლისთან დაეტოვებინა, თვითონ კი უბრალო წაეღო.

ვიოლინოზე ახლა მამასახლისის ვაჟი უკრავდა ხოლმე. ვიოლინომ კიდევ უფრო სასიამოვნო ხმები გამოსცა. მეზობლებიც კი დადიოდნენ მოსასმენად და მისი ხმით ტკბებოდნენ. როცა მთელი ოჯახი სამუშაოდ მიდიოდა, ქალიშვილი-სული,

რომელიც ჯერ ბამბუკში ცხოვრობდა, შემდეგ კი ბამბუკისაგან გამოთლილ ვიოლინოში, ძირს გადმოდიოდა, მოამზადებდა საჭმელს, თვითონაც ჭამდა და ერთ კერძს მამასახლისის ვაჟის საწოლთანაც დგამდა. ყოველდღე ასე მეორდებოდა. ბოლოს შინაურებმა მამასახლისის ვაჟი მასახარად აიგდეს — ალბათ, ვინმე გოგოს ძალიან მოეწონე და ისე ზრუნავს შენზე, საჭმელსაც კი გიზიდავსო.

მაშინ ვაჟმა გადაწყვიტა: შინ დავრჩები და ყველაფერს დაწვრილებით გავიგებ, რა ხდებაო. მართლაც, ასე მოიქცა: იქვე კუთხეში, შუშებს უკან მიიმალა და დაელოდა, აბა, რა იქნებაო. მალე ვიოლინოდან ქალიშვილი გადმოვიდა, თმები დაივარცხნა და სადილისათვის ბრინჯის დარჩევას შეუდგა. ქალმა მოამზადა სადილი, ჭამა და, ის იყო, დანარჩენი მამასახლისის ვაჟის საწოლთან დადგა, რომ ვაჟი სამალავიდან გადმოხტა და ქალს ხელი სტაცა. ქალი თან უძალიანდებოდა და თან ეუბნებოდა:

— ვინა ხარ, რომ ხელს მკიდებ? იქნებ რომელიმე მდაბიო კასტას ეკუთვნი და უფლება არა გაქვს, ხელი მახლოო?

— არა, ჩვენ ერთი კასტიდანა ვართ და ჩემი ცოლი უნდა გახდეო.

მამასახლისის ვაჟი ძალიან ლამაზი ყმაწვილი იყო. ქალსაც მოეწონა და ცოლად გაჰყვა.

ამასობაში ამ ქალის ძმები გაღატაკდნენ და მოწყალების სათხოვნელად დაიწყეს სიარული. ერთ დღეს ისინი იმ მამასახლისის კარსაც მიადგნენ, რომლის ოჯახშიც მათი და იყო გათხოვილი. დამ ძმები მაშინვე იცნო, იმათ კი — ვერა. ქალმა ცეცხლზე წყალი შემოდგა და ბრინჯის ხარშვას შეუდგა. ვიდრე ბრინჯი მოიხარშებოდა, თავის ძმებს მიუჯდა გვერდით და დაწვრილებით უამბო, როგორ გაიმეტეს იმათმა ცოლებმა. თავისი ნაამბობი ქალმა ასე დაამთავრა:

— ეს ამბავი, ალბათ, ყველამ იცოდით, მაგრამ არც ერთი არ გამომესარჩლეთო.

ამის მეტი საყვედური ქალს ძმებისათვის აღარ უთქვამს; აჭამა, კარგად დაანაყრა და მშვიდობიანად გაისტუმრა უკან.

<u>პენუ* და ცერცვის ნათესი</u>

(* პენუ — პარაზიტი მწერი, ტილი.)

ერთხელ პატარა პენუმ ცერცვი დათესა... გაინტერესებთ, როგორ დათესა? ჩვეულებრივ, როგორც ყველა თესავს ხოლმე... დათესა პენუმ ცერცვი და მეგობრები მიიწვია.

რატომ მოიწვიაო, — იკითხავთ. ახლავე ყველაფერს გიამბობთ, მომისმინეთ!

სულ პირველად პენუ ხართან მიცოცდა და უთხრა:

— მითხარი, ძმაო, რას გაჭმევენ ადამიანები? ბალახსა და თივას? მე შენ ცერცვის ჩენჩოთი გაგაძღებ, ოღონდ მინდორი მომიხანიო.

კარგიო, უთხრა ხარმა და, როგორც კი დრო იშოვა, პენუს მიწა მოუხნა. პენუ ახლა მწყემსთან მივიდა.

— შემიბრალე, ძიავ! ჩემს მინდორზე ცოტა წყალი მიზიდე და, როცა ცერცვი ამოვა, მომირწყეო! — სთხოვა პენუმ მწყემსს.

მწყემსიც შეპირდა, უსათუოდ მოგირწყავო. მაშინ პენუმ მთელი თავისი ახლობლები — ძმები, დები, შვილები და შვილიშვილები, ძმისშვილები და დისშვილები (პენუს დიდი ოჯახი ჰქონდა) შეკრიბა და უთხრა: თითომ თითო მარცვალი ცერცვი მოიტანეთო. გაჩაღდა მუშაობა: ხარი მიწას ხნავს, პენუს მთელი

საგვარეულო ცერცვს თესავს და მწყემსი კი წყალს ეზიდება. ამოვიდა ცერცვი, დაისხა და რა დაისხა, ავ თვალს არ ენახვოდა. სამ თვეში დამწიფდა კიდეც. პენუ საგონებელში ჩავარდა: ჩქარა უნდა ავიღო მოსავალი, თორემ ან მატლი შემიჭამს და ან ფრინველიო. მთელი მისი საგვარეულო დღე და ღამე ყანაში დაცოცავდა, მოსავალს დარაჯობდა.

ყანის ახლოს შარაგზა გადიოდა. ერთხელ ამ შარაგზაზე ხელმწიფე ჩამოატარეს ტახტრევანით. უკან მეომრები და მსახურები მიჰყვებოდნენ. ხელმწიფემ აბიბინებული ცერცვი რომ დაინახა, იკითხა:

— ვისია ეს ნათესი? ასეთი მოსავალი ჩემს მინდვრებზეც არ მინახავსო!

— ეს ნათესი, დიდო ხელმწიფევ, პენუსია, მან დათესა და მანვე მოიყვანაო, — უპასუხა მწყემსმა, რომელიც გზის პირას ფარას მიერეკებოდა.

ხელმწიფემ გადაიხარხარა:

— რაო? პენუმ ცერცვი დათესაო? პენუს მინდორში რა ესაქმება? მაგისთანა მღილი სამუშაოდ კი არ უნდა გაუშვა, სავარცხლით უნდა დაიჭირო და ფრჩხილით გასრისო, მორჩა და გათავდაო!

ეს რომ პენუმ გაიგონა, ძალიან გაბრაზდა.

— ბრიყვი ხარ, მეფევ, სულელი! გაგეგება კია რამე, რომ ლაპარაკობ? შენს დღეში განა გაგიკეთებია რამე? შენისთანა მეფე ტახტრევანით კი არ უნდა დაყავდეთ, თხრილში უნდა გადააგდონ და ფეხით გათელონ, მორჩა და გათავდაო!

ახლა კი გაჯავრდა მეფე:

— ეს რაღა ამბავია? ეს არარაობა, მე, მეფეს, შეურაცხყოფასაც მაყენებს! ჰეი, თქვენ, მეომრებო და ჩემო ერთგულნო მსახურნო! მთელი მაგისი მინდორი მიწასთან გაასწორეთო!

ხელმწიფის სიტყვას, აბა, ვინ გადაუხვევდა? გაიქცნენ მისი მეომრები და მსახურები და პენუს მინდორი ერთიანად გადათელეს.

ხელმწიფე რომ წავიდა, პენუს ძმებმა აკრიფეს ცერცვის პარკები, დაარჩიეს, ჩენჩო გადაყარეს და მარცვალი ერთად დააგროვეს. პენუმ კი გადაწყვიტა, ხელმწიფეს ჭკუა უნდა ვასწავლოო და წასასვლელად მოემზადა, — წაიღო რამდენიმე ცერცვის მარცვალი და გზაზე გაცოცდა. გზაზე მორიელი შემოეყარა და ჰკითხა:

— უმცროსო ძმაო, საით გაგიწევიაო?

— შენც წამყევი და ცერცვს მოგცემო, — უპასუხა პენუმ.

მისცა პენუმ ცერცვის მარცვალი მორიელს და ერთად გაცოცდნენ. ცოტ გაიარეს და გზაზე გველი დაინახეს, მზეზე თბებოდა.

— ძმებო, საით გაგიწევიათო? — ჰკითხა გველმა.

— თუ გინდა, შენც წამოგვყევი და სამაგიეროდ ცერცვს მოგცემთო, — უპასუხეს პენუმ და მორიელმა.

გველმა ცერცვი გამოართვა და სამივე ერთად გაუდგა გზას.

ახლა ვეფხვი შემოეყარათ.

— პენუს ვახლავარ! გამარჯობა, მეგობარო! საით გაგიწევიაო? — ჰკითხა ვეფხვმა.

— მინდა ვნახო, როგორ ცხოვრობს ჩვენი ხელმწიფე და გავსინჯო, გემრიელი სისხლი აქვს თუ არა. ბიძიკო, იქნება შენც ჩვენთან წამოხვიდეო, — მიუგო პენუმ.

— რატომაც არა, დიდი სიამოვნებით წამოვალო.

მგზავრები ხელმწიფის სასახლეს ღამე მიადგნენ და შიგ შევიდნენ. ხელმწიფეს უკვე კარგა ხანია ეძინა. პენუმ ვეფხვი კარებთან დატოვა და თვითონ კი გველი და მორიელი წაიყვანა და მეფის საწოლ ოთახში შეიპარა. გველი დაიგორგლა და, კუთხეში, სადაც ხელმწიფის კვერთხი ეყუდა, იქ დაეგდო. მორიელი ნიშში შეცოცდა,

იქ ხელმწიფეს სავარცხელი ედო. პენუ კი მეფეს წვერში შეუძვრა და ნიკაპზე უკბინა. ქავილზე მეფეს გაეღვიძა და სავარცხელის ასაღებად ნიშში შეყო ხელი. მორიელსაც ეს უნდოდა, მივარდა მაშინვე თითზე უკბინა. გულმოსული მეფე წამოხტა და კუთხისკენ გაქანდა, რომ ჯოხი აეღო და მორიელი მოეკლა, მაგრამ კუთხეში დაგორგლილმა გველმა ავისმომასწავებლად დაისისინა. გულგახეთქილმა მეფემ ერთი საზარლად დაიღრიალა და კარს ეცა, კარს უკან კი ვეფხვი ელოდებოდა. ვეფხვი მაშინვე ეძგერა მეფეს და იქვე გაგლიჯა.

არავის არ სწყენია ბოროტი და სულელი ხელმწიფის სიკვდილი. პირიქით, ყველას გაუხარდა კიდეც.

აი, რისი გაკეთება შეუძლია პატარა პენუს.

<u>მ ე ფ ი ს ა ს უ ლ ი მ ი რ ჩ ა*</u>

(* მირჩა — წიწაკა.)

ერთ ტყეში ერთი მგალობელი ბულბული ცხოვრობდა. ეს ბულბული მთელ დღეს სიმღერაში ატარებდა. ცოლმა უსმინა, უსმინა და ბოლოს უთხრა:

— ჩემო კარგო! სიმღერით კარგად მღერი, მაგრამ მე რომ მწვანე წიწაკა ასე გულით მინდა, ის კი არ იციო.

ადგა ბულბული და გაფრინდა მწვანე წიწაკის საძებრად. იფრინა, იფრინა, მთელი ბაღ-ბოსტნები შემოიფრინა, მაგრამ მწვანე წიწაკას ვერსად მიაგნო. წიწაკის ბუჩქები ან წინწკალა თეთრი ყვავილით ყვაოდნენ და ან მწიფე, ელვარე წითელი წიწაკით იყვნენ დახუნძლულნი.

ბევრი იფრინა, თუ ცოტა იფრინა, ბოლოს ბულბული ერთი მაღალი კედლით შემოზღუდულ ბაღში შეფრინდა და რას ხედავს: შიგ შუაგულ ბაღში მწვანედ გადახასხასებული ბუჩქი დგას, ფოთლებში კი უზარმაზარი, ზურმუხტივით მწვანე წიწაკა მიმალულა.

ბულბული იმწამსვე ცოლთან გაეშურა და ეს ამბავი ახარა. მერე ორივენი ბუჩქთან მიფრინდნენ და ცოლი მწვანე წიწაკის კორტნას შეუდგა.

ბაღი ერთ კეთილ ჯინს ეკუთვნოდა. ეს ჯინი ხან თორმეტ წელს გადაბმით იძინებდა ხოლმე, ხანაც იმდენივე ხანს ფხიზლობდა. სწორედ ახლა ეძინა და ამიტომ აზრადაც არ მოსდიოდა, რა ხდებოდა მის ბაღში.

ბულბულის ცოლმა მანამდე კორტნა წიწაკა, ვიდრე კარგად არ გამოძღა, მერე ერთი ზურმუხტივით მწვანე კვერცხი დადო იქვე და თავის ქმართან ერთად უკანვე გაფრინდა.

გამოეღვიძა ჯინს, წავიდა ბაღის დასათვალიერებლად და რას ხედავს: მისი საყვარელი წიწაკა სულ ერთთავად დაკორტნილია. ეძება ჯინმა დამნაშავე, ეძება, მაგრამ ვერ იპოვა, ამ ძებნაში იმ ზურმუხტის კვერცხს წააწყდა. ჯინმა კვერცხი აიღო, რბილ ქაღალდში შეახვია და განჯინის თაროზე დადო.

დიდხანს იდარდა ჯინმა თავისი მწვანე წიწაკა, მაგრამ დარდით აბა, რას გახდებოდა? ერთხელ ჯინმა განჯინაში შეიხედა და მწვანე კვერცხი ვერსად ნახა, მის მაგივრად თაროზე ერთი ბეწო ულამაზესი გოგონა ჩამომჯდარიყო. გოგონას ყველაფერი მწვანე ეცვა და ყელზე ზუსტად მწვანე წიწაკის მსგავსი ზურმუხტი ეკიდა. ჯინს ძალიან უყვარდა ბავშვები. მან ალერსიანად ჰკითხა გოგონას, რა გქვიაო და მანაც უპასუხა:

— მეფის ასული მირჩაო.

ამ დღიდან მეფის ასული მირჩა კეთილი ჯინის ბაღში დასახლდა.

დრო კი გარბოდა. თორმეტი წელი იფხიზლა ჯინმა და ახლა უკვე ის ხანა ახლოვდებოდა, როცა თორმეტი წლით უნდა დაეძინა. ჯინს მოსვენებას არ აძლევდა მეფის ასულ მირჩაზე ფიქრი: რა ეშველება, მე რომ დავიძინებო, წუხდა და არ იცოდა, რა გზას დასდგომოდა.

ისე მოხდა, რომ სწორედ ამ ხანებში ჯინის ბაღთან ხელმწიფემ და მისმა ვეზირებმა ჩაიარეს, ბაღში გადაძვრნენ და პირველსავე ბუჩქთან მეფის ასული მირჩა იპოვეს. ხელმწიფეს მეტისმეტად მოეწონა მეფის ასული და ხვეწნა დაუწყო, ცოლად გამომყევიო.

— ეგ ჯინს უნდა სთხოვო. ოღონდ უბედურება ის არის, რომ ჯინი ზოგჯერ ადამიანებსაცა ჭამსო, — უპასუხა ქალმა.

მაგრამ ხელმწიფე არ მოეშვა ქალს, ვაჟი ისე ეხვეწებოდა, ისეთი ლამაზი და კეთილი იყო, რომ მეფის ასულს შეეცოდა და უთხრა:

— კარგი, შენ ბაღში დაიმალე და ჯინს მე მოველაპარაკებიო.

ამ დროს ჯინიც მოვიდა და — ადამიანის სუნი მცემსო, — თქვა.

მეფის ასულმა დაამშვიდა:

— აქ ჩემს გარდა არავინ არის და, თუ მაინცდამაინც ადამიანის შეჭმა გინდა, მე უნდა შემჭამოო.

— რას ამბობ, უმალ აგურსა და კირს შევჭამო, — უპასუხა ჯინმა.

მაშინ კი დრო იხელთა მეფის ასულმა და ჯინს სიტყვა ჩამოუგდო, შენ რომ თორმეტი წლით დაიძინებ, მე რა ვქნა, როგორ მოვიქცეო.

ჯინი დაიბნა:

— ყველაზე უკეთესი ის იქნებოდა, რომ გამეთხოვებინე, მაგრამ შენი სილამაზის ღირსი კაცი სად ვიშოვოო.

მეფის ასულმა მირჩამ ჯინს სიტყვა ჩამოართვა, თუ კი რომელიმე ლამაზი ხელმწიფე მითხოვს, უარს ნუ ეტყვიო. ჯინიც შეპირდა, აბა, იმან რა იცოდა, რომ ქალს საქმრო უკვე არჩეული ჰყავდა.

დათანხმდა თუ არა ჯინი, მეფის ასულმა ტაში შემოჰკრა და ხელმწიფეც გამოჩნდა. უყურებს ჯინი, უყურებს ორივეს და ვეღარ გადაუწყვეტია, რომელი უფრო ლამაზია: ხელმწიფე თუ მირჩა. რა უნდა ექნა ჯინს? სიტყვას ხომ ვერ გატეხდა! ძალიანაც არ უნდოდა მირჩასთან განშორება, მაგრამ უკან ვეღარ დაიხია და ხელმწიფეს ცოლად გაატანა.

ხელმწიფემ მირჩა თავისი სამეფოს გზას გაუყენა. დადარდიანებულმა ჯინმა ვერ მოისვენა: მტრედად გადაიქცა და გამოუდგა. ბედნიერი მირჩა თავის ქმარს მხიარულად მიჰყვებოდა. ჯინმა ეს რომ დაინახა, დამშვიდებული დაბრუნდა შინ, მაგრამ დიდხანს მაინც ვერ მოისვენა: ახლა შავარდნად გადაიქცა და თავის ზურმუხტოვან მეფის ასულს კვლავ უკან გამოუდგა. ხედავს — მირჩა ისევ ისეთი ბედნიერი მიჰყვება თავის ქმარს. კმაყოფილი დაბრუნდა ჯინი შინ, მაგრამ გულმა ვერც ახლა მოუთმინა: არწივად გადაიქცა და მეფის ასულს დაედევნა. ხედავს — მეფის ასული თავის საყვარელ ქმართან ერთად მხიარული შედის სასახლეში. ჯინმა მაშინ კი დაიარხეინა გული, დაწვა და დაიძინა.

მეფეს ძალიან უყვარდა თავისი მზეთუნახავი ცოლი და სულ ერთთავად მასზე ზრუნავდა. მალე მათ მშვენიერი პატარა უფლისწულიც შეეძინათ. მაგრამ სეფექალებს ძალიან შურდათ ახალგაზრდა დედოფლის ბედი და სულ მისი დაღუპვის საბაბს ეძებდნენ. ყოველღამე მიადგებოდნენ ხოლმე დედოფლის საწოლი ოთახის კარს და ჩურჩულებდნენ. უნდოდათ გაეგოთ, ეძინა თუ არა დედოფალს.

— მთელ ქვეყანას სძინავს და დედოფალ მირჩას კი — არაო, — იტყოდნენ ხოლმე ისინი.

ზურმუხტის წიწაკა, დედოფალს ყელზე რომ ეკიდა, ჯადოსნური იყო და ყოველთვის სიმართლეს ლაპარაკობდა, ამიტომ ქალების ჩურჩულს ასე უპასუხებდა:

— არა, დედოფალ მირჩას სძინავს, ხალხს კი — არაო.

ამ ხმის გაგონებაზე ბოროტი დედაკაცები მაშინვე გაიკრიფებოდნენ ხოლმე. იცოდნენ, რომ ვიდრე დედოფალს ყელზე ზურმუხტის წიწაკა ეკიდა, ვერავინ ვერაფერს დააკლებდა.

ერთ დღეს დედოფალი აბანოში წავიდა და თავისი ზურმუხტის წიწაკა იქ დარჩა. იმ ღამეს ბოროტი დედაკაცები ჩვეულებრივად მიადგნენ მირჩას საწოლი ოთახის კარს და ჩურჩულს მოჰყვნენ.

— მთელ ქვეყანას სძინავს და დედოფალ მირჩას კი — არაო.

ალალმა ჯადოსნურმა წიწაკამ კვლავ ჩვეულებრივად მიუგო:

— არა, დედოფალ მირჩას სძინავს, ხალხს კი არაო.

მაგრამ ახლა მისი ხმა აბანოდან გაისმა და არა დედოფლის საწოლი ოთახიდან.

ბოროტი დედაკაცები მიხვდნენ, რომ დედოფალს თავისი მფარველი ზურმუხტის წიწაკა თან არა ჰქონდა. ჩუმად, თითის წვერებზე შეიპარნენ მირჩას საწოლ ოთახში, უფლისწული აკვანში მოკლეს და დედაფალს სახე ბავშვის სისხლით მოუსვარეს. მეორე დღეს კი დილაადრიანად გაიქცნენ ხელმწიფესთან, დედოფლის საწოლ ოთახში წამოიყვანეს, მოკლული უფლისწული აჩვენეს და უთხრეს, რომ დედოფალი კაციჭამიაა და ბავშვის შეჭმა უნდოდაო.

დახედა ხელმწიფემ მკვდარ შვილს და დაიჯერა ბოროტი დედაკაცების სიტყვები. მართალია, ძალიან უყვარდა თავისი ცოლი, მაგრამ მაინც ბრძანა: სიკვდილით დასაჯეთო. ასეც მოიქცნენ.

როცა დედოფალი მოკლეს, იმისი ტანი მაღალ, თეთრ მარმარილოს კედლად იქცა, იმისი თვალები — ორ წმინდა, ანკარა ტბად, მწვანე მოსასხამი — მობიბინე ბალახით დაფარულ მოლად, თმები — ხვიარა მცენარეებად შემოევლნენ კედელს, წითელი ტუჩები — წითელ ვარდებად გადაიფურჩქნენ და თეთრი კბილები — თეთრ ნარგიზებად. იმისი სული კი ორ ჩიტად იქცა. ერთი ჩაკვა იყო, მეორე — ჩაკვი. ჩიტებს უნდოდათ ერთმანეთთან ახლოს მისვლა, მაგრამ წყალზე გადაფრენას ვერ ახერხებდნენ.

— ჩაკვა, მოვიდე შენთან?

— არა, ჩაკვი.

— ჩაკვი, მოვიდე შენთან?

— არა, ჩაკვა, — ეხმიანებოდნენ ერთმანეთს, ორივენი კედლის გასწვრივ თავ-თავის ტბაში დაცურავდნენ და საბრალო დედოფლის მწარე ბედს დასტიროდნენ.

ცოლის სიკვდილით დადარდიანებული მეფე ერთ დღეს სანადიროდ წავიდა და სწორედ იმ ხვიარა ბალახებშემოვლებულ კედელს მიადგა. კედელთან ვარდები და ნარგიზები ყვაოდნენ, ორ პატარა ტბაში ჩიტები დაცურავდნენ, ირგვლივ კი ამწვანებული მოლი გადაბიბინებულიყო. ხელმწიფე მოლზე წამოწვა და გაიგონა, როგორ გასძახოდნენ ჩიტები ერთმანეთს, როგორ დასტიროდნენ საბრალო დედოფლის ბედს. ახლა კი მიხვდა მეფე, რომ დედოფალი მირჩა უდანაშაულო იყო და ჩიტებს უფრო გულდაგულ მიუგდო ყური.

— ნუთუ მისი გაცოცხლება არ შეიძლებაო? — იკითხა ჩაკვიმ.

— როგორ არ შეიძლება, დედოფლის სული ჩვენშია დასახლებული. თუ ხელმწიფე ჩვენს თავებს ერთმანეთს მიადებს და ორივეს ერთსა და იმავე წამს წაგვაცლის,

დედოფალი გაცოცხლდება, მაგრამ თუ ამ პირობას ვერ შეასრულებს და ერთერთი ჩვენგანი მეორეზე უფრო ადრე მოკვდება, მაშინ აღარც ჩვენ ვიქნებით და აღარც დედოფალი გაცოცხლდებაო, — უპასუხა ჩაკვამ.

ხელმწიფე ზუსტად ისე მოიქცა, როგორც ჩიტებმა თქვეს. დედოფალი მირჩა, მართლაც, მის წინ გაჩნდა, ხელში თავისი პატარა ვაჟი ეჭირა. დედოფალი გაცოცხლდა, მაგრამ ირგვლივ ყველაფერი ისევე დარჩა, როგორც იყო: კედელიც, მცენარეებიც, ტბებიც, ჩიტებიც, მწვანე მოლიც, ვარდებიცა და ნარგიზებიც.

ხელმწიფემ მირჩას ხვეწნა-მუდარა დაუწყო: წამოდი სასახლეში და იმ ბოროტ დედაკაცებს სულ ყველას დავსჯიო, მაგრამ დედოფალმა არ მოინდომა.

— ამ თეთრ კედელთან, ამ ტბებთან, ვარდებსა და ნარგიზებთან უნდა დავრჩე, რომ ვერც ერთმა მოშურნემ ვერ მომაგნოსო.

სწორედ იმ წუთს, მირჩა ამას რომ ამბობდა, ჯინს გამოეღვიძა და დედოფლის სიტყვები გაიგონა.

— შენი ნება იყოსო, — თქვა ჯინმა და მირჩასა და მისი ქმარ-შვილისათვის თეთრ კედელთან მაშინვე დიდებული, ჯადოსნური სასახლე წამოჭიმა.

იმ დღიდან ყველანი იქ ცხოვრობენ ტკბილად და ბედნიერად.

<u>რაჯა ჰარიჩანდის დასჯა</u>

იყო და არა იყო რა, იყო ერთი დიდებული რაჯა ჰარიჩანდი. რაჯა ყოველ დილით, ვიდრე დაიბანდა და პურს ჭამდა, ღარიბ-ღატაკებს ღვთის სახელით ას ოქროს ურიგებდა.

— ღმერთი მაძლევს ყველაფერს, რის ბატონ-პატრონიცა ვარ და ოქროს მისი სახელით მეც იმიტომ ვარიგებო, — ამბობდა ჰარიჩანდი.

ღმერთმა რომ გაიგო, რაჯა ჰარიჩანდი კეთილი კაცია და ღმერთიც უყვარსო, გადაწყვიტა, მიწაზე ჩამოსულიყო და შეემოწმებინა, ხალხი მართალს ამბობდა თუ ტყუილს. ღმერთმა დერვიშის სახე მიიღო და რაჯას სასახლის კარებთან დადგა. იმ დღეს რაჯას უკვე გაეცა ასი ოქრო, დაებანა და ეჭამა კიდეც. ამიტომ, როცა მისმა მსახურებმა მოახსენეს, სასახლის კარებთან დერვიში დგასო, თქვა:

— გადაეცით, რომ ხვალ მოვიდეს. რაკი რაჯამ დაიბანა და ჭამა, შენი მიღება აღარ შეუძლია-თქო.

ღმერთი წავიდა და მეორე დღეს ისევ ისე დაგვიანებით მოვიდა: ოქრო უკვე დარიგებული იყო და რაჯა ისვენებდა. ჰარიჩანდმა მსახურებს იგივე უბრძანა:

— დერვიშს გადაეცით, რომ ხვალ მოვიდეს, დღეს ისევ დაიგვიანაო.

მესამე დღეს ღმერთი ისევ დაგვიანებით მივიდა. რაჯა უკვე წასულიყო.

მისი მოსვლა რომ მოახსენეს, რაჯა გაჯავრდა:

— ვინ არის ეს დერვიში, სულ ასე რომ იგვიანებს! აბა, ერთი ჰკითხეთ, რა უნდაო.

მივიდნენ მსახურები დერვიშთან და ჰკითხეს:

— რაჯა ჰარიჩანდმა შემოგითვალა, რა გინდაო?

— ფულს არა ვთხოვ, მე მხოლოდ ის მინდა, რომ რაჯამ თავისი ცოლი დამითმოსო, — უპასუხა ღმერთმა.

რაჯამ ეს რომ გაიგო, სულ ცოფები ყარა. მერე თავის ცოლთან, რანი ბაჰანთან მივიდა და უთხრა:

— სასახლის კარებთან დერვიში დგას და ითხოვს, რაჯამ ცოლი დამითმოსო. გაგონილა მსგავსი რამე? დერვიში შენს თავს, ჩემს ცოლსა მთხოვსო.

რანი ჭკვიანი ქალი იყო, ის მუდამ ერთ იშვიათ და ბრძნულ წიგნს კითხულობდა. ის წიგნი იმას ყველაფერს ასწავლიდა. ქალი მიხვდა, ეს უბრალო დერვიში კი არა, ღმერთი არისო. იმ ბრძნული წიგნის წაკითხვას, რანი რომ კითხულობდა, მაშინ ათას კაცში ერთი თუ შეძლებდა ხოლმე და ახლა ხომ ვეღარავინ კითხულობს. რანიმ რაჯა ჰარიჩანდს ურჩია:

— მიდი იმ დერვიშთან და უთხარი: ნუ წუხხარ, ჩემს ცოლს დაგითმობ-თქო. მისთვის მხოლოდ დაპირებაც საკმარისი იქნებაო.

— არა, ამას ვერ ვიზამო, — უპასუხა რაჯამ.

ბევრი ეხვეწა რანი რაჯას, უთხარი იმ დერვიშს ჩემს ცოლს მოგცემ-თქო, მაგრამ ვერა და ვერ დაიყოლია. კიდევ მეტი, რაჯამ ბრძანა დერვიში ეცემათ და გაეგდოთ. ასეც მოიქცნენ.

ღმერთი დაბრუნდა თავის საბრძანებელში, იხმო ორი ანგელოზი და უბრძანა:

— ადამიანებად გადაიქეცით, რაჯა ჰარიჩანდთან წადით და უთხარით: ღმერთმა გამოგვგზავნა და შემოგითვალა: რა გირჩევნია — თორმეტი წელი შიმშილობა და გვალვა, თუ თორმეტი საათის განმავლობაში კოკისპირული წვიმაო?

ანგელოზები მივიდნენ და რაჯას ღმერთის დანაბარები გადასცეს. ჰარიჩანდმა დიდხანს იფიქრა, რა ერჩია. კოკისპირული წვიმა თუ მოვა, მთელ ქვეყანას წალეკავს, გვალვაში კი, თუ შიმშილი იქნა, იმდენი ოქრო მაქვს, ჩემთვისაც და მთელი ჩემი ხალხისთვისაც პურს სხვა ქვეყნებში ვიყიდიო, — გადაწყვიტა ბოლოს და — შიმშილს ვირჩევო, — უპასუხა ანგელოზებს.

მაშინ ანგელოზები სასახლეში შევიდნენ, როგორც კი ზღურბლს გადააბიჯეს, ყოველივე სულიერი, რაც სასახლეში ჰყავდათ — ხარები, ძროხები, ცხენები და სხვა საქონელი, მსახურები და ნაზირვეზირები — გაქვავდა. ყველაფერი გაქვავდა გარდა ოქრო-ვერცხლისა. ოქრო-ვერცხლი დანახშირდა. მხოლოდ რაჯა ჰარიჩანდი და რანი ბაჰანი გადარჩნენ ცოცხლები.

— სამი კვირის განმავლობაში საჭმელს ვერ იშოვით. კიდეც რომ იშოვოთ რამე, ან ვინმემ მოგცეთ, მაშინაც ვერ შეძლებთ ჭამას, მაგრამ შიმშილით არ დაიხოცებით, ცოცხლები გადარჩებითო, — უთხრეს ანგელოზებმა და გაქრნენ.

როცა ჰარიჩანდმა დაინახა, რომ მის სასახლეში ყველაფერი სულიერიცა და უსულოც — გაქვავდა, ხოლო ოქრო-ვერცხლი დანახშირდა, ძალიან შეწუხდა და ცოლს უთხრა:

— მე აქ დამრჩენი აღარა ვარო. დიდებული რაჯა ვიყავი და ახლა პური ჩემს ქვეშევრდომებს როგორ ვთხოვო? დერვიშებად გადავიცვათ და სხვა ქვეყანაში წავიდეთო.

ცოლ-ქმარმა, მართლაც, დერვიშების ტანისამოსი გადაიცვეს და სასახლიდან წავიდნენ. გზად ტყე უნდა გაევლოთ. ტყეში მათ დახუნძლული ქლიავის ხე დაინახეს.

— ქლიავი დამიკრიფე, ძალიან მშიაო, — სთხოვა რანიმ რაჯას.

ის იყო რაჯამ ხელი გაიშვირა, რომ უეცრად ხეს მთელი ნაყოფი მოწყდა და ჰაერში აფრინდა. დაუშვა ხელი რაჯამ თუ არა, ქლიავი მაშინვე ტოტებს დაეკიდა. სამჯე სცადა ჰარიჩანდმა ქლიავის დაკრეფა, მაგრამ ვერა და ვერ მოახერხა.

რა უნდა ექნათ? განაგრძეს გზა. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ერთ უცხო ქვეყანაში მივიდნენ. გაიხედეს და ტბა დაინახეს. ამ ტბაში ხალხი თევზს იჭერდა.

— წადი, იმ ხალხს ცოტა თევზი სთხოვე, ძალიან მშიაო, — სთხოვა ქმარს რანიმ.

რაჯაც წავიდა იმ უცნობ ხალხთან და უთხრა:

— მე დერვიში ვარ და ფული არა მაქვს. ცოტა თევზი მომეცით, ოთხი დღეა ჩემს პირში ლუკმა არ ჩასულაო.

ჰარიჩანდს მისცეს თევზი. რაჯა და რანი თევზის მოსახარშად მეორე ტბასთან წავიდნენ. რანიმ გაწმინდა თევზი, გაასუფთავა და გარეცხა. მერე კი ქმარს უთხრა:

— ჭურჭელი რომ არა გვაქვს, რაში მოვხარშო, მოდი, ქალაქში წადი, ვინმეს თავსახურიანი ქოთანი სთხოვე და ერთი ბეწო მარილიც გამოაყოლეო.

წავიდა რაჯა ქალაქში. ბაზარში ვიღაცამ მართლაც მისცა ქოთანი. ერთმა ვაჭარმა კი შიგ მარილიც ჩაუყარა. დაბრუნდა რაჯა რანისთან, ხის ძირას ცეცხლი გააჩაღეს, ჩადეს თევზი ქოთანში და შედგეს მოსახარშად. მაშინ ჰარიჩანდმა თქვა:

— რამდენი დღეა არ მიბანავია. წავალ, დავიბან, მანამდე თევზიც მოიხარშება, მოვალ და ვჭამოთო.

რაჯა საბანაოდ წავიდა, რანი კი თევზის მოხარშვას შეუდგა: ხუფი უნდა ავხადო, თორემ თევზი უგემური გამოვაო, გაიფიქრა რანიმ და ქოთანს ხუფი ახადა. მაგრამ, ჰოი, საკვირველებავ! ძლივს მოასწრო რანიმ ხუფის ახდა, რომ თევზი ქოთნიდან ამოხტა და ტბაში შეცურა. ძალიან შეწუხდა რანი, მაგრამ გადაწყვიტა ამ ამბავს ქმარს არ ვეტყვიო. როცა რაჯა დაბრუნდა და თქვა, ახლა კი ვჭამოთო, — რანიმ უპასუხა:

— ოთხი დღის უჭმელი ვიყავი, ვეღარ მოვითმინე და თევზი სულ შემეჭამაო.

— არა უშავს, მერე რა მოხდაო, — მიუგო რაჯა ჰარიჩანდმა და გზა განაგრძეს.

მეორე დღეს რაჯა და მისი ცოლი ტყეს მიადგნენ და იქ ორი მტრედი დაინახეს. რაჯამ მტრედები მშვილდ-ისრით დახოცა. მერე გაბდღვნა, გაწმინდა, ცეცხლი გააჩაღა და მტრედები მოსახარშად შედგა.

— ახლა ჩემი დაბანის ჯერია. მეც ხომ რამდენიმე დღის დაუბანელი ვარ, წავალ, დავიბან, და საჭმელი მერე ვჭამოთო, უთხრა რანიმ რაჯას და საბანაოდ წავიდა.

რაჯა ცეცხლთან მარტო დარჩა. ხუფი თუ არ ავხადე, მტრედი უგემური გამოვაო, — გაიფიქრა რაჯამ და ქოთანს სახურავი ახადა, მაგრამ ვაი, იმ ახდას! მტრედებმა ფრთა ფრთას შემოჰკრეს და გაფრინდნენ. მაშინ კი მიხვდა ჰარიჩანდი, გუშინდელ თევზებს რაც დაემართებოდა. როცა რანი დაბრუნდა, რაჯამ უთხრა:

— მტრედები ზუსტად ისევე შემეჭამა, როგორც გუშინ შენ თევზები შეჭამეო.

რანი მიხვდა, რაჯამ გუშინდელი ამბავი გაიგოო.

რანიმ და რაჯამ გზა განაგრძეს. უცებ რაჯა ჰარიჩანდს ცხიმით მოვაჭრე, შეძლებული განგა ტელი მოაგონდა.

— წამოდი, განგა ტელისთან წავიდეთ, უეჭველად მიგვიღებსო, — უთხრა რანიმ.

განგა ტელის სახლამდე კარგა შორი მანძილი ჰქონდა გასავლელი, რომ მივიდნენ, განგა ტელიმ ცოლ-ქმარი მაშინვე იცნო და ჰკითხა: რა გჭირთ, თქვენს თავს რა ამბავიაო.

— ღმერთმა ასე ინებაო, — უპასუხა რაჯამ და რანიმ.

ცხიმით მოვაჭრე განგა ტელიმ იფიქრა: რაკი ამათ ღმერთი აღარა სწყალობს, არც ჩემი მზრუნველობა სჭირდებათო და რაჯასა და რანის ერთი ჭუჭყით სავსე კუთხე მიუჩინა, ერთი უხეირო ლოგინი მიუგდო და ისეთი საჭმელი მისცა, პირს ვერავინ დააკარებდა.

— ვიდრე მდიდრები და ძლიერები ვიყავით, განგა ტელი პატივითა და დიდებით გვიღებდა, ახლა კი როგორ გვექცევა. ჩვენი აქ დარჩენა შეუძლებელიაო, — გადაწყვიტა დამწუხრებულმა ცოლ-ქმარმა და იქაურობას გაშორდნენ.

დამშეულმა რაჯამ და რანიმ, ვიდრე სხვა ქვეყანას მიადგებოდნენ, მთელი ერთი კვირა იარეს. იმ ქვეყანაში ჰარიჩანდის მეგობარი კაცი, ბჰოჯა მეფობდა. ბჰოჯამ

ჰარიჩანდი და ბაჰანი ალერსიანად მიიღო და გამოჰკითხა, ამ დღეში რა მიზეზით ჩაცვივნულხართო.

— ღმერთმა ასე ინებაო, უპასუხეს რაჯამ და რანიმ.

ბჰოჯამ სტუმრები სასახლეში დააბინავა და ბრძანა, საუკეთესო სადილი მიერთმიათ. მსახურებმაც მოამზადეს, თუ კი რამ კარგი მოიფიქრეს და სტუმრებს მიართვეს. მაგრამ რაჯა და რანი სასადილოდ დასხდნენ თუ არა, საჭმელი მატლით აივსო და პირი ვერაფერს დააკარეს. რაჯასა და რანის ხმა არ ამოუღიათ. ილოცეს და საჭმელი მიწაში ჩაფლეს.

იმ სახლის ერთ-ერთ ოთახში, სადაც ჰარიჩანდი და მისი ცოლი ცხოვრობდნენ, ბჰოჯას ასულს თავისი ყელსაბამი დაეტოვებინა, ყელსაბამი კედელზე ეკიდა. იმ ღამეს რანი ბაჰანის ძილი გაუტყდა და აი, რა დაინახა: უეცრად კედელი გაიბზარა, ბჰოჯას ასულის ოქროს ყელსაბამი ჩაიტანა და ისევ გამთელდა, შეშინებულმა რანიმ მაშინვე ქმარი გააღვიძა და ყველაფერი უამბო.

— სჯობს აქედან წავიდეთ, თორემ ბჰოჯა დილით ყელსაბამს ვერ იპოვის და ჩვენ დაგვაბრალებს. კედლის მტვრევა და ყელსაბამის ძებნა კი ამაო საქმე იქნებაო, — უთხრა ჰარიჩანდმა.

რაჯი და რანი ადგნენ და წავიდნენ. როცა ხელმწიფე ბჰოჯამ ყელსაბამის დაკარგვის ამბავი შეიტყო, მაშინვე გაიფიქრა, ყელსაბამს სტუმრები წაიღებდნენო.

რაჯა ჰარიჩანდი და რანი ბაჰანი ისევ გზას დაადგნენ და ახლა თავიანთი მეორე მეგობრის, მეფე ნალას საბძანებელში მივიდნენ. მივიდნენ, მაგრამ ისეთ დღეში იყვნენ, სასახლეში გამოჩენისა რცხვენოდათ.

ის სამი კვირა, რომლის განმავლობაშიც ანგელოზების სიტყვით მათ უნდა ეტანჯათ, თითქმის იწურებოდა, ვადის გასვლას ორი დღე-ღა აკლდა. ამიტომ რანიმ რაჯას უთხრა:

— ჭამას ჩვენ ორი დღის შემდეგ შევძლებთ. მანამდე ტყეში წადი, ბალახი დაგლიჯე და ბაზარში გაყიდე. აღებული ფულით ცოტაოდენ საჭმელს ვიყიდითო.

რაჯა წავიდა ტყეში, მაგრამ ნამგალი არა ჰქონდა და ბალახი სულ ხელით დაგლიჯა. ნახევარი დღე იმუშავა, მერე წაიღო, ბალახი გაყიდა და ცოტაოდენი ფული იშოვა. აღებული ფულით საჭმელი იყიდა. რაჯამ და რანიმ ილოცეს, მოამზადეს საჭმელი და რაკი სამი კვირა უკვე გასული იყო, ჭამა შეძლეს.

რაჯა და რანი მეფე ნალას საბრძანებელში დარჩნენ და ბაზრის ახლოს ერთ ქოხში დასახლდნენ. რაჯა ჰარიჩანდი ყოველდღე დადიოდა ბალახის საგლეჯად, მერე ბაზარში მიჰქონდა და ჰყიდდა. ასე ირჩენდნენ თავს. რანი კი ყოველდღე ცოტა ფულის დაზოგვას ცდილობდა. ამ დანაზოგით ორი წლის შემდეგ რაჯამ და რანიმ ნამგალი იყიდეს. ამის შემდეგ რაჯა უფრო მეტ ბალახს ყიდდა და რანიმ ბაზარში ჭრელ-ჭრელი აბრეშუმის ყიდვაც კი შეძლო.

რაჯა ბალახის საგლეჯად მიდიოდა, რანი ნაყიდი აბრეშუმისაგან ცხენის აკაზმულობის ნაწილებს ამზადებდა. ოთხ წელიწადში რანიმ ოთხი ცხენის აკაზმულობა მოამზადა და მეფე ნალას სასახლეში წაიღო. აკაზმულობა ყველას ძლიერ მოეწონა და ხელმწიფესაც უჩვენეს.

— საიდან მოიტანეთ? ასეთი ხელსაქმე მხოლოდ რანი ბაჰანამ იცისო, — მაშინვე თქვა ხელმწიფემ.

— ვიღაც ღარიბმა დედაკაცმა მოიტანაო, — უპასუხეს მსახურებმა.

— ის დედაკაცი ახლავე აქ მომგვარეთო.

მოიყვანეს რანი. ქალმა ხელმწიფე დაინახა თუ არა, ტირილი აუტყდა. გაკვირვებულმა ხელმწიფემ ჰკითხა:

— ეს რა მოგსვლია, რანი, ამ დღეში რადა ხარო?

— ღმერთმა ასე ინებაო, — უპასუხა რანიმ.

— შენი ქმარი სადღა არისო?

— ტყეში ბალახსა გლეჯსო.

ნალამ მსახურები მაშინვე ტყეში გაგზავნა და უბრძანა, რაჯა ჰარიჩანდი სასახლეში მოიყვანეთო. მეფის მსახურების დანახვაზე ჰარიჩანდი შეცბა. მსახურებმა იგი სასწრაფოდ მიიყვანეს სასახლეში. ნალამ თავისი ძველი მეგობარი მათხოვარივით ჩამოკონკილი რომ დაინახა, ატირდა:

— კი მაგრამ, ეს როგორ მოხდაო?

— ღმერთმა ასე ინებაო, — უპასუხა ჰარიჩანდმა.

ნალამ თავისი მეგობარი სასახლეში დააბინავა და ძვირფას ტანსაცმელში გამოაწყო. მერე საუკეთესო კერძების მომზადება ბრძანა და სამზადისს თვითონვე ადევნებდა თვალყურს, რომ ყველაფერი წესრიგში ყოფილიყო.

— ძველი დრო მოვიგონოთ და დღეს ერთად ვისადილოთო.

— როგორც გნებავსო, — უპასუხა რანიმ და გულში კი იფიქრა: ალბათ, რაღაც დიდი უბედურება გვეწვევა. მეფე ისე კარგად გვექცევა და ყველაფერი ისე კარგად მოეწყო, რომ ეტყობა, უბედურებას ვერ ავცდებითო. რანიმ ყველაფერი ყურადღებით შეათვალიერა, ილოცა და ღმერთს შეევედრა, მისთვისა და მისი ქმრისათვის წყალობის თვალით გადმოეხედა. სადილობამ მშვიდობიანად ჩაიარა. რაჯამ და რანიმ ოთხწელიწად-ნახევარი ბედნიერად იცხოვრეს მეფე ნალასთან, ცუდი არაფერი შემთხვევიათ.

რაჯა ჰარიჩანდის სამეფოში კი გლეხები კვლავ ხნავდნენ და ფარცხავდნენ მიწას. თუმცა ცვარიც კი არსაიდან ეცემოდა და მიწა გამომშრალ-გამომხმარი იყო. ერთხელ ღმერთმა მაჰადეომ* (* მაჰადეო — სიტყვასიტყვით — «დიდი ღმერთი. შივას ერთერთი სახელწოდებაა.) დედამიწაზე გასეირნება მოინდომა და აქაც შემოიარა. გაკვირვებულმა მაჰადეომ გლეხებს ჰკითხა:

— რისთვის მუშაობთ, წვიმა ხომ მაინც არ მოდისო?

— მართალია, მაგრამ რომ არ მოვხნათ და დავფარცხოთ, მუშაობა დაგვავიწყდებაო, — უპასუხეს გლეხებმა.

მაჰადეო ისე უბრალოდ გამოიყურებოდა, რომ გლეხები ვერც კი მიხვდნენ მათ წინ ვინ იდგა. მართალს ამბობენო, — იფიქრა მაჰადეომ, — მეც ჩემს ბუკს თუ არ ჩავბერე, ჩაბერვა დამავიწყდებაო. აიღო ბუკი (მაჰადეოს ბუკი ზუსტად ისეთივეა, როგორიც დერვიშისა) და ჩაჰბერა. ჰარიჩანდის საბრძანებელს კი სწორედ ეს სჭირდებოდა, როცა ჰარიჩანდმა თორმეტწლიანი შიმშილი აირჩია, ღმერთმა თქვა:

— რაჯა ჰარიჩანდის საბრძანებელს წვიმა მანამ არ ეღირსება, სანამ მაჰადეო არ მოვა და თავის ბუკს არ ჩაბერავსო.

მაჰადეოს გადავიწყებოდა ღვთის ეს ბრძანება და ბუკს მაშინ ჩაბერა, როცა ჯერ მხოლოდ ათ-ნახევარი წელი იყო გასული.

ჩაბერა თუ არა მაჰადეომ თავის ბუკს, წამოვიდა შხაპუნა წვიმა და ირგვლივ ყველაფერი ისევ ისე გაცოცხლდა, როგორც შიმშილობამდე იყო.

გაცოცხლდა სასახლეც: ადამიანებმა, ოქრო-ვერცხლმა თავისი სახე მიიღო. ღმერთი არ გასწყრომია მაჰადეოს, რომ მისი მიზეზით ამ ქვეყანაში შიმშილი თორმეტ წელიწადს ვერ გაგრძელდა.

— რა უშავს, მაჰადეოს ბუკის ჩაბერვა თუ მაშინ მოუნდა, როცა შიმშილის დამთავრებას თვრამეტი თვეღა აკლდაო, — თქვა ღმერთმა.

როგორც კი სხვა ქვეყნებში წასულმა გლეხებმა წვიმის მოსვლის ამბავი შეიტყვეს, მაშინვე რაჯა ჰარიჩანდის საბრძანებელში დაბრუნდნენ.

ერთხელ რანი ბაჰანიმ სიზმარი ნახა, ვითომ ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა:

— შენ და რაჯა ჰარიჩანდი შინ უნდა დაბრუნდეთო.

რანიმ სიზმარი ქმარს უამბო. ნალამ რაჯასა და მის ცოლს ცხენები, სპილოები და აქლემები მისცა და თავიანთი საბრძანებლისკენ გაისტუმრა. რაჯასა და რანის თავიანთ ქვეყანაში ყველაფერი ისე დაუხვდათ, როგორც შიმშილობის დაწყებამდე იყო და ბედნიერად დასახლდნენ.

— ისე რომ მოქცეულიყავი, როგორც მე გირჩევდი, და იმ დერვიშს ჩემს თავს შეპირებოდი, მთელი ეს უბედურება აგვცდებოდაო, — უთხრა მაშინ რანი ბაჰანმა რაჯა ჰარიჩანდს.

რაჯამ და რანიმ კვლავ მოინახულეს ხელმწიფე ბჰოჯა. სტუმრები ისევ იმ ოთახში დააწვინეს, რომელშიც ადრე ეძინათ. და აი, ღამით მათ დაინახეს, რომ კედელი ისევ გაიბზარა, იქიდან ოქროს ყელსაბამი გადმოვიდა, დაეკიდა თავის ძველ ადგილზე და შემდეგ კედელი ისევ გამთელდა. მეორე დილას მათ ხელმწიფე ბჰოჯას ჩვენს ყელსაბამი და ყველაფერი უამბეს, რაც იმ ღამეს გადახდათ.

— მაშინ აქედან, აი, ამ ყელსაბამის გამო გავიქეცითო, — უთხრეს.

განგა ტელისთან კი რაჯა ჰარიჩანდი და რანი ბაჰანი აღარასოდეს მისულან.

ბრაჰმანი და გარეული ბატები

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ბრაჰმანი. ამ ბრაჰმანს ოჯახი დიდი ჰქონდა, შემოსავალი კი — ცოტა. ამიტომ ყოველდღე ბაზარში დადიოდა მოწყალების სათხოვნელად, მაგრამ რამდენიც არ უნდა ევლო ერთ საათსა, თუ მთელ დღეს, შინ მაინც ორ გირვანქა ფქვილზე მეტი ვერასოდეს მოჰქონდა.

ბრაჰმანის ცოლი შეეჭვდა, ალბათ, ჩემი ქმარი, რასაც აძლევენ ჰყიდისო, და ჩხუბი დაუწყო.

ბრაჰმანი ძალიან შეწუხდა და ცოლის საყვედურებისაგან შეურაცხყოფილმა ბოლოს და ბოლოს თავის დახრჩობა გადაწყვიტა. მაგრამ რამდენჯერაც კი გადახტა მდინარეში, იმდენი შეეშინდა და ისევ უკან ამოხტა. ასე რამდენიმეჯერ გაიმეორა: გადახტებოდა წყალში — ისევ ამოხტებოდა, გადახტებოდა, — ისევ ამოხტებოდა.

სწორედ ამ წყლის პირას ბატებს საბუდარი ჰქონდათ გამართული და შიგ ისხდნენ. ბატები უყურებდნენ ადამიანს და უკვირდათ: ეს კაცი რას სჩადის, რას ჩახტება ხოლმე წყალში და რას ამოხტებაო.

ბოლოს მამალმა ბატმა ვეღარ მოითმინა და ცოლს უთხრა:

— უნდა წავიდე და გავიგო, ის კაცი რას აკეთებსო.

დედალმა ბატმა დაუშალა:

— ადამიანების არაფერი გაიგება, ვინ იცის, რას არ ჩაიდენენო.

მაგრამ მამალმა ბატმა ცოლს არ დაუჯერა, მივიდა ბრაჰმანთან და ჰკითხა:

— აგრე უცნაურად რად იქცევიო?

ბრაჰმანმაც სინამდვილე უამბო. მაშინ ბატმა უთხრა:

— თვალები დახუჭე და მანამდე იდექი ასე, სანამ არ გეტყვი, გაახილე-მეთქი.

ბრაჰმანიც ასე მოიქცა. როცა თვალები გაახილა, ბატს ნისკარტში მშვენიერი ლალი ეჭირა.

— აჰა, წაიღე ეს ლალი და შენს გაჭივებას ბოლო მოეღებაო, — უთხრა ბატმა.

ბრაჰმანმა დიდი მადლობა გადაუხადა ბატს, ლალი მეზობელ სამეფოში წაიღო და ხელმწიფეს მიჰყიდა. ხელმწიფემ ლალში შვიდი საპალნე ვერცხლი მისცა. ბრაჰმანმა ფული წამოიღო და შინ გამდიდრებული დაბრუნდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ იმ ქვეყნის ხელმწიფე კეთრით გახდა ავად და სამკურნალოდ ექიმები იხმო. ერთ-ერთმა ექიმმა უთხრა, კერის მორჩენა მხოლოდ და მხოლოდ გარეული ბატის ქონით შეიძლებაო. ამ სამეფოში კი გარეული ბატი იშვიათი იყო. ხელმწიფემ ისევ ის ბრაჰმანი იხმო, რომლისაგანც ლალი იყიდა და უთხრა: დიდძალ ფულს მოგცემ, ოღონდ გარეული ბატის ქონი მიშოვეო. თუმცა ბრაჰმანს აღარ უჭირდა, მაგრამ ფულს მაინც დახარბდა, ბატის სიკეთე დაივიწყა და მის დასაჭერად წავიდა, ხელმწიფისათვის გარეული ბატის ქონი უნდა მიეტანა. ბრაჰმანი მდინარის პირას ისევ იმ ადგილას მივიდა და წყალში ხტომა იწყო. ჩახტებოდა — ისევ ამოხტებოდა, ჩახტებოდა — ისევ ამოხტებოდა.

კეთილ ბატს ეგონა, ბრაჰმანს ისევ რაღაცა უჭირსო, გამოიქცა და ჰკითხა:

— რა გაგჭირვებიაო?

— შენი ნახვა მომენატრაო, — უპასუხა ბრაჰმანმა და ბატი უფრო ახლოს მიიხმო.

მიამიტი ბატი ბრაჰმანს მიუახლოვდა. ბრაჰმანმა კი სტაცა ხელი, ჩასვა ტომარაში ისე, რომ ტომრიდან ბატს მხოლოდ თავი უჩანდა და ხელმწიფისაკენ გაეშურა.

ბატი მთელი გზა ტიროდა, მისი ცრემლები დედამიწას მარგალიტებად ეფინებოდა. იმავე გზაზე, თურმე, უფლისწულიც მიდიოდა. უფლისწულმა მარგალიტები რომ დაინახა, კვალს გაჰყვა, ბრაჰმანს დაეწია და ჰკითხა:

— რა მიგაქვს, შენს ნაკვალევზე მარგალიტი რადა ყრიაო?

ბრაჰმანი მიედ-მოედო, ტყუილების ჩმახვას მოჰყვა, მაგრამ უფლისწულმა არ აცალა. ტომარა გამოართვა, გახსნა და შიგ ბატი კი ნახა. ბატმა უფლისწულს ყველაფერი უამბო. უფლისწული ძალიან გაუჯავრდა ბრაჰმანს და ბატი გაუშვა.

მაშინ ბრაჰმანი ხელმწიფესთან მივიდა და უთხრა: თქვენმა ვაჟმა ბატი წამართვა და გაუშვაო. განრისხებულმა ხელმწიფემ შვილი თავის სამეფოდან გააძევა. გაძევებული უფლისწული ბატთან მივიდა და თავშესაფარიცა და საჭმელ-სასმელიც მისგან მიიღო.

მაგრამ მადლიერმა ბატმა მოინდომა, უფრო მეტი ერგო უფლისწულისთვის და მისთვის საცოლის შოვნა გადაწყვიტა. იქვე ახლოს, ერთ სასახლეში, მზეთუნახავი მეფის ასული ცხოვრობდა. ღამით, როცა ყველას ეძინა, მამალი და დედალი ბატები შეფრინდნენ სასახლეში და მეფის ასული მოიტაცეს. ბატებმა ფრთები გადააჯვარედინეს, მეფის ასული ზედ დაიწვინეს და ასე ციმციმ მიჰგვარეს უფლისწულს. დილით მეფის ასულმა ნახა, რომ მდინარის პირას წევს და გაოცდა. მაშინ უფლისწულმა ყველაფერი უამბო, რაც მოხდა, და ქალიც სიამოვნებით დათანხმდა ცოლობაზე. ბატებმა ძალზე ძვირფასი საჩუქრები — უამრავი ოქრო-ვერცხლი და თვალ-მარგალიტი უძღვნეს მეფე-დედოფალს და ისინიც მეფის ასულის სასახლეში ბედნიერად დასახლდნენ.

<u>მზის, მთვარისა და ქარის სადილად წასვლის ამბავი</u>

ერთხელ მზე, მთვარე და ქარი ძია ქუხილთან და დეიდა ელვასთან წავიდნენ სადილზე. მათი დედა კი, ცის ყველაზე შორეული ვარსკვლავი, შინ დარჩა.

მზე და ქარი ისეთი ხარბები იყვნენ, თავიანთი თავის გარდა არავინ აგონდებოდათ. ახლაც, სადილზე, თვითონ კარგა ლაზათიანად გამოძღნენ და დედა არც კი გაიხსენეს. მთვარე — პირიქით, ნაზი და გულკეთილი იყო: დედისთვის რომ

არ შეენახა, ისე პირს არაფერს დააკარებდა. სუფრაზე საჭმელს მოიტანდნენ თუ არა, ნაწილს დედას უნახავდა ფრჩხილებქვეშ. მთვარეს მეტად გრძელი და ლამაზი ფრჩხილები ჰქონდა.

როცა ყველანი შინ დაბრუნდნენ, დედამ ჰკითხა:

— აბა, შვილებო, სადილზე რა ჭამეთ, ანდა მე რა მომიტანეთო?

უფროსმა შვილმა — მზემ — უთხრა:

— მე გამოვძეხი კარგად. იქ იმიტომ ხომ არ წავსულვარ, რომ შენთვის რამე მომეტანაო.

ახლა ქარმა უთხრა:

— რატომ გეგონა, ვითომც შენი საჭმლის მოსატანად წავედი? იქ მე თვითონ გავერთე, გავძეხი და მოვედიო.

მთვარემ კი დედას უთხრა:

— სინი მომიტანეო, — და ისეთი გემრიელი საჭმელები გადმოალაგა, როგორიც არასოდეს ეგემნათ.

მაშინ შორეულმა ვარსკვლავმა მზეს უთხრა:

— რაკი შენ მარტო შენს სიამოვნებაზე ფიქრობდი და დედა არ გაგახსენდა, ასეთი სასჯელი დაგედება: დღეიდან შენი სხივები ისეთი მცხუნვარე იქნება, ყველა შეგიძულებს და შენს დანახვაზე თავზე რამეს დაიფარებსო.

ამიტომ არის ინდური მზე ასეთი მცხუნვარე.

ვარსკვლავი ახლა ქარს მიუბრუნდა:

— ხარბო და თავკერძავ! დედა არ მოგგონებია? დღეიდან არც შენ იქნები სასიამოვნო ხალხისათვის, შენი ქროლვა ადამიანებისათვის მხოლოდ ალმურის მომტანი იქნება, რის გამოც ყველა შეგიძულებს და შენგან გაქცევას ეცდებაო.

ამიტომ არის ნინდური ქარი ასე უჩვეულოდ ცხელი.

მთვარეს კი დედამ უთხრა:

— ჩემო საყვარელო ასულო! მარტო შენ გაგახსენდა დედა და იზრუნე მასზე, ამიტომ ყოველთვის ნათელი და გრილი იქნები და ადამიანიც მუდამ მადლიერი გეყოლებაო.

ამიტომ არის ინდური მთვარიანი ღამეები ნაზი, გრილი და საამო.

ახლა ხომ გაიგეთ, რატომ არიან ინდური მზე, ქარი და მთვარე ასეთები?

<u>ცნობისმოყვარე ვიკრამჯიტი</u>

ერთ დროს ინდოეთში მეფე ვიკრამჯიტი ცხოვრობდა, მას მეტსახელად ცნობისმოყვარე ვიკრამჯიტს ეძახდნენ, იმიტომ, რომ ყველაფერს კითხულობდა. უნდოდა სცოდნოდა, რა ხდებოდა მის სამეფოში და როგორ ცხოვრობდნენ მისი ქვეშევრდომები. გადაცმული მეფე ღამღამობით სატახტო ქალაქის ქუჩებს მოივლიდა ხოლმე, ყველას ამბავს იგებდა და დილაობით, როცა მასთან საჩივლელად მივიდოდნენ, ხალხს სამართლიანად სჯიდა.

ღამღამობით სიარულის დროს მეფემ შეამჩნია, რომ ერთი ვაჭრის ცოლი (ვაჭარი ამ დროს სამოგზაუროდ იყო წასული) ყოველღამე დოქით მდინარეზე მიდიოდა და თან კერძები მიჰქონდა. დოქს წყალში ჩაუშვებდა, თვითონ ზედ დაჯდებოდა და მეორე ნაპირზე გადიოდა. საჭმელს იქ ერთ განდეგილს მისცემდა, მეორე დილას დაბრუნდებოდა, დოქს წყლით აავსებდა და შინ მიჰქონდა. ინდოეთში ქალები, ჩვეულებრივ, დილაობით დადიან ხოლმე წყალზე და ამიტომ ვაჭრის ცოლის საქციელში ეჭვი არავის შეუტანია.

ერთ მშვენიერ დღეს ქმარი მოგზაურობიდან შინ დაბრუნდა. ვიდრე ქმარს მიხედავდა და გაუმასპინძლდებოდა, ვაჭრის ცოლს განდეგილთან მისვლა დააგვიანდა. განრისხებულმა განდეგილმა არც კი მოუსმინა, ქალი როგორ იმართლებდა თავს.

— შენს ქმართან მე რა მესაქმება, განა წმიდა განდეგილს სჯობია? ახლავე წადი და თვალ-მარგალიტის ყუთი რომ ჩამოიტანა, აქ მომიტანეო.

ქალმა მოუტანა თვალ-მარგალიტის ყუთი, მაგრამ განდეგილი კიდევ უფრო გაჯავრდა.

— ამით მე შენი გამოცდა მინდოდა, რატომ ახლე ხელი იმას, რაც შენ არ გეკუთვნოდა. ახლა წადი და თვალით აღარ დამენახოო.

შერცხვენილი ქალი შინ დაბრუნდა და რას ხედავს: სახლში ჩხრიალა გველი შეპარულა, ვაჭრისთვის უკბენია და მოუკლავს.

იმ სამეფოში ასეთი ჩვეულება იყო: კარგ ცოლებს ნება ჰქონდათ ხელმწიფისათვის ეთხოვნათ, რომ მიცვალებულ ქმართან ერთად კოცონზე დაეწვათ. ცუდ ცოლებს ამის ნებას არ აძლევდნენ. ვიკრამჯიტმა იცოდა, როგორ მოჰპარა ამ ქალმა ქმარს თვალ-მარგალიტის ყუთი და ამიტომ კოცონზე დაწვა აუკრძალა. ქალი ხელმწიფის დედასთან მივიდა — რამე მიშველეო. დედოფალიც დაპირდა დაგეხმარებიო, მერე შვილი იხმო და უთხრა:

— ამ ქალს ნება მიეცი თავის ქმართან დაწვან კოცონზე. რვა დღის შემდეგ კი გეტყვი, ამას რატომა გთხოვო.

მეფე ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, ხან აქედან მიუდგა დედას, ხან იქიდან, რომ ეთქმევინებინა რამე, მაგრამ დედოფალმა არა და არ უთხრა. სხვა რა გზა ჰქონდა მეფეს, დედას თხოვნა შეუსრულა და მოუთმენლად დაელოდა, როდის გავიდოდა ის რვა დღე.

დედოფალმა ვიკრამჯიტს უბრძანა, ერთი თხა წამოიყვანე და ამა და ამ ტაძართან მოდიო. ტაძართან რომ მივიდნენ, დედოფალმა შვილს უთხრა:

— მე ტაძარში შევალ და ვილოცებ, შენ გარეთ დამელოდე. როცა გამოვალ და გეტყვი მოკალი-მეთქი, ამ თხას ხმლით თავი წააცალეო.

დედოფალი ტაძარში შევიდა, ილოცა, ღმერთს მსხვერპლი შესწირა, ყვავილები და ხილეული მიართვა, მერე გარეთ გამოვიდა და თქვა: მოკალიო!

ვიკრამჯიტმა თხას მაშინვე წააცალა თავი.

მაშინ დედოფალმა უბრძანა:

— ახლა თხის თავზე შეჯექიო!

ვიკრამჯიტი შეჯდა და ჰოი, საკვირველებავ! — თხის თავი მაღლა, ჰაერში აფრინდა. იფრინა თხის თავმა, იფრინა და ბოლოს ერთ მაღალ ღობესთან დაეშვა. ღობის იქით უზარმაზარი, მშვენიერი ბაღი გაშლილიყო, შუაგულ ბაღში კი სასახლე იდგა. თხის თავი სასახლის წინ გაჩერდა და გაქრა. ვიკრამჯიტი სასახლეში შევიდა მასპინძლებს დაუწყო ძებნა, მაგრამ ვერავინ იპოვა. ერთ ოთახში სასმელ-საჭმელი იყო გაშლილი და იქვე ყალიონი იდო. ვიკრამჯიტმა ჭამა, დალია, ყალიონი მოსწია და დასასვენებლად მიწვა, მიწვა და მაშინვე ძილბურანში გაეხვია. რაც მომივა, მომივიდეს, მეტი აღარ შემიძლია, ძალიან მეძინებაო! — გაიფიქრა და დაიძინა.

ის სასახლე კი, თურმე, ერთ ციურ ფერიას* (* ფერია — მზეთუნახავი ჯადოქარი. მუსლიმანური აღმოსავლეთის ზებუნებრივი არსება. იგი კეთილია, ხან ბოროტი, ადამიანის მიმართ. მუსლიმანური კულტურის გავრცელებასთან ერთად ფერიის სახე ფართოდ გავრცელდა ინდურ ფილოსოფიაში.) ეკუთვნოდა. მალე სასახლის დასალაგებლად ფერიის მსახურები მოვიდნენ. მსახურებმა ვიკრამჯიტი რომ

დაინახეს, მოკვლა მოუნდომეს, მაგრამ ერთმა ბებერმა მოახლემ არ დაანება, ნუ მოვკლავთ, ქალბატონის მოსვლამდე დავიცადოთო, და იმათაც თავი დაანებეს. ვიკრამჯიტმა ერთი კარგად გამოიძინა; თვალი რომ გაახილა, თავის წინ მზეთუნახავი ქალი დაინახა და შემცბარმა გაიფიქრა: ახლა კი აღსასრულის დღე დამიდგაო.

მაგრამ ფერიამ უთხრა:

— ნუ გეშინია, შენ აქ ხელს არავინ გახლებს, შეგიძლია ამ სასახლეში განცხრომით იცხოვროო.

იმ დღიდან ვიკრამჯიტს ისეთი მხიარული ცხოვრება დაეწყო, როგორიც არასოდეს ენახა. ერთი დღე მეორეს არა ჰგავდა. ციურმა ბაღმა ვიკრამჯიტს დედამიწაც დაავიწყა და თავისი სამეფოც.

ერთხელ ციურმა ფერიამ შორს გაფრენა დააპირა, წასვლის წინ ვიკრამჯიტი იხმო და უთხრა:

— ჩემი ბაღისა და სასახლის ბატონ-პატრონად შენა გტოვებ. ჩემს დაბრუნებამდე იყავი და იცხოვრე ისე, როგორც მოგეპრიანოს. ოთხი დაკეტილი ოთახის გარდა, ყველაფერი შენს განკარგულებაში იქნება. აჰა, იმ ოთახების გასაღებები. ოღონდ, გახსოვდეს, დაკეტილი კარები არასოდეს გააღო, თორემ მერე ინანებ და გვიან იქნებაო.

ცნობისმოყვარე ვიკრამჯიტს სულმა წასძლია და კარების გახსნა მაინც გადაწყვიტა. გააღო პირველი კარი და რას ხედავს: დგას მშვენიერი შეკაზმული რაში, თითქოსდა მხედარსღა ელოდებაო. რაში უეცრად ადამიანის ენაზე ალაპარაკდა:

— გამარჯობა, ჩემო მხსნელო! რაც აქ მომიყვანეს, დღის სინათლე აღარ მინახავს. შემაჯექ და მთელ სამყაროს მოგანატრებ, ამქვეყნად რაც კი რამ მშვენიერია, ყველაფერს გაჩვენებ. იმ ადგილსაც კი ნახავ, სადაც ციური ფერიები ცეკვავენო.

ვიკრამჯიტი რაშს მოახტა და ჯადოსნურმა რაშმაც ქვეყნის მოსავლელად გააქანა. ერთი დღე თვალის დახამხამებაში გავიდა, საღამოს უკვე სასახლეში იყვნენ.

მეორე დილას ვიკრამჯიტმა მეორე აკრძალული კარი გააღო: სულ ერთია ერთხელ დავარღვევ პირობას, თუ ორჯერ. სამაგიეროდ, ვნახავ ამ კარს იქით რა არისო, — ფიქრობდა.

კარებს უკან, კედელზე უზარმაზარი სპილო იყო მიბმული. ზურგზე ოქროთი და ძვირფასი თვლებით მოჭედილი სამეფო ტახტრევანი ედგა. სპილო ვიკრამჯიტს შეპირდა, იმ ქვეყნებს მოგატარებ, შენს სიცოცხლეში რომ არ გინახავსო და ზურგზე შეისვა. მთელი დღე იმოგზაურა ვიკრამჯიტმა სპილოთი და სასახლეში კარგა შებინდებისას დაბრუნდა.

დილას ვიკრამჯიტმა ვეღარ მოითმინა, ახალი სასწაულების მოლოდინში იყო და ახლა მესამე კარი გააღო. მის წინ შეკაზმული აქლემი აღმოჩნდა. აქლემმა უხმოდ მოაბრუნა თავი და თვალებით ანიშნა, ზურგზე შემაჯექიო. ვიკრამჯიტმაც თავი ვეღარ შეიკავა და აქლემს ზურგზე მოევლო. შეაჯდა თუ არა აქლემს, ისეთი ყოფით გაქანდნენ ჰაერში, რომ მხედარს სუნთქვაც კი შეეკრა. ისინი თეთრ, ქათქათა გზაზე მიქროდნენ და ოქროსფერი ვარსკვლავები თავზე აწვიმდათ. აქლემმა ქროლვას უმატა და ვიკრამჯიტს მოეჩვენა, თითქოს მეტს ვეღარ შეძლებდა. მაშინ აქლემმა სვლა შეანელა და ბოლოს ერთი დიდი ზღვის პირზე გაჩერდა. ზღვაში გემები დაცურავდნენ და უზარმაზარი თევზები დასრიალებდნენ. აქლემმა ქვიშიანი ზღვის სანაპირო გადაირბინა, წყალში შევიდა და ვიკრამჯიტმა უეცრად სასახლეში ამოჰყო თავი. დაღამებულიყო კიდეც.

მეოთხე დილას ვიკრამჯიტი მეოთხე კარს მიადგა და ისიც გააღო. მის წინ ვირი იდგა. ვირი შეჰპირდა: შორეულ მხარეში წაგიყვან და არნახულ სასწაულებს გიჩვენებო. შეჯდა ვიკრამჯიტი ვირზე და, დახეთ საკვირველებას! თავისი საკუთარი სატახტო ქალაქის ახლოს არ ამოჰყო თავი! ვირმა უთხრა:

— ზურგი მეტკინა, ახლა ჩამოდი, უნდა დავისვენო. მე აქ ცოტას წავიბალახებ, შენ კი ბაზარში წადი, საჭმელი იყიდე და ისევ დაბრუნდიო.

მეფე ასეც მოიქცა, მაგრამ როცა დაბრუნდა, ვირი ვეღარსად ნახა. ვიკრამჯიტი მიხვდა, რომ ფერიის სასახლეში ვეღარასოდეს დაბრუნდებოდა. გამწარებულმა ვირს ძებნა დაუწყო, თან თმებს იგლეჯდა და მოთქვამდა, მაგრამ აბა, რაღა იქნებოდა. მალე ქალაქის მცხოვრებლებმაც დაინახეს და თავიანთი მეფე იცნეს. წავიდნენ და ეს ამბავი დედოფალს, ვიკრამჯიტის დედას, მოახსენეს. მალე დედოფალი მოვიდა და შვილმა მთელი თავისი თავგადასავალი უამბო.

— შვილო, ყველაფერი, რაც შენ თავს გადაგხდა, ჩემი მეოხებით მოგივიდა. შენი დაბრუნება ციურ სასახლეში მარტო მე შემიძლია. ოღონდ ერთი პირობით: შენი ვაჟი უნდა მოკლაო, — უთხრა დედოფალმა.

დაფიქრდა ვიკრამჯიტი. მოაგონდა როგორ ცხოვრობდა ცაზე, რამდენი ახალი რამ ნახა და — თანახმა ვარო, — უთხრა.

დედოფალმა ვიკრამჯიტი ისევ იმ ტაძარში მიიყვანა, ადრე რომ იყვნენ, ოღონდ ახლა თხის ნაცვლად ვაჟიშვილი წააყვანინა.

— მე ტაძარში შევალ სალოცავად, როცა გამოვალ და გეტყვი — მოკალი-მეთქი, შენს შვილს თავი უნდა წააცალო, მაშინ ისევ ცაზე დაბრუნდები და ყოველდღე ისევ ახალ გასართობს ნახავო, — უთხრა დედოფალმა.

ცოტა ხნის შემდეგ დედოფალი მართლაც გამოვიდა ტაძრიდან და თქვა:

— მოკალიო!

ვიკრამჯიტმა ხმალი იშიშვლა და, ის იყო, შვილისათვის უნდა დაეკრა, რომ დედოფალმა ხელი სტაცა და შესძახა:

— შეჩერდიო!

დედოფალმა შეხედა ვიკრამჯიტს და უთხრა:

— გახსოვს, იმ ქალს კოცონზე დაწვის ნება რომ არ მიეცი, ქმარს თვალ-მარგალიტის ყუთი რატომ მოპარაო? შენ თვითონ ახლა რას აპირებდი? ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად საკუთარი შვილი უნდა მოგეკლა. თვითონ ცოდვიანი ხარ და სხვებს ასამართლებ. დღეს მერვე დღეა და, პირობის თანახმად, უნდა ამეხსნა, იმ ქალის მაგივრად რატომა გთხოვე. ხომ მიხვდი ყველაფერს! ახლა დაბრუნდი შენს სასახლეში და ეცადე, ჭკვიანი და სამართლიანი განმსჯელი იყოო.

<u>მოსახდენი მაინც მოხდებაო</u>

ერთ ხელმწიფეს ექვსი ასული ჰყავდა. ერთ მშვენიერ დღეს ხელმწიფემ შვილები იხმო და ჰკითხა: თქვენი ბედისა კმაყოფილები ხართ თუ არაო?

ხუთმა დამ უპასუხა:

— მამი, ჩვენი ბედი შენს ხელშია. შენ გვარჩენ, შენ გვაცმევ და შენვე შოულობ ჩვენთვის ყველაფერს. ჰოდა, ჩვენც კმაყოფილები ვართ ბედისაო.

უმცროსი და კი გაჩუმებული იდგა და ხმას არ იღებდა. ხელმწიფე გაჯავრდა:

— შენ რაღად გაჩუმებულხარო?

— მე იმიტომა ვარ გაჩუმებული, რომ ჩემი ბედი არავის ხელში არ არის. მინდა თუ არ მინდა, სულ ერთია, მოსახდენი მაინც მოხდებაო, — მიუგო უმცროსმა ქალმა.

ამ სიტყვებზე ხელმწიფე განრისხდა, ჯერ მოკვლა დაუპირა შვილს, მაგრამ მერე ბრძანა:

— უღრან ტყეში წაიყვანეთ და გაუშვით, იქ ან მხეცები დაგლეჯენ, ანდა შიმშილით ამოხდება სულიო.

მსახურებმა ხელმწიფის ასული უღრან ტყეში ტახტრევანით წაიყვანეს და ერთ უზარმაზარ მუხაზე ჩამოჰკიდეს. ეკიდა ტახტრევანი და ქანაობდა, ღვთისმოშიში ხელმწიფის ასული კი იჯდა შიგ და მთელ დღეებს ან საღვთო წიგნების კითხვაში ატარებდა, ანდა ლოცულობდა, დიდ ღმერთ მაჰადეოს ევედრებოდა.

მაჰადეომ მეფის ასულის ლოცვა გაიგონა და თქვა:

— მიწაზე ვიღაც დიდ გასაჭირშია, უეჭველად უნდა ვუშველო. იმის მხურვალე ლოცვა დასახმარებლად მიწვევსო, — და დედამიწაზე მოციქული გამოგზავნა. მოციქულმა მშიერი ხელმწიფის ასული რომ ნახა, პური აჭამა. იმ დღიდან მაჰადეოს წყალობით ხელმწიფის ასულს საჭმელ-სასმელი არ გამოლევია. მუხის ძირას ანკარა წყაროც ამოჩუხჩუხდა და ხელმწიფის ასული ნეტარებას მიეცა. კმაყოფილი იყო, წინანდებურად საღვთო წიგნებს კითხულობდა და ლოცულობდა და ლოცულობდა.

ერთხელ ხელმწიფის ასული წყლის დასალევად დაიხარა და წყაროს ფსკერზე ორი ქვა შეამჩნია: ერთი ოქროსი იყო, მეორე — ვერცხლისა. მისდგა მაშინ ხელმწიფის ასული წყაროს გარშემო მიწას, სულ გადათხარა და უამრავი ოქროსა და ვერცხლის ქვა იპოვა. მიხვდა ქალი, რომ მაჰადეო სწყალობდა. დაილოცოს ჩემი ბედიო, გაიფიქრა და გადაწყვიტა იმ ადგილას სასახლე აეშენებინა. ხელმწიფის ასული მშენებლების საძებნელად წავიდა და შეშის მჭრელს გადაეყარა. ქალმა ამ შეშის მჭრელს დაავალა დურგლები, ქვის მთლელები და სხვე ხელოსნები მომიყვანეო, იმანაც მოუყვანა და სულ მალე სასახლე მზად იყო. მაშინ ხელმწიფის ასულმა მსახურები დაიქირავა და თავის დიდებულ სასახლეში ბედნიერი ცხოვრება დაიწყო.

ერთხელ სწორედ იმ მხარეში ხელმწიფემ ჩამოიარა, სასახლე რომ დაინახა, გაუკვირდა, ამ უღრან ტყეში ასეთ დიდებულ სასახლეს რა უნდაო, და მსახურები გაგზავნა:

— ერთი გაიგეთ, ვისია ეს სასახლე, ანდა იქ ვინა ცხოვრობსო.

ხელმწიფის შვილმა მაშინვე იცნო მამის მსახურები და ბრძანა, კარგად გაუმასპინძლდითო. მსახურებმაც იცნეს ხელმწიფის ასული. გაუხარდათ, ასე კარგად რომ მიიღო ისინი ხელმწიფის ასულმა, და მაშინვე შეატყობინეს მეფეს, თქვენი ასული კი არ დაღუპულა, ამ დიდებულ სასახლეში ბედნიერად ცხოვრობსო.

მეფეს გაუკვირდა და სასახლისაკენ გაემართა. ხელმწიფის ასული ალერსიანად გამოეგება მამას და თავისი ნათქვამი გაახსენა: ხომ გეუბნებოდი, რაც მოსახდენია, მაინც მოხდება-მეთქი.

მალე ხელმწიფის ასულთან დებიც მოვიდნენ, იმანაც ყველა გულთბილად მიიღო და უხვადაც დაასაჩუქრა.

არ გასულა დიდი ხანი, რომ ხელმწიფე სამოგზაუროდ წავიდა და თავის შვილებს ჰკითხა: რა ჩამოგიტანოთო?

უფროსებმა ძვირფასი სამკაულები მოინდომეს, უმცროსმა შვილმა კი უთხრა:

— მე ყველაფერი ბევრი მაქვს, არაფერი არ მინდაო.

ეწყინა ხელმწიფეს ასეთი პასუხი.

მაშინ, ხელმწიფე გულნატკენი რომ არ გაეშვა, უმცროსმა ქალმა უთხრა:

— კარგი, რაკი ასეა, თუ ამა და ამ ქალაქს გაივლი და ნახავ, რომ პატარა ყუთს ჰყიდიან, მიყიდეო.

ხელმწიფე გაემგზავრა. მიიარ-მოიარა ქალაქები და ყველგან შვილებს ნაირ-ნაირი საჩუქრები უყიდა. ბოლოს, იმ ქალაქშიც მოხვდა, უმცროსმა შვილმა რომ უთხრა. ხელმწიფემ ყველას გამოჰკითხა, პატარა ყუთს ხომ არავინა ჰყიდისო.

ერთ ვაჭარს მართლაც აღმოაჩნდა პატარა ჯადოსნური ყუთი, მაგრამ შიგ რა იდო, არავინ იცოდა. შიგ კი, თურმე, პატარა, მრგვალი, პალმის ფოთლებისაგან შეკრული ოქროს სახელურიანი მშვენიერი მარაო იდო. ამ მარაოთი მოჯადოებული იყო ერთი მშვენიერი უფლისწულის სული. როგორც კი მარაოს შენკენ გადმოიქნევდი, უფლისწული შენ წინ გაჩნდებოდა, როცა გადაიქნევდი — ქრებოდა. ვაჭარი ყუთს ძალიან ძვირად ჰყიდდა — ხუთას რუპიას ითხოვდა, მაგრამ რაკი ხელმწიფე შვილს დაჰპირდა, ყუთს გიყიდიო, უკან აღარ დაიხია და უყიდა.

დაბრუნდა ხელმწიფე და შვილებს საჩუქრები დაურიგა. უმცროსმა ასულმა გამოართვა ყუთი, ოქროს გასაღებით გახსნა, ოქროს სახელურიანი მარაო მოიმარჯვა და თავისკენ გადმოიქნია. თვალისდახამხამებაში მის წინ ულამაზესი უფლისწული გაჩნდა. ხელმწიფის ასული მიესალმა უფლისწულს. ქალს ძალიან უყვარდა ჭადრაკის თამაში და უფლისწული ჭადრაკის სათამაშოდ მიიწვია. ჭადრაკი ხომ ნამდვილი მეფური გასართობია! ხელმწიფის ასული და უფლისწული ყოველდღე დილიდან საღამომდე ჭადრაკს თამაშობდნენ. მხოლოდ შუადღისას ისვენებდა უფლისწული და საღამოს კი გაქრებოდა ხოლმე. ორივე ახალგაზრდა უსაზღვროდ ბედნიერი იყო.

ერთხელ ხელმწიფის ასულს უფროსი დები ესტუმრნენ, თავიანთი საჩუქრები აჩვენეს და ის კი მასხარად აიგდეს, ეს რა უბრალო საჩუქარი აგირჩევიაო. უმცროსი და ყველას ენდობოდა, არც დებისთვის დაუმალავს რაიმე და უთხრა: ეს ყუთი ჯადოსნურია, შინ მშვენიერი უფლისწულის სულია მოჯადოებულიო! ამოიღო მარაო, გადმოაქნია თავისკენ და უფლისწულიც თვალის დახამხამებაში იქ გაჩნდა.

უფროს დებს შეშურდათ უმცროსი დის ბედი და გაბოროტდნენ. ვიდრე უფლისწული და მეფის ასული ჭადრაკს თამაშობდნენ, დები უფლისწულის საწოლთან მიიპარნენ, ლეიბზე დაფხვნილი მინა დაუყარეს, იფიქრეს: დასასვენებლად წამოწვება და მინაზე დაიჭრებაო.

მეორე დღეს, უფლისწული დასასვენებლად წამოწვა თუ არა, მთელი სხეული დაეჭრა, მაგრამ ხელმწიფის ასულს არ გაუმხილა თავისი გასაჭირი და საღამომდე მოითმინა; მეორე დილას კი იმდენად ცუდად გახდა, რომ ხელმწიფის ასულთან ვეღარ მოვიდა.

უფლისწული სულს ებრძოდა, ბოროტი დები ხარობდნენ, ხელმწიფის ასული კი იტანჯებოდა, ვაითუ უფლისწულს რაიმე უჭირსო. ითმინა ქალმა, ითმინა, ბოლოს ვეღარ მოითმინა, ადგა, მოხეტიალე დერვიშის ტანისამოსი გადაიცვა და უფლისწულის საძებნელად წავიდა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს, დაღლილ-დაქანცული ერთი ხის ძირას ჩამოჯდა. უცებ ხეზე ჩამომსხდარი არწივისა და თუთიყუშის ლაპარაკი შემოესმა. ხელმწიფის ასული ტყეში დიდხანს ცხოვრობდა და ფრინველთა და ცხოველთა ენა კარგად ესმოდა.

— ახალი რა არისო? — ეკითხებოდა თუთიყუში არწივს.

— არ გაგიგია ჯადოსნური ყუთის, ხელმწიფის ასულისა და მისი ბოროტი დების ამბავი? ხელმწიფის ასულის ბოროტმა დებმა უფლისწულს ლოგინში დაფხვნილი მინა ჩაუყარეს და დაჭრილი უფლისწული ახლა მომაკვდავი წევსო, — უპასუხა არწივმა.

— რას ამბობ! არ გამიგია! გადარჩენა არ შეიძლებაო?

— როგორ არა, მაგრამ მაგის წამალი მარტო მე ვიცი, მე კი არავინ არაფერს მეკითხება. არწივის ბუდიდან სკორე უნდა ამოიღონ, წყალში გააზავონ და უფლისწულს ჭრილობებზე სამჯერ წაუსვან, მინა მთლიანად გარეთ გამოვა და ავადმყოფიც მორჩებაო.

ხელმწიფის ასული ხარბად უსმენდა ფრინველების ლაპარაკს. როგოც კი არწივი და თუთიყუში გაფრინდნენ, ხელმწიფის ასული ხეზე ავიდა, არწივის ბუდე მოძებნა, იქიდან სკორე ამოკრიფა, თავშალში გამოკრა და წავიდა. მალე ერთ მეზობელ ქალაქში მივიდა და გაიგო, რომ ექიმებს ეძებდნენ: უფლისწული კვდება და მისი მშველელი არავინ არისო, ამბობდნენ. მიჰყვება ქალაქის ქუჩებს ხელმწიფის ასული და თან გაიძახის: «ჰაქიმი, ჰაქიმიო!» იმ ქვეყნის ენაზე კი ეს ექიმს ნიშნავდა. გაიგონეს თუ არა ხელმწიფის ასულის ძახილი, მაშინვე უფლისწულს მიჰგვარეს. ქალმა ოქროს ტაშტი და ცხელი წყალი მოითხოვა. მიუტანეს. ჩაყარა ქალმა არწივის სკორე ტაშტში, დაასხა წყალი და უფლისწულს ჭრილობებზე წაუსვა. წაუსვა ერთხელ და ჭრილობებიდან მინამ გამოსვლა იწყო, მეორედ — კიდევ უფრო მეტი მინა გამოვიდა, წაუსვა მესამედ და მინაც სულ ერთიანად გამოშორდა.

როცა უფლისწული გონს მოვიდა და თვალები გაახილა, ხელმწიფის ასული ვერ იცნო — ვიღაც უცხო ექიმი ეგონა.

ხელმწიფის ასულმა კი უფლისწული მოარჩინა და მეფესთან გამოსამშვიდობებლად მივიდა. მადლიერ მეფეს უნდოდა ექიმისათვის ძვირფასი საჩუქრები მიეცა, მაგრამ ექიმი უარზე დადგა. უფლისწულის სამახსოვროდ მარტო მისი ცხვირსახოცი, ხმალი, შუბი, ისრები და ბეჭედი გამოართვა.

დაბრუნდა თუ არა შინ ხელმწიფის ასული, აიღო ჯადოსნური მარაო და უფლისწულიც მის წინ გაჩნდა. ხელმწიფის ასულმა უფლისწულს თავი ისე მოაჩვენა, ვითომც გაჯავრებული იყო.

— რამდენი დღეა მარაოს ვიქნევ და არსად ჩანდი, ახლა რატომღა მოხვედიო?

უფლისწულიც ადგა და ყველაფერი უამბო. მაშინ ხელმწიფის ასულმა მისი ცხვირსახოცი, ხმალი, შუბი, ისრები და ბეჭედი ამოიღო და უფლისწულს წინ დაულაგა.

უფლისწული მიხვდა, ვინც გადაარჩინა სიკვდილს და ხვეწნა-მუდარა დაუწყო: მეტს ნუღარ დამტანჯავ განშორებით, შენ ცოლი და მე ქმარიო.

ხელმწიფის ასული სიხარულით დათანხმდა.

— მართალი ვიყავი, როცა ვამბობდი, ჩემი ბედი არავის ხელში არ არის, მოსახდენი მაინც მოხდება-მეთქი. მე ცოლად მოგყვები. ასე გვეწერა და ასევე მოხდებაო.

ამ დღიდან ორივენი ბედნიერად ცხოვრობდნენ, ვიდრე სიკვდილმა ორივე თავის საბრძანებელში არ წაიყვანა.

<u>მეფის ასული და ხარბი განდეგილი</u>

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მეფე. მეფეს შვიდი ვაჟი ჰყავდა. ერთ დღეს ცოლმა ქმარს უთხრა:

— დიდებულო ხელმწიფევ, ღმერთმა სიკეთით აგვავსო. ჩვენც, ღვთის მადლით, ბევრი კარგი საქმე გვიქნია, მაგრამ ერთი რამე მაინც ვალად გვედებაო.

— მაინც რაო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— აბა, იფიქრე, ვაჟი შვიდი გყავს და ქალი კი არც ერთი. ღმერთს ჩვენთვის ქალიც რომ მოეცა, დიდ ქორწილს გადავუხდიდით და ბევრ საბოძვარსაც გავცემდითო.

— მართალი ხარ, ქალები ბუნებით უფრო ნაზები და ალერსიანები არიან. ქალიშვილი თუ არა გყავს, სახლში სიცარიელე და მოწყენილობა არისო, — მიუგო ხელმწიფემ.

ღმერთის წყალობით ერთი წლის შემდეგ ცოლ-ქმარს ქალი გაუჩნდა. ბავშვი ძალიან ლამაზი იყო. მარცხენა მხარზე ძალზე დიდი ხალი ჰქონდა; ბავშვი რომ გაჩნდა, სასახლეში სწავლული პანდიტები მოიწვიეს და უთხრეს, შეგვატყობინეთ, რა ბედი უჩანს ბავშვს და რომელ ვარსკვლავზეა გაჩენილიო. იმათ ყველაფერი აწონ-დაწონეს და თქვეს: ყველაფერი კარგად იქნება, ოღონდ ხუთი წლისა რომ გახდება, რაღაც უბედურება შეემთხვევაო.

პატარა გოგოს მთელი სასახლე სულში ისვამდა. ოჯახში ის ყველაზე უმცროსი იყო და თანაც ერთადერთი გოგონა. შვიდივე ძმა მისთვის სულს არ იშურებდა. ხან თავზე შეისვამდნენ ხოლმე, ხან ზურგით ასეირნებდნენ და ხანაც მუხლებით ახტუნავებდნენ, აღარ იცოდნენ, როგორ გაენებივრებინათ.

დღე დღეს მისდევდა, წელი — წელს, ბავშვი ხუთი წლისა გახდა. უკვე სათამაშოებითა და თოჯინებით ერთობოდა თავის ამხანაგებთან, ცელქობდა, ონავრობდა, მთელ სასახლეს ისე მოირბენდა, არ დაიღლებოდა. და აი, წვიმიანი სავანის* (* სავანი — ინდური წლის მეოთხე თვე და წვიმებიანი სეზონის პირველი თვე; ბჰადონი — მეხუთე თვე. ეს ორი თვე მოიცავს პერიოდს დაახლოებით ივლისის შუა რიცხვებიდან სექტემბრამდე. ამ ორი თვის განმავლობაში განუწყვეტლივ მოდის ტროპიკული წვიმა.) თვის ერთ დღეს — თიჯის დღესასწაული დაიწყო. მეფის ასულის ამხანაგებმა ხელები ინით შეიღებეს, ახალი სამაჯურები გაიკეთეს, ლამაზი სარები* (* სარი — ქალის კაბა, იგი ქსოვილის ერთ დაუჭრელ ნაჭერს წარმოადგენს.) ჩაიცვეს და ტყეში საქანაოდ გაიქცნენ.

— დედა, შეიძლება მეც წავიდე საქანელაზე? — ითხოვა გოგონამ.

— არა, შვილო, არ შეიძლება, ჯერ პატარა ხარ. ისევ სასახლეში ითამაშე, შეხედე ჩვენს ბაღში რა კარგი საქანელებია ჩამობმულიო, — უპასუხა დედამ.

მაგრამ გოგონა ატირდა. აღარ მოეშვა დედას და დედამაც, რაკი ვეღარაფერი გააწყო, გაუშვა.

ტყეში ერთ ადგილას მანოს ხე უხვად იყო მომრავლებული. გოგოებმა ერთ მანგოს ხეზე საქანელა ჩამოაბეს და ქანაობა დაიწყეს. აღმა-დაღმა, აღმა-დაღმა დაქროდა საქანელა. იდგა ერთი სიცილ-კისკისი და მხიარულება.

უეცრად ირგვლივ ჩამობნელდა. მტვრის კორიანტელი დადგა. ხეებმა რწევა დაიწყო და ციდან წყლის თქეში წამოვიდა, — ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა. გოგონებმა მიატოვეს საქანელა და შეშინებულები მიიმალ-მოიმალნენ.

ამხანაგებში ყველაზე უმცროსი ხელმწიფის ასული იყო, თანაც სასახლიდან პირველად გამოვიდა. დაიბნა გოგონა, დამალვის მაგივრად სადღაც გაიქცა და ტყეში გზა დაკარგა.

როცა ქარიშხალი ჩადგა და ხელმწიფის ასულმა მიიხედ-მოიხედა, გზა ვერსად იპოვა, ირგვლივ მხოლოდ უღრანი ტყე ჩანდა. შეშინებული გოგონა ერთი ხის ძირას აიტუზა და ტირილი ამოუშვა.

იქვე ახლოს ერთი განდეგილი ცხოვრობდა, მაგრამ უბრალო განდეგილი კი არა, წმინდა სადჰუ.* (* სადჰუ — წმიდა განდეგილი, იგი ცხოვრების არსზე, ცხოვრების რაობაზე საფიქრებლად ტყეში გახიზნული ცხოვრობს.) სადჰუ ძალიან ხარბი კაცი იყო. იმ დღეს განდეგილი თავისი გამოქვაბულიდან რომ გამოვიდა, ხის ძირას პატარა, ლამაზი გოგონა დაინახა, გოგონას თავი კალთაში ჩაერგო და მწარედ ტიროდა.

— ეს რა ლამაზი გოგონაა, რა მდიდრულად აცვია! ბედი თუ გინდა, ეს არისო! — თქვა განდეგილმა, მივარდა ხელმწიფის ასულს და, რაც კი ძვირფასი სამკაულები და მოსართავები ჰქონდა, ყველაფერი მოაგლიჯა. ამ ბავშვს მოწყალებას ვათხოვნინებ. ხალხი ასეთ პატარა და ლამაზ გოგონას რომ დაინახავს, თავს გამოიდებს, ბევრ ფულს მისცემს და მეც გავმდიდრდებიო, — გაიფიქრა განდეგილმა, მერე გოგონას ხელი სტაცა და თავის გამოქვაბულში შეათრია.

იმ დღიდან განდეგილი ყოველდღე გზავნიდა ხელმწიფის ასულს მოწყალების სათხოვნელად. გოგონას არ უნდოდა მათხოვრობა, მაგრამ რა ექნა?! როცა შინ უფულოდ ბრუნდებოდა, იმ დღეს განდეგილი არაფერს აჭმევდა. ასე გავიდა რამდენიმე წელი. პატარა გოგო დამჯერიც იყო, ჭკვიანიცა და გონიერიც. ტყეში მანგოს მთელი ხეივანი გააშენა. რამდენიმე წლის შემდეგ ხეებმა ნაყოფი გამოიღო. გოგონა სადჰუსთან მივიდა და უთხრა:

— ბატონო ჩემო, თუ ნებას მომცემთ, დღეს მოწყალების სათხოვნელად არ წავალ და ქალაქში მანგოს გავყიდი. ასე უფრო ბევრ ფულს ვიშოვი, ვიდრე მათხოვრობით ვაგროვებო.

ხარბმა სადჰუმ აწონ-დაწონა და დათანხმდა:

— კარგი, წადი! ბევრი, ძალიან ბევრი მანგო გაყიდე და მალე დაბრუნდი. ოღონდ იცოდე, მხოლოდ ქალაქის აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ მხარეებში იარე! ფრთხილად იყავი! ჩრდილოეთისაკენ არ წახვიდე, თორემ უბედურება შეგემთხვევაო.

მეფის ასულმა კალათა მწიფე მანგოთი აავსო, თავზე შემოიდგა და ქალაქისაკენ გაეშურა. გოგონა ქალაქის ქუჩებში დადიოდა და წკრიალა ხმით მუშტარს ეძახდა:

— იყიდეთ მანგო! თვითონ მეფის ასული ჰყიდის, იყიდეთ მანგო! ახალი მოკრეფილი, ყველაზე გემრიელიო.

— რაო? რას ამბობს? მანგოს მეფის ასული ჰყიდისო? — უკვირდა ხალხს.

მანგოს ნაყოფი კი, მართლაც, გემრიელი და სურნელოვანი იყო და ხალხიც იტაცებდა.

მეფის ასული რასაც შოულობდა, სულ განდეგილთან მიჰქონდა.

ვაჭრობა სარფიანი საქმე ყოფილა, მათხოვრობას კი არა ჰგავს! რამდენი უნდა შეაგროვო მათხოვრობით? ყველა ბრინჯსა და პურის ნატეხს გაძლევს. აქ კი ნაღდ ფულს იღებ. ფული თავისთავად მოგდისო, — უხაროდა ხარბ სადჰუს.

ერთ ღამეს ძლიერი ქარი ამოვარდა და ხეებიდან უამრავი ნაყოფი ჩამოყარა. ხელმწიფის ასულმა კალათა აავსო, თავზე შეიდგა და ქალაქისაკენ გასწია. დადიოდა ქუჩა-ქუჩა, ერთი შესახვევიდან მეორეში და წკრიალა ხმით გაიძახოდა:

იყიდეთ, იყიდეთ, მოწეული მანგო!
მაჰარაჯას ქალი გთავაზობთ ამ ნაყოფს!
იაფად ჰყიდის: ხუთს — ერთ პაისად,* (* პაისა — წვრილი სპილენძის ფული. უდრის 1/64 რუპიას.) ორ-ნახევარ მანგოს გაძლევთ კაპიკად!

მაგრამ იმ დღეს ბევრი მანგოს გამყიდველი დადიოდა ქალაქში და ხელმწიფის ასულმა ვერაფერი გაყიდა. ქალაქის მთელი აღმოსავლეთი ნაწილი მოიარა, მაგრამ კალათას არაფერი მოაკლდა. მაშინ ადგა და ქალაქის დასავლეთ მხარეს გადავიდა. ისევ გაისმა მისი წკრიალა ხმა:

იყიდეთ, იყიდეთ, მოწეული მანგო!

მაჰარაჯას ქალი გთავაზობთ ამ ნაყოფს!
იაფად ჰყიდის: ხუთს — ერთ პაისად,
ორ-ნახევარ მანგოს გაძლევთ კაპიკად!

მყიდველი არც აქ გამოჩნდა. ხელმწიფის ასული ქალაქის სამხრეთ ნაწილში შევიდა. მაგრამ რამდენიც არ იარა და რამდენს არ ეძახდა მუშტარს, არაფერი გამოუვიდა. ნუთუ ვერაფერს გავყიდი და ტვირთს ვერ შევიმსუბუქებ? ამ სიმძიმე კალათამ ლამის კისერი მომტეხოსო, — ფიქრობდა მეფის ასული. ბოლოს იმედგადაწყვეტილმა იფიქრა: რა მოხდება, ჩრდილოეთით რომ წავიდე და ბედი იქა ვცადო. ჩემმა პატრონმა ხომ არ იცის, სად ვყიდი მანგოს? შინ კი უფულოდ რომ მივიდე, სულ ერთია, მშიერს დამტოვებსო, — და ქალაქის ჩრდილოეთით გაეშურა.

გაუკვირდა ხელმწიფის ასულს, ისეთი ლამაზი და დიდებული იყო ქალაქის ეს ნაწილი. მის თვალწინ სურნელოვანი ბაღები, ფართო ხეივნები, მარმარილოს სასახლეები და დაკიდებული ფანჩატურები გადაიშალა. მაგრამ ყველაზე დიდებული მაინც ის სასახლე იყო, ფართო ხეივნის ბოლოში რომ მოჩანდა.

ხელმწიფის ასული მივიდა სასახლესთან და თავისი წკრიალა ხმით შემოსძახა:

იყიდეთ, იყიდეთ, მოწეული მანგო!
მაჰარაჯას ქალი გთავაზობთ ამ ნაყოფს!
იაფად ჰყიდის: ხუთს — ერთ პაისად,
ორ-ნახევარ მანგოს გაძლევთ კაპიკად!

მანგოს გამყიდველის ხმამ სასახლის ფანჯრებამდეც მიაღწია. ერთ-ერთ ფანჯარასთან დედოფალი იჯდა. როგორც კი ყური მოჰკრა გოგონას სიტყვებს, — მაჰარაჯას ქალი გთავაზობთ ამ ნაყოფსო, — მაშინვე მსახურებს უბრძანა, მანგოს გამყიდველი სასახლეში მოიყვანეთო. გახარებული მეფის ასული სულ სიმღერით მიდიოდა.

— ჩემო კარგო! მითხარი, რომელი მაჰარაჯას შვილი ხარო? — ჰკითხა დედოფალმა.

— დიდებულო დედოფალო! მაშინ ძალიან პატარა ვიყავი. სიზმარივით მაგონდება, რომ რომელიღაც სასახლეში ვიზრდებოდი, მაგრამ, მშობლები ვინ იყვნენ, სრულებით აღარ მახსოვსო.

ჩემი გოგონა ცოცხალი რომ ყოფილიყო, ახლა, ალბათ, ამის ტოლი იქნებოდაო, — გაიფიქრა დედოფალმა და უეცრად მოაგონდა, რომ მის გოგონას მხარზე დიდი ხალი ჰქონდა.

— მაგ მანგოს, რაცა გაქვს, სულ ვიყიდი, ოღონდ ჯერ მხარი მაჩვენეო, — სთხოვა გოგონას აღელვებულმა დედოფალმა.

გოგონამ მხარი გაიშიშვლა. მხარზე დიდი შავი ხალი ჰქონდა...

ახლა კი ყველაფერი ნათელი გახდა. დედოფალს ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ მანგოს გამყიდველი იმისი შვილი იყო. დედოფალმა შვილი გულში ჩაიკრა და სიხარულისაგან ატირდა. ტირილზე ხელმწიფე და მისი შვიდი ვაჟიც მოვიდნენ და რას ხედავენ: აცრემლებული დედოფალი ვიღაცა უცნობ გოგონას ეხვევა.

უსაზღვრო იყო მათი სიხარული, როცა გაიგეს, ეს ლამაზი და მოხდენილი ქალიშვილი ჩვენი და არისო.

ზოგი რამ ხელმწიფის ასულსაც გაახსენდა. მოაგონდა თავისი ბავშვობა, ამხანაგებთან თამაში, თავისი მშობლები, შვიდი ძმა და სიხარულის ცრემლები წასკდა.

ხელმწიფის ასულმა მამას ყველაფერი უამბო, რა გადაიტანა და როგორ ცუდად ექცეოდა ხარბი სადჰუ.

— იმ ძუნწსა და არამზადას ჭკუა უნდა ვასწავლოთო, — თქვა უფროსმა ძმამ.

— მწარედ ვანანებ ამ ბოროტებას!

— არამზადა, არ იფიქროს, რომ შერჩება ის ტანჯვა, რაც საწყალ გოგონას მიაყენაო! — ამბობდნენ გაბრაზებული ძმები და გულში ბოღმა უტრიალებდათ.

ხარბი სადჰუ კი იჯდა, ხელმწიფის ასულის დაბრუნებას ელოდა და ფიქრობდა: ნეტავი როგორი მოგება გვექნება დღეს? ის გოგონა რატომღაც აგვიანებს. ვინ იცის, იქნებ უფრო ძვირად ყიდის და მე ნაკლებს მაძლევს? ივაჭრე, ივაჭრე, შე თაღლითო! რაც შეიძლება მეტი ფული იშოვე! ვერ მომატყუებ, სულ კაპიკ-კაპიკ ჩამოგათვლევინებ ფულს. გასწავლი, რას ნიშნავს საწყალი სადჰუს მოტყუებაო!

ელოდა, ელოდა სადჰუ, მაგრამ მეფის ასული არსად ჩანდა. უცებ განდეგილს ერთმა აზრმა გაუელვა თავში — ვაითუ, ის გომბიო ჩრდილოეთით წავიდა და მეფის სასახლეში მოხვდაო — და აღელდა. გველნაკბენივით წამოხტა და სულმოუთქმელად გაქანდა სასახლისაკენ. მიირბინა სასახლის ჭიშკართან, აახმაურა თავისი კვერთხი და ადუდღუნდა.

ამასობაში ხელმწიფის ასულს ებანავნა კიდეც, აივანზე დამჯდარიყო და თმას იშრობდა. გოგონამ დაინახა თუ არა სასახლისაკენ მომავალი სადჰუ, მაშინვე იცნო და ეს ამბავი თავის ძმებს შეატყობინა. როგორც კი სადჰუ ჭიშკართან მოვიდა და მოწყალება ითხოვა, ყარაულმა უთხრა:

— დიდებულო მაჰარაჯა! ჩვენმა ბატონ-პატრონმა ხელმწიფემ ბრძანა, ყველა წმიდა სადჰუ, ვინც კი სასახლის ჭიშკართან მოვა, შიგნით შემოიყვანეთ, ასვით და აჭამეთო. თუ შეიძლება, სიკეთე ჰქენით და შემობრძანდით, უფლისწულებს სურთ გნახონ, გაგიმასპინძლდნენ და პატივი გცენო.

იქნებ ბედი მეწვიოსო, — იფიქრა სადჰუმ და გახარებული შევიდა სასახლეში.

ვიდრე სასახლის ყარაული სადჰუს ასე ტკბილად ელაპარაკებოდა, უფლისწულებმა მახე დააგეს: ჭის თავზე პატარა ფანჩატური დადგეს. ჭას ხალიჩა გადააფარეს და ზემოდან ბალიშები და პატარა ნაალები დააწყვეს. თვითონ კი ხმალამოწვდილები ხალიჩის გარშემო საპატიო ყარაულში დადგნენ.

სადჰუ მობრძანდა და გაბღენძილმა პირდაპირ მისთვის მომზადებულ საპატიო ადგილს მიაშურა. მაგრამ დაჯდომაც ვერ მოასწრო, რომ ხალიჩა ჩავარდა და ხარბი სადჰუ ფანჩატურიანად თან ჩაიტანა. სადჰუ ჭაში ჩაიხრჩო.

გავიდა დრო და დედოფალმა მეფეს თავისი პირობა მოაგონა, ქალიშვილის დაბადებამდე რომ დადეს. ყველა უფლისწული დაქორწინებული იყო. ახლა ქალი უნდა გაეთხოვებინათ.

— კეთილი და პატიოსანი. გავათხოვოთ ჩვენი ასული და უხვადაც გავცეთ საბოძვარი. ღმერთს გაუხარდებაო, — გადაწყვიტა მეფემაც.

სასიძოს საძებნელად მთელ ქვეყანაზე დაგზავნეს მაშვალი-პანდიტები. მეფის ქურუმის რჩევით ყველაზე ღირსეული ოჯახიდან აირჩიეს სიძე. შეადგინეს ჰოროსკოპი, გაარკვიეს ბედნიერი დღე და დიდი ქორწილი გადაიხადეს.

იმ დღეს დიდძალი წყალობაც გაიცა.

აი, ასე შეუსრულდა მეფესა და დედოფალს ყოველგვარი სურვილი.

პლატონის პასუხი

ერთხელ პლატონს ჰკითხეს:

— შენ ხომ დიდხანს იმოგზაურე ზღვა-ზღვა, გვითხარი, რა სასწაულები გინახავსო?

— ყველაზე დიდი სასწაული ის იყო, რომ ხმელეთზე ცოცხალი და უვნებელი დავბრუნდიო, — უპასუხა პლატონმა.

როგორ უნდა დაისაჯოს ცილისმწამებელი

ერთმა ბადშაჰმა თავის მრჩეველს ჰკითხა:

— ცილისმწამებელი როგორ დავსაჯოთო?

— როგორ და, ვინც იმათ ყურს უგდებს, ყურები დავაჭრათო, — უპასუხა მრჩეველმა.

ერთი მკურნალისა და მისი მნახველების ამბავი

ერთხელ ერთი მკურნალი ავად გახდა და ნაცნობ-მეგობრებმაც მასთან სიარულს მოუხშირეს. მივიდოდნენ და ისხდნენ გვიანობამდე, შინ წასვლას ვეღარ ახერხებდნენ. პირდაპირ თავი მოაბეზრეს ავადმყოფს. ერთხელ ერთმა მნახველმა სთხოვა:

— ჰაქმ-საჰიბლ, რამე რჩევა მოგვეციო.

— როცა ავადმყოფის სანახავად მიხვალთ, იქ დიდხანს ნუ დარჩებითო! — ურჩია მკურნალმა.

ბრძენი მოსამართლის ამბავი

ერთ კაცს ოჯახში ასი რუპია დაეკარგა. ადგა და მოსამართლესთან იჩივლა. მოსამართლემ დაიბარა ყველა, ვინც კი იმ სახლში ცხოვრობდა, თანაბარი სიგრძის ჯოხები დაურიგა და უთხრა:

— ხვალ დილამდე ქურდის ჯოხი ზუსტად ერთი თითის სიგრძით დაგრძელდებაო, — მერე ყველას გამოემშვიდობა და წავიდა.

ქურდმა დაიჯერა, რომ ჯოხი მართლაც დაუგრძელდებოდა, შეეშინდა და თავის ჯოხს ერთი თითის სიგრძე მოაჭრა.

მეორე დილით, როცა მოსამართლემ ჯოხები დაზომა, მიხვდა, ვინც იყო ქურდი, ფული უკანვე მოატანინა და დასაჯა.

რა არის ადვილი და რა — ძნელი

ერთმა კაცმა ერთ ბრძენს ჰკითხა:

— კაცისთვის რა არის ძნელი და რა — ადვილიო?

— ადვილი — რჩევის მიცემაა, ძნელი კი მისი შესრულებაო, — უპასუხა ბრძენმა.

როგორ გალანძღა თიკანმა მგელი

ერთი თიკანი მაღლა ბანზე იდგა. ამ დროს მგელმა ჩამოირბინა. თიკანმა დაინახა თუ არა, ლანძღვა დაუწყო.

— შე უბადრუკო თავხედო! შენი ლანძღვა სულაც არა მწყინს, მაღლა დგახარ და იმიტომა გაქვს დიდი გული, აბა, ძირს იყო, კრინტსაც ვერ დასძრავდიო, — უთხრა მგელმა.

ამბავი მედიდურობაზე

ერთი კაცი დიდ თანამდებობაზე დანიშნეს, ეს ამბავი მისმა მეგობარმა შეიტყო და მისალოცად წავიდა, მაგრამ გადიდკაცებულმა ისე დაიჭირა თავი, თითქოს მეგობარი ვერ იცნო და ჰკითხა:

— ვინა ხარ და რისთვის მოსულხარო?

მეგობარი ჯერ დაიბნა, მაგრამ მალე მოეგო გონს და უპასუხა:

— ნუთუ ვერ მიცანი? მე ხომ შენი ძველი მეგობარი ვარ, შენზე მითხრეს, დაბრმავდაო და სანახავად მოვედიო.

მგზავრი და ეშმაკი

ერთხელ ერთ მგზავრს ეშმაკი შემოეყარა ადამიანის სახით.

— ვინა ხარო? — ჰკითხა მგზავრმა.

— ეშმაკიო!

— რაკი ეშმაკი ყოფილხარ, მითხარი, ამდენ სისაძაგლეს რატომ სჩადიხარ, ადამიანი სულ შენს გინებაში არისო.

— სისაძაგლეს მე კი არა, ადამიანები სჩადიხართ და ყველაფერს მე მაბრალებთ. თუ არა გჯერა, ახლავე დაგარწმუნებ, ვინ მართალია და ვინ მტყუანიო, — უთხრა შემაკმა. მერე წავიდა მახლობელ დუქანში თაფლი იყიდა, დუქნის კარს წაუსვა და თვითონ განზე გადგა. თაფლს იმ წუთსვე ბუზი ეცა, ბუზს ობობა დაედევნა, ობობას რომელიღაც ჩიტი დააფრინდა. სწორედ ამ დროს ბაზიერთუხუცესი ცხენს მოაჭენებდა, ხელზე შავარდენი ესვა. შავარდენმა ჩიტი დაინახა თუ არა, მიეტანა. მედუქნეს შავარდენი ძერა ეგონა, საწონი ესროლა და იქვე მოკლა. ბაზიერთუხუცესი მედუქნეს ეცა, მედუქნემაც არ დააკლო და გაიმართა ერთი ცემა-ტყეპა. მოცვივდნენ წესრიგის დამცველები და მედუქნე თან წაიყვანეს.

— ხომ ხედავ, ბატონო, მე მხოლოდ თაფლი წავუსვი კარს, დანარჩენი, რაც აქ მოიხილე, ადამიანმა მოიმოქმედა. ჰოდა, ასეა ყოველთვის: თქვენ სისულელეებს სჩადიხართ — დამნაშავე კი ეშმაკიაო.

თქვა ეშმაკმა და თავისი გზით წავიდა.

ბრძნული სამართალი

იყო და არა იყო რა, იყო ორი ღარიბი ძმა. ძმები ქვეყნად სახეტიალოდ წავიდნენ და ამ სიარულში ერთი პირმოკრული ტომარა იპოვეს. ტომარაში ოქრო და ორი ლალის ქვა აღმოჩნდა.

— რაც მინდოდა ვიშოვე, ახლა კი შინ დავბრუნდებიო, — თქვა უმცროსმა ძმამ.

— მე კი წავალ და დედამიწის ზურგს მოვივლიო, — უთხრა უფროსმა.

ძმებმა ნაპოვნი ქონება გაიყვეს. უფროსმა თავისი წილი უმცროსს გაატანა და უთხრა:

— ჩემს ცოლს მიუტანეო.

უმცროსი ძმა შინ დაბრუნდა, მაგრამ რძალს არც ოქრო მისცა და არც ლალი.

სამი წლის შემდეგ უფროსი ძმა მოგზაურობიდან დაბრუნდა და გაიგო, რომ იმის ცოლისათვის უმცროს ძმას ლალი არ მიეცა.

— ლალი რა უყავიო? — ჰკითხა ძმას.

— რა ვუყავი და შენს ცოლს მივუტანეო.

— ჩემმა ცოლმა მითხრა, რომ არ მოუციაო!

— გატყუებსო!

მაშინ უფროსი ძმა ცოლს დაემუქრა, შეშინებული ქალი კი მოსამართლესთან გაიქცა და ყველაფერი უამბო.

მოსამართლემ იხმო ძმები და უმცროსს უთხრა:

— მართალი მითხარი, მიეცი შენს რძალს თავისი წილი სიმდიდრე, თუ არა. თუ მიეცი, მოწმე ვინა გყავსო?

— ორი მოწმე მყავსო! — უპასუხა უმცროსმა ძმამ.

— მაშ, მოიყვანეო!

უმცროსმა ძმამ ორი მოწმე მოისყიდა და სასამართლოზე ტყუილი ათქმევინა. მაშინ მოსამართლემ უფროს ძმას უთხრა:

— ლალი შენს ცოლს დაუმალავს და მოძებნეო.

ეს რომ უფროსმა რძალმა გაიგონა, ხელმწიფესთან გაიქცა და თავისი ამბავი უამბო.

— რატომ მოსამართლესთან არ მიხვედიო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— როგორ არ მივედი, მაგრამ კარგად ვერ გაგვასამართლაო, — უპასუხა ქალმა.

მაშინ ხელმწიფემ ორივე ძმა და მოწმეები მოაყვანინა, ყველა ცალ-ცალკე დააყენა, თითოეულს სანთლის ნატეხი მისცა და უბრძანა:

— ამ სანთელს ლალის ქვის ფორმა მიეცითო.

ძმებმა სანთელს ერთი და იგივე ფორმა მისცეს. მოწმეებმა კი — სხვადასხვანაირი.

— შენც მიეცი სანთელს ლალის ქვის ფორმაო, — უთხრა მეფემ უფროს რძალს.

— რა ფორმა უნდა მივცე, როცა ლალი თვალითაც არ მინახავსო? — უპასუხა ქალმა.

მაშინ მეფემ ორივე მოწმის ჩამოხრჩობა ბრძანა და თან გააფრთხილა:

— თუ მართალს მეტყვით, სიკვდილი აგცდებათო!

მოწმეებმაც იკისრეს:

— ორივენი ვტყუოდითო!

— ხელმწიფემ ახლა უმცროსი ძმა გაჯოხა. ის კი ეხვეწებოდა:

— მაჰარაჯა, დიდი ცოდვა ჩავიდინე და მაპატიეო!

— რატომ თავიდანვე მართალი არა თქვიო? — ეუბნებოდა ხელმწიფე და თან სცემდა.

უცროსმა ძმამ უფროსს ლალი დაუბრუნა.

<u>მოტაცებული დედოფალი</u>

ერთ ხელმწიფეს შვიდი ვაჟი და შვიდი რძალი ჰყავდა. ერთხელ სასახლეს ჯადოქრობაში დახელოვნებული დერვიში ეწვია. ხელმწიფემ დერვიში კარგად მიიღო და მატჰა* (* მატჰა — შივაიტების მონასტერი. აქ ნიშნავს განდეგილის საცხოვრებელს.) აუშენა.

პირველ დღეს ხელმწიფემ ერთ რძალს გაატანა დერვიშთან საჭმელი, მეორე დღეს — მეორე რძალს, მესამე დღეს — მესამეს, მეოთხე დღეს — მეოთხეს, მეხუთე დღეს — მეხუთეს, მეექვსე დღეს — მეექვსეს და მეშვიდე დღეს — მეშვიდე რძალს.

ასე გავიდა სამი-ოთხი წელი. დერვიშს ყოველდღე უზიდავდნენ საჭმელს. ერთ დღეს ისევ მეშვიდე დედოფლის რიგი დადგა.

სხვა დღეებში დერვიშს პურსა და ბრინჯს ისე მიაწვდიდნენ ხოლმე, რომ მატჰაში არ შედიოდნენ. ამ დღეს კი დედოფალს მატჰას კარები ფართოდ გაღებული დაუხვდა.

— რანდი,* (* რანდი — გარყვნილი ქვრივი ქალი.) საჭმელი შინ შემოიტანეო! — დაუძახა დერვიშმა დედოფალს.

დედოფალმაც შეუტანა. დერვიშმა კი თავისი ჯადოქრობით მატჰაც, დედოფალიც და საჭმელიც მეშვიდე ზღვის* (* მეშვიდე ზღვა — ამ სახელწოდებაში აისახა ძველი ინდური კოსმოგრაფიული წარმოდგენა შვიდი კონტინენტისა და მათი გამყოფი ზღვების შესახებ, რომლებიც ქმნიან სამყაროს.) პირზე მოაქცია, თვითონაც ზღვის გაღმა გავიდა და მატჰა იქ დაიდგა. იმ ზღვის პირას ერთი ვაჭარიც ცხოვრობდა.

დედოფალი უკან რომ აღარ დაბრუნდა, უფლისწულები შეფიქრიანდნენ, ნეტავი რა მოუვიდაო.

როცა გაიგეს, დედოფალმა დერვიშს საჭმელი წაუღოო, მეორე რძალი გაგზავნეს ამბის შესატყობად, ქალს აღარც დერვიში დახვდა თავის ადგილას, აღარც იმისი მატჰა და აღარც დედოფალი.

მაშინ უფლისწულმა ცხენი აირჩია და თავისი დედოფლის საძებნელად წავიდა. იარა უფლისწულმა, იარა და ერთ მშვენიერ დღეს მეშვიდე ზღვის ნაპირს მიადგა. ზღვის ნაპირზე უფლისწული იმ დუქანში გაჩერდა, სადაც დერვიში საყიდლებზე დადიოდა ხოლმე.

— აქ ახლომახლო ასეთი და ასეთი დერვიში ხომ არ გინახავსო? — ჰკითხა უფლისწულმა ვაჭარს.

— როგორ არა, მინახავსო.

დერვიშმა უფლისწული რომ დაინახა, ერთი მუჭა ნაცარი აიღო, შეაყარა და უფლისწული ხედ აქცია, მისი მთელი ქონება და ცხენი კი ვაჭარს დარჩა.

თორმეტი წლის შემდეგ ამ ზღვის პირზე მეორე ძმა მოვიდა. დერვიშმა ისიც ხედ აქცია. მალე დერვიშმა მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე ძმაც ასევე ხეებად აქცია.

ამ შვიდ ძმას ერთადერთი ვაჟიშვილი დარჩათ. ბიჭი დიდი წვალებით გაზარდეს. ეს ვაჟი ოცი წლისა რომ გახდა, პაპას ჰკითხა:

— მამაჩემი და ჩემი ბიძები სად არიანო?

— ყველანი იმ დღეს დაიღუპნენ, შენ რომ დაიბადე. მამაშენიცა და შენი ბიძებიც მეშვიდე ზღვის ნაპირზე ხეებად არიან ქცეულნი და შენი ძალოც დერვიშმა იქ წაიყვანაო, — უთხრა პაპამ.

— მაშინ მეც იქ წავალო, — თქვა ჭაბუკმა და მეშვიდე ზღვის ნაპირისაკენ გასწია. ჭაბუკიც იმ ვაჭართან მივიდა. ვაჭარმა ჭაბუკს თავისი მამის ცხენი უჩვენა და თან უთხრა:

— აგე, ის ხე მამაშენია, ისინი კი — შენი ბიძები არიანო.

— აქ სადმე დამმალე და დიდ საჩუქარს მოგცემო, — სთხოვა ჭაბუკმა ვაჭარს.

ვაჭარმაც დამალა ჭაბუკი და დერვიშმა ვერა ნახა. მეორე დღეს ჭაბუკი ქვიშაში დაიმალა. იმ დღეს დერვიშმა თავისი ცალი ქოში ჩაიცვა და ზღვასთან მივიდა. ზღვა

ერთბაშად დაშრა. დერვიშმა ქოში იქ დატოვა და წავიდა. იმისი ჯადოქრული ძალა კი, სწორედ იმ ქოშში იყო. ჩაიცვა ჭაბუკმა ქოში და თავის ძალოსთან მივიდა.

ძალომ ჭაბუკი რომ დაინახა, გახარებული გამოეგება.

— დიდი უბედურება დაერთო შენს დაბადებას, მამა და ექვსი ბიძა გყავდა, შვიდივე ხეებად აქციეს, — უთხრა ძალომ და მეორე ისეთივე ქოში მისცა, როგორიც დერვიშმა ზღვის ნაპირზე დატოვა — აჰა, წაიღე ეს ქოში და ზღვის ნაპირზე დუქანი რომ დგას იქ მიდიო.

ჭაბუკმა ჩაიცვა მეორე ქოშიც და წასვლისას ძალოს უთხრა:

— მივდივარ, მაგრამ ძალიანა გთხოვ, ჩემს მოსვლამდე დერვიშსა ჰკითხო, შენი სული რაშია-თქო.

მივიდა ჭაბუკი დუქანში, ქოში იმავე ადგილას დადო, სადაც დერვიშმა დატოვა, და თვითონ კი დაიმალა.

დერვიში შინ რომ დაბრუნდა დედოფალმა ხმა არ გასცა.

— რატომ ხმას არ იღებ, რა ამბავიაო? — ჰკითხა დერვიშმა.

— შენ დერვიში ხარ, მე კი — დედოფალი. შენ რომ რამე მოგივიდეს, ამ ტყეში მარტომ რა უნდა ვქნაო? — უპასუხა დედოფალმა.

— მე უკვდავი ვარ, თავის დღეში არაფერი მომივა. მეექვსე ზღვის პირას რომ სასახლეა, იმ სასახლის ქვეშ ერთი დჰარმაშალაა,* (* დჰარმაშალა — დავრდომილთა თავშესაფარი, საავადმყოფო. დჰარმაშალებს აშენებდნენ გზის პირას უპატრონო დავრდომილებისათვის. გზისპირას დჰარმაშალების მშენებლობა და ჭების გათხრა ძველთაგანვე დიდ საღვთო საქმედ ითვლებოდა.) იმის ქვეშ, მიწაში — ერთი რკინის გალია დგას, იმ გალიაში თუთიყუში ზის და ჩემი სული სწორედ იმ თუთიყუშშია. ვიდრე თუთიყუში ცოცხალია, ვერავინ ვერაფერს დამაკლებს. თუთიყუშის მპოვნელი კი, აბა, ვინ გამოჩნდებაო, — უპასუხა დერვიშმა.

მეორე დღეს, როგორც კი დერვიში დუქანში წავიდა, ჭაბუკი მაშინვე ძალოსთან გაჩნდა და ჰკითხა:

— რაო, დერვიშმა რა თქვაო?

— არც არაფერი! ახლავე შინ დაბრუნდი, შენ აქ ვერაფერს გახდებიო, — მიუგო ძალომ.

— რა იმედი გადაგიწყვეტია, მითხარი, რა გითხრაო, — არ ეშვებოდა ჭაბუკი.

— რაო და, მეექვსე ზღვის პირას რომ სასახლეა, იმ სასახლის ქვეშ ერთი დჰარმაშალაა, იმის ქვეშ ერთი რკინის გალია დგას, იმ გალიაში თუთიყუში ზის და ჩემი სული სწორედ იმ თუთიყუშშიაო. ვიდრე ის თუთიყუში ცოცხალია, ვერავინ ვერაფერს დამაკლებს და თუ იმას მოკლავენ, მეც მოვკვდებიო.

წამოვიდა ჭაბუკი, იარა, იარა და მეექვსე ზღვასთანაც მივიდა.

ზღვისპირა ქალაქის ხელმწიფეს ერთი გასათხოვარი ქალი ჰყავდა და საქმრო კი ვერ ეშოვათ. ჭაბუკი იმ ქალაქში რომ შევიდა, ერთმა მწყემსმა დაინახა. საღამო ხანს მწყემსი ქალაქში დაბრუნდა და გამოაცხადა:

— დღეს სწორედ ჩვენი ხელმწიფის ასულის შესაფერი ერთი ლამაზი ჭაბუკი ვნახეო.

ეს ამბავი ხელმწიფემ გაიგო და ბრძანა:

— ყველა, ვინც ჩვენს ქალაქში ახლად არის ჩამოსული, აქ მომგვარეთო.

მართლაც, ქალაქში ჩამოსული ყველა სტუმარი შეკრიბეს და სასახლეში მიიყვანეს. მაგრამ ხელმწიფის ასულს თვალში მარტო ის ჭაბუკი მოუვიდა. დაბანეს ჭაბუკი, გაასუფთავეს, მეფურად გამოაწყვეს და ხელმწიფის ასულზე დააქორწინეს.

ხელმწიფეს უნდოდა ჭაბუკისათვის დიდძალი ქონება ეჩუქებინა, მაგრამ ჭაბუკმა არ მოინდომა.

— მეფევ, ოღონდ ერთი სიტყვა მათქმევინე და შენი სხვა არა მინდა რაო.

— კარგი, მითხარიო, — უთხრა მეფემ და ჭაბუკმაც ის სასახლე სთხოვა საჩუქრად.

— შენი იყოს, მაგრამ სასახლე რად გინდაო? — გაუკვირდა ხელმწიფეს.

ჭაბუკმა მუშები გაგზავნა და სასახლე დაანგრევინა, დანგრეული სასახლის ქვეშ დჰარმაშალას მიადგნენ, ჭაბუკმა ისიც დაანგრევინა: დჰარმაშალის ქვეშ გალია იპოვეს. გალიაში კი თუთიყუში იჯდა. ამოიყვანა ჭაბუკმა თუთიყუში და ფრთები და ფეხები დააჭრა. აქ რომ ჭაბუკმა თუთიყუშს ფრთები და ფეხები დააჭრა, იქ დერვიში ლოგინად ჩავარდა.

— ნეტავ ვინ მიმტროო? — იკითხა დერვიშმა.

წამოიღო ჭაბუკმა გალია და ხელმწიფეს ეახლა. ხელმწიფემ ჭაბუკს თავისი ასული გაატანა, ჯარი, სპილოები და ცხენები მისცა და გაისტუმრა. ვაჟმა მეექვსე ზღვა გადასცურა, ძალოსთან დაბრუნდა და დერვიშს უთხრა:

— ხეები ადამიანებად აქციეო!

დერვიშმა ჯერ ხეებს შეუბერა და ადამიანებად აქცია, მერე კი ჭაბუკს უთხრა:

— თუ ჩემი სიკვდილი გინდა, ბარემ მომკალი, ოღონდ იმდენი სიკეთე ჰქენი, დაუმარხავი არ დამტოვოო.

მაშინ ჭაბუკმა მოკლა თუთიყუში და დერვიშიც მოკვდა. ჭაბუკმა ყველა წესი შეუსრულა დერვიშს და დამარხა, მერე კი წამოიყვანა თავისი ცოლი, მამა, ბიძები, ძალო და დუქანში ვაჭართან მივიდა. ვაჭარმა მოსულებს თავიანთი ცხენები დაუბრუნა, იმათ კი დიდძალი სიმდიდრე დაუტოვეს და შინისაკენ გაეშურნენ.

ამ ჭაბუკის პაპასა და ბებიას დარდისაგან თვალში სინათლე წართმეოდათ. შვილების მოსვლის ამბავი რომ გაიგეს, სიხარულისაგან თვალის ჩინი დაუბრუნდათ. ჭაბუკმა მოხუცებს უკვდავების წყალი დააპკურა და ორივენი გააჯეილა.

— ძალაცა გაქვს და გულიც გერჩისო, — ეუბნებოდნენ ჭაბუკს ნათესავები.

მამამ და ბიძებმა კი უთხრეს:

— ჩვენ წავედით და — ხეებად გადაგვაქციეს, შენ მოხვედი და — სიცოცხლე დაგვიბრუნე. ჩვენ წავედით და — ხეებად ვიქეცით, — შენ მოხვედი და — ადამიანებად გვაქციეო.

<u>მოგზაურისა და ბადშაჰის ამბავი</u>

ერთი მოგზაური სწორედ ბადშაჰის ციხე-სიმაგრესთან გაძარცვეს. მოგზაური ბადშაჰთან მივიდა და იჩივლა:

— დიდო მბრძანებელო! ყაჩაღებმა ზედ იმ ციხე-კოშკის კედელთან გამძარცვეს, თქვენ რომ ცხოვრობთო.

— კი მაგრამ, რატომ არ გაფრთხილდიო! — ჰკითხა ბადშაჰმა.

— რა იცოდა თქვენმა უმორჩილესმა მონამ, რომ მგზავრებს სწორედ თქვენი უდიდებულესობის ფანჯრებთან ძარცვავდნენო?

— განა არ გაგიგონია, ყველაზე დიდი სიბნელე სწორედ სანათურის ძირას არისო! — უპასუხა ბადშაჰმა.

<u>ძუნწისა და მისი მეგობრის ამბავი</u>

ერთ კაცს ძუნწი მეგობარი ჰყავდა. ერთხელ ამ კაცმა ძუნწს უთხრა:

— შორს მივემგზავრები და სახსოვრად შენი ბეჭედი მაჩუქე, თითიდან არ წავიძრობ და როგორც კი ბეჭედს დავხედავ, შენ მომაგონდებიო!

— როცა ჩემი გახსენება მოგინდეს, თითზე დაიხედე და მაშინვე მოგაგონდები, რომ სახსოვრად ბეჭედი მთხოვე და მე კი არ მოგეციო! — უპასუხა ძუნწმა.

<u>რატომ იცინოდა თევზი</u>

იყო ერთი ხელმწიფე, იმ ხელმწიფეს შვილი არა ჰყავდა და ღმერთს სულ იმას სთხოვდა, ვაჟიშვილი მაჩუქეო, მაგრამ ლოცვით არა გამოდიოდა რა. ერთხელაც ხელმწიფე ადგა და გზაჯვარედინზე გაწვა, რომ გამვლელ-გამომვლელს ზედ გადაევლო. დიდხანს იწვა ხელმწიფე ასე და ბევრმა მგზავრმაც გადააბიჯა. ბოლოს ერთმა დერვიშმა გამოიარა და ჰკითხა:

— კაცო, აქ რას უწევხარო?

— აქ იმისათვის ვწევარ, რომ გამვლელ-გამომვლელმა ზედ გადამიაროსო. ათასმა კაცმა უკვე გადამიარა, ადექი და შენც იმათ მიბაძეო, — უპასუხა ხელმწიფემ.

— კი მაგრამ, ვინა ხარო?

— ვინა ვარ და — ხელმწიფე! მრავალ ქვეყანასა ვფლობ და განძეულიც ბევრი მაქვს, შვილი კი არა და არ მეღირსა. ეტყობა, რაღაც დიდი ცოდვა მაწევს, რაკი ღმერთმა ასე დამსაჯა. ახლა დავემონე ღმერთს და აქ დავწექი, რომ ხალხმა ჩემზე იაროს. იქნებ ასეთი მორჩილებით ცოდვები მეპატიოს და შვილი მეყოლოსო.

მაშინ დერვიშმა ჰკითხა

— შვილი რომ გაყოლინო, სამაგიეროს რას მომცემო?

— რასა და ყველაფერს, რასაც მოისურვეაბო.

— კარგი, რაკი ასეა, თუ ჩემი ლოცვა-ვედრებით ტყუპი ვაჟი გაგიჩნდება, ერთი მე მომეცი და მეორე შენ დაიტოვე, სხვა შენი არა მინდა რა, არც ოქრო და არც ვერცხლი. ახლა კი ეს ნაყოფი წაიღე და დედოფალს აჭამე. ვაჟები გეყოლებათ თუ არა, მეც იქ გავჩნდები, და, რომელიც მომეწონება, წამოვიყვანო.

— კარგიო, — უთხრა ხელმწიფემ.

სულ ცოტა ხანში, ხელმწიფეს მართლაც შეეძინა ორი ვაჟი. ბიჭები დაიბადნენ თუ არა, ხელმწიფემ ბავშვები ქვესკნელში დაამალვინა და ბრძანა, არავის აჩვენოთო. ასე გავიდა რამდენიმე წელი. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს სასახლეში დერვიში გამოცხადდა და უფლისწული მოითხოვა. ხელმწიფემ ბრძანა: დერვიშს მოახლეების ვაჟები მიჰგვარეთო. დერვიშს, ბავშვების მოლოდინში რომ იყო, წინ ორმა ჭიანჭველამ ჩაუარა; ჭიანჭველები ბრინჯის მარცვალზე დაობდნენ. დერვიში კი ჯადოქარი იყო და ყოველი ცოცხალი არსების ენა ესმოდა.

— რატომ მართმევ ბრინჯის მარცვალს? — ეუბნებოდა ერთი ჭიანჭველა მეორეს. — მე ისედაც ცალი ფეხით კოჭლი ვარ და მიჭირს საზრდოს შოვნა. ძლივს ბავშვებისათვის ცოტაოდენი საჭმელი მიპოვია და ისიც გინდა წამართვა? ღვთის გულისათვის, მე ეს ერთი ბრინჯის მარცვალი დამანებე და ქვესკნელში რომ უფლისწულები სხედან და ბრინჯს მიირთმევენ, იმათგან რამდენიც გინდა, იმდენი წაიღეო.

დერვიშმა გაიგო ჭიანჭველები რასაც ლაპარაკობდნენ და, როცა მოახლეების ვაჟები მოიყვანეს, თქვა:

— ხელმწიფევ, ესენი შენი შვილები არ არიან. უფლისწულები ქვესკნელში სხედანო.

რაღას იზამდა, ხელმწიფე იძულებული გახდა შვილები ქვესკნელიდან ამოეყვანა. დერვიშმა უფროს უფლისწულს დაადო ხელი, ამას წავიყვანო.

დერვიშმა უფლისწული შინ მიიყვანა თუ არა, უბრძანა:

— ფიჩხი მოაგროვე, ქვაბს შეუკეთე და ცეცხლი დაანთეო.

უფლისწულმა შეასრულა ბრძანება.

— ახლა კი ქვაბთან მიდიო, — კვლავ უბრძანა დერვიშმა.

— ჯერ მასწავლებელი მივიდეს, მერე მოწაფეო, — უპასუხა უფლისწულმა.

სამჯერ უბრძანა დერვიშმა უფლისწულს, ქვაბთან მიდიო, მაგრამ მისგან სამჯერვე ერთი და იგივე პასუხი მიიღო. მაშინ გაჯავრდა დერვიში და ეძგერა უფლისწულს, უნდოდა ხელი ეტაცნა, მაგრამ ფეხი დაუცდა, ცეცხლში ჩავარდა და დაიწვა. დამწვარი დერვიშისაგან მისი სახლის დიდი გასაღებიღა დარჩა მიწაზე. უფლისწულმა აიღო გასაღები და სახლი გააღო. ამ სახლში ბოროტ დერვიშს უამრავი ტყვე ჰყოლოდა დამწყვდეული. უფლისწულმა ჯერ ტყვეები გაათავისუფლა, მერე ოთახები მიიარ-მოიარა და შიგ ორი ვეფხვი, ორი მონადირე ძაღლი და ორიც შევარდენი ნახა. უფლისწულმა ყველანი თან წამოიყვანა და წამოვიდა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს ერთ ქალაქს მიადგა. ამ ქალაქის განაპირას, ტყეში, ერთი ტბა იყო. უფლისწულმა ტბა რომ დაინახა, ბანაობა მოუნდა და ტანთ გაიხადა. სწორედ ამ დროს მეფის სასახლის კოშკში ხელმწიფის ასული იჯდა და სივრცეს გაჰყურებდა. ქალმა ახალგაზრდა ვაჟს ხელმწიფის შთამომავლობის ნიშანი დაუნახა შუბლზე (ხელმწიფის ასული ბრძენი ქალი იყო და განსაკუთრებული ნიშნების მიხედვით სცნობდა ხალხს) და გადაწყვიტა, ცოლად მხოლოდ ამ კაცს გავყვებიო.

უფლისწულმა ტბაში იბანავა, ცხოველები ტყეში დააბა და ქალაქში შევიდა. ამასობაში ხელმწიფის ასული მამასთან მივიდა, გაახსენა, რომ იმათი ქვეყნის ძველი ადათ-წესების მიხედვით ხელმწიფის ასულს თვითონ შეეძლო საქმროს ამორჩევა და სთხოვა, მთელი ქალაქის მცხოვრებლები შეკრიბე, რომ მეც ასე მოვიქცეო.

ხელმწიფემ ქალაქში მოძახურები დაგზავნა.

დადიოდნენ მოძახურები და მთელ ქალაქს ატყობინებდნენ:

— ამა და ამ ადგილას შეიკრიბენით, ხელმწიფის ასულმა საქმრო უნდა ამოირჩიოსო.

სასახლეში დერვიშის ტანისამოსში გადაცმული უფლისწულიც მივიდა.

ხელმწიფის ასულმა ხალხს ჩამოუარა და მაშინვე იცნო ის ვაჟი, როცა ხელმწიფის ასული ვინმეს თავის საქმროდ ამოირჩევდა, იმისათვის მოახლეებს ნელსაცხებლები უნდა მიეპკურებინათ. და აი, ხელმწიფის ასულმა თავის მოახლეს უბრძანა, ნელსაცხებელი დერვიშის ტანისამოსში გადაცმულ უფლისწულს მიაპკურეო.

გაოცებული ხალხი ალაპარაკდა:

— ალბათ, მოახლე შეცდაო!

მოახლემ კი ხალხს მიუგო:

— თუ რაიმე შეცდომა მოხდება, ჩემი კი არა, ქალბატონის ბრალი იქნებაო.

სხვა რა გზა იყო, ხემლწიფემ თავისი ასული დერვიშს მიათხოვა. ძალიან წუხდა ხელმწიფე, მაგრამ არაფერს იმჩნევდა. ერთხელ დერვიშად გადაცმულმა უფლისწულმა მეფის სიძეები სანადიროდ მიიწვია. ხალხს გაუკვირდა, სად დერვიში და სად ნადირობაო? მაგრამ სანადიროდ მაინც ყველა წავიდა. უნდოდათ ენახათ რა მოხდებოდა და თავშესაყარ ადგილად ტყეში ერთი ტბა დათქვეს.

უფლისწული წინასწარ თავის ცხოველებთან წავიდა უბრძანა, რაც შეიძლება მეტი ირემი, შველი, და გარეული ღორი დახოცეო. ვეფხვებმა და ძაღლებმა მართლაც გამოიდეს თავი. უფლისწული პირველი მივიდა ტბასთან და დახოცილი ტყის

ნადირთა და ფრინველთა მთელი გორა დააყენა. დანარჩენი მონადირეები ხელცარიელები დაბრუნდნენ და გაკვირვებულნი დარჩნენ, ნეტავი უფლისწულმა ეს როგორ მოახერხაო?

ქალაქში რომ დაბრუნდნენ, დერვიშმა მთელი ნანადირევი ხელმწიფეს მიართვა. ხელმწიფე მიხვდა, რომ იმისი სიძე უბრალო დერვიში არ იყო და ჰკითხა:

— ვინა ხარო?

უფლისწულმაც აღარ დაუმალა თავისი ვინაობა.

გახარებულმა ხელმწიფემ ვაჟი თავის მემკვიდრედ გამოაცხადა.

მალე მოხუცი ხელმწიფე გარდაიცვალა, მისი ახალგაზრდა მემკვიდრე კი სასახლეში დასახლდა და თავის ცოლთან ერთად ბედნიერად ცხოვრობდა.

ერთხელ სასახლესთან მეთევზემ თევზი ჩამოატარა გასაყიდად. დედოფალმა დაინახა და ჰკითხა: რა თევზს ჰყიდიო?

სწორედ ამ დროს ერთი თევზი შეფართხალდა.

— მითხარი, ეს თევზი დედალია თუ მამალი? სწორედ ეს უნდა ვიყიდოო.

ამ სიტყვებზე თევზს გაეცინა. თევზმა როგორ გაიცინაო, გაუკვირდა დედოფალს და შეცბუნებული შებრუნდა სასახლეში.

— რა მოგივიდაო? — ჰკითხა დედოფალს ხელმწიფემ.

— რა და, სასახლეში გასაყიდი თევზი მოიტანეს. ვიკითხე, ეს თევზი დედალი არის თუ მამალი-მეთქი და ჩემს კითხვაზე თევზს გაეცინა. ახლა მთელი დღე ეს ფიქრი მაწვალებს, თევზს რაზე გაეცინაო.

— რაო, თევზს გაეცინა? ეს შეუძლებელიაო! — არ დაიჯერა ხელმწიფემ.

— ჯერ გონება არ დამიკარგავს და იმას გეუბნები, რაც ჩემი თვალითა ვნახე და ჩემი ყურით გავიგონეო, — გაჯავრდა დედოფალი.

— თუ ასეა, ახლავე ვუბრძანებ გაიგონ თევზი რაზე იცინოდაო, — გადაწყვიტა ხელმწიფემ, მერე ვეზირს დაუძახა და უთხრა:

— ექვსი თვის ვადა მომიცია; თუ ამ ხნის განმავლობაში გამიგებ, რატომ იცინოდა თევზი, ხომ კარგი, სიცოცხლეს გაჩუქებ, თუ არადა სიკვდილით დაგსჯიო.

დაიწყო ვეზირმა ძიება. ვიღას არ ეკითხებოდა თევზის ამბავს, ბრძენი იქნებოდა თუ ჩვეულებრივი ადამიანი, მაგრამ ვერ იქნა და ვერაფერი გაიგო.

ამ კითხვა-ძიებაში ხუთი თვე შეუმჩნევლად შემოელია. ვეზირი უკვე შეურიგდა კიდეც თავის ბედს, — მე ამ საქმეს თავს ვერ გავართმევ, კითხვაზე პასუხს ვერ გავცემო და სასიკვდილოდ მოემზადა. ხელმწიფის რისხვისაგან თავისი შვილი მაინც რომ ეხსნა, ჭაბუკი სამოგზაუროდ გაგზავნა.

სამოგზაუროდ წასული ჭაბუკი გზაზე ერთ მოხუც გლეხს გადაეყარა და დაუამხანაგდა. ძალიან ცხელოდა, დიდი და ძნელად სავალი გზა ჰქონდათ გასავლელი.

— როგორა გგონია, გზა უფრო არ გაგვიადვილდება, თუ რიგრიგობით ერთმანეთს ზურგით ვატარებთო? — ჰკითხა ჭაბუკმა მოხუცს.

გაკვირვებულმა გლეხმა ჭაბუკს უთხრა:

— ეს რა უცნაური ვინმე ყოფილხარო?

განაგრძეს გზა. იარეს, იარეს და მიადგნენ ერთ ყანას. ყანა სიმწიფისაგან სულ ოქროსფრად ლივლივებდა.

— ნეტავი ეს ყანა შეჭმულია თუ არაო? — იკითხა ჭაბუმა.

ვერ მიუხვდა გლეხი რას ეკითხებოდნენ და უპასუხა: არ ვიციო.

იარეს, იარეს და ახლა ერთ დიდ სოფელს მიადგნენ. ჭაბუკმა გლეხს დანა გაუწოდა და უთხრა:

— მეგობარო, აჰა, ეს დანა და ჩვენთვის ორი ცხენი იშოვე. ოღონდ დანა უკანვე უნდა დამიბრუნო, ძალიან ძვირფასი არისო.

მოხუცი ისევ ვერაფერს მიუხვდა. დანა არ გამოართვა და გაბრაზებული ბუტბუტსღა მოჰყვა.

ჩავიდნენ ქალაქში, გაიარ-გამოიარეს ბაზარში, შევიდნენ მეჩეთში, მაგრამ არც სალამი მიუცია ვინმეს და არც არავის შინ მიუპატიჟებია.

— რა უზარმაზარი სასაფლაოა! — თქვა ჭაბუკმა.

ნეტავი რისი თქმა უნდა, ამ დიდ ქალაქს სასაფლაოს რად ეძახისო? — გაიფიქრა მოხუცმა.

გავიდნენ ქალაქიდან და სასაფლაოს მიადგენ. ხედავენ ერთ საფლავთან რამდენიმე ადამიანი ლოცულობს და თავიანთი მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად გამვლელ-გამომვლელს საჭმელს ურიგებენ. ცოტა საჭმელი მოხუცსა და ჭაბუკსაც მისცეს.

— რა მშვენიერი ქალაქიაო! — თქვა მაშინ ჭაბუკმა. ალბათ, ჭკუიდან შეიშალა. ახლა რაღას იტყვის? ალბათ, ხმელეთს წყალს დაარქმევს და წყალს — ხმელეთს, ბნელს ნათელს დაუძახებს და ნათელს — ბნელსაო. გაიფიქრა თავისთვის მოხუცმა, მაგრამ ხმამაღლა აღარაფერი უთქვამს.

მალე ერთ ღრმა მდინარეზე მოუხდათ გადასვლა. გლეხმა ფეხთაც გაიხადა, ტანთაც და ისე გავიდა მეორე ნაპირზე, ჭაბუკი კი ჩაცმული შევიდა წყალში. ეს რომ მოხუცმა დაინახა, თქვა:

ასეთი უცნაური კაცი ჩემს სიცოცხლეში არ შემხვედრიაო, — მაგრამ ჭაბუკი მაინც მოსწონდა და შინ მიიპატიჟა.

მიპატიჟებაზე ჭაბუკმა მადლობა გადაუხადა და უთხრა:

— ჯერ უნდა გავიგო, თქვენი სახურავი მაგარ კოჭებს უჭირავს თუ არაო.

მოხუცმა ხელიღა ჩაიქნია, გაეცინა და შინ შევიდა. მერე თავისიანებს მიესალმა და უთხრა:

— გარეთ ერთი ჭაბუკი დგას. ორივემ კარგა დიდი გზა გამოვიარეთ ერთად და შინ მოვიპატიჟე, მაგრამ არ შემომყვა: ჯერ უნდა გავიგო თქვენი სახურავი მაგარ კოჭებს უჭირავს თუ არაო. საწყალი, ალბათ, ჭკუიდან შეშლილიაო.

ამ გლეხს ერთი ჭკვიანი ქალი ჰყავდა, ქალმა მამას მოუსმინა და უთხრა:

არა, მამი, ის კაცი სულაც არ არის ჭკუაზე შეშლილი. გარეთ იმიტომ გაჩერდა, რომ უნდოდა გაეგო, მისი გამასპინძლება შეგეძლო თუ არაო.

მაშინ გლეხმა შვილს უთხრა:

— ეგ კარგი, მაგრამ იქნებ სხვა რამეც ამიხსნა. გზაში მივდივართ და მეკითხება: ჩვენ ორში რომელმა რომელი აიკიდოს ზურგზე, მე — შენ, თუ შენ — მე, გზას ასე უფრო მხიარულად გავივლითო.

— რა თქმა უნდა, ის მართალი იყოო, — უპასუხა ქალმა, — ამით იმას განიშნებდა, რამე ამბავს მოვყვეთ, რომ გზა გაგვიადვილდესო.

— ეგეც გავიგე. მერე როცა მწიფე ყანას ჩავუარეთ, მკითხა: ეს ყანა ნეტავი შეჭმულია თუ არაო?

— ნუთუ, მამაჩემო, ვერც ეგ გაიგე? გეკითხებოდა, ამ ყანის პატრონს ვალი აქვს თუ არაო. თუ ვალი აქვს, მაშინ ყანა პატრონისთვის შეჭმული ყოფილა, რადგან მთელ მოსავალს მევალე წაიღებსო, — უპასუხა შვილმა.

— მართალი ხარ, ახლა მივხვდიო. შემდეგ ერთ სოფელში მივედით. იმან დანა გამომიწოდა და მითხრა: ორი ცხენი იშოვე, დანა კი უკან დამიბრუნეო.

— ესეც გასაგებია. განა ორი კარგი ჯოხი სიარულს არ გაგიადვილებდათ? ორი ჯოხი ორი ცხენივით გამოგადგებოდათ. იმან გთხოვა ორი ჯოხი მოგეჭრა და დანა არ დაგეკარგა.

— ახლა მესმის. მერე ერთი ქალაქი გავიარეთ, სადაც არც ერთი ნაცნობი არ შეგვხვდერია, არავის არაფერი შემოუთავაზებია, და ქალაქგარეთ სასაფლაოს ჩავუარეთ, სადაც დაგვიძახეს და ცოტაოდენი საჭმელი მოგვაწოდეს. ჩემმა თანამგზავრმა ქალაქს სასაფლაო უწოდა და სასაფლაოს — ქალაქიო, — თქვა ისევ მოხუცმა.

— ესეც გასაგებია, მამავ. ქალაქი ხომ ის ადგილია, სადაც ყველაფერს ვშოულობთ. უპურმარილო ხალხი კი მკვდარზე უარესია. უპურმარილო ქალაქი, თუმცა ხალხით იყო სავსე, თქვენთვის მკვდარი იყო, სასაფლაოზე კი, სადაც მხოლოდ მიცვალებულები იწვნენ, გულიანი ხალხი შეგხვედრიათ, ისინი გაგმასპინძლებიან და ჭაბუკს ასე ამიტომაც უთქვამსო.

— მართალია, მართალი! კიდევ ერთი რამ უნდა გითხრაო, — თქვა მოხუცმა: — ახლახან მდინარე გამოვიარეთ, ჭაბუკს ფეხსაცმელიც კი არ გაუხდია, მდინარე ჩაცმულმა გამოიარაო.

— მიკვირს მისი გონიერებაო, — თქვა ქალიშვილმა, — ხშირად მიფიქრია, რა სისულელეს ჩადის ადამიანი, როდესაც სწრაფ მდინარეში ფეხშიშველი შედის, მდინარის ფსკერზე ხომ წვეტიანი ქვები ყრია! ჭკვიანი კაცი ყოფილა! ნეტავი ერთი შემახვედრა და იმასთან მალაპარაკაო.

— კარგი, წავალ და მოგიყვანო.

— უთხარი, რომ ჩვენს სახლს მაგარი კოჭები აქვს და უეჭველად წამოვა. მე კი საჩუქარს გავუგზავნი — იცოდეს, რომ შეგვიძლია იმის გამასპინძლებაო.

ქალიშვილმა მუშას დაუძახა, ერთი ჯამი ერბო, თორმეტი ღვეზელი და ერთი ფინჯანი რძე გაატანა ჭაბუკთან და თან დააბარა: მეგობარო, ახლა სავსე მთვარეობაა, წელიწადში თორმეტი თვეა და ზღვაც წყლით სავსეა-თქო.

გზაზე მუშას თავისი პატარა ბიჭი შემოხვდა და ცოტა საჭმელი იმას აჭამა. მერე ჭაბუკთან მივიდა, საჭმელიც გადასცა და ქალიშვილის დანაბარებიც.

— სალამი გადაეცი ახალგაზრდა დიასახლისს და უთხარი: მთვარე მილეულია, წელიწადს თერთმეტი თვე აღმოაჩნდა და არც ზღვა არის პირთამდე სავსე-თქო, — დააბარა ჭაბუკმა მუშას.

მუშა უგუნური კაცი იყო, ჭაბუკის სიტყვები ვერ გაიგო და ამიტომ ქალს დანაბარები სიტყვასიტყვით გადასცა. მიხვდა ქალი, რომ მუშამ დავალება პირნათლად არ შეასრულა და დასაჯა.

ჭაბუკი გლეხკაცს ესტუმრა. მასპინძლებმა დიდი პატივით მიიღეს. ჭაბუკმა ყველაფერი უამბო, თევზის სიცილისა და თავისი ამბავიც, ისიც, რომ იმის მამას სიკვდილი ელოდა და რჩევა ჰკითხა.

— თევზის სიცილი იმას ნიშნავს, რომ სასახლეში ვიღაც ბოროტგანმზრახველი კაცი იმალება და მეფეს სიკვდილი ემუქრებაო, — უთხრა ქალიშვილმა.

გახარებულმა ვეზირის შვილმა სასახლისაკენ გაქუსლა და ბრძენი ქალიშვილის სიტყვები ვეზირს გადასცა, ვეზირმა კი ხელმწიფეს მოახსენა.

ხელმწიფემ არ დაიჯერა.

— შეუძლებელიაო!

მაშინ ვეზირმა უთხრა:

— სწორედ ასეა, როგორც მე ვამბობო. თუ არა გჯერა, მოდი, ერთი ორმო ამოვთხაროთ და სასახლეში მყოფი ყველა ქალი ზედ გადავახტუნოთ; ქალებში თუ ვინმე კაცი ურევია, ასე უეჭველად გავიგებთო.

მართლაც, ამოთხარეს ორმო და ყველა ქალს გადახტომა უბრძანეს. ორმოზე მხოლოდ ერთადერთი ქალი გადახტა, სწორედ ის აღმოჩნდა გადაცმული კაცი.

დედოფალს ძალიან გაუხარდა თევზის სიცილის მიზეზი რომ გაიგო. ვეზირი სიკვდილს გადარჩა, მისმა ვაჟმა კი ბრძენი ქალიშვილი ცოლად შეირთო და ტკბილად და ბედნიერად ცხოვრობდა.

ბედის საძებნელად წასული კაცის ამბავი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი. ცოლი და თორმეტი შვილი ჰყავდა. ფული ერთი რუპია არ გააჩნდა. ბავშვები შიმშილისაგან იხოცებოდნენ, მშობლებმა კი არ იცოდნენ, რა ექნათ. გაჯავრდა კაცი ღმერთზე და თავისი ბედის საძებრად წავიდა. იარა, იარა და ერთ ტყეში აქლემი შემოხვდა. აქლემს ზურგზე ორი ტომარა ოქრო ეკიდა. აქლემი, თურმე, ერთი ხელმწიფისა იყო, ერთხელ ეს აქლემი ქარავნისათვის გაეყოლებინათ მეზობელ სახელმწიფოში. გზაზე ისე მომხდარიყო, რომ მექარავნეებს აკიდებული აქლემი იქ დარჩენოდათ და თვითონ წასულიყვნენ. იმ დღიდან მოკიდებული მთელი თორმეტი წელიწადი აქლემს ზურგზე ოქროთი გატენილი ტომრები ეკიდა და ისე დახეტიალობდა.

— სად მიდიხარო? — ჰკითხა ღატაკს აქლემმა.

— სად და ჩემი ბედის საძებრად მივდივარ. უნდა გავიგო, ასეთი ღარიბი რადა ვარო, უპასუხა ღატაკმა.

— მაშინ ერთი მეც გამიგე, რისთვის უნდა ვატარო ეს ორი ტომარა ოქრო ზურგით და რად არ უნდა შემეძლოს, ან დაწოლა, ან ჭამა, ან სმა. ასე რად უნდა დავდიოდე, რატომ ვერ უნდა ვისვენებდეო, — უთხრა აქლემმა.

— კარგი, გაგიგებო, — უპასუხა ღატაკმა და გზა განაგრძო.

გზაზე ღატაკი ერთ მდინარეს მიადგა. იმ მდინარეში ალიგატორი, თევზების ხელმწიფე ცხოვრობდა. ალიგატორი ღატაკს ჯერ მდინარის მეორე ნაპირზე გადასვლაში დაეხმარა, მერე კი ჰკითხა:

— სად მიდიხარო?

— ჩემი ბედის საძებრად მივდივარ. უნდა გავიგო ასეთი ღარიბი რადა ვარო, — უპასუხა ღატაკმა.

— მაშინ, ერთი მეც გამიგე, ასე აუტანლად რატომ მეწვის მუცელი, აგერ უკვე თორმეტი წელიაო, — უთხრა ალიგატორმა.

— კარგი, გაგიგებო, — უპასუხა კაცმა.

იარა კაცმა, იარა და ახლა ვეფხვს გადაეყარა.

— საით გაგიწევიაო? — ჰკითხა ვეფხვმა ღატაკს.

— ჩემი ბედის საძებრად მივდივარ. უნდა გავიგო, რადა ვარ ასეთი ღატაკი. ამბობენ, ჩემი ბედი ჩემი სოფლიდან თორმეტი დღის სავალზეა, მიწაზე დევს, უნდა მივდგე ჯოხითა ვცემოო.

— თუ ასეა, ძალიან გთხოვ, ისიც ჰკითხე, თათში ხიწვი რადა მაქვს შერჭობილი და რატომ ვერ ამომიღია თორმეტი წლის განმავლობაშიო, — სთხოვა ვეფხვმა.

— კარგი, ვკითხავო, — მიუგო ღატაკმა და ისევ გზას გაუდგა.

როგორც იქნა ღატაკმა იმ ადგილსაც მიაღწია, სადაც ადამიანების ბედი ცხოვრობდა — ადამიანის ბედი თურმე, ქვა ყოფილა, ზოგი ფეხზე დგას და ზოგიც მიწაზე გდია. დაინახა ღატაკმა ერთი დაგდებული ქვა და თქვა:

— ჩემი ბედი ეს იქნება! ფეხზე კი არა დგას, მიწაზე გდია და, ალბათ, ასეთი ღატაკიც იმიტომა ვარო.

მოიმარჯვა ღატაკმა კეტი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაუშინა ქვას. ურტყა და ურტყა დაღამებამდე. მაგრამ რა, თვითონ ძალ-ღონე გამოეცალა, ქვა კი ისევ ისე ეგდო. მაშინ ღმერთმა ქვას სული ჩაბერა. ქვა წამოდგა და ღატაკს ჰკითხა:

— რა დაგიშავე, რისთვისაც მცემო?

— როგორ თუ რისთვისა გცებ! შენ მიწაზე არხეინად დაგდებულხარ და შენს გამო მე და ჩემს ცოლ-შვილს სული სიღატაკესა და შიმშილში გვძვრებაო.

— დღეიდან ყველაფერი შეიცვლებაო, — უპასუხა ქვამ.

გაუხარდა ღატაკს და შინ წამოსვლა დააპირა, მაგრამ უცებ სხვების დანაბარებიც მოაგონდა.

— გზაზე ერთი აქლემი შემომხვდა. თორმეტი წელია ზურგზე ოქროთი გატენილი ორი ტომარა ჰკიდია და არ იცის, რისთვის ანდა როდემდის უნდა ატაროსო, — უთხრა ღატაკმა ბედს.

— ტომრები შენ წაიღე და აქლემი განთავისუფლდებაო, — უპასუხა ბედმა. — აქლემის მერე გზაში ალიგატორი შემხვდა. მთელი თორმეტი წელია, გულ-მუცელი ეწვის, თურმე, და უნდა გაიგოს, მიზეზი რა არისო.

— ალიგატორს მუცელში უზარმაზარი ლალის ქვა უდევს. გადმოაფურთხებს თუ არა, მორჩებაო, — უპასუხა ბედმა ღატაკს.

— ამას გარდა გზაზე ვეფხვიც შემომხვდა. ვეფხვს თათში ერთი დიდი ხიწვი შერჭობია და როგორ ამოიღოს, არ იცის. უკვე თორმეტი წელია, რაც წვალობსო, — თქვა ღატაკმა.

— ხიწვი კბილებით გამოუღე და სამუდამოდ მორჩებაო, — უპასუხა ბედმა.

ამის მეტი ღატაკის ბედს არაფერი უთქვამს, რადგან ღმერთმა სული ისევ წაართვა, მაგრამ ქვა ფეხზე დარჩა და ვერც ვერაფერი წააქცევდა.

გამობრუნდა ღატაკი. პირველად ვეფხვი შემოეყარა და ჰკითხა:

— ბედმა რა გითხრაო?

— შენი თათი მომეციო, — უპასუხა ღატაკმა. ვეფხვმა გაუწოდა, ღატაკმა ხიწვი კბილებით გამოუღო და ვეფხვს თათი მაშინვე დაუამდა. დიდი მადლობა გადაუხადა ვეფხვმა. მერე თავის ბუნაგში წაიყვანა, სადაც უამრავი ოქრო და თვალ-მარგალიტი ჰქონდა, გააშლევინა ერთი კარგა დიდი ნაჭერი და ზედ იმდენი განძეულობა დაუყარა, რომ ღატაკმა ძლივს დაძრა.

როცა ღატაკი მდინარესთან მივიდა, ალიგატორი გამოვიდა და ჰკითხა:

— ჩემი თხოვნა ხომ არ შეგისრულებიაო?

— კუჭში დიდი ლალის ქვა გდებია, გადმოაფურთხე და სამუდამოდ მორჩებიო, — უთხრა ღატაკმა.

ალიგატორმა მაშინვე გადმოაფურთხა ლალი და უთხრა:

— წაიღე, შენი იყოს. ძალზე ძვირფასი ქვა არისო.

იმ დროს ასეთი ლალი მხოლოდ რაჯას თუ ექნებოდა.

ღატაკმა მადლობა გადაუხადა ალიგატორს და გზა გააგრძელა. მალე აქლემი შემოხვდა. ღატაკმა ჩაოხსნა აქლემს ტვირთი და გაათავისუფლა. აქლემმა მადლობა გადაუხადა ღატაკს და ოქროთი სავსე ტომრები მას აჩუქა. თანც შეპირდა, მთელ შენს ქონებას სახლამდე მიგიტანო.

როცა ღატაკის ცოლ-შვილმა ამოდენა ოქრო და თვალ-მარგალიტი დაინახა, ჰკითხეს:

— სად იშოვეო?

ღატაკმაც ყველაფერი უამბო, მერე ადგა, სახლი იყიდა და ბედნიერი ცხოვრება დაიწყო.

მეორე ღატაკმა რომ გაიგო, ჩემი მეზობელი გამდიდრებულაო, მივიდა და ჰკითხა:

— ამოდენა ქონება სად გიშოვიაო?

მაგრამ მეზობელმა არ გასცა თავისი ბედის საიდუმლოება და უთხრა:

მდინარიდან ვხაპე და ვხაპე წყალი და ეს ოქრო მას ამოჰყვაო.

წავიდა ღატაკი მდინარიდან წყლის ამოსახაპავად, ხაპა და ხაპა, ხაპა და ხაპა წყალი, მაგრამ არა და არ იქნა, ოქრო არ გამოჩნდა.

თევზების მეფეს, ალიგატორს, შეეშინდა წყალი სულ არ ამოხაპოსო და დაუყვირა:

— გეყოფა! წყალს სულ ამოხაპავ მდინარიდან და თევზებს ამომიწყვეტავო.

— ოქროს ვეძებ და ვერ მიპოვია. მდინარის ამოშრობა მინდა, იქნება ოქრო ვიპოვოო, — უპასუხა ღატაკმა.

— შეჩერდი, წყალს ნუღარ ამოაშრობ და ოქროს მე მოგიტანო, — უთხრა ალიგატორმა.

ალიგატორმა ჩაყვინთა, ერთი უზარმაზარი ტალღა ნაპირზე ამოაგორა და ღატაკის წინ უამრავი ოქრო დაყარა. ღატაკმა ოქრო შინ წაიღო და შეინახა, მაგრამ ძალიან ხარბი იყო და კიდევ უფრო მეტი ოქრო მოუნდა. ისევ წავიდა მდინარესთან და ისევ შეუდგა წყლის ხვრეპას.

გაჯავრდა ალიგატორი, — ეს კაცი თუ არ გადავყლაპე, თევზებს ამომიწყვეტავსო. მართლაც, ამოყო თავი წყლიდან და კაცი გადაყლაპა. ოთხი დღე ჰყავდა მუცელში ალიგატორს ხარბი კაცი, ბოლოს შეეცოდა და უთხრა:

— იმ პირობით გაგიშვებ, თუ, რაც მოხდა, არავის ეტყვი. იცოდე, როგორც კი ვინმესთან შენი ამბავი დაგცდება, მაშინვე მოკვდებიო.

გამოხტა კაცი ალიგატორის ხახიდან და შინ წავიდა. როცა თავი სახლში დაიგულა, კაცმა ვეღარ მოითმინა: რაც კი თავს გადახდენოდა, თავის ცოლ-შვილს უამბო და თავიც წააგო. ამბის დამთავრებაც ვერ მოასწრო, რომ ჯერ დაყრუვდა, მერე გონება დაკარგა და იქვე მოკვდა.

<u>ს ა წ ო ლ ი</u>

ერთ ქვეყანაში ერთი პურით მოვაჭრე კაცი ცხოვრობდა. ამ კაცს ერთადერთი ვაჟიშვილი ჰყავდა. დედ-მამას შვილი ძალიან უყვარდა და რითაც შეეძლოთ, ანებივრებდნენ. თვითონ კი დღე და ღამე შრომობდნენ, თავს არ იზოგავდნენ, რომ შვილი ერჩინათ. მშობლებმა შვილს არც ხელობა ასწავლეს და არც ცოდნა მისცეს. ის აღარ იფიქრეს, ჩვენი სიკვდილის მერე ბიჭს რა ეშველებაო. როცა ვაჟი წამოიზარდა, მშობლებმა საცოლე მოუძებნეს, დააქორწინეს და თავიანთ სახლში დააბინავეს.

გავიდა დრო. მშობლები დაიხოცნენ, ვაჟი და იმის ცოლი ერთ ხანს მშობლების დანატოვარი ქონებით ირჩენდნენ თავს, მაგრამ სარჩო დღითი-დღე ელეოდათ. ჩემს ქმარს რომ არაფერი ეხერხება, როცა ფული გაგვითავდება, რა უნდა ვქნათო, — წუხდა ქალი.

შეატყო ქმარმა ცოლს უგუნებობა და ჰკითხა:

— რა მოგივიდა, ასეთი შეწუხებული რადა ხარო?

— რა და, ფული გვითავდება, შენ კი არაფრის კეთება არ გეხერხება. რა გვეშველება, არ ვიცი.

— ნუ დარდობ, ნახავ, რომ ცოტა რამ მეც შემძლებიაო, — დააიმედა ვაჟმა.

როცა ფული სულ გამოელიათ, ქმარმა ნაჯახი აიღო და ცოლს უთხრა:

— დღეს სამუშაოდ მივდივარ, საგზალი მომიმზადეო.

გაუკვირდა ცოლს, ნეტავი რის გაკეთებას აპირებსო, მაგრამ ქმარს არაფერი უთხრა და საგზალი გაუმზადა.

წავიდა ქმარი ტყეში და მთელი დღე იქ დაჰყო — დადიოდა, ხან ერთ ხეს მიადგებოდა, ხან მეორეს და ეკითხებოდა:

— შეიძლება, მოგჭრაო?

ხეები ხმას არ იღებდნენ და ვაჟიც ხელცარიელი დაბრუნდა უკან. შინ რომ მოვიდა, არც ცოლს უკითხავს რამე და არც თვითონ უთქვამს არაფერი.

მეორე დღეს ვაჟმა ისევ წაიღო საგზალი და ისევ წავიდა ტყეში, ისევ ისე მიადგებოდა ხან ერთ ხეს, ხან მეორეს და ეკითხებოდა:

— შეიძლება, მოგჭრაო?

მაგრამ ხეები არაფერს ეუბნებოდნენ და ვაჟიც ისევ ხელცარიელი გამობრუნდა. მესამე დღესაც იგივე გამეორდა.

მეოთხე დღეს კიდევ წავიდა ტყეში. ხეები ისევ არ იღებდნენ ხმას. უკვე ღამდებოდა და ვაჟი შინ უნდა დაბრუნებულიყო, რომ ერთ მანგოს ხესთან მივიდა და ჰკითხა:

— შეიძლება, მოგჭრაო?

— მომჭერიო, — უპასუხა ხემ.

ღმერთებს უყვარდათ პურის გამყიდველის კეთილი ვაჟი და მანგოს იმიტომ უბრძანეს, დათანხმდი მოგჭრასო.

გაუხარდა პურის გამყიდველის შვილს. მანგოს ხე მოჭრა, მხარზე გაიდო და შინისაკენ გასწია. ცოლმა რომ დაინახა, ქმარს მხარზე გადებული ხე მოაქვსო, გაიფიქრა: ნეტავი, რად უნდა, რის გაკეთებას აპირებსო, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს.

მეორე დილით ვაჟმა ხე სახლში შეიტანა და ცოლს სთხოვა: ერთი კვირის სამყოფი საჭმელ-სასმელი მომიტანე, ღუმელიც დამითნე და, ვიდრე არ დაგიძახებ, ჩემთან არ შემოხვიდეო.

ჩაიკეტა ვაჟი.

ცოლს უკვირდა, ერთი გამაგებინა, რას აკეთებსო, მაგრამ პირობა არ დაარღვია და მთელი კვირა იმის ოთახში არ შესულა.

ერთ კვირაში ვაჟმა ამ მანგოს ხისაგან ისეთი მშვენიერი საწოლი გამოთალა, მისი მსგავსი ქვეყანაზე მეორე არ მოიძებნებოდა. კვირის თავზე ქმარმა ცოლს დაუძახა და უთხრა:

— აბა, ნახე, რა გავაკეთეო!

— ნუთუ მართლა შენი ნახელავია? ასეთი მშვენიერი საწოლი თავის დღეში არ მინახავსო, — გაოცდა ცოლი.

მთელ მეორე დღეს ვაჟი ისვენებდა. მესამე დღეს კი ადგა და ის საწოლი ხელმწიფის სასახლეში წაიღო. ყველას ძალიან მოეწონა საწოლი, ყველა კითხულობდა მოხელეს, მაგრამ ვაჟი პასუხს არავის აძლევდა. ამბობდა, მხოლოდ ხელმწიფეს ვეტყვი ყველაფერსო. მსახურებიც წავიდნენ მეფესთან, ამ მშვენიერი საწოლის ამბავი მოახსენეს და ისიც უთხრეს: ვინც საწოლი გააკეთა, ის კაცი მარტო ხელმწიფეს დაელაპარაკება, სხვასთან კრინტს არა სძრავსო.

მაშინ ხელმწიფემ ბრძანა, პურის გამყიდველის ვაჟი აქ მომგვარეთო. როცა მიჰგვარეს, ჰკითხა:

— ამ საწოლს ჰყიდიო?

— ვყიდიო.

— რა მშვენიერი საწოლია, ვინ გააკეთაო?

— მე გავაკეთეო.

— რა ღირსო?

— ათასი რუპიაო.

— ძვირიაო.

— ნაკლებად არ მივცემო.

— კარგი, შენი ნება იყოს. ათას რუპიას მოგცემო, — უთხრა ხელმწიფემ და საწოლი გამოართვა. მაგრამ ვაჟმა ხელმწიფე გააფრთხილა:

— ამ საწოლზე რომ დაწვები, პირველ ღამეს ნუ დაიძინებ, რაღაცას გაიგონებ და ნახავო.

ვაჟმა ფული წამოიღო და წამოვიდა. ცოლს შეეშინდა, ვაითუ ეს ფული პატიოსანი გზით არა აქვს ნაშოვნიო, მაგრამ ქმარმა დაამშვიდა, საწოლი ხელმწიფეს მივყიდე და ფული იმან მომცაო.

იმ ღამეს ხელმწიფე ახალ საწოლზე დაწვა და როგორც კი ათი საათი გახდა, რაღაცა ლაპარაკი გაიგონა, საწოლის ერთი ფეხი დანარჩენებს ეუბნებოდა:

— ყური დამიგდეთ! ახლა მე ხელმწიფის ქვეყნის დასაზვერად წავალ. თქვენ კი მაგრად იდექით ჩემს მოსვლამდე, ხელმწიფე ძირს არ ჩამოაგდოთო.

— კარგი, წადი, სუფთა ჰაერზე გაისეირნე. ჩვენ კი შენს მოსვლამდე ბოძებივით ვიდგებითო, — უთხრა დანარჩენმა სამმა ფეხმა.

მალე ხელმწიფემ ისიც დაინახა, როგორ გამოეცალა საწოლს ერთი ფეხი და გარეთ გავიდა.

წავიდა საწოლის ფეხი და ერთ ტრიალ მინდორზე გავიდა. იქ ორი გველის დავას შეესწრო. ერთი ამბობდა:

— ხელმწიფეს უნდა ვუკბინოო.

— არა, მე უნდა ვუკბინოო, ედავებოდა მეორე.

— შენ ვერ უკბენ. მე კი იმის საწოლზე ავცოცდები და ვუკბენო, — თქვა ისევ პირველმა.

— არა, შენ ვერ მოახერხებ საწოლზე აცოცებას. მე კი მეფეს ფეხსაცმელში ჩავუძვრები და, როცა ჩაცმას დააპირებს, ფეხზე ვუკბენო, — არ თმობდა მეორე.

საწოლის ფეხი მაშინვე გამობრუნდა სასახლეში და, რაც გაიგონა, დანარჩენ სამ ფეხს უამბო, თან დაატანა:

— თუ დილაზე ხელმწიფე ფეხსაცმელს ჩაცმამდე დაბერტყავს, გველი გამოვარდება და ვეღარ უკბენსო.

ხელმწიფემ ყველაფერი გაიგონა.

— ახლა მე წავალ ხელმწიფის ქვეყნის დასაზვერად, თქვენ კი უჩემოდ მაგრად იდექითო, — თქვა მეორე ფეხმა.

— წადი, ვეცდებით, საწოლი არ წავაქციოთო, — უპასუხეს დანარჩენებმა.

წავიდა საწოლის მეორე ფეხი და ერთ ტრიალ მინდორზე გავიდა. იქ ერთი დანგრეული სასახლე იდგა, შიგ მხოლოდ ქარიღა დანავარდობდა. ქარმა საწოლის ფეხს უთხრა: როგორც კი ხელმწიფე ამ ნანგრევების სანახავად მოვა, კედლები თავზე ჩამოენგრევა და ქვეშ მოიტანსო.

საწოლის მეორე ფეხი სასახლეში დაბრუნდა, დანარჩენებს უამბო, რაც გაიგონა და თან დააყოლა:

— მე რომ ხელმწიფე ვიყო, იმ ნანგრევებს სასწრაფოდ ავიღებდი, თორემ, როცა იქნება, ჩამოიქცევა და ხელმწიფეს ქვეშ მოიყოლებსო.

ხელმწიფე იწვა და ყველაფერს უსმენდა. მას იმ სასახლის არსებობაც კი დავიწყებული ჰქონდა.

ახლა მესამე ფეხმა თქვა:

— მეც წავალ დასაზვერად, თქვენ კი მაგრად იდექითო, — და წავიდა მესამე მინდორზე. იქ კი ერთი დერვიში ცხოვრობდა.

დერვიშთან საჭმელი ერთი მეომრის ცოლს დაჰქონდა და მისგან კი ხან რას სწავლობდა და ხან რას. ამ დერვიშს ქალის პატიოსნებაში ეჭვი ეპარებოდა და მისი გამოცდა მოინდომა. ერთხელაც, როცა ქალი ჩვეულებრივზე უფრო გვიან მივიდა, ჰკითხა:

— რატომ დაიგვიანეო?

— ქმარმა შემაგვიანაო, — უპასუხა ქალმა.

— მე შენი მასწავლებელი ვარ, ან მე უნდა დამიჯერო, ან შენს ქმარს. ახლავე აირჩიე, რომელი გინდაო, — უთხრა დერვიშმა.

ეს დედაკაცი ძალიან ბოროტი ქალი იყო. წავიდა, ქმარი მოკლა, მერე დერვიშთან დაბრუნდა და უთხრა:

— მარტო შენ დაგიჯერებ, ჩემი ქმარი მოვკალიო!

— როგორ თუ ქმარი მოკალი? — განრისხდა დერვიში. — აქედან დამეკარგე, შე ბოროტო დედაკაცო, შენა! სულ ტყუილად მისწავლებია შენთვის სიკეთე. მხეცი ყოფილხარ, ადამიანი კი არა. წადი და თავის დღეში თვალით აღარ დამენახოო.

ქალი შინ დაბრუნდა და კივილი მორთო:

— ხალხნო, მიშველეთ, ყაჩაღებმა ქმარი მომიკლესო.

დაბრუნდა საწოლის მესამე ფეხი და უამბო დანარჩენებს ბოროტი ქალის ამბავი.

ქვეყნის დასაზვერად ახლა საწოლის მეოთხე ფეხი წავიდა. მივიდა მეოთხე მინდორში და რას ხედავს: ქურდებს ეს-ეს არის ხელმწიფის სასახლე გაუძარცვავთ, მისი განძეული წამოუღიათ, მისი მძინარე ასულიც წამოუყვანიათ და აქ შეკრებილან.

სასწრაფოდ გაბრუნდა საწოლის მეოთხე ფეხი სასახლეში და, რაც ნახა, დანარჩენებს უამბო. ხელმწიფემ ყველაფერი გაიგონა და სასწრაფოდ წამოხტა საწოლიდან. წამოხტა, მაგრამ ფეხსაცმლის დაბერტყვა არ დაავიწყდა, ფეხსაცმელიდან, მართლაც, წამოვარდა გველი და ხელმწიფეც დარწმუნდა, რომ საწოლის პირველ ფეხს მართალი ეთქვა.

შეკრიბა ხელმწიფემ მცველები და სასწრაფოდ იმ მინდვრისაკენ გაემგზავრა, სადაც ქურდები იყვნენ. ქურდებს შეშინდათ და გაიქცნენ. ხელმწიფემ თავის ასული სასახლეში წამოიყვანა და მთელი თავისი განძეულიც თან წამოიღო. დარწმუნდა, რომ საწოლის მეოთხე ფეხმაც მართალი თქვა.

მაშინ ხელმწიფემ იმ ძველი სასახლის ნანგრევების ასაღებად მუშები გაგზავნა. კედლები უკვე ჩამოქცევაზე იყო. მიხვდა ხელმწიფე, რომ საწოლის მეორე ფეხსაც მართალი ეთქვა.

მეორე დილით, ჩვეულებისამებრ, ხელმწიფე ხალხის გასასამართლებლად რომ გავიდა, მოახსენეს, წუხელ ყაჩაღებმა ერთი მეომარი მოკლესო. ხელმწიფემ უკვე იცოდა, ვისი მოკლულიც იყო მეომარი. მოაყვანინა ის ბოროტი ქალი, დაჰკითხა და დანაშაულში გამოტეხა. ასე რომ, საწოლის მესამე ფეხსაც მართალი უთქვამს. მეფემ ბრძანა: ქალი სიკვდილით დასაჯეთ და მეომარი კი დამარხეთო.

ამის შემდეგ ხელმწიფემ პურის მცხობელის ვაჟთან კაცი გაგზავნა და შეუთვალა:

— შენი ჯადოსნური საწოლი რომ არ ყოფილიყო, დავიღუპებოდი: გველი მიკბენდა, ძველი სასახლე თავზე ჩამომენგრეოდა და ქვეშ მომიტანდა, ჩემს ასულსა და განძეულს ქურდები გაიტაცებდნენ და ბოროტი ქალი კი დაუსჯელი დარჩებოდა. ხვალ შენი საბარგული მოიტანე; იმდენი ფული უნდა მოგცე, რამდენის წაღებასაც შუადღემდე მოასწრებო.

მეორე დილას პურის გამყიდველის ვაჟი ადრიანად მივიდა სასახლეში და ხელმწიფემ უთვალავი სიმდიდრე უბოძა. ცოლს ძალიან უკვირდა და სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— რა მოხერხებული კაცია ჩემი ქმარი, ერთი კვირა იმუშავა და რამდენი რამე იშოვაო!

იმ დღიდან პურის გამყიდველის ვაჟი და იმისი ცოლი მდიდრად და ბედნიერად ცხოვრობდნენ.

<u>რაჯასი და მისი ვეზირის ამბავი</u>

ერთმა რაჯამ თავის ვეზირს ჰკითხა:

— მითხარი, ძალიან გიყვარვარო?

— ბატონო, სიყვარული რა სახსენებელია, როცა მე თქვენი მონა-მორჩილი ვარო.

— არა, მე გარკვეული პასუხი მინდაო, — დაიჩემა რაჯამ.

— თქვენს მონას ისევე უყვარხართ, როგორც თქვენ ის გიყვართო, — უპასუხა მაშინ ვეზირმა.

— შეუძლებელია, ორ ადამიანს ერთმანეთი ერთნაირად უყვარდეს, ერთს ყოველთვის მეტად უყვარს, ვიდრე მეორესო, — არა ცხრებოდა რაჯა.

— რაკი ასეა, მოდი, ღამე გავიპაროთ, ქალაქის ქუჩები მოვიაროთ და რამოდენიმე ღატაკს ვკითხოთ აზრი, იქნება თქვენს კითხვაზე სწორი პასუხი იმათ მოგვცენო.

— კარგი, ამაღამვე წავიდეთო, — დათანხმდა რაჯა.

დაღამდა თუ არა, რაჯა და იმისი ვეზირი ერთ ქოხს მიადგენ და ღია კარიდან სართავთან მიმჯდარი დედაბერი დაინახეს.

— უყურეთ ამ ჩერჩეტ დედაკაცს, მთელი დღე სართავს უზის და ღამითაც აღარ ისვენებსო! — ხმამაღლა თქვა გაჯავრებულმა რაჯამ.

მაშინ ვეზირმა რაჯას სთხოვა:

— ძალიან გთხოვთ, მშვიდად ბრძანდებოდეთ! თქვენს მონას სურს, ცოტა რამ გაიგოსო, — და დედაბერს მიმართა: — ეჰეი, ბებერო! ახალი ამბავი იცი?

— ვინა ხარ, აგრე გვიან რომ მაწუხებ და ღამითაც არ ისვენებო? — ჰკითხა ვეზირმა.

— ყური დამიგდე! ჩვენი ქალაქის რაჯა მძიმედ რომ არის ავად, არ გაგიგიაო? — ჰკითხა ვეზირმა.

— მერედა მე რაში მენაღვლება; ჩემი დღე და მოსწრება მშიერ-მწყურვალი ვუზივარ ამ სართავს. განა, როცა რაჯა ჯანმრთელად იყო, მე რამე სიკეთე მადგა, რომ ახლა მისი ავადმყოფობა ვიდარდო? გინდა კარგად იყოს, გინდა ავად, ჩემთვის სულ ერთი არისო, — მიუგო დედაბერმა.

ვეზირმა მოისმინა დედაბრის სიტყვები და რაჯას უთხრა:

— კარგად დაიმახსოვრე, რაც დედაბერმა თქვა და ახლა სხვასთან წავიდეთო.

ცოტა გაიარეს და მეზობელი ქოხიდან ხელსაფქვავის ხმა შემოესმათ. ვიღაც ახალგაზრდა ქალი ხორბალს ღერღავდა.

— აი, რა კარგი ქალია! დღე ქმარს ემსახურება, ღამე კი ხორბალსა ღერღავს. ამას ჩვენი ხაზინიდან დახმარება უნდა მივცეთო, — ქალის გასაგონად თქვა რაჯამ.

მაშინ ვეზირმა სთხოვა:

— თუ შეიძლება, ცოტა ხანს გაჩუმდით, ამ ქალს რაღაცას ვკითხავო და ქალს გასძახა: — ეჰეი, კეთილო მეწისქვილევ! გაიგე, რომ ჩვენი ქალაქის რაჯა ავად გამხდარაო?

— ო, ალაჰ! ის მუდამ ჩვენზე ზრუნავდა. ღმერთმა ქნას მალე გამოჯანსაღდესო, — წამოიძახა ქალმა.

მაშინ ვეზირმა რაჯას უთხრა:

— თქვენ დედაბერზე გაჯავრდით და იმანაც უხეშად გვიპასუხა. ეს ქალი კი შეგებრალათ და ამანაც შეგიბრალათო.

ანდაზაც ამას ამბობს, რასაც დასთეს, იმას მოიმკიო.

<u>როგორ უყვარდა ცოლს თავისი ქმარი</u>

ერთ ცოლ-ქმარს ერთმანეთი ისე უყვარდათ, რომ უერთმანეთოდ ერთ საათსაც ვერა ძლებდნენ. ერთხელ ქმარმა თავის მეგობარს უთხრა:

— ჩემს ცოლს ისე ვუყვარვარ, სხვა კაცებს ზედაც არ უყურებსო. მეტყვის ხოლმე, შენ რომ რამე მოგივიდეს, თავს არ ვიცოცხლებო.

— მაშინ, მოდი და შენი ცოლი გამოსცადე. შენ თავი მოიმკვდარუნე, მე ვითომ სანუგეშებლად მოვალ, სინამდვილეში კი შევუჩნდები, შენს ქმარს აღარაფერი ეშველება და გათხოვდი-მეთქი. აი, მაშინ გამოჩნდება როგორ უყვარხარო, — ურჩია მეგობარმა.

ქმარი ასეც მოიქცა. ერთ მშვენიერ დღეს, შინ რომ დაბრუნდა, თავი მოიავადმყოფა, მუცლის ტკივილით ვკვდებიო და ცოტა ხანში ფეხებიც გაჭიმა. ცოლმა დაიჯერა ქმრის სიკვდილი და მოთქმა-ტირილს მოჰყვა.

გაიგო ეს ამბავი ქმრის მეგობარმა და სანუგეშებლად მოვიდა.

— რაღას ტირი? რაც მოხდა, იმას აღარაფერი ეშველება. შენ კი ჯერ ისევ ახალგაზრდა ხარ. ადექი და ვინმეს გაჰყევი, აი, თუნდაც მე გამომყევიო!

მიცვალებულის ცოლი გაჯავრდა.

— ამისთანა რამეს როგორ მეუბნებიო!

ქმრის მეგობარიც გაჩუმდა. ცოტა ხნის შემდეგ კი წასვლა დააპირა, მაგრამ ქალმა არ გაუშვა:

— ცოტაც მოიცადეო.

კაცი დარჩა და ისევ დაუწყო დარწმუნება: ახალგაზრდა ქვრივი უსათუოდ უნდა გათხოვდესო.

უსმინა ქალმა, უსმინა და აღარაფერი უთხრა. მალე ქმრის მეგობარმა ისევ წასვლა დააპირა, ქალმა კვლავ შეაყოვნა:

— ჭამე და ისე წადიო!

კაცმა საჭმელი ჭამა და უცებ ისე დაიგრიხა, თითქოს მასაც იმ ქალის ქმარივით ასტკივდა მუცელი.

— რა გიშველისო? — ჰკითხა ქალმა.

— რა მიშველის და, როცა მუცლის ასეთი ტკივილი მომივლის ხოლმე, ჩემს მსახურს მაშინ სასაფლაოზე ვგზავნი, რომ ახალი მიცვალებულის ცხვირი მომიტანოსო. როგორც კი ცხვირს მუცელზე მივიდებ, ტკივილი გამიყუჩდებაო.

ეს სიტყვები დამთავრებულიც არ ჰქონდა, რომ ქალმა დანას ხელი წამოავლო და ცხვირის მოსაჭრელად თავის ქმარს ეძგერა, მაგრამ ვეღარ მოასწრო: «მიცვალებული» იმწუთშივე ფეხზე წამოხტა..

<u>დ ა რ ა დ ა მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი</u>

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მამასახლისი. იმ მამასახლისს ერთი მწყემსი ჰყავდა, სახელად დარა ერქვა. დარას ბატონის ფურ-კამეჩები დაჰყავდა საძოვარზე, მაგრამ მას საკუთარი საქონელიც ჰყავდა. ამიტომ, როცა პირუტყვს ტყის პირა მინდორზე გარეკავდა, თავისებს ნებაზე მიუშვებდა, ბატონისას კი ყბებს აუკრავდა და ისე დაყრიდა ხოლმე; დარას საქონელი დღითი-დღე უფრო სუქდებოდა, მამასახლისისა კი, პირიქით, ხდებოდა.

ეს ამბავი მამასახლისს არ გამოჰპარვია და ერთხელ დარას უთხრა:

— ყური მიგდე, დარა! ერთი გამაგებინე, რა ხდება? ჩვენი საქონელი ხომ ერთადა სძოვს ბალახს, მაშ შენები რატომ დასუქდნენ და ჩემები რად დამჭლევდნენო?

— აბა, რა გითხრა, რა ვიცი, ჩემო ბატონო! თქვენსასაც და ჩემსასაც ერთ ადგილზე ვაძოვებ, თუ არა გჯერათ, მობრძანდით და თვითონ დარწმუნდებით, რომ ასეაო, — მიუგო დარამ.

მეორე დღეს დარამ ჩვეულებრივ გარეკა საქონელი. მამასახლისი, ალბათ, დღეს არ შემამოწმებსო, — გაიფიქრა დარამ და ძველებურად თავისი საქონელი საბალახოდ მიუშვა, მამასახლისისას კი პირები აუკრა.

მამასახლისი სწორედ იმ დღეს იყო ყველაზე ძალიან განრისხებული და გადაწყვიტა: წავალ და ვნახავ, თუ დარა მატყუებს, საქონელს ჩემი ხელით გავუწყვეტავო. აიღო ხმალი და პირდაპირ საძოვრისაკენ გასწია. მივიდა და რას ხედავს: დარას საქონელი ბალახობს, იმისები კი პირაკრულები ხის ძირას ყრიან და მიწას ჩიჩქნიან.

გაცეცხლებული მამასახლისი ბუჩქებიდან გამოხტა, დაერია დარას საქონელს და ერთიანად გაწყვიტა.

დარა ეგრე იოლად არ დაიბნა. წავიდა ყასაბთან და უთხრა: ხომ ხედათ ამ დახოცილ საქონელს, ხორცი — შენ და ტყავი — მეო!

მეორე დღეს ყასაბმა დარას ტყავები მისცა და დარაც ბაზარში გაემგზავრა. გზაში შემოაღამდა. ეს გზა ტყეზე გადიოდა. გარშემო ტყის გარდა არაფერი იყო. რა უნდა ექნა. ადგა, ერთ მაღალ ხეზე ავიდა და გადაწყვიტა, ღამე იქ გაეთია, ხეზე თავის ტყავები გაიფინა, დაწვა და ჩათვლიმა.

შუაღამისას ამ ხესთან ორი ყაჩაღი მოვიდა. ყაჩაღებმა ერთი ტომარა ფული მოიტანეს, ხის ძირას დასხდნენ და ფულის გაყოფას შეუდგნენ. ერთ-ერთმა ყაჩაღმა მეორეს უთხრა:

— სწორად გაყავი, თორემ მეხი დაგეცემაო.

დარამ ერთ ხანს ზემოდან უთვალთვალა. მერე კი გაიფიქრა: მოდი, ამ შემთხვევით ვისარგებლებო და, როგორც კი დრო იხელთა, ზემოდან ტყავები გადმოყარა. ტყავები ერთი ხმაურითა და ხრიალით ჩამოცვივდა ძირს. ყაჩაღებმა იფიქრეს მეხი დაგვეცაო, ყველაფერი მიატოვეს და გაიქცნენ. გათენებისას დარა ძირს ჩამოვიდა, ყაჩაღების ოქროს დაეპატრონა და თავის სოფლისაკენ გასწია.

შინ რომ მივიდა, დედას დაუძახა:

— დედილო! ჩქარა სასწორი გამომიტანე ოქრო მოვიტანე და უნდა ავწონოო!

ეს რა ბედი მეწიაო, გაუხარდა დედას, ადგა და მამასახლისთან გაიქცა.

— სასწორი მათხოვე, დარამ ოქრო მოიტანა და უნდა აწონოსო.

— კი მაგრამ, როგორ იშოვაო? — გაუკვირდა მამასახლისს.

— როგორ და, საქონლის ტყავები დაყიდა და ისეო.

ეს დედაღაცი რაღაცას მატყუებსო, გაიფიქრა მამასახლისმა და გადაწყვიტა იმისი ნათქვამი შეემოწმებინა. ადგა და სასწორის ერთ თეფშს წებო წაუსვა.

როცა სასწორი უკან მოიტანეს, მამასახლისი დარწმუნდა, რომ დარას მართლაც ეშოვა ოქრო.

იქნებ ცოტა რამ მეც მეშოვა? მოდი, ჩემს საქონელსაც დავხოცავ, ტყავს გავყიდი და ოჯახში ბლომა ფულს შემოვიტანო, — გადაწყვიტა მამასახლისმა.

მეორე დღეს, მწყემსი საქონლის გასარეკად რომ მოვიდა, მამასახლისმა უთხრა:

— დღეს საძოვარზე ნუღარ გარეკავ! უნდა დავხოცო და ხორცი ყასაბს მივყიდო, ტყავები მჭირდებაო.

როგორც მოიფიქრა, ისეც მოიქცა. მამასახლისმა ფურ-კამეჩები დახოცა, ტყავებით ოთხთვალა დატვირთა და ბაზრისაკენ გასწია.

იქ მთელი დღე გაჰყვიროდა:

— აბა, ტყავები! ტყავები იყიდეთო!

მაგრამ, აბა, ტყავს ვინ რა თავში იხლიდა? ერთადერთი მყიდველი გამოუჩნდა და იმანაც ხუთ რუპიაზე მეტი არ შეაძლია. დაღამდა თუ არა, ბაზარიც დაკეტეს და მამასახლისი იძულებული გახდა, შინ დაბრუნებულიყო.

შინ რომ მოვიდა, მამასახლისმა დარას ჰკითხა:

— კი მაგრამ, ეს როგორაა, შენს ტყავებში ოქროს იძლევიან და ჩემსას ზედაც არავინ უყურებსო?

— ბატონო ჩემო, ეგ იმაზეა დამოკიდებული, ვის როგორ მოემართება ხელიო, — უპასუხა დარამ.

მამასახლისს ჯავრი ახრჩობდა, მთელი ღამე არ დაუძინია: ეს რა ვქენი, საქონელი როგორ დავღუპეო! იფიქრა, იფიქრა და ბოლოს გადაწყვიტა, დარას სახლ-კარს ცეცხლი უნდა წავუკიდოო. მართლაც, შუაღამისას ადგა და დარას სახლს ჩუმად ცეცხლი წაუკიდა.

ბედზე დარას იმ დროს არ ეძინა. გაიგო თუ არა, ცეცხლი გაჩნდაო, დედა გააღვიძა და მთელი ქონება გადაარჩინა.

დილისთვის დარას სახლ-კარი სულ ნაცარტუტად იქცა. დარა არც ახლა დაიბნა. რამდენიმე ტომარა ნაცრით გაავსო და მამასახლისთან მივიდა, ოთხთვალა მათხოვეო! მამასახლისს გაგონილი ჰქონდა, რომ ზოგჯერ ნაცარიც იყიდებაო და ათხოვა. დარამ ოთხთვალას ნაცრით სავსე ტომრები დაუდო და ბაზარში წავიდა.

გზაზე ერთი ვაჭარი და მისი ცოლი შეხვდა. აუტანელი სიცხე-პაპანაქება იდგა და ცოლ-ქმარმა დარას სთხოვა, ოთხთვალაზე დაგვსვიო. დარამ იფიქრა, იფიქრა და ბოლოს უპასუხა:

— დაგსვამთ, ოღონდ იცოდეთ, ამ ტომრებით ოქრო მიმაქვს, შემთხვევით რომელიმე თქვენგანი ზედ რომ დაჯდეს, ოქრო ნაცრად იქცევა ახლა თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ — გიღირთ წამოსვლა თუ არა. ადგილზე შევამოწმებ — თუ ტომრებში ნაცარი აღმოჩნდება, ქონება უნდა მიზღოთ.

ვაჭარსა და იმის ცოლს ძალიან უჭირდათ ფეხზე დგომა და დათანხმდნენ.

— კარგი, ასე იყოსო.

დარამ ცოლ-ქმარი შინ მიიყვანა, ოთხთვალიდან ჩამოსვა და ტომრები გასინჯა.

— ეს რა გიქნიათ, სეტჰ-ჯი (* სეტჰ — ვაჭარი, მევახშე, სოფლის ნოქარი.) აკი გითხარით, ტომრებზე არ დასხდეთ-მეთქი, როგორც ჩანს, არ დამიჯერეთ, ნახეთ, მთელი ფული ნაცრად ქცეულა. მეტი გზა რა არ ის, ქონება უნდა მიზღოთო!

ვაჭარი, რა თქმა უნდა, უარზე დადგა, მაგრამ დარას ასე იოლად ვერ მოიშორებდა ისიც იძულებული გახდა ფული მიეცა.

წამოიღო დარამ ფული და თავის სოფელში წინანდელზე უკეთესი სახლის აშენებას შეუდგა. მამასახლისმა კი ბევრი ითმინა, ბოლოს ვეღარ მოითმინა, მივიდა დარასთან და ჰკითხა:

— მაგდენი ფული ახლა სადღა იშოვეო?

— როგორ თუ სად ვიშოვე? ხომ იცი, რომ სახლი დამეწვა, ავდექი, ნაცარი გავყიდე და ფული ვიშოვე. თქვენც დაწვით თქვენი სახლი, ნაცარიც ბლომად გექნებათ და ფულსაც იშოვითო.

ძალიან ხარბი და შურიანი იყო მამასახლისი, სხვის კარგად ყოფნას ვერ იტანდა. დაუჯერა დარას და იმის იმედით, რომ ფულს იოლად იშოვიდა, თავისი სახლი დაწვა, ტომრები ნაცრით გატენა და ბაზარში წაიღო.

ბაზარში კი მივიდა, მაგრამ რა... ვისაც არ შესთავაზა ნაცარი, ყველამ დასცინა: ეს რა სულელი ვიღაცა ყოფილა, ამისი ნაცარი ვის რად უნდაო. დაბინდებამდე დადიოდა მამასახლისი ბაზარში და გაიძახოდა:

— აბა, ნაცარი! ნაცარი ვის უნდაო!

მაგრამ მყიდველი არავინ გამოჩნდა. ხელცარიელი მამასახლისი შინ დაბრუნდა, იქ კი დარას სახლი უკვე აეშენებინა.

— მაინც რა იღბლიანი კაცი ხარ! ჩემი ნაცარიც არავინ ინდომა, — უთხრა დარას მამასახლისმა.

— ბატონო ჩემო, ეგ იმაზეა დამოკიდებული, ვის როგორ მოემართება ხელიო! — მიუგო ისევ დარამ.

ასე მოხდა ეს ამბავი. დარა თავისი საზრიანობისა და ეშმაკობის წყალობით აშენდა, ბრიყვი და ხარბი მამასახლისი კი გაკოტრდა. ახლა მთელ სოფელში დარას ვეღარავინ შეედრება სიმდიდრით, ცოლიც შეირთო და არხეინად ცხოვრობს.

ბულბული და ბამბის ბუჩქი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ბულბული. იფრინა ერთხელ ბულბულმა, იფრინა და ერთი ბუჩქი დაინახა. ბუჩქს პატარა ნაყოფი ება. გაუხარდა ბულბულს და თქვა:

— მოდი, ამ ბუჩქზე დავჯდები და ნაყოფის დამწიფებას დაველოდები, როცა დამწიფდება, შევჭამო.

მართლაც, ბულბულმა თავისი ოჯახი მიატოვა და ამ ბუჩქზე დასახლდა. ეს ბუჩქი კი ბამბისა ყოფილა, თურმე.

იჯდა ბულბული ბამბის ბუჩქზე და ელოდებოდა, აი, ახლა დამწიფდება ნაყოფი და შევჭამ, აი, ახლაო.

თან გახარებული არც ერთ ფრინველს ახლოს არ იკარებდა.

ერთ დღეს ბუჩქთან გუგული მოფრინდა. ბულბულმა არც გუგული მიუშვა ახლოს.

— რატომ არავის უშვებ ბუჩქთან? შენი ხომ არა გგონიაო? — ჰკითხა გუგულმა.

— რა შენი საქმეა? იმიტომ არ ვუშვებ, რომ მაგის ნაყოფი მარტო მე უნდა შევჭამოო, — მიუგო ბულბულმა.

გუგულმა იცოდა, რომ ეს ბამბის ბუჩქი იყო, ბულბულმა კი — არა. ბამბის ბუჩქს კი ჯერ ყვავილის კვირტი გამოუვა ხოლმე (ბულბულმა სწორედ ეს კვირტი მიიღო

ნაყოფად), შემდეგ ყვავილი, შემდეგ კი პარკი უჩნდება. პარკი სკდება, ბამბა გადმოიბნევა და ქარი ფანტავს აქეთ-იქით. ბულბულს წითელი ყვავილის დანახვა გაუხარდა. იფიქრა, ნაყოფი არისო და დამწიფებას დაელოდა, მაგრამ ეს ყვავილი პარკად იქცა, პარკი გასკდა და ბამბა ქარმა გაფანტა.

ირგვლივ რაღაცა დაფრინავს, ალბათ, ნაყოფი დამწიფდაო, — იფიქრა ბულბულმა და პარკში ჩაიხედა, მაგრამ რას ხედავს, — პარკი ცარიელი არ არის! გაჯავრდა ბულბული.

სწორედ ამ დროს გურული მოფრინდა და უთხრა:

— აი, ხომ ხედავ! შენ რომ ამ ბუჩქთან სხვაც მოგეშვა, გასწავლიდა, რომელი ნაყოფი იჭმევა და სად იშოვება. შენ კი იხარბე, ახლოს არავინ გაიკარე და კიდევაც დაისაჯეო.

გუგულის სიტყვებზე სხვა ფრინველებიც მოფრინდნენ და ბულბულს ნიშნს უგებდნენ:

— ხომ ხედავ! შენი სიხარბის გამო როგორ დაისაჯეო.

როცა ყველანი გაფრინდნენ, გაჯავრებული ბულბული ბამბის ბუჩქს მიუბრუნდა:

— რა უსარგებლო ბუჩქი ყოფილხარ! არავის არაფერში არგიხარო.

— სცდები, მეგობარო. მე ვკვებავ ცხვარს, ხოლო ჩემი ბამბისაგან ადამიანები ბალიშებს, ლეიბებს და მრავალ სხვა მათთვის საჭირო ნივთებს იმზადებენო, — მიუგო ბუჩქმა.

ის დღე იყო და ის დღე, ბულბული ბამბის ბუჩქს ახლოს აღარ გაკარებია.

<u>პ ა ტ ა ლ ი პ უ ტ რ ა *</u>

(* პატალიპუტრა — უძველესი ქალაქი. მდებარეობდა დღევანდელი პატნას ადგილზე.)

ძველად, ძალიან დიდი ხნის წინათ, სამხრეთ ინდოეთში, ოკეანის ნაპირზე, მდებარეობდა საზღვაო ქალაქი ჩინჩინი. ჩინჩინი დიდი სავაჭრო ქალაქი იყო. აქ ჩამოდიოდნენ სხვადასხვა ქვეყნის დიდ-დიდი ვაჭრები და სამხრეთ ინდოეთის ყოველნაირი საქონელი აქედანვე გადიოდა სხვადასხვა ქვეყნებში — ჩინეთში, კუნძულ ბალიზე, კუნძულ იავაზე, სუმატრაზე... ამ ქალაქში ერთი ვაჭარი ცხოვრობდა, სახელად ბჰაუჯიკი ერქვა. ბჰაუჯიკს სამი ქალიშვილი ჰყავდა. ვაჭარმა სამივე ჩრდილო ინდოეთიდან ჩამოსულ სამ ძმას მიათხოვა. ისინიც ვაჭრები იყვნენ და თანაშემწეებად დაუდგნენ სიმამრს. როცა ვაჭარი მოხუცდა, მთელი თავისი ქონება სიძეებს გაუყო.

მოულოდნელად მთელ ამ მხარეში შიმშილობა ჩამოვარდა. შიმშილობა სამ წელს გაგრძელდა. ვაჭრობა დაეცა. ძმები ყოველნაირად ცდილობდნენ ერთმანეთს მხარში ამოსდგომოდნენ, მაგრამ საბოლოოდ მაინც გაკოტრდნენ. რას იზამდნენ! გადაწყვიტეს, უცხო ქვეყნებში გამგზავრებულიყვნენ. ცოლებს არაფერი უთხრეს და არც არავინ იცოდა, რომელ მხარეს გაუდგნენ გზას.

დარჩა სამი და მარტო. შუათანა შვილს ელოდა. ხალხი შიმშილობდა, ქმრები შინ არა ჰყავდათ, იმათი მამის მეგობარი იაჯნიადატა რომ არა ყოფილიყო, ალბათ, ყველანი შიმშილით დაიხოცებოდნენ. ცოტა ხანში შუათანა დას ვაჟიშვილი გაუჩნდა. ეს ბიჭი იყო ერთადერთი სიხარული ოჯახში. დებმა ბავშვს პუტრაკი დაარქვეს, რაც ვაჟიშვილს, ძეს ნიშნავს.

როცა წამოიზარდა, პუტრაკმა გადაწყვიტა, ჩრდილოეთში წავალ, რამე ხელობას ვისწავლიო, და ერთ მშვენიერ დღეს გზას გაუდგა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ვინდჰაის მთების უღრან ტყეს მიადგა. უცებ გაიხედა და ტყეში ორი კაცი დაინახა. ისინი ერთმანეთს რაღაცაზე წაჰკიდებოდნენ. პუტრაკმა ჰკითხა:

— ძმებივითა ჰგავხართ ერთმანეთს და რა გაჩხუბებთო?

— ჩვენი მამა ჯადოქარი იყო. სიკვდილის წინ სამი ნივთი დაგვიტოვა, — აი, ეს ქოშები, კვერთხი და ქვაბ-ქოთანი — ახლა იმაზე ვდაობთ, ნივთები ვის უნდა ერგოსო.

— ასეთი უბრალო რამისთვის ჩხუბი ვის გაუგიაო.

— უბრალო რამეო, ამბობ? შენ არ იცი, ესენი რა ნივთებია! ვინც ამ ქოშებს ჩაიცვამს, მაშინვე გაუჩინარდება და საითაც მოისურვებს, იქით გაფრინდებაო, — უპასუხა პუტრაკს ერთ-ერთმა ძმამ.

— ამ ქოთანში კი საჭმელი არასოდეს გამოილევა, რამდენიც გინდა და როგორიც გინდა, ყოველნაირ საჭმელს უცბად გაგიჩენსო, — უთხრა მეორე ძმამ.

— ეს კვერთხიც ჯადოსნურია. რასაც ამით დახატავ, ყველაფერი მოგეცემაო, — თქვა ისევ პირველმა.

— კეთილი და პატიოსანი! იმის გასაგებად, ვინ უფრო ძლიერია, ჩხუბი არ არის საჭირო. ორივენი, აი, იმ ხემდე გაიქეცით და ვინც პირველი დაბრუნდება, ყველაფერი იმას დარჩებაო.

ძმებს ეს აზრი მოეწონათ და სულმოუთქმელად ხისაკენ გაქანდნენ. პუტრაკმა კი არც აცია, არც აცხელა, ერთი ხელი კვერთხს სტაცა, მეორე — ქვაბ-ქოთანს, ჩადგა ფეხი ქოშებში და უცებ გაუჩინარდა.

იფრინა პუტრაკმა, იფრინა და ქვემოთ, დედამიწაზე, ერთი ლამაზი ქალაქი დაინახა. დაეშვა დაბლა და ქალაქის ქუჩებში გაიარა. გზაზე ერთი დედაბერი შემოეყარა. იმისგან გაიგო, რომ ამ ქალაქს პუშკარავატი ერქვა, რომ აქაურ ხელმწიფეს ერთი მზეთუნახავი ასული ჰყავდა, სახელად პატალი, რომ ვარსკვლავთმრიცხველებს ხელმწიფისათვის ეწინასწარმეტყველათ, შენი ასული უცხოელთან გაიქცევაო და ამიტომ ხელმწიფეს თავისი ასულის კოშკთან საგანგებო ყარაულები დაეყენებინა.

ეს რომ პუტრაკმა გაიგო, ძალიან მოუნდა ხელმწიფის ასულის ნახვა. ადგა, ქოშები ჩაიცვა, უხილავად შევიდა სასახლეში და პირდაპირ ხელმწიფის ასულის სამყოფელს მიადგა. პუტრაკს ხელმწიფის ასული მართლაც მოეწონა და გადაწყვიტა, ცოლად შეერთო.

ამ ციხიდან მე გაგათავისუფლებო! — უთხრა პუტრაკმა ხელმწიფის ასულს.

ქალიც დათანხმდა. ორივემ იცოდა, რომ იმათ ქორწინებაზე ხელმწიფე თანხმობას არ მისცემდა. ამიტომ, როგორც ვარსკვლავთმრიცხველებმა იწინასწარმეტყველეს, პატალიმა და პუტრაკმა ჩუმად იქორწინეს და შემდეგ განგის ნაპირზე ერთ უკაცურ ადგილას დასახლდნენ. იქ პუტრაკმა თავისი ჯადოსნური ჯოხით ქვიშაზე ერთი უზარმაზარი ქალაქი დახატა. დახატა თუ არა, მის წინ მშვენიერი სასახლეები, ბაღები და უხვი ბაზრები წამოიჭიმა. პატალი და პუტრაკი ერთად მართავდნენ ამ ქალაქს და დიდხანს ცხოვრობდნენ ბედნიერად. ქალაქს სწორედ მათი სახელების მიხედვით დაერქვა პატალიპუტრა.

<u>როგორ გაჩნდა მთვარეზე კურდღელი</u>

ოდესღაც, დიდი ხნის წინათ, მთვარე ვერცხლის სინივით სწორი და კრიალა ყოფილა. ზედ არც ერთი ლაქა არ ჰქონია. სწორედ ამ დროს ტყეში ოთხი მეგობარი ბინადრობდა: კურდღელი, მაიმუნი, ტურა და კატა. კურდღელი ყველაზე პატარა იყო, მაგრამ მეგობრები დიდ პატივსა სცემდნენ. ეს იმიტომ, რომ კურდღელი ყველაზე ნასწავლი და ღვთისმოშიში იყო. მაიმუნი — ოინბაზობდა, ტურას ეშმაკობა

უყვარდა და კატა კი ხშირად ქურდობდა, კურდღლის გულუბრყვილობაზე ხშირად სამივენი ერთად იცინოდნენ ხოლმე.

ერთხელ, შემოდგომაზე, როცა მთვარის მოვანების დრო დადგა, კურდღელმა თავის მეგობრებს უთხრა:

— დღეს მთვარის მოვანების დღესასწაულია. სწავლულთა წიგნებში წერია, რომ ვისაც სულის გადარჩენა უნდა, დღეს მთვარის ამოსვლამდე მარხვა უნდა შეინახო. მე ვინახავ მარხვას, კიდევ ვის უნდა სულის გადარჩენაო?

ყველას მოუნდა სულის გადარჩენა და გადაწყვიტეს მთელი დღე საჭმლისათვის პირი არ დაეკარებინათ.

მაიმუნმა გადაწყვეტით კი გადაწყვიტა, მაგრამ ხილს თვალი რომ მოჰკრა, ვეღარ მოითმინა.

ჯერ ხილსა ვჭამ და სულის გადარჩენაზე მერე ვიფიქრებ. ჯერ მუცელი და მერე — სული!.. მარხვის შენახვა გაისადაც შეიძლება. საშემოდგომო სავსემთვარიანობა ხომ ყოველ წელიწადს არისო, — და ერთი კარგად გამოძღა.

შიმშილით მოვიკლავ თავს და პირს კი არაფერს დავაკარებო, — ფიქრობდა ტურა, მაგრამ ტყეში ხეტიალის დროს ნახევრად შეჭმულ ანტილოპას წააწყდა და აღთქმაც იმ წუთშივე დაივიწყა:

ეს ანტილოპა ახლავე თუ არ შევჭამე, მთვარის ამოსვლამდე ამისგან აღარაფერი დარჩება, ვინ რას დამიტოვებს? მარხვის შენახვას კი ამ წელიწადს თუ ვერ შევძლებ, გაისად მაინც მოვახერხებო. კატამ კი, რაკი მარხვის შენახვა გადაწყვიტა, ხეზე მოიკალათა და ჩასთვლიმა. მაგრამ მალე მშიერი მუცლის ყურყურმა გამოაღვიძა და იქვე ცხვირწინ ჩიტის ბუდე დაინახა. ბუდეში ბარტყები ისხდნენ. კატას გადაავიწყდა, რომ მარხვის შენახვას აპირებდა, ერთი კი მოილოკა ტუჩები და ბარტყებს დაეძგერა, ყველანი ერთ წუთში გადასანსლა.

მარტო კურდღელმა შეინახა მარხვა. დაღამებამდე მარტო კურდღელმა გაუძლო შიმშილს. მალე მზე ჩავიდა და ცაზე ნელ-ნელა მთვარე ამოცურდა.

როცა მარხვა გათავდება, ჯერ ბრაჰმანს უნდა აჭამო რამე და შემდეგ კი თვითონ შეჭამო. კურდღელიც ელოდა: იქნებ, ბრაჰმანმა გამოიაროსო.

მთვარემ იცოდა, რომ კურდღელმა მარხვა შეინახა, მაგრამ მაინც გადაწყვიტა მისი გამოცდა. ბრაჰმანის სახე მიიღო, კურდღელთან მივიდა და უთხრა:

— დილიდან პირი არაფრისთვის დამიკარებია. ამ ტყეში, აბა, ვინ რას მომცემდა, საჭმელი ხომ არაფერი გაქვსო?

— ღმერთმა გამოგგზავნა ჩემთან, მაგრამ მე მხოლოდ ბალახითა და ფესვებით ვიკვებები და ასეთი საჭმელი შენ რაში გამოგადგება, ისევ ისა სჯობს, მე შემჭამო, სიკეთესაც იზამ — სულის გადარჩენაში დამეხმარებიო, — მიუგო კურდღელმა.

— ღმერთმა დამიფაროს მოგკლა და ისიც სავსე მთვარეობის ღამეს? არა, ჩემო კარგო! ის მირჩევნია, მშიერი ვიყო, — წამოიძახა ბრაჰმანმა და წასვლა დააპირა, მაგრამ კურდღელმა გააჩერა:

— ფიჩხს მე თვითონ მოვაგროვებ, ცეცხლსაც გავაჩაღებ და შევიწვები. მაშინ ხომ მაინც შეძლებ ჩემს შეჭმასო?

ბრაჰმანი დათანხმდა. მაშინ კურდღელმა შეაგროვა ფიჩხი და კოცონი გააჩაღა. მერე შეხედა გადაბადრულ მთვარეს, ცაზე რომ კაშკაშებდა, დახუჭა თვალები, დაემშვიდობა და ცეცხლში ჩახტა. მაგრამ, ჰოი, საკვირველებავ! კურდღელი არ დაიწვა. თვალები რომ გაახილა, მთვარე დაინახა და ფეხებში ჩაუვარდა. მთვარემ კი ალერსიანად ააყენა, კალთაში ჩაისვა და უთხრა:

— კუდღელო, რაკი ასეთი ღვთისმოშიში ყოფილხარ, დაგაჯილდოვებ და დღეიდან სულ ჩემთან იქნებიო.

აი, იმ დღიდანა ჩანს მთვარეზე კურდღელი.

მზე, მთვარე და ვარსკვლავები

ცაზე ხელმწიფე ღრუბელი ცხოვრობდა. ორი ასული ჰყავდა. ორივენი უშვილოები იყვნენ. დღე და ღამე ლოცულობდნენ, რომ ღმერთს შვილი მიეცა მათთვის, მაგრამ ამაოდ. ღმერთს მათი მხურვალე ლოცვა არ ესმოდა.

გაიარა მრავალმა წელმა, მაგრამ ღრუბელ-ხელმწიფის ასულები ისევ უშვილოები იყვნენ. ერთხელ, სასოწარკვეთილმა ხელმწიფემ თავის ასულებს ხელი მოჰკიდა და ზღვისკენ გაეშურა, რომ თავი დაეხრჩო. ეს ამბავი ღმერთებმა გაიგეს და ძალიან შეწუხდნენ. უფალთან მივიდნენ და უთხრეს:

— უფალო ჩვენო! ღრუბელ-ხელმწიფემ რომ თავი დაიხრჩოს, ქვეყანაზე წვიმა აღარ მოვა და ყოველივე სულდგმული დაიღუპება, მის ასულებს შვილი მიეციო...

უფალი დათანხმდა, ხელმწიფე ღრუბელთან დერვიშივით გადაცმული მივიდა და ჰკითხა:

— შენ და შენს ასულებს საით გაგიწევიათო?

— მრავალი წელი ვემუდარე უფალს, შვილიშვილები მაღირსე-მეთქი, მაგრამ არ შემიწყნარა. ახლა მე და ჩემი ასულები ზღვაში თავის დახრჩობას ვაპირებთო.

— თავს ნუ იკლავ. შენს ასულებს ჯადოსნურ ნაყოფს მივცემ. შეჭამენ და ცოტა ხანში შვილები ეყოლებათო, — უთხრა დერვიშმა.

ეს რომ ხელმწიფე-ღრუბელმა გაიგონა, ძალიან გაუხარდა. მდაბლად დაუკრა თავი დერვიშს და ასეთი წყალობისათვის დიდი მადლობა გადაუხადა.

დერვიშმა ხელმწიფის ასულებს თითო-თითო ჯადოსნური ნაყოფი მისცა და გაქრა. ასულებმა შეჭამეს ნაყოფი და ცოტა ხნის შემდეგ ორივეს ვაჟიშვილები შეეძინა. ერთს მზე დაარქვეს, მეორეს — მთვარე. ხელმწიფის უფროსი ასულის ვაჟი მთვარე — ძალიან ლამაზი იყო, უფროსი ასულის ვაჟი — მზე კი ულამაზო და ბოროტი.

ერთხელ ხელმწიფე-ღრუბელმა თავისი შვილიშვილები შესაფერისი საცოლეების მოსაძებნად გაგზავნა. სადაც არ უნდა მისულიყო ძმობილი მთვარე, ცოლობაზე უარს არავინ ეუბნებოდა. ძმობილ მზეს კი ზედაც არ უყურებდნენ.

იმ დღიდან მზემ მთვარე აითვალწუნა.

მთვარემ მამას ულამაზესი ასული მიჰგვარა და მალე ცოლადაც შეირთო. მზემ კი იარა, იარა, მაგრამ ვერავინ ნახა ისეთი, ცოლად რომ გაჰყოლოდა. ხელცარიელი დაბრუნდა შინ.

ერთხელ მზემ თავისი ძმა ტყეში შეიტყუა და გადაწყვიტა, მისთვის თავი მოეჭრა.

— ძმაო, დროებით შენი თავი მათხოვე. ულამაზეს ასულს შევირთავ ცოლად და თავს მაშინვე დაგიბრუნებო.

მთვარეს მზე შეეცოდა და ნება მისცა თავი მომაჭერიო.

იფეთქა მთვარის თავიდან სისხლმა და მისი წვეთები ათასნაირ ვარსკვლავად აენთო ცაზე.

მზემ მალე ულამაზეს ქალზე იქორწინა, მაგრამ შურისაგან მთვარის თავი სულ ნაჭერ-ნაჭერ დაჩეხა.

იმ დღიდან მზე ყოველდღე აძლევს მთვარეს თავის თითო ნაჭერს და მთვარესაც მხოლოდ თხუთმეტი დღის შემდეგ ეძლევა თავისი ბადრი, ლამაზი სახე. მაგრამ მთვარის სილამაზე მზეს კვლავ აღუძრავს ხოლმე შურს და ისიც ხელახლა ართმევს

თავის თითო ნაჭერს. ისე რომ, თხუთმეტი დღის შემდეგ, მთვარე ისევ ისეთი უსახური ხდება.

აი, რატომ არის, რომ მთვარე ხან ილევა, ხან კი — ივსება.

ლეგენდა ლიანაზე

უძველეს დროში უჯაინი* (* უჯაინი — უძველესი ქალაქია ინდოეთში, მალვას ზეგანზე.) ერთ ხელმწიფეს ეკუთვნოდა. იმ ხელმწიფეს ვიკრამადიტია* (* ვიკრამადიტია — ინდოეთის ლეგენდარული მეფე. მისი პიროვნება დღემდე არ არის დადგენილი. გადმოცემით ის ცხოვრობდა I საუკუნეში ქ. წ. ან I საუკუნეში ქ. შ.) ერქვა. ეს ხელმწიფე განთქმული იყო თავისი სიბრძნითა და სიკეთით. ხალხი ამბობდა, ჩვენი ხელმწიფე ძალიან სამართლიანია და ყველა გაჭირვებული სასახლეში ნუგეშს იღებსო.

მაგრამ ქვეყანაში წესრიგი რომ ყოფილიყო, ხელმწიფეს მძიმე სასჯელიც ჰქონდა შემოღებული. ყველგან დაძრწოდნენ მისი ჯაშუშები, იჭერდნენ და სიკვდილით სჯიდნენ ქურდებს, მეამბოხეებსა და და მშვიდობიანობის დამრღვევთ.

მაშინ უჯაინში ორი ვაჭარი ცხოვრობდა. ერთს სამარსენი ერქვა, მეორეს — ნიმაკრაჯი. ისინი ძალზე შორეული ქვეყნებიდან ეზიდებოდნენ საქონელს, თვით დიდი ოკეანის ქვეყნებთანაც კი ვაჭრობდნენ.

ერთხელ ნიმაკრაჯმა გადაწყვიტა, თავისი გემები არაბეთის ზღვაში გაეგზავნა. ძალიან დიდხანს ვივაჭრე წყნარი ოკეანის ქვეყნებში და ჩემი საქონელი იქ ისე აღარ გასაღდებაო, — გაიფიქრა.

მაგრამ არაბეთის ზღვაშიც არ გაუღიმა ბედმა. იქაურ ბაზრებზე უამრავი უცხოური საქონელი იყო და ვერაფრის გაყიდვა ვერ მოახერხა. ამას ისიც დაემატა, რომ ქარიშხალში მას მრავალი გემი დაეღუპა.

უბედური ნიმაკრაჯი სასოწარკვეთილებას მიეცა. მთელი მისი იმედი ამ გემებზე იყო დამოკიდებული და იმათი დაღუპვის შემდეგ გაკოტრება ელოდა. რა უნდა ვქნა? დახმარება თავის მეგობარს, სამარსენს სთხოვა. სამარსენი კი ძუნწი კაცი იყო, დახმარებაზე ჯერ უარი უთხრა, მერე, მართალია, ფული ასესხა, მაგრამ სარგებელიც დიდი მოსთხოვა.

ნიმაკრაჯს არც ახლა მოემართა ხელი, ამასობაში სამარსენმა ვალის დაბრუნება მოსთხოვა, მაგრამ ნიმაკრაჯმა იმხელა სარგებლის გადახდა ვერ შეძლო.

ერთხელაც სამარსენი ბაზარში შემთხვევით შეხვდა თავის ძველ მეგობარს და ვალი მოსთხოვა: — თუ ჩემს ვალს არ დამიბრუნებ, სამარეშიც არ მოგასვენებო, — ყვიროდა.

ყვირილზე ხალხი შეიყარა, ამ ხალხში ერთი ხელმწიფის ჯაშუში აღმოჩნდა. ჯაშუშმა ეს ყველაფერი იმავე დღეს მოახსენა ხელმწიფეს. ვიკრამადიტიამ ბრძანა:

— ნიმაკრაჯი და სამარსენი სასამართლოში მოიყვანეთო.

მეორე დღეს ორივენი სასახლეში გამოცხადდნენ. როცა დამტკიცდა, რომ ისინი ბაზარში ჩხუბობდნენ, ხელმწიფემ ორივეს სიკვდილით დასჯა ბრძანა. იმ დროს უმნიშვნელო დანაშაულზეც კი მძიმედ ისჯებოდნენ. საცოდავი ვაჭრები ღრმა ჭაში ჩაყარეს და ჩაქოლეს.

გავიდა წლები. იმ ადგილას, სადაც ვაჭრები ჩაქოლეს, ერთი ხე ამოვიდა. ამ ხეს სხვა მცენარე ჰქონდა შემოხვეული და მისი წვენით იკვებებოდა. ეს იყო ლიანა. ხალხს მაშინ კი მოაგონდა სამარსენის სიტყვები: თუ ჩემს ფულს არ დამიბრუებ, სამარეშიც

არ მოგასვენებო, და დაასკვნეს, ლიანაშემოხვეული ხე ეს ის ნიმაკრაჯი არის, რომელსაც სამარსენი წვენსა სწოვსო.

იმ დღიდან ლიანად ქცეული გაუმაძღარი სამარსენი ხეს ეხვევა და იმისი წვენით იკვებება.

ერთგული სიტა*

(* სიტა — სიტყვასიტყვით ნიშნავს «კვალს». «რამაიანას» მიხედვით, სიტა რავანისაგან დაბრუნების შემდეგ თავისი სიწმიდის დასამტკიცებლად კოცონზე ავიდა, მაგრამ, როგორც უმწიკვლოს, ცეცხლი არ მოედო.)

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გულქვა ხელმწიფე, სახელად რავანი.* (* რავანი — დემონ-რაკშასების მეფე, ცეილონის მბრძანებელი, გვხვდება «რამაიანაში».) ერთხელ ხელმწიფემ თავის პანდიტ-ვარსკვლავთმრიცხველებს ჰკითხა:

— ზეციდან დედამიწაზე უფალი როდის ჩამოვაო?

— როდის და, როცა რომელიმე ბოროტი კაცი ძალიან შესცოდებს, ან როცა რომელიმე ალალი კაცი საგმირო საქმეს ჩაიდენსო! — უპასუხა ერთ-ერთმა პანდიტმა.

რავანმა იფიქრა: მას შემდეგ, რაც ხელმწიფედ დამსვეს, კიდევ უფრო მეტ სიამოვნებაში ვარ და უფრო მეტსაც ვცოდავ. ჩემი ლოცვითა და სიკეთით უფალს დედამიწაზე ვერ ჩამოვიყვან. ისა სჯობს, ბოროტება ჩავიდინო, ჩემი ცოდვების ფიალა პირამდე ავავსო და, როცა დედამიწა ჩემი ბოროტებისაგან კვნესას დაიწყებს, ვეღარ მოითმენს უფალი, მიწაზე ჩამოვა, ხალხს გაანთავისუფლებს, მათთან ერთად მეც მიხსნის და ცოდვებისაგან განწმენდილი ჩემი სული საუკუნო ნეტარებას მიეცემაო.

როგორც გადაწყვიტა, ისეც მოიქცა. რავანმა თავის სამეფოში კეთილ ხალხს დევნა დაუწყო. ყველა მართალი კაცი დააჭერინა და ციხეებში ჩააყრევინა, მერე ბრძანა: ასკეტებს დიდი ფულადი გადასახადი შეაწერეთო, მაგრამ რაც არა ჰქონდათ, რას გადაახდევინებდნენ. მაშინ რავანმა ბრძანა, ასკეტებს ფულადი გადასახადი სისხლით აანაზღაურებინეთო. მართლაც, რავანის მსახურები ასკეტების სხეულებს ისრებით ჩხვლეტდნენ და სამეფო გეჯას წამებულთა სისხლით ავსებდნენ. ამ წმინდა სისხლს თვით ბრაჰმას სასწაულმოქმედი ძალა ჰქონდა. რავანმა ეს გეჯა თავისი ცოლის — მანდოდარის — სამლოცველოში დაადგმევინა და ქალს სასტიკად აუკრძალა ახლოს მისვლა. შიგ შხამი ასხიაო, უთხრა.

მანდოდარი ღვთისმოშიში ქალი იყო. ქმრის უღირსი საქციელი ძალიან აწუხებდა და ბევრჯერ გააფრთხილა კიდეც:

— გონს მოდი! რატომ სცოდავ დედამიწასაც და ზეცასაც? ნუ უჯერი პანდიტებს! ისინი პირფერები არიან, საკუთარი გამორჩენის გულისათვის შეიძლება უარეს ბოროტებაზე წაგაქეზონ. ნუ სცდი დედამიწის მოთმინებას, ისედაც მძიმე ტვირთი აწევსო.

მაგრამ რავანი ცოლის ნათქვამს აინუნშიაც არ აგდებდა.

სასოწარკვეთილმა ქალმა ბოლოს იფიქრა: ასეთი ცოდვიანი მეფის ცოლობას, სიკვდილი მირჩევნიაო. გაბრაზებულ გულზე გეჯას მივარდა და რამდენიმე ყლუპი სისხლი მოსვა. ცოტა ხნის შემდეგ ქალმა იგრძნო, რომ მის სხეულში რაღაც შეირხა:

— დედა! მომეხმარე, გარეთ გამოვიდე. ჩემი ტარება მხოლოდ დედამიწას შეუძლიაო! — მოესმა უეცრად ბავშვის ხმა.

მანდოდარი შიშმა აიტანა: ეს რომ რავანმა გაიგოს, ჭკუას მთლად დაკარგავსო.

ქალმა სწრაფად აიყვანა ბავშვი, ქოთანში ჩასვა და მსახურს გაატანა:

— ეს ქოთანი წაიღე და სადმე შორს, ზღვის იქითა ქვეყანაში, მიწაში ჩაფალიო.

მაშინ ქალაქ ჯანაკპურს მეფე ჯანაკი მართავდა, ერთ წელიწადს მის სახელმწიფოში დიდი გვალვა დაიჭირა. ხელმწიფემ დიდძალი მსხვერპლი შეწირა ღმერთებს, მაგრამ ზეცა წვიმას მაინც არ გზავნიდა. ბოლოს ზეციდან ხმა გაისმა: წვიმა მხოლოდ მაშინ მოვა, თუ ხელმწიფე მიწას თვითონ მოხნავსო.

ხელმწიფემ აიღო ოქროს გუთანი და მინდორში გავიდა. ბრაჰმანები ლოცულობდნენ, მიწას ხოტბას ასხამდნენ. ახალგაზრდა ქალებს ნაკურთხი წყალი თავზე შედგმული სურებით მოჰქონდათ და მიწას აპკურებდნენ. ხელმწიფემ ქალიშვილები რომ დაინახა, გაიფიქრა: რა იქნებოდა, ერთი ასული მეცა მყოლოდაო.

უფალი თითქოს ამ სიტყვებს ელოდა, ძლივს მოასწრო ხელმწიფემ ერთი კვალის გავლება, რომ გუთანი რაღაც მაგარს მოედო. ეს თიხის ქოთანი იყო. ახადა ხელმწიფემ თავი ქოთანს და რას ხედავს, შიგ უმშვენიერესი გოგონა არა ზის! ჯანაკას შვილი არ ჰყავდა. მიხვდა, რომ ეს სიკეთით სავსე დედამიწის საჩუქარი იყო და გოგონა შინ წაიყვანა. იმ დღიდან მთელი ქვეყანა წვიმებმა გამოაცოცხლა.

ხელმწიფემ გოგონას სიტა დაარქვა. სიტა კი მანდოდარის ასული იყო, ბრაჰმას სასწაულმოქმედი ძალის მქონე სისხლისაგან რომ გაჩნდა.

გოგონა მთვარესავით ივსებოდა. ერთ დღეს სიტა თავისი სამლოცველოს კედლებს თიხით ლესავდა. იქვე, კუთხეში, შივას* (* შივა — ინდუიზმის ერთ-ერთი მთავარი ღმერთი. იგი ბრაჰმასა და ვიშნუსთან ერთად ქმნის უზენაეს სამებას. შივა ნგრევის ღმერთია. შესახედავად საშინელია. აქვს რამდენიმე სახე. ოთხი ან რვა ხელი. შუბლზე — მესამე თვალი. კისერზე გველებისაგან დაწნული ყელსაბამი და ადამიანის მოკვეთილი თავების გულქანდი ჰკიდია. ყელი შავი აქვს, რადგან სხვა ღმერთების თხოვნით, სამყაროს გადასარჩენად საშინელი შხამი შესვა. ეს შხამი ოკეანის ფსკერიდან ამოტივტივდა, როცა ღმერთები ოკეანიდან განძის თოთხმეტი სახეობის ამოღებას ცდილობდნენ, მათ შორის უკვდავების წყლის ამოღებასაც.) უმძიმესი მშვილდი ეგდო. სიტამ მშვილდი აიღო და სხვა ადგილას გადადო. როცა ჯანაკამ ეს ამბავი შეიტყო, წამოიძახა:

— ჩემს ასულს ცოლად მხოლოდ იმას გავატან, ვინც ამ მშვილდს მოზიდავს. სახით კი ის კაცი თვითონ შივას უნდა ჰგავდესო.

ხელმწიფის გადაწყვეტილებამ ძალიან დაადარდიანა დედოფალი — სიტას დედობილი.

— აბა, დაფიქრდი, რა ჰქენი! მშვილდი რომელიმე ღონიერმა ავსულმა რომ მოზიდოს, ხომ იძულებული გავხდებით, ქალი მივცეთო!

— ეგ შეუძლებელია! ჩემი სიტა — თვით ქალღმერთი ლაკშმია* (* ლაკშმანი — «რამაიანას» ერთ-ერთი გმირი. რამას უმცროსი ძმა. მან თავი ისახელა ავსულებთან, რაკშასებთან ბრძოლაში.) და იმის სათხოვნელად უთუოდ რომელიმე ღმერთი მოვაო, — უპასუხა ხელმწიფემ.

სიტა თექვსმეტი წლის რომ გახდა, ხელმწიფე ჯანაკამ სასიძოების გამოცდა მოაწყო. სიტას თვითონ უნდა ამოერჩია საქმრო. შეჯიბრზე სულ სახელგანთქმული ვაჟკაცები მოვიდნენ, მაგრამ შივას მშვილდი ადგილიდანაც კი ვერავინ დაძრა. მოულოდნელად, თავისი მასწავლებლის ლოცვა-კურთხევით, წინ წარსდგა მამაცი რამა — აიოდჰიას მეფის, დიდი დაშარათჰას ვაჟიშვილი. მან მსუბუქად ასწია მშვილდი და გადატეხა. სიტამ რამას კისერზე ყვავილების გვირგვინი ჩამოჰკიდა.

დიდი ზეიმით გადაიხადეს სიტასა და რამას ქორწილი.

გადიოდა წლები. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ბედნიერად ცხოვრობდა. მაგრამ ერთხელ, ხელმწიფე დაშარათჰამ თავისი ერთ-ერთი ცოლის მოთხოვნით რამა თხუთმეტი წლით ტყეში გააძევა.

რამამ თავისი უმცროსი ძმა ლაკშმანი და სიტა თან წაიყვანა და ტყეში გაიხიზნა.

ერთხელ რამა და სიტა თავიანთი ქოხის ზღურბლზე ისხდნენ. უცებ, სად იყო, სად არა, მათ წინ ოქროს ანტილოპამ ჩაიქროლა.

— რა მშვენიერი ოქროს ბეწვი აქვს! ჩემო ძვირფასო, ძალიან მინდა ეგ ტყავი მაჩუქოო! — შეეხვეწა სიტა რამას.

— აქ რაღაცა ამბავია, ვიღაცას ჩვენი მახეში გაბმა უნდაო, — არწმუნებდა სიტას რამა, მაგრამ ქალმა არ დაუჯერა. რაღას იზამდა რამა, ადგა და ანტილოპას გამოუდგა. სიტა კი მარტო დარჩა. უეცრად ქოხში ბოროტი რავანი გაჩნდა და ქალი გაიტაცა. რავანმა სიტა თავის სამეფოში — ლანკუში — მიიყვანა და ჰარამხანაში შეაგდო.

მანდოდარი მაშინვე მიხვდა, სიტა სწორედ ის გოგონაა, ბრაჰმას სასწაულმოქმედი სისხლის დალევის შემდეგ რომ გამიჩნდაო, მაგრამ ამ ამბავს რავანს როგორ ეტყოდა. ისღა დარჩენოდა, სიტა რავანის თავდასხმებისა და მუქარისაგან ეხსნა. მართლაც, მანდოდარი ისე იცავდა გოგონას, როგორც ნამდვილ დედას შეეფერება, თან ცდილობდა რავანისათვის ჩაეგონებინა: თავი დაანებე სიტას, მასზე ფიქრიც კი არ გაბედო, შვილად შეგფერისო.

მაგრამ რავანი ყურადღებასაც არ აქცევდა მანდოდარის სიტყვებს. მას უკვე ისე ავსებოდა ცოდვების ფიალა, რომ სულის გადარჩენაზე ოცნებაც კი აღარ შეეძლო.

რამამ მაიმუნ ჰანუმასაგან შეიტყო სიტას ადგილსამყოფელი, შეკრიბა მაიმუნებისა და დათვების ჯარი და ლანკუს თავს დაესხა. რამამ მოკლა რავანი, სიტა გაანთავისუფლა და ზუსტად თოთხმეტი წლის შემდეგ თავის ქალაქში — აიოდჰიაპურში — დაბრუნდა.

მეფე დაშარათჰამ დიდი ზეიმით დასვა რამა სამეფო ტახტზე. სიტა გადედოფლდა. ეს ამბავი ერთი ქალის — სიტას მულის — გარდა, ყველას უხაროდა.

ერთხელ ამ ქალმა რამას უთხრა:

— ძმაო, გუშინ ვბანაობდი და ერთი დჰობის* (* დჰობი — მრეცხავი. ინდოეთში მრეცხავები მხოლოდ მამაკაცები არიან.) ლაპარაკი შემომესმა, თავის ცოლს ეუბნებოდა: თავი დამანებე, აქედან მომშორდი, ჩვენი მეფე რამა კი არ გეგონო, თავის ცოლს, სიტას, თოთხმეტი წელი რავანთან ყოფნა რომ აპატია და ისევ მიიღო. სადაც წუხელის იყავი, ისევ იქ წადი, ჩემს სახლში ფეხი აღარ შემოდგაო! ხედავ, ხალხი რას ამბობს? სიტამ თავსლაფი დაგვასხა, ამის მოთმენა აღარ შეიძლებაო.

იმ ხანებში სიტა ბავშვის მოლოდინში იყო. ერთხელ რამას უთხრა:

— თავს რაღაც ცუდად ვგრძნობ. განდეგილთა სავანეში წასვლა მინდა, რომ ბრძენებსა და წმიდა მამებს თაყვანი ვცეო.

დის სიტყვები რამას მოსვენებას არ აძლევდა. რამამ ისარგებლა ამ შემთხვევით და ლაკშმანს უბრძანა: წაიყვანეთ სიტა ტყეში განდეგილებთან და იქ დატოვეთო.

ლაკშმანმაც ჩასვა სიტა ეტლში და განდეგილთა სავანისაკენ მიმავალი გზით კი არ წაიყვანა, ჯუნგლებისაკენ მიმავალ გზას გაუყენა. როცა ლაკშმანმა სიტას სიმართლე უთხრა, ქალი ატირდა და მული დაწყევლა: ჩემი გაუბედურებისათვის, ღმერთსა ვთხოვ, ციყვად ქცეულიყავი! დღე და ღამე წყურვილისაგან პირი გიშრებოდეს! გუბეები, ტბები და ტბორები, საიდანაც წყლის დალევა შეგეძლება, დამშრალიყოს, წყლის ძებნაში ტოტიდან ტოტზე გეხტუნოს და გეტანჯოსო!

როგორც კი ალალმართალმა სიტამ ეს სიტყვები წარმოთქვა, მისი მული ციყვად იქცა.

ქვეყნად დიდი მტრობა და შუღლი რძალ-მულს შორის იმ დღიდან ჩამოვარდა.

ლაკშმანმა სიტა ტყეში დატოვა და თვითონ უკან გამობრუნდა. სიტა იქ ერთი უსინათლო განდეგილის ქოხს მიადგა. განდეგილმა ქალი შეიფარა და რამდენიმე

თვის შემდეგ სიტამ მასთან მოილოგინა კიდეც. ძალიან ლამაზი ბიჭი გაუჩნდა. ლავა დაარქვა. როცა სიტა მდინარეზე საბანაოდ წავიდოდა, ბიჭს დააძინებდა და საწოლს განდეგილს გვედით დაუდგამდა. ერთხელ სიტამ ლავა თან წაიყვანა და განდეგილს კი არაფერი უთხრა. უსინათლო მოხუცმა ბავშვის ლოგინში ხელი მოაფათურა, უნდოდა გაეგო, ბიჭს ეძინა თუ არა. საწოლი ცარიელი რომ დახვდა, ძალიან შეწუხდა:

— ნუთუ ბავშვი მხეცებმა მომტაცეს? ღმერთო ჩემო, რა დღეში ჩავარდება სიტა, ამ ამბავს რომ გაიგებს! ნამდვილად თავს აღარ იცოცხლებსო.

განდეგილმა სასწრაფოდ დაკრიფა სასწაულმოქმედი ბალახი კუშა, შეაწება ისე, რომ ბავშვის სახე მიეცა და ზეციური ძალების დახმარებით სული ჩაჰბერა. ამასობაში სიტაც დაბრუნდა და საწოლში მძინარე ბავშვი რომ დაინახა, გაკვირვებულმა წამოიძახა:

— ეს ბიჭი ვისია, ჩემი ხომ თან წავიყვანეო?

— რა უშავს, შვილო, ესეც შენს შვილად ჩათვალე. ამას კუშა ჰქვია და ლავას ძმა არისო, — უპასუხა განდეგილმა.

სიტა უკვე ორ ბავშვს ზრდიდა. ბიჭები ძალიან ნიჭიერები გამოვიდნენ და წერა-კითხვაც მალე ისწავლეს.

ერთხელ ლავა და კუშა ტყეში დარბოდნენ და მხიარულ სიმღერებს მღეროდნენ. შემთხვევით იქვე ახლოს რამა ნადირობდა. ბავშვების წკრიალა ხმები რომ შემოესმა, მივიდა მათთან და ჰკითხა:

— ახლომახლო სასმელი წყალი ხომ არსად გეგულებათო?

— აქვე, ახლოს, ჩვენი სახლია. მობრძანდით და დაგალევინებთო, — უპასუხეს ბიჭებმა.

— რომელ კასტიდანა ხართ, ან თქვენი მშობლები ვინ არიანო? — ჰკითხა რამამ ბავშვებს.

— ჩვენ მეომართა კასტიდან ვართ — რაჯპუტები. ჩვენს დედას სიტა ჰქვია, მამის სახელს კი არ გეტყვით. უსინდისოდ მოიქცა, დედა სახლიდან გამოაგდოო, — უთხრეს ბიჭებმა.

რამა მაშინვე მიხვდა, რომ თავის შვილებს ელაპარაკებოდა და ძალიან შეწუხდა.

ბიჭები და რამა ერთად მივიდნენ ქოხთან, მაგრამ სიტას არც კარი გაუღია და არც გამოჩენილა, მხოლოდ მისი ხმა გაისმა: ჩემი ქმრის თვალით დანახვაც არ მინდა, უსინდისოდ სახლიდან გამომაგდო, ამდენი წელი მარტო ვიცხოვრე და დარჩენილ წლებსაც როგორმე გავატარებო.

გაწბილებული რამა უკან გაბრუნდა.

წმიდა ბრძენი ქოხში რომ დაბრუნდა და ეს ამბავი შეიტყო, სიტას უთხრა:

— შვილო ჩემო, სწორად არ მოქცეულხარ. იცოდე, მიტოვებული ქალი ძალიან უბედურია. შენი შვილების ხათრით აპატიე დანაშაული. წამოდი, რამასთან მე წაგიყვანო.

განდეგილი დიდხანს არწმუნებდა სიტას, ასე სჯობს, ასე მოიქეციო. ბოლოს, როგორც იქნა, დაიყოლია და წაიყვანა.

კარავში რომ მივიდნენ, რამამ სიტას უთხრა:

— თუ მართლა ჩემი ერთგული იყავი, დამიმტკიცეო!

ამ სიტყვების გაგონებაზე ქალს სულ კანკალი დააწყებინა.

— ეს რა დღეში ჩავვარდი, მე უბედური! არ გეყო, ცეცხლზე რომ გამომცადე, როცა რავანისაგან წამომიყვანე? ახლა რაღა გინდა? ეტყობა დედამიწაზე ჩემთვის — მიწის კვლის შვილისათვის — ადგილი არ არისო, — ამოიკვნესა სიტამ, ხელები სალოცავად გულზე დაიწყო და დედამიწას შესთხოვა:

— ო, დედაო მიწავ! მე თუ ჩემი ქმრის ერთგული ვიყავი, შენს კალთას მიმაბარეო!

მოულოდნელად მიწა გაიპო და იქიდან ტახტზე მჯდარი დედამიწის ქალღმერთი ამოვიდა, უმანკო სიტა გულში ჩაიკრა და თვალს მიეფარა.

ახლა კი მიხვდა რამა, რა ერთგული ცოლიც ჰყავდა და დასაჭერად გაექანა, უნდოდა თმებში ხელი ეტაცნა, მაგრამ გვიანღა იყო. სიტა დედამიწამ ჩაიტანა. რამას კი მისი თმის რამდენიმე ღერიღა შერჩა ხელში.

ამბობენ, ადამიანებს ამ ამბის შემდეგ გაუჩნდათ ხელისგულზე ხაზები და ეს ხაზები სიტას თმის ნაკვალევიაო.

ბრძენი ბირბალი

ალბათ, ყველას გაგიგონიათ ფადიშაჰ აქბარისა და იმისი ბრძენი მრჩევლის ბირბალის ამბავი. სხვადასხვა ენაზე მრავალი ზღაპარი შეთხზულა მათზე.

ამბობენ ბირბალი ერთი ღარიბი ბრაჰმანის ოჯახში დაიბადაო. რომ წამოზრდილა, ძალიან ჭკვიანი და ბეჯითი ჭაბუკი დამდგარა. თავისი მშობლიური კერა დაუტოვებია, ბედის საძებნელად წასულა და ქალაქ აგრაში დასახლებულა. იქ შაჰის სასახლის ახლოს პატარა დუქანი გაუხსნია და ბეტელით* (* ბეტელი — სამხრეთ აზიაში გავრცელებული მცენარეა წიწაკოვანთა ოჯახიდან. მის ფოთლებში ახვევენ ფუფულას თესლს მცირეოდენ კირთან და სხვადასხვა სუნელთან ერთად და ღეჭავენ. ინდოეთში ძალიან გავრცელებულია ეს საჭმელი.) ვაჭრობა დაუწყია.

ერთხელ ბირბალი, ჩვეულებრივად, თავის დუქანში იჯდა. მოულოდნელად მასთან ძალზე შეწუხებული სასახლის მსახური შევარდა და უთხრა:

— ბატონო, ძალიან გთხოვ, გირვანქის მეოთხედი კირი ამიწონო. კირი თვითონ ფადიშაჰს უნდა; ძალიან გაჯავრებულიაო.

ბირბალი მაშინვე მიხვდა საქმის ვითარებას და ჰკითხა:

— მითხარი, ფადიშაჰმა ბეტელი ხომ არ ჭამაო.

— როგორ არა, ახლა მე თვითონ მივართვიო, — უპასუხა ქარიმმა.

— მაშ, ყველაფერი გასაგებია, საკუთარი თავი შენ თვითონვე დაგიღუპავსო.

— რატომა და როგორაო? — შეეშინდა ქარიმს.

— ალბათ, ბეტელს ძალიან ბევრი კირი უყავი და ფადიშაჰს ენა დაეწვა. ახლა მთელი ამ კირის შეჭმას შენ გიბრძანებს და საშინელი ტანჯვით სიკვდილი გელისო.

— არ შემცდარხარ, ბრძენო პანდიტო! უკვე ათი წელია, რაც ფადიშაჰს მთელი გულითა და სულით ვემსახურები და მხოლოდ დღეს, ბეტელს რომ ვამზადებდი, ფიქრებში გავერთე. ქალიშვილს ვათხოვებ და იმის ქორწილზე ვფიქრობდი. ამიტომ დამემართა ეს ამბავი. ბრძენო პანდიტო, მასწავლე, როგორ მოვიქცე, რომ ფადიშაჰს გადავურჩეო!

ბირბალი მუდამ შველოდა გაჭირვებულებს. ახლაც ცოტა დაფიქრდა და მსახურს უთხრა:

— აი, რა გითხრა, ქარიმ! ერთი ბოთლი ერბო დალიე და კირი ვერაფერს დაგაკლებსო.

ქარიმმა დალია ერთი ბოთლი ერბო და აცახცახებულმა ფადიშაჰს კირი მიუტანა.

ფადიშჰმა უბრძანა:

— ეს კირი ახლავე ჩემ თვალწინ შეჭამეო!

მეორე დღეს, ჩვეულებისამებრ, ქარიმი ფადიშაჰს ეახლა და სინით ბეტელი მიართვა. გაკვირვებულმა ფადიშაჰმა ჰკითხა:

— იმდენი კირი შეჭამე და ცოცხალი როგორღა გადარჩიო?

ქარიმმა მორჩილად დაიკრიფა ხელები და ყველაფერი ისე უამბო, როგორც იყო. მეორე დღეს ფადიშაჰმა ბირბალი დაიბარა.

— რა იცოდი, ქარიმისთვის კირი რომ უნდა შემეჭმევინებინაო.

— თქვენო უდიდებულესობავ! ჩემმა მიხვედრილობამ მიშველაო!

— გონიერი კაცი რომ უნდა იყო, გეტყობა, მაგრამ დასარწმუნებლად რამდენიმე კითხვას კიდევ მოგცემ. აბა, მითხარი, ერთი და ერთი რამდენიაო?

— თქვენო უდიდებულესობავ! თუ მეფე და იმისი ვეზირი ერთმანეთს ეხმარებიან, ერთი და ერთი თერთმეტია ხოლმე, თუ არ ეხმარებიან, მაშინ — ერთი და ერთი ორია, ესე იგი, მხოლოდ განხეთქილება და უთანხმოება იქნებაო.

— აი, გონიერი პასუხი ამას ჰქვია, გაიგეთო? — მიმართა ფადიშაჰმა თავის მრჩევლებს. — გუშინ კი ვერც ერთმა თქვენგანმა ამ კითხვაზე საზრიანი პასუხი ვერ გამცაო. — მერე ისევ ბირბალს მიუბრუნდა და უთხრა:

— დღეიდან ჩემი მთავარი მრჩეველი შენ იქნებიო.

ბირბალმა მდაბლად დაუკრა თავი და განზე გადგა.

თავისი სიბრძნითა და გონებამახვილობით ბირბალმა მალე მოიგო ფადიშაჰის გული. აქბარი დიდად აფასებდა თავის ახალ მრჩეველს. უიმისოდ სასახლე თითქოს ბრწყინვალებას კარგავდა. ყოველი მისი პასუხი ფადიშაჰს სიხარულს ჰგვრიდა.

ზამთრის ერთ ცივ, ქარიან დღეს საბნებში გახვეული ფადიშაჰი და ბირბალი სასახლის ზედა დარბაზში ისხდნენ და საუბრობდნენ. უეცრად აქბარმა ბირბალს ჰკითხა:

— როგორ გგონია, ჩემს სახელმწიფოში ისეთი კაცი მოიძებნება, ასეთ სიცივეში მთელი ღამე ყელამდე წყალში რომ ჩადგესო?

— დიდო მბრძანებელო! ლუკმა-პურისთვის რას არ იზამს ადამიანი! თუკი კარგ გასამრჯელოს მისცემ, ასეთ კაცს მე თვითონ მოგიძებნიო.

აქბარს არა გაეგებოდა რა ღატაკების გასაჭირისა და ბირბალს არ დაუჯერა, მაგრამ მისი ნიჭის ერთხელ კიდევ გამოსაცდელად უთხრა:

— კარგი, მომიძებნე და ვინც ამ გამოცდას გაუძლებს, ას ოქროს მივცემო.

შეპირებით კი შეპირდა ბირბალი, მაგრამ როცა აქბარმა გასამრჯელოს გაღებაზე თანხმობა განაცხადა, შეფიქრიანდა, — ასეთი კაცი ასე უცებ სად ვიშოვოო. ბირბალი ისეთი შეწუხებული დაბრუნდა შინ, რომ არც კი უვახშმია.

ბირბალს ერთი თავისავით გონიერი ასული ჰყავდა. ქალი მიხვდა, მამა რაღაცაზე ისეა შეწუხებული, ვახშმობის თავიც აღარ აქვსო, და ჰკითხა:

— მამაჩემო, რა დაგემართა, სასახლეში ხომ არავის წაჩხუბებიხარო?

ბირბალი ჯერ სიტყვას ბანზე უგდებდა შვილს, მაგრამ მერე იძულებული გახდა, სიმართლე ეთქვა. ქალმა ყურადღებით მოუსმინა მამას და უთხრა:

— მერედა, მაგან შეგაწუხა? შენ ამაღამ მშვიდად დაიძინე, ხვალ საღამოსთვის საჭირო კაცს მე გიშოვიო.

მეორე საღამოს, სასახლეში წასვლის დრო რომ დადგა, ბირბალმა შვილს დაუძახა.

— ახლავე, მოვალო, — უპასუხა ქალმა და მეზობელთან გაიქცა. რომ დაბრუნდა მათი მეზობელი დჰობი მოჰყვებოდა უკან. ბირბალმა დჰობის ჰკითხა:

— ძმობილო, შეძლებ კი, ამ სიცივეში მთელი ღამე ყელამდე წყალში იდგეო?

— ჩვენო მარჩენალო, მთელი დღე, სხვა რას ვაკეთებ — ცივ წყალში ვდგავარ და სარეცხს ვავლებ, თუ მართლა ამდენ ფულს მომცემენ, წყალში ერთ ღამესაც როგორ ვერ გავძლებო, — უპასუხა დჰობიმ.

ბირბალმა დჰობი სასახლეში წაიყვანა და ფადიშაჰს მოახსენა:

— თქვენო უდიდებულესობავ, აი ეს კაცი თანახმაა, თქვენი სურვილი შეასრულოსო.

როგორც კი მზე ჩავიდა, დჰობი ყელამდე წყალში ჩააყენეს და მეთვალყურეები მიუჩინეს. საცოდავმა დჰობიმ მთელი ღამე იქ გაათია და დილას, სიცივისაგან მთლად გალურჯებული ამოვიდა წყლიდან. ბირბალმა დჰობი თავის სახლში წაიყვანა, გაათბო, ცხელი რძე დაალევინა, საღამოთი კი ისევ ფადიშაჰს მიუყვანა. გაოცებულმა ფადიშაჰმა დჰობის ჰკითხა:

— ერთი მითხარი, მთელი ღამე ცივ წყალში როგორ გასძელიო?

დჰობიმ ხელები მორჩილად დაიწყო გულზე და მიუგო:

— ქვეყნიერების მფარველო! სადღაც, მეორე ნაპირზე ფარანი ენთო, მთელი ღამე იმას გავყურებდი და ისე გავძელიო.

ასეთი პასუხი რომ მიიღო, აქბარმა გადაწყვიტა, პირობა დაერღვია და ბირბალს უთხრა:

— ბირბალ, ამ კაცს დაპირებულ ფულს ვერ მივცემ! თურმე, მთელი ღამე ფარნის შუქისთვის თვალი არ მოუშორებია. ალბათ, ის შუქი ათბობდა და იმიტომ არ გაიყინაო.

აქბარის ეს ვერაგული განზრახვა არ მოეწონა ბირბალს და გადაწყვიტა, მისთვის ჭკუა ესწავლებინა. მეორე დღეს ბირბალმა ოთხი ბამბუკის ჯოხი ერთმანეთზე გადააბა და გრძელი ჭოკი გააკეთა. ჭოკის ერთი ბოლო მიწაში ჩასო, მეორეზე კი წყლით სავსე ქოთანი დაჰკიდა და ქოთანში ბურღული ჩაყარა. ასე ცაში გამოკიდებული ქოთნის გასწვრივ კი მიწაზე ცეცხლი გააჩაღა და გვერდით მიუჯდა. შუადღისას ბირბალი სასახლეში რომ არ გამოცხადდა, შაჰის ვეზირმა კაცი გაუგზავნა. ბირბალმა კარისკაცს დააბარა:

— ფაფას მოვხარშავ, ვჭამ და მოვალო.

ერთი საათის შემდეგ სასახლიდან კიდევ გაგზავნეს კაცი, ბირბალმა იმასაც იგივე დააბარა. საღამოს კი, რაკი ბირბალი არსად გამოჩნდა, თვითონ აქბარი და მისი ვეზირი მობრძანდნენ მასთან: აბა, ერთი ვნახოთ, ისეთს რა ფაფასა ხარშავს, რომ მთელი დღე მოანდომაო.

ბირბალმა დაინახა თუ არა სტუმრები, მაშინვე ცეცხლს ეცა, შეუკეთა და გულმოდგინედ დაუწყო ბერვა. აქბარმა გრძელ ჭოკზე ჩამოკიდებულ ქვაბს რომ შეხედა, გაეცინა და ბირბალს უთხრა:

— ხომ არ გაგიჟდი? ქვაბამდე ცეცხლი კი არა, კვამლიც ვერ აღწევს, ფაფა როგორ უნდა მოხარშოო?

საზრიანი ბირბალიც სწორედ ამ კითხვას ელოდა. მორჩილად დაუკრა თავი ფადიშაჰს და უთხრა:

— ჩემს ქოთანსა და ცეცხლს შორის ხუთჯერ უფრო მცირე მანძილია, ვიდრე იმ ფარანსა და გუბურას შორის იყო. ამას გარდა, ისიც უნდა ითქვას, რომ ჩემი დანთებული ცეცხლის ალი ფარნის ალზე ასჯერ უფრო ძლიერია. თუკი დჰობი ფარნის ალით თბებოდა, ჩემი ფაფა უფრო არ უნდა მოიხარშოს? თქვენო უდიდებულესობავ! მაპატიეთ, რომ დავიგვიანე, როგორც კი ფაფა მოიხარშება, შევჭამ და სასახლეში გეახლებითო.

ბირბალმა ასე ასწავლა ჭკუა ფადიშაჰს. აქბარს უჭირდა მთელი საღამო უბირბალოდ ჯდომა და როგორც კი სასახლეში დაბრუნდა, ბრძანა, დჰობის ასი ოქროს მაგივრად ორასი მიეცითო.

დჰობი ბედნიერი და მხიარული წამოვიდა სასახლიდან და თან გზაში სულ ბირბალს ლოცავდა. ბირბალი ამაყად თავაწეული, კმაყოფილი და ბედნიერი გამოცხადდა სასახლეში.

აქბარი და ბირბალი ასე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს მოსაზრებულობასა და მიხვედრილობაში. ბირბალი ყოველთვის ისეთ პასუხებს მოიფიქრებდა, რომ აქბარი ვეღარაფერს ეუბნებოდა და მხოლოდ ეთანხმებოდა ხოლმე.

ერთხელ ფადიშაჰმა ბირბალს ჰკითხა:

— ბირბალ, როცა საქმე სულელთან გაქვს, როგორ უნდა მოიქცეო?

ბირბალი ცოტა დაფიქრდა და უპასუხა:

— დიდო ხელმწიფევ, ამ კითხვაზე ხვალ გიპასუხებო.

თავისი გონიერებისა და მოსაზრებულობის გამო ბირბალი ხშირად ღებულობდა ფადიშაჰის უხვ საჩუქრებს, მაგრამ ბირბალი არც იმ შემთხვევას გაუშვებდა ხოლმე ხელიდან, როცა შეეძლო ფადიშაჰის წყალობით ღატაკები გაეხარებინა. იმ დღეს, შინ რომ ბრუნდებოდა, ჭიშკართან ერთ მწყემსს შეხვდა. ბირბალი გამოელაპარაკა მწყემსს და გაიგო რომ ძალიან ღარიბი კაცი იყო.

— კარგი, ხვალ სასახლეში წამომყევი და პირდაპირ ფადიშაჰთან მიგიყვან, ოღონდ ერთი პირობით, ფადიშაჰმა რაც არ უნდა გითხრას, კრინტიც არ დასძრა, ჩუმად იდექიო, — უთხრა მას ბირბალმა.

მეორე დღეს ბირბალმა მწყემსი მართლაც წაიყვანა სასახლეში. ფადიშაჰმა ბირბალი დაინახა თუ არა, უთხრა:

— აბა, ბირბალ, გუშინდელ შეკითხვაზე მიპასუხეო.

— ქვეყნის მფარველო! შეკითხვაზე ჩემი მეგობარი მწყემსი გიპასუხებთო.

ფადიშაჰს გაუკვირდა, მაგრამ მაინც გაუმეორა თავისი შეკითხვა მწყემსს. მწყემსი გაჩუმებული იდგა. ფადიშაჰმა რამდენჯერმე კიდევ გაუმეორა შეკითხვა, მწყემსი მაინც არ იღებდა ხმას. როცა ბირბალმა შეატყო, ფადიშაჰი მოთმინებას ჰკარგავსო, უთხრა:

— თქვენო უდიდებულესობავ! პასუხი უკვე მიიღეო.

— როგორ მივიღე პასუხი, როცა ეს კაცი ისეა გაჩუმებული, თაითქოს პირი წყლითა აქვს სავსეო, — გაუკვირდა აქბარს.

— ქვეყნიერების მფარველო! პასუხიც სწორედ ეს არის, როცა საქმე სულელთან გაქვს, უნდა გაჩუმდეო.

აქბარი დაიბნა, მაგრამ არა შეიმჩნია რა და გუნებაში გადაწყვიტა: რაკი ბირბალი მუდამ ასე მასულელებს, მარჯვე შემთხვევას დაველოდები, ერთხელაც იქნება, შეცდომაში დავიჭერ და ჭკუას ვასწავლიო.

ბირბალს სასახლეში მტრებიც ჰყავდა. ისინი მარტო იმას ცდილობდნენ, ბირბალი ფადიშაჰის თვალში როგორმე დაემცირებინათ. ერთხელაც ერთ-ერთმა იმათგანმა აქბარს მიმართა. — ქვეყნის მფარველო! თქვენს მრჩეველ ბირბალს ყოველთვის მიუდგომლად როდი გამოაქვს გადაწყვეტილება. გუშინ ოთხი ბოროტმოქმედი დააკავეს. ოთხივეს ერთნაირი დანაშაული ჰქონდა, მაგრამ ბირბალმა სხვადასხვანაირად დასაჯა. თუ ჩემი არა გჯერათ, შეამოწმეთ და თქვენ თვითონ დარწმუნდებითო.

როცა ბირბალი სასახლეში მივიდა, ფადიშაჰმა ჰკითხა:

— გავიგე, გუშინდელ სასამართლოზე ერთნაირი დამნაშავეებისათვის სხვადასხვანაირი სასჯელი მიგიცია. მითხარი, მართალია თუ არა: თუ მართალია, ეს რას ნიშნავსო?

— თქვენო უდიდებულესობავ! ყველაფერი მართალია, მაგრამ მე უსამართლობა არ ჩამიდენია, მართლმსაჯულების ერთგული დავრჩი. ოქრო მსუბუქი დარტყმითაც იჭყლიტება, რკინას კი მძიმე ურო სჭირდება. წესიერ კაცს უბრალო შერცხვენაც ეყოფა, უსინდისოს კი — მძიმე სასჯელიც არ გამოასწორებს. დასჯის მიზანი დამნაშავის გამოსწორებაა. როცა განაჩენი გამომაქვს, მუდამ იმასა ვფიქრობ, დამნაშავე რა კაცია, და რა სასჯელით შეიძლება მისი გზაზე დაყენება.

— მაშინ დამიმტკიცე, რომ გუშინდელი შენი გადაწყვეტილება სამართლიანი იყოო.

— თქვენო უდიდებულესობავ! ოთხი დამნაშავიდან ერთს ვუთხარი, შენნაირ კაცს დანაშაულის ჩადენისა უნდა რცხვენოდეს მეთქი და გავუშვი. ის კაცი შინ რომ მისულა, შხამი დაულევია და თავი მოუკლავს. მეორეს გავუჯავრდი და გავათავისუფლე. მან ღრმად შეიგნო თავისი დანაშაული და ამ ქალაქიდან სულ გადაიხვეწა. მესამე გავაჯოხინე. ის ახლა შინ ზის და თვალით არავის ენახვება. ყველაზე მკაცრი სასჯელი კი მეოთხეს დავადე: ცხვირი და ყურები მოაჭრეს, სახეზე მური წაუსვეს, ვირზე შესვეს და მთელი დღე ქალაქში ატარეს. ეს უსირცხვილო მაინც იცინოდა, ამ სიარულში, თურმე, თავის შვილს მოჰკრა თვალი და დაუძახა: დედაშენს გადაეცი, დასაბანი წყალი მომიმზადოს და ვახშამიც არ დაავიწყდეს, ცოტასაც ვისეირნებ ქალაქში და მალე მოვალო.

ვინც კი ბირბალის ასეთი პასუხი მოისმინა, ყველა მისი მართლმსაჯულების ქებას მოჰყვა.

<u>თენალი რამაკრიშნა — მხიარული პოეტი</u>

თენალი რამაკრიშნა და ქალღმერთი კალი*

(* კალი — ქალღმერთი — დედა, შივას ცოლი. იგი განასახიერებს ყოველივე ცოცხალი არსის სიცოცხლესა და სიკვდილს. მისი კულტი გავრცელებულია აღმოსავლეთ ინდოეთში და განსაკუთრებით — ბენგალში. კალის განასახიერებენ მრავალხელას,ზოგჯერ შავი სახით. მას თავის ქალის ყელსაბამი ჰკიდია. მე-19 საუკუნემდე ადამიანს სწირავდნენ ხოლმე მსხვერპლად.)

ამბობენ, თენალი რამაკრიშნა თავის ჭაბუკობაში ქალღმერთ კალის სცემდა თაყვანსაო. ამ დიდებული ქალღმერთის სადიდებლად ბევრი ლოცვა წაუკითხავს, მარხვით თავი დაუტანჯავს და მისი ტაძრებისათვის დიდძალი მსხვერპლი შეუწირავსო.

ქალღმერთმა კალიმ, რაკი კმაყოფილი იყო ჭაბუკი ბჰაკტიას საქციელით, გადაწყვიტა პირადად თვითონ დაესაჩუქრებინა იგი. ერთ ღამეს კალი რამაკრიშნას თავისი ყველაზე საშინელი სახით გამოეცხადა, — ათი თავი ება, წელზე შხამიანი გველები შემოერტყა და სამკაულად ასურებისა და ბჰუტების* (* ასურები და ბჰუტები — ინდური რელიგიური რწმენის მიხედვით — მოჩვენებები, ავი სულები. ისინი მიცვალებულთა გვამების დაწვის ადგილას ბინადრობენ. ბჰუტებად იქცევიან ძალადობით დახოცილნი, დამხრჩვალნი ანდა მიცვალებულები, რომლებიც არ დამარხეს წესის მიხედვით, არ დაწვეს. ასურები და ბჰუტები ინდოეთის ყოველ კუთხეში ერთნაირად სწამთ.) თავის ქალების ყელსაბამი ჩამოეკიდა, ქალღმერთს ხელში ორი თასი ეჭირა. ერთში სქელი, ტკბილი რძე ესხა, მეორეში კი — მჟავე მაწონი. კალიმ ორივე თასი რამაკრიშნას დაუდგა წინ და ანიშნა: აირჩიეო! რამაკრიშნამ უსიტყვოდ აიღო ორივე თასი და ერთმანეთის მიყოლებით გამოსცალა. ქალღმერთს გაუკვირდა, მაგრამ არაფერი უთქვამს. რამაკრიშნამ კი თავი დახარა,

აშტანგა* (* აშტანგა — რიტუალური მისალმება, ე. წ. რვამუხლა თავის დაკვრა. ამ დროს ადამიანი ერთდროულად ეხება მიწას წინ გაშლილი ხელის თითებით, შუბლით, ცხვირით, ნიკაპით, მკერდით, მუცლით, მუხლებითა და ფეხის თითებით.) მიუძღვნა და უთხრა:

— დედაო ყოველი არსისა! თუ შენი ერთგულებისათვის ჩემი დასაჩქურება განგიზრახავს ერთ კითხვაზე მიპასუხეო.

ალბათ ძალიან მნიშვნელოვან კითხვას მომცემსო, — გაიფიქრა ქალღმერთმა და თანხმობის ნიშნად ათივე თავი დახარა.

რამაკრიშნას მოწიწება და საგონებელში ჩავარდნილი კაცის იერი აღებეჭდა სახეზე და უთხრა:

— დედაო ყოველი არსისა! ჩვენ, ადამიანებს, უღირს არსებებს, მხოლოდ თითო ცხვირი გვაქვს და სურდოს დროს მაინც ძალზე ვწვალობთ — ყოველწუთს ცხვირს ვაცემინებთ და ვიწმენდთ, რაც ძალზე უხერხულ მდგომარეობაში გვაგდებს და გვღლის. შენ კი, ჰოი, ათთავავ, როგორ იქცევი, როცა სურდო გაქვს, ჰქმენ სიკეთე და მითხარიო!

ქალღმერთს გაეცინა:

— შენ პოეტი იქნები და მუდამ ისე შეაქცევ ხალხს, რომ მხიარულ პოეტს დაგარქმევენო, — უთხრა მას ქალღმერთმა და გაქრა.

ვინ იცის, იქნებ ქალღმერთის სიტყვები საშინელი წყევლა იყო. რამაკრიშნამ კი დალოცვად მიიღო და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე არც უნანია.

თენალი რამაკრიშნას კატა

ერთხელ დიდებულმა ხელმწიფემ კრიშნა დევა რაიამ იხმო თავისი ნაზირ-ვეზირები და უთხრა:

— ყველას სათითაო ძროხასა და კატას მოგცემთ. კატას ძროხის რძე უნდა აძლიოთ. ვინც სამ თვეში ყველაზე მეტად გაასუქებს თავის კატას, იმას უხვად დავასაჩუქრებ. ახლა წადით და შეასრულეთ, რაც გითხარით, ასეთია ჩემი ნებაო!

ნაზირ-ვეზირებმა თავი მდაბლად დაუკრეს და ხელმწიფის ბრძანების შესასრულებლად თავ-თავიანთ სახლებს მიაშურეს.

ხელმწიფის ბრძანებით თენალი რამაკრიშნამაც მიიღო ძროხა და კატა. სწორედ ამ ხანებში ბავშვები გაუხდნენ ძალიან ავად, სახლში კი პურის ლუკმაც არსად ეგდო. საღამოს თენალი რამაკრიშნამ ძროხა მოწველა, რძეს პირველად თვითონ გაუსინჯა გემო და ძალიანაც ეგემრიელა — ტკბილი, სქელი და მსუყე მოეჩვენა. არა, ასეთი რძე კატისათვის მეტისმეტია, ამას კატას ვერ დავალევინებო, — გადაწყვიტა რამაკრიშნამ. მერე რძე პატარა ქოთანში აადუღა, ქოთანი კატას დაუდგა და პირდაპირ ცხელ-ცხელ რძეში ჩააყოფინა ცხვირი. კატას ეს ამბავი სულ არ მოეწონა, ერთი დაიჩხავლა, კნავილი მორთო, რამაკრიშნას ხელიდან გაუსხლტა და გაიქცა. იმ დღიდან კატა რძის ქოთანს დაინახავდა თუ არა, გამწარებული გარბოდა. რამაკრიშნა კი წველიდა ძროხას, თვითონაც სვამდა და თავის ავადმყოფ შვილებსაც ასმევდა, თან გუნებაში მოწყალე ხელმწიფეს ლოცავდა. სამი თვის შემდეგ სასახლეში ისევ შეიკრიბნენ ნაზირ-ვეზირები და თან კატებიც მოიყვანეს _ რა მაძღრები, რა მსუქნები, რა ნაპატივები კატები იყვნენ, ენა ვერ აწერს! ზოგის კატა სიმსუქნით ვეფხვს დამსგავსებოდა, ზოგისა კი ხარს. მარტო თენალი რამაკრიშნას კატა იყო საცოდავი შესახედავი — გაძვალტყავებული და გაქუცული. ამ გაუბედურებული კატის დანახვით განრისხებულმა ხელმწიფემ იკითხა:

— რა უყავი ამ უბედურ ცხოველს, აჩარია* (* აჩარია — მასწავლებელი, მოძღვარი.) რამაკრიშნა? რძეს ასმევდი თუ არა, ამწუთას მიპასუხეო!

— მოწყალეო ხელმწიფევ! ეს საძაგელი რძეს ახლოსაც არ გაეკარა. ერთი წვეთიც ვერ დავალევინე. რა უნდა მექნა? რძეს ხომ არ გადავღვრიდი, თვითონაც ვსვამდი და ჩემს შვილებსაც ვასმევდი. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი შვილები ძალიან მძიმედ იყვნენ ავად, ახლა კი თქვენი წყალობით გამოკეთდნენ და კარგად არიანო, — მორჩილად მიუგო თენალი რამაკრიშნამ.

— სად გაგონილა, კატა რძეს არა სვამდეს? სულელო ბრაჰმანო, დამცინიო? — დაიღრიალა მოთმინებიდან გამოსულმა კრიშნა დევარაიამ.

— ნუ გამიჯავრდები, დიდებულო ხელმწიფევ! უბრძანე შეამოწმონ, მართალს ვამბობ თუ არა, და თვითონვე დარწმუნდები, რომ შენს ერთგულ მსახურს ტყუილის თქმა არ შეუძლიაო! — მიუგო რამაკრიშნამ.

ხელმწიფემ ბრძანა, კატას ქოთნით რძე დაუდგითო. დაუდგეს. გაცოფებულმა კატამ ერთი კი დაიჩხავლა, მერე ქოთანი თათით გადააპირქვავა და თვალის დახამხამაებაში სასახლიდან გაიქცა. მეფეს ძალიან გაუკვირდა და რამაკრიშნას სთხოვა, მიამბე, რა მოხდაო.

ამბობენ, რამაკრიშნას ნათქვამს მეფე ძალიან შეურცხვენია, მიხვედრილა, კატების რძით გამოკვება და პატარა ბავშვების დავიწყება ვერაფერი კაიკაცობა არისო.

ტელუგუ ხალხში კი გამოთქმა «თენალი რამაკრიშნას კატა» ანდაზასავით გავრცელდა. როცა დედა, მამა ან უფროსი ძმა ირწმუნება, პატარა ბავშვს ტკბილეული არ უყვარს ან ლამაზი სათამაშო არ უნდაო, ხალხში იცინიან და ამბობენ:

— თენალი რამაკრიშნას კატის ამბავი თუ გინდა, ეს არისო.

თენალი რამაკრიშნა და მეფის მრჩეველი

მეფე კრიშნა დევა რაიას მამა-პაპანი და წინაპარნი შივაიტები* (* შივაიტები — შივას მიმდევრები.) ყოფილან. ისინი ღმერთ შივას სცემდნენ თაყვანს. ახალგაზრდობაში მეფე კრიშნა დევა რაიაც დიდებულ მაჰადეოს ტაძარში დადიოდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, როცა ტახტზე ადიოდა, მიხვდა, რომ ყველაზე უფრო ჭეშმარიტი და ბრძნული მოძღვრება ვიშნუიტების* (* ვიშნუიტები _ ვიშნუს მიმდევრები.) ღმერთის ვიშნუს თაყვანისმეცემელთა მოღძვრებააო. ჰოდა, ხელმწიფე კრიშნა დევა რაია ვიშნუიტი გახდა. იმ წუთიდან იგი ვიშნუიტებს უფრო ახლობლებად მიიჩნევდა. ხელმწიფე თავისი დანარჩენი ქვეშევრდომების სულის გადარჩენაზე ზრუნავდა. უნდოდა ყველა დაერწმუნებინა ახალი მოძღვრების ჭეშმარიტებაში. ერთხელ მის ქალაქ ვიჯაიანაგარაში* (* ვიჯაინაგარა — «გამარჯვების ქალაქი». ასე ეწოდებოდა XIV-XVI საუკუნეში სამხრეთ ინდოეთში ვიჯაიანაგარას ფეოდალური სამთავროს დედაქალაქს. სამთავროს სახელი დედაქალაქის სახელიდან მომდინარეობს.) სახელგანთქმული მოძღვარი, სწავლული ბრძენი უდაიავარა ჩამოვიდა და მეფემაც თავის მოძღვრად — გურუდ* (* გურუ — მოძღვარი, მასწავლებელი.) — აირჩია.

სწავლული ბრძენი ვიჯაიანაგარაში დილიდან დაღამებამდე ქადაგებდა... ქადაგებებში ყველაზე მეტად შივას თაყვანისმცემლებს ლანძღავდა.

— იცოდეთ, შივას თაყვანისმცემელნი უწმინდურნი არიან. ისინი ბოროტ რაკშასებსა* (* რაკშასი — ადამიანებისადმი მტრულად განწყობილი ზებუნებრივი არსება. ინდიელთა რწმენით იგი ტყეებში და მიცვალებულთა გვამების დაწვის ადგილას ცხოვრობს. ხალხი დიდად არ ანსხვავებს რაკშასებსა და ბჰუტებსა და სხვა

ბოროტ ძალებს.) და ბჰუტა — სისხლისმსმელებს ჰგვანან, განერიდენით ამ უწმინდურებს, ო, ფეშმარიტნო მორწმნენო! ყველა, ვინც კი გათენებისას წყეულ შივაიტს შეხვდება, შემდეგი დაბადებისას* (* შემდეგი დაბადება — ინდუისტების რწმენით ადამიანის სული უკვდავია და მხოლოდ არსებობის ერთი ფორმიდან მეორეში გადადის. თავისი ფიზიკური სიკვდილის შემდეგ ადამიანი ხელახლა იბადება სხვა სახით. ვინც ამქვეყნად მძიმე ცოდვას ჩაიდენს, ის უწმინდურ ცხოველად — ვირად, ღორად დაიბადება.) ვირად იქცევა. გეშინოდეთ ცოდვისა, ჭეშმარიტნო მორწმუნენოო!

ისმენდა ამ ქადაგებას თენალი რამაკრიშნა, ისმენდა და, რაც უფრო დრო გადიოდა, მით უფრო დიდი სურვილი ებადებოდა ხელმწიფის მრჩევლისთვისაც და თვით ხელმწიფისათვისაც ჭკუა ესწავლებინა. ერთ დილას მეფე კრიშნა დევა რაია ქალღმერთ ლაკშმის ტაძარში მიდიოდა. თან ახლდნენ მეომრები, ბრძენები, კარისკაცები.

გზაზე ერთი გლეხი შემოხვდათ, ის გლეხი ორ ვირს მოერეკებოდა. როგორც კი თენალი რამაკრიშნამ ვირები დაინახა, მიირბინა, მათ წინ დაიჩოქა და აშთანგა უძღვნა. ხელმწიფე და მისი მხლებლები გაოცდნენ, ხოლო შეშინებულმა ვირებმა ყროყინი მორთეს. ბოლოს ხელმწიფე გონს მოვიდა და რამაკრიშნას უყვირა:

— გონს მოდი, უწმინდურო! რას აკეთებო?

— ნუ გამიჯავრდები, მბრძანებელო! ჩვენი დიდი მოძღვრის სიტყვები მომაგონდა — გუშინ ხომ ამბობდა, ვინც გათენებისას შივას თაყვანისმცემელს შეხვდება, მეორედ ვირად დაიბადებაო. ალბათ გახსოვთ, რომ შენი დიდებული მამა და პაპა მაჰადეოს თაყვანისმცემლები იყვნენ. ისინი საძაგელ შივაიტებს, რა თქმა უნდა, დილითაც ხვდებოდნენ, საღამოთიც და შუადღისასაც. ჰოდა, ჩვენი წყალობის განსახიერებავ, ვიფიქრე, იქნებ ორი უბედური ვირი ჩვენი ხელმწიფის დიდებული მამა და ბრწყინვალე პაპა არის-მეთქი. აბა, იფიქრე, განა შემეძლო სხვაგვარად მივსალმებოდი ასეთ ბრძენ მეფეებსა და სახელოვან მხედართმთავრებსო?

რამაკრიშნას სიტყვებზე მეფემ მრისხანედ გადახედა თავის მოძღვარს. მოძღვარს კი სირცხვილისაგან მიწა რომ გასკდომოდა და შიგ ჩავარდნილიყო, ის ერჩია.

იმ დღიდან ბრძენმა უდაიავარამ შეწყვიტა თავის ქადაგებებში სხვა რწმენის ადამიანების დაცინვა. მეფე კრიშნა დევა რაია კი მიხვდა, რომ ბოლოს და ბოლოს არც ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, რომელი ღმერთი სწამს ადამიანს და ვისა სცემს თაყვანს.

<u>გველების თაყვანისცემა</u>

ერთ სოფელში ერთი ქვრივი დედაკაცი ცხოვრობდა. ერთხელ ის დედაკაცი სავაჭროდ მეზობელ სოფელში წავიდა და თავისი ერთადერთი ვაჟი შინ მარტო დატოვა.

სად იყო, სად არა, ქოხთან მათხოვარმა ჩამოიარა.

— ჭკუა მასწავლე და ას რუპიას მოგცემო! — სთხოვა ბიჭმა მათხოვარს.

მათხოვარი დათანხმდა და უთხრა:

— ბაზარში უფულოდ ნუ წახვალ და გზას უმეგობროდ ნუ დაადგები. ვინც ამ დარიგებას შეასრულებს, მეფის ასულს შეირთავსო.

მათხოვარმა ბიჭს ასი რუპია გამოართვა და წავიდა. საღამოს, ქვრივი დედაკაცი შინ რომ დაბრუდა, შვილმა უამბო:

— დედი, დღეს ერთმა მათხოვარმა ძალიან კარგი დარიგება მომცა და სამაგიეროდ ასი რუპია მივეციო.

— ეს რა სისულელე ჩაგიდენია! ასი რუპია ქარისთვის გაგიტანებია და ეგ არისო, — გაუჯავრდა დედა.

ჭაბუკი ძალიან დაღონდა და სახლიდან წავიდა.

დაადგა თუ არა გზას, ჭაბუკს მათხოვრის სიტყვები მოაგონდა და გადაწყვიტა, მეგობრები მოეძებნა. გზაზე კიბო შემოეყარა. ბიჭმა კიბოს უთხრა:

— მოდი, დავმეგობრდეთო.

— დავმეგობრდეთო.

ჭაბუკმა აიყვანა კიბო, ნაჭერში გაახვია და უბეში ჩაისვა.

მეგობრებმა მეზობელ ქალაქში წასვლა გადაწყვიტეს. ჭაბუკი გზაში ძალიან დაიღალა და დასასვენებლად ერთი ხის ძირას ჩამოჯდა. სწორედ ამ ხეზე ერთი ყვავი ბუდობდა, ხის ძირას კი გველს გაეკეთებინა სორო. ყვავი და გველი დიდი მეგობრები იყვნენ. როგორც კი ხესთან ვინმე მივიდოდა, ყვავი დაიჩხავლებდა ხოლმე და გველს ნიშანს აძლევდა. გველიც გამოცოცდებოდა და მგზავრს გესლავდა. ასე მათ ძალიან ბევრი ადამიანი დაღუპეს.

ახლაც, ის იყო ჭაბუკი ხის ძირას წამოწვა, კიბო გვერდზე მოისვა და დაიძინა, რომ უცებ ყვავმა დაიჩხავლა. ჩხავილზე სოროდან გველი გამოცოცდა. ჭაბუკს უკბინა და მოკლა. მაშინ ხიდან ყვავი ჩამოფრინდა, ჭაბუკს თავზე დააჯდა და კორტნა დაუწყო. კიბომ ყველაფერი დაინახა და გამწარებული ყვავს მარწუხებით ჩააფრინდა, ყვავი აჩხავლდა და გველს უხმო:

— გამოცოცდი, ჩქარა გამოცოცდი! ეს ბიჭი გააცოცხლე, თორემ დავიღუპებიო!

გველიც გამოცოცდა, ჭაბუკს ჭრილობიდან შხამი გამოსწოვა, გააცოცხლა და ისევ ხვრელში შეძრომა დააპირა, მაგრამ კიბო ახლა გველს დაეძგერა. სწორედ ამ დროს ჭაბუკი გონს მოვიდა და თავის გვერდით ყვავი და გველი რომ დაინახა, კიბოს დაბნეულად შეხედა, კიბო კი უყვიროდა:

— რას ყოყმანობ, ესენი ჩვენი მტრები არიან, დახოცეო!

ჭაბუკმა გველიცა და ყვავიც მოკლა, გველს თავი და კუდი მოაჭრა, ყვავს — ფრთები და კიბოსთან ერთად ისევ ქალაქის გზას დაადგა. ქალაქში ჭაბუკი ერთ მდიდარ გლეხს მეველედ დაუდგა.

რამდენიმე დღის შემდეგ იმ ქალაქის ხელმწიფემ გამოაცხადა: ვინც შხამიანი გველის თავსა და კუდს მომიტანს, ჩემს ასულს იმას მივათხოვებო. ჭაბუკს გაუხარდა.

სწორედ იმ ხანებში ერთმა მენაგვემ ხის ქვეშ მკვდარი გველი იპოვა. ერთი-ორჯერ კიდევ დაჰკრა გველს, მერე ადგა და თან წაიღო. გზაზე მეორე მენაგვე შემოხვდა.

— ეჰეი, გზიდან ჩამომეცალე, ხელმწიფის სიძე გახლავარო! — შესძახა პირველმა მეორეს.

მეორეს თავისი მეგობრის სისულელეზე გაეცინა. პირველი მენაგვე კი ხელმწიფესთან გამოცხადდა და უთხრა:

— ეს გველი მე მოვკალი, მაგრამ თავი და კუდი დამეკარგაო.

ხელმწიფეს არ უნდოდა თავისი ასული მენაგვისთვის მიეცა, მაგრამ სიტყვას ხომ ვერ გატეხდა? ძალიან შეწუხდა, მაგრამ მაინც ბრძანა, საქორწილო სამზადისს შეუდექითო.

ჭაბუკმა რომ გაიგო, მეფის ასული თხოვდებაო, ხელმწიფესთან მივიდა, მორჩილების ნიშნად ხელები გულზე დაიწყო და უთხრა:

— მაჰარაჯა! მენაგვე გატყუებს, თუ მართლა გველი იმისი მოკლულია, უბრძანე თავი და კუდი მოიტანოსო!

ხელმწიფემ თავისი მსახურები იმ ხესთან გაგზავნა, სადაც გველი მოკლეს და უბრძანა: გველის თავი და კუდი მოძებნეთო. მსახურებმაც ბევრი ეძებეს, მაგრამ რაც არ იყო, რას იპოვიდნენ! სასახლეში ხელცარიელები დაბრუნდნენ.

მაშინ ჭაბუკმა უბიდან გველის თავი და კუდი ამოიღო, თან ყვავის ფრთებიც ამოაყოლა, გადასცა ხელმწიფეს და, როგორც იყო საქმე, ყველაფერი უამბო. ხელმწიფე განრისხდა და მენაგვის სიკვდილით დასჯა ბრძანა.

ამის შემდეგ ჭაბუკისა და მეფის ასულის ქორწილი გადაიხადეს. ჭაბუკმა სამუშაოს თავი მაინც არ დაანება — ქორწილის მეორე დღეს მინდორში ჩვეულებრივზე უფრო გვიან მივიდა. შეუდგა კიდეც საქმეს, მაგრამ ქალაქისაკენ მიმავალ გზას თვალს ვერ აშორებდა. ეს ამბავი მის პატრონს არ მოეწონა და უთხრა:

— ის არა კმარა, რომ დაიგვიანე, ახლა ყალთაბანდობ კიდეც! სულ ერთთავად ქალაქის გზას რას გაჰყურებო?

— სადილობის დროა. გუშინ მეფის ასულთან ვიქორწინე და ახლა ველოდები, ცოლმა ჯერი უნდა მომიტანოსო, — მიუგო ჭაბუკმა. ამ სიტყვებზე ყველას გაეცინა. მაგრამ წარმოიდგინეთ მათი გაოცება, როცა გზაზე მომავალი სპილოები დაინახეს. ტახტრევანში მეფის ასული იჯდა, უკან მხლებლები მოჰყვებოდნენ, მეფის ასული ტახტრევანიდან ჩამოვიდა და ქმარს ბოხჩაში გამოკრული საჭმელი მიაწოდა. მინდვრის პატრონს შერცხვა. ჭაბუკს თავისი ტანსაცმელი მისცა, თვითონ მისი დჰოტი შემოიხვია, მოუბოდიშა მეფის ასულს და ჭაბუკი გაათავისუფლა.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარი მინდვრის პატრონის სახლში დასახლდნენ. მინდვრის პატრონი კი მეზობელ სახლში გადავიდა საცხოვრებლად. ერთ ღამეს ხარბმა მინდვრის პატრონმა თავისი მსახურები ჭაბუკის მოსაკლავად გაგზავნა. ეს რომ ჭაბუკმა დაინახა, გველის თავი და კუდი ისე მიადო ერთმანეთს, რომ გველი გაცოცხლდა, გველმა მინდვრის პატრონის მსახურები დაგესლა და ახლა ჭაბუკს მიუბრუნდა, უნდოდა მისთვისაც ეკბინა, მაგრამ ჭაბუკმა უთხრა:

— თუ არაფერს დამიშავებ, ღვთაებასავით თაყვანს გცემო!

გველმა ირწმუნა ჭაბუკის სიტყვები და იმ დღიდან ადამიანებმა გველის თაყვანისცემა დაიწყეს.

ხელმწიფემ დიდძალი ავლა-დიდება უბოძა ახალგაზრდა ცოლ-ქმარს და ისინიც მეფის სასახლეში ბედნიერად ცხოვრობდნენ.

კეთილი შივი

ძველად ინდოეთში ხელმწიფე შივი მეფობდა. მის სამეფოში ყველა ბედნიერად ცხოვრობდა და ამიტომ მისი ქვეშევრდომები ერთთავად თავიანთი ხელმწიფის სიკეთესა და სამართლიანობას აქებდნენ. გულნაკლული არასოდეს არავინა ჰყავდა. მთელ თავის ცხოვრებას სუსტების დაცვასა და ტანჯულთა შემწეობას ანდომებდა.

კეთილი ხელმწიფე შივის ამბავი ღმერთებსაც მიუვიდათ. ღმერთ ინდრას* (* ინდრა — ინდოელთა უძველესი ღმერთი, ცის მბრძანებელი, თუმცა ინდოეთში არ არის ინდრას ტაძარი, ხალხი მასზე არ ლოცულობს. ძველი ინდური მითოლოგიის თანახმად ინდრას სამყაროდ ზეცის ის სფეროა, სადაც ღმერთები ცხოვრობენ.) შეეშინდა თავისი სიკეთით და სიუხვით შივიმ ტახტი არ წამართვასო და გადაწყვიტა, გამოეცადა. ინდრამ სიკვდილის ღმერთი იამა იხმო და უთხრა:

— მოდი, შევამოწმოთ, ჭეშმარიტად კეთილი და დიდსულოვანია მეფე შივი თუ ხალხს თავს აჩვენებს, რომ თავის მხარეს გადაიბიროსო.

იამა მაშინვე მიხვდა, ღმერთთა მეფეს ტახტის დაკარგვისა ეშინიაო, მაგრამ არ შეიმჩნია, ღმერთი არ გავარისხოო.

ღმერთებმა როგორც გადაწყვიტეს, ისეც მოიქცნენ. ორივენი ფრინველებად გადაიქცნენ: ინდრა შავარდნად იქცა, იამა — თეთრ, ლამაზ მტრედად, შემოჰკრეს ფრთა ფრთას და ცაში აფრინდნენ. იფრინეს, იფრინეს და მომაკვდავთა სამეფოში მიფრინდნენ. შიშისგან გულგახეთქილ მტრედს სისხლისმსმელი შავარდენი მისდევდა. სწორედ ამ დროს შივი სასახლეში იჯდა და ჩვეული სამართლიანობით რაღაცა საქმესა სჯიდა. უეცრად მუხლზე მტრედი დააჯდა და უთხრა:

— დიდებულო ხელმწიფევ, შავარდენისაგან გადამარჩინეო!

ხელმწიფე შივის შეეცოდა აკანკალებული მტრედი, უბეში ჩაისვა და უთხრა:

— ნუ გეშინია, მშვიდად იყავი! ჩემს უბეში საფრთხე არ გელისო!

ამის თქმა კი მოასწრო ხელმწიფემ და ფანჯრიდან შავარდენიც შემოფრინდა.

— დიდებულო ხელმწიფევ, სამართლიანად განსაჯე! ყოველი სულდგმული ამქვეყნად იმითი ცხოვრობს, რომ სხვას ჰკლავს და თვითონ საზრდოობს. ეს მტრედი ჩემი ნადავლია. შენ კი საზრდოს მართმევ და უსამართლობას სჩადიხარო, — უთხრა შავარდენმა ხელმწიფეს.

— დიდო ხელმწიფევ, შენ ხომ დამპირდი დაგიცავო, გეხვეწები გადამარჩინე! კშტარია* (* კშტარია მეომართა კასტის წარმომადგენელი. მეომარი.) ხარ და შენი სიტყვის პატრონი უნდა იყოო, — ეხვეწებოდა ხელმწიფეს მტრედი.

შავარდენმა თავისი ბასრი ნისკარტი მაღლა ასწია და თქვა:

— ხელმწიფევ, მართლმსაჯულების ტახტზე ზიხარ! ჩემი უფლებების შებღალვა არ შეგფერის, მშიერი ვარო!

ხელმწიფემ უბეში ჩაკრულ მტრედს ხელი გადაუსვა და შავარდენს მიუბრუნდა:

— ვერა, შავარდენო, მტრედს ვერ მოგცემ! ჩემი ვალია დავიცვა სუსტი არსება და დავიცავ კიდეც. თუ გშია, საჭმელი ბევრი მაქვს. ახლავე ვუბრძანებ მსახურებს, ხორცი გამოიტანონ, რამდენიც გინდა, მიირთვიო.

— ხელმწიფევ, მე მხოლოდ იმ ფრინველსა ვჭამ, რასაც მე თვითონვე ვკლავ. თუ მტრედის გადარჩენა გინდა, მაშინ სხეულიდან მოიჭერი მაგ მტრედის წონა ხორცი და ის მომეცი, მაგრამ კარგად დაფიქრდი — ჯერ ახალგაზრდა ხარ და ცხოვრება წინ გიდევს. განა ეგ მტრედი ამ ფასად ღირსო?

— თანახმა ვარ! იმათ, ვინც დახმარებას თხოულობს, უყოყმანოდ ვემსხვერპლები. სიმდიდრე და ახალგაზრდობა წარმავალია, მხოლოდ პატიოსნება და სამრთლიანობა შერჩება ხოლმე კაცს სიცოცხლის უკანასკნელ დღემდეო.

რაკი ნაზირ-ვეზირებმა შეატყვეს, ხელმწიფე სიტყვას არ გატეხს და დაიღუპებაო, შეეხვეწნენ:

— დიდებულო მბრძანებელო! რომელიღაც ავსულია შავარდნის სახით მოვლენილი. ამას შენი დაღუპვა უნდა. ნუ მოტყუვდები, არ დათანხმდეო.

მაგრამ ხელმწიფე შივის სიტყვა ვეღარ გადაათქმევინეს. მეფემ დარბაზში დიდი სასწორი შემოატანინა, მერე ბარძაყიდან თავისი ხელით ამოიჭრა ხორცის ნაჭერი და სასწორის ერთ თეფშზე დადო, მეორეზე კი მტრედი დასვა. მტრედის თეფშმა გადასძლია, შავარდენი კი მიუბრუნდა და ნიშნის მოგებით უთხრა მეფეს:

— ხელმწიფევ! ალბათ, გეგონა მტრედი ცოტას აიწონისო და ერთი ნაჭრით დააპირე ჩემი გასტუმრება, არა? დაფიქრდი, ჯერ კიდევ არ არის გვიანი, ნუ ჯიუტობ და მტრედი მომეცი, თორემ ეგ შენი სიკერპე დაგღუპავსო.

ხელმწიფეს წარბიც არ შეუხრია.

— შავარდენო, პირობა სიცოცხლეზე ძვირად მიღირს. მიყურე, შენს მოთხოვნას ვასრულებო, — და შივიმ კიდევ ერთი ნაჭერი ხორცი ამოიჭრა ბარძაყიდან, თეფში ივსებოდა, მაგრამ მტრედი მაინც სულ უფრო მეტსა და მეტს იწონიდა. ხელმწიფე სისხლის დენამ დაასუსტა, ძალა აღარ შესწევდა, თვითონ მოეჭრა ხორცი და არც სხვა ნაზირ-ვეზირებში აღმოჩნდა კაცი, რომ ეს საქმე ეკისრა. მაშინ შივიმ უკანასკნელი ღონე მოიკრიბა და დიდი ვაი-ვაგლახით სასწორის თეფშზე აცოცდა.

ასეთი თავგანწირვა რომ დაინახეს, ხალხს აღტაცების გმინვა აღმოხდა. ინდრამა და იამამ კი თავიანთი ჭეშმარიტი სახე მიიღეს.

— სამართლიანო მბრძანებელო! გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარე. შენი თავგანწირვის ამბავი საუკუნეებს უნდა გადაეცესო, — უთხრა ინდრამ შივის და ძველებური სახე დაუბრუნა.

ინდრას შერცხვა, შივის გულწრფელობაში ეჭვი რატომ შევიტანეო, და გამომშვიდობებისას მიმართა:

— ხელმწიფევ, მაპატიე, ასეთი ტანჯვა რომ მოგაყენეო!

ხელმწიფე შივიმ კი ხელები მკერდზე მორჩილად დაიკრიფა და მიუგო:

— პირიქით, დიდ ბედნიერებად მიმაჩნია, გამოცდის ღირსად რომ მცანი. მე ქშატრია ვარ და ბრძოლის დროს მარტო ხალხის ხოცვა კი არა, ღირსეული სიკვდილიც შემიძლიაო.

— ჭეშმარიტებას ამბობ, მბრძანებელო! დიდება იმ მიწას, რომელსაც შენნაირი ხელმწიფე ლახავსო! — უპასუხა იამამ.

<u>გამარჯვებული განეში*</u>

(* განეში — სპილოსთავა ღმერთი. სიბრძნისა და საქმეში წინააღმდეგობის დაძლევის მფარველი. ინდოელები ყოველი ახალი საქმის წამოწყებისას მიმართავენ განეშს. განეში ითვლება მეცნიერების მფარველად.)

ღმერთ შივასა და ქალღმერთ პარვატის* (* პარვატი — სიბრძნის მფარველი ღმერთი — განეში დედა.) ორი ვაჟიშვილი ჰყავდა: კარტიკეა* (* კარტიკეა — ომის ღმერთი. ინდოელთა რწმენით ყოველი ღმერთი მოგზაურობისას ყოველთვის ერთსა და იმავე ამორჩეულ ცხოველზე ან ფრინველზე ჯდება. კარტიკეა დაჰყავს ფარშავანგს.) და გაეში. შესახედავადაც და ხასიათითაც ძმები ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდებოდნენ. ექვსსახა კარტიკეა მაღალი იყო, გამხდარი, ფიცხი და შესანიშნავი მეომრის სახელი ჰქონდა გავარდნილი. მშვიდი და კეთილი ხასიათის განეში კი თავისი ხორთუმითა და ტლანქი სხეულით სპილოს მოგაგონებდათ. განეში თავიდან ძალიან ლამაზი ბიჭი დაბადებულა. სპილოს კი მერე დამსგავსებია. აი, როგორ მომხდარა ეს ამბავი:

ბიჭი მეორე თვეში რომ გადამდგარა, დედას მისი მონათვლა გადაუწყვეტია და სამზადისს შესდგომიან. ზეიმზე ყველა ღმერთი მოუწვევიათ, ანდა რომელი ღმერთი იტყოდა უარს დიდ შივასთან მისვლაზე! დამდგარა ნანატრი დღეც. პარვატის განგეში ლამაზად გამოუწყვია, ძვირფასი სამკაულებით შეუმკია და ოქროს აკვანში ჩაუწვენია.

ღმერთები აღტაცებულან ბიჭის სილამაზით და უამრავი საჩუქრებიც მიურთმევიათ, მარტო ღმერთი შანი* (* შანი — ღმერთი. მას პლანეტა სატურნთან აიგივებენ. გადმოცემის თანახმად, მისი მზერა ყველაფერს ფერფლავს.) დამდგარა განზე თავდახრილი და ცდილობდა მაღლა არ აეხედა.

თურმე სახლიდან წამოსვლის წინ განი ცოლს რაღაცაზე წაჩხუბებია. ცოლს ზეიმზე წასასვლელად მორთული შანი რომ დაუნახავს, საბოლოოდ გამოსულა

მოთმინებიდან. უნდოდა ქმარი შინ დაეტოვებინა და მთელი ჯავრი იმაზე ეყარა. მაგრამ ცოლის ჭირვეულობით თავგაბეზრებულ შანის მაინც გადაუწყვეტია წასვლა. მაშინ ცოლს დაუწყევლია: პირველივე, ვისაც კი შეხედავ, უთავო დარჩესო და შანის ამიტომ არ უნდოდა ვინმესთვის შეეხედა.

პარვატის შანისთვის უგუნებობა რომ შეუტყვია, განეში აუყვანია და ახლოს მისულა, შანის ზურგი უქცევია და უამბნია, ცოლმა როგორ დაწყევლა. მაგრამ ვაჟის სილამაზით გაამაყებულ დედას მისი ნათქვამისთვის ყურადღება არ მიუქცევია და უთქვამს:

— აბა, შეხედე, შანი, რა ლამაზი ბიჭი მყავს. იმისი მამა ხომ დიდი შივაა! დაივიწყე ეგ წყევლა და შეხედეო.

შანის შეუხედია თუ არა, განეშს მაშინვე თავი მოსძრობია. ღმერთები გამშრალან. მხიარულება შეწყვეტილა, ყველა დაღონებულა. პარვატი ჯერ გაქვავებულა, მერე კი უთავო შვილისთვის რომ დაუხედავს, მწარედ აქვითინებულა. საბედნიეროდ იქვე ყოველგვარი უბედურების ამცილებელი ღმერთი — ვიშნუც — ყოფილა. — თუ განეშს ახლავე ვისიმე თავს მივადგამთ, მაშინვე შეეზრდებაო, — უთქვამს.

პირველი, რისთვისაც იმწუთას შივას თვალი მოუკრავს, პატარა სპილო ყოფილა, შივას მაშინვე წაუცლია სპილოსთვის თავი და განეშისთვის მიუდვია. ბიჭი გაცოცხლებულა. პარვატის ჯერ გახარებია, მაგრამ როცა განეშის სახეზე დაკიდებლი ხორთუმი დაუნახავს, ისევ დადარდიანებულა, ახლა ყველა მასხარად აიგდებს ჩემს შვილს და პატივს არავინ სცემსო, მაგრამ განეშს გული არ გასტეხია! ძალიან უყვარდა დედ-მამა, მორჩილი და ერთგული შვილი იყო. მადლობის ნიშნად შივამ შვილი დალოცა: ყველაზე ჭკვიანი, კეთილი და პატივცემული ყოფილიყავ ღმერთებს შორისო.

ასეც მოხდა: იმ დღიდან პირველ რიგში განეშს სცემენ თაყვანსა და მერე კი სხვა ღმერთებს.

ერთხელ განეში და კარტიკეა წმინდა ტბის მანასაროვარის* (* მანასაროვარი — ტბა ჰიმალაის ჩრდილოეთში. მას ინდოელები წმინდა ადგილად მიიჩნევენ. ამ ტბიდან სათავეს იღებს მდინარე სატლეჯი.) ნაპირას თამაშობდნენ. განეში ხორთუმით ტკბილეულს იღებდა და კარტიკეას აწვდიდა. მაგრამ როგორც კი კარტიკეა ხელს გაუშვერდა, განეში მოხერხებულად შეაგდებდა ტკბილეულს ჰაერში და თვითონვე იჭერდა, კარტიკეა კი ხახამშრალი რჩებოდა.

ასე განეშს ვერ ვაჯობებ, ისევ ისა სჯობს, სირბილში შევეჯიბრო. განეში ტლანქი და მოუხეშავია, სწრაფად ვერ ირბენსო, — გადაწყვიტა კარტიკეამ.

მაგრამ ჭკვიანი განეში ხელად მიუხვდა განზრახვას. ღიმილი ძლივს შეიკავა და უთხრა:

— რად გინდა სირბილში შემეჯიბრო, ძმაო! სულ ერთია, მაინც მე გაჯობებო.

იდავეს ძმებმა, იდავეს და ბოლოს გადაწყვიტეს:

— ვინც თხუთმეტ დღეში სამ სამყაროს* (* სამი სამყარო — დედამიწა, ზეცა და ქვესკნელი.) გარს შემოუვლის და პირველი დაბრუნდება, გამარჯვებული ის იქნებაო.

მეორე დღეს კარტიკეა ზუსტად ოთხ საათზე შეაჯდა თავის ფარშავანგს და გაემგზავრა.

ნეტავი როგორ ფიქრობს განეში ჩემს გასწრებას, როცა ასეთი ტლანქი და მოუხეშავია. მიწაზეც კი ძლივს დადის — სულ აქეათ-იქით ირწევა, — თანაც ამ ბოლო დროს იმდენ ტკბილეულს ჭამს, კიდევ უფრო გასუქდა. ამას გარდა თაგვზე ზის და ისე დადის. განა თაგვის სიარული ფარშავანგისას შეედრება? მე რომ

დავბრუნდები, ის, ალბათ, ტბასაც არ იქნება გაცილებული, დავამარცხებ განეშს და პირველობას ავიღებო, — ფიქრობდა გზაში კარტიკეა.

ამასობაში კარგა გამომძღარმა და ნაბანმა განეშმა გამოიანგარიშა, როდის უნდა დაბრუნებულიყო კარტიკეა და მშვიდად შეუდგა წიგნის კითხვას.

იმ დღეს კი, როცა კარტიკეა შინ უნდა დაბრუნებულიყო, განეში თავის დედასთან მივიდა. დაიცვა პარიკრამა* (* პარიკრამა — რომელიმე პირისა ან საგნის ირგვლივ შემოვლა მისდამი ღრმა პატივისცემის გამოხატვის ნიშნად.) თაყვანი სცა და გვერდით მიუჯდა. დაღლილი, აქოშინებული კარტიკეა სახლში შევარდა და რას ხედავს: განეში დედის გვერდით ზის.

— ძმაო, ნუთუ მოასწარი სამი სამყაროს შემოვლა? — წამოიძახა მან.

— მე არსადაც არ წავსულვარ. აქ ვიჯექი და ისე შემოვიარე სამივე სამყარო, — უპასუხა სიცილით განეშმა.

— კი მაგრამ, განა ეს შესაძლებელიაო? — ჰკითხა კარტიკეამ.

— ყური დამიგდე, უფროსო ძმაო! დედა სამივე სამყაროზე უფრო მეტია და მის წინაშე პარიკრამის დაცვა სამივე სამყაროს შემოვლაზე მეტიაო. — უპასუხა განეშმა.

ამ სიტყვებზე პარვატის გაეღიმა. კარტიკეამ მამას მოსთხოვა განესაჯა ეს ამბავი. შივამ რომ ყველაფერი მოისმინა, განეში გაამართლა.

ჭკვიანმა და მოსიყვარულე განეშმა პირველის სახელი მოიხვეჭა.

როცა განეშის ერთგულების ამბავი ყველგან გავრცელდა, ღმერთებში დავა ატყდა:

— ამის შემდეგ რომელ ღმერთს უფრო დიდი პატივით მოეკიდება ხალხი, რომელ ღმერთსა სცემს პირველ რიგში თაყვანს, ვის შესწირავენ უპირველეს მსხვერპლს და ვის დაუნთებენ ხოლმე პირველად წმიდა ცეცხლსაო?

ყოველი ღმერთი იმის მსურველი იყო, რომ ეს პატივი თვითონა რგებოდა. დავა რომ შეეწყვიტა, უხუცესმა ღმერთმა — ბრაჰმამ — თქვა:

— ამ პატივს ის დაიმსახურებს, ვინც სამჯერ შემოუვლის დედამიწას და პირველი დაბრუნდებაო.

ეს რომ ღმერთებმა გაიგეს, შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად ერთ ადგილას შეგროვდნენ. როგორც კი ნიშანი მისცეს, ყოველი მათგანი თავის ცხოველზე შეჯდა და შეჯიბრებაც დაიწყო. მარტო ტლანქი და მოუხეშავი განეში შეჯდა თავის თაგვზე და ისევ შინ დაბრუნდა.

ნეტავ რა უნდა ვქნა, თაგვი შორს ვერ წამიყვანს, — ფიქრობდა გზაზე განეში, — მართლა, მომაგონდა! ბრაჰმას რამდენჯერ უთქვამს, კეთილი, მშვიდი და შვილების მოსიყვარულე დედა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დედამიწა. მამა — შივა კი მთელ სამყაროს მოიცავსო. განა მათ მიმართ პარიკრამის დაცვა საკმარისი არ იქნებაო?

თაგვზე ამხედრებული განეში კაილაშისაკენ* (* კაილაში — შივას ადგილსამყოფლად მიჩნეული ჰიმალაის ერთ-ერთი მთა.) — თოვლიანი მწვერვალისაკენ — გაემართა.

კაილაშის მთაზე მამა შივა ღრმა ფიქრებში გართული იჯდა.

— დედა, მოდი ჩქარა, მამას გვერდით მოუჯექიო, — უთხრა პარივატის განეშმა და ხელი მოავლო.

— რა მოხდა, განეშ? — ჰკითხა გაკვირვებულმა დედამ.

— რაც მოხდა, მერე გიამბობ, ოღონდ ახლა ისე მოიქეცი, როგორც გეუბნებიო.

როგორი ონავარია ჩემი განეში. ალბათ, ისევ ახალი გასართობი მოიგონაო, — იფიქრა პარივატიმ და შივას გვერდით მიუჯდა.

განეშმა ჯერ თაყვანი სცა თავის დედ-მამას, მერე მათ მიმართ პარიკრამა დაიცვა, შვიდჯერ შემოუარა გარშემო და ისევ ბრაჰმას სამყოფელისაკენ გაეშურა.

სწორედ იმავე დროს სხვა ღმერთებიც დაბრუნდნენ შეჯიბრებიდან და განეში ბრაჰმასთან რომ ნახეს, იფიქრეს: ალბათ, განეშმა ვერ შეძლო დედამიწის შემოვლა და შუაგზიდან დაბრუნდა. ახლა კი უზის ბრაჰმას და ელაქუცება, რომ როგორმე თავისი მარცხი დაფაროსო. მაგრამ, როცა დიდებულმა ბრაჰმამ ღმერთებს შეატყობინა, პირველობა განეშს დარჩაო, ყველას გაუკვირდა.

— ეს როგორ, დიდებულო ბრაჰმავ, განეშს შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღია და პირველობა როგორღა დარჩაო? — კითხულობდნენ აღშფოთებულები.

— როგორ და, განეშმა მარტო დედამიწას კი არა, მთელ სამყაროს შვიდჯერ შემოუარაო.

— განა ეს შესაძლებელი იყო? — წამოიძახეს გაკვირვებულმა ღმერთებმა.

— განეში თავისი მშობლების მოსიყვარულე და პატივისმცემელი შვილია. შვიდჯერ შეასრულა მათ გარშემო პარიკრამა და განა ვინმეს ეჭვი შეეპარება, რომ მისი მშობელი დედა დედამიწაზე უფრო მაღლა დგას, ხოლო ღმერთი შივა კი მთელი სამყაროს განსახიერებაა? განეშიც გამარჯვებულად სწორედ ამიტომ ითვლებაო, — თქვა ბრაჰმამ.

აი, რატომ აღიარეს თავისი მშობლების უერთგულესი და თავდადებული შვილი განეში ღმერთებს შორის უპირველეს და ყველაზე უკეთეს ღმერთად.

<u>პ ა ნ დ ი ტ ი ს ძ ე</u>

კოშალის* (* კოშალი — ჩრდილო ინდოეთის უძველესი სახელმწიფო.) მეფის, პრაპიდის სასახლეში პოეტები და პანდიტები დიდ პატივში იყვნენ. კოშალის დიდებულთა შორის იყო ერთი პანდიტი, სახელად ვიდიადჰარი* (* ვიდიადჰარი — ცოდნის წყარო.) ვიდიადჰარის მამაც, პაპაცა და პაპის მამაც კარის პოეტები ყოფილან. მამის სიკვდილის შემდეგ მისი ადგილი ვიდიადჰარს დაუჭერია, მაგრამ თავისი ბრძენი მამისაგან მხოლოდ რამდენიმე ლექსის ცოდნა გამოჰყოლოდა, ეგ იყო და ეგ. პანდიტის შვილობა ხომ სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შენც სწავლული ხარ.

ვიდიადჰარის სიბრიყვემ თავი ვერ დამალა. კარის სხვა პანდიტებმა მალე გაიგეს მისი ფასი და გადაწყვიტეს, ვიდიადჰარის უვიცობა გამოეაშკარავებინათ.

ერთხელ, მეფე მარტო რომ დაიგულეს, პანდიტები მივიდნენ და უთხრეს:

— მაჰარაჯა! ეს კაცი ნამდვილი ბრიყვია. ვიდიადჰარი კი ჰქვია, მაგრამ ჭკუის ნატამალი არა აქვს; გამოსცადე, თორემ შენს კარზე იმისი ყოფნა დიდი სირცხვილი არისო!

მეფეს ძალიან გაუკვირდა. ვიდიადჰარის მამა სახელგანთქმული სწავლული იყო. თვითონ ვიდიადჰარისაც ჭეშმარიტი პანდიტივით ეჭირა თავი, საკმარისი იყო მხოლოდ მისი მაღალი შუბლისა და განუყრელი რურაკშას* (* რუდრაკშა «— ხე. ამ ხის ნაყოფის კურკებისაგან ამზადებენ კრიალოსანსა და საყურეებს. ასეთ სამკაულს ინდოეთში მხოლოდ ფაკირები და წმინდა საეკლესიო მოღვაწეები ხმარობენ.) კრიალოსნისათვის შეგეხედათ, რომ მის სწავლულობაში ეჭვი არ შეგეტანათ. და აი, მეფე პრაპიდმა ყველას თანდასწრებით ვიდიადჰარს ჰკითხა:

— ვიდიადჰარ-პანდიტო! ამას წინათ დავინახე, ხალხი კუს იჭერდა, ნეტავი რად უნდოდათ, შენ ხომ არ იცი?

ვიდიადჰარმა არც აცია, არც აცხელა და მეფეს მაშინვე მიახალა:

— მაჰარაჯა, საქმე იმაშია, რომ კუს ძალიან გემრიელი და სამკურნალო რძე აქვს. ხოლო მისი ბეწვისაგან ქაშმირულ შალებს ქსოვენო.

ამ პასუხის გაგონებაზე მეფემ გადაიხარხარა. მას მთელი სასახლე აჰყვა. მეფეს ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ვიდიადჰარი, მართლაც, საოცარი ბრიყვი იყო, მაგრამ ხუმრობით ერთი შეკითხვა კიდევ მისცა:

— პანდიტის შვილო! ტბას რომ ცეცხლი წაეკიდოს, თევზები რას იზამენო?

— ხეზე ავლენო, — მიუგო ვიდიადჰარმა.

— კი მაგრამ, როგორაო? — სიცილს ძლივს იკავებდა მეფე.

— როგორ და ისე, როგორც ძროხები ადიანო.

მეფეს ულვაშებში ჩაეღიმა და თქვა:

— ვიდიადჰარს სასახლეში თავისი ადგილი შევუნახოთ, ოღონდ დღეიდან მთავარ ხუმარად დავნიშნოთ და პანდიტის ძე ვუწოდოთო.

ჭკუის გამოცდა.

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე, ჰყავდა ერთადერთი ვაჟი. დაუდგა ხელმწიფეს სიკვდილის დრო, წევს სასიკვდილოდ გამზადებული სარეცელზე და გარშემო ემირები და ვეზირები შემოხვევიან. უკანასკნელ წუთებში ხელმწიფემ თავისი ვაჟი იხმო, მისი ხელი თავის ძველ მრჩეველს ხელში ჩაუდო და უთხრა:

— შვილო! ისე მოიქეცი, როგორც ეს გეტყვისო.

მერე ხელმწიფემ მრჩეველს მოსთხოვა, პირობა მომეცი, რომ ჩემს ვაჟს დაიცავო და სულიც განუტევა. მთელი სამეფო ცხარე ცრემლით დასტიროდა ხელმწიფეს.

გავიდა დრო. უფლისწული ტახტზე დასვეს. მოხუცი მრჩეველი ყველაზე ერთგული იყო ჭაბუკი მეფის. მეფეც დიდად აფასებდა მის ნიჭს და ყველაფერს უყოყმანოდ უჯერებდა. სხვა კარისკაცებმა შურით მოსვენება დაკარგეს და სულ იმის ცდაში იყვნენ, მოქიშპე როგორმე თავიდან მოეშორებინათ. ისინი წამდაუწუმ საჩივრებით მიდიოდნენ ხელმწიფესთან, ეუბნებოდნენ, მრჩევლად ვინმე ახალგაზრდა აიყვანეო, მაგრამ ხელმწიფე მათ ყურსაც არ ათხოვებდა. მოხუცი მრჩეველიც თავს არ იზოგავდა და საქმე რიგიანად მიდიოდა.

მაგრამ, ტყუილად როდი უთქვამთ, წყლის წვეთმა ქვა გახვრიტაო. მეფეს მობეზრდა ყოველდღე ერთი და იგივეს მოსმენა და გადაწყვიტა, მოდი ერთი, ჩემს კარისკაცებს გამოვცდიო. იხმო მოხუცი მრჩეველი, მოელაპარაკა, შემდეგ ხალხი შეკრიბა და გამოუცხადა: მოხუცი მრჩეველი გადადგა, სარჩოს ხაზინიდან მიიღებს, იმის ადგილზე კი სხვა, ახალგაზრდა მრჩეველს ვნიშნავო.

გავიდა რამდენიმე თვე. საჩივრები შეწყდა. საქმე კარგად მიდიოდა. კარისკაცები ჯერ ფრთხილობდნენ, მაგრამ მერე, რაკი გული დაიარხეინეს, ხელმწიფე ახალი მრჩევლით კმაყოფილიაო, თვითნებობაც დაიწყეს. ხელმწიფე თავს ისე იჭერდა, თითქოს ვერაფერს ამჩნევდა, სინამდვილეში კი ფარული ჯაშუშებისაგან ყველაფერს იგებდა. ისიც იცოდა, რას ლაპარაკობდნენ ხალხში და ისიც, ახალი მრჩეველი და კარისკაცები როგორ თვითნებობდნენ.

ერთხელ ხელმწიფე სანადიროდ წავიდა. თან ბაზიერები და ძაღლები წაიყვანა. საღამოს უკან რომ ბრუნდებოდა, დასასვენებლად ქალაქგარეთ თავის ბაღში შეიარა, მებაღეს დაუძახა და უთხრა:

— აი ამ ძაღლს გიტოვებ, კარგად მოუარე და როცა დამჭირდება, შეგატყობინებო.

მებაღემ თავი დაუკრა და ძაღლი დაიტოვა. ხელმწიფე სასახლეში დაბრუნდა.

რამდენიმე დღის შემდეგ მეფემ თავისი ძაღლი გაიხსენა და ახალ მრჩეველს უთხრა:

— იმ დღეს, სანადიროდ რომ ვიყავი, მებაღეს ძაღლი დავუტოვე. წადი ერთი და ნახე, როგორ არისო.

მრჩეველი ცხენს მოახტა და გაქუსლა:

— ხელმწიფის ძაღლი როგორ არისო? — ჰკითხა მებაღეს.

— კარგად, ბატონო, ლეკვები დაყარაო.

დაბრუნდა მრჩეველი სასახლეში და რაც გაიგო, ხელმწიფეს მოახსენა. გახარებულმა ხელმწიფემ ჰკითხა:

— რამდენი ლეკვიაო?

— მაჰარაჯა, ეგ არ უთქვამსო!

— როგორმე ერთხელ კიდევ შეწუხდი, წადი და ესეც გამიგეო! — დაყვავებით უთხრა ხელმწიფემ.

მრჩეველი მაშინვე წავიდა. მივიდა მებაღესთან და ჰკითხა:

— ძაღლმა რამდენი ლეკვი დააგდოო?

— ხუთიო, — მიუგო მებაღემ.

მოვიდა მრჩეველი სასახლეში და მოახსენა, ხელმწიფემ კი იკითხა:

— ძუ რამდენია და ხვადი რამდენიო?

— მაჰარაჯა, მებაღეს არც ეგ უთქვამსო.

— ძალიან კი გაწუხებ, მაგრამ ერთხელ კიდევ გამახარე, წადი და ჰკითხე, რამდენი ძუ ლეკვია და რამდენი ხვადი-თქო, — კიდევ უფრო დაყვავებით უთხრა ხელმწიფემ მრჩეველს.

საწყალი მრჩეველი ისევ წავიდა მებაღესთან და ჰკითხა:

მებაღემ უპასუხა:

— სამი ხვადია და ორი ძუო.

მოვიდა მრჩეველი ხელმწიფესთან და მოახსენა ყოველივე. ხელმწიფეს გაუხარდა და იკითხა:

— თუ იცი, იმათგან კარგი მონადირე რამდენი დადგებაო?

— მაჰარაჯა, არ ვიციო, — უპასუხა მრჩეველმა.

ხელმწიფემ სთხოვა, ესეც გამიგეო. სხვა რა გზა ჰქონდა მრჩეველს? ისევ მებაღესთან წავიდა და ჰკითხა, რაც ხელმწიფემ დააბარა.

— ბატონო, ორი ხვადი და ერთი ძუ საუკეთესონი იქნებიან, დანარჩენებს კი არა უშავთ რაო, — მიუგო მებაღემ.

დაბრუნდა მრჩეველი ხელმწიფესთან და ყოველივე მოახსენა. ხელმწიფეს ძალიან გაუხარდა:

— გამოდის რომ სამი მონადირე ძაღლი შემემატა. ნეტავი როგორ კვებავენ? რას აჭმევენ, ხომ არ იციო?

მრჩეველმა არ იცოდა, რას აჭმევდნენ. მაშინ ხელმწიფემ მეტისმეტად ალერსიანად სთხოვა:

— წადი ერთი და გამიგე, რას აჭმევენ, თორემ თუ კარგად არ გამოკვებეს, სუსტი ძაღლები გაიზრდებიანო.

უბედური მრჩეველი ისევ წავიდა მებაღესთან. იმან დაამშვიდა და უთხრა: ხელმწიფეს გადაეცი, ლეკვებს ისე ვაჭმევთ, როგორც საჭიროა-თქო. მრჩეველმა იგივე მოახსენა მეფეს.

— ეტყობა, მებაღე მცოდნე და გამოცდილი კაცია. ლეკვებს ისე აჭმევს, როგორც საჭიროა, ძალიან გამახარებ, თუ კიდევ ერთ რამეს მეტყვი. ამ კარგ ლეკვებში ერთი მაინც მურა ფერისა ხომ არ არის. მურა ძაღლი ძალიან მიყვარსო.

მრჩეველი ძალიან დაიღალა აქეთ-იქით სიარულით, მაგრამ რა უნდა ექნა, მებაღესთან ერთხელ კიდევ მოუხდა წასვლა. გაიგო, რომ არც ერთი ლეკვი მურა ფერისა არ იყო და ესეც მოახსენა ხელმწიფეს.

ხელმწიფეს ეწყინა და იკითხა:

— მაშ, რა ფერისანი არიანო?

მრჩეველმა ისევ ვერაფერი უთხრა.

— ძალიან მინდა გავიგო, რა ფერის ლეკვებია და იმაში ერთი თუ მაინც არის ისეთი, მე რომ მომეწონოსო.

მრჩეველმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, ისევ წავიდა ბაღში, გაიგო ამბავი და მოახსენა ხელმწიფეს, რა ფერის ლეკვები იყო. ხელმწიფემ მადლობა გადაუხადა და ბოდიში მოუხადა შეწუხებისათვის.

გავიდა ცოტა ხანი. ხელმწიფეს გაახსენდა მოხუცი მრჩეველი და ითხოვა, მომგვარეთო. მოხუცი მრჩეველი მაშინვე ეახლა. ძველი მსახური ხელმწიფემ გულთბილად მიიღო, საუბარი გაუბა და ბოლოს უთხრა:

— რაკი მობრძანდით, ერთი სიკეთე მიყავითო.

— თქვენი სამსახური ჩემთვის დიდი ბედნიერება არისო, — მიუგო მრჩეველმა.

— სულ უბრალო საქმეა. ქალაქგარეთ, ბაღში, ძაღლი დამრჩა. კარგი იქნებოდა, წასულიყავით და იმისი ამბავი გაგეგოთო.

მოხუცი მრჩეველი მაშინვე წავიდა მებაღესთან და სთხოვა ძაღლი მაჩვენეო. მებაღემ დიდი პატივით მიიღო მოხუცი და ძაღლიც აჩვენა. მრჩეველმა ძაღლი და მისი ლეკვები კარგად დაათვალიერა, საჭმლის გეჯაში ჩაიხედა, რაც ნახა, ყველაფერი ჩაიწერა. სასახლეში რომ დაბრუნდა, ხელმწიფემ ჰკითხა:

— ძაღლი როგორ არისო?

— ყველაფერი წესრიგშია, მაჰარაჯა ლეკვები დაუყრიაო.

— ხომ არ მეტყვი, რამდენი ლეკვი დაუგდიაო?

— ხუთიო.

— ძუ რამდენია და ხვადი რამდენიო?

— სამი ხვადია და ორი ძუ.

ხელმწიფემ ჰკითხა, რას აჭმევენ ძაღლს, რა ფერისანი არიან ლეკვები და რა მონადირული ნირისაო. შეკითხვებზე მოხუცი მრჩეველი მაშინვე პასუხობდა. ბოლოს ხელმწიფემ ბაღისა და მებაღის ამბავიც იკითხა. მრჩეველმა ამაზე უპასუხა. მაშინ ხელმწიფე კარისკაცებს მიუბრუნდა და უთხრა:

— ჩამაცივდით, მოხუცი მრჩეველი გაუშვი და იმის ნაცვლად ახალგაზრდა დანიშნეო. ახლა, რაკი ორივეს თქვენი ყურით მოუსმინეთ, თვითონა თქვით, რომელი მრჩეველი უფრო გამომაგდგებაო.

კარისკაცებმა თავები ჩაჰკიდეს.

ხელმწიფემ ბრძანა მოხუცი მრჩეველი ისევ თავის ადგილზე დაებრუნებინათ. იმ დღიდან მოხუცი მრჩეველი ძველებურად მართავდა საქმეებს.

<u>ს ა რ ჩ ე ვ ი</u>

წინასიტყვაობა.

მოტჰო და მონგო (თარგმანი ა. კავსაძისა).

მაჰილაპორელი ფეიქარი (თარგმანი მისივეა).

ვეფხვი, გლეხი და მელია (თარგმანი მისივე).
როგორ მოატყუეს ტურებმა ლომი (თარგმანი მისივე).
ჩიტუნია და სპილო (თარგმანი მისივე).
სულეიმან მეფე და ბრძენი წერო (თარგმანი ქ. კაკაბაძისა).
როგორ გაემგზავრა შავი ქათამი ქალაქ აჯმირს (თარგმანი გ. ჭიჭინაძისა).
ხუთი პური (თარგმანი ქ. კაკაბაძისა).
სოფლის მწერალი (თარგმანი მ. ნიჟარაძისა).
ჭკვიანი ექიმი (თარგმანი მისივე).
აფა-ჯი და სპილოები (თარგმანი ნ. თოფჩიშვილისა).
ნიარამი (თარგმანი მისივე).
ვის უფრო ლამაზი ხელები აქვს (თარგმანი მისივეა).
ოქრომჭედელი და დურგალი (თარგმანი მისივე).
ნიანგი და მაიმუნი (თარგმანი მისივე).
გულუბრყვილო აქლემი (თარგმანი მისივე).
ფატიმა და დერვიში (თარგმანი მისივე).
შვიდი და და შვიდი ძმა (თარგმანი მისივე).
ფრინველთ კამათი (თარგმანი მისივე).
ბრაჰმანი და ჯადოქარი (თარგმანი მისივე).
ლომი, მგელი და ტურა (თარგმანი მისივე).
სამართლიანი გადაწყვეტილება (თარგმანი მისივე).
შოშია და მუხუდოს მარცვალი (თარგმანი მისივე).
ვაჭარი და მაიმუნი (თარგმანი მისივე).
ნამდვილი პატრონი (თარგმანი მისივე).
ვაჭარი და მეკურტნე (თარგმანი მისივე).
ბრძენი თუთიყუში (თარგმანი ნ. თოფჩიშვილისა).
როგორ იძია შური მელიამ მგელზე (თარგმანი მისივე).
ბოროტი ვეზირი (თარგმანი მისივე).
ლომი და მისი ქვეშევრდომნი (თარგმანი მისივე).
ეშმაკი ქურდი (თარგმანი მისივე).
ბრმა მათხოვარი (თარგმანი მისივე).
რა უნდა დაიმახსოვრო და რა დაივიწყო (თარგმანი მისივე).
ფაკირი და თაგვები (თარგმანი მისივე).
ეშმაკი ტომარაში (თარგმანი მისივე).
სამი ოქროს დედოფალა (თარგმანი მისივე).
ძუნწი (თარგმანი მისივე).
რაჯა და ყაჩაღი (თარგმანი მისივე).
რაჯა და მენავე (თარგმანი მისივე).
ვეფხვისმჭამელი ტურა (თარგმანი მისივე).
სანტურამი და ანტურამი (თარგმანი მისივე).
ლურჯი ტურა (თარგმანი მისივე).
მოგზაური და ზარმაცი (თარგმანი მისივე).
სასახლის ბრძენი (თარგმანი მისივე).
ქურდი და ეშმაკი (თარგმანი მისივე).
ჭკუის კოლოფი (თარგმანი მისივე).
მწყემსის ხუმრობა (თარგმანი მისივეა).
პოსტმონი (თარგმანი მისივე).

ყმაწვილი და რაჯა (თარგმანი მისივე).
ძნელი საქმე (თარგმანი მისივე).
აქბარი და ბირბალი (თარგმანი მისივე).
ერთი აზრი (თარგმანი მისივე).
ბამბის მპენტავი, ვეფხვი და ტურა (თარგმანი მისივე).
ძუნწი ბატონი და მსახური (თარგმანი მისივე).
აქლემები წაიჩხუბნენ, შუაში კოზაკი გაიჭყლიტაო (თარგმანი მისივე).
მატყუარა განდეგილი (თარგმანი მისივე).
ტრაბახა ყვავი (თარგმანი მისივე).
ჯიქის მამიდა (თარგმანი მისივე).
ბაყაყი და ჭიანჭველები (თარგმანი მისივე).
ძაღლი (თარგმანი მისივე).
სპილო და თხა (თარგმანი მისივე).
ბაყაყი, გველი და კიბორჩხალა (თარგმანი მისივე) მაიმუნი და ძერა (თარგმანი მისივე).
ოქროს ჩიტები (თარგმანი მისივე).
ცნობისმოყვარე პანდიტი (თარგმანი მისივე).
თერძი და ჯინი (თარგმანი მისივე).
არწივების შვილი (თარგმანი მისივე).
თური და ბასანტა (თარგმანი ნ. თოფჩიშვილისა).
მეომარ რამანანდას ამბავი (თარგმანი თ. ჭავჭავაძისა).
დასჯილი მევახშე (თარგმანი მისივეა).
ჯადოსნური ჯამი (თარგმანი მისივე).
ვაჭარი და მეთუნუქე (თარგმანი მისივე).
ამბავი კეთილისა და ბოროტისა (თარგმანი მისივე).
სწავლული ბრიყვები (თარგმანი მისივე).
თავისი თავი დაღუპა (თარგმანი მისივე).
მგლის ღიმილს არ უნდა ენდოო (თარგმანი მისივე).
ზარმაცი გუგულის ზღაპარი (თარგმანი მისივე).
შურიანი ბუ (თარგმანი მისივე).
ჯადოსნური ვიოლინო (თარგმანი მისივე).
პენუ და ცერცვის ნათესი (თარგმანი მისივე).
მეფის ასული მირჩა (თარგმანი მისივე).
რაჯა ჰარიჩანდის დასჯა (თარგმანი მისივე).
ბრაჰმანი და გარეული ბატები (თარგმანი მისივე).
მზის მთვარისა და ქარის სადილად წასვლის ამბავი (თარგმანი მისივე).
ცნობისმოყვარე ვიკრამჯიტი (თარგმანი მისივე).
მოსახდენი მაინც მოხდებაო (თარგმანი მისივე).
მეფის ასული და ხარბი განდეგილი (თარგმანი მისივე).
პლატონის პასუხი (თარგმანი მისივე).
როგორ უნდა დაისაჯოს ცილისმწამებელი (თარგმანი მისივე).
ერთი მკურნალისა და მისი მნახველების ამბავი (თარგმანი მისივე).
ბრძენი მოსამართლის ამბავი (თარგმანი მისივე).
რა არის ადვილი და რა არა — (თარგმანი მისივე).
როგორ გალანძღა თიკანმა მგელი (თარგმანი მისივე).
ამბავი მედიდურობაზე (თარგმანი მისივე).

მგზავრი და ეშმაკი (თარგმანი მ. ზუბადალაშვილისა).
ბრძნული სამართალი (თარგმანი თ. ჭავჭავაძისა).
მოტაცებული დედოფალი (თარგმანი მისივე).
მოგზაურისა და ბადშაჰის ამბავი (თარგმანი მისივე).
ძუნწისა და მისი მეგობრის ამბავი (თარგმანი მისივე).
რატომ იცინოდა თევზი (თარგმანი მისივე).
ბედის საძებნელად წასული კაცის ამბავი (თარგმანი მისივე).
საწოლი (თარგმანი მისივე).
რაჯასი და მისი ვეაზირის ამბავი (თარგმანი მისივე).
როგორ უყვარდა ცოლს თავისი ქმარი (თარგმანი მისივე).
დარა და მამასახლისი (თარგმანი მისივე).
ბულბული და ბამბის ბუჩქი (თარგმანი მისივე).
პატალიპუტრა (თარგმანი მისივე).
როგორ გაჩნდა მთვარეზე კურდღელი (თარგმანი მისივე).
მზე, მთვარე და ვარსკვლავები (თარგმანი მისივე).
ლეგენდა ლიანაზე (თარგმანი მისივე).
ერთგული სიტა (თარგმანი მისივე).
ბრძენი ბირბალი (თარგმანი მისივე).
თენალი რამაკრიშნა — მხიარული პოეტი (თარგმანი მისივე).
თენალი რამაკრიშნა და ქალღმერთი კალი.
თენალი რამაკრიშნას კატა.
თენალი რამაკრიშნა და მეფის მრჩეველი.
გველების თაყვანისცემა (თარგმანი მისივე).
კეთილი შივი (თარგმანი მისივე).
გამარჯვაებული განეში (თარგმანი მისივე).
პანდიტის ძე (თარგმანი მისივე).
ჭკუის გამოცდა (თარგმანი მისივე).